Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

**5 Classics of Marxism**

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

**http://ciml.250x.com**




Georgian Section

**www.joseph-stalin.net**

**SHMG Press**

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

# ლენინი

# ლენინი

## თხზულებანი

## 6

# ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
# რკპ(ბ) IX ყრილობისა
# და სსრკ საბჭოების
# II ყრილობის
# დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

# В. И. ЛЕНИН

## СОЧИНЕНИЯ

*Издание четвертое*

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1946

ᲡᲙᲙ. Კ. Პ. (ბ) Ც. Კ-თᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲥᲡ-ᲔᲜ�გᲔᲚᲡ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ
ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ

# Ვ.Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

## ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲘ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ
1949

# ვ. ი. ლენინი

## ტომი

## 6

*1902* წლის იანვარი — *1903* წლის აგვისტო

## წინასიტყვაობა

მეექვსე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთ, რომლებიც მან დაწერა 1902 წლის იანვრიდან 1903 წლის აგვისტომდე.

ტომში მოთავსებულია «მასალები რსდმპ პროგრამის შემუშავებისათვის». ეს მასალები გვიჩვენებენ ლენინის ბრძოლას «ისკრის» რედაქციის შიგნით მუშათა კლასის პარტიის რევოლუციური პროგრამის დამუშავებისათვის.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ნაწარმოებნი, რომლებიც მიძღვნილია აგრარულ-გლეხური საკითხისადმი, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის მოძღვრებისადმი: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა», ბროშურა «სოფლის ღარიბებს» და სხვა ნაშრომები.

ნაციონალური საკითხის დამუშავებისადმი, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილია სტატიები «ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში», «ესაჭიროება თუ არა ებრაელ პროლეტარიატს «დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია»» და სხვა ნაშრომები.

ამ ტომში მოთავსებულია ესერების წინააღმდეგ მიმართული შემდეგი ნაწარმოებნი: «რევოლუციური ავანტიურიზმი», «ძირითადი თეზისი ესერების წინააღმდეგ», «რატომ უნდა გამოუცხადოს სოციალ-დემოკრატიამ გადამწყვეტი და ულმობელი ომი სოციალისტ-რევოლუციონერებს?» და სხვები.

სტატიები «თვითმპყრობელობა ირყევა...», «ბ-ნი სტრუვე, მხილებული თავისი თანამშრომლის მიერ», «პოლიტიკური

ბრძოლა და პოლიტიკანობა» გვიჩვენებენ ლენინის ბრძოლას ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

«წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ», «რსდმპ წესდების პროექტი» მიძღვნილია მარქსისტული პარტიის ორგანიზაციული პრინციპების დამუშავებისადმი.

ტომში შედის ნაშრომი «საერთო პარტიულ ყრილობაზე რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებათა საკითხისათვის», აგრეთვე რეზოლუციათა პროექტები და სიტყვები რსდმპ II ყრილობაზე, რომლებიც ახასიათებენ ლენინის მოღვაწეობას პარტიის ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში.

ამ ტომში, პირველად ვ. ი. ლენინის თხზულებებში, იბეჭდება მისი შემდეგი ნაწარმოებნი: «დემონსტრაციების შესახებ», «სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ამოცანების შესახებ», «ძირითადი თეზისი ესერების წინააღმდეგ», «საშუალო სკოლების მოსწავლეებს», «ნაწყვეტი სტატიიდან ესერების წინააღმდეგ», «პროექტი რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის მიმართვისა ლიგისადმი, კავშირისა და ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტისადმი», «მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში», «გეგმა სტატიისა ესერების წინააღმდეგ», «პირველი სიტყვა პარტიის წესდების განხილვის დროს», «სიტყვა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების საკითხზე», «ბუნდის ნაციონალიზმის უკანასკნელი სიტყვა».

# მასალები რსდმპ პროგრამის შემუშავებისათვის [1]

დაწერილია 1902 წ. იანვარ-აპრილში
პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ლენინის კრებულში II
ბ

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით



Проектъ программы
Россійской Соц.-Дем. Рабочей Партіи[1]

[A]

(1) Все усиленное развитіе новѣйшаго производства въ Россіи, все болѣе частое появленіе среди капиталистическаго производства.

(2) Непрерывное усовершенствованіе техники и ведущее къ тому, что мелкое производство все болѣе выдѣляется второстепенной. Вслѣдствіе такого средствъ производства (земли и фабрикъ, орудій и машинъ, транспорта и другихъ средствъ сообщенія) сосредоточивается въ рукахъ сравнительно и численно ничтожнаго числа капиталистовъ и крупныхъ землевладѣльцевъ, какъ ихъ частная собственность. Мелкіе самостоятельные

1) Прилагается съ не обратомъ

ПІРВЕЛІ ГВЕРДІ ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი» — 1902 წ.
დაპატარავებულია

# შენიშვნები პლეხანოვის პროგრამის პირველი პროექტის გამო

## პლეხანოვის ტექსტი

I. თანამედროვე საზოგადოების მთავარ ეკონომიურ თავისებურებას შეადგენს მასში კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ბატონობა,

ე. ი. ის, რომ საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებანი ეკუთვნიან კაპიტალისტთა ფრიად მცირერიცხოვან კლასს,

მაშინ როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა შესდგება პროლეტარებისაგან,

რომლებსაც არა გააჩნიათ რა, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, და სხვანაირად არ შეუძლიათ იარსებონ, თუ არა მისი გაყიდვის გზით.

ამის გამო უმრავლესობა ვარდება დაქირავებულთა დამოკიდე-

## ლენინის შენიშვნები

გვერდი 1. № 1 — კაპიტალიზმი თანამედროვე საზოგადოების «თავისებურება» კი არ არის, არამედ მისი ეკონომიური წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ა, წ ყ ო ბ ა ა და სხვ.

№ 2 — წარმოების საშუალებანი ეკუთვნიან არა მარტო კაპიტალისტებს, არამედ მიწათმფლობელებსაც და წვრილ მწარმოებლებსაც.

№ 3 — ბევრ ქვეყანაში პროლეტარიატი როდია მოსახლეობის უმრავლესობა.

№ 4 — პროლეტარიატს აქვს მოხმარების ზოგიერთი საგანი (ნაწილობრივ კი წარმოების საშუალებანიც).

ბულ მდგომარეობაში, რომელნიც თავიანთი შრომით ჰქმნიან კაპიტალისტთა შემოსავალს.

II. კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ბატონობის სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება იმდენად, რამდენადაც ტექნიკის განუწყვეტელი გაუმჯობესება

ადიდებს მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობას და ამით

ამცირებს წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა რიცხვს, ზღუდავს მათ როლს საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში,

---

გვერდი 2. № 5. + მიწათმფლობელთა.

გვერდი 2. ტექნიკის გაუმჯობესება კი არა, არამედ კერძო საკუთრება ახდენს წვრილი მწარმოებლის ექსპროპრიაციას და **verelendet** *.

№ 6 — «და ამით»?? თავისთავად ტექნიკის ზრდას არ შეუძლია გაადიდოს მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობა. ტექნიკის ზრდა (+ მთელი რიგი ეკონომიური გარდაქმნანი, როგორიცაა, გასაღების პირობები **etc.** **) იწვევს წვრილი წარმოების განდევნას მსხვილის მიერ.

№ 6 — 7. კაპიტალიზმი ყოველთვის როდი «ამცირებს წვრილ მწარმოებელთა რიცხვს» (შეფარდებითს რიცხვს და არა აუცილებლად აბსოლუტურს, განსაკუთრებით რუსეთში).

(ახდენს მის ექსპროპრიაციას და იწვევს მის დაბეჩა-

ვებას, გაღატაკებას... კაპიტალიზმი წვრილი მწარმოებლისა.)

ზოლო ზოგან პირდაპირ აქცევს მათ მსხვილ მეწარმეთა ვასალებად და მოხარკეებად.

№ 8 — პირდაპირ — ამოიშალოს. არ არის ნაჩვენები წარმოების საშუალებათაგან მწარმოებლის დაცილების პროცესი.

III. წარმოების კაპიტალისტური ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ძლიერ აწვება მუშათა კლასს იმის მიხედვით, რაც ტექნიკური პროგრესი, ადიდებს რა შრომის ნაყოფიერებას, არათუ აძლევს კაპიტალისტებს მატერიალურ შესაძლებლობას ასწიონ მუშათა ექსპლოატაციის დონე, არამედ კიდეც აქცევს ამ შესაძლებლობას სინამდვილედ, ერთსა და იმავე დროს სამუშაო ძალის მოთხოვნილების შედარებით შემცირებასაც ახდენს და მისი მიწოდების შედარებითსა და აბსოლუტურ ზრდასაც.

პირვანდელი პროექტის მე-3 გვერდი.

№ 9. + და წვრილ მწარმოებლებს (გლეხები საზოგადოდ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ).

№ 10 — იწვევს ან წარმოშობს.

გვერდი 2. № 7. ზღუდავს წვრილ მწარმოებელთა როლს = ადიდებს მსხვილ მწარმოებელთა სამეურნეო მნიშვნელობას (ერთი და იგივეა).

გვერდი 3 — გამოთქმულია ძალიან არაპოპულარულად, აბსტრაქტულად. გაცილებით უკეთესად არის «ერფურტის პროგრამაში» [2] «...იზრდება ჭარბი მუშების არმია», — «იზრდება გაჭირვება».

IV. შრომის ნაყოფიერების განვითარება არათუ არ ადიდებს საშუშაო ძალის ფასს, არამედ, პირიქით, ძალიან ხშირად მისი დაკლების უშუალო მიზეზია. ამრიგად, ტექნიკური პროგრესი, რომელიც მოასწავებს საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებას, კაპიტალისტურ საზოგადოებაში იწვევს საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდას, მქონებელთა და უქონელთა შორის მანძილის გადიდებას, კაპიტალისტებისაგან მუშების ეკონომიური დამოკიდებულების გაძლიერებას.

გვერდი 4 — «სამუშაო ძალის ფასი» ძალიან ხშირად კლებულობს (ესეც მეტად აბსტრაქტულად არის ნათქვამი; = ექსპლოატაციის, ჩაგვრის, სიღატაკის, სიბეჩავის ზრდა). «ამრიგად», იწვევს უთანასწორობის ზრდას. გამოდის, თითქოს უთანასწორობის ზრდას წარმოშობს მ ხ ო ლ ო დ დაქირავებული მუშის ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს ზრდა (გადიდება), მაშინ როდესაც მას წარმოშობენ:

1) წვრილი მწარმოებლის ექსპროპრიაცია + 2) წვრილი მწარმოებლის გაღატაკება + 3) ექსპლოატაციის ზრდა + 4) სარეზერვო არმიის ზრდა.

V. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ასეთი ვითარების დროს და მსოფლიო ბაზარზე კაპიტალისტური ქვეყნების მუდმივად მზარდი ურთიერთი მეტოქეობის პირობებში, საქონლის გასაღება აუცილებლობის ძალით ჩამორჩება მის წარმოებას, ეს კი პერიოდულად იწვევს მეტად თუ ნაკლებად მწვავე სამრეწველო კრიზისებს, რომლებსაც თან ახლავს მეტად თუ ნაკლებად ხან-

გვერდი 5. საჭიროა პროგრამაში აღინიშნოს კრიზისების მ ი ზ ე ზ ე ბ ი? თუ საჭიროა, მაშინ ნაკლი ის არის, რომ მითითებულია 2 მიზეზი: 1) საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდა («ასეთი ვითარების დროს», გვ. 4) + 2) მეტოქეობის ზრდა. მითითებული არ არის

| | |
|---|---|
| გრძლივი პერიოდები სამრეწველო შეფერხებისა, რაც კიდევ უფრო | კრიზისების ძირითადი მიზეზი = **Planlosigkeit** *, კერძო მითვისება საზოგადოებრივი წარმოების პირობებში. |
| ამცირებს წვრილ მწარმოებელთა რიცხვსა და ეკონომიურ მნიშვნელობას, | გვერდები 5 — 6: წვრილ მწარმოებელთა **«ეკონომიური მნიშვნელობის»** შემცირება მეტისმეტად აბსტრაქტული ტერმინია. ექსპროპრიაციას ახდენს (= ამცირებს რიცხვს?) და **verelendet**. |
| კიდევ უფრო ადიდებს დაქირავებული შრომის დამოკიდებულებას კაპიტალისაგან | გვერდი 6 — დაქირავებული «შ რ ო მ ი ს»? ხომ არ აჯობებს — მ უ შ ე ბ ი ს? |
| და კიდევ უფრო სწრაფად იწვევს პროლეტარიატისა და წვრილ მწარმოებელთა მდგომარეობის შედარებითს, ზოგან კი აბსოლუტურ გაუარესებასაც. | გვერდი 6 — კრიზისის შედეგები — მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი დ ა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი გ ა უ ა რ ე ს ე ბ ა. ხომ არ აჯობებს პირდაპირ აღინიშნოს: უმუშევრობა, მუშებისა და წვრილ მწარმოებელთა სიღატაკე. |
| VI. მაგრამ კაპიტალიზმის ამ გარდუვალ წინააღმდეგობათა ზრდასა და განვითარებასთან ერ- | |

* — გეგმაზომიერების უქონლობა. რ ე დ.

თად იზრდება აგრეთვე მუშათა კლასის უკმაყოფილება არსებული ვითარებით, მწვავდება მისი ბრძოლა კაპიტალისტების კლასთან, და მის წრეში სულ უფრო ფართოდ და სულ უფრო სწრაფად ვრცელდება იმის შეგნება,

გვერდი 7 — ნაცვლად უკმაყოფილებისა — აღშფოთება.

გვერდი 7 — შეგნების გავრცელება (— γ) დაყენებულია აღშფოთების ზრდის (— α) და ბრძოლის გამწვავების (—β) გვერდით. მაგრამ α და β—სტიქიურია, ხოლო γ — ჩვენ უნდა შევიტანოთ.

რომ მხოლოდ საკუთარი ძალით შეუძლია მას დაამხოს მის მხრებზე დადგმული ეკონომიური დამოკიდებულების უღელი და რომ ამ უღლის დასამხობად აუცილებელია სოციალური რევოლუცია, ე. ი. კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის მოსპობა, წარმოებისა და პროდუქტების მიმოქცევის საშუალებათა გადასვლა საზოგადოებრივ საკუთრებად.

გვერდი 7 — «მხოლოდ საკუთარი ძალით». სჯობია უფრო ზოგადად ითქვას: შეიძლებაიყოს მხოლოდ მუშათა კლასის საქმე და სხვ.

გვერდები 7 — 8. 1) კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის მოსპობა? — საქონლო წარმოების შეცვლა* სოციალისტურით **, 2) ექსპლოატატორთა ექსპროპრიაცია, 3) წარმოების საშუალებათა გადასვლა საზოგადოებრივ საკუთრებად? კერძო საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად.

* როგორც ნათქვამია კიდეც, გვერდი 8 — 9.

** უნდა განიმარტოს, რანაირია ეს სოციალისტური წარმოება.

VII. პროლეტარიატის ეს რევოლუცია იქნება მთელი ამჟამად ჩაგრული და ტანჯული კაცობრიობის განთავისუფლება, რადგან ის ბოლოს მოუღებს ადამიანის მიერ ადამიანის შევიწროებისა და ექსპლოატაციის ყველა სახეს.

VIII. რათა საქონლის კაპიტალისტური წარმოება პროდუქტების წარმოების სოციალისტური ორგანიზაციით შესცვალოს საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და მისი ყველა წევრის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა მოახდინოს თავისი რევოლუცია,

გვერდი 9—ბუნდოვანია * «საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და მისი ყველა წევრის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად». ეს ცოტაა: (შეადარე «ერფურტის პროგრამა»: «უმაღლესი კეთილდღეობა და ყოველმხრივი ჰარმონიული სრულყოფა»).

პროლეტარიატს ხელთ უნდა ეპყრას პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც მას მდგომარეობის ბატონ-პატრონად გახდის და საშუალებას მისცემს ულმობლად მოსპოს ყველა ის დაბრკოლება, რაც შეხვდება მას თავისი დიდი მიზნის გზაზე. ამ აზრით პროლეტარიატის დიქტატურა სოციალური რევოლუციის აუცილებელ პოლიტიკურ პირობას წარმოადგენს.

გვერდი 9. «მდგომარეობის ბატონ-პატრონი», «ულმობლად მოსპობა», «დიქტატურა»??? (საკმარისია სოციალური რევოლუცია.).

IX. მაგრამ საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლისა და მსოფლიო ბაზრის განვითარებამ იმ-

გვერდი 10 — **nil** **.

* სიტყვა «ბუნდოვანია» ხელნაწერში ლენინს წაწერილი აქვს სიტყვებზე «საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად». რ ე დ.

** — Nihil — არაფერი. რ ე დ.

დენად მჭიდრო კავშირი დაამყარა ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის, რომ ეს დიადი მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ყველა ქვეყნის პროლეტართა შეერთებული ღონისძიებებით. ამიტომ თანამედროვე მუშათა მოძრაობა უნდა გამხდარიყო და უკვე დიდი ხანია გახდა საერთაშორისო მოძრაობად.

X. რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავის თავს უყურებს როგორც პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმს, როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ნაწილს.

XI. იგი იმავე საბოლოო მიზანს ისახავს, რასაც ისახავენ ყველა სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები.

იგი ააშკარავებს მუშების წინაშე შეურიგებელ წინააღმდეგობას მათ ინტერესებსა და კაპიტალისტების ინტერესებს შორის, ურკვევს მათ იმ სოციალური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას, ხასიათსა და პირობებს, რომელიც პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს, და რაზმავს მათს ძალებს მათს ექსპლოატატორებთან განუწყვეტელი ბრძოლისათვის.

გვერდი 11. — «იმავე **Endziel** *». რა საჭიროა განმეორება?

გვ. 11. ხომ არ აურევენ? — «იგივე **Endziel**» — და იქვე გვერდით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანა: 1) გამოააშკარაოს მუშების წინაშე (?) მათი ინტერესებისა და კაპიტალისტების ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობა. 2) გაურკვიოს მათ სოციალური რევოლუციის მნიშვნელობა, ხასიათი და პირობები (+ რევოლუციის აუცილებლობა?).

XII. მაგრამ მისი უახლოესი მიზნები მნიშვნელოვნად იცვლება იმით, რომ ჩვენში წინაკაპიტალისტური — ბატონყმური — საზოგადოებრივი წყობილების მრავალრიცხოვანი ნაშთები საშინელ უღლად აწევს მთელ მშრომელ მოსახლეობას და წარმოადგენს ყველაზე ძლიერს ყველა იმ დაბრკოლებათა შორის, რომელნიც აფერხებენ რუსეთის მუშათა მოძრაობის წარმატებას.

გერმანელებს უფრო ძლიერად აქვთ: **weisen naturnotwendiges Ziel** *.

3) დარაზმოს მათი ძალები **მათს ექსპლოატატორებთან** განუწყვეტელი ბრძოლისათვის (NB? ** + **მთავრობასთან?**) +? **უხელმძღვანელოს** პროლეტარიატის ბრძოლას.

1) შედის მე-2-ში). 1)—ძალიან ვიწროა. უნდა იყოს: α მიუთითოს საბოლოო მიზანი, β შექმნას რევოლუციონერთა ორგანიზაცია პროლეტარიატის ბრძოლის ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო დ.

გვერდი 12. «ბატონყმური წყობილების ნაშთები ...საშინელ უღლად აწევს მთელ მშრომელ მოსახლეობას» (+ საწარმოო ძალთა განვითარების შეფერხება + საარსებო პირობების გაუარესება + მთელი ხალხის სიბნელე და სიბეჩავე) — ყველაზე ძლიერი დაბრკოლებაა (= ნაშთები)? (რა არის ეს ნაშთები? თვითმპყრობელობა+ ყოველივე დანარჩენი? ეს ქ ვ ე მ ო თ არის ნათქვამი.)

* — უჩვენოს ბუნებრივად აუცილებელი მიზანი. რ ე დ.

** Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

| | |
|---|---|
| რუს სოციალ-დემოკრატებს ჯერ კიდევ უხდებათ ბრძოლა ისეთ იურიდიულ დაწესებულებათათვის, რომლებიც, როგორც წარმოების კაპიტალისტური ურთიერთობის ბუნებრივი უფლებრივი დამატებანი, უკვე არსებობენ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში | 12 — 13: საჭიროა ვიბრძოლოთ **ისეთ** (?) **იურიდიულ** დაწესებულებათათვის, როგორიც **უკვე** (?) **არის** მოწინავე ქვეყნებში. (პირდაპირ უნდა დავასახელოთ. პოპულარული არ არის.) |
| და აუცილებელნი არიან იმისათვის, რომ სრულად და ყოველმხრივ განვითარდეს დაქირავებული შრომის კლასობრივი ბრძოლა კაპიტალთან. | გვერდი 13 — დაქირავებული შრომის? — მუშების, მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტების კლასთან თავისი სრული განთავისუფლებისათვის. |
| ხოლო რადგანაც მეფის თვითმპყრობელობა, რომელიც ძველი ბატონყმური წყობილების ყველაზე მნიშვნელოვანი და შემდგომი საზოგადოებრივი განვითარებისათვის ყველაზე მავნე ნაშთია, სრულიად შეუთავსებელია ამ იურიდიულ დაწესებულებებთან, და რადგანაც იგი, თვით თავისი ბუნების გამო, არ შეიძლება არ იყოს პროლეტარების განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე მოსისხლე და უსაშინელესი მტერი, | გვერდი 13. **თვითმპყრობელობა** შეუთავსებელია ამ იურიდიულ დაწესებულებებთან (პოლიტიკურ თავისუფლებასთან??). |
| ამიტომ რუსი სოციალ-დემოკრატები თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად ისახავენ მონარქიის დამხობას. | გვერდი 14. რადგანაც **თვითმპყრობელობა** შეუთავსებელია — **მონარქიის** დამხობა (აქ შეუსაბამობაა). |

**დაწერილია 1902 წ. იანვრის დამდეგს.**

# რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი *

[ა]

I. სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდება სასაქონლო წარმოება რუსეთში, უფრო და უფრო სრული ბატონობა ენიჭება მასში წარმოების კაპიტალისტურ წესს.

II. ტექნიკის განუწყვეტელი გაუმჯობესება იმას იწვევს, რომ წვრილ წარმოებას სულ უფრო და უფრო აძევებს მსხვილი წარმოება. წარმოების საშუალებათა (მიწისა და ფაბრიკების, იარაღებისა და მანქანების, რკინიგზებისა და მიმოსვლის სხვა საშუალებათა) უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავს იყრის შედარებით მცირერიცხოვან კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათმფლობელთა ხელში, როგორც მათი კერძო საკუთრება. წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებელნი (გლეხები, შინამრეწველები, ხელოსნები) სულ უფრო და უფრო ჩანაგდებიან, ჰკარგავენ წარმოების საშუალებებს და ამნაირად იქცევიან პროლეტარებად, ანდა ხდებიან კაპიტალის მსახურებად და მოხარკეებად. მომუშავეთა უფრო და უფრო

* ამ პროექტის პრინციპული ნაწილი წარმოადგენს იმ პროექტს, რომელიც წამოაყენა რედაქციის ერთმა წევრმა ფრეიმ[3] (და რომელიც მან შეადგინა ვ. ვ. პლეხანოვის პირვანდელი პროექტის საფუძველზე). პრაქტიკული ნაწილი კი (ქვემოთ ნაჩვენები ადგილიდან ბოლომდე) წარმოდგენილია მთელი კომისიის მიერ, ე. ი. რედაქციის ხუთი წევრის მიერ.

მეტი რიცხვი იძულებულია გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა, ვახდეს დაქირავებულ მუშად, რომელიც იმყოფება მესაკუთრეთაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში და თავისი შრომით ჰქმნის მათს სიმდიდრეს.

III. რაც უფრო წინ მიდის ტექნიკური პროგრესი, მით უფრო მეტად ჩაშორჩება სამუშაო ძალის მოთხოვნილების ზრდა მისი მიწოდების ზრდას, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ კაპიტალისტებს ასწიონ მუშათა ექსპლოატაციის დონე. გაჭირვებული არსებობა და უმუშევრობა, ექსპლოატაციის უღელი და ყოველგვარი დამცირება ხდება მშრომელი მოსახლეობის სულ უფრო და უფრო ფართო ფენების ხვედრი.

IV. კიდევ უფრო ამწვავებენ ამ პროცესს სამრეწველო კრიზისები, რომლებსაც გარდუვალად იწვევენ კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი. მასების სიღარიბე და სიღატაკე შეთავსებულია საზოგადოებრივი სიმდიდრის ფლანგვასთან იმის გამო, რომ შეუძლებელი ხდება დამზადებული საქონლის გასაღება.

V. ამრიგად, საზოგადოებრივი და სულ უფრო და უფრო მეტი განსაზოგადოების გზაზე მდგარი შრომის საწარმოო ძალთა გიგანტურ განვითარებას თან სდევს ის, რომ ამ განვითარების ყველა მთავარი სარგებლობის მონოპოლიზაციას ახდენს მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება საზოგადოებრივი უთანასწორობა, ღრმავდება და ფართოვდება უფსკრული მესაკუთრეთა კლასსა (ბურჟუაზიასა) და პროლეტარიატის კლასს შორის.

[ბ]

VI. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა იზრდებიან და ვითარდებიან კაპიტალიზმის ყველა ეს გარდუვალი წინააღმდეგობანი, იზრდება პროლეტართა რიცხვი და დარაზმულობა, უკმაყოფილება და აღშფოთება, მწვავდება მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტთა კლასთან, იზრდება მისწრაფება

კაპიტალიზმის აუტანელი უღლისაგან განთავისუფლებისაკენ.

VII. მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით მუშათა კლასის საქმე. თანამედროვე საზოგადოების ყველა დანარჩენი კლასი არსებული ეკონომიური წყობილების საფუძველთა შენარჩუნების მომხრეა. მუშათა კლასის ნამდვილი განთავისუფლებისათვის აუცილებელია სოციალური რევოლუცია, რომელიც კაპიტალიზმის მთელი განვითარებით მზადდება, ე. ი. აუცილებელია წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების მოსპობა, მათი გადასვლა საზოგადოებრივ საკუთრებად და საქონლის კაპიტალისტური წარმოების შეცვლა პროდუქტთა წარმოების სოციალისტური ორგანიზაციით მთელი საზოგადოების ხარჯზე, მისი ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად.

VIII. პროლეტარიატის ეს რევოლუცია სრულიად მოსპობს საზოგადოების კლასებად დაყოფას და, მაშასადამე, ყოველგვარ სოციალურსა და პოლიტიკურ უთანასწორობასაც, რაც ამ დაყოფიდან გამომდინარეობს.

IX. ეს სოციალური რევოლუცია რომ მოახდინოს, პროლეტარიატმა უნდა დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც მას მდგომარეობის ბატონ-პატრონად გადააქცევს და საშუალებას მისცემს მოსპოს ყველა დაბრკოლება, რაც კი მისი დიადი მიზნის გზაზე დგას. ამ აზრით პროლეტარიატის დიქტატურა სოციალური რევოლუციის აუცილებელ პოლიტიკურ პირობას შეადგენს.

X. რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავის ამოცანად ისახავს — გამოააშკარაოს მუშების წინაშე მათი ინტერესებისა და კაპიტალისტთა ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობა, — განუმარტოს პროლეტარიატს ისტორიული მნიშვნელობა, ხასიათი და პირობები იმ სოციალური რევოლუციისა, რომელიც მან უნდა მოახდინოს, — შექმნას რევოლუციური

კლასობრივი პარტია, რომელიც შესძლებს ხელმძღვანელობა გაუწიოს პროლეტარიატის ბრძოლის ყველა გამოვლინებას.

XI. მაგრამ საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლისა და მსოფლიო ბაზრისათვის წარმოების განვითარებამ ისეთი მჭიდრო კავშირი შექმნა ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის, რომ თანამედროვე მუშათა მოძრაობა უნდა გამხდარიყო და უკვე დიდი ხანია გახდა საერთაშორისო მოძრაობად. და რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავისთავს უყურებს როგორც პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმს, როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ნაწილს.

XII. მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უახლოესი მიზნები მნიშვნელოვნად იცვლება იმით, რომ ჩვენში არსებული წინაკაპიტალისტური, ბატონყმური, საზოგადოებრივი წყობილების მრავალრიცხოვანი ნაშთები მეტისმეტად აფერხებენ საწარმოო ძალთა განვითარებას, შეუძლებელს ხდიან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სრულსა და ყოველმხრივ განვითარებას, დაბლა სწევენ მშრომელი მოსახლეობის საარსებო დონეს, იწვევენ მრავალმილიონიანი გლეხობის გადაშენების აზიურ-ბარბაროსულ ფორმებს, სიბნელეში, უუფლებობასა და სიბეჩავეში ამყოფებენ მთელ ხალხს.

XIII. ბატონყმური წყობილების ამ ნაშთებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, მთელი ამ ბარბაროსობის ყველაზე მძლავრი დასაყრდენი არის მეფის თვითმპყრობელობა. თვითმპყრობელობა წარმოადგენს პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მთელი ხალხის კულტურული განვითარების ყველაზე მოსისხლე და უსაშინელეს მტერს.

[8]

ამიტომ * რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად სახავს მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და მის შეცვლას რ ე ს-

* აქედან დაწყებული — მიღებულია მთელი კომისიის მიერ.

პ უ ბ ლ ი კ ი თ დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც უზრუნველჰყოფს:

1) ხალხის თვითმპყრობელობას, ე. ი. მთელი უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების მოქცევას ხალხის წარმომადგენლებისაგან შედგენილი საკანონმდებლო კრების ხელში;

2) საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას როგორც საკანონმდებლო კრების, ისე თვითმმართველობის ყველა ადგილობრივი ორგანოს არჩევნებისას ყოველი მოქალაქისათვის, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა; ყველა არჩევნების დროს ხმის ფარულად მიცემას; ყოველი ამომრჩევლის უფლებას — არჩეულ იქნას ყველა წარმომადგენლობითს კრებაში; ჯამაგირს ხალხის წარმომადგენლებისათვის;

3) მოქალაქეთა პიროვნებისა და ბინის ხელუხლებლობას;

4) სინდისის, სიტყვის, პრესის, კრებების, გაფიცვებისა და კავშირების განუსაზღვრელ თავისუფლებას;

5) მიმოსვლისა და საქმიანობის თავისუფლებას;

6) წოდებათა გაუქმებას და ყველა მოქალაქის სრულ თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და რასისა;

7) სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერისათვის თვითგამორკვევის უფლების აღიარებას;

8) ყოველი მოქალაქისათვის უფლების მინიჭებას — პასუხი აგებინოს სასამართლოს წინაშე ყოველ მოხელეს მის უფროსთან უჩიველლად;

9) მუდმივი ჯარის შეცვლას ხალხის საყოველთაო შეიარაღებით;

10) სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფას;

11) საყოველთაო უფასო და სავალდებულო განათლებას 16 წლამდე; სახელმწიფოს ხარჯზე ღარიბ ბავშვთა მომარაგებას საჭმლით, ტანისამოსითა და სასწავლო ნივთებით.

[დ]

მუშათა კლასის დასაცავად და მისი ბრძოლის უნარიანობის ასამაღლებლად * რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს:

1) განისაზღვროს ყველა დაქირავებული მუშისათვის სამუშაო დღე რვა საათით დღე-ღამეში;

2) კანონით დაწესდეს ორივე სქესის დაქირავებული მუშებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ყოველკვირეული დასვენება, რომელიც განუწყვეტლივ უნდა გრძელდებოდეს არანაკლებ 36 საათისა;

3) სავსებით აიკრძალოს ზედმეტი მუშაობა;

4) აიკრძალოს ღამის შრომა (საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე) სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გარდა იმ დარგებისა, სადაც ის აუცილებლად საჭიროა ტექნიკური მოსაზრებით;

5) აეკრძალოთ მეწარმეებს 15 წლის ასაკამდე ბავშვთა დაქირავებული შრომის გამოყენება;

6) აიკრძალოს ქალის შრომა იმ დარგებში, სადაც ის მავნებელია სპეციალურად ქალის ორგანიზმისათვის;

7) კანონით დაწესდეს დამქირავებელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშების მიერ შრომის უნარის სავსებით ან ნაწილობრივ დაკარგვისათვის, რაც გამოწვეულია უბედური შემთხვევებით ან წარმოების მავნე პირობებით; განთავისუფლდეს მუშა ვალდებულებისაგან — დაამტკიცოს, რომ შრომის უნარის ზემოაღნიშნული დაკარგვა მოხდა დამქირავებლის მიზეზით;

---

* ფრვის წინადადება: ამ აბზაცის დასაწყისი ასე შეიცვალოს: «ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარებისაგან მუშათა კლასის დასაცავად, აგრეთვე მისი განთავისუფლებისათვის თავისი ბრძოლის უნარის ასამაღლებლად...».

8) აიკრძალოს ხელფასის გაცემა საქონლით *;

9) მიეცეთ სახელმწიფო პენსიები მოხუც მუშებს, რომლებსაც დაკარგული აქვთ შრომის უნარი;

10) გადიდდეს საფაბრიკო ინსპექტორთა რიცხვი; დაინიშნონ ინსპექტორი ქალები იმ დარგებში, სადაც ქალის შრომა სჭარბობს; დაწესდეს, რათა საფაბრიკო კანონების შესრულებას ზედამხედველობას უწევდნენ მუშების მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომლებსაც გასამრჯელოს მისცემს სახელმწიფო; აგრეთვე დაწესდეს, რომ მუშების მიერ არჩეული პირები ზედამხედველობას უწევდნენ საქონლის შეფასებათა შედგენასა და წუნდებას;

11) დაწესდეს, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მუშების მიერ არჩეულ პირთა მონაწილეობით ზედამხედველობას უწევდნენ იმ საცხოვრებელი ბინების სანიტარულ მდგომარეობას, რომლებსაც მეწარმეები აძლევენ მუშებს, აგრეთვე ამ ბინების შინაგანაწესს და გაცემის პირობებს, რათა დაქირავებული მუშები დაცულ იქნან მათი, როგორც კერძო პირებისა და მოქალაქეების, ცხოვრებასა და საქმიანობაში მეწარმეთა ჩარევისაგან;

12) ყველა საწარმოში, სადაც კი იყენებენ დაქირავებულ შრომას, დაწესდეს მართებულად მოწყობილი ყოველმხრივი სანიტარული ზედამხედველობა შრომის პირობებზე;

13) გავრცელდეს საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობა სახელოსნო, საოჯახო და შინამრეწველობაზე და სახაზინო საწარმოებზე;

14) დაწესდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის;

15) აეკრძალოთ მეწარმეებს ფულადი გამოქვითვა ხელფასიდან, მიუხედავად იმისა, თუ რა საბუთით და რა დანიშნულებით ხდება ეს (დაჯარიმება, წუნდება და სხვ.);

---

* ფრეის წინადადება: აქ (ამავე მუხლში) ჩაემატოს: «კანონით დაწესდეს ყოველკვირეული ვადა, როდესაც მუშებს ხელფასი უნდა მიეცეთ მუშათა დაქირავების ყველა ხელშეკრულების მიხედვით».

16) დაარსდეს სარეწაო სასამართლოები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშათა და მეწარმეთა თანაბარი წარმომადგენლებისაგან.

[ე]

გარდა ამისა, რუსეთის სახელმწიფო მეურნეობის დემოკრატიზაციის მიზნით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს: ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმებას და პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადის დაწესებას.

ხოლო ძველი ბატონყმური წყობილების ნაშთთა აღმოფხვრის მიზნით * იგი ეცდება:

1) გაუქმდეს გამოსასყიდი და საღალო გადასახდელი, აგრეთვე ყოველგვარი ბეგარა, რომელიც ამჟამად აწევს გლეხობას, როგორც მოხარკე წოდებას;

2) გაუქმდეს ურთიერთთავდებობა და ყველა ის კანონი, რომლებიც ზღუდავენ გლეხს — იყოს თავისი მიწის განმკარგულებელი;

3) დაუბრუნდეს ხალხს მისგან გამოსასყიდი და საღალო გადასახდელის სახით აღებული ფულადი თანხა; ამ მიზნით მოხდეს სამონასტრო ქონებისა და საუფლისწულო მამულების კონფისკაცია, აგრეთვე. დაიბეგროს განსაკუთრებული გადასახადით იმ მსხვილ მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა მიწები, რომლებმაც ისარგებლეს გამოსასყიდი სესხით; ამ გზით მიღებული თანხებიდან შესდგეს განსაკუთრებული სახალხო ფონდი სოფლის საზოგადოებათა კულტურულ და საქველმოქმედო საჭიროებათათვის;

---

* ფრეის წინადადება: ჩაერთოს აქ სიტყვები: «და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის», ისე რომ მთელი აბზაცი ასეთი იყოს: «ხოლო ძველი ბატონყმური წყობილების ნაშთთა აღმოფხვრის მიზნით და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ეცდება:»

4) დაარსდეს გლეხთა კომიტეტები:

ა) სოფლის საზოგადოებათათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის საშუალებით ან — იმ შემთხვევაში, თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა, — გამოსყიდვის და სხვ. გზით), რომლებიც ჩამოეჭრათ გლეხებს ბატონყმობის გაუქმების დროს და მემამულეთა ხელში წარმოადგენენ გლეხების დამონების იარაღს;

ბ) ბატონყმური წყობილების იმ ნაშთების აღმოსაფხვრელად, რაც შერჩენილია ურალში, ალტაიში, დასავლეთ მხარეში და სახელმწიფოს სხვა ოლქებში;

5) მიენიჭოს სასამართლოებს უფლება — შეამცირონ უზომოდ დიდი საიჯარო ქირა და ძალადაკარგულად გამოაცხადონ გარიგებანი, რომელთაც კაბალური ხასიათი აქვთ.

[3]

ისწრაფვის რა თავისი უახლოესი პოლიტიკური და ეკონომიური მიზნების მიღწევისაკენ,* რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მხარს უჭერს ყოველგვარ ოპოზიციურ და რევოლუციურ მოძრაობას, მიმართულს რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, ამასთან გადაჭრით უარჰყოფს ყველა იმ რეფორმატორულ პროექტს, რომლებშიაც მშრომელ მასებზე პოლიციური მეურვეობის ყოველ გაფართოებას ხატავენ, როგორც სოციალური საკითხის გადაჭრისაკენ გადადგმულ ნაბიჯს**.

თავის მხრივ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ აღნიშნულ პო-

---

* ფრეის წინადადება: აბზაცის დასაწყისი შეიცვალოს ასე: «იბრძვის რა აღნიშნული მოთხოვნებისათვის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია» და ა. შ.

** ფრეის წინადადება: ამ აბზაცის ბოლო შეიცვალოს ასე: «...პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელ მასებზე პოლიციურ-ჩინოვნიკური მეურვეობის რაიმე გაფართოებასა ან განმტკიცებასთან».

ლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნათა სრული, თანამიმდევარი და მტკიცე განხორციელება შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობისა და მთელი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით.

დაწერილია 1902 წლის იანვრის დამლევს —
თებერვლის დამდეგს

# სამი შესწორება პროგრამის პროექტისათვის

№ 1. II აბზაცში (ა) ნაცვლად სიტყვებისა: «ტექნიკის განუწყვეტელი გაუმჯობესება იმას იწვევს, რომ წვრილ წარმოებას სულ უფრო და უფრო აძევებს მსხვილი წარმოება»

ჩაიწეროს შემდეგი წინადადება:

«განუწყვეტლივ უმჯობესდება ტექნიკა, სულ უფრო ძლიერ ვითარდება მსხვილი წარმოება, სულ უფრო და უფრო გამოიდევნება ან ეცემა წვრილი წარმოება».

№ 2. VII აბზაცში (ბ) სიტყვებს: «თანამედროვე საზოგადოების ყველა დანარჩენი კლასი არსებული ეკონომიური წყობილების საფუძველთა შენარჩუნების მომხრეა»

დაემატოს სიტყვები:

«და წვრილი მწარმოებელი, რომელიც იღუპება კაპიტალიზმის უღელქვეშ, ნამდვილად რევოლუციური მხოლოდ იმდენად ხდება, რამდენადაც გრძნობს თავისი მდგომარეობის გამოუვალობას და გადადის პროლეტარიატის თვალსაზრისზე»—

შემდგომი კი დაწყებულ იქნას ახალი სტრიქონით.

№ 3. XII აბზაცში (ბ) ნაცვლად სიტყვებისა: «იწვევენ

მრავალმილიონიანი გლეხობის გადაშენების აზიურ-ბარბაროსულ ფორმებს»

ჩაიწეროს სიტყვები:

«იწვევენ მრავალმილიონიანი გლეხობის ექსპლოატაციის აზიურ-ბარბაროსულ ფორმებს და ტანჯვა-წამებით გადაშენებას».

დაწერილია 1902 წ. თებერვლის
მეორე ნახევარში



Замѣчанія на проектъ программы.

Самыя общія и основныя недостатки, которыя я нахожу въ этомъ проектѣ программы, я скажу вслѣдъ программы, именно: это не программа практическихъ столкновеній партіи, а Конституціонная, это скорѣе программа для учащихся (особенно въ самомъ началѣ дѣла, посвященная характеристикѣ конституціи) а программа учащихся первого курса, на которомъ говорят о конституціи вообще, а еще не о русской конституціи. Этотъ основной недостатокъ вызывает другіе мелкіе недостатки, причем программа отвѣчает не конституціи:

Постараюсь доказать это разбором отдѣльныхъ пунктовъ и затѣмъ подведу общій итогъ.

„Развитіе конституціонной мысли до сих

Первый гвердо з. и. ленинис ხელნაწერისა
შენიშვნებით პლეხანოვის პროგრამის მეორე
პროექტის გამო. — 1902 წ.

დაპატარავებულია

# შენიშვნები პლეხანოვის პროგრამის მეორე პროექტის გამო

ყველაზე ზოგად და ძირითად ნაკლად, რაც ამ პროექტს მიუღებლად ხდის, მე მიმაჩნია პროგრამის მ თ ე ლ ი ტ ი პ ი, სახელდობრ: ეს პრაქტიკულად მებრძოლი პარტიის პროგრამაკი არ არის, არამედ Prinzipienerklärung *, ეს არის უფრო პროგრამა მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა თ ვ ი ს (განსაკუთრებით უმთავრეს განყოფილებაში, რომელიც მიძღვნილია კაპიტალიზმის დახასიათებისადმი), თანაც პირველი კურსის მოსწავლეთათვის, სადაც ლაპარაკობენ საერთოდ კაპიტალიზმზე, ხოლო ჯერ კიდევ არ ლაპარაკობენ რუსეთის კაპიტალიზმზე. ეს ძირითადი ნაკლი იწვევს აგრეთვე მრავალ განმეორებას, ამასთან პ რ ო გ რ ა მ ა კ ო მ ე ნ ტ ა რ ი ს ხასიათს იღებს. შევეცდები ეს დავამტკიცო პროექტის პუნქტობრივი გარჩევით და შემდეგ გავუკეთო საერთო ჯამი.

«საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ» და სხვ. სიტყვებამდე: «უკვე დიდი ხანია გახადა საერთაშორისო მოძრაობად» (§ I — ციტატების მონახვის გასაადვილებლად ყოველ აბზაცს, ე. ი. ახალი სტრიქონით დაწყებულ passus-ს მე ვუწოდებ პარაგრაფს, რიგითი ნუმერაციის დაცვით).

ამის წინააღმდეგ არსებითად არაფერი ითქმის. ოღონდ სიტყვები: «ჩვენი დროის დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობა» ზედმეტია, რადგან მუშათა მოძრაობის განმათა-

* — პრინციპების დეკლარაცია, გამოცხადება. რ ე დ.

ვისუფლებელ ხასიათზე ბევრი და კონკრეტულად არის ნათქვამი ქვემოთ.

შემდეგ, ეს აბზაცი, ჩემი აზრით, თავის ადგილას არ არის. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა უნდა იწყებოდეს რუსეთის კაპიტალიზმის დახასიათებით (და ბრალდებით), — და უკვე ამის შემდეგ უნდა იყოს ხაზგასმული საერთაშორისო ხასიათი მოძრაობისა, რომელიც თავისი ფორმით — «კომუნისტური მანიფესტის» სიტყვით რომ ვთქვათ — დასაწყისში აუცილებლად ნაციონალურია».

§ II. «მსგავსად ყველა სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატებისა, რუსი სოციალ-დემოკრატები დგანან საერთაშორისო ნიადაგზე. ისინი თავის პარტიას უყურებენ, როგორც პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმს, როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ნაწილს».

ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვები ზედმეტია, რადგან სრულიად არაფერს არ უმატებენ იმას, რაც ამის წინ და ამის შემდეგ არის ნათქვამი. ეს ზედმეტი სიტყვები მხოლოდ ანელებენ აზრის სრულიად საკმაო და რელიეფურ გამოთქმას, რაც მოცემულია სიტყვებში «რაზმი» და «ნაწილი».

§ III. «ისინი ისახავენ იმავე საბოლოო მიზანს, რასაც ყველა სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები».

ესეც ზედმეტი სიტყვებია, რაც ქვემოთ განმეორებულია ორჯერ § XIII-ში («საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ყველა ღონისძიებათა საბოლოო მიზანი» და ა. შ.) და § XVII-ში («საერთო საბოლოო მიზნის ერთიანობა»). არმიის «რაზმი» სწორედ იმიტომ არის რაზმი, რომ იმავე მიზანს ისახავს.

§ IV. «ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატებისათვის საერთო» (კვლავ ზედმეტი განმეორებაა) «ეს საბოლოო მიზანი განისაზღვრება ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ხასიათითა და მსვლელობით».

ესეც ზედმეტი სიტყვებია, რადგან სწორედ შემდეგ არის ნაჩვენები, თუ როგორ «განსაზღვრავენ» ამ საბოლოო მიზანს ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ხასიათი და მსვლელობა. ეს პარაგრაფი სათაურის, განყოფილების სახელწოდების მაგვარი რამ არის. მაგრამ სათაურები, სახელმძღვანელოსა თუ სტატიაში აუცილებელი, სრულიად არ არის საჭირო პროგრამაში. **Alles, was im Programm überflüssig, schwächt es** * (ენგელსი ერფურტის პროგრამის პროექტის გამო გაკეთებულ შენიშვნებში) [5].

§§ V და VI (აგრეთვე VII-ის დასაწყისი) იწვევენ, ფორმალურ შენიშვნებს გარდა, ერთ ზოგად და ძირითად მოსაზრებას, მიმართულს პროგრამის მთელი იმ ტიპის წინააღმდეგ, რომელსაც პროექტი სახავს.

ჯერ მოვიყვან ამ საერთო საწინააღმდეგო მოსაზრებას (რისთვისაც საჭირო იქნება ნაწილობრივ დაცვა კონტრპროექტისა), შემდეგ კი გადავალ ფორმალურ შენიშვნებზე.

§ V იძლევა საერთოდ «განვითარებული» კაპიტალიზმის დეფინიციას; § VI ლაპარაკობს კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის «გაფართოებაზე» ტექნიკის პროგრესისა და მსხვილ საწარმოთა ზრდასთან ერთად, წვრილ საწარმოთა საზიანოდ (ან — მათ ხარჯზე), ე. ი. მსხვილი წარმოების მიერ წვრილის გამოდევნასთან ერთად.

გადმოცემის ასეთი ხერხი ულოგიკოა და უსწორო.

უსწოროა — რადგანაც მებრძოლი პროლეტარიატი დეფინიციებით კი არ სწავლობს (როგორც სახელმძღვანელოებით სწავლობენ ხოლმე) იმას, თუ რა არის კაპიტალიზმი, არამედ იმით, რომ პრაქტიკულად ეცნობა კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, საზოგადოების განვითარებას და მის შედეგებს. და ჩვენს პროგრამაში უნდა განვსაზღვროთ ეს განვითარება, ვთქვათ — რაც შეიძლება მოკლედ და რელიეფურად, — რომ საქმე ასე და

---

* ყოველივე, რაც კი პროგრამაში ზედმეტია, ასუსტებს მას. რედ-

ასეა. ხოლო ყოველგვარი ახსნა-განმარტება იმისა, თუ სახელდობრ რატომ არის ასე და არა სხვანაირად, ყოველგვარი დეტალი ძირითადი ტენდენციების გამოვლინების ფორმათა შესახებ კომენტარებს უნდა მივანდოთ. თუ რა არის კაპიტალიზმი, — ეს უკვე თავისთავად გამოვა ჩვენი დახასიათებიდან, რომ საქმე ასე და ასეა (resp *. მიდის).

ულოგიკოა — რადგანაც მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების გამოდევნის პროცესი (§ VI) და საზოგადოების მესაკუთრეებად და პროლეტარებად დანაწილების პროცესი (§ V) ერთი და იგივე პროცესია. ამას კი პროექტის ფორმულირება არ გამოხატავს. პროექტით ასე გამოდის: პირველი დებულება. განვითარებული კაპიტალიზმი ის არის, რომ წვრილი დამოუკიდებელი წარმოების უმნიშვნელოვანესი ნაწილი გამოდევნილია მსხვილი წარმოების მიერ, რომელსაც ჰყავს დაქირავებული მუშები. მეორე დებულება. კაპიტალიზმის ბატონობა ფართოვდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გამოდევნის მსხვილი წარმოება წვრილს...

მე ვფიქრობ, რომ ორივე ეს აბზაცი, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ერთ აბზაცად უნდა შევაერთოთ და იქ ასე გამოვხატოთ პროცესი: ტექნიკის ზრდა — წვრილი წარმოების გამოდევნა მსხვილის მიერ — წარმოების საშუალებათა თავმოყრა კაპიტალისტთა და მიწათმფლობელთა ხელში — წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა გაჩანაგება: მათი გადაქცევა პროლეტარებად ან კაპიტალზე დამოკიდებულ პირებად.

ასეთი ფორმულირების (რომლის ცდა მოცემულია კონტრპროექტში) წინააღმდეგ ამბობენ:

(1) ეს ფორმულირება საქმეს იხე ხატავს, თითქოს რუსი გლეხობის გაჩანაგება (resp. მსხვილი საადგილმამულო სა-

* — respective — ანუ. რედ.

კუთრების გაჩენა რუსეთში და სხვ.) დამოკიდებულია მ ხ ო ლ ო დ კაპიტალიზმის ზრდაზე.

ეს მოსაზრება მე უსაფუძვლოდ მიმაჩნია. სათანადო ადგილას (სახელდობრ — პროგრამის ბოლოში) სავსებით ნათლად არის ნათქვამი, რომ ჩვენში უამრავია ბატონყმობის ნაშთი და რომ ეს ნაშთები «აბარბაროსებენ» განვითარების პროცესს. მაგრამ რაკი ჩვენ კაპიტალიზმის განვითარების პროცესს ვთვლით ძ ი რ ი თ ა დ პროცესად რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ევოლუციაში, ჩვენ სწორედ თავიდანვე უნდა დავახასიათოთ ე ს პროცესი და მ ი ს ი წინააღმდეგობანი და შედეგები. მხოლოდ ასე შეგვიძლია რელიეფურად გამოვხატოთ ჩვენი აზრი, რომ კაპიტალიზმის განვითარების, წვრილი წარმოების გამოდევნის, საკუთრების კონცენტრაციისა და სხვ. პროცესი წარმოებს და შემდეგშიც იწარმოებს, ბატონყმობის ყველა ნაშთის მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ და ყველა ამ ნაშთის გ ა დ ა ლ ა ხ ვ ი ს გზით.

(2) ამბობენ, რომ დებულება — «წვრილი წარმოება სულ უფრო და უფრო იდევნება მსხვილი წარმოების მიერ», «მეტისმეტად კატეგორიულია», «შაბლონურიაო» და სხვ.

ამიტომ უნდა განვმარტო, თუ რა მოსაზრებებით მიმაჩნია ეს ფორმულირება ა რ ა ნ ა კ ლ ებ ს წ ო რ ა დ და გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ი უ ფ რ ო მ ო ხ ე რ ხ ე ბ უ ლ ა დ, ვიდრე გასარჩევი პროექტის ფორმულირება: «მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობის გადიდება, წვრილ საწარმოთა შედარებითი რიცხვის შემცირება, ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში მათი როლის შეზღუდვა».

წმინდა თეორიული მხრით ორივე ეს ფორმულირება ს ა ვ ს ე ბ ი თ თ ა ნ ა ბ ა რ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა, და ყოველგვარი ცდა მათ შორის ა რ ს ე ბ ი თ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი ს მონახვისა სრულიად თვითნებურია*. «მსხვილ საწარმოთა

---

* ვინც ამას არ ეთანხმება, წინადადებას მიკცემდით მოეყვანა ან თუნდაც გამოეგონა ერთადერთი მაგალითი მაინც, როცა ხდება «მსხვილ

მნიშვნელობის გადიდება და წვრილ საწარმოთა როლის შეზღუდვა» — სწორედ ეს არის გამოდევნა. გამოდევნა არ შეიძლება სხვა რამეში მდგომარეობდეს. და მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების გამოდევნის საკითხის სირთულე და დახლართულობა სრულიადაც არ არის იმაზე დამოკიდებული, თითქოს ვისმე შეეძლოს (კეთილსინდისიერად შეეძლოს) ვერ გაიგოს, რომ გამოდევნა ნიშნავს «მსხვილ საწარმოთა მნიშვნელობის გადიდებას და წვრილ საწარმოთა როლის შეზღუდვას», — არამედ დამოკიდებულია მთლიანად და მხოლოდ იმაზე, რომ ძნელია შეეთანხმდეთ გამოდევნის, **resp.** მნიშვნელობის გადიდების, **resp.** როლის შეზღუდვის მაჩვენებელთა და ნიშანთა არჩევაში.

ამ მხრივ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ყველაზე ზოგადი ფორმით ასე შეიძლება გამოვხატოთ:

გამოსავალი პერიოდი:

მთელი წარმოება $=100$.

მსხვილი $=a$. წვრილი $=100-a$.

შემდეგი პერიოდი.

მთელი წარმოება $=200$.

მსხვილი $=2a+b$. წვრილი $=200-2a-b$.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა და ყოველგვარი მონაცემი მსხვილი და წვრილი წარმოების თანაფარდობის შესახებ მიუდგება ამ სქემას. და არც ერთ ადამიანს, რომელსაც კი სურს გაიგოს პროცესი, არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ სწორედ ეს არის გამოდევნა. იქნება $200-2a-b$ თავისი ოდენობით $100-a$-ზე მეტი (შედარებითი გამოდევნა) თუ ნაკლები (აბსოლუტური გამოდევნა), —

---

საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობის» ისეთი «გადიდება და წვრილ საწარმოთა როლის» ისეთი «შეზღუდვა», რომელიც ყველასათვის არ ცხადჰყოფდეს, რომ ეს არის მსხვილ საწარმოთა მიერ წვრილ საწარმოთა გამოდევნა.

ყოველ შემთხვევაში ეს არის გამოდევნა. მხოლოდ ისეთ «კრიტიკოსს» შეუძლია ეს «ვერ გაიგოს», რომელსაც არ სურს გაგება, — ასეთი ხალხი კი არ გამოილევა. კომენტარშიც მათ წინააღმდეგ პირდაპირი ზომები იქნება მიღებული.

საკითხის მთელი სიძნელე სრულიადაც არ მდგომარეობს იმის გაგებაში, რომ აღნიშნული შეცვლა არის «გამოღევნა», არამედ იმაში, თუ სახელდობრ როგორ განისაზღვროს ეს სიდიდენი: **100, a** და სხვ. ეს კი არის კონკრეტული საკითხი, ფაქტის საკითხი, და ამ საკითხის გადაჭრა ოდნავადაც ვერ წაიწევს წინ ასეთი სიტყვების დასმით: «მნიშვნელობის გადიდება და როლის შეზღუდვა».

მაგ., ევროპის მთელი სამრეწველო სტატისტიკა ამ «მნიშვნელობას» და ამ «როლს», უმეტეს შემთხვევაში, განსაზღვრავს მუშების რიცხვით (აგრარული სტატისტიკა კი — მიწის რაოდენობით). და ჯერ არავინ ცდილა დაეჭვებულიყო, რომ მუშების (**resp.** მიწის) წილის შემცირება არის სწორედ გამოდევნა. მაგრამ მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან ხშირად ისეთი ნიშნები, როგორიცაა მუშების რიცხვი (**resp.** მიწის რაოდენობა), საკმარისი არ არის. შესაძლოა წვრილ საწარმოთა გამოდევნა და ამავე დროს იქ მუშების (მიწის) წილის გადიდება — თუ, მაგ., ეს მუშები ამუშავებენ უკვე სხვის მასალას, თუ ამ მიწის დამუშავება ხდება უფრო მდარე პირუტყვით, უფრო ცუდ პირობებში მყოფი მომუშავით, თუ მიწა უფრო ცუდად მუშავდება, უფრო ცუდად ნოყიერდება და სხვ. და სხვ. ყველამ იცის, რომ სწორედ ასეთი «გაუგებრობებით» სავსეა «კრიტიკული» საბუთები «მარქსის დოგმის» წინააღმდეგ, ხოლო ამ «გაუგებრობათ» ოდნავადაც ვერ ავიცილებთ თავიდან, თუ «გამოდევნას» შევცვლით «მნიშვნელობის გადიდებით და როლის შეზღუდვით», რადგან «საყოველთაოდ მიღებულია» «მნიშვნელობისა» და «როლის»

გამოხატვა უბრალოდ — მუშების რიცხვით და მიწის რაოდენობით.

არავინ არ დაეჭვდება, რომ მსხვილი წარმოების მიერ წვრილი წარმოების სწორედ გამოდევნას წარმოადგენს (მიწათმოქმედების დარგში) ისეთი პროცესები, როგორიც არის გლეხობის დაშლა, მანქანების ხმარების განვითარება განსაკუთრებით მსხვილ მეურნეებთან, მუშა პირუტყვის შემადგენლობის გაუმჯობესება მსხვილ მეურნეებთან და მისი გაუარესება (ცხენების შეცვლა ძროხებით და სხვ.) წვრილ მეურნეებთან, დამქირავებლის «მომთხოვნელობის» ზრდა მსხვილ საწარმოში და სამუშაო დღის გადიდება, **resp.** წვრილი გლეხის მიერ მოხმარების შემცირება, მიწის მოვლისა და განოყიერების გაუმჯობესება მსხვილ მეურნესთან და გაუარესება წვრილ მეურნესთან, მსხვილი მეურნის მიერ წვრილი მეურნის გასწრება კრედიტისა და ასოციაციების დარგში და სხვა და სხვა. სრულიადაც არ არის ძნელი იმის დამტკიცება (ეს არც კი საჭიროებს დამტკიცებას), რომ ყველა ეს პროცესი ნიშნავს «გამოდევნას», — ძნელია იმის დამტკიცება, რომ სწორედ ამ პროცესებს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ეს პროცესები ნამდვილად ხდება. ამ სიძნელეს ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს სიტყვები «მნიშვნელობის გადიდება და როლის შეზღუდვა»: მისი შემსუბუქება შეუძლია მხოლოდ კომენტარს, მხოლოდ იმის მაგალითებს, თუ როგორ არ შეუძლიათ ადამიანებს განსაზღვრონ (არ სურთ განსაზღვრონ) გამოდევნის (= მნიშვნელობის გადიდება და როლის შეზღუდვა) პროცესის ჭეშმარიტი გამოხატულება.

ეს წმინდა წყლის ილუზიაა, თითქოს სიტყვები «მნიშვნელობის გადიდება და როლის შეზღუდვა» უფრო ღრმაა, შინაარსიანი და ფართოა, ვიდრე «ვიწრო» და «შაბლონური» სიტყვა «გამოდევნა». ოდნავადაც არავითარ გაღრმავებას პროცესის გაგებაში ეს სიტყვები არ გამოხატავენ, — ისინი გამოხატავენ ამ პროცესს მხოლოდ უფრო ზუნდოვანად

და უფრო უსახურად. და მე ასე ენერგიულად ვდაობ ამ სიტყვების წინააღმდეგ არა მათი თეორიული უსწორობის გამო, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ისინი სიღრმის სახეს აძლევენ უბრალო ბუნდოვანებას.

ადამიანი, რომელსაც «სემინარიაში უსწავლია» და რომელმაც იცის, რომ გამოდევნა უკვე არის წილის შემცირება (და სრულიადაც არა აუცილებლად — აბსოლუტური შემცირება), ამ ბუნდოვანებაში დაინახავს კრიტიკოსთა მიერ კომპრომეტირებული «მარქსისეული დოგმის» სიშიშვლის დაფარვის სურვილს *. ადამიანი, რომელსაც სემინარიაში არ უსწავლია, მხოლოდ ამოიოხრებს მიუწვდომელი «უძირო სიბრძნის» გამო, — მაშინ როდესაც სიტყვა «გამოდევნა» ყოველ ხელოსანსა და ყოველ გლეხს მოაგონებს მისთვის ცნობილ ათეულ და ასეულ მაგალითს. უბედურება არ იქნება, თუ ის ერთბაშად მთლად ვერ გაიგებს ამ გამოთქმას მთელი მისი სიგრძე-სიგანით: **selbst wenn einmal ein Fremdwort oder ein nicht auf den ersten Blick in seiner ganzen Tragweite zu erfassender Satz vorkommt, schadet das nichts. Der mündliche Vortrag in den Versammlungen, die schriftliche Erklärung in der Presse tut da alles Nötige, und der kurze, prägnante Satz befestigt sich dann, einmal verstanden, im Gedächtniss, wird Schlagwort, und das passiert der breiteren Auseinandersetzung nie** .** (ენგელსი ერფურტის პროექტის კრიტიკაში.) [6]

---

* ბუნდოვანების ასეთი **განმარტება** მით უფრო აუცილებელია, რაც უფრო ფართოდ არის ცნობილი გარკვეული ფორმულირება, მაგ., ერფურტის პროგრამისა: «...**geht die Verdrängung der zersplitterten Kleinbetriebe durch kolossale Grossbetriebe...**» («...ხდება დაქსაქსულ წვრილ საწარმოთა გამოდევნა კოლოსალური მსხვილი საწარმოების მიერ...». რ ე დ.).

** — უბედურება არაა, თუ ზოგჯერ კიდევაც შეგეხვდება რაიმე უცხო სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ერთი შეხედვით გაუგებარია მთელი მისი სიგრძე-სიგანით. ზეპირი მოხსენება კრებებზე, წერილობითი განმარტება პრესაში მოგვცეშს ყველაფერს, რაც კი აუცილებელია, და მაშინ მოკლე, შეტყველი ფრაზა, ერთხელ გაგებული, აღიბეჭდება შეგნებაში და ლო-

სტილის თვალსაზრისითაც არ არის სასურველი ეს სიტყვები — «მნიშვნელობის გადიდება და როლის შეზღუდვა» ნაცვლად გამოდევნისა. ეს რევოლუციური პარტიის ენა კი არ არის, არამედ «რუსსკიე ვედომოსტის»[7] ენაა. ეს სოციალისტური მოძღვრების ტერმინი კი არ არის, არამედ სტატისტიკური კრებულის ტერმინია. ეს სიტყვები თითქოს განზრახ არის შერჩეული იმისათვის, რომ მკითხველმა გამოიტანოს შთაბეჭდილება, ვითომ პროცესი, რომელსაც ვახასიათებთ, არის არა მწვავე პროცესი, არა ისეთი რამ, რაც რაიმე გარკვეულით მთავრდება, არამედ უმტკივნეულო პროცესი. მაგრამ რადგან სინამდვილეში ყოველივე ეს სწორედ პირიქით არის, ამდენად ეს სიტყვები აშკარად არასწორია. ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა ავირჩიოთ ყველაზე აბსტრაქტული ფორმულირებანი, რადგან ჩვენ ვწერთ არა სტატიას კრიტიკოსთა წინააღმდეგ, არამედ იმ მებრძოლი პარტიის პროგრამას, რომელიც მიმართავს შინამრეწველთა და გლეხთა მასას. მათ რომ მივმართავთ, ჩვენ უნდა ვთქვათ **klipp und klar** *, რომ კაპიტალი «აქცევს მათ თავის მსახურებად და მოხარკეებად», «აჩანაგებს» მათ, «მიერეკება» მათ პროლეტარიატის რიგებისაკენ. მხოლოდ ასეთი ფორმულირება იქნება სწორი ასახვა იმისა, რისი მაგალითიც ათასობით იცის ყოველმა შინამრეწველმა და ყოველმა გლეხმა. და მხოლოდ ასეთი ფორმულირებიდან გარდუვალად გამოვა დასკვნა: ერთადერთი ხსნა თქვენთვის ის არის, რომ მიემხროთ პროლეტარიატის პარტიას.

გადავდივარ რა ფორმალურ შენიშვნებზე V და VI პარაგრაფების წინააღმდეგ, უნდა შევნიშნო შემდეგი.

§ V ლაპარაკობს «განვითარებული სახის» ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე და ამავე დროს ამბობს, რომ მასში შერჩე-

---

ზუნგად იქცევა. ეს კი არასოდეს არა ხდება, როდესაც ბრტყელ-ბრტყელი მსჯელობაა. რ ე დ.

* — ნათლად და მკაფიოდ. რ ე დ.

ნილია «ხელოსანთა ფენაც» და «წვრილი გლეხობაც». სიზუსტე აკლია. თუ გავიგებთ სიტყვებს «განვითარებული სახე» ზუსტი თეორიული აზრით, მაშინ ასეთ საზოგადოებაში არც ხელოსნები იქნებიან და არც წვრილი გლეხები. თუნდაც ეს სიტყვები გავიგოთ ჩვეულებრივი აზრით: ყ ვ ე ლ ა ზ ე განვითარებული ქვეყნები, — მაშინაც აღმოჩნდება, რომ, მაგ., ინგლისში «წვრილი გლეხობა», როგორც განსაკუთრებული სოციალური ფენა, არსებითად თითქმის აღარ არსებობს.

«სასაქონლო წარმოების ბატონობა კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე». როგორღაც უხერხული გამოდის. რა თქმა უნდა, ს ა ვ ს ე ბ ი თ განვითარებული სასაქონლო წარმოება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ «სასაქონლო წარმოება» საერთოდ ლოგიკურადაც და ისტორიულადაც არის prius * კაპიტალიზმის მიმართ.

ტერმინი «კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობა» პროექტში ბოლომდე არ არის გატარებული. ზოგჯერ მას სცვლის ტერმინი «წარმოების კაპიტალისტური წესი» (§ XI). ჩემი აზრით, პროგრამის გაგების სიძნელეთა შესამცირებლად უნდა ვიხმაროთ ერთი ტერმინი, სახელდობრ უკანასკნელი, ვინაიდან პირველი უფრო თეორიულია და, თუ არ დაეუმატეთ სიტყვები «სისტემა» (ურთიერთობისა) და სხვ., ისე არ აღნიშნავს რაიმე დამთავრებულსა და მთლიანს.

«ფეოდალურ-ხელოსნური პერიოდი...». აქ თითქოს განზრახ არის შერჩეული ისეთი გამოთქმა, რომელიც ყველაზე ნაკლებად მიუდგება რუსეთს, ვინაიდან ჩვენს შუა საუკუნეებთან ტერმინ «ფეოდალიზმის» შეფარდება სადავოდ არის მიჩნეული. ამავე დროს კი ა რ ს ე ბ ი თ ა დ მოცემულია «განვითარებული» ბურჟუაზიული საზოგადოების სწორედ ისეთი დახასიათება, რომელიც გამოდგება რუსეთის მიმარ-

* — წინამორბედი. თავდაპირველი. რ ე დ.

თაც («გადარჩენენ» წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებელნი და წვრილი გლეხობა, ჰყიდიან — «პერიოდულად ან მუდმივად თავის სამუშაო ძალას» და სხვ.). ამრიგად, პროექტი უკვე თვით თავისი ფორმულირებით არღვევს იმ აზრს, რომ არ შეიძლება დაიწეროს კაპიტალიზმის განვითარების დახასიათება, თუ პირდაპირ და გარკვევით რუსეთს ვიგულისხმებთ.

«წვრილი მწარმოებელ-ხელოსნები, რომლებიც შეკვეთით მუშაობენ...». მომხმარებელთა შეკვეთით თუ სამუშაოს მიმცემ ვაჭართა შეკვეთით? ალბათ, პირველთა. მაგრამ სწორედ რუსეთში წვრილ მწარმოებელთა უმრავლესობა მრეწველობაში მუშაობს არა შეკვეთით, არამედ ბაზრისათვის.

«...მოხმარების საგანთა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი...» (რატომ აგრეთვე «წარმოების საშუალებათა» არა?) ...«მზადდება ს ა შ ი ნ ა ო ა ნ ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ბ ა ზ ა რ ზ ე გასასაღებლად...». ხაზგასმული სიტყვები ზედმეტი განმეორებაა, ვინაიდან საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის ზრდა აღნიშნულია 1 პარაგრაფში.

საქონლის «...წარმოებისა და მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს საშუალებანი». ვფიქრობ, ხაზგასმული სიტყვები პროგრამიდან კომენტარში უნდა იქნას გადატანილი, ვინაიდან მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი რომ კაპიტალისტებს ეკუთვნით, ეს იქიდან შეგვიძლია გ ა მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ო თ, რომ სასაქონლო მეურნეობის საზოგადოებაში წარმოების საშუალებანი მათს კუთვნილებას შეადგენენ.

«...ისეთი პირებისაგან, რომლებსაც არა აქვთ წარმოებისა და მიმოქცევის არავითარი საშუალებანი გ ა რ დ ა თ ა ვ ი ს ი ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს ა...». ასე არ შეიძლება ითქვას.

იმაზე მითითება, რომ სამუშაო ძალა იყიდება «მუდმივად ან პერიოდულად — მთელი წლის თუ რამდენიმე თვის განმავლობაში», ზედმეტი დეტალია, რომელიც კომენტარში უნდა იქნას გადატანილი.

(§ VI) «...ადიდებს რა მსხვილ სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობას», — ქვემოთ კი: საერთოდ წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა როლის შეზღუდვა. შემთხვევით ხომ არ არის გამოტოვებული მსხვილი სამიწათმოქმედო საწარმონი? თუ ის არის მხედველობაში მიღებული, რომ მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობა მხოლოდ მრეწველობაში იზრდება, წვრილ საწარმოთა როლი კი მრეწველობაშიც იზღუდება და მიწათმოქმედებაშიც? თუ მეორეა, უნდა ითქვას, რომ ეს სრულიადაც არ არის სწორი. მიწათმოქმედებაშიც იზრდება «მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობა» (საკმარისია ერთი მაგალითის სახით მივუთითოთ თუნდაც მანქანებზე, — ზემოთ კი სხვა მაგალითებიც არის მოყვანილი). რასაკვირველია, აქ პროცესი გაცილებით უფრო რთულია, მაგრამ ეს უნდა ითქვას (თანაც კონკრეტული ახსნა-განმარტებით ითქვას) უკვე კომენტარში.

...«მეტად თუ ნაკლებად სრული, მეტად თუ ნაკლებად აშკარა, მეტად თუ ნაკლებად მძიმე...» დამოკიდებულება, — ეს, ვფიქრობ, ზედმეტი და აზრის დამასუსტებელი სიტყვებია. პირვანდელი პროექტის გამოთქმა: «მსახურნი და მოხარკენი» უფრო ძლიერი და რელიეფურია.

§ VII დასაწყისი იძლევა ზედმეტ განმეორებას, როდესაც ერთხელ კიდევ აღნიშნავს «წვრილ მწარმოებელთა გადაქცევას პროლეტარებად», თუმცა ეს უკვე აღნიშნულია V და VI პარაგრაფებში.

§ VII იძლევა იმის ვრცელ განმარტებას, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების გადიდება ჩამორჩება მისი მიწოდების გადიდებას. არა გვგონია, რომ «განვრცობით» ამ შემთხვევაში იგებდეს გადმოცემა. რა თქმა უნდა, პროცესის სრული ახსნის მიცემა სულ ერთია მაინც ვერ ხერხდება (მაგ., ნახსენებია ქალთა და ბავშვთა შრომის გამოყენების ზრდა, ხოლო შრომის ინტენსივობის ზრდა მოხსენიებული არ არის და სხვ.). ამიტომ უფრო სწორი იქნება ყველა

განმარტება (კონკრეტული მაგალითებით) კომენტარში გადავიტანოთ, პროგრამაში კი მხოლოდ ჩამოვაყალიბოთ ის, თუ რაში მდგომარეობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობა, როგორია მისი ტენდენცია.

გვეუბნებიან, რომ თუ ვიტყვით: «რაც უფრო წინ მიდის ტექნიკური პროგრესი, მით უფრო მეტად ჩამორჩება სამუშაო ძალის მოთხოვნილების გადიდება მისი მიწოდების გადიდებას», — მაშინ საქმე არასწორ სახეს იღებსო; «მიწოდების გადიდება» სრულიადაც არ არის დამოკიდებული მარტო «ტექნიკურ პროგრესზეო». მაგრამ ეს მოსაზრება უსაფუძვლოა, ვინაიდან სიტყვები «რაც უფრო — მით უფრო» სრულიადაც არ არის თანაბარმნიშვნელოვანი სიტყვებისა «რადგან — ამის გამო». თუ რით არის გამოწვეული «მიწოდების გადიდება», ეს ნათქვამია წინა აბზაცში («გაჩანაგება», «გამოდევნა» etc. *), და უფრო კონკრეტულად კომენტარში იქნება განმარტებული.

«...მუშათა კლასის წილი იმ მატერიალური სიმდიდრის საერთო მასაში, რაც მისი შრომით იქმნება, მუდმივად კლებულობს...». ეს სიტყვები არის იმ აბზაცში, სადაც ლაპარაკია ექსპლოატაციის დონის აწევის შესახებ (შეადარე სიტყვებს, რომლებიც უშუალოდ წინ უძღვის ციტირებულს). ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ «წილად» იგულისხმება $v$-ს მიმართება $v+m$-თან. მაგრამ მაშინ ეს ზედმეტია და არ შეეფერება სიტყვებს «სიმდიდრის საერთო მასა».

ხოლო თუ საერთო მასა $=c+v+m$, მაშინ, ჯერ ერთი, ცოტა არ იყოს, უხერხულია ვუწოდოთ «წილი» $c+m$-ს ($v$ წინააღმდეგ), ვინაიდან «წილად» იგულისხმება ის, რაც, სწორედ რომ ითქვას, იყოფა, ე. ი. მოხმარების საგნები. და მაშინ ეს დებულება თავისი შინაარსით განეკუთვნება შემდგომ პარაგრაფს, სადაც ლაპარაკია საზოგადოებრივი სიმდიდრისა ($c+v+m$) და საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდაზე.

* — et cetera — და ასე შემდეგ. რედ.

ამიტომ ციტირებული სიტყვები, როგორც ზედმეტი განმეორება, უკეთესია გამოვტოვოთ.

გარდა ამისა, ეს სიტყვები თავისი ფორმულირებით გულისხმობენ ისეთ განვითარებულ საზოგადოებას, სადაც არიან მხოლოდ დაქირავებული მუშები და კაპიტალისტები (ვინაიდან წვრილ მწარმოებელთა წილიც აგრეთვე კლებულობს), ეს კი არ შეესაბამება V აბზაცს, რომელიც წვრილ მწარმოებლებს «განვითარებულ» საზოგადოებაშიც სტოვებს.

§ VIII უნდა იყოს §§ IX და X შემდეგ: ამ უკანასკნელ პარაგრაფებში ლაპარაკია კრიზისებზე, ე. ი. კაპიტალიზმის ერთ-ერთ წინააღმდეგობაზე, § VIII კი ჯამს უკეთებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას და მისი განვითარების ყველა ტენდენციას.

სიტყვებს «შრომის ნაყოფიერების გადიდება» უნდა დაემატოს: «საზოგადოებრივი და უფრო და უფრო განსაზოგადოებული შრომისა». პროექტი შრომის განსაზოგადოების პროცესზე მიუთითებს არა თავის ალაგას (§ XI) და მეტად ვიწრო ფორმით («ტექნიკის გაუმჯობესების პროცესი სულ უფრო და უფრო აერთიანებს მუშების შრომას»). კაპიტალიზმის მიერ შრომის განსაზოგადოება მარტო «მუშების შრომის გაერთიანებაში» როდი მდგომარეობს.

სიტყვები «მქონებელთა და უქონელთა შორის მანძილის გადიდება», რაც მოსდევს სიტყვებს — «საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდა», ზედმეტი განმეორებაა. ხოლო პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის «უფსკრულის გადიდებაზე» მითითება აუცილებლად უნდა დაემატოს კაპიტალიზმის ყველა აღნიშნულ წინააღმდეგობათა მთავარი სოციალური შედეგის დასახასიათებლად და კლასობრივ ბრძოლაზე გადასასვლელად.

სხვათა შორის. კაპიტალიზმის სოციალურ შედეგთა დახასიათების გამო უნდა ითქვას, რომ პროექტი აქ განსაკუთრებით განირჩევა აბსტრაქტულობით და კმაყოფილ-

დება სრულიად არასაკმაო დებულებით: «არსებობისათვის ბრძოლის სიძნელეთა და მასთან დაკავშირებული ყველა გაჭირვებისა და ტანჯვის გამრავლება». ჩემი აზრით, აუცილებლად საჭიროა უ ფ რ ო გ ა რ კ ვ ე უ ლ ა დ აღინიშნოს სწორედ ის სოციალური შედეგები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმედ აწვება მუშათა კლასსაც და წვრილ მწარმოებლებსაც.

კონტრპროექტში ამ შედეგთა ფორმულირების საწინააღმდეგოდ ამბობენ, რომ, მაგ., სიტყვები «ყოველგვარი დამცირება» სწორი არ არისო. მე ვფიქრობ, ეს სიტყვები სწორია და ისეთ მოვლენებს მოიცავენ, როგორიც არის პ რ ო ს ტ ი ტ უ ც ი ა, «ინტელიგენციის» გადაქცევა უბრალო დაქირავებულ მსახურებად, მუშის გადაქცევა ცოლ-შვილის გამყიდველად, კაპიტალის რკინისებური დისციპლინისადმი დამორჩილება, ეკონომიური ძალის გამოყენება პოლიტიკური ჩაგვრისათვის, აზრის თავისუფლების დათრგუნვისათვის და სხვ. და სხვ. სწორედ ასევე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია აგრეთვე აღინიშნოს «მასების სიღარიბე და სიღატაკე» კაპიტალიზმის დროს. მე არ ვიძლევი წინადადებას ვილაპარაკოთ სიღარიბისა და სიღატაკის აბსოლუტურ ზრდაზე, მაგრამ სავსებით ვიზიარებ კაუტსკის აზრს, რომ «**ein ausführliches s.-d. Programm, welches nicht erkennen lässt, dass der Kapitalismus naturnotwendig Massenarmut und Massenelend erzeugt, das nicht als den Inhalt des Strebens der Sd-tie den Kampf gegen diese Armut und dieses Elend bezeichnet, verschweigt die entscheidende Seite unserer Bewegung und enthält also eine empfindliche Lücke**» * (ავსტრიული პროექტის წინააღმდეგ)".

* — «საფუძვლიანი სოციალ-დემოკრატიული პროგრამა, რომელშიც არა ჩანს, რომ კაპიტალიზმი ბუნებრივი აუცილებლობით წარმოშობს მასების გაღარიბებასა და გაღატაკებას, რომელიც ამ გაღარიბებისა და გაღატაკების წინააღმდეგ ბრძოლას არ განიხილავს როგორც სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნათა შინაარსს, — ასეთი პროგრამა ჩქმალავს ყვე-

სწორედ ასევე, ჩემი აზრით, აუცილებლად საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ «მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა თავის მონოპოლიად ხდის საწარმოო ძალთა განვითარების პროცესის ყველა უმთავრეს» (მაშასადამე, არა ყველას აბსოლუტურად) «სარგებლობას».

§§ IX და X ლაპარაკობენ კრიზისებზე. არსებითად, აქ საკამათო არაფერია შეცვლილი ფორმულირების გამო. მაგრამ ფორმის მხრივ ამ პარაგრაფებს განმეორებანი ახასიათებენ (კვლავ «მსოფლიო ბაზარი», კვლავ «კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანი»). გაცილებით უკეთესი იქნება სრულებით ამოვიღოთ პროგრამიდან კრიზისების ახსნის ცდა და დავჯერდეთ მათი გარდუვალობის აღნიშვნას, ხოლო ახსნა და განვითარება მივანდოთ კომენტარს. თორემ, მაგ., აღნიშნულია კრიზისიც და «შეფერხების პერიოდებიც», მთლიანად და საერთოდ კი კაპიტალისტური მრეწველობის მთელი ციკლი სულ ერთია ვერ იქნება მოცული.

კრიზისების სოციალური შედეგები მითითებულია ისევ განმეორებებით (საკმარისია ვთქვათ პროცესის «გამწვავების» შესახებ და სხვ.) და ისევ ძალიან სუსტად: კრიზისები არა მარტო აძნელებენ წვრილ მწარმოებელთა მდგომარეობას, არა მარტო იწვევენ მათი მდგომარეობის შედარებითსა და აბსოლუტურ გაუარესებას, არამედ პირდაპირ აჩანაგებენ კიდეც მათ და მიერეკებიან პროლეტარიატის რიგებისაკენ.

XI და XII პარაგრაფების წინააღმდეგ მე მაქვს უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპული მოსაზრება: ეს პარაგრაფები მეტად ცალმხრივი და არასწორი ფორმით გვიხატავენ პროლეტარიატის დამოკიდებულებას წვრილ მწარმოებელთა მიმართ (ვინაიდან «მშრომელი და ექსპლოატირებული მასა» სწორედ პროლეტარიატისა და წვრილი მწარმოებლებისაგან შესდგება). ეს პარაგრაფები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან როგორც «კომუნისტური მანიფესტის»,

ლაზე გადამწყვეტს ჩვენს მოძრაობაში და, ამრიგად, შეიცავს საგრძნობ ხარვეზს». რ ე დ.

ისე ინტერნაციონალის სტატუტებისა" და სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე პროგრამათა უმრავლესობის ძირითად დებულებებს და ფართოდ ულებენ კარს ნაროდნიკულ, «კრიტიკულ» და ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ გაუგებრობას.

«...იზრდება მშრომელი და ექსპლოატირებული მასის უკმაყოფილება» — ეს მართალია, მაგრამ სრულიად არ არის სწორი გავაიგივეოთ და შევაერთოთ პროლეტარიატის უკმაყოფილება და წვრილი მწარმოებლის უკმაყოფილება, როგორც ეს აქ არის. წვრილი მწარმოებლის უკმაყოფილება ძალიან ხშირად წარმოშობს (და აუცილებლად უნდა წარმოშობდეს მასში ან მის მნიშვნელოვან ნაწილში) მისწრაფებას შეინარჩუნოს თავისი, როგორც წვრილი მესაკუთრის, არსებობა, ე. ი. შეინარჩუნოს თანამედროვე წყობილების საფუძვლები და უკანაც კი შეაბრუნოს იგი.

«...მწვავდება მისი ბრძოლა და უწინარეს ყოვლისა მისი მოწინავე წარმომადგენლის — პროლეტარიატის ბრძოლა... ბრძოლის გამწვავებას, რა თქმა უნდა, წვრილ მწარმოებელთანაც აქვს ადგილი. მაგრამ მისი «ბრძოლა» ძალიან ხშირად მიმართულია პროლეტარიატის წინააღმდეგ, რადგან თვით წვრილი მწარმოებლის მდგომარეობა ძალიან ბევრ რამეში მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს მის ინტერესებს და პროლეტარიატის ინტერესებს. საერთოდ რომ ვთქვათ, პროლეტარიატი სრულიადაც არ არის წვრილი ბურჟუაზიის «მოწინავე წარმომადგენელი». თუ ეს მაინც ხდება, მხოლოდ მაშინ, როცა წვრილი მწარმოებელი შეიგნებს თავისი დაღუპვის გარდუვალობას, როცა ის «სტოვებს თავის თვალსაზრისს და დგება პროლეტარიატის თვალსაზრისზე». ხოლო იმ თანამედროვე წვრილი მწარმოებლის მოწინავე წარმომადგენელი, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუტოვებია «თავისი თვალსაზრისი», ძალიან ხშირად არის ანტისემიტი და აგრარი, ნაციონალისტი და ნაროდნიკი, სოციალ-რეფორმატორი და «მარქსიზმის

კრიტიკოსი». და სწორედ ახლა, როცა წვრილ მწარმოებელთა «ბრძოლის გამწვავებას» თან სდევს «მთის»[10] წინააღმდეგ «სოციალისტური ჟირონდის» «ბრძოლის გამწვავება», — ყველაზე ნაკლებად შესაფერისია ყველა და ყოველგვარი გამწვავების ერთად არევა.

«...საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია დგას მშრომელი და ექსპლოატირებული მასის განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში...» სრულიადაც არა. ის დგას მხოლოდ მუშათა კლასის, მხოლოდ მუშათა მოძრაობის სათავეში, და თუ ამ კლასს ემხრობიან სხვა ელემენტები, ეს არის სწორედ ელემენტები, და არა კლასები. და ისინი სავსებით და მთლიანად მხოლოდ მაშინ ემხრობიან, როცა «სტოვებენ თავის საკუთარ თვალსაზრისს».

«...სოციალ-დემოკრატია რაზმავს მის მებრძოლ ძალებს...». არც ეს არის მართალი. სოციალ-დემოკრატია არსად არ რაზმავს წვრილ მწარმოებელთა «მებრძოლ ძალებს». ის რაზმავს მხოლოდ მუშათა კლასის მებრძოლ ძალებს. პროექტში არჩეული ფორმულირება მით უფრო ნაკლებ მოხერხებულია, რაც უფრო ნაკლებ არის ნაგულისხმევი რუსეთი, რაც უფრო შეზღუდულია გადმოცემა (შეად. § V) «განვითარებული» ბურჟუაზიული საზოგადოებით.

**Summa summarum** *. პროექტი დადებითი ფორმით ლაპარაკობს წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციურობაზე (თუ ის «მხარს უჭერს» პროლეტარიატს, განა ეს არ ნიშნავს, რომ ის რევოლუციურია?) და ერთ სიტყვასაც არ ამბობს მის კონსერვატიულობაზე (და რეაქციულობაზეც კი). ეს სრული ცალმხრივობა და უმართებულობაა.

დადებითი ფორმით ჩვენ შეგვიძლია (და ვალდებულნიც ვართ) აღვნიშნოთ წვრილი ბურჟუაზიის კონსერვატიულობა. **და მხოლოდ პირობითი ფორმით** უნდა

* — საერთო ჯამი. რედ.

აღვნიშნოთ მისი რევოლუციურობა. მხოლოდ ასეთი ფორმულირება იქნება ზუსტად შესაბამისი მარქსის მოძღვრების მთელი სულისა და გულისა. მაგალითად, «კომუნისტური მანიფესტი» პირდაპირ აცხადებს, რომ «ყველა კლასიდან, რომლებიც უპირისპირდებიან ბურჟუაზიას, მხოლოდ პროლეტარიატი არის ნამდვილად რევოლუციური კლასი... წვრილი მრეწველი, ხელოსანი, გლეხი... არა რევოლუციურნი, არამედ კონსერვატიულნი არიან. კიდევ მეტი: ისინი რეაქციულნი არიან. ისინი თუ რევოლუციურნი არიან («თუ»!), მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ მოელის პროლეტარიატის რიგებში გადასვლა,... რამდენადაც ისინი **სტოვებენ** თავის თვალსაზრისს და პროლეტარიატის თვალსაზრისზე დგებიან» [11].

და ნუ იტყვიან, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რაც «კომუნისტური მანიფესტის» შემდეგ გავიდა, საქმე არსებითად შეიცვალაო. სწორედ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა: და თეორეტიკოსებიც მუდამ და ყოველთვის აღიარებდნენ ამ დებულებას (მაგ., ენგელსმა 1894 წელს სწორედ ამ თვალსაზრისით უარჰყო ფრანგული აგრარული პროგრამა [12]. ენგელსი პირდაპირ ამბობდა, რომ ვიდრე წვრილი გლეხი არ მიატოვებს თავის თვალსაზრისს, — ის ჩვენი არ არის, მისი ადგილი ანტისემიტებთან არის, დაე ის მათ ანუგეშონ, მაშინ ის მით უფრო საიმედოდ მოვა ჩვენთან, რაც უფრო მეტს მოატყუებენ მას ბურჟუაზიული პარტიებიო), — ამ თეორიის მრავალ ფაქტიურ დადასტურებას კიდეც იძლევა ისტორია ვიდრე უკანასკნელ დღეებამდე, ვიდრე **nos chers amis** *, ბატონო «კრიტიკოსებო».

სხვათა შორის. პროექტში გამოტოვებულია მითითება პროლეტარიატის დიქტატურაზე, რაც თავდაპირველად იყო. თუ ეს მართლაც შემთხვევით, უგულისყურობით არის ჩადენილი, — მაინც უეჭველი რჩება, რომ «დიქ-

* ჩვენს ძვირფას მეგობრებამდე. რედ.

ტატურის» ცნება შეუთავსებელია პროლეტარიატისადმი სხვისი მხარდაჭერის ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ აღიარებასთან. ჩვენ რომ მართლაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ვიცოდეთ, რომ წვრილი ბურჟუაზია მხარს დაუჭერს პროლეტარიატს, როცა ის მოახდენს თავის, პროლეტარულს, რევოლუციას, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა «დიქტატურაზე» ლაპარაკი, ვინაიდან მაშინ ჩვენთვის სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა ისეთი უდიდესი უმრავლესობა, რომ უდიქტატუროდაც კი მშვენივრად წავიდოდით იოლად (როგორც «კრიტიკოსებს» სურთ დაგვარწმუნონ ამაში). პროლეტარიატის დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს აუცილებლობის აღიარება მ ე ტ ა დ მ ჭ ი დ რ ო დ და გ ა ნ უ ყ რ ე ლ ა დ არის დაკავშირებული «კომუნისტური მანიფესტის» დებულებასთან, რომ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლუციური კლასი.

(ფრჩხილებში ვიტყვით: თუ რამდენად «ფხიზელი» იყო ამ მხრივ ენგელსი, ჩანს ერფურტის პროექტის მისი კრიტიკის ასეთი პასუხიდან. «Der Ruin weiter Volksschichten» * — მოჰყავს ენგელსს ციტატი პროექტიდან — და შენიშნავს: «statt dieser deklamatorischen Phrase, die aussieht als täte uns der Ruin von Bourgeois und Kleinbürgern noch leid (!!), würde ich die einfache Tatsache erzählen: die durch den Ruin der städtischen und ländlichen Mittelstände, der Kleinbürger und Kleinbauern, den Abgrund zwischen Besitzenden und Besitzlosen erweitern oder vertiefen» **.)

---

* — «ხალხის ფართო მასების გაჩანაგება». რ ე დ.

** — («ამ დეკლამაციური ფრაზის ნაცვლად, რომელიც ისე ეღერს, თითქოს ჩვენ კვლავ ვნანობდეთ ბურჟუებისა და წვრილი ბურჟუების გაჩანაგებას (!!), მე ვიტყოდი ერთ უბრალო ფაქტზე: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საშუალო ფენების — წვრილი ბურჟუებისა და წვრილი გლეხების — გაჩანაგების გამო ფართოვდება ან ღრმავდება უფსკრული მქონებელთა და უქონელთა შორის». რ ე დ.) [13].

ერფურტის პროგრამის პროექტში ასეთი პასუხი იყო: «In diesem Befreiungskampf verficht die Sozialdemokratie als die Verfechterin (ან Vertreterin — «Neue Zeit» [14]. IX, 2, 789) nicht bloss der Lohnar-

მეტყვიან, კონტრპროექტში წვრილი მწარმოებლის კონსერვატიულობა დადებითად არის გამოხატული («თანამედროვე საზოგადოების ყველა დანარჩენი კლასი არსებული ეკონომიური წყობილების საფუძველთა შენარჩუნების მომხრეა»), ხოლო რევოლუციურობა პირობითადაც კი არ არის გამოხატული.

ეს პასუხი სრულიად უსაფუძვლოა. წვრილი მწარმოებლის პირობითი რევოლუციურობა კონტრპროექტში სწორედ ისეა გამოხატული, როგორც კი შეიძლება მისი გამოხატვა, ე. ი. კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრალდების ფორმულირებით. წვრილი მწარმოებლის პირობითი რევოლუციურობა გამოხატულია:

(1) სიტყვებში კაპიტალიზმის მიერ მისი გამოდევნის, გაჩანაგების შესახებ. ჩვენ, პროლეტარიატი, კაპიტალიზმს ბრალს ვდებთ იმაში, რომ მას მსხვილი წარმოებისაკენ მივყავართ გლეხის გაჩანაგების გზით. აქედან

---

**beiter, sondern der Ausgebeuteten und Unterdrückten insgesamt, alle Forderungen, Massregeln und Einrichtungen, welche die Lage des Volkes im allgemeinen und der Arbeiterklasse im besondern zu verbessern geeignet sind»** [«ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატია იბრძვის როგორც დამცველი (ან წარმომადგენელი) არა მარტო დაქირავებული მუშებისა, არამედ საერთოდ ექსპლოატირებულებისა და ჩაგრულებისა, იცავს ყველა მოთხოვნას, ღონისძიებასა და დაწესებულებას, რომელთაც კი ძალუძთ გააუმჯობესონ საერთოდ ხალხის და განსაკუთრებით მუშათა კლასის მდგომარეობა». რ ედ.]. და ენგელსმა ნამდვილად ურჩია მთელი ეს პასუხი ამოეგდოთ, თან დაცინვით თქვა: **«des Volkes im allgemeinen (wer ist das?)»** [«საერთოდ ხალხის (ვინ არის ეს?)». რ ედ.]. და, თანახმად ენგელსის რჩევისა, ეს პასუხი მთლად არის ამოგდებული; პარაგრაფი იმის შესახებ, რომ «მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასის საქმე, ვინაიდან **ყველა დანარჩენი** კლასი დგას წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების ნიადაგზე და მათი საერთო მიზანია თანამედროვე საზოგადოების საფუძველთა შენარჩუნება», — ეს პარაგრაფი, ენგელსის პირდაპირი ზეგავლენით, მიღებულია პირვანდელ პროექტზე უფრო მკვეთრი ფორმით.

პირდაპირი დასკვნა, რომ **თუ** გლეხი შეიგნებს ამ პროცესის გარდუვალობას, მაშინ იგი «მიატოვებს თავის თვალსაზრისს და ჩვენსას მიიღებს».

(2) — სიტყვებში, რომ «გაჭირვებული არსებობა და უმუშევრობა, ექსპლოატაციის უღელი და ყოველგვარი დამცირება ხვედრი ხდება» (არა მარტო პროლეტარიატისა, არამედ) «მშრომელი მოსახლეობის სულ უფრო და უფრო ფართო ფენებისა». აი უკვე ამ ფორმულირებით გამოხატულია კიდეც მთელი მშრომელი მოსახლეობის წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა პროლეტარიატის მიერ, და სწორედ ისეთი წარმომადგენლობა, როდესაც ჩვენ ყველას ვიწვევთ (და ვ ა ი ძ უ ლ ე ბ თ) მიატოვონ თ ა ვ ი ა ნ თ ი თვალსაზრისი და დადგნენ ჩვენს თვალსაზრისზე, და არა პირიქით, არ ვტოვებთ ჩვენს თვალსაზრისს, არ ვთქვეფთ ჩვენს კლასობრივ ბრძოლას ცვალებად შეხედულებათა ადამიანებთან.

და სწორედ ასევეა გამოხატული წარმომადგენლობის იდეა

(3) — სიტყვებში მ ა ს ე ბ ი ს (საერთოდ მასების, და არა მარტო მუშების) სიღარიბისა და სიღატაკის შესახებ.

რევოლუციური კლასის პარტიას **მხოლოდ იმ ფორმით** შეუძლია გამოხატოს სხვა კლასების პირობითი რევოლუციურობა, რომ უთხრას მათ, თუ როგორ ესმის **მას** მათი უბედურებანი და ამ უბედურებათაგან განკურნების საშუალებანი, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ომის გამოცხადების დროს **იგი** გამოვიდეს არა მარტო თავისი სახელით, არამედ მთელი «გაჭირვებული და გაღატაკებული» მასების სახელით. აქედან უკვე თავისთავად გამომდინარეობს, რომ ვინც მიიღებს ამ მოძღვრებას, ის ჩვენთან უნდა მოვიდეს. პირდაპირ სასაცილო იქნებოდა, რომ განგვეზრახა ამის კიდევ ცალკე აღნიშვნა პროგრამაში და გაგვეცხადებინა, რომ აი თ უ ესა და ეს არასაიმედო ელემენტები გადმოვლენ ჩვენს თვალსაზრისზე, მაშინ ისინიც რევოლუციურნი იქნებიან! ეს საუკეთესო საშუალება იქნებოდა წაგვერთმია

ჩვენდამი რწმენა სწორედ იმ ორჭოფი და დუნე მოკავშირეებისათვის, რომლებსაც ისევდაც აკლიათ ჩვენდამი რწმენა *.

XI და XII პარაგრაფების წინააღმდეგ ამ პრინციპული მოსაზრების გარდა კიდევ მაქვს მხოლოდ პატარა ფორმალური შენიშვნა XI პარაგრაფის წინააღმდეგ. უადგილოა ამ პარაგრაფში ლაპარაკი «კაპიტალიზმის მოსპობის მატერიალური შესაძლებლობის» შესახებ: სწორედ ამ აბზაცში ლაპარაკია კაპიტალიზმის მოსპობის არა მატერიალურ, არამედ იდეურ წანამძღვრებზე. თუ მოვიხსენიებთ მატერიალურ წანამძღვრებს, მაშინ იდეური (ზნეობრივი etc.) წანამძღვრებიც უნდა დაემატოს. მაგრამ გაცილებით უფრო მართებულია ეს «მატერიალური შესაძლებლობა» იმ აბზაცს მივაკუთვნოთ, სადაც ლაპარაკია არა კლასობრივ ბრძოლაზე, არამედ კაპიტალიზმის ევოლუციასა და ტენდენციაზე.

ულოგიკობაა XII პარაგრაფში ლაპარაკი მომავალ სოციალურ რევოლუციაზე, — და მხოლოდ XV პარაგრაფში — თვით ამ რევოლუციაზე და მის აუცილებლობაზე. საჭიროა «პირიქითი რიგი».

XIII პარაგრაფში მარჯვედ არ მიმაჩნია სიტყვების — «კერძო საკუთრების მოსპობა (ან გაუქმება)» შეცვლა გამოთქმით: «ექსპლოატატორთა ექსპროპრიაცია». ეს ნაკლებად ნათელი და ნაკლებად ზუსტია. უხერხულია პარაგრაფის ბოლოც: «საზოგადოებრივი საწარმოო პროცესის გეგმაზომიერი ორგანიზაცია როგორც მთელი საზოგადოების, ისე მისი

* ჩვენი პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში რაც უფრო მეტ «გულკეთილობას» ვიჩენთ წვრილი მწარმოებლის მიმართ (მაგ., გლეხის მიმართ), მით «უფრო მკაცრნი» უნდა ვიყოთ ამ არასაიმედო და ორპირი სოციალური ელემენტების მიმართ პროგრამის პრინციპულ ნაწილში და ოდნავადაც არ უნდა დავთმოთ **ჩვენი** თვალსაზრისი. აი, თუ მიიღებ ამ, ჩვენს, თვალსაზრისს, — მაშინ შენთვის ყოველგვარი «სიკეთე» იქნება, არ მიიღებ და, — ჩვენ ნულარ დაგვემდურები! მაშინ «დიქტატურის» დროს შენზე ვიტყვით: არა ღირს სიტყვების ამაოდ ხარჯვა იქ, სადაც საჭიროა ძალაუფლების გამოყენება...

ცალკე წევრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად». ეს ცოტაა. ასეთ ორგანიზაციას, კაცმა რომ თქვას, ტრესტებიც კი მოგვცემენ. უფრო გარკვეული იქნებოდა გვეთქვა — «მ თ ე ლ ი საზოგადოების ხარჯზე» (ვინაიდან ეს გეგმაზომიერებასაც შეიცავს და გეგმაზომიერების წარმმართველსაც აღნიშნავს), და არა მარტო წევრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ საზოგადოების **ყველა** წევრის ს რ უ ლ ი კეთილდღეობისა და თავისუფალი ყ ო ვ ე ლ-მ ხ რ ი ვ ი განვითარების უზრუნველსაყოფად.

§ XIV, ჩემი აზრით, გაურკვეველია (ჯერ არ ვიცი, გავათავისუფლებთ თუ არა ჩვენ «მთელ» ჩაგრულ «კაცობრიობას»: მაგ., იმათი ჩაგვრა, ვინც სუსტი ხასიათისაა, იმათ მიერ, ვინც ფრიად მტკიცე ხასიათისაა). უკეთესია ავიღოთ ფორმულა, რომელსაც მარქსი იძლევა გოთას პროგრამის კრიტიკაში: კლასებად დაყოფისა და აქედან გამომდინარე უთანასწორობის მოსპობა [15]. ენგელსიც ერფურტის პროგრამის კრიტიკაში დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ **die Abschaffung der Klassen ist unsere Grundforderung** *, და მხოლოდ ამ «ძირითადი მოთხოვნის» ზ უ ს ტ ი და პ ი რ დ ა პ ი რ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ი თ ვანიჭებთ ჩვენ ს ა ვ ს ე ბ ი თ გ ა რ კ ვ ე უ ლ (და გაუზვიადებელ) აზრს ჩვენს დაპირებებს, რომ ყველას გავათავისუფლებთ და ყველას ვიხსნით ყოველგვარი ბოროტებისაგან.

§ XV — «მოსახლეობის სხვა ფენების მიერ პროლეტარიატის მხარდაჭერაზე» და «პროლეტარიატის დიქტატურის» გამოტოვებაზე უკვე ზემოთ არის ნათქვამი.

§ XVI — სრულიად უცნაური და უადგილოა. პროლეტარიატის «პოლიტიკური აღზრდა» სწორედ ის არის, რომ ჩვენ მას ვანათლებთ, ვრაზმავთ, ვხელმძღვანელობთ მის ბრძოლას, — ხოლო ამაზე უკვე იყო ლაპარაკი XII პარაგრაფში (სადაც საჭიროა მხოლოდ დაემატოს «მისი ბრძოლის ხელმძღვანელობის» შესახებ).

---

* — კლასების მოსპობა ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა [16]. რ ე დ.

XVII პარაგრაფიც ზედმეტ მრავალსიტყვაობად მიმაჩნია. რა საჭიროა საერთოდ ლაპარაკი უახლოეს ამოცანათა დამოკიდებულებაზე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების განსხვავებისაგან? დაე, ამაზე ტრაქტატებში წერონ, ჩვენ კი პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ აი ესა და ეს თავისებურებანი (ბატონყმობის ნაშთები, თვითმპყრობელობა და სხვ.) ასე და ასე უცვლიან სახეს ჩვენს უახლოეს ამოცანას.

XVIII პარაგრაფი: «რუსეთში კაპიტალიზმი უფრო და უფრო ხდება წარმოების უპირატეს წესად...». ეს უსათუოდ ცოტაა. იგი უკვე **გახდა** უპირატეს წესად (თუ მე ვამბობ, რომ 60 უკვე გახდა უპირატესი 40-თან შედარებით, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ 40 არ არსებობს, ანდა უმნიშვნელო წვრილმანად იქცა). ჩვენში ჯერ კიდევ ისე ბლომად არიან ნაროდნიკები, მონაროდნიკო ლიბერალები და ნაროდნიკობისაკენ სწრაფად უკანმავალი «კრიტიკოსები», რომ აქ არავითარი გაურკვევლობის დატოვება არ შეიძლება. და თუ კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ გამხდარა «უპირატესი», მაშინ, კაცმა რომ თქვას, სოციალ-დემოკრატიაც ნაადრევია.

«...აყენებს რა სოციალ-დემოკრატიას უპირველეს ადგილზე...». კაპიტალიზმი მხოლოდ ხდება უპირატეს წესად, ჩვენ კი უკვე «უპირველეს» ადგილზე ვართ... ვფიქრობ, სრულიადაც არ არის საჭირო ლაპარაკი უპირველეს ადგილზე: ეს თავისთავად ჩანს მთელი პროგრამიდან. მოდი, ამას ჩვენ კი ნუ ვიტყვით ჩვენს თავზე, არამედ ისტორიამ თქვას ჩვენზე.

როგორც ჩანს, პროექტი უარჰყოფს გამოთქმას: ძველი ბატონყმური საზოგადოებრივი წყობილება და სთვლის, რომ გამოთქმა «ბატონყმობა» მხოლოდ უფლებრივ წყობილებას შეესაბამება. მე ვფიქრობ, რომ ეს განსხვავება უსაფუძვლოა: რა თქმა უნდა, «ბატონყმობა» იურიდიული დაწესებულება იყო, მაგრამ იგი აგრეთვე შეესაბამებოდა მემამულური (და გლეხური) მეურნეობის განსაკუთრებულ სისტემას, იგი გამოიხატებოდა «სამართლით» გაუფორ-

მებელი მრავალი საყოფაცხოვრებო ურთიერთობითაც. ამიტომ არა მგონია საჭირო იყოს მოვერიდოთ გამოთქმას: «წინაკაპიტალისტური, ბატონყმური, საზოგადოებრივი წყობილება».

ჩვენს პროგრამაში სრულიად უადგილო და ზედმეტია ბატონყმობის «აღწერილობა» (მასები პირად საკუთრებას წარმოადგენდნენო).

ბატონყმური წყობილების ნაშთთა გავლენაზე კი საკმარისი არ არის ითქვას, რომ ისინი მძიმე ტვირთად აწვებიან მშრომელ მასას. აუცილებლად საჭიროა აღინიშნოს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების შეფერხებაც და ბატონყმობის სხვა სოციალური შედეგებიც *.

XIX პარაგრაფი. ჩემი აზრით, სრულიად ზედმეტია იმის მითითება, რომ ჩვენთვის დემოკრატია (resp.: პოლიტიკური თავისუფლება) არის «გარდამავალი საფეხური» (რისკენ გარდამავალი? რესპუბლიკის შესახებ ჩვენ ხომ ქვემოთ პირდაპირ ვთქვით, რომ ეს არის უ ა ხ ლ ო ე ს ი პრაქტიკული მოთხოვნა), — და რომ კონსტიტუცია არის «წარმოების კაპიტალისტურ ურთიერთობათა ბუნებრივი უფლებრივი დამატება» («კუთვნილება», ალბათ, გადამწერის შეცდომაა). ეს პროგრამაში სრულიად უადგილოა. სავსებით საკმარისია, თუ ჩვენ ვამბობთ, რომ თვითმპყრობელობა აფერხებს ან ზღუდავს «მ თ ე ლ საზოგადოებრივ განვითარებას»: მაშასადამე, კაპიტალიზმის განვითარებაც ვერ ურიგდება მას. დეტალები ამის შესახებ კომენტარში უნდა გადავიდეს, თორემ ისინი ასუსტებენ კიდეც პროგრამაში ჩვენს მიერ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას და რაღაც მწიგნობრულ, აბსტრაქტულ ხასიათს აძლევენ პროგრამას.

მაინც, რა საჭიროა ეს ზოგადი სიტყვები კაპიტალიზმის უფლებრივ დამატებებზე და «უფლებრივ წყობილებაზე»

* სხვათა შორის. კონტრპროექტში უხერხული გამოთქმაა: «გლეხობის გ ა დ ა შ ე ნ ე ბ ი ს აზიურ-პარბაროსული ფ ო რ მ ე ბ ი». შეიძლება ითქვას: გაქრობის ფორმები ან სხვა რამ ამის მსგავსი.

(§XX), — როდესაც ჩვენ ქვემოთ ბევრად უფრო პირდაპირ და უფრო გარკვეულად ვლაპარაკობთ რესპუბლიკაზე? (სხვათა შორის, XX პარაგრაფში არის გამოთქმა «ძველი ბატონყმური წყობილება», ე. ი. აქ თვით პროექტიც სიტყვას «ბატონყმობას» იურიდიულ აზრზე უფრო ფართო აზრს აძლევს.)

ასევე საჭირო არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ თვითმპყრობელობა შეუთავსებელია უფლებრივ წყობილებასთან, რაკი იქვე არის თვითმპყრობელობის დამხობისა და მისი რესპუბლიკით შეცვლის მოთხოვნა. უკეთესია უფრო გარკვევით ითქვას ხალხის «უუფლებობაზე» თვითმპყრობელობის დროს და სხვ.

«...თვითმპყრობელობა მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მისწრაფებათა მოსისხლე მტერია...», უნდა დაემატოს: «და მთელი ხალხის კულტურული განვითარებისა», ან სხვა ამგვარი. სწორედ ამით გამოვთქვამთ (და არა სიტყვებით «წარმომადგენლობის» შესახებ), რომ სოციალ-დემოკრატია გამოხატავს არა მარტო მუშათა კლასის ინტერესებს, არამედ მ თ ე ლ ი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს.

---

რეზუმეს ვუკეთებ რა ყველა ზემოგამოთქმულ შენიშვნას, მე პროექტში ვხედავ ოთხ ძირითად ნაკლს, რომელიც, ჩემი აზრით, ამ პროექტს მიუღებელს ხდის:

1) მრავალი ფორმულირების უკიდურესი ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ო ბ ა, თითქოს ისინი განკუთვნილი იყვნენ არა მებრძოლი პარტიისათვის, არამედ ლექციების კურსისათვის;

2) სპეციალურად რ უ ს ე თ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს საკითხის მოცილება და დაჩრდილვა — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაკლია, ვინაიდან პროგრამამ უნდა მოგვცეს კრებული და სახელმძღვანელო რუსეთის კაპიტალიზმის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის. ჩვენ უნდა გამოვიდეთ მისი პირდაპირი შეფასებით და ომის აშკარა გამოცხადებით სწორედ რუსეთის კაპიტალიზმის წინააღმდეგ;

3) წვრილ მწარმოებლებთან პროლეტარიატის დამოკიდებულების სრულიად ცალმხრივი და არასწორი გამოხატვა, რაც გვართმევს ომის ბაზისს როგორც «კრიტიკოსთა», ისე მრავალ სხვათა წინააღმდეგ;

4) პროგრამაში პროცესის განმარტების მოცემის მუდმივი მისწრაფება. განმარტების მოცემა სულ ერთია ვერ ხერხდება, გადმოცემა კი ჭიანურდება, გვხვდება მრავალი განმეორება, პროგრამა მუდამ გადადის კომენტარში.

დაწერილია 1902 წ. თებერვლის
დამლევს — მარტის დამდეგს

# პლეხანოვის პროგრამის მეორე პროექტის გამო

ოთხი ძირითადი ნაკლი ახასიათებს მთელ პროექტს, და ეს მას, ჩემი შეხედულებით, სრულიად მიუღებელს ხდის:

1) იმ უმნიშვნელოვანესი განყოფილების ფორმულირების წესის მიხედვით, რომელიც კაპიტალიზმის დახასიათებას ეხება, ეს პროექტი ფრიად გარკვეული კაპიტალიზმის ფრიად რეალურ გამოვლინებათა წინააღმდეგ მებრძოლი პროლეტარიატის პროგრამას კი არ იძლევა, არამედ საზოგადოდ კაპიტალიზმის შესახებ დაწერილი ეკონომიური სახელმძღვანელოს პროგრამას.

2) განსაკუთრებით გამოუსადეგარია პროგრამა რუსეთის პროლეტარიატის პარტიისათვის, რადგანაც რუსეთის კაპიტალიზმის ევოლუცია, რუსეთის კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი წინააღმდეგობანი და საზოგადოებრივი უბედურებანი თითქმის სავსებით გვერდავლილი და დაჩრდილულია საზოგადოდ კაპიტალიზმის დახასიათების იმავე სისტემის წყალობით. რუსეთის პროლეტარიატის პარტიამ თავის პროგრამაში სავსებით გარკვეულად უნდა დასდოს ბრალი რუსეთის კაპიტალიზმს, გამოუცხადოს ომი რუსეთის კაპიტალიზმს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ რუსული პროგრამა არ შეიძლება ამ მხრივ ერთნაირი იყოს ევროპულ პროგრამებთან: ეს უკანასკნელნი, როცა კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე ლაპარაკობენ, არ აღნიშნავენ, რომ ეს ცნებები შეეფარდება ავსტრიასაც, გერმანიასაც და სხვ., ვინაიდან ეს თავისთავად იგულისხმება. რუსეთის მიმართ ამის გულისხმობა არ შეიძლება.

ხოლო საკითხის თავიდან მოშორება იმით, რომ კაპიტალიზმი «თავისი განვითარებული სახით» საზოგადოდ

განირჩევა ასეთი და ასეთი თვისებებით, — რუსეთში კი კაპიტალიზმი «უპირატესი ხდებაო», — იმას ნიშნავს, რომ თ ა ვ ი ა ვ ა რ ი დ ო თ იმ კონკრეტულ ბრალდებასა და ომის გამოცხადებას, რომელიც პრაქტიკულად მებრძოლი პარტიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ამიტომ პროექტი ვერ აღწევს პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზანს: მისცეს პარტიას დირექტივა მისი ყოველდღიური პროპაგანდისა და აგიტაციისათვის რუსეთის კაპიტალიზმის ყველა მრავალნაირ გამოვლინებათა გამო.

3) ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს პროექტში მიცემული აქვს ისეთი არაზუსტი ფორმულირება, რომელიც აუცილებლად წარმოშობს მთელ რიგ ფრიად სახიფათო გაუგებრობას და გაგვიძნელებს ჩვენს თეორიულ ბრძოლასა და პროპაგანდას. ასე, მაგ., მსხვილი წარმოების ზრდა შემოფარგლულია მარტო «სამრეწველო» საწარმოებით. სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის ევოლუცია დაჩრდილული, თუ მთლად გვერდავლილია. შემდეგ, «პროლეტარიატის დიქტატურის» ადგილი დაიკავა «რევოლუციამ, რევოლუცია უნდა მოახდინოს პროლეტარიატმა, რომელსაც მხარს დაუჭერენ კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განაწამები მოსახლეობის სხვა ფენები», და თვით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ნაცვლადაც კი ლაპარაკია «მშრომელი და ექსპლოატირებული მასის ბრძოლაზე». ასეთი ფორმულირება ეწინააღმდეგება «ინტერნაციონალის» ძირითად პრინციპს: «მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით მუშათა კლასის საქმე». პროლეტარიატს გარდა, «მშრომელი და ექსპლოატირებული მასის» სხვა ნაწილი (ე. ი. უმთავრესად წვრილი მწარმოებლები) მ ხ ო ლ ო დ ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ არის რევოლუციური თავის ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. სახელდობრ, იგი რევოლუციურია მხოლოდ მაშინ, როდესაც, «ითვალისწინებს რა პროლეტარიატში გადასვლას», «დ გ ე ბ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ზ ე» («კომუნისტური მანიფესტი»). წვრილ მწარ-

მოებელთა რეაქციულობა კი სრულიად არ არის პროექტში ასახული, ასე რომ **საერთოდ** და მთლიანად პროლეტარიატის დამოკიდებულება «მშრომელ და ექსპლოატირებულ მასასთან» სწორად არ არის გამოხატული. [მაგ., პროექტი ამბობს: «მწვავდება მისი (მშრომელი და ექსპლოატირებული მასის) ბრძოლა და, უწინარეს ყოვლისა, მისი მოწინავე წარმომადგენლის — პროლეტარიატის ბრძოლა». წვრილ მწარმოებელთა «ბრძოლის გამწვავება» გამოიხატება ანტისემიტიზმითაც, ცეზარიზმითაც, გლეხთა კავშირებითაც მოჯამაგირეთა წინააღმდეგ და სოციალისტური ჟირონდის ბრძოლითაც კი «მთასთან». პროლეტარიატის მიერ მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასის წარმომადგენლობა პროგრამაში იმით უნდა გამოიხატოს, რომ ჩვენ კაპიტალიზმს ბრალს ვდებთ **მასების** სიღატაკეში (და არა მარტო მუშათა კლასის სიღატაკეში), «მშრომელი მოსახლეობის» (და არა მუშათა კლასის) «სულ უფრო და უფრო ფართო ფენების» უმუშევრობაში.]

4) პროექტი საკუთრივ პროგრამიდან მუდამ გადადის კომენტარში. პროგრამა უნდა იძლეოდეს მოკლე დებულებებს, რომლებიც არც ერთ ზედმეტ სიტყვას არ უნდა შეიცავდნენ, განმარტება კი უნდა დაეთმოს კომენტარს, ბროშურებს, აგიტაციას და სხვ. ამიტომაც ენგელსი სავსებით სამართლიანად სდებდა ბრალს «ერფურტის პროგრამას» იმაში, რომ იგი თავისი სიგრძით, დეტალურობით და განმეორებებით კომენტარს ემსგავსება.

პროექტში კი ეს ნაკლი უფრო ძლიერია, ძალიან ბევრია განმეორება, ცდა იმისა, რომ პროგრამაში შეტანილ იქნას პროცესის განმარტება (ნაცვლად პროცესის მარტოოდენ დახასიათებისა), სულ ერთია მიზანს ვერ აღწევს, პროგრამას კი შეუწყნარებლად აჭიანურებს.

დაწერილია 1902 წ. თებერვლის
დამლევს — მარტის დამდეგს

# შენიშვნები კომისიის პროგრამის პროექტის გამო [17]

## კომისიის პროექტის ტექსტი

1. საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ ისეთი მჭიდრო კავშირი დაამყარა ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის, რომ პროლეტარიატის დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა გამხდარიყო და უკვე დიდი ხანია გახდა საერთაშორისო მოძრაობად.

2. ამიტომ რუსი სოციალ-დემოკრატები თავის პარტიას უყურებენ როგორც პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმს, როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ნაწილს, და იმავე საბოლოო მიზანს ისახავენ, როგორც ყველა სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები.

## ლენინის შენიშვნები

კითხვის ნიშანი გამოხატავს სტილისტური გაუმჯობესების სურვილს.

კარგი იქნება ენა გაშალაშინდეს.

ეს «როგორ» («как») რუსული არაა, სტილისტურად უხერხულია. «ისინი იმავე

| | |
|---|---|
| | საბოლოო მიზანს ისახავენ, როგორიც («какую») დაისახეს ყველა სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატებმაც» ან ამდაგვარად. |
| 3. ეს საბოლოო მიზანი განისაზღვრება ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ხასიათითა და მსვლელობით. | «ხასიათითა და» — უმჯობესია ამოგდებულ იქნას, როგორც ზედმეტი სიტყვები. **საბოლოო მიზანი** განისაზღვრება მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ი თ, და არა საყოველთაო «მსვლელობის» იმ ნაირსახეობებით, რომლებიც აიხსნებიან ცნებით: «განვითარების ხასიათი». მაშასადამე, ეს ზედმეტი სიტყვებია და არც მთლად ზუსტია. |
| ამ საზოგადოებას ახასიათებს სასაქონლო წარმოების ბატონობა კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა დროს, ე. ი. ის, რომ მოხმარების საგნების ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ნაწილი მზადდება | |
| | რატომ მარტო «მოხმარების საგნების»? წარმოების საშუალებების? უმჯობესია: «პროდუქტების» და სხვ. |
| შინაურ ან საერთაშორისო ბაზარზე გასასაღებლად, | ეს სიტყვები, ჩემი აზრით, უნდა ამოიშალოს. ზედმეტი განმეორებაა. |
| ხოლო ამ მოხმარების საგნების — საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ნაწილი | ეს სიტყვები უნდა ამოიშალოს. საქონელია არა მარტო მოხმარების საგანი. |

ეკუთვნის შედარებით მცირერიცხოვან

(ნაცვლად «შედარებით მცირერიცხოვანისა», შეიქლება იყოს სრულიად უმნიშვნელო, ვინაიდან საკმაო შეზღუდვას წარმოადგენენ სიტყვები: «ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ნაწილი». მაგრამ ეს დიდი არაფერია).

პირთა კლასს, V მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა კი შესდგება ნაწილობრივ ისეთ პირთაგან, რომელთაც წარმოებისა

კარგი იქნება დაემატოს: «კაპიტალისტებს და მიწათმფლობელებს». სხვანაირად გამოდის აბსტრაქტულობა, რაც განსაკუთრებით შეუსაბამოა, თუ დავუპირისპირებთ ქვემოთქმულს: «გლეხები და შინამრეწველნი».

და მიმოქცევის არავითარი საშუალებანი არ გააჩნიათ (პროლეტარები), ხოლო ნაწილობრივ ისეთებისაგან, რომელთა განკარგულებაშია მხოლოდ ფრიად

«და მიმოქცევის» უნდა ამოიშალოს: წმინდა წყლის პროლეტარს შეიძლება ჰქონდეს და აქვს «მიმოქცევის» ის «საშუალებანი», რომელნიც გაიცვლებიან **მოხმარების საგნებზე.**

უმნიშვნელო წარმოების საშუალებანი, რაც ვერ უზრუნველყოფს მათს არსებობას (წვრილ მწარმოებელთა ზოგიერთი ფენა, მაგალითად, წვრილი გლეხები და შინამრეწველნი).

კარგი იქნება ენა გაშალაშინდეს! «წარმოების საშუალებანი» უზრუნველყოფენ (?) არსებობას.

ყველა ეს პირი თავისი ეკონომიური მდგომარეობით იძულებულია მუდმივად ან პერიოდულად გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, ე. ი. მიექირაოს საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა მფლობელებს და თავისი შრომით შეჰქმნას მათი შემოსავალი.

4. კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ბატონობა სულ უფრო და უფრო ფართოვდება იმის მიხედვით, რაც ტექნიკის გამუდმებული გაუმჯობესება, ადიდებს რა მსხვილ საწარმოთა სამეურნეო მნიშვნელობას, გამოდევნის წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებლებს, ესე იგი იწვევს მათი რიცხვის შედარებითს შემცირებას, გადააქცევს მათს ნაწილს პროლეტარებად, ზღუდავს დანარჩენთა როლს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში, ხოლო ზოგან აყენებს მათ მეტად თუ ნაკლებად სრულ, მეტად თუ ნაკლებად აშკარა, მეტად თუ ნაკლებად მძიმე დამოკიდებულებაში მსხვილ მეწარმეთაგან.

?

«კაპიტალისაგან» — არა მარტო მსხვილი კაპიტალისაგან.

5. აქცევს რა წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა ნაწილს პროლეტარებად, ტექნიკის იგივე გაუმჯობესება იწვევს სამუშაო ძალის მიწოდების უფრო მეტ გადიდებას და მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით გამოიყენონ ქალთა და ბავშვთა შრომა საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში. ხოლო

?

რადგან, მეორე მხრივ, ტექნიკის გაუმჯობესების იგივე პროცესი (მანქანები) იწვევს მუშათა ცოცხალ შრომაზე მეწარმეთა მოთხოვნილების შედარებით შემცირებას, ამიტომ სამუშაო ძალის მოთხოვნილება აუცილებლად ჩამორჩება მის მოწოდებას, რის გამო დიდდება დაქირავებული შრომის დამოკიდებულება კაპიტალისაგან და მაღლდება კაპიტალის მიერ მისი ექსპლოატაციის დონე. მუშათა კლასის წილი საზოგადოებრივი შემოსავლის საერთო ჯამში, რაც მისი შრომით იქმნება, მუდმივად კლებულობს.

?

ეს სიტყვები უნდა ამოიშალოს, როგორც ზედმეტი განმეორება იმ აზრისა, რომელიც უკვე წინა დებულებაში არის გამოთქმული.

საზოგადოდ § 5 განსაკუთრებით რელიეფურად გვიჩვენებს პროექტის საერთო ნაკლს: გ რ ძ ლ ა დ ლაპარაკს და გადმოცემის არასასურველ გ ა ჭ ი ა ნ უ რ ე ბ ა ს. სხვათა შორის: ეს იწვევს იმას, რასაც ენგელსმა ერფურტის პროექტის კრიტიკაში «schiefe Nebenbedeutung» * უწოდა. მაგალითად, გამოდის, თითქოს ქალთა და ბავშვთა შრომის გამოყენების ზრდა გამოწვეულია მ ხ ო ლ ო დ

* — «ყალბად გაგების შესაძლებლობა». — რ ე დ.

| | |
|---|---|
| | წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა «გადაქცევით» პროლეტარებად, ეს კი ასე არ არის, ეს ხდება ამგვარ **«გადაქცევამდეც»**. მე-5 პარაგრაფის დასაწყისი ზედმეტი განმეორებაა. |
| 6. საქმის ასეთი ვითარება ბურჟუაზიულ საზ — ჭარბი წარმოება, რომელიც იწვევს მეტ-ნაკლებად მწვავე სამრეწველო კრიზისებს, რასაც მოსდევს სამრეწველო შეფერხების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდები, წარმოადგენს საწარმოო ძალთა ზრდის გარდუვალ შედეგს გეგმაზომიერების უქონლობის დროს, რაც ახასიათებს სასაქონლო წარმოებას, და ახლანდელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა დროს. კრიზისები და სამრეწველო შეფერხების პერიოდები, თავის მხრივ, კიდევ უფრო აძნელებენ წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა მდგომარეობას, კიდევ უფრო სწრაფად იწვევენ პროლეტართა მდგომარეობის შედარებითს, ხოლო ზოგიერთ ადგილას აბსოლუტურ გაუარესებასაც. | გამოტოვებულია. |
| | ისევ განმეორება!! |
| | ეს ცოტაა. არათუ «აძნელებენ მათს მდგომარეობას», არამედ პირდაპირ მასობრივად აჩანაგებენ. |
| 7. ამრიგად, ტექნიკის გაუმჯობესება, რაც მოასწავებს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას, | მე-6 პარაგრაფის პირველი ნაწილი ძალიან მოიგებდა, რომ შემოკლდეს. |

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განაპირობებს საზოგადოებრივი უთანასწორობის მატებას, მქონებელთა და უქონელთა შორის მანძილის გადიდებას, გაჭირვებული არსებობის, უმუშევრობისა და ყოველგვარი სიღატაკის ზრდას.

«ყოველგვარი სიღატაკის ზ რ დ ა»—ეს მთლად მარჯვედ ვერ არის ნასესხები ჩემი პროექტიდან. სიღატაკის **ზრდაზე** მე არ ვლაპარაკობდი. «ყოველგვარი» მოიცავს «ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ს ა ც». ამიტომ მ ა ს ე ბ ი ს ს ი ღ ა ტ ა კ ე რამდენადმე სხვანაირად უნდა მოვიხსენიოთ.

8. მაგრამ იმის კვალად, რაც იზრდება და ვითარდება ყველა ეს წინააღმდეგობა, რომელიც ახასიათებს წარმოების კაპიტალისტურ წესს, იზრდება აგრეთვე მშრომელი და ექსპლოატირებული მასის უკმაყოფილება არსებული მდგომარეობით და მწვავდება მისი მოწინავე წარმომადგენლის — პროლეტარიატის ბრძოლა ამ წყობილების დამცველებთან.

მე-8 პარაგრაფი გვიჩვენებს, რომ კომისიას ა რ ა მ ც დ ა ა რ ა მ ც არ ს უ რ ს დაიცვას ზუსტი და გარკვეული **პირობა,** რომელიც მას დაუყენეს მისი «დაბადებისთანავე». ა მ პ ი რ ო ბ ი ს ძ ა ლ ი თ უნდა იყოს ჩანართი (რაც კომისიამ მე-10 პარაგრაფში კიდეც გააკეთა), **ამასთან** ჩანართამდე ლაპარაკი უნდა იყოს მხოლოდ **მარტო** პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე. ეს უკანასკნელი მოთხოვნა, რაც ნათლად არის გამოხატული შე-

მარიგებელ ხელშეკრულებაში, კომისიამ არ შეასრულა, და მე უფლება მაქვს დაბეჯითებით მოვითხოვო მისი შესრულება.

მე-10 პარაგრაფის ბოლოში ნათქვამამდე **არ არის სწორი** ვილაპარაკოთ საერთოდ მთელი მშრომელი ბასის უკმაყოფილებაზე და პროლეტარიატს ვუწოდოთ მისი «მოწინავე წარმომადგენელი», ვინაიდან ეს სწორია **მხოლოდ იმ პირობით,** რომელიც მე-10 პარაგრაფის ბოლოშია გამოთქმული. კომისია სათუოს ასაღებს როგორც უთუოს. წვრილი მწარმოებლის ორჭოფობა, მისი **ნახევრად რეაქციულობა** კომისიას არაფრით არ გამოუხატავს: ეს ყოვლად დაუშვებელია. ისეთი რამ გამოვიდა, რომ ამ წვრილი მწარმოებლის (ან ამ ფენის ნაწილის) «ამ წყობილების» პრინციპულ «დამცველთა» შორის ყოფნის შესაძლებლობა (იგივე ფრაზა მე-8 პარაგრაფში!!) სრულიად **მივიწყებუ-**

**ლია!!** ეს შესაძლებლობა კი **ძალიან** ხშირად ჩვენს თვალწინ სინამდვილედ იქცევა.

უფლება რომ გვქონდეს ვილაპარაკოთ პროლეტარიატის მოძრაობაზე, მის კლასობრივ ბრძოლაზე და კლასობრივ დიქტატურაზეც კი, — აუცილებლად საჭიროა ჯერ გამოვყოთ ეს **ერთი** კლასი, შემდეგ კი დავურთოთ დამატება მისი, როგორც წარმომადგენლის, როლის შესახებ. თორემ პროექტში შეუსაბამობა გამოდის; მე-8 პარაგრაფი ზედმიწევნით ლოგიკურად არარის დაკავშირებული არც გაგრძელებასთან (რატომ «მშრომელი მასის დიქტატურა» არა??), არც დასაწყისთან (თუ მწვავდება ყველა საზოგადოებრივი წინააღმდეგობა, **მაშასადამე,** სულ უფრო და უფრო მწვავდება ორი **კლასის** ბრძოლა, კომისიას კი ამის თქმა დავიწყებია!!). თავი და ბოლო ვერ არის გადაბმული.

ამავე დროს ტექნიკის გაუმჯობესება, განასაზოგადოებს რა შრომის პროცესს სახელოსნოს შიგნით და ახდენს რა წარმოების კონცენტრაციას,

შრომის განსაზოგადოება სრულიადაც არ განისაზღვრება იმით, რაც სახელოსნოს შიგნით ხდება: ეს ადგილი აუცილებლად უნდა შესწორდეს.

სულ უფრო და უფრო სწრაფად ჰქმნის იმ სოციალური რევოლუციის შესაძლებლობას, რომელიც შეადგენს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის შეგნებული გამომხატველის მთელი საქმიანობის საბოლოო მიზანს.

+ «დ ა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს» (სოციალური რევოლუციისა).

9. ეს სოციალური რევოლუცია გამოიხატება კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის თავიდან აცილებით და მისი შეცვლით სოციალისტური ურთიერთობით, ესე იგი ექსპლოატატორთა ექსპროპრიაციით, რათა პროდუქტთა წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებანი საზოგადოებრივ საკუთრებად იქნან გადაცემულნი, და საზოგადოებრივი საწარმოო პროცესის გეგმაზომიერი ორგანიზაციით, რათა დაკმაყოფილდეს როგორც მთელი საზოგადოების, ისე მისი ცალკეული წევრების საჭიროებანი. ამ მიზნის განხორციელება გაათავისუფლებს მთელ ჩაგრულ კაცობრიობას, რადგან ბოლოს მოუღებს საზოგადოების

შესადარებლად № 13. NB *

?

არ არის ზუსტი. ა ს ე თ «დაკმაყოფილებას» «იძლევა» კაპიტალიზმიც, მაგრამ საზოგადოების არა უ ვ ე ლ ა წევრისთვის დ ა ა რ ა ე რ თ ნ ა ი რ დაკმაყოფილებას.

* — **Nota bene** — დაიხსომეთ. რ ე დ.

ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილის ექსპლოატაციის ყველა სახეს.

— ჩემი მოსაზრებანი უკვე გამოვთქვი ამის წინააღმდეგ — NB *.

10. რათა თავისი სოციალური რევოლუცია მოახდინოს, პროლეტარიატმა უნდა დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება (კლასობრივი დიქტატურა), რომელიც მას გახდის მდგომარეობის ბატონპატრონად და საშუალებას მისცემს დასძლიოს ყველა დაბრკოლება. ამ მიზნით ირაზმება რა დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც უპირისპირდება ყველა ბურჟუაზიულ პარტიას,

?

?

«უპირისპირდება **ყველა** ბურჟუაზიულ პარტიას», — მაშასადამე, წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ პარტიებსაც, ასეა არა!? მაგრამ წვრილ ბურჟუათა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ხომ «მშრომელნი და ექსპლოატირებულნი» არიან. ვერ არის დაკავშირებული.

პროლეტარიატი თავის რიგებში მოუწოდებს კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან ტანჯული მოსახლეობის ყველა დანარჩენ ფენას

ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა რ ა ზ მ ა ვ ს და მ ო უ წ ო დ ე ბ ს. «პროლეტარიატი... მოუწოდებს თ ა ვ ი ს (!) ფენებში» — **ganz unmöglich!** **

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 14 — 15, 50 — 51. რ ე დ.

** — ყოველად შეუძლებელია! რ ე დ.

მათი მხარდაჭერის იმედით, რამდენადაც მათ შეგნებული აქვთ თავიანთი უნუგეშო მდგომარეობა თანამედროვე საზოგადოებაში და რამდენადაც ისინი დგებიან პროლეტარიატის თვალსაზრისზე.

სიტყვები «მათი მხარდაჭერის იმედით» უნდა ამოიშალოს. ეს სიტყვები ზ ე დ მ ე ტ ი ა (თუ მოუწოდებს, მაშასადამე, იმედი აქვს) და შეიცავენ **schiefe Nebenbedeutung**-ს. მოუწოდებს იმათ, ვისაც შეგნებული აქვს, — რამდენადაც შეგნებული აქვს, **das genügt** *.

11. მებრძოლი პროლეტარიატის პარტია, სოციალ-დემოკრატია, ხელმძღვანელობს მისი კლასობრივი ბრძოლის ყველა გამოვლინებას, მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასის წინაშე ამხილებს ექსპლოატატორთა ინტერესებისა და ექსპლოატირებულთა ინტერესების შეურიგებელ წინააღმდეგობას და განუმარტავს მას მომავალი სოციალური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას და აუცილებელ პირობებს.

«მათი (მისი) ინტერესების შეურიგებლობას თვით კაპიტალიზმის არსებობასთან» ან სხვა ამგვარი შესწორება. ყველა მშრომელი როდია ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი «ინტერესები» «შეურიგებლად» უპირისპირდებოდეს ექსპლოატატორთა ინტერესებს. მშრომელ გლეხს აქვს **რაღაც**, ზოგი რამ, $\frac{a}{n}$, აგრარისთან ს ა ე რ თ ო. საჭიროა ვთქვათ უფრო ზ ო გ ა დ ა დ, უფრო ფართოდ,

* — ეს საკმარისია. რ ე დ.

თორემ გამოდის უსწორობა
და ფ რ ა ზ ა დ იქცევა.

12. მაგრამ, მიუხედავად მათი საერთო საბოლოო მიზნის ერთიანობისა, რაც განპირობებულია წარმოების ერთნაირი წესის ბატონობით მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში, სხვადასხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები ისახავენ არა-ერთნაირ უახლოეს ამოცანებს როგორც იმიტომ, რომ ეს წესი ყველგან თანაბრად არ არის განვითარებული, ისე იმიტომ, რომ მისი განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში ხდება სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში.

? სტილი!!

§ 12 — ბოლო. უნდა ვცადოთ შემოკლება. ძალიან სასარგებლო იქნება, რომ ეს პარაგრაფი შეთხელდეს. იქნებ, შეიძლებოდა ასეთი საშუალებით: «ნაციონალური თავისებურებანი» ან სხვა ამგვარით ათი სიტყვა ორ სიტყვად შეგვეკვეცა?

13. რუსეთში კაპიტალიზმთან ერთად, რომელიც სწრაფად ავრცელებს თავისი ბატონობის სფეროს და ხდება (становящимся) წარმოების უფრო და უფრო უპირატეს (преобладающим) წესად, ყოველ ნაბიჯზე ჯერ კიდეკ გვხვდება იმ ჩვენებური ძველი, წინაკაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების ნაშთები, რომელიც დაფუძნებული იყო მშრომელი მასების ბატონყმობის ულელში შებმაზე მემამულეების, სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მეთაურის მიერ. ეს ნაშთები უაღ-

§ 13, დასაწყისი. თავს გიკრავთ და მადლობას მოგახსენებთ ჩემკენ გადმოდგმული პაწაწა ნაბიჯის ვამო. მაგრამ «стано в я щ и м с я, преобладаю щ и м»... щи... щи... — უფ, უფ!

რესად აფერხებენ საწარმოო ძალების განვითარებას, არ იძლევიან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყოველმხრივი განვითარების საშუალებას, ძირს სწევენ მშრომელი მოსახლეობის საარსებო დონეს, იწვევენ მრავალმილიონიანი გლეხობის გაჩანაგებისა და დაცემის აზიურ-ბარბაროსულ ფორმებს და სიბნელეში, უუფლებობასა და სიბეჩავეში ამყოფებენ მთელ ხალხს.

**NB**

? სტილი!

13, ბოლო. სასურველია შესწორდეს: მე უკვე ვთქვი — *ro gor* (ჩემი შესწორებანი ჩემი პროექტისათვის *), თორემ «...გაჩანაგებისა და დაცემის ბარბაროსული ფორმა...»?

14. წარმოადგენს რა ჩვენი ბატონყმური წყობილების ყველა ნაშთთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანს და მთელი ამ ბარბაროსობის ყველაზე მძლავრ ბურჯს, მეფის თვითმპყრობელობა სრულიად შეუთავსებელია პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებასთან, რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს კაპიტალისტური წარმოების მოწინავე ქვეყნებში, როგორც მისი ბუნებრივი უფლებრივი დამატება. თვით თავისი ბუნებით იგი უნდა ახშობდეს ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას და არ შეიძლება არ იყოს პროლეტარიატის ყველა განმათავისუფლებელ მისწრაფებათა მოსისხლე მტერი.

? სტილი.

? სტილი.

ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად ისახავს მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და

არ ვარგა. *არ* ყოველგვარს; ბიმეტალიზმი და პრერაფაელიზმი აგრეთვე «საზოგადოებრივი მოძრაობაა». უნდა შესწორდეს.

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 23 — 24. *რედ.*

მის შეცვლას რესპუბლიკით დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც უზრუნველჰყოფს

და სხვ.

«ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი უფლებრივი დამატება» — სწორი აზრის მეტად უხერხული გამოთქმაა. თავისუფლების «ბუნებრიობა» კაპიტალიზმისათვის რთულდება 1 001 სოციალ-ისტორიული ფაქტორით, რასაც სიტყვა «ბუნებრივი» არ გამოხატავს. და ამ სიტყვას რაღაც ლიბერალიზმის სუნი უდის, ჰყარს. როგორმე უნდა ითქვას, იმის მსგავსად, რომ «თვითმპყრობელობა გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ განწირულია სასიკვდილოდ კაპიტალიზმის მ თ ე ლ ი განვითარებით, რომელიც აუცილებლად მოითხოვს სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებას უფრო და უფრო გართულებულ ინტერესთა გამოსახატავად» ან სხვაგვარად, ერთი სიტყვით, გ ა რ დ უ ვ ა ლ ო ბ ი ს იდეა უნდა გამოიხატოს ისე, რომ არ ჰბადებდეს გაუგებრობას, თითქოს ეს გარდუვალობა «ბუნებრივ» მოვლენათა რიცხვს ეკუთვნოდეს.

საერთოდ და მთლიანად, რაც უფრო მეტი დაკვირ-

ვებით ვკითხულობთ კომი-
სიის პროექტს, მით უფრო
ვრწმუნდებით მის, ასე
ვთქვათ, დაუმუშავებ-
ლობაში. შემიძლია ვიწი-
ნასწარმეტყველო, რომ
პროექტის ეს თვისება მრა-
ვალ და სამართლიან საყვე-
დურს დაგვატეხს, თუ იგი
ამ სახით გამოვაქვეყნეთ.
ყველა დაინახავს, რომ ეს
გარეგნული «შეკოწიწებაა».

თუ უფალმა ღმერთმა
ჩვენი ცოდვებისათვის დაგ-
ვსაჯა იმ აუცილებლობით,
რომ გამოვიდეთ ამ «ნაცოდ-
ვილარი» პროექტით, სა-
ჭიროა მთელი ღონე
მაინც ვიხმაროთ, რათა შე-
ვამციროთ ამის სავალა-
ლო შედეგები. ამიტომ სრუ-
ლიადაც არ არიან მართალ-
ნი ისინი, ვინც ყველაზე
მეტად ხელმძღვანელობს
სურვილით — «რაც შეიძ-
ლება ჩქარა მოვრჩეთო»:
შეიძლება დანამდვილებით
ითქვას, რომ ახლა, ასეთი
კონსტელაციის დროს, აჩ-
ქარება ცუდის მეტს არა-
ფერს მოიტანს, და ჩვენი
სარედაქციო პროექტი დამა-
კმაყოფილებელი ვერ იქნე-

ბა. არა უშავს რა, თუ უეჭ-
ველად «ზარიას»[18] მე-4 ნო-
მერში არ დაიბეჭდება: და-
ბეჭდოთ მე-5 ნომერში და
ცალკე ანაბეჭდად გამოვ-
ცეთ მე-5 ნომრის გ ა მ ო ს-
ვ ლ ა მ დ ე. ასეთი ხერხის
დროს რაღაც ერთი თვით
დაგვიანება ოდნავადაც არ
იქნება პარტიისათვის საზია-
ნო. და, ჰაი, ჰაი, უკეთესი
იქნება, რომ პატივცემულმა
კომისიამ ჯერ კიდევ კარგად
იშუშაოს, მოიფიქროს, მოი-
ნელოს და მოგვცეს თ ა ვ ი-
ს ი, არა შეკოწიწებული,
არამედ მთლიანი პროექტი.
ერთხელ კიდევ ვიმეორებ:
თუ ეს ამოცანა განუხორ-
ციელებელია, მაშინ საქმი-
სათვის გაცილებით უფრო
სასარგებლო იქნება დავუბ-
რუნდეთ 2 პროექტის გეგმას
(და ჩვენ ამ გეგმის განხორ-
ციელებას სავსებით შევ-
ძლებთ ისე, რომ ა რ ა ვ ი-
თ ა რ ი «უხერხულობა» არ
იყოს: პლეხანოვი თავისი
ხელმოწერით ბეჭდავს «ზა-
რიაში», მე კი დავბეჭდავ
«განზე», ენენევაში, რო-
ორც x, y, z). უდიდესი მო-
კრძალებით ვშუამდგომლობ

უმაღლესი კოლეგიის წინაშე დაკვირვებით მოიესაზროს «საქმის ყველა გარემოება».

12. IV. 1902 — ვაგონში: ბოდიშს ვითხოვ ნაჯლაბნისათვის. თუ მოვასწრებ, კიდევ დავწერ და უფრო მკაფიოდ.

დაწერილია 1902 წ. 12 აპრილს

# დამატებითი შენიშვნები კომისიის პროგრამის პროექტის გამო.

თვით პროექტზე გაკეთებული შენიშვნების დამატებად კიდევ აღვნიშნავ:

§ 3. «საზოგადოებას (ბურჟუაზიულს) ახასიათებს სასაქონლო წარმოების ბატონობა კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის დ რ ო ს, ე. ი. «...და შემდეგ აწერილია კაპიტალიზმის ძირითადი ნიშნები. გამოდის შეუსაბამობა: «ე. ი.»-ის საშუალებით შეერთებულია არაერთგვაროვანი, არათანაბარი ცნებები, სახელდობრ: 1) სასაქონლო წარმოების ს ა ხ ე ც ვ ლ ი ლ ე ბ ა მისი იმ სახით, რომელიც განპირობებულია კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ბატონობით, და 2) პროდუქტების გასაღება ბაზარზე და მოსახლეობის მასის მიერ თავისი სამუშაო ძალის გაყიდვა.

ეს შეუსაბამობა, საერთოდ სასაქონლო წარმოებისა და საერთოდ კაპიტალიზმის **ძირითად** და ყველაზე ზოგად ნიშანთა ეს გათანაბრება — და სასაქონლო წარმოების სახეცვლილებანი კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის საფუძველზე (მაშინ საქონელი იცვლება უკვე არა უ ბ რ ა ლ ო დ ღირებულების მიხედვით) — ნათლად გვიჩვენებს გ. ვ. პლეხანოვის ფორმულირების უხერხულობას (კომისიამ კი მიიღო ეს ფორმულირება და მხოლოდ ფრაზა გადააკეთა). პროგრამაში, რომელიც გადმოგვცემს კაპიტალიზმის მხოლოდ ყველაზე ზოგად და ძირითად ნიშნებს, და ა რ გ ა დ მ ო გ ვ ც ე მ ს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო-

რიასაც კი. — ჩვენ უცებ «თავს დავუქნევთ» ბემ-ბავერკს და გავიხსენებთ, რომ «სასაქონლო წარმოება კაპიტალიზმის საფუძველზე» მთლად ის არ არის, რაც უბრალო სასაქონლო წარმოებაა! თუ ასეა, მაშ რატომ არ უნდა დავუმატოთ პროგრამაში სპეციალური თავისქნევა მიხაილოვსკის, ბერდიაევისა და სხვ. მიმართ? ერთი მხრივ, მარქსის მთელ მოძღვრებასაც კი კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაციის შესახებ დათმობილი აქვს მხოლოდ ერთი ყველაზე ზოგად-სოციალისტური გამოთქმა: «ჰქმნიან თავისი შრომით მათს შემოსავალს» (§ 3 ბოლოში), — ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულია ზედმეტი ღირებულების სპეციალური გარდაქმნა მოგებად «კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის ბაზისზე სასაქონლო წარმოების» დროს.

გ. ვ. პლეხანოვი სავსებით მართალია, რომ სიტყვები: «სასაქონლო წარმოება კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის საფუძველზე» გამოხატავენ III ტომის[19] ძირითად აზრს. მაგრამ ეს არის და ეს. ეს აზრი არაფერ შუაშია პროგრამაში, — როგორც არაფერ შუაშია იქ რეალიზაციის მექანიზმის აღწერილობაც, რაც II ტომის ძირითად აზრს შეადგენს, — როგორც არაფერ შუაშია იქ ზედმეტი მოგების მიწის რენტად გარდაქმნის აღწერილობა. პროგრამაში საკმარისია **აღინიშნოს** კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაცია = ზედმეტი ღირებულების შექმნა, ხოლო ლაპარაკი ამ ზედმეტი ღირებულების ყოველგვარი სახის გარდაქმნის ფორმებზე და სახეცვლაზე უადგილოა (და შეუძლებელიცაა ორიოდე მოკლე დებულებაში).

## დამატება კლასიკურ ბრძოლის საკითხისათვის

მე სავსებით ვიზიარებ ვ. ზასულიჩის აზრს, რომ ჩვენში შესაძლებელია სოციალ-დემოკრატიის რიგებში მოვიზიდოთ წვრილ მწარმოებელთა გაცილებით მეტი ნაწილი და გაცილებით უფრო ადრე (ვიდრე დასავლეთში), — რომ ამის გან-

**Sახორციელებლად** ჩვენ **ყველაფერი** უნდა გავაკეთოთ, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, — რომ ეს «სურვილი» უნდა გამოვთქვათ პროგრამაში მარტინოვებისა და კომპ. «წინააღმდეგ». ყოველივე ამას სავსებით ვეთანხმები. იმის დამატებას, რაც გამოთქმულია მე-10 პარაგრაფის ბოლოში, **მივესალმები** — ხაზს ვუსვამ ამას გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად.

მაგრამ საჭირო არ არის შვილდის გადაღუნვა მეორე მხარეს, როგორც ამას ვ. ზასულიჩი სჩადის! საჭირო არ არის «სურვილი» ავრიოთ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს თ ა ნ, თანაც იმ იმანენტურად აუცილებელ სინამდვილესთან, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მიეძღვნება ჩვენი **Prinzipienerklärung** *. სასურველია, რა თქმა უნდა, **ყველა** წვრილი მწარმოებლის მოზიდვა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ცალკე კლასია, თუმცა პროლეტარიატთან ათასი ძაფით და გარდამავალი საფეხურებით დაკავშირებული, მაგრამ მაინც ცალკე კლასია.

აუცილებლად საჭიროა **ჯერ** გ ა ვ ე მ ი ჯ ნ ო თ ყველას, გამოვყოთ მხოლოდ ერთი, ე რ თ ა დ ე რ თ ი და **მარტოდმარტო** პროლეტარიატი, — ხოლო უკვე ამის **შემდეგ** განვაცხადოთ, რომ პროლეტარიატი ყველას გაათავისუფლებს, ყველას უხმობს, ყველას იწვევს.

მე თანახმა ვარ ამ «შემდეგი»-სა, მაგრამ ამაზე ადრე მოვითხოვ «ჯერ»-ს!

ჩვენში, რუსეთში, «მშრომელი და ექსპლოატირებული მასის» ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წამებას არავითარი ს ა ხ ა ლ ხ ო მოძრაობა არ გამოუწვევია, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნების «ერთმა მუჭა» მუშებმა არ დაიწყეს ბრძოლა, კლასობრივი ბრძოლა. და **მხოლოდ** ეს «ერთი მუჭა» უზრუნველყოფს ბრძოლის წარმოებას, განგრძობას, გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ა ს. სწორედ რუსეთში, სადაც კრიტიკოსებიც (ბულგაკოვი) ბრალს სდებენ სოციალ-დემოკრატებს «ვლეხთა სიძულვილში», სო-

* — პრინციპების დეკლარაცია, ვამოცხადება. რ ე დ.

ციალისტ-რევოლუციონერებიც გაჰკივიან, რომ აუცილებელია კლასობრივი ბრძოლის ცნება **შეიცვალოს** «**ყველა** მშრომელისა და ექსპლოატირებულის ბრძოლის» ცნებით («ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციი» № 2)[20], — სწორედ რუსეთში ჩვენ ჯერ **მარტო** პროლეტარიატის მარტო კლასობრივი ბრძოლის უაღრესად მკვეთრი განსაზღვრით უნდა გავემიჯნოთ მთელ ამ სხვადასხვანაირ ხალხს, — ხოლო უკვე ამის შემდეგ განვაცხადოთ, რომ ჩვენ ყველას მოვუხმობთ, ყველაფერს ავიღებთ, ყველაფერს გავაკეთებთ, ყოველმხრივ გავაფართოებთ. კომისია კი «აფართოებს», ხოლო გამიჯვნას ივიწყებს!! და მე აზრის სივიწროეს მიკიჟინებენ იმისათვის, რომ მოვითხოვ — გაფართოებას წავუძღვარ ოთ ეს «გამიჯვნა»?! ეს ხომ დამახინჯებაა, ბატონებო!!

ჩვენი გარდუვალი სახვალიო ბრძოლა გაერთიანებულ კრიტიკოსებთან + უფრო მემარცხენე ვაუბატონებთან «რუსსკიე ვედომოსტიდან» და «რუსსკოე ბოგატსტვოდან»[21] + სოციალისტ-რევოლუციონერებთან უეჭველად მოგვთხოვს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სწორედ გამიჯვნას «მშრომელი და ექსპლოატირებული მასის» «ბრძოლისაგან» (ბრძოლისაგან კი?). ფრაზები ამ მასის შესახებ მთავარი კოზირია ყველა **unsicheren Kantonisten** *-ის ხელში, კომისია კი მათ ხელს უწყობს და ნახევრადობასთან ბრძოლის იარაღს გვართმევს იმის გულისათვის, რომ ხაზი გაესვას ერთ ნახევარს! ნუ დაივიწყებთ მეორე ნახევარსაც!

დაწერილია 1902 წ. აპრილში

# შესწორება პროგრამის აგრარული ნაწილისათვის [22]

წინადადებას ვიძლევი ჩვენი აგრარული პროგრამის მეოთხე პუნქტში შემდეგი ცვლილება მოვახდინოთ: ნაცვლად სიტყვებისა: «დაარსდეს გლეხთა კომიტეტები (ა) სოფლის საზოგადოებათათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის საშუალებით ან — იმ შემთხვევაში თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა — გამოსყიდვის და სხვ. გზით)» და ა. შ., ითქვას: «დაარსდეს გლეხთა კომიტეტები (ა) სოფლის საზოგადოებათათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის საშუალებით), რომლებიც...» და ა. შ.,

ე. ი. **ამოგდებულ იქნას ხაზგასმული სიტყვები.**

მე ვფიქრობ, რომ ეს შესწორება უნდა მოხდეს შემდეგ მოსაზრებათა საფუძველზე:

1. აგრარულ პროგრამაში ჩვენ ვაყენებთ ჩვენს «მაქსიმუმს», ჩვენს «სოციალურ-რევოლუციურ მოთხოვნებს» (იხ. ჩემი კომენტარები) [23]. გამოსყიდვის დაშვება კი ეწინააღმდეგება მთელი მოთხოვნის სოციალურ-რევოლუციურ ხასიათს.

2. «გამოსყიდვას» ისტორიული ტრადიციითაც (1861 წ. გამოსყიდვა) და თავისი შინაარსითაც (შად. ცნობილი: «გამოსყიდვა იგივე ყიდვაა» [24]) გაჰკრავს უხამსი კეთილზრახვისა და ბურჟუაზიული ღონისძიების სპეციფიკური გემო. ჩვენ ძიერ გამოსყიდვის დაშვებას ჩაებლაუჭებიან, და შეუძ-

ლებელი არ არის, რომ მთელი ჩვენი მოთხოვნის დედაარსი წაბილწონ (ხოლო ამ ოპერაციისათვის ბილწი ადამიანები საკმაოზე მეტი მოიძებნებიან) *.

3. საფუძველი არ არის გვეშინოდეს იმ «უსამართლობისა», რომ ჩამონაჭრები წაერთმევათ ადამიანებს, რომლებმაც ამაში ფული გადაიხადეს. ჩვენ უამისოდაც ჩამონაჭრების დაბრუნების ამ ღონისძიებას ორი ვიწრო პირობა დავურთეთ [(— «მიწები, რომლებიც ჩამოეჭრათ 1861 წელს» და (2) — «რომლებიც ახლა დამონების საშუალებას წარმოადგენენ»]. საკუთრება, რომელიც ბატონყმურ ექსპლოატაციას ემსახურება, სავსებით სამართლიანად კონფისკებულ უნდა იქნას აუნაზღაურებლად. (შემდეგ კი დაე ჩამონაჭრების მყიდველი ედავოს გამყიდველს, — ეს ჩვენი საქმე არ არის.)

4. «გამოსყიდვის» დაშვებით ჩვენ ფულად გადასახდელს ვაკისრებთ გლეხებს, რომლებიც სწორედ შრომამიგების გამო ყველაზე ღრმად იდგნენ ნატურალურ მეურნეობაში: ფულად გადასახდელზე გადასვლის სიმძაფრეს შეუძლია **განსაკუთრებით** სწრაფად გააჩანაგოს გლეხები, ეს კი ჩვენი პროგრამის მთელი დედაარსის წინააღმდეგი იქნებოდა.

5. თუ მაინც გამონაკლისის სახით ლაპარაკია ჩამონაჭერთა მყიდველის «ანაზღაურებაზე», ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს გლეხთა ხარჯზე, რომელთაც ზნეობრივი და ისტორიული უფლება აქვთ ამ ჩამონაჭრებზე. «ანაზღაურება» შეიძლება მიწის სათანადო ნაკვეთის მიცემით სადმე განაპირა ადგილას და სხვ.; ეს უკვე ჩვენ არ გვეხება.

---

* ჩამონაჭრების დაბრუნება, როგორც სასწრაფო რევოლუციური ღონისძიება, გამოსყიდვის დაშვებით დაგვყავს სრულიად ჩვეულებრივ «რეფორმამდე».

ყველას ვთხოვ ხმა მისცეს: ამის სასარგებლოდ = მაშასადამე, გამოსყიდვის შესახებ სიტყვების გამოტოვებას, ჩემ მიერ აღნიშნული სიტყვების ამოშლას.

**წინააღმდეგ** = ძველი სახით დატოვებას.

1) გ. ვ. —
2) პ. ბ. —
3) ვ. ი. —
4) ბერგი —
5) ა. ნ. —
6) ფრეი — ამის სასარგებლოდ.

დაწერილია 1902 წ. აპრილში

# გაკოტრების ნიშნები

მხოლოდ ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც კარპოვიჩის ტყვიამ მიაწვინა ბოგოლეპოვი[35] და ადგილი გაუწმინდა «ახალ კურსს» მთავრობის საუნივერსიტეტო პოლიტიკის სფეროში. ამ წლის განმავლობაში ჩვენ თანამიმდევრობით ვამჩნევდით საზოგადოებრივი აღშფოთების არაჩვეულებრივ აღმავლობას, არაჩვეულებრივ ალერსიან ტონს ჩვენი მმართველების სიტყვებში, საზოგადოების, სამწუხაროდ, ფრიად ჩვეულებრივ გატაცებას ამ ახალი სიტყვებით, გატაცებას, რომელიც მრედო სტუდენტობის განსაზღვრულ ნაწილსაც, და, ბოლოს, ვანოვსკის მაღალფარდოვან დაპირებათა განხორციელების უმალვე — სტუდენტთა პროტესტის ახალ აფეთქებას. იმათთვის, ვინც განვლილ გაზაფხულზე ელოდა «ახალ ერას» და ვისაც სერიოზულად სჯეროდა, რომ მეფის ფელდფებელი თუნდაც მცირე დოზით განახორციელებდა სტუდენტებისა და საზოგადოების იმედებს, — ერთი სიტყვით, რუსეთის ლიბერალებისათვის ახლა ნათელი უნდა იყოს, თუ რამდენად არ იყვნენ მართალნი ისინი, როდესაც მთავრობას ერთხელ კიდევ უბოძეს კრედიტი, თუ რამდენად ნაკლები საბუთი ჰქონდათ შეეჩერებინათ გაზაფხულზე რეფორმის სასარგებლო მოძრაობა, რომელიც სერიოზულ ფორჰებს იღებდა, და აჰყოლოდნენ მთავრობის სირინოზთა ტკბილ ნანინას. იმის შემდეგ, რაც დაარღვიეს დაპირება, რომ უნივერსიტეტებში დააბრუნებდნენ ყველა შარშანდელ დაზარალებულს, იმის შემდეგ, რაც მთელი რიგი ახალი რეაქ-

ციული ზომებით საბრძოლველად გამოიწვიეს ყველა ის, ვინც მოითხოვდა სასწავლო წესების ნამდვილ რეფორმას, იმის შემდეგ, რაც ახალ-ახალი მუშტიკრივით გაუმასპინძლდნენ დემონსტრანტებს, რომლებიც ბოროტი ბანკროტისაგან მოითხოვდნენ მის მიერ მიცემულ ვალდებულებათა შესრულებას, — ყოველივე ამის შემდეგ «გულითადი მზრუნველობის» მთავრობა აქვეყნებს «დაწყნარების» მიზნებით მოფიქრებულ «დროებით წესებს» სტუდენტთა ორგანიზაციების შესახებ და... ნაცვლად «დაწყნარებისა» იღებს «არეულობის» იმ საერთო ხანძრის სურათს, რომელიც ხელახლად მოედო ყველა სასწავლებელს.

ჩვენ, რევოლუციონერებმა, ერთი წუთითაც არ დავიჯერეთ ვანოვსკის მიერ აღთქმულ რეფორმათა სერიოზულობა. ჩვენ განუწყვეტლივ ვეუბნებოდით ლიბერალებს, რომ «გულითადი» გენერლის ცირკულარები და ნიკოლოზ ობმანოვის რესკრიპტები წარმოადგენენ მხოლოდ იმავე ლიბერალური პოლიტიკის ახალ გამოვლინებას, რომელშიც თვითმპყრობელობამ მოასწრო დახელოვნება «შინაურ მტერთან», ე. ი. რუსეთის ყველა პროგრესულ ელემენტთან 40 წლის ბრძოლის პერიოდში. ჩვენ ვაფრთხილებდით ლიბერალებს იმ «უაზრო ოცნებათაგან», რომელთაც ისინი ეძლეოდნენ მთავრობის პირველივე ნაბიჯების შემდეგ, რაც გადაიდგა «ახალი კურსის» მიხედვით; ჩვენ ვამხელდით მთავრობის დაპირებათა აშკარა სიყალბეს და ვეუბნებოდით საზოგადოებას: თუ შენი მოწინააღმდეგე თავზარდაცემულია პირველი სერიოზული შეტევით, დაჰკარ და დაჰკარ ლახვარი, გაორკეცე ამ დარტყმის ძალა და სიხშირე... ორგანიზაციათა უფლების იმ კარიკატურას, რომელიც ახლა სტუდენტებს მიერთვათ «დროებითი წესებით», რევოლუციონერები წინასწარმეტყველებდნენ თავიდანვე, როგორც კი ლაპარაკი დაიწყო მთავრობის ამ ახალ საჩუქარზე. ჩვენ ვიცოდით, თუ რის მოლოდინი შეიძლებოდა გვქონოდა და უნდა გვქონოდა თვითმპყრობელობისაგან და მისი რეფორმატორული ჭაპანწყვე-

ტისაგან. ჩვენ ვიცოდით, რომ ვანოვსკი ვერავის და ვერაფერს «დააწყნარებდა», რომ იგი ვერავითარ პროგრესულ იმედებს ვერ დააკმაყოფილებდა და რომ «არეულობა» აუცილებლად განახლდებოდა ამა თუ იმ ფორმით.

წელიწადი გავიდა, და საზოგადოება იმავე მკვდარ წერტილთან დგას. უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც კეთილმოწყობილ სახელმწიფოში უნდა არსებობდნენ, კვლავ უარს ამბობენ ფუნქციონირებაზე. კვლავ ათი ათასობით ახალგაზრდა ამოვარდნილია ჩვეულებრივი კალაპოტიდან, და საზოგადოების წინაშე კვლავ იგივე საკითხი დგას: «რა იქნება შემდეგ?»

სტუდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა უარს ამბობს «დროებითი წესებისა» და ამ წესებით ნებადართული ორგანიზაციების მიღებაზე. პროფესორები უფრო მეტი გარკვეულობით, ვიდრე ეს მათში მიღებულია, გამოხატავენ აშკარა უკმაყოფილებას მთავრობის ამ საჩუქრის გამო. და, მართლაც, საჭირო არაა რევოლუციონერი იყო, საჭირო არაა რადიკალი იყო, რომ აღიარო — ეს, უკაცრავად პასუხია, «რეფორმა» არათუ არ აძლევს სტუდენტებს თავისუფლების რაიმე მინაგვარს, არამედ ყოვლად უვარგისიც არის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში რაიმე სიმშვიდის შეტანის თვალსაზრისით. და განა პირველ შეხედვისთანავე აშკარა არაა, რომ ამ «დროებითი წესების» საშუალებით წინასწარ იქმნება მთელი რიგი საბაბი სტუდენტებსა და ხელისუფალთა შორის შუხლა-შემოხლისათვის? განა ცხადი არაა, რომ ამ წესების ცხოვრებაში შემოღება იმის საფრთხეს ჰქმნის, რომ ყოველი კრება, ლ ე გ ა ლ უ რ ა დ მოწვეული სრულიად მშვიდობიანი საკითხის გამო, გადაიქცეს ახალ «არეულობათა» გამოსავალ წერტილად? განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ, მაგ., პოლიციური ფუნქციების აღმასრულებელი ინსპექცია თავისი თავმჯდომარეობით კრებებზე ყოველთვის ზოგს გააღიზიანებს, ზოგს პროვოკაციას გაუწევს და საპროტესტოდ გამოიწვევს, ზოგს კი თრთოლას მოჰგვრის და პირს აუკრავს? და

განა ნათელი არაა, რომ რუსეთის სტუდენტობა ვერ მოითმენს, რომ ამ კრებებზე კამათის შინაარსი უხეშად განისაზღვრებოდეს უფროსთა «შეხედულებით»?

ამავე დროს კი მთავრობის ნაჩუქარი «უფლება» კრებებისა და ორგანიზაციებისა იმ უგვანო სახით, რომლითაც იგი შექმნილია «დროებითი წესებით», მ ა ქ ს ი მ უ მ ი ა იმისი, რის მიცემაც თვითმპყრობელობას შეუძლია სტუდენტებისოვის, თუ იგი თვითმპყრობელობად რჩება. ყოველივე შემდგომი ნაბიჯი ამ მიმართულებით იქნებოდა იმ წონასწორობის თვითმკვლელობითი დარღვევა, რომელზედაც დაფუძნებულია «ქვეშევრდომებთან» ხელისუფლების დამოკიდებულება. ან უნდა შეურიგდნენ მთავრობისათვის ამ შესაძლებელ მაქსიმუმს, ან გააძლიერონ თავისი პროტესტის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხასიათი, — აი დილემა, რომლის გადაწყვეტაც სტუდენტებს უხდებათ და მათი უმრავლესობა მეორე გადაწყვეტილებას იღებს. სტუდენტების მოწოდებებსა და რეზოლუციებში წინანდელზე უფრო მკვეთრად გაისმის რევოლუციური ხმა. მხეცური დათრგუნვისა და იუდას ამბორის რიგრიგობის პოლიტიკა თავის საქმეს აკეთებს და არევოლუციურებს სტუდენტთა მასას.

დიახ, სტუდენტებმა ასე თუ ისე გადაწყვიტეს მათ წინაშე დაყენებული საკითხი და განაცხადეს, რომ კვლავ მზად არიან აიღონ გვერდზე გადადებული (საძილისპირო სიმღერების გავლენით) იარაღი. მაგრამ რას აპირებს საზოგადოება, რომელმაც უკვე ჩასთვლიმა კიდეც ამ გამცემლური სიმღერების ჰანგზე? რატომ განაგრძობს იგი დუმილს და «მალულად თანაუგრძნობს»? რატომ არაფერი ისმის მ ი ს პროტესტებზე, მ ი ს აქტიურ მხარდაჭერაზე განახლებული მღელვარებისთვის? ნუთუ ის მზად არის «გულდამშვიდებით» ელოდოს იმ გარდუვალ ტრაგიკულ მოვლენებს, რომლებიც დღევანდლამდე თან სდევდნენ სტუდენტთა ყოველგვარ მოძრაობას? ნუთუ ის ფიქრობს დასჯერდეს ბრძოლის მსხვერპლთა აღმრიცხველისა და ამ ბრძოლის შემაძრწუნებელ სურათთა

პასიური მაყურებლის უბადრუკ როლს? რატომ არ ისმის «მამების» ხმა იმ დროს, როდესაც «შვილებმა» არაორაზროვნად განაცხადეს თავისი განზრახვა ახალი მსხვერპლი მიიტანონ რუსეთის თავისუფლების სამსხვერპლოზე? რატომ მხარს არ უჭერს ჩვენი საზოგადოება სტუდენტებს თუნდაც ისე, როგორც მათ უკვე მხარი დაუჭირეს მუშებმა? მათი, პროლეტარების, შვილები და ძმები ხომ არ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, და მაინც მუშებმა კიევშიც, ხარკოვშიც, ეკატერინოსლავშიც უკვე აშკარად განუცხადეს თავისი თანაგრძნობა პროტესტანტებს, მიუხედავად პოლიციელ ხელისუფალთა მთელი რიგი «გამაფრთხილებელი ზომებისა», მიუხედავად მათი მუქარისა, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ აამოქმედებენ შეიარაღებულ ძალას. ნუთუ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური იდეალიზმის ეს გამოხატულება გავლენას არ მოახდენს საზოგადოების ყოფაქცევაზე, რომელიც სისხლხორცეულად და უშუალოდ დაინტერესებულია სტუდენტთა ბედით, და არ დასძრავს მას ენერგიული პროტესტისათვის?

მიმდინარე წლის სტუდენტური «არეულობა» იწყება საკმაოდ ხელსაყრელი ნიშნებით. «მასების» «ქუჩის» თანაგრძნობა მისთვის უზრუნველყოფილია. ლიბერალური საზოგადოების დანაშაულებრივი შეცდომა იქნება, თუ იგი ყველა ღონეს არ იხმარს იმ მიზნით, რომ სტუდენტთათვის დ რ ო ზ ე მხარდაჭერით მოახდინოს მთავრობის საბოლოო დემორალიზაცია და აიძულოს იგი წავიდეს ნამდვილ დათმობებზე.

უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად ძალუძს ჩვენს ლიბერალურ საზოგადოებას ამ როლის შესრულება. ამ საკითხის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტუდენტთა ახლანდელი მოძრაობის შედეგი. მაგრამ რანაირიც უნდა იყოს ეს შედეგი, ერთი რამ უეჭველია: სიმშვიდის ესოდენ მოკლე პერიოდის შემდეგ სტუდენტთა საერთო არეულობის განახლება თანამედროვე წყობილების პოლიტიკური გაკოტრების ნიშანია. სამი წლის განმავლო-

ბაში საუნივერსიტეტო ცხოვრება ვერ ჩამდგარა კალაპოტში, მეცადინეობა ნაწყვეტ-ნაწყვეტად სწარმოებს, სახელმწიფო მექანიზმის ერთ-ერთი ბორბალი აღარ მოქმედებს და, ერთ-ხანს საცოდავად რომ შემოტრიალდება, კვლავ დიდი ხნით ჩერდება. და ახლა არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებში არ არსებობს ამ სატკივრის რადიკალური განკურნების საშუალება. განსვენებულმა ბოგოლეპოვმა სცადა სამშობლოს ხსნა «გმირული» საშუალებით, რომელიც ნასესხები იყო ადამის-დროინდელი, ნიკოლოზისეული, მედიცინის არსენალიდან. ცნობილია, თუ რა შედეგი მოიტანა ამ საშუალების გამოყენებამ. ცხადია, რომ ამ მიმართულებით შემდგომი სვლა აღარ შეიძლება. სტუდენტებთან ლაქუცის პოლიტიკამ ახლა ფიასკო განიცადა. ხოლო ძალადობისა და ლაქუცის გარდა მესამე გზა ხომ არ არსებობს. და თანამედროვე რეჟიმის ამ უეჭველი გაკოტრების ყოველი ახალი გამოვლინება სულ უფრო და უფრო ღრმად გამოუთხრის მას საფუძველს, ინდიფერენტულ ობივატელთა თვალში დაუკარგავს მთავრობას ყოველივე ავტორიტეტს, გაამრავლებს იმ პირთა რიცხვს, რომელთაც შეგნებული აქვთ მთავრობასთან ბრძოლის აუცილებლობა.

დიახ, თვითმპყრობელობის გაკოტრება უეჭველია, და იგი იჩქარის მთელ ქვეყნიერებას აუწყოს ეს. განა გაკოტრების გამოცხადებას არ წარმოადგენს იმპერიის თითქმის მთელ მესამედ ნაწილში «გაძლიერებული დაცვის წესების» შემოღება და იმავე დროს რუსეთის ყველა კუთხეში ადგილობრივ ხელისუფალთა გამოსვლა «სავალდებულო დადგენილებებით», რომლებიც გაძლიერებულ სასჯელთა მუქარით კრძალავენ რუსეთის კანონებით ისედაც აკრძალულ მოქმედებებს? თავისი არსებით ყოველი განსაკუთრებული წესი, რომელიც აუქმებს საერთო კანონების მოქმედებას, იგულისხმება მოქმედების ძალის შეზღუდულ დროისა და ადგილის განსაზღვრულ ფარგლებში. იგულისხმება, რომ საგანგებო პი-

რობანი მოითხოვენ საგანგებო ზომების დროებით გამოყენებას განსაზღვრულ ადგილას იმისათვის, რომ აღდგენილ იქნას ის დარღვეული წონასწორობა, რომლის დროსაც შესაძლებელია საერთო კანონების შეუფერხებელი მოქმედება. ასეთია თანამედროვე რეჟიმის წარმომადგენელთა მსჯელობა. აი უკვე 20 წელზე მეტია, რაც შემოღებულია გაძლიერებული დაცვის წესები. იმპერიის მთავარ ცენტრებში მისი 20 წლის მოქმედებას არ მოჰყოლია შედეგად ქვეყნის «დაწყნარება», საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა. ამ ძლიერად მოქმედი საშუალების 20 წლის განმავლობაში გამოყენების შემდეგ აღმოჩნდა, რომ — «არაკეთილსაიმედობის» სენი, რომელთან საბრძოლველადაც შექმნილია იგი, ისე ფართოდ გავრცელებულა და ისე ღრმად გაუდგამს ფესვები, რომ მისი გამოყენება აუცილებლად უნდა გავრცელდეს ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ქალაქსა და საფაბრიკო ცენტრებზე! განა ეს გაკოტრება არ არის, რომელსაც აშკარად აცხადებს თვით გაკოტრებული? თანამედროვე წყობილების თავგამოდებული დამცველები (ასეთები, ეჭვი არაა, მოიპოვებიან) ძრწოლით უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ თანდათან ეჩვევა მოსახლეობა ამ ძლიერად მოქმედ საშუალებას და ველარ გრძნობს მის ახალ დოზათა შეშხაპუნებას.

ამავე დროს კი, უკვე მთავრობის უნებურად, აშკარავდება მისი ეკონომიური პოლიტიკის გაკოტრება. თვითმპყრობელობის მტაცებლური მეურნეობა დაფუძნებული იყო გლეხობის საშინელ ექსპლოატაციაზე. ეს მეურნეობა გულისხმობდა, როგორც აუცილებელ შედეგს, ამა თუ იმ ადგილის გლეხთა დროდადრო განმეორებულ შიმშილობას. ამ მომენტებში ონავარი სახელმწიფო ცდილობდა მოსახლეობის წინაშე წარმდგარიყო მის მიერვე გაძარცული ხალხის მოამაგე მრჩენელის ბრწყინვალე როლში. 1891 წლიდან შიმშილობა მსხვერპლთა რაოდენობის მხრივ გიგანტური შეიქმნა. ხოლო 1897 წლიდან შიმშილობა თითქმის განუწყვეტლივ მოსდევდა ერთი მეორეს. 1892 წელს ტოლსტოი გესლიანი

დაცინვით ამბობდა, რომ «პარაზიტი აპირებს გამოჰკვებოს ის მცენარე, რომლის წვენითაც თვითონ იკვებება» [26]. ეს, მართლაც, სულელური იდეა იყო. ახლა დროება გამოიცვალა, და რაც შიმშილობა სოფლის ნორმალურ მდგომარეობად იქცა, ჩვენი პარაზიტი იმდენად იმ უტოპიურ აზრს კი არ უტრიალებს, რომ დააპუროს გაძარცული გლეხობა, რამდენადაც თვით ამ აზრს სახელმწიფოებრივ დანაშაულად აცხადებს. მიზანი მიღწეულია — ახლანდელი გრანდიოზული შიმშილობა მიმდინარეობს ისეთ სამარისებურ სიჩუმეში, რომელიც ჩვენშიც კი უჩვეულოა. არ ისმის დამშეული გლეხების კვნესა, არა ჩანს შიმშილობასთან ბრძოლის საზოგადოებრივი ინიციატივის ცდა, გაზეთები სდუმან იმის შესახებ, რაც სოფელში ხდება. სახარბიელო დუმილია, მაგრამ ხომ არა გრძნობენ ბატონი სიპიაგინები, რომ ეს სიმშვიდე ძალიან წააგავს სიჩუმეს ჭექა-ქუხილის წინ?

სახელმწიფო წყობილებამ, რომელიც ოდითვე დამყარებული იყო გლეხთა მილიონების პასიურ მხარდაჭერაზე, ეს გლეხობა იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, როდესაც მას არ ძალუძს თავი გამოიკვებოს წლიდან წლამდე. ბატონ ობმანოვების მონარქიის ეს ს ო ც ი ა ლ უ რ ი გაკოტრება ნაკლებად არ არის ჭკუის მასწავლებელი, ვიდრე მისი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გაკოტრება.

როდისღა მოხდება ჩვენი ბოროტი ბანკროტის საქმეთა ლიკვიდაცია? კიდევ დიდხანს მოახერხებს თუ არა იგი დღიდან დღემდე იცხოვროს ისე, რომ თავისი პოლიტიკური და ფინანსური ბიუჯეტის ჭუჭრუტანები დაფაროს ხალხის ორგანიზმის ცოცხალი სხეულის ტყავით? მრავალ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული იმ ვადის მეტნაკლები ხნით გადადება, რომელსაც ისტორია ჩვენს ბანკროტს მისცემს; მაგრამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება რევოლუციური აქტივობის ის ოდენობა, რომელსაც გამოიჩენენ ადამიანები, ვისაც შეგნებული აქვს თანამედროვე რეჟიმის სრული გაკოტრება. მისი გახრწნა ძალიან შორს წავიდა, მან მნიშვნელოვ-

ნად გაუსწრო იმ საზოგადოებრივ ელემენტთა პოლიტიკურ მობილიზაციას, რომელთაც მისი მესაფლავეობა უხდებათ. ამ პოლიტიკურ მობილიზაციას ყველაზე მარჯვედ მოახდენს რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომელსაც ერთადერთს ძალუძს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს თვითმპყრობელობას. სტუდენტთა ახალი შეტაკება მთავრობასთან ჩვენ ყველას შესაძლებლობას გვაძლევს და ვალდებულებას გვაკისრებს დავაჩქაროთ თვითმპყრობელობისადმი ყველა მტრულ საზოგადოებრივ ძალთა მობილიზაციის ეს საქმე. პოლიტიკურ ცხოვრებაში ომიანობის დროის თვეებს ისტორია წლებად ითვლის. ხოლო ის დრო, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ჭეშმარიტად ომიანობის დროა.

«ისკრა» № 17, 1902 წ. 15 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან

ამ საერთო სათაურით განზრახული გვაქვს პერიოდულად მოვათავსოთ, მასალების დაგროვების მიხედვით, სტატიები და შენიშვნები, მიძღვნილი რუსეთის ეკონომიური ცხოვრებისა და ეკონომიური განვითარების ყველა მხარის დახასიათებისადმი მარქსისტული თვალსაზრისით. ახლა, როდესაც «ისკრა»[27] თვეში ორჯერ გამოდის, ასეთი განყოფილების უქონლობა განსაკუთრებით ძლიერ არის საგრძნობი. მაგრამ ამასთანავე ყველა ამხანაგისა და ჩვენს გამოცემათა თანამგრძნობი პირების უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმაზე, რომ ამ განყოფილების (ცოტად თუ ბევრად წესიერი) გაძღოლა მოითხოვს განსაკუთრებით მდიდარ მასალას, ჩვენი რედაქცია კი ამ მხრივ მეტად არახელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული. ლეგალურ მწერალს წარმოდგენაც არ შეუძლია, თუ ზოგჯერ რა უაღრესად ელემენტარული დაბრკოლებანი ამსხვრევენ «არალეგალური» მწერლის განზრახვებსა და მისწრაფებებს. ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წავიდეთ საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც ჟურნალისტის განკარგულებაშია ათობით და ასობით სპეციალური გამოცემანი და ადგილობრივი გაზეთები. ხოლო მასალა ეკონომიური განყოფილებისთვის, რომელიც ცოტათი მაინც შესაფერისი უნდა იყოს «გაზეთისთვის», ე. ი. ცოტად თუ ბევრად ცოცხალი, საჭირბოროტო, საინტერესო მკითხველისთვისაც და მწერლისთვისაც, — ასეთი მასალა გაბნეულია სწორედ პატარ-

პატარა ადგილობრივ გაზეთებში და სპეციალურ გამოცემებში, რომელთა დიდი ნაწილი ან მიუწვდომელია ფასის მხრივ, ანდა სრულიად არ იყიდება (მთავრობის, საერობო, სამედიცინო გამოცემანი და სხვ.). ამიტომ ეკონომიური განყოფილების ცოტად თუ ბევრად წესიერი დაყენება შესაძლებელია მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმ პირობით, თუ არალეგალური გაზეთის ყ ვ ე ლ ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი მოიქცევა შემდეგი წესის თანახმად: «ყველამ თითო ძაფი რომ გაიმეტოს, შიშველს პერანგი გამოუვაო». და, სძლევს რა ყალბ მორცხვობას, «ისკრის» რედაქცია უნდა გამოტყდეს, რომ გაზეთი ამ მხრივ თითქმის მთლად შიშველია. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მკითხველების მასას შესაძლებლობა აქვს თვალყური ადევნოს და მართლაც «თავისთვის» ადევნებს თვალყურს მრავალნაირ სპეციალურ და ადგილობრივ გამოცემებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც თ ვ ი თ ე უ ლ ი ასეთი მკითხველი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, როდესაც შეხვდება საინტერესო მასალას, თავის თავს შეეკითხება: არის თუ არა ეს მასალა ჩ ვ ე ნ ი გაზეთის რედაქციაში? რა გავაკეთე, რომ გამეცნო მისთვის ეს მასალა? — მხოლოდ მაშინ მივაღწევთ იმას, რომ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ყველა თვალსაჩინო მოვლენა შეფასდეს არა მარტო სახაზინო, ნოვოვრემენული[28], ვიტესეული ქება-დიდების თვალსაზრისით, არა მარტო ტრადიციული ლიბერალურ-ნაროდნიკული წუწუნისათვის, არამედ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისითაც.

ახლა კი, ამ არალიბერალური წუწუნის შემდეგ, — გადავიდეთ საქმეზე.

## 1. შემნახველი სალაროები

შემნახველი სალაროები ამ ბოლო დროს ერთ-ერთი ყველაზე ჩვეულებრივი საბაბთაგანია ქება-დიდებისათვის. ოღონდ ამით სარგებლობს არა მარტო ვიტესეული, არამედ «კრიტიკული» ქება-დიდებაც. დავიდები და ჰერცები, ჩერნოვები და ბულგაკოვები, პროკოპოვიჩები და ტოტომიან-

ცები, ერთი სიტყვით, მარქსიზმის მოდური «კრიტიკის» ყველა მომხრენი (რომ არაფერი ვთქვათ დარბაისელ პროფესორებზე, კაბლუკოვებსა და კარიშევებზე) სხვადასხვა ყაიდაზე და ჰანგზე გასძახიან: — «ეს ორთოდოქსები ლაპარაკობენ კაპიტალის კონცენტრაციაზე! — და აი უკვე მარტო შემნახველი სალაროები გვიჩვენებენ კაპიტალის დეცენტრალიზაციას. ლაპარაკობენ სიღატაკის ზრდაზე! ნამდვილად კი ჩვენ ვხედავთ ხალხის წვრილი დანაზოგის ზრდას».

ავიღოთ ერთი კეთილი კაცის გამოგზავნილი 1899 წლის ოფიციალური ცნობები რუსეთის შემნახველ სალაროებზე და კარგად დავუკვირდეთ მათ. სულ რუსეთში 1899 წელს იყო 4 781 სახელმწიფო შემნახველი სალარო, მათ რიცხვში 3 718 ფოსტა-ტელეგრაფისა და 84 საფაბრიკო-საქარხნო სალარო. ხუთი წლის განმავლობაში (1895-დან 1899 წლამდე) სალაროების რიცხვი გაიზარდა 1 189-ით, ე. ი. ერთი მესამედით. ამავე დროის განმავლობაში მეანაბრეთა რიცხვი 1 664 ათასიდან გადიდდა 3 145 ათასამდე, ე. ი. თითქმის ერთნახევარი მილიონით (89%-ით), ფულადი ანაბრების თანხა — 330 მილიონი მანეთიდან 608 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 278 მილიონი მანეთით ანუ 84%-ით. ამგვარად, როგორც ჩანს, «ხალხის დანაზოგთა» გიგანტური ზრდაა, არა?

მაგრამ აი რა გარემოება გვეცემა ამასთანავე თვალში. შემნახველი სალაროების შესახებ ლიტერატურიდან ვიცით, რომ 80-იანი წლების განმავლობაში და 90-იანი წლების დასაწყისში ანაბართა თანხა ყ ვ ე ლ ა ზ ე ს წ რ ა ფ ა დ ი ზ რ დ ე ბ ო დ ა შ ი მ შ ი ლ ო ბ ი ს წ ლ ე ბ შ ი, 1891 და 1892 წლებში. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, — ჩვენ ვიცით, რომ საერთოდ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ერთად აღებული 80-იანი და 90-იანი წლების განმავლობაში, «ხალხის დანაზოგთა» ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა გლეხთა გაღატაკების, გაჩანაგებისა და შიმშილობის საოცრად სწრაფი და მწვავე პროცესი. იმის გასაგებად, თუ როგორ თავსდებიან ეს ერთიმეორის საწინააღმდეგო მოვლენანი, საჭი-

რა მხოლოდ გავიხსენოთ, რომ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ყველაზე მთავარ თავისებურებას აღნიშნულ პერიოდში წარმოადგენს ფ უ ლ ა დ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ზ რ დ ა. შემნახველ სალაროებში ანაბართა გადიდება კი გვიჩვენებს თავისთავად არა «ხალხის» დანაზოგთა ზრდას საერთოდ, არამედ მხოლოდ ფ უ ლ ა დ ი «დანაზოგის» ზრდას (ზოგჯერ მხოლოდ ცენტრალურ დაწესებულებებში თავმოყრასაც კი). გლეხობაში, მაგ., ნატურალური მეურნეობიდან ფულად მეურნეობაზე გადასვლის დროს, სავსებით შესაძლებელია ფულადი დანაზოგის გადიდება «ხალხის» დანაზოგის მთელი თანხის შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს თ ა ნ ერთად. ძველი ყაიდის გლეხი თავის დანაზოგს ინახავდა ყულაბაში, როდესაც ეს იყო ფულადი დანაზოგი, ხოლო მეტნაწილად ამ დანაზოგს შეადგენდა პური, პირუტყვის საკვები, ტილო, შეშა, და სხვა საგნები «ნატურით». ახლა გაჩანაგებულ და გაჩანაგების გზაზე მდგომ გლეხს არა აქვს არც ნატურალური და არც ფულადი დანაზოგი, ხოლო გამდიდრების გზაზე დამდგარ გლეხთა სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას უგროვდება ფულადი დანაზოგი, და ეს დანაზოგი შედის სახელმწიფო შემნახველ სალაროებში. ამგვარად, სავსებით გასაგებია შიმშილობის ზრდასთან ერთად ანაბრების ზრდაც, რაც მოასწავებს არა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, არამედ ძველი, დამოუკიდებელი გლეხის გამოდევნას სოფლის ახალი ბურჟუაზიის მიერ, ე. ი. შეძლებული გლეხების მიერ, რომელთაც არ შეუძლიათ გაუძღვნენ მეურნეობას ისე, თუ არ დაიქირავეს მოჯამაგირეები ან დღიური მუშები.

ნათქვამის არაპირდაპირსა და საინტერესო დადასტურებას წარმოადგენს ცნობები მეანაბრეთა განაწილების შესახებ მათი მოსაქმეობის მიხედვით. ეს ცნობები ეხება თითქმის 3 მილიონი (2 942 ათასი) წიგნაკის პატრონს, რომელთა ანაბრების თანხა 545 მილიონ მანეთს შეადგენს. საშუალო ანაბარი უდრის 185 მანეთს; როგორც ხედავთ, ეს თანხა ნათლად გვიჩვენებს, რომ მეანაბრეთა შორის სჭარბობენ ის «ბედ-

ნიერნი», რომელნიც რუსი ხალხის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ და რომელთაც აქვთ საგვარეულო ან კეთილშენაძენი ქონება. ყველაზე მსხვილი მეანაბრეები სამღვდელოებაა: 46 მილიონი მანეთი 137 ათას წიგნაკზე, ე. ი. თითო წიგნაკზე 333 მანეთი. სამწყსოს სულის ცხონებაზე ზრუნვა, ეტყობა, სახეირო საქმე ყოფილა... შემდეგ — მიწათმფლობელნი: 9 მილიონი მანეთი 36 ათას წიგნაკზე, ე. ი. თითო წიგნაკზე 268 მანეთი; შემდეგ — ვაჭრები: 59 მილიონი მანეთი 268 ათას წიგნაკზე, ე. ი. თითო წიგნაკზე 222 მანეთი; შემდეგ ოფიცრები — თითო წიგნაკზე 219 მანეთი; სამოქალაქო მოხელეები — 202 მანეთი წიგნაკზე. მხოლოდ მეექვსე ადგილზე დგას «მიწათმოქმედება და სოფლის სარეწები»: 640 ათასი წიგნაკი 126 მილიონი მანეთი თანხით, ე. ი. წიგნაკზე 197 მანეთი; შემდეგ — «კერძო სამსახურის სამუშაოები» — თითო წიგნაკზე 196 მანეთი; «სხვა სამუშაოები» — თითო წიგნაკზე 186 მანეთი; ქალაქის სარეწები — 159 მანეთი წიგნაკზე; «მომსახურება» — 143 მანეთი წიგნაკზე; მუშაობა ფაბრიკებსა და ქარხნებში — 136 მანეთი წიგნაკზე, და სულ უკანასკნელ ადგილზე — ჯარისკაცები — 86 მანეთი წიგნაკზე.

ამგვარად, საფაბრიკო-საქარხნო მუშებს, არსებითად, უკანასკნელი ადგილი უჭირავთ დანაზოგის ოდენობით (თუ არ ჩავთვლით ჯარისკაცებს, რომელთაც ხაზინა ინახავს)! შინამსახურებსაც კი საშუალოდ უფრო მაღალი ოდენობის დანაზოგი აქვთ (143 მანეთი წიგნაკზე წინააღმდეგ 136 მანეთისა) და მეანაბრეთა გაცილებით მეტ რიცხვს იძლევიან. სახელდობრ: შინამსახურებს აქვთ 333 ათასი წიგნაკი 48 მილიონი მანეთი თანხით, საფაბრიკო-საქარხნო მუშებს კი — 157 ათასი წიგნაკი 21 მილიონი მანეთი თანხით. პროლეტარიატი, რომელიც ჩვენი დიდკაცობისა და ჩვენი ბობოლების ბეთელ სიმდიდრეს ჰქმნის, უფრო უარეს პირობებშია ჩაყენებული, ვიდრე მათი პირადი მსახურნი! რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მუშაოა საერთო რიცხვიდან (არანაკლებ ორი

მილიონი კაცი) დაახლოებით მხოლოდ ერთ მეექვსედ ნაწილს აქვს შესაძლებლობა სულ უმნიშვნელო ანაბარი შეიტანოს შემნახველ სალაროებში, — და ეს მიუხედავად იმისა, რომ მუშების მთელი შემოსავალი მარტოდმარტო ფულადია, და მათ ხშირად უხდებათ ოჯახის რჩენა სოფელში, რის გამო მათი ანაბარი მეტნაწილად სრულიადაც არ არის «დანაზოგი» ამ სიტყვის საკუთარი აზრით, არამედ მხოლოდ ის თანხაა, რომელიც გადადებულია შინ მორიგ გაგზავნამდე და სხვ. ჩვენ უკვე არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სვეტში — «მუშაობა ფაბრიკებსა და ქარხნებში» მოხვედრილია, ალბათ, კანტორის მოსამსახურეები, ოსტატები, ზედამხედველები, ერთი სიტყვით, სრულიადაც არა ნამდვილი მუშები.

რაც შეეხება გლეხობას, — თუ მივიჩნევთ, რომ იგი შედის უმთავრესად «მიწათმოქმედებისა და სოფლის სარეწების» სვეტში, მისი დანაზოგის საშუალო ოდენობა, როგორც ვნახეთ, უფრო მაღალი გამოდის, ვიდრე კერძო სამსახურში მყოფ პირთა დანაზოგი, და გაცილებით აღემატება «ქალაქის მრეწველის» (ე. ი., ალბათ, მედუქნის, ხელოსნის, მეეზოვის და სხვ.) საშუალო დანაზოგს. ცხადია, ეს 640 ათასი გლეხი (საერთო რიცხვიდან — დაახლოებით 10 მილიონი კომლიდან ანუ ოჯახიდან), რომელთაც შემნახველ სალაროებში 126 მილიონი მანეთი აქვთ, მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ გლეხურ ბურჟუაზიას. მხოლოდ ამ გლეხებს და, იქნებ, მათთან ყველაზე ახლო მდგომთ შეეხება ის ცნობები სოფლის მეურნეობის პროგრესზე, მანქანების გავრცელებაზე, მიწის კულტურისა და ცხოვრების დონის გადიდებაზე და სხვ., — რომელთაც სოციალისტების წინააღმდეგ აყენებენ ბატონი ვიტეები, რათა დაამტკიცონ «ხალხის კეთილდღეობის ზრდა», ბატონი ლიბერალები (და «კრიტიკოსები»), — რათა გააბათილონ «მარქსისტული დოგმა» მიწათმოქმედებაში წვრილი წარმოების დაღუპვისა და დაცემის შესახებ. ეს ვაჟბატონები არ ამჩნევენ (ანდა თავს ისე გვაჩვენებენ, თით-

ქოს ვერ ამჩნევენ) იმას, რომ წვრილი წარმოების დაცემა სწორედ იმით გამოიხატება, რომ წვრილ მწარმოებელთა წრიდან გამოიყოფა იმ პირთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვი, რომლებიც მასის გაჩანაგების ხარჯზე მდიდრდებიან.

კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები მეანაბრეთა საერთო რიცხვის განაწილების შესახებ მათი ანაბრების სიდიდის მიხედვით. მრგვალ ციფრებში ეს განაწილება ასეთია: სამი მილიონი მოანაბრიდან ერთ მილიონს აქვს ანაბარი 25 მ ა ნ ე თ ა მ დ ე. მათ სულ 7 მილიონი მან. აქვთ (545 მილიონ მანეთიდან, ე. ი. ანაბართა საერთო თანხის ყოველ 10 მანეთზე მხოლოდ 12 კაპიკი!). მათი ანაბრების საშუალო ოდენობა შ ვ ი დ ი მ ა ნ ე თ ი ა. მაშასადამე, ნამდვილად წვრილ მეანაბრეებს, რომლებიც შეადგენენ საერთო რიცხვის მ ე ს ა მ ე დ ს, აქვთ მხოლოდ ყველა ანაბრის $^1/_{83}$ ნაწილი. შემდეგ, მეანაბრენი, რომელთაც აქვთ 25-დან 100 მანეთამდე, შეადგენენ საერთო რიცხვის მეხუთედ ნაწილს (600 ათასი) და აქვთ სულ 36 მილიონი მანეთი — საშუალოდ თითოზე 55 მანეთი. ეს ორი ჯგუფი რომ შევაერთოთ, გამოვა, რომ მეანაბრეთა ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მ ე ტ ს (1,6 მილიონს 3 მილიონიდან) აქვს მხოლოდ 42 მილიონი მანეთი 545 მილიონიდან, ე. ი. $^1/_{12}$. დანარჩენ, შეძლებულ მეანაბრეთაგან ერთ მილიონს აქვს 100-დან 500 მანეთამდე — მათ სულ 209 მილიონი მანეთი აქვთ, თითო მეანაბრეზე 223 მანეთი. 400 ათას მეანაბრეს თითოს 500 მანეთზე მეტი აქვს; მათ სულ აქვთ 293 მილიონი მანეთი — 762 მანეთი მეანაბრეზე. მაშასადამე, ეს უკვე აშკარად მდიდარი ადამიანები, რომლებიც შეადგენენ მეანაბრეთა მთელი რიცხვის $^1/_7$-ზე ნ ა კ ლ ე ბ ს, ჰფლობენ მთელი კაპიტალის ნახევარზე მეტს (54 %).

ამგვარად, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ა თანამედროვე საზოგადოებაში, მოსახლეობის მასის გაღატაკება, უდიდესი ძალით იჩენს თავს ისეთ დაწესებულებაშიც კი, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია «ჩაგრული მოძმისათვის», მცირე შეძლების მქონე მოსახლეობისათვის, ვინაიდან

ანაბართა ზღვრულ ოდენობას კანონი 1 000 მანეთით საზღვრავს. და უნდა შევნიშნოთ, რომ ქონების ეს კონცენტრაცია, რომელიც ყოველნაირ კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს, უფრო ძლიერია მოწინავე ქვეყნებში, მიუხედავად ამ ქვეყნების შემნახველ სალაროთა უფრო მეტი «დემოკრატიზაციისა». მაგალითად, საფრანგეთში 1899 წლის 31 დეკემბრისთვის შემნახველ სალაროებში იყო $10^1/_2$ მილიონი წიგნაკი 4 337 მილიონი ფრანკის თანხით (ფრანკი 40 კაპიკზე ცოტა ნაკლებია). საშუალოდ ერთ წიგნაკზე ეს იძლევა 412 ფრანკს ანუ დაახლოებით 160 მანეთს, ე. ი. რუსეთის შემნახველ სალაროთა საშუალო ანაბარზე ნ ა კ ლ ე ბ ს. წვრილ მეანაბრეთა რიცხვი საფრანგეთში აგრეთვე შედარებით უფრო დიდია, ვიდრე რუსეთში: მეანაბრეთა თითქმის მესამედს ($3^1/_3$ მილიონს) 20 ფრანკამდე (8 მანეთი) ანაბარი აქვს, საშუალოდ თითოს 13 ფრანკი (5 მანეთი). სულ ამ მეანაბრეებს მხოლოდ 35 მილიონი ფრანკი აქვთ საერთო თანხიდან — 4 337 მილიონი ფრანკიდან, ე. ი. $^1/_{125}$. მეანაბრეები, რომელთაც 100 ფრანკამდე აქვთ, შეადგენენ საერთო რიცხვის ნახევარზე ცოტა მეტს (5,3 მილიონს), მათ კი აქვთ სულ 143 მილიონი ფრანკი, ე. ი. ანაბართა საერთო თანხის $^1/_{30}$. პირიქით, მეანაბრეები, რომელთაც აქვთ 1 000 და მეტი ფრანკი (400 და მეტი მანეთი), შეადგენენ მეანაბრეთა საერთო რიცხვის მ ე ხ უ თ ე დ ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ს (18,5%) და თავს უყრიან ანაბართა საერთო თანხის ო რ მ ე ს ა მ ე დ ზ ე მ ე ტ ს (68,7%), სახელდობრ 2 979 მილიონ ფრანკს 4 337 მილიონიდან.

ამგვარად, ახლა მკითხველს თვალწინ აქვს ერთგვარი მასალა ჩვენებური «კრიტიკოსების» მსჯელობის შესაფასებლად. ერთსა და იმავე ფაქტს: შემნახველ სალაროებში ანაბართა უდიდეს ზრდას და განსაკუთრებით წვრილ მეანაბრეთა რიცხვის გადიდებას სხვადასხვანაირად ხსნიან. «მარქსიზმის კრიტიკოსი» ამბობს: იზრდება ხალხის კეთილდღეობა, იზრდება კაპიტალის დეცენტრალიზაციაო. სოცია-

ლისტი ამბობს: ხდება «ნატურალურ» დანაზოგთა გადაქცევა ფულად დანაზოგად, იზრდება შეძლებულ გლეხთა რიცხვი, რომელნიც ბურჟუაზიად იქცევიან და რომელნიც თავიანთ დანაზოგს კაპიტალად აქცევენ. კიდევ უფრო განუზომელი სისწრაფით იზრდება იმ გლეხთა რიცხვი, ვისაც მიერეკებიან პროლეტარიატის რიგებში, რომელიც თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს და რომელსაც თავის პაწაწა დანაზოგთა ნაწილი შესანახად სალაროებში შეაქვს (თუნდაც დროებით). წვრილ მეანაბრეთა მრავალრიცხოვნობა ამტკიცებს სწორედ ღარიბთა მრავალრიცხოვნობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რადგან ამ წვრილ მეანაბრეთა წილი ანაბრების საერთო ჯამში ფრიად უმნიშვნელოა.

იბადება კითხვა, რით განსხვავდება «კრიტიკოსი» სრულიად ჩვეულებრივი ბურჟუასაგან?

გავყვეთ ქვევით. ვნახოთ, რას ხმარდება და სახელდობრ როგორ ხმარდება შემნახველი სალაროების კაპიტალები. რუსეთში ეს კაპიტალები უწინარეს ყოვლისა განამტკიცებენ სამხედრო და პოლიციურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძლიერებას. მეფის მთავრობა (როგორც უკვე აღვნიშნავდით «ისკრის» მე-15 ნომრის მოწინავე სტატიაში)* ამ კაპიტალებს ისევე უკონტროლოდ განაგებს, როგორც ხალხის ყოველ სხვა ქონებას, რომელიც მთავრობას ხელში უვარდება. ის არხეინად «სესხულობს» ამ კაპიტალებიდან ასეულ მილიონებს ჩინეთის წინააღმდეგ თავისი ექსპედიციების ხარჯის გასასტუმრებლად, კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელებისათვის ნასუფრალით დასასაჩუქრებლად, ჯარის ხელახლა შესაიარაღებლად, ფლოტის გასაფართოებლად და სხვ. ასე, მაგალითად, 1899 წელს შემნახველი სალაროების მთელი თანხიდან — 679 მილიონი მანეთიდან 613 მილიონი მანეთი პროცენტიან ქაღალდებში იყო მოთავსებული, სახელდობრ: **230** მილიონი მანეთი სახელმწიფო სესხებში, 215

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი მე-5, გვ. 410 — 417 რედ.

მილიონი მანეთი — საადგილმამულო ბანკების გირავნობის ფურცლებში და 168 მილიონი მანეთი — სარკინიგზო სესხებში.

ხაზინა ძალიან სარფიან «გეშეფტს» აკეთებს: ჯერ ერთი, იგი ისტუმრებს შემნახველი სალაროების ყველა ხარჯს და იღებს წმინდა მოგებას (რომელიც აქამდე გადადიოდა შემნახველი სალაროების სათადარიგო კაპიტალში); მეორეც, იგი აიძულებს მეანაბრეებს დაფარონ ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის ნაკლოვანებანი (აიძულებს სესხად მისცენ ფული ხაზინას). 1894-დან 1899 წლამდე საშუალოდ შემნახველ სალაროებში შეჰქონდათ წელიწადში 250 მილიონი მანეთი, ხოლო გაჰქონდათ 200 მილიონი მანეთი. მაშასადამე, ყოველწლიურად გამოდის ორმოცდაათი მილიონი, რომელიც სესხების სახით ხმარდება სახელმწიფო ხაზინის დახეული ქისის დაკერებას, ხაზინისა, რომელსაც ქურდავს ყველა, ვისაც კი არ ეზარება. მაშ რატომ უნდა აშინებდეთ დეფიციტი, რომელსაც იწვევს ფულის განიავება ომებზე და სასახლის კუდმაჩანჩალათა, მემამულეთა და მეფაბრიკეთა დასაჩუქრება ნასუფრალით! «ხალხის დანაზოგიდან» ყოველთვის შეიძლება დაიფაროს მოზრდილი თანხა!

ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ სარფიან გეშეფტს ხაზინა აკეთებს ნაწილობრივ იმიტომ, რომ ფულადი ანაბრების პროცენტს იგი განუხრელად ამცირებს, და ეს პროცენტი ქაღალდის პროცენტებზე უფრო დაბლა დგას. მაგალითად, 1894 წელს ფულადი ანაბრების პროცენტი შეადგენდა 4,12%, ქაღალდებისა — 4,34%; 1899 წელს — 3,92 და 4,02%. პროცენტის შემცირება, როგორც ვიცით, საერთო მოვლენაა ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, და ეს მოვლენა ყველაზე თვალსაჩინოდ და ნათლად ამტკიცებს მსხვილი კაპიტალისა და მსხვილი წარმოების ზრდას წვრილი წარმოების ხარჯზე, რადგან პროცენტის სიდიდე საბოლოო ანგარიშით განისაზღვრება მოგების მთელი თანხისა და წარმოებაში შეტანილი კაპიტალის

მთელი თანხის თანაფარდობით. სწორედ ასევე არ შეიძლება დუმილით გვერდი ავუაროთ იმასაც, რომ ხაზინა სულ უფრო და უფრო ძლიერ ექსპლოატაციას უწევს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შრომას: წინათ ისინი მხოლოდ ფოსტას განაგებდნენ, შემდეგ ტელეგრაფი მიუმატეს, ახლა მათვე აჰკიდეს დანაზოგთა მიღებისა და გაცემის ოპერაციებიც (გავიხსენოთ, რომ 4 781 სალაროდან 3 718 ფოსტა-ტელეგრაფის სალაროა). მუშაობის დაძაბულობის საშინელი გაძლიერება, სამუშაო დღის გახანგრძლივება, — აი რას მოასწავებს ეს ფოსტა-ტელეგრაფის დაბალ მოსამსახურეთა მასისათვის. მათი ხელფასის თაობაზე კი ხაზინა ძუნწობს, როგორც ყველაზე კრიჟანგი კულაკი: ყველაზე დაბალ მოსამსახურეებს, რომლებიც ახლად იწყებენ სამსახურს, პირდაპირ მ ა თ ხ ო ვ რ ი ს ხელფასი ეძლევათ, და შემდეგ დაწესებულია დაუსრულებელი გრადაცია ხარისხებისა ხუთ-ხუთშაურისა და ათ-ათშაურის მიმატებით, ამასთან ორმოცი-ორმოცდაათი წლის ჭაპანწყვეტის შემდეგ გროშკაპიკების პენსიის პერსპექტივამ კიდევ უფრო ძლიერად უნდა დაამონავოს ეს ნამდვილი «ჩინოვნიკური პროლეტარიატი».

მაგრამ დავუბრუნდეთ სალაროების კაპიტალთა მოხმარებას. ჩვენ ვნახეთ, რომ სალაროები 215 მილიონ მანეთს ათავსებენ (რუსეთის მთავრობის ნებასურვილით) საადგილმამულო ბანკების გირავნობის ფურცლებში და 168 მილიონ მანეთს — სარკინიგზო სესხებში. ამ ფაქტმა საბაბი მისცა კიდევ ერთი ამ ბოლო დროს მეტად გავრცელებული, ბურჟუაზიული... უკაცრავად — «კრიტიკული» ღრმააზროვნების გამოვლინებას. არსებითადო, — გვეუბნებიან ჩვენ ბერნშტეინები, ჰერცები, ჩერნოვები, ბულგაკოვები და მათი მსგავსნი, — ეს ფაქტი ხომ მოწმობს, რომ შემნახველი სალაროების წვრილი მეანაბრენი ხდებიან რ კ ი ნ ი გ ზ ე ბ ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ე ბ ა დ, მიწის გ ი რ ა ვ ნ ო ბ ი ს ფ უ რ ც ლ ე ბ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ე ბ ა დ. ნამდვილადო, — ამბობენ ისინი, — ისეთი წმინდა კაპიტალისტური და კოლოსალურად

მსხვილი საწარმოებიც კი, როგორიცაა რკინიგზები და ბანკები, უფრო და უფრო დეცენტრალიზდება, ქუცმაცდება, წვრილ მესაკუთრეთა ხელში გადადის მათ მიერ აქციების, ობლიგაციების, გირავნობის ფურცლების შესყიდვის საშუალებით და სხვ., ნამდვილად იზრდება მქონებელთა რიცხვი, მესაკუთრეთა რიცხვი, — ეს ვიწრო აზროვნების მარქსისტები კი აჰყოლიან კონცენტრაციის მოძველებულ თეორიას და გაღატაკების თეორიასო. თუ, მაგალითად, რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მუშებს, სტატისტიკის მიხედვით, შემნახველ სალაროებში აქვთ 157 ათასი წიგნაკი 21 მილიონი მანეთის თანხისა, მაშ ამ თანხიდან დაახლოებით 5 მილიონი მანეთი დაბანდებულია სარკინიგზო სესხებში, დაახლოებით 8 მილიონი მანეთი — საადგილმამულო ბანკების გირავნობის ფურცლებში. მაშასადამე, რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მუშები მთელი ხუთი მილიონი მანეთით გამოდიან რკინიგზების მესაკუთრეებად და მთელი რვა მილიონი მანეთით — მიწათმფლობელებადო. მოდი და ილაპარაკე აქ პროლეტარიატზე! მაშასადამე, მუშები ექსპლოატაციას უწევენ მიწათმფლობელებს, ვინაიდან გირავნობის ფურცლების პროცენტების სახით ისინი იღებენ რენტის პაწაწა ნაწილს, ე. ი. ზედმეტი ღირებულების პაწაწა ნაწილს.

დიახ, სწორედ ასეთია მარქსიზმის უახლოეს კრიტიკოსთა მსჯელობის მსვლელობა... და — იცით რა გითხრათ? — კაცმა რომ თქვას, მე მზად ვარ დავეთანხმო იმ ფართოდ გავრცელებულ აზრს, რომ «კრიტიკას» უნდა მივესალმოთ, ვინაიდან მან მოძრაობა შეიტანა ვითომცდა გაყინულ მოძღვრებაში, — მზადა ვარ აი რა პირობით. ერთ ხანს ფრანგი სოციალისტები თავის პროპაგანდისტულ და აგიტატორულ ნიჭს ავარჯიშებდნენ ბასტიას სოფიზმების გარჩევაზე, გერმანელი სოციალისტები — შულცე-დელიჩის[29] სოფიზმების ხლართის გახსნაზე, ჩვენ კი, რუსებს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით წილად გვხვდა მხოლოდ «კრიტიკოსების» კომპანია. და აი, მე მზადა ვარ გავსძახო: «გაუმარჯოს კრიტიკას!» — იმ პირო-

ბ ი თ, რომ ჩვენ, სოციალისტებს, რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ფ ა რ-
თ ო დ შეგვქონდეს ჩვენს პროპაგანდასა და ა გ ი ტ ა ც ი ა ში
მ ა ს ე ბ ს შ ო რ ი ს ახალმოდური «კრიტიკის» ყველა ბურ-
ჟუაზიული სოფიზმის გარჩევა. თანახმა ხართ ამ პირობაზე? —
მაშ მოიტათ ხელი! სხვათა შორის, ჩვენი ბურჟუაზია უფრო
და უფრო სდუმს, მეფის მიქელ-გაბრიელების დაცვას უფრო
ამჯობინებს, ვიდრე ბურჟუაზიული თეორეტიკოსების და-
ცვას, და ჩვენთვის ძალიან მოხერხებული იქნება «კრიტიკოსე-
ბი» ავიყვანოთ «ეშმაკის ადვოკატებად».

შემნახველი სალაროების საშუალებით მუშათა და
წვრილ მწარმოებელთა უფრო და უფრო მეტი რიცხვი ხდება
მსხვილ საწარმოთა მონაწილედ. ეს უეჭველი ფაქტია. მაგრამ
ეს ფაქტი ამტკიცებს არა მესაკუთრეთა რიცხვის ზრდას, არა-
მედ 1) შრომის განსაზოგადოების ზრდას კაპიტალისტურ
საზოგადოებაში და 2) მსხვილი წარმოების მიერ წვრილი
წარმოების მზარდ დამორჩილებას. აიღეთ მცირე ქონების
პატრონი რუსი მეანაბრე. როგორც ვნახეთ, ისინი, ვისაც
100 მანეთამდე აქვს, ნახევარზე მეტს შეადგენენ, სახელ-
დობრ — 1 618 ათასს 42 მილიონი მანეთის კაპიტალით, ე. ი.
ერთ მეანაბრეზე მოდის **26** მანეთი. მაშასადამე, ეს მეანაბრე
6 მანეთით «ფლობს» რკინიგზებს, 9 მანეთით — «საადგილ-
მამულო ქონებას». ამით იგი ხდება თუ არა «მქონებელად»
ან «მესაკუთრედ»? არა, ის პროლეტარად რჩება, რომელიც
იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, ე. ი. მონად
გაუხდეს წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებს. ხოლო
მისი «მონაწილეობა» «სარკინიგზო და საბანკო» საქმეში
მარტო იმას ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი სულ უფრო და
უფრო მჭიდროდ გადახლართავს ხოლმე ერთმანეთში საზო-
გადოების ცალკეულ წევრებს და ცალკეულ კლასებს. პატ-
რიარქალური მეურნეობის დროს ცალკეულ მწარმოებელთა
შორის ურთიერთდამოკიდებულება მთლად უმნიშვნელო იყო;
ახლა იგი სულ უფრო და უფრო მატულობს. შრომა სულ უფ-
რო და უფრო საზოგადოებრივი ხდება, საწარმოები — სულ

უფრო და უფრო ნაკლებად «კერძო» და მაინც თითქმის მთლიანად კერძო პირთა ხელში რჩება.

წვრილი მეანაბრე თავისი მონაწილეობით მსხვილ საწარმოში, უეჭველია, გადაეხლართვის ამ საწარმოს. ვინ საჯგებლობს ამ გადახლართვით? — მსხვილი კაპიტალი, რომელიც აფართოებს თავის ოპერაციებს, წვრილ მეანაბრეს იმაზე მეტს არ აძლევს (ხშირად ნაკლებსაც), ვიდრე ამა თუ იმ გამსესხებელს, და ის მით უფრო მეტად დამოუკიდებელია წვრილი მეანაბრისაგან, რაც უფრო წვრილნი და უფრო დაქსაქსულნი არიან ეს მეანაბრეები. ჩვენ ვნახეთ, რომ წვრილ მეანაბრეთა წილი შემნახველი სალაროების კაპიტალშიც კი ფრიად მცირეა. მაშ რამდენად უმნიშვნელოა ეს წილი რკინიგზებისა და ბანკების მესვეურთა კაპიტალში? წვრილი მეანაბრე, ამ მესვეურებს თავის საცოდავ გროშებს რომ აძლევს, ამით მსხვილი კაპიტალისგან ახალ დამოკიდებულებაში ვარდება. ამ მსხვილი კაპიტალის გამგებლობაზე მას ფიქრიც არ შეუძლია; მისი «მოგება» ისე მცირეა, რომ სასაცილოც კი არის (26 მანეთზე 4% = 1 მანეთი წელიწადში!). სამაგიეროდ, თუ ვინიცობაა კრახი მოხდა, ის მთლიანად ჰკარგავს თავის საცოდავ გროშებსაც კი. ამ წვრილ მეანაბრეთა სიმრავლე მსხვილი კაპიტალის დაქუცმაცებას კი არ ნიშნავს, არამედ მსხვილი კაპიტალის ძლიერების გადიდებას, რომელიც თავის განკარგულებაში იღებს «ხალხის» დანაზოგთა სულ უმცირეს ნამცეცებსაც კი. წვრილი მეანაბრე მსხვილ საწარმოში მონაწილეობით უფრო დამოუკიდებელ მეპატრონედ კი არა ხდება, არამედ მსხვილი მეპატრონისგან უფრო დამოკიდებულ პიროვნებად.

წვრილ მეანაბრეთა რიცხვის ზრდიდან გამომდინარეობს არა დამამშვიდებელი ფილისტერული დასკვნა მქონებელთა რიცხვის ზრდის შესახებ, არამედ რევოლუციური დასკვნა მსხვილ მეანაბრეთაგან წვრილ მეანაბრეთა დამოკიდებულების გაძლიერების შესახებ, იმ წინააღმდეგობის გამწვავების

შესახებ, რომელიც არსებობს საწარმოთა სულ უფრო და უფრო განსაზოგადოებულ ხასიათსა და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების შენარჩუნებას შორის. რაც უფრო მეტად ვითარდება შემნახველი სალაროები, მით უფრო მატულობს წვრილ მეანაბრეთა დაინტერესება პროლეტარიატის სოციალისტური გამარჯვებით, და მხოლოდ ეს გამარჯვება გახდის ამ წვრილ მეანაბრეებს საზოგადოებრივი სიმდიდრის არა ფიქტიურ, არამედ ნამდვილ «მონაწილეებად» და განმკარგულებლებად.

«ისკრა» № 17, 1902 წ. 15 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

## «ისკრის» რედაქციის მოხსენება რსდმპ კომიტეტთა თათბირს (კონფერენციას)[30]

1902 წ. 5 მარტი

ამხანაგებო! ჩვენ მხოლოდ სამი დღის წინ მივიღეთ ცნობა 21 მარტისთვის თათბირის მოწვევის შესახებ, ამასთან ერთად მივიღეთ სრულიად მოულოდნელი ცნობა, რომ კონფერენციის მოწყობის თავდაპირველი გეგმა შეცვლილია პარტიული ყრილობის მოწყობის გეგმით. ჩვენ არ ვიცით, ვინ მოახდინა ეს უეცარი და დაუსაბუთებელი შეცვლა. ჩვენის მხრივ იგი მიგვაჩნია ფრიად მოუხერხებლად; პარტიული თვალსაზრისით არაჩვეულებრივად რთულ და მნიშვნელოვან ნაბიჯთა ასეთი სწრაფი ხელახალი გადაწყვეტის გამო ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ, ჩვენ დაბეჯითებით გირჩევთ დაუბრუნდეთ კონფერენციის მოწყობის თავდაპირველ გეგმას.

ამის აუცილებლობაში რომ დავრწმუნდეთ, ჩვენი აზრით, საკმარისია უფრო მეტი ყურადღებით ჩავუკვირდეთ ყრილობის საკითხების სიას (**Tagesordnung**), რომელიც ჩვენ ასევე მხოლოდ სამი დღის წინ გვეცნობა, ამასთან ჩვენ არ ვიცით, ამ **Tagesordnung**-ის პროექტს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია გვთავაზობს თუ რამდენიმე ორგანიზაცია. სიაში შემდეგი რიგით დასახულია ცხრა საკითხი, რომლებიც ყრილობამ უნდა განიხილოს (საკითხების შინაარსს შემოკლებით გადმოვცემ): **A**) ეკონომიური ბრძოლა; **B**) პოლიტიკური ბრძოლა; **C**) პოლიტიკური აგიტაცია; **D**) 1 მაისი; **E**) ოპოზიციურ ელემენტებთან დამოკიდებულება; **F**) დამოკიდებულე-

ბა რევოლუციურ ჯგუფებთან, რომლებიც პარტიაში არ შემოდიან; G) პარტიის ორგანიზაცია; H) ცენტრალური ორგანო და I) საზღვარგარეთული წარმომადგენლობა და საზღვარგარეთული პარტიული ორგანიზაციები.

ჯერ ერთი, ეს სია თავისი არქიტექტურით და ცალკე საკითხების რედაქციით «ეკონომიზმის» ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რა თქმა უნდა, რომ ორგანიზაცია, რომელიც ამ სიას გვთავაზობს, დღევანდლამდე «ეკონომიურ» შეხედულებებს იზიარებდეს (თუმცა რ ა მ დ ე ნ ა დ მ ე ეს არც მთლად შეუძლებელია), მაგრამ ჩვენ ვთხოვთ ამ-ხანაგებს არ დაივიწყონ, რომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზოგადოებრივ აზრსაც და «ეკონომიზმის» ნაშთებსაც, რომლებიც ჩვენში ჯერ კიდევ გავრცელებულია. აბა ჩაუფიქრდით: პოლიტიკური ბრძოლის მოწინავე პარტია იწვევს თავის ყრილობას ჩვენი ქვეყნის ყველა იმ რევოლუციურ და ოპოზიციურ ძალთა უდიდესი დაძაბულობის მომენტში, რომელთაც დაიწყეს პირდაპირი შეტევა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, — და ჩვენ კი ქვაკუთხედად ვაყენებთ «ეკონომიურ ბრძოლას», რომელსაც მხოლოდ შემდეგ მ ო ს დ ე ვ ს «პოლიტიკა»!! განა ეს ასლი არ არის ჩვენი ეკონომისტების იმ ტრადიციული შეცდომისა, ვითომც პოლიტიკური აგიტაცია (resp.* ბრძოლა) ეკონომიურს უნდა მიჰყვებოდესო? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ევროპის რომელიმე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რევოლუციურ მომენტში მოინდომოს პირველ ადგილზე ყველა საკითხს შორის დააყენოს პროფესიული მოძრაობის საკითხი? ანდა აიღეთ ეს გამოყოფა პოლიტიკური აგიტაციის საკითხისა პოლიტიკური ბრძოლის საკითხისაგან! განა აქ არ გამოსჭვივის ის ჩვეულებრივი შეცდომა, რომელიც პოლიტიკურ აგიტაციას უპირისპირებს პოლიტიკურ ბრძოლას როგორც რაღაც პრინციპულად

---

* — respective — ანუ. რ ე დ.

განსხვავებულს, რაღაც სხვა სტადიისადმი მიკუთვნებულს? ანდა, ბოლოს, რანაირად უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ დემონსტრაციები პირველ ყოვლისა დასახელებულია საკითხთა სიაში, როგორც **ეკონომიური ბრძოლის** საშუალება!?? მართლაცდა, ხომ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ამჟამად სოციალ-დემოკრატიის მიმართ მთელი რიგი უცხო ელემენტები ბრალს სდებენ მთელ სოციალ-დემოკრატიას «ეკონომიზმში»: ბრალს სდებს «ნაკანუნეც» [31], «ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციიც», «სვობოდაც» *, ბრალს სდებს (ასე გასინჯეთ!) «რუსსკოე ბოგატსტვოც» კი. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ, როგორიც უნდა იყოს კონფერენციის რეზოლუციები, უკვე თვით საკითხთა სია ისტორიულ დოკუმენტად დარჩება, რის მიხედვითაც იმსჯელებენ მთელი ჩვენი პარტიის პოლიტიკური განვითარების დონეზე.

მეორე, სია გვაოცებს იმით, რომ აყენებს (ყრილობამდე რამდენიმე დღით ადრე!) ისეთ საკითხებს, რომელთა განხილვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მათი სრული მომზადების შემდეგ, როდესაც შესაძლებლობა არის მივიღოთ ნამდვილად გარკვეული, ნამდვილად გასაგები გადაწყვეტილებანი, — უამისოდ უკეთესია ჯერჯერობით სულაც არ განვიხილოთ ისინი. მაგალითად, E და F პუნქტები: დამოკიდებულება ოპოზიციურ და სხვა რევოლუციურ მიმართულებებთან. აუცილებელია წინდაწინ ყოველმხრივ განვიხილოთ ეს საკითხები, შევადგინოთ მოხსენებები მათ შესახებ, გამოვარკვიოთ არსებული ნიუანსების განსხვავება, — და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ რეზოლუციები, რომლებიც ნამდვილად მოგვცემდნენ რაღაც ახალს, რომლებიც გამოგვადგებოდნენ რეალურ სახელმძღვანელოდ მთელი პარტიისთვის და არა მარტო გაიმეორებდნენ რაიმე ტრადიციულ «ზოგად სიტყვებს». მართლაც, დაუფიქრდით: შეგვიძლია თუ არა რამდენიმე დღეში შევიმუშაოთ საფუძვლიანი, დასაბუთე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 349 — 350. რედ.

ბული გადაწყვეტილება ««სვობოდის» რევოლუციურ-სოციალისტურ ჯგუფთან», ან ახლადმოვლენილ «სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან» დამოკიდებულების საკითხებზე, გადაწყვეტილება, რომელიც ანგარიშს გაუწევდა მოძრაობის ყველა პრაქტიკულ საჭიროებას? ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ, სულ ცოტა რომ ვთქვათ, რა უცნაურ შთაბეჭდილებას მოახდენს ყველაზე იმ რევოლუციურ ჯგუფთა ხსენება, რომელნიც პარტიაში არ შედიან, და ამავე დროს დუმილი ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის «ბუნდთან» დამოკიდებულება და გადასინჯვა პარტიის 1-ლი ყრილობის გადაწყვეტილებათა იმ პარაგრაფებისა, რომლებშიც ლაპარაკია «ბუნდზე»?

მესამე, — და ეს მთავარია, — საკითხების სიას მიუტეველი ხარვეზი ახლავს: სრულიად გვერდავლილია დუმილით რუსეთის თანამედროვე რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი პ ო ზ ი ც ი ა და მისი პ ა რ ტ ი უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ა. ისეთ მომენტში, როდესაც მთელი ქვეყნიერება გაჰკივის «მარქსიზმის კრიზისზე», ხოლო რუსეთის მთელი ლიბერალური პუბლიცისტიკა გაჰკივის მარქსიზმის რღვევასა და გ ა ქ რ ო ბ ა ზ ე ც კი, როდესაც «რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ორი მიმდინარეობის» საკითხი არა მარტო რიგშია დაყენებული, არამედ შესულია კიდეც სისტემატური კითხვის ყოველგვარ პროგრამაში, პროპაგანდისტთა ლექციებისა და თვითგანვითარების წრეების მეცადინეობის პროგრამაში, — ასეთ მომენტში ყოვლად შეუძლებელია ხსენებულ საკითხებს დუმილით გვერდი ავუაროთ. ჩვენზე, ამხანაგებო, უკვე პ რ ე ს ა შ ი ც კი ირონიით ლაპარაკობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი (იხ. ნადეჟდინის «რევოლუციის წინადღე»), რომ შევეჩვიეთ «პატაკით პატაკობას: ყველაფერი რიგზე არისო»!..

საკითხთა სიის ყველა აღნიშნული ნაკლი დამაჯერებლად ამტკიცებს, ჩვენი აზრით, უკვე მოწვეული კონფერენციის ყრილობად გადაქცევის გეგმის არარაციონალობას. ჩვენ, რა-

საკვირველია, გვესმის, თუ რა ძლიერად განიცდის ყველა, რომ პარტიული ყრილობები არ ყოფილა 1898 წლიდან მოყოლებული, თუ რამდენად მიმზიდველია ის აზრი, რომ ვისარგებლოთ კონფერენციის მოწყობაზე დახარჯული ძალღონით, რათა ბოლო მოეღოს «პარტიულ დაწესებულებათა» გარეშე პარტიის» ამ არსებობას. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა — ამ პრაქტიკულ მოსაზრებათა გულისთვის დაგვივიწყნა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობისგან ამჟამად ყველა მოელის გადაწყვეტილებებს, რომლებიც თანადროულობის ყ ვ ე ლ ა რევოლუციურ ამოცანათა სიმაღლეზე იდგება, რომ თუ ჩვენ უკან დავიხევთ ა ხ ლ ა, ასეთ ჭეშმარიტად კრიზისულ მომენტში, — ამით შეგვიძლია დავასამაროთ სოციალ-დემოკრატიის ყველა იმედი პოლიტიკურ ბრძოლაში ჰეგემონიისა, რომ უმჯობესია არ დავინანოთ რამდენიმე ათასი მანეთის დახარჯვა, მოსამზადებელი საორგანიზაციო მუშაობის რამდენიმე თვე და ვისარგებლოთ ამ კონფერენციით იმ მიზნით, რომ ზაფხულისათვის მოვამზადოთ ნამდვილად ს ა ე რ თ ო-პ ა რ ტ ი უ ლ ი ყრილობა, რომელსაც შეეძლება საბოლოოდ გადაწყვიტოს ყველა მორიგი საკითხი თეორიის სფეროშიც (პრინციპული პროგრამა) და პოლიტიკური ბრძოლის სფეროშიც.

შეხედეთ სოციალისტ-რევოლუციონერებს, რომლებიც უფრო და უფრო ხერხიანად იყენებენ ჩვენს ნაკლოვანებებს და წინ მიიწევენ სოციალ-დემოკრატიის საზიანოდ. მათ ეს-ეს არის შექმნეს «პარტია», დააარსეს თ ე ო რ ი უ ლ ი ორგანო, დაადგინეს შექმნან ყ ო ვ ე ლ თ ვ ი უ რ ი პოლიტიკური გაზეთი. რას იტყვიან სოციალ-დემოკრატებზე, თუ ისინი ასეთი ამბის შ ე მ დ ე გ ვერ შესძლებენ თავის ყრილობაზე მიაღწიონ თ უ ნ დ ა ც მ ხ ო ლ ო დ ა ს ე თ შედეგებს? განა საფიქრებელი არ არის, რომ შეგვიძლია გამოვიწვიოთ ისეთი შთაბეჭდილება, რომ პროგრამული გარკვეულობისა და რევოლუციური ორგანიზაციის მხრივ სოციალ-დემოკრატები წინ ვერ

წავიდნენ ამ «პარტიაზე», რომელიც თავის ირგვლივ შეგნებულად აჯგუფებს ყოველგვარ ელემენტებს, რომელნიც გაურკვეველნი არიან, რომელნიც ვერ გარკვეულან და რომელთა გარკვევაც კი არ შეიძლება?

ყოველივე ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომიტეტების წარმომადგენელთა ეს ყრილობა უნდა გამოვაცხადოთ არა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე მორიგ ყრილობად, არამედ კერძო კონფერენციად და ამ კონფერენციის მთავარ და უშუალო ამოცანად დავსახოთ ზაფხულისათვის ნამდვილი საერთოპარტიული ყრილობის მოწყობა და მომზადება, რომელსაც შეეძლება პარტიის პროგრამის დამტკიცებაც და პარტიის ყოველკვირეული პოლიტიკური ორგანოს გამოცემის საბოლოო მოგვარებაც, და საერთოდ მივაღწიოთ სოციალ-დემოკრატთა ყველა კომიტეტისა და ყველა ჯგუფისაც კი (სტამბისა და სხვ.) სრულ და ფაქტიურ გაერთიანებას პრინციპული სიმტკიცისა, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპებისადმი ერთგულებისა და შეტევითი პოლიტიკური მოქმედებისათვის ნამდვილი საბრძოლო მზადყოფნის ნიადაგზე.

გამოვდივართ რა ამ ძირითადი აზრიდან, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ამხანაგების განსახილველად წარმოვადგინოთ ჩვენი კონფერენციის შემდეგი **Tagesordnung:**

1. პრინციპული რეზოლუცია. ამ რეზოლუციაში აუცილებლად საჭიროა სრული გარკვეულობით გამოვთქვათ აზრი ჩვენი თეორიისა და ჩვენი ამოცანების შეზღუდვის იმ სამწუხარო ცდების წინააღმდეგ, რომლებიც საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული უახლოეს წარსულში. ყოველგვარი ასეთი შეზღუდვის მკვეთრად უარყოფით პარტიული კონფერენცია გააკეთებს მნიშვნელოვან საქმეს ყველა სოციალ-დემოკრატის პრინციპული გაერთიანებისათვის და აამაღლებს რევოლუციური მარქსიზმის შერყეულ პრესტიჟს. იქნებ ზოგიერთმა ამხანაგმა შიში გამოსთქვას, რომ პრინცი-

პული რეზოლუციის განხილვა დიდ დროს წაგვართმევს და ზიანს მოუტანს პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობას? ჩვენ სრულიადაც არ ვიზიარებთ ამ შიშს, რადგან ვფიქრობთ, რომ არალეგალურ პრესაში წარმოებულმა ხანგრძლივმა კამათმა იმდენად გაარკვია საკითხი, რომ ჩვენ ძალიან სწრაფად და ადვილად შევთანხმდებით რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპთა საფუძველზე. პრინციპულ რეზოლუციას კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეველევით.

გარდა ამისა, ამ საკითხის მოხსნა კონფერენციის **Tagesordnung**-იდან სულ ერთია ვერ მიაღწევდა მიზანს, რადგან ეკონომიურ ბრძოლაზე, პოლიტიკურ ბრძოლაზე და სხვ. რეზოლუციების განხილვის დროს აუცილებლად წამოიჭრებოდა იგივე საკითხი, ოღონდ უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტი სახით. ამიტომ გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნება ჯერ მოვათავოთ ეს და კი არ დავაქუცმაცოთ ჩვენი რეზოლუციები პოლიტიკური აგიტაციის, გაფიცვებისა და სხვ. შესახებ, არამედ დალაგებით გამოვთქვათ შეხედულება ჩვენს ძირითად ამოცანებზე.

ჩვენი მხრივ, შეევეცდებით მოვხაზოთ ასეთი რეზოლუციის პროექტი და მოვათავსოთ იგი ამ მოხსენების დამატებაში (თუ ამის გაკეთებას მოვასწრებთ).

2. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს წინასწარი (და, რა თქმა უნდა, რამდენადმე სავარაუდო) გადაწყვეტა საკითხისა ყრილობის დროის შესახებ (ზაფხული ან, სულ გვიან, შემოდგომა, ვინაიდან სასურველია საქმე მოვათავოთ მომავალი «სეზონის» დასაწყისისათვის), მისი ადგილის შესახებ (ამასთან უნდა გულდასმით აიწონ-დაიწონოს კონსპირაციული პირობები), მისი მოწყობისათვის საჭირო თანხების შესახებ («ისკრა», თავის მხრივ, მზად არის ახლავე გადასდოს ამ მიზნით 500 მანეთი მის მიერ მიღებული ერთი სპეციალური შემოწირულებიდან; შესაძლოა, მალე ვიშოვოთ კიდევ ამდენი, ანდა

უფრო მეტიც. საჭიროა განვიხილოთ, დაახლოებით რამდენ ათას მანეთად დაჯდება ეს და სახელდობრ როგორ შევაგროვოთ დანაკლისი), — დასასრულ, წარმომადგენლობის საერთო საფუძვლებისა და შესაძლო სისრულის შესახებ (ე. ი. რათა წარმოდგენილი იყვნენ წინასწარ გარკვეულად დასახული კომიტეტები და განსაზღვრული ჯგუფები, შესაძლოა, რუს სოციალ-დემოკრატთა წრეებიც, რომ არაფერი ვთქვათ ორივე საზღვარგარეთული ს.-დ. ორგანიზაციის წარმომადგენლობის შედარებით იოლ ამოცანაზე; უნდა დავადგინოთ იმ ორგანიზაციების ყრილობაზე მოწვევის საკითხის განხილვის წესიც, რომლებიც შეიქმნებიან კონფერენციასა და ყრილობას შუა განვლილი დროის განმავლობაში, და სხვ. და სხვ.).

3. ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა რ ჩ ე ვ ა. ამ საორგანიზაციო კომიტეტის ამოცანა იქნებოდა, საერთოდ რომ ვთქვათ, კონფერენციის გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანა, ყრილობის მომზადება და მოწყობა, მისი დროისა და ადგილის საბოლოო განსაზღვრა, მისი პრაქტიკული ორგანიზაცია, ისეთი ფუნქციების მომზადება, როგორიც არის ტრანსპორტი, რუსეთში პარტიული სტამბების მოწყობა («ისკრის» დახმარებით რუსეთში დაარსდა ჩვენი გამოცემების თანამგრძნობი ორი ადგილობრივი სასტამბო ჯგუფი, რომელთაც მოასწრეს და უკვე გამოსცეს თავიანთ სტამბებში «ისკრის» 10 და 11 ნომრები, ბროშურები: «შემდეგ რა ვქნათ?», «მოროზოვის ფაბრიკის გაფიცვის 10 წლისთავი», «პეტრე ალექსეევის სიტყვა»[32], «საბრალდებო აქტი ობუხოვის საქმეზე» და სხვა მრავალი, მთელ რიგ ფურცლებთან ერთად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ადგილობრივი ჯგუფების წარმომადგენლები შესძლებენ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციის მუშაობაში და რომ ისინი ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ საერთო პარტიული ამოცანების განხორციელებას), — შემდეგ, ხელისშეწყობა ყოველგვარი ადგილობრივი, პროფესიული (მუშათა), სტუდენტთა და სხვა ორგანიზაციებისათვის და სხვა და სხვა. სამი-ოთხი თვის განმავლო-

ბაში ეს საორგანიზაციო კომიტეტი, ყველა ორგანიზაციის დახმარებით, სავსებით მოამზადებდა ნიადაგს ნამდვილი ცენტრალური კომიტეტის შესაქმნელად, რომელსაც შეეძლება **de facto** * უხელმძღვანელოს ჩვენი პარტიის მთელ პოლიტიკურ ბრძოლას.

საორგანიზაციო კომიტეტის ამოცანების სირთულისა და მრავალმხრიობის გამო, ჩვენი აზრით, მისი შემადგენლობა არ უნდა იყოს ფრიად მცირერიცხოვანი (5 — 7 კაცი); მათ წინადადება უნდა მიეცეთ აირჩიონ ბიურო, გაინაწილონ ფუნქციები და რამდენჯერმე შეიკრიბონ ყრილობამდე.

4. კომისიის არჩევა პარტიული პროგრამის პროექტის შესამუშავებლად. რადგანაც «ისკრის» რედაქცია (და მათ შორის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფიც) უკვე დიდი ხანია მუშაობს ამ ძნელ საქმეზე, ამიტომ ჩვენს თავს ნებას მივცემთ ასეთი გეგმა შევთავაზოთ ამხანაგებს. ჩვენ უკვე დამთავრებული გვაქვს პროგრამის პრაქტიკული ნაწილის მთელი პროექტი, მათ შორის აგრარული პროგრამის პროექტიც; გარდა ამისა შედგენილია პროგრამის პრინციპული ნაწილის ორი ვარიანტი. ჩვენი წარმომადგენელი კონფერენციას გააცნობს ამ პროექტებს, თუ ეს საჭიროდ იქნება ცნობილი და თუ იგი, თავის მხრივ, დაბრკოლებას არ შეხვდება. ამ ორი ვარიანტიდან ჩვენ ახლა ვადგენთ ერთ საერთო პროექტს, ამასთან მისი გამოქვეყნება შავად, ე. ი. ამ მუშაობის დამთავრებამდე, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვინდა. კონფერენციამ რომ რამდენიმე კაცი აირჩიოს ჩვენს რედაქციასთან შესაერთებლად პროგრამის შემუშავებისთვის, შეიძლება ეს საკითხის ყველაზე პრაქტიკულ გადაწყვეტა ყოფილიყო.

ჩვენის მხრივ, ყოველ შემთხვევაში, შეგვიძლია ახლავე ვიკისროთ ფორმალური ვალდებულება ამხანაგების წინაშე — რამდენიმე კვირის შემდეგ წარმოვადგინოთ პარტიული

---

* — ფაქტიურად, საქმით. რ ე დ.

პროგრამის საბოლოო პროექტი, რომლის დაბეჭდვა წინასწარ გვინდოდა «ისკრაში» ყ ვ ე ლ ა ამხანაგისათვის გასაცნობად და მათი შენიშვნების მისაღებად.

5. ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო. ვინაიდან ფრიად ძნელია ისეთი პერიოდული ორგანოს დაარსება, რომელიც წესიერად გამოვიდოდა და ლიტერატურული და ტექნიკური მხრით საკმაოდ მოწყობილი იქნებოდა, — კონფერენცია, პარტიის 1-ლი ყრილობის მაგალითისამებრ, ალბათ, შეჩერდება ერთ-ერთ არსებულ ორგანოზე. ასე გადაწყდება ეს საკითხი, თუ დასახული იქნება მთლად ახალი ორგანოს დაარსება, ყოველ შემთხვევაში, ცალკე კომისიას, ანდა უფრო უკეთესია, იმავე საორგანიზაციო კომიტეტს უნდა მიენდოს ამ საქმის მომზადება და მისი ყოველმხრივ განხილვა არსებულ ან ახლადარჩეულ რედაქციასთან ერთად.

ჩვენი აზრით, აუცილებელი იქნება ამ განხილვაში ჩავაბათ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფიც, რომლის მონაწილეობისა და ხელმძღვანელობის გარეშე ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია პრინციპულად მტკიცე და საერთოდ მოძრაობის ყველა საჭიროების დამაკმაყოფილებელი პოლიტიკური ორგანოს წესიერი დაყენება.

რადგანაც უკვე კონფერენციამდე იყო ცდა — მოგვეწყო ორკვირეული ორგანო, ამიტომ პარტიამ უახლოეს ამოცანად უნდა დასახოს ყ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი გ ა ზ ე თ ი ს გამოცემის მოგვარება: ეს სავსებით შესაძლებელი იქნება იმ პირობით, თუ ყ ვ ე ლ ა რუსი სოციალ-დემოკრატი მართლაც ე რ თ ა დ იმუშავებს ასეთი ორგანოსათვის.

6. პ ა რ ტ ი უ ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა კ ი თ ხ თ ა ს ი ი ს ა და ა მ ს ა კ ი თ ხ ებ ზ ე მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა თ ა მ ო მ ზ ა დ ე ბ ა. კონფერენციამ ნაწილობრივ თვითონ უნდა დასახოს და ნაწილობრივ საორგანიზაციო კომიტეტს მიანდოს ამ სიის შედგენა და თვითეულ საკითხზე მომხსენებლების ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ დანიშვნა (resp. გამოძებნა). მხოლოდ მომხსენებლების წინასწარი დანიშვნის პირობით შეიძლება

უზრუნველვყოთ საკითხების ნამდვილად ყოველმხრივი განხილვა — (ზოგიერთი მოხსენება სრულად ან ნაწილობრივ შეიძლებოდა წინასწარ დაბეჭდილიყო და განხილულიყო პრესაში: მაგალითად, ჩვენ იმედი გვაქვს მალე დავბეჭდოთ რედაქციის ერთ-ერთი წევრის თითქმის უკვე დამთავრებული რეფერატი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამის შესახებ* და სხვ.) — და მათი სწორი გადაწყვეტა ყრილობაზე.

7. მოძრაობის მიმდინარე პრაქტიკული საკითხები, — მაგალითად, (ა) სამაისო ფურცლის განხილვა და მიღება (resp. «ისკრისა» და სხვა ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ფურცლის პროექტთა განხილვა);

(ბ) სამაისო დემონსტრაცია — მისი მოწყობის დრო და საშუალებანი;

(გ) საორგანიზაციო კომიტეტისთვის მინდობა — ხელი შეუწყოს ბოიკოტების, დემონსტრაციებისა და სხვ. მოწყობას, აგრეთვე საერთო-სახალხო აჯანყებისათვის თანდათანობითი მომზადება პარტიის წევრთა შეგნებისაც, პარტიის ძალებისაც და საშუალებებისაც;

(დ) სხვადასხვა ფინანსური საკითხები საორგანიზაციო კომიტეტის ხარჯების შესახებ და სხვ.

---

ვამთავრებთ რა ამით ჩვენს მოხსენებას ჩვენი ყრილობის ამოცანებისა და **Tagesordnung**-ის საკითხების შესახებ, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ «ისკრის» მუშაობის შესახებ დაწვრილებითი მოხსენების შედგენა ჩვენთვის სრულიად შეუძლებელია დროის უკიდურესი სიმცირის გამო. ამიტომ იძულებული ვართ დავჯერდეთ ქვემომოყვანილ მოკლე მონახაზს.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 121 — 178. რედ.

## (NB *) შავად მრავნახაზი რეზოლუციისა

1. კონფერენცია გადაჭრით უკუაგდებს პროლეტარიატის რევოლუციურ კლასობრივ მოძრაობაში ოპორტუნიზმის შეტანის ყველა და ყოველგვარ ცდას, რაც გამოიხატა ეგრეთწოდებული «მარქსიზმის კრიტიკით», ბერნშტეინელობითა და ეკონომიზმით. იმ დროს, როდესაც ყველა ქვეყნის ბურჟუაზია სიხარულს ეძლევა ყბადაღებული «კრიზისის გამო სოციალიზმში», კონფერენცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით აცხადებს თავის სოლიდარობას საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან და თავის მტკიცე რწმენას, რომ ამ კრიზისიდან სოციალ-დემოკრატია გამოვა უფრო მეტად განმტკიცებული და მომზადებული ულმობელი ბრძოლისათვის თავისი დიადი იდეალების განსახორციელებლად.

2. კონფერენცია თავის სოლიდარობას აცხადებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მანიფესტთან და ადასტურებს, რომ მას პარტიის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად მიაჩნია თვითმპყრობელობის დამხობა. კონფერენცია აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატია ამ უახლოესი ამოცანის განხორციელებისაკენ მიმართული თავისი მოქმედებისა და აგრეთვე თავისი საბოლოო მიზნის ქვაკუთხედად სთვლის ყოველმხრივსა და საყოველთაო-სახალხო პოლიტიკურ აგიტაციას, რომელიც პროლეტარიატს მოუწოდებს ებრძოლოს ეკონომიური, პოლიტიკური, ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის ყველა გამოვლინებას, მოსახლეობის რა ნაწილის წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული ეს ჩაგვრა. კონფერენცია აცხადებს, რომ პარტია მხარს დაუჭერს ყოველგვარ რევოლუციურ და პროგრესულ-ოპოზიციურ მოძრაობას არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ. როგორც ბრძოლის პრაქტიკული

* — Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

საშუალება, კონფერენციას განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნია მოეწყოს ბოიკოტები, მანიფესტაციები თეატრებში და სხვ., აგრეთვე ორგანიზებული მასობრივი დემონსტრაციები. კონფერენცია ურჩევს პარტიის ყველა კომიტეტსა და ჯგუფს მიაქციონ ყურადღება იმას, რომ აუცილებელია მოსამზადებელი ღონისძიებანი საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყებისათვის მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

3. კონფერენცია აცხადებს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია კვლავინდებურად უხელმძღვანელებს პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას, იზრუნავს ამ ბრძოლის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, მისი იდეური და ორგანიზაციული კავშირის განმტკიცებისათვის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობასთან, ეცდება, რომ ამ ბრძოლის ყოველი გამოხატულება გამოიყენოს პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნების გასავითარებლად და მის ჩასაბმელად პოლიტიკურ ბრძოლაში. კონფერენცია აცხადებს, რომ არავითარი საჭიროება არაა აგიტაცია გავწიოთ ჯერ მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე ანდა საერთოდ ეკონომიური აგიტაცია ჩავთვალოთ ყველაზე ფართოდ გამოსაყენებელ საშუალებად მასების ჩაბმისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში.

**(NB:** ძალიან საჭიროა აქაც ერთხელ კიდევ **დავიჭიროთ «რაბოჩეე დელო»** [3]**!!)**

4. (იქნებ, გლეხობის შესახებ ჩვენი აგრარული პროგრამის მიხედვით?

ვეცდები შევადგინო და მაშინვე გამოვაგზავნო.)

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს , იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით **ნ. ლ ე ნ ი ნ ი ს** (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი V

# რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა[34]

დაწერილია 1902 წ. თებერვალში —
მარტის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1902 წ.
აგვისტოში ჟურნალ «ზარიაში» № 4
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით



# Аграрная программа русской социал-демократии.

## I

Вопрос о самой надлежащей подробно дождаться, необходимости аграрной программы для русской с.-д. партии. Поэтому аграрной программой мы разумеем определение руководящих начал социал-демократической политики в аграрном вопросе т. е. по отношению к сельскому хозяйству, к крестьянскому обществу, селу и, вообще, сельскому населению. В такой „крестьянской" стране, как Россия, аграрная программа социал-демократии является главным, если не исключительным, образом, „крестьянской программой", программой, определяющей отношение к крестьянскому вопросу. Кроме дворянства, абсолютизма, самодержавия, крестьяне — вот главные элементы

# I

არა გვგონია საჭირო იყოს დაწვრილებით მტკიცება, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის აუცილებელია «აგრარული პროგრამა». აგრარულ პროგრამად ჩვენ ვგულისხმობთ აგრარულ საკითხში, ე. ი. სოფლის მეურნეობის მიმართ, სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა კლასის, ფენისა და ჯგუფის მიმართ სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის სახელმძღვანელო საწყისების განსაზღვრას. ისეთ «გლეხურ» ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სოციალისტების აგრარული პროგრამა ბუნებრივად წარმოადგენს, თუ მხოლოდ და მხოლოდ არა, უმთავრესად «გლეხურ პროგრამას», პროგრამას, რომელიც განსაზღვრავს გლეხთა საკითხთან დამოკიდებულებას. მსხვილი მიწათმფლობელნი, სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშები და «გლეხები» — ასეთია სოფლის მოსახლეობის სამი მთავარი შემადგენელი ნაწილი ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც. და რამდენადაც უკვე თავისთავად გარკვეული და ნათელია სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულება აღნიშნული სამი შემადგენელი ნაწილიდან პირველ ორთან (მიწათმფლობელებთან და მუშებთან), იმდენად გაურკვეველია თვით «გლეხობის» ცნებაც კი და მით უფრო ჩვენი პოლიტიკა მისი ყოფაცხოვრებისა და მისი ევოლუციის ძირითადი საკითხების მიმართ. თუ დასავლეთში სოციალ-დემოკრატების აგრარული პროგრამის მთელ ღერძს სწორედ «გლეხთა საკითხი» შეადგენს, რუსეთში ეს გაცილებით უფრო მეტად უნდა იყოს. ჩვენთვის, რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის, გლეხთა სა-

კითხში ჩვენი პოლიტიკის უაღრესად ნათელი განსაზღვრა მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენი მიმართულება რუსეთში ჯერ კიდევ სავსებით ნორჩია, რომ მთელი ძველი რუსული სოციალიზმი, საბოლოო ანგარიშით, «გლეხური» სოციალიზმი იყო. მართალია, რუსი «რადიკალების» იმ მასას, რომელსაც თავი მიაჩნია ჩვენებური ყოველგვარი ელფერის სოციალისტ-ნაროდნიკების მიერ დატოვებული მემკვიდრეობის დამცველად, სოციალისტური თითქმის სრულიად აღარაფერი შერჩა. მაგრამ ყველა ისინი მით უფრო ხალისით აყენებენ პირველ რიგში თავის უთანხმოებას ჩვენთან «გლეხთა საკითხში», რაც უფრო სასიამოვნოა მათთვის მიჩქმალონ ის ფაქტი, რომ რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ავანსცენაზე უკვე გაჩნდა «მუშათა საკითხი», რომ ამ საკითხში მათ არავითარი მტკიცე დასაყრდენი არ გააჩნიათ, ხოლო მათი ცხრა მეათედი აქ, არსებითად, სრულიად ჩვეულებრივი ბურჟუაზიული სოციალ-რეფორმატორები არიან. დასასრულ, მრავალრიცხოვანი «კრიტიკოსები მარქსიზმისა», რომლებიც ამ მხრივ თითქმის სავსებით შეუერთდნენ რუს რადიკალებს (თუ ლიბერალებს?), აგრეთვე ცდილობენ დააწვნენ სწორედ გლეხთა საკითხს, რაშიაც «ორთოდოქსალური მარქსიზმი» ვითომ ყველაზე მეტად არის შერცხვენილი «უახლესი შრომებით» ბერნშტეინებისა, ბულგაკოვებისა, დავიდებისა, ჰერცებისა და... ჩერნოვებისაც კი!

შემდეგ, «მოწინავე» მიმართულებათა თეორიული გაურკვევლობისა და ომის გარდა, თვითონ მოძრაობის წმინდა პრაქტიკული საჭიროებანი ამ უკანასკნელ ხანს აყენებენ სოფლად პროპაგანდისა და აგიტაციის ამოცანას. ხოლო ამ საქმის რაოდენადმე სერიოზულად და ფართოდ დაყენება შეუძლებელია, თუ არ გვექნება პრინციპულად გამართული და პოლიტიკურად მიზანშეწონილი პროგრამა. და რუსი სოციალ-დემოკრატები, როგორც კი ამ ქვეყნად გაჩნდნენ ცალკე მიმართულების სახით, აღიარებდნენ «გლეხთა საკითხის» მთელ მნიშვნელობას. მოგაგონებთ, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის პროექტში, რომელიც შედგენი-

ლია «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ და გამოცემულია 1885 წელს, არის მოთხოვნა «რადიკალურად გადაისინჯოს აგრარული ურთიერთობანი (მიწის გამოსყიდვისა და გლეხებისათვის მისი დარიგების პირობები)» *. ბროშურაში «სოციალისტების ამოცანები რუსეთის შიმშილობასთან ბრძოლაში» (1892 წ.) გ. ვ. პლეხანოვიც ლაპარაკობდა სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკაზე გლეხთა საკითხში.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ «ისკრაც» თავის ერთ-ერთ პირველ ნომერში (1901 წ. აპრილი, № 3) გამოვიდა აგრარული პროგრამის მონასახით და სტატიაში «მუშათა პარტია და გლეხობა» ** განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება რუსი სოციალ-დემოკრატების აგრარული პოლიტიკის საფუძვლების მიმართ. ამ სტატიამ საგონებელში ჩააგდო ძალიან ბევრი რუსი სოციალ-დემოკრატი; მის გამო ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი შენიშვნები და წერილები რედაქციის მიმართ. მთავარი დავა გამოიწვია ჩამონაჭერთა დაბრუნების პუნქტმა, და ჩვენ უკვე განზრახული გვქონდა გაგვეხსნა ამ საკითხზე დისკუსია «ზარიაში», როცა გამოვიდა «რაბოჩეე დელოს» № 10 მარტინოვის სტატიით, სადაც გარჩეულია, სხვათა შორის, «ისკრის» აგრარული პროგრამაც. რადგან «რაბოჩეე დელომ» ჯამი გაუკეთა ბევრ გავრცელებულ საწინააღმდეგო აზრს, — იმედი გვაქვს, ჩვენი კორესპონდენტები არ დაგვემდურებიან იმის გამო, რომ ჯერჯერობით მარტო მარტინოვისათვის პასუხის გაცემას დავჯერდებით.

მე ხაზს ვუსვამ სიტყვას ჯერჯერობით აი რა გარემოებათა გამო. «ისკრაში» გამოქვეყნებული სტატია დაწერილი იყო რედაქციის ერთ-ერთი წევრის მიერ, და მისი დანარჩენი წევრები, რომლებიც ეთანხმებოდნენ ავტორს საკითხის ზოგად დაყენებაში, რასაკვირველია, შეიძლებოდა სხვადასხვა

---

* იხ. დანართი პ. ბ. აქსელროდის ბროშურისა: «რუსი სოციალ-დემოკრატების თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის». ჟენევა, 1898.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი მე-4, გვ. 517 — 527. რ ე დ.

აზრისანი ყოფილიყვნენ დეტალების, ცალკეული პუნქტების გამო. ამავე დროს მთელი ჩვენი სარედაქციო კოლეგია (ე. ი. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფიც მათ შორის) მუშაობდა ჩვენი პარტიის პროგრამის კოლექტიური, სარედაქციო პროექტის შემუშავებაზე. ეს საქმე გაჭიანურდა (ნაწილობრივ სხვადასხვა პარტიულ საქმეთა და ზოგიერთ კონსპირაციულ გარემოებათა გამო, ნაწილობრივ იმის გამო, რომ პროგრამის ყოველმხრივი განხილვისათვის განსაკუთრებული ყრილობა იყო საჭირო) და მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს დამთავრდა. ვიდრე ჩამონაჭერთა დაბრუნების პუნქტი ჩემ პირად აზრად რჩებოდა, მე არ ვჩქარობდი მის დაცვას, ვინაიდან ჩემთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩვენი აგრარული პოლიტიკის საკითხის ზოგადი დაყენება, ვიდრე ეს ცალკე პუნქტი, რომელიც შეიძლებოდა ჯერ კიდევ უარყოფილი ან არსებითად შეცვლილი ყოფილიყო ჩვენს საერთო პროექტში. ამჟამად მე დავიცავ უკვე ამ საერთო პროექტს. ხოლო «მეგობარ-მკითხველს», რომელმაც არ დაიზარა გაეზიარებინა ჩვენთვის ჩვენი აგრარული პროგრამის კრიტიკა, ახლა ვთხოვთ შეუდგეს ჩვენი საერთო პროექტის კრიტიკას.

## II

მოვიყვანოთ მთლიანად ამ პროექტის «აგრარული» ნაწილი.

«ძველი ბატონყმური წყობილების ნაშთთა აღმოფხვრის მიზნით და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ეცდება:

1. გაუქმდეს გამოსასყიდი და სალალო გადასახდელი, აგრეთვე ყოველგვარი ბეგარა, რომელიც ამჟამად აწევს გლეხობას, როგორც მოხარკე წოდებას;

2. გაუქმდეს ურთიერთთავდებობა და ყველა ის კანონი, რომელიც ზღუდავს გლეხს — იყოს თავისი მიწის განმკარგულებელი;

3. დაუბრუნდეს ხალხს მისგან გამოსასყიდი და საღალო გადასახდელის სახით აღებული ფულადი თანხა; ამ მიზნით მოხდეს სამონასტრო ქონებისა და საუფლისწულო მამულების კონფისკაცია, აგრეთვე დაიბეგროს განსაკუთრებული გადასახადით იმ მსხვილ მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა მიწები, რომლებმაც ისარგებლეს გამოსასყიდი სესხით; ამ გზით მიღებული თანხებიდან შესდგეს განსაკუთრებული სახალხო ფონდი სოფლის საზოგადოებათა კულტურულ და საქველმოქმედო საჭიროებათათვის;

4. დაარსდეს გლეხთა კომიტეტები:

ა) სოფლის საზოგადოებათათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის საშუალებით ან — იმ შემთხვევაში, თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა, — გამოსყიდვის და სხვ. გზით), რომლებიც ჩამოეჭრათ გლეხებს ბატონყმობის გაუქმების დროს და მემამულეთა ხელში წარმოადგენენ გლეხების დამონების იარაღს;

ბ) ბატონყმობის იმ ნაშთების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შერჩენილია ურალში, ალტაიში, დასავლეთ მხარეში და სახელმწიფოს სხვა ოლქებში;

5. მიენიჭოს სასამართლოებს უფლება — შეამცირონ უზომოდ დიდი საიჯარო ქირა და ძალადაკარგულად გამოაცხადონ გარიგებანი, რომელთაც კაბალური ხასიათი აქვთ».

მკითხველს, იქნებ, გაუკვირდეს, რომ «აგრარულ პროგრამაში» არ არის არავითარი მოთხოვნა სოფლის დაქირავებული მუშების სასარგებლოდ. ამის გამო შევნიშნავთ, რომ ასეთი მოთხოვნები შესულია პროგრამის წინა განყოფილებაში, სადაც არის მოთხოვნები, რომლებსაც ჩვენი პარტია აყენებს «მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს დასაცავად ფიზიკური და ზნეობრივი გადაშენებისაგან, აგრეთვე თავისი განთავისუფლებისათვის მისი ბრძოლის უნარის გასაძლიერებლად». ჩვენ მიერ ხაზგასმით აღნიშნული სიტყვები მოიცავენ ყ ვ ე ლ ა დაქირავებულ მუშას, მათ შორის სოფლის მუშებსაც, და პროგრამის ამ განყოფილების 16-ვ ე პ უ ნ ქ ტ ი ს ო ფ ლ ი ს მ უ შ ე ბ ს ა ც ეხება.

მართალია, მრეწველობისა და სოფლის მუშების ამ გაერთიანებას ერთ განყოფილებაში, პროგრამის «აგრარულ» ნაწილში კი მხოლოდ «საგლეხო» მოთხოვნების დატოვებას ის უხერხულობა აქვს, რომ სოფლის მუშების სასარგებლო მოთხოვნები თვალში არ გვხვდება, ერთი შეხედვით შეუმჩნეველია. პროგრამის ზერელედ გაცნობისას შეიძლება სრულიად უმართებულო წარმოდგენაც კი შეიქმნას, თითქოს ჩვენ განზრახ ვჩქმალავდით სოფლის დაქირავებული მუშების სასარგებლო მოთხოვნებს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს წარმოდგენა ძირფესვიანად შემცდარი იქნება. აღნიშნული უხერხულობა კი, არსებითად, წმინდა გარეგანი ხასიათისაა. ეს უხერხულობა ადვილად შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ პროგრამის უფრო ყურადღებით გაცნობითაც და მისი კომენტარითაც (ჩვენი პარტიული პროგრამა კი «ხალხში გავა», რა თქმა უნდა, მხოლოდ ისე, რომ მას თან ახლდება არა მარტო ნაბეჭდი, არამედ, — რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, — ზეპირი კომენტარები). თუ რომელიმე ჯგუფი მოისურვებს მიმართოს სპეციალურად სოფლის მუშებს, — მან მხოლოდ უნდა გამოჰყოს მუშების სასარგებლო ყველა მოთხოვნიდან სწორედ ის მოთხოვნები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია მოჯამაგირეებისათვის, დღიურად მომუშავეებისათვის და სხვ., და გადმოსცეს ეს მოთხოვნები ცალკეულ ბროშურაში, ფურცელში ან მთელ რიგ ზეპირ მოხსენებებში.

პრინციპული მხრივ პროგრამის განსახილველ განყოფილებათა ერთადერთ სწორ რედაქციას წარმოადგენს სახელდობრ ისეთი რედაქცია, რომელიც ერთად შეაერთებდა დაქირავებული მუშების სასარგებლო ყველა მოთხოვნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ზუსტად გამოჰყოფდა ცალკე განყოფილებად «გლეხთა» სასარგებლო მოთხოვნებს, რადგან ძირითადი კრიტერიუმი იმისა, თუ რა შეგვიძლია და რა უნდა მოვითხოვოთ პირველ და მეორე შემთხვევაში, სრულიადაც არ არის ერთი და იგივე. პროგრამის ამ ორი განყოფილების პრინციპული განსხვავება,

პროექტის მიხედვით, გამოხატულია თვითეული განყოფილების შესავალ სიტყვებში.

დაქირავებული მუშების სასარგებლოდ ჩვენ მოვითხოვთ ისეთ რ ე ფ ო რ მ ებ ს, რომლებიც «დაიცავენ მათ ფიზიკური და ზნეობრივი გადაშენებისაგან და აძლიერებენ მათი ბრძოლის უნარს»; გლეხთა სასარგებლოდ კი ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ ისეთ ც ვ ლ ი ლ ებ ებ ს, რომლებიც ხელს შეუწყობენ «ძველი ბატონყმური წყობილების ნაშთების აღმოფხვრას და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალ განვითარებას». აქედან ჩანს, რომ ჩვენი მოთხოვნები გლეხთა სასარგებლოდ გაცილებით უფრო ვიწროა, რომ ეს მოთხოვნები გაცილებით უფრო ზომიერ პირობებში, უფრო ვიწრო ჩარჩოებშია მოქცეული. დაქირავებული მუშების მიმართ ჩვენ ვკისრულობთ მათი, რ ო გ ორ ც თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ი ს კ ლ ა ს ი ს, ინტერესების დაცვას; ჩვენ ამას ვაკეთებთ იმიტომ, რომ მათი კლასობრივი მოძრაობა ერთადერთ ნ ა მ დ ვ ი ლ ად რევოლუციურ მოძრაობად მიგვაჩნია (შეადარეთ პროგრამის პრინციპულ ნაწილში სიტყვები მუშათა კლასის დამოკიდებულებაზე სხვა კლასებთან) და ვისწრაფვით სწორედ ეს მოძრაობა მოვაწყოთ, წარვმართოთ და გავაშუქოთ სოციალისტური შეგნების შუქით. ამავე დროს გლეხობის მიმართ ჩ ვ ე ნ ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ თ მისი, რ ო გ ორ ც თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ი ს წ ვ რ ი ლ მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ თ ა დ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ თ ა კ ლ ა ს ი ს, ინტერესების დაცვას. სრულიადაც არა. «მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით მუშათა კლასის საქმე», და ამიტომ სოციალ-დემოკრატია — უ შ უ ა ლ ო დ და მ თ ლ ი ა ნ ად — წარმოადგენს მხოლოდ მარტოოდენ პროლეტარიატის ინტერესებს, ისწრაფვის მხოლოდ მის კლასობრივ მოძრაობასთან შეერთდეს ერთ განუყრელ მთელად. თანამედროვე საზოგადოების ყველა დანარჩენი კლასი კი მხარს უჭერს არსებული ეკონომიური წყობილების საფუძველთა შენარჩუნებას, და ამიტომ ამ კლასების ინტერესთა დაცვა სოციალ-დემოკრატიას შეუძ-

ლია იკისროს მხოლოდ განსაზღვრულ გარემოებაში და განსაზღვრულ, ზუსტად გარკვეულ პირობებში. მაგალითად, წვრილ მწარმოებელთა, მათ შორის წვრილ მიწათმოქმედთა, კლასი თავის ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ რ ე ა ქ ც ი უ ლ ი კლასია, და ამიტომ «ცდა, რომ კაპიტალიზმის შემოტევისაგან ვიხსნათ გლეხობა წვრილი მეურნეობისა და წვრილი საკუთრების დაცვით, იქნებოდა საზოგადოებრივი განვითარების უსარგებლოდ შეფერხება, გლეხის მოტყუება იმ ილუზიით, თითქოს კაპიტალიზმის დროსაც შესაძლებელია კეთილდღეობა, იქნებოდა მშრომელი კლასების განცალკევება და უმცირესობისათვის პრივილეგიური მდგომარეობის შექმნა უმრავლესობის ხარჯზე» («ისკრა» № 3) *. აი რატომ არის, რომ «გლეხთა» მოთხოვნების წამოყენება პროგრამის ჩვენს პროექტში შეზღუდულია ო რ ი, მ ე ტ ა დ ვ ი წ რ ო, პ ი რ ო ბ ი თ. «გლეხთა მოთხოვნების» კანონიერებას სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში ჩვენ ვუმორჩილებთ, ჯერ ერთი, იმ პირობას, რომ ამ მოთხოვნებმა მიგვიყვანოს ბატონყმური წყობილების ნაშთების აღმოფხვრამდე, და მეორეც, რომ მათ ხელი შეუწყონ სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფლად განვითარებას.

უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ თვითეული ამ პირობის გარჩევაზე, რომლებიც მოკლედ უკვე იყო მოხაზული «ისკრის» მე-3 ნომერში.

«ძველი ბატონყმური წყობილების ნაშთები» ჯერ კიდევ საშინლად დიდია ჩვენს სოფელში. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. შრომამიგება და კაბალა, გლეხის წოდებრივი და სამოქალაქო არათანასწორუფლებიანობა, მისი დამორჩილება წკეპლით შეიარაღებული პრივილეგიური მიწათმფლობელისადმი, ყოფაცხოვრებითი დაბეჩავება, რაც გლეხს ნამდვილ ბარბაროსად ხდის, — ყოველივე ეს გამონაკლისი კი არ არის, არამედ წესია რუსულ სოფელში, და ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშით, ბატონყმური წყობილების პირდა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი მე-4, გვ. 519 — 520. რ ე დ.

პირი ნაშთია. იმ შემთხვევებსა და ურთიერთობაში, სადაც ჯერ კიდევ მეფობს ეს წყობილება და რამდენადაც იგი ჯერ კიდევ მეფობს, — მისი მტერია მთლიანად გლეხობა როგორც ერთი მთელი. ბატონყმობის წინააღმდეგ, მებატონე-მემამულეებისა და მათი მსახური სახელმწიფოს წინააღმდეგ გლეხობა ისევ რჩება კლასად, სახელდობრ არა კაპიტალისტური, არამედ ბატონყმური საზოგადოების კლასად, ე. ი. კლას-წოდებად *. და რამდენადაც ჩვენს სოფელში ჯერ კიდევ რჩება «გლეხობისა» და პრივილეგიურ მიწათმფლობელთა ეს, ბატონყმური საზოგადოების დამახასიათებელი, კლასობრივი ანტაგონიზმი, იმდენად მუშათა პარტია, უეჭველია, უნდა იყოს «გლეხობის» მხარეზე, მხარს უნდა უჭერდეს მის ბრძოლას და აქეზებდეს მას ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენ ბრჭყალებში ვსვამთ სიტყვას გლეხობას, რათა აღვნიშნოთ ამ შემთხვევაში სრულიად უეჭველი წინააღმდეგობის არსებობა: თანამედროვე საზოგადოებაში გლეხობა, რა თქმა უნდა, უკვე არ წარმოადგენს ერთიან კლასს. მაგრამ ვისაც ეს წინააღმდეგობა საგონებელში აგდებს, იმას ავიწყდება, რომ ეს არის არა გამოთქმის, არა დოქტრინის წინააღმდეგობა, არამედ თვით ცხოვრების წინააღმდეგობა. ეს არის არა შეთხზული, არამედ ცოცხალი დიალექტიკური წინააღმ-

* ცნობილია, რომ მონურ და ფეოდალურ საზოგადოებაში კლასების განსხვავება აღინიშნებოდა მოსახლეობის წოდებრივი დაყოფითაც, რომ მას თან სდევდა განსაკუთრებული იურიდიული ადგილის დაწესება სახელმწიფოში თვითეული კლასისათვის. ამიტომ მონური და ფეოდალური (აგრეთვე ბატონყმური) საზოგადოების კლასები ამავე დროს ცალკე წოდებანიც იყვნენ. პირიქით, კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იურიდიულად ყველა მოქალაქენი თანასწორნი არიან, წოდებრივი დაყოფა მოსპობილია (ყოველ შემთხვევაში — პრინციპულად), და ამიტომ კლასები აღარ არიან წოდებანი. საზოგადოების კლასებად დაყოფა საერთოა როგორც მონური და ფეოდალური, ისე ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის, მაგრამ პირველ ორ საზოგადოებაში არსებობდნენ კლასები-წოდებანი, ხოლო უკანასკნელში არიან კლასები წოდების გარეშე.

დეგობა. რამდენადაც ჩვენს სოფელში ბატონყმური საზოგადოება გამოიდევნება «თანამედროვე» (ბურჟუაზიული) საზოგადოების მიერ, იმდენად გლეხობა აღარ არის კლასი, იგი იყოფა სოფლის პროლეტარიატად და სოფლის ბურჟუაზიად (მსხვილი, საშუალო, წვრილ და უწვრილეს ბურჟუაზიად). რამდენადაც კიდევ რჩება ბატონყმური ურთიერთობა, — იმდენად გლეხობა ისევ რჩება კლასად, ე. ი. ვიმეორებთ, არა ბურჟუაზიული, არამედ ბატონყმური საზოგადოების კლასად. ეს «იმდენად — რამდენად» არსებობს სინამდვილეში თანამედროვე რუსეთის სოფლის ბატონყმურ და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა უკიდურესად რთული ხლართის სახით. მარქსის ტერმინებით რომ ვთქვათ, შრომამიგებითი, ნატურალური, ფულადი და კაპიტალისტური რენტები ჩვენში მეტად საოცრად არის ერთმანეთთან გადახლართული. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ ამ, რუსეთის ყველა ეკონომიური გამოკვლევით დადასტურებულ, გარემოებას განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი აუცილებლობის ძალით, გარდუვალად წარმოადგენს ჩვენი ზოგიერთი «აგრარული» მოთხოვნის იმ სირთულის, დახლართულობის, თუ გნებავთ ხელოვნურობის წყაროს, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან აოცებს ბევრს. ვინც თავის შემოკამათებაში სჯერდება მხოლოდ ზოგად უკმაყოფილებას წამოყენებულ გადაწყვეტილებათა ამ სირთულისა და «ოსტატობის» გამო, იმას ავიწყდება, რომ ესოდენ დახლართულ საკითხთა მარტივი გადაწყვეტა არც შეიძლება იყოს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიბრძოლოთ ბატონყმურ ურთიერთობათა ყველა ნაშთის წინააღმდეგ, — ეს სოციალ-დემოკრატიისათვის არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, და რადგან ეს ურთიერთობანი ურთულესად გადახლართულნი არიან ბურჟუაზიულ ურთიერთობებთან, ჩვენ იძულებულნი ვხდებით შევაღწიოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ხლართის შიგ შუაგულში და ამოცანის სირთულისა არ უნდა შეგვეშინდეს. ამ ამოცანის «მარტივი» გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: თავი ავარიდოთ, გვერდი ავუაროთ, «სტიქიურ

ელემენტს» მივანდოთ ამ დომხალისთვის თავის გართმევა. მაგრამ ასეთი «სიმარტივე», რომელიც სანუკვარად არის გადაქცეული სტიქიურობის ყველა და ყოველგვარი, ბურჟუაზიული და «ეკონომიური» თაყვანისმცემლებისათვის, არ შეეფერება სოციალ-დემოკრატს. პროლეტარიატის პარტია არათუ მხარს უნდა უჭერდეს, არამედ კიდეც უნდა აქეზებდეს გლეხობას მის ბრძოლაში ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ, ხოლო წასაქეზებლად საკმარისი არ არის დასჯერდე ზოგადი სურვილის გამოთქმას, — უნდა მისცე გარკვეული რევოლუციური დირექტივა, უნდა შეგეძლოს დ ა ე ხ მ ა რ ო აგრარულ ურთიერთობათა ხლართში გ ა რ კ ვ ე ვ ა ს.

III

მკითხველმა რომ უფრო ნათლად წარმოიდგინოს აგრარული საკითხის რთული გადაწყვეტის გარდუვალობა, ვთხოვთ მას ამ მხრივ შეადაროს ერთმანეთს პროგრამის მუშათა და გლეხთა განყოფილებანი. პირველ მათგანში ყველა გადაწყვეტილება უაღრესად მარტივია, გასაგებია საქმესთან სულ მცირედ გაცნობილი და ნაკლებად გაგებული კაცისთვისაც კი, «ბუნებრივია», მახლობელია, ადვილად განსახორციელებელია. მეორეშიც, პირიქით, მეტი წილი გადაწყვეტილებანი უაღრესად რთულია, ერთი შეხედვით «გაუგებარია», ხელოვნურია, ნაკლებ სარწმუნოა, ძნელად განსახორციელებელია. რით უნდა აიხსნას ეს განსხვავება? იმით ხომ არა, რომ პროგრამის შემდგენლები პირველ შემთხვევაში ფხიზლად და საქმიანად აზროვნებდნენ, მეორე შემთხვევაში კი გზას ასცდნენ და დაიბნენ, რომანტიზმსა და ფრაზეოლოგიაში გადავარდნენ? ასეთი ახსნა, სიმართლე უნდა ითქვას, მეტისმეტად «მარტივი», ბალღურად უბრალო იქნებოდა, და ჩვენ არ გვიკვირს, რომ მარტინოვი ამას ჩაებღაუჭა. მან ვერ მოისაზრა, რომ მუშათა წვრილმანი საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა გააადვილა და უაღრესად გაამარტივა თვით ეკონომიურმა განვითარებამ. საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი მსხვილი კაპიტალისტური წარმოების სფეროში გახდა (და

სულ უფრო და უფრო ხდება) იმდენად გამჭვირვალე, ნათელი, გამარტივებული, რომ წინ გადასადგმელი უახლოესი ნაბიჯები თავისთავად ისახება, გვევლინება ერთბაშად და პირველი შეხედვითვე. პირიქით, კაპიტალიზმის მიერ ბატონყმობის გამოდევნამ სოფლად იმდენად დახლართა და გაართულა საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი, რომ უახლოესი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაზე (რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით) ძალიან ბევრი უნდა იფიქრო, და «მარტივი» გადაწყვეტა — შეიძლება წინასწარვე სრული დარწმუნებით ითქვას — ვერ გამონახო.

სხვათა შორის. რაკი დავიწყეთ პროგრამის მუშათა და გლეხთა განყოფილებების შედარება, ბარემ აღვნიშნოთ კიდევ ერთი პრინციპული განსხვავება მათ შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს განსხვავება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: მუშათა განყოფილებაში ჩვენ უფლება არა გვაქვს გავცილდეთ სოციალურ-რეფორმატორულ მოთხოვნათა ფარგლებს, გლეხთა განყოფილებაში კი ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ სოციალურ-რევოლუციურ მოთხოვნათა წინაშეც. ან სხვანაირად: მუშათა განყოფილებაში ჩვენ უეჭველად შეზღუდული ვართ პროგრამა-მინიმუმის ჩარჩოებით, გლეხთა განყოფილებაში კი ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა მივცეთ პროგრამა-მაქსიმუმი *. განვმარტოთ ეს.

ორივე განყოფილებაში ჩვენ გადმოვცემთ არა ჩვენს საბოლოო მიზანს, არამედ ჩვენს უახლოეს მოთხოვნებს. ამიტომ ორივე განყოფილებაში ჩვენ უნდა დავრჩეთ თანა-

* ის აზრი, რომ ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის მაქსიმუმი ჩვენი უახლოესი მოთხოვნებისა გლეხობის სასარგებლოდ [resp. (respective — ანუ. რ ე დ.) ჩვენი აგრარული მოთხოვნებისა საერთოდ] და რომ ამიტომ იგი თანამიმდევარი არ არისო, ქვემოთ იქნება გარჩეული, როცა ვილაპარაკებთ ამ პროგრამის კონკრეტულ პუნქტებზე, რომელსაც ვიცავთ. ჩვენ ვამბობთ და შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ «ჩამონაჭრების დაბრუნების» მოთხოვნა არის მაქსიმუმი იმისა, რაც ჩვენ შეგვიძლია ახლავე წამოვაყენოთ ჩვენს აგრარულ პროგრამაში.

მედროვე (= ბურჟუაზიული) საზოგადოების ნიადაგზე. ამაში მდგომარეობს ორივე განყოფილების მსგავსება. მაგრამ მათი ძირფესვიანი განსხვავება ის არის, რომ მუშათა-განყოფილება შეიცავს ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნებს, ხოლო გლეხთა განყოფილება — მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია მ ე ბ ა ტ ო ნ ე-მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს წინააღმდეგ (მე ვიტყოდი — ფეოდალების წინააღმდეგ, ამ ტერმინის გამოყენება ჩვენი მემამულე თავადაზნაურობის მიმართ ესოდენ სადავო საკითხი რომ არ იყოს *). მუშათა განყოფილებაში ჩვენ უნდა დავჯერდეთ მოცემული, ბურჟუაზიული წყობილების ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ გაუმჯობესებას. გლეხთა განყოფილებაში ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ მ თ ლ ა დ გავწმინდოთ ეს არსებული წყობილება ბატონყმობის ყველა ნაშთისაგან. მუშათა განყოფილებაში არ შეგვიძლია წამოვაყენოთ ისეთი მოთხოვნები, რომელთა მნიშვნელობაც იმის თანაბარი იქნებოდა, რომ საბოლოოდ დაემხოს ბურჟუაზიის ბატონობა: როცა ჩვენ მივაღწევთ ამ ჩვენს საბოლოო მიზანს, რომელიც საკმაოდ ხაზგასმულია პროგრამის სხვა ადგილას და რომელსაც «ერთი წუთითაც» არ ვივიწყებთ უახლოესი მოთხოვნებისათვის ბრძოლის დროს, — მაშინ ჩვენ, პროლეტარიატის პარტია, აღარ დავჯერდებით მეწარმეთა რაღაც პასუხისმგებლობის ან რაღაც საფაბრიკო ბინების საკითხებს, არამედ ხელთ ავიღებთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების, მაშასადამე, აგრეთვე განაწილების მ თ ე ლ გამგებლობასა და განმკარგულებლობას. პირიქით, გლეხთა განყოფილებაში ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა წამოვაყენოთ ისეთი მოთხოვნები, რომელთა მნიშვნელობაც იმის თანაბარი იქნებოდა, რომ საბოლოოდ დაემხოს მებატონე-მემამულეთა ბატონობა, რომ ჩვენი სოფელი სავსებით გაიწ-

* მე პირადად ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არც ადგილია და არც საამისო დრო, რომ დავასაბუთო და თუნდაც წამოვაყენო ეს გადაწყვეტა, რადგან ახლა საქმე ეხება აგრარული პროგრამის კოლექტიური, საერთო-სარედაქციო პროექტის დაცვას.

მინდოს ბატონყმობის ყოველი ნიშან-კვალისაგან. მუშათა განყოფილებაში, რომელიც უახლოეს მოთხოვნებს შეეხება, ჩვენ არ შეგვიძლია წამოვაყენოთ სოციალურ-რევოლუციური მოთხოვნები, ვინაიდან სოციალური რევოლუცია, რომელიც ამხობს ბურჟუაზიის ბატონობას, უკვე არის პროლეტარიატის რევოლუცია, რომელიც ახორციელებს ჩვენს საბოლოო მიზანს. გლეხთა განყოფილებაში კი ჩვენ ვაყენებთ სოციალურ-რევოლუციურ მოთხოვნებსაც, ვინაიდან სოციალური რევოლუცია, რომელიც ამხობს მებატონე-მემამულეთა ბატონობას (ე. ი. ისეთივე სოციალური რევოლუცია ბურჟუაზიისა, როგორიც იყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია), შესაძლებელია მოცემული, ბურჟუაზიული წყობილების ბაზისზეც. მუშათა განყოფილებაში ჩვენ ვრჩებით (ჯერ-ჯერობით და პირობითად, ჩვენი დამოუკიდებელი მიზნებითა და ზრახვებით, მაგრამ მაინც ვრჩებით) სოციალური რეფორმის ნიადაგზე, რადგან აქ ჩვენ მხოლოდ იმას მოვითხოვთ, რისი მოცემაც ბურჟუაზიას შეუძლია (პრინციპულად) ჩვენთვის ისე, რომ მან ჯერ კიდევ არ დაჰკარგოს თავისი ბატონობა (და რის კეთილგონივრულად და წესიერად მიცემასაც ამიტომ წინასწარ ურჩევენ მას ბბ. ზომბარტები, ბულგაკოვები, სტრუვეები, პროკოპოვიჩები და კომპ.). გლეხთა განყოფილებაში კი ჩვენ, სოციალ-რეფორმატორებისაგან განსხვავებით, უნდა მოვითხოვოთ ისიც, რასაც ჩვენ (ან გლეხებს) არასოდეს არ მოგვცემენ და რის მოცემაც არ შეუძლიათ მებატონე-მემამულეებს, — მოვითხოვოთ ისიც, რისი მიღებაც გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას მხოლოდ ძალით შეუძლია.

## IV

აი რატომ არის არასაკმარისი და უვარგისი «განსახორციელებლობის» ის «მარტივი» კრიტერიუმი, რომლის საშუალებითაც მარტინოვი ასე «იოლად» «აცამტვერებდა» ჩვენს აგრარულ პროგრამას. უშუალო და უახლოესი «განსახორციელებლობის» ეს კრიტერიუმი საერთოდ შეიძლება გამოყე-

ნებულ იქნას ჩვენი პროგრამის მხოლოდ აშკარა რეფორმატორული განყოფილებებისა და პუნქტების მიმართ, მაგრამ სრულიადაც არა საზოგადოდ რევოლუციური პარტიის პროგრამის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ეს კრიტერიუმი შეიძლება ჩვენი პროგრამის მიმართ გამოყენებულ იქნას მხოლოდ გამონაკლისის სახით და სრულიადაც არა საერთო წესის სახით. ჩვენი პროგრამა განსახორციელებელი უნდა იყოს ამ სიტყვის მხოლოდ იმ ფართო, ფილოსოფიური მნიშვნელობით, რომ მისი ერთი ასოც კი არ ეწინააღმდეგებოდეს მთელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ევოლუციის მიმართულებას. და რაკი ჩვენ სწორად განვსაზღვრეთ (საერთოდ და დეტალებში) ეს მიმართულება, ვალდებულნი ვართ — ჩვენი რევოლუციური პრინციპებისა და ჩვენი რევოლუციური მოვალეობის გულისათვის — ვალდებულნი ვართ მ თ ე ლ ი ძ ა ლ ღ ო ნ ი თ ყ ვ ე ლ გ ა ნ და უსათუოდ ვიბრძოლოთ ჩვენი მოთხოვნების მ ა ქ ს ი მ უ მ ი ს ა თ ვ ი ს. ხოლო იმის ცდა, რომ წინასწარ, ბრძოლის საბოლოო შედეგამდე, თვით ბრძოლის მსვლელობაში განვსაზღვროთ და ვთქვათ, მ თ ე ლ მაქსიმუმს ჩვენ, საფიქრებელია, ვერ მივაღწევთო, — ნიშნავს წმინდა ფილისტერობაში გადავარდნას. ამგვარ მოსაზრებებს ყოველთვის მივყავართ ოპორტუნიზმისაკენ, თუნდაც ეს არ სურდეთ ასეთ მოსაზრებათა ავტორებს.

მართლაც, განა ფილისტერობა არ არის მსჯელობა მარტინოვისა, რომელმაც «ისკრის» აგრარულ პროგრამაში «რომანტიზმი» დაინახა, «რადგან გ ლ ე ხ თ ა მ ა ს ი ს ჩ ა ბ მ ა ჩ ვ ე ნ ს მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი ფ რ ი ა დ პ რ ო ბ ლ ე მ ა ტ უ რ ი ა არსებულ პირობებშიო» («რ. დ.» № 10, გვ. 58, კურსივი ჩემია)? ეს კარგი ნიმუშია იმ ფრიად «კეთილსახიერი» და ფრიად იაფფასიანი მსჯელობისა, რომლის საშუალებითაც რუსულ სოციალ-დემოკრატიზმს ისე ამარტივებდნენ, რომ ეკონომიზმად აქცევდნენ. აბა კარგად ჩაუკვირდით ამ «კეთილსახიერ» მსჯელობას, თუ იგი საპნის ბუშტი არ გამოდგეს. «ჩვენი მოძრაობა» მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობაა. გლეხთა მ ა ს ა ს მ ა ს შ ი «ჩაბმა» ნამდვილად არ

შეუძლია: ეს პრობლემატური კი არა, არამედ შ ე უ ძ ლ ე ბ ე-ლ ი ა, და ამაზე არასოდეს ლაპარაკიც არ ყოფილა. ხოლო ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ (და მათ შორის თვითმპყრობელობის წინააღმდეგაც) მიმართულ «მოძრაობა-ში» გლეხთა მასას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ა რ ჩ ა ე ბ ა ს. მარტი-ნოვმა საქმე არივდარია სიტყვებით «ჩვენი მოძრაობა»; ის არ ჩაუფიქრდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მოძრაობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მოძრაობის არსებითად განსხვა-ვებულ ხასიათს *.

* თუ რამდენად არ ჩაუფიქრდა მარტინოვი იმ საკითხს, რომლის შესახებაც იკისრა წერა, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს მისი სტატიის შემდეგი ფრაზიდან: «რადგან ჩვენი პროგრამის აგრარულ ნაწილს ჯ ე რ კ ი დ ე ვ ფ რ ი ა დ დ ი დ ხ ა ნ ს ე ქ ნ ე ბ ა შ ე დ ა რ ე ბ ი თ მ ც ი-რ ე პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა, იგი ფართო სარბიელს იძლევა რევოლუციური ფრაზეოლოგიისათვის». ხაზგასმით აღნიშნული სიტყვები შეიცავენ სწორედ იმ არევდარევას, რომელიც ტექსტშია აღნიშნული. მარტინოვს გაუგონია, რომ დასავლეთში აგრარული პროგრამით გამო-დიან მხოლოდ ფრიად განვითარებული მუშათა მოძრაობის დროს. ჩვენში ეს მოძრაობა ეს-ეს არის იწყება. მაშასადამე, «ჯერ კიდევ ფრიად დიდ-ხანს»! — ჩქარობს დასკვნის გაკეთებას ჩვენი პუბლიცისტი. მან ვერ შეამჩნია ვერ ვერ ვერ: დასავლეთში აგრარული პროგრამები იწერება ნ ა ხ ე ვ რ ა დ-გ ლ ე ხ ებ ი ს, ნ ა ხ ე ვ რ ა დ-მ უ შ ებ ი ს ჩასაბმელად ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს წინააღმდეგ, ჩვენში კი — გ ლ ე ხ თ ა მ ა ს ი ს ჩასაბმელად დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ მ ო ძ-რ ა ო ბ ა შ ი ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს ნ ა შ თ ებ ი ს წინააღმდეგ. ამიტომ დასავ-ლეთში აგრარულ პროგრამას მით უ ფ რ ო მ ე ტ ი მნიშვნელობა მიენი-ჭება, რაც უფრო წინ მიდის სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის განვი-თარება. ჩვენს აგრარულ პროგრამას, მის მოთხოვნათა უმეტეს ნაწილში, მით უ ფ რ ო ნ ა კ ლ ებ ი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, რაც უ ფ რ ო წ ი ნ მიდის სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმის განვითარება, — ვინაი-დან ბატონყმობის ნაშთები, რომელთა წინააღმდეგაც არის მიმართული ეს პროგრამა, თავისთავადაც ჰქრება და მთავრობის პოლიტიკის ზეგავლენი-თაც. ამიტომ ჩვენი აგრარული პროგრამა პრაქტიკულად ნავარაუდევია უმთავრესად უშუალოდ უახლოესი მომავლისათვის, იმ პერიოდისათვის, რომელმაც უნდა განვლოს თვითმპყრობელობის დ ა ც ე მ ა მ დ ე. პოლი-ტიკური გადატრიალება რუსეთში ყოველ შემთხვევაში და გარდუვალად გამოიწვევს ჩვენებური უაღრესად ჩამორჩენილი აგრარული წყობილების ისეთ ძირფესვიან გარდაქმნას, რომ ჩვენ მაშინ აუცილებლად დაგვჭირ-

პრობლემატური შეიძლება იყოს სრულიადაც არა ის, ჩაებმება თუ არა გლეხთა მასა ბატონყმობის ნაშთთა წინააღმდეგ მოძრაობაში, არამედ მხოლოდ ამ ჩაბმის ხ ა რ ი ს ხ ი: ბატონყმური ურთიერთობა სოფლად საშინლად არის გადახლართული ბურჟუაზიულ ურთიერთობასთან, ხოლო გლეხები (წვრილი მიწათმოქმედნი), როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების კლასი, გაცილებით უფრო კონსერვატიულ ელემენტს წარმოადგენენ, ვიდრე რევოლუციურს (განსაკუთრებით იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობის ბურჟუაზიული ევოლუცია ჩვენში მხოლოდ ახლა იწყება). ამიტომ პოლიტიკურ გარდაქმნათა ეპოქაში მთავრობისათვის გაცილებით უფრო ადვილია დაჰყოს გლეხები (ვიდრე, მაგ., მუშები), გაცილებით უფრო ადვილია შეასუსტოს (ანდა, უარეს შემთხვევაში, ჩაჰკლას) მათი რევოლუციურობა წვრილმანი და უმნიშვნელო დათმობებით წვრილ მესაკუთრეთა შედარებით მცირე რაოდენობის მიმართ.

ყოველივე ეს ასეა. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? რაც უფრო ადვილია მთავრობისათვის შეუხმატკბილდეს გლეხობის კონსერვატიულ ელემენტებს, მით უფრო მეტი ძალღონე და მით უფრო ჩქარა უნდა მივმართოთ იმისაკენ, რომ შევუხმატკბილდეთ მის რევოლუციურ ელემენტებს. ჩვენი მოვალეობაა განვსაზღვროთ, რაც შეიძლება მთელი მეცნიერული სიზუსტით, სახელდობრ რა მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ უნდა დავუჭიროთ მხარი ამ ელემენტებს, ხოლო შემდეგ წ ა ვ ა ქ ე ზ ო თ ისინი გადამწყვეტი და აუცილებელი ბრძოლისათვის ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ, წავაქეზოთ ყოველთვის და ყველა პირობაში, ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით. და განა ფილისტერული ცდა არ არის წინასწარ «დავადგინოთ», თუ რა წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ექნება

---

დება ჩვენი აგრარული პროგრამის გადასინჯვა. მარტინოვმა კი მხოლოდ ერთი რამ იცის მტკიცედ: რომ კაუტსკის წიგნი [33] კარგია (ეს მართალია) და რომ საკმარისია იმეორო და გადმოიწერო კაუტსკი, ამასთან არ იფიქრო რუსეთის ძირეულ განსხვავებაზე აგრარული პროგრამის მხრივ (ეს სულაც არ არის გონივრული საქციელი).

ჩვენს წაქეზებას? ამას უკვე თვით ცხოვრება გადაწყვეტს შემდეგ და ისტორია ჩასწერს. ჩვენი საქმე კი ახლა ის არის, რომ ყოველ შემთხვევაში ვიბრძოლოთ და ვიბრძოლოთ ბოლომდე. განა ჯარისკაცს, რომელიც უკვე საიერიშოდ არის გადასული, შეუძლია გაბედოს და იმსჯელოს იმაზე, რომ ჩვენ, იქნებ, მტრის მთელი კორპუსი კი არ გავანადგუროთ, არამედ მისი მხოლოდ სამი მეხუთედიო? განა «პრობლემატური» არ არის, მარტინოვის გაგებით, მაგ., ისეთი მოთხოვნაც, როგორიცაა რესპუბლიკის მოთხოვნა? მთავრობისათვის უფრო ადვილია ამ თამასუქის ნაწილობრივი განაღდებით გავიდეს ფონს, ვიდრე გლეხთა იმ მოთხოვნების თამასუქით, რომ ბატონყმობის ყველა კვალი მოისპოს. მაგრამ ჩვენ ამასთან რა გვესაქმება? განაღდებულ ნაწილს ჩვენ, რა თქმა უნდა, ჯიბეში ჩავიდებთ და, მიუხედავად ამისა, ოდნავადაც არ შევწყვეტთ გააფთრებულ ბრძოლას მთლიანად განაღდებისათვის. ჩვენ უფრო ფართოდ უნდა გავავრცელოთ იდეა, რომ მხოლოდ რესპუბლიკაში შეიძლება მოხდეს გადამწყვეტი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ჩვენ უნდა შევქმნათ* და განვამტკიცოთ რესპუბლიკური ტრადიცია ყველა რუს რევოლუციონერს შორის და რუსი მუშების რაც შეიძლება ფართო მასებს შორის, ჩვენ «რესპუბლიკის» ლოზუნგით უნდა ის გამოვხატოთ, რომ სახელმწიფო წყობილების დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში ჩვენ ბოლომდე ვივლით, უკან არ მივიხედავთ, — შემდეგ კი

* ჩვენ ვამბობთ: «შევქმნათ», ვინაიდან ძველი რუსი რევოლუციონერები არასოდეს სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ რესპუბლიკის საკითხს, არასოდეს არ სთვლიდნენ მას «პრაქტიკულ საკითხად», — ნაროდნიკები, ბუნტარები და სხვ. იმიტომ, რომ ანარქისტული ათვალწუნებით ეპყრობოდნენ პოლიტიკას, ნაროდოვოლცები იმიტომ, რომ უნდოდათ თვითმპყრობელობიდან პირდაპირ სოციალისტური რევოლუციისაკენ გადამხტარიყვნენ. ჩვენ წილად გვხვდა (თუ არაფერს ვიტყვით დეკაბრისტების რესპუბლიკურ იდეებზე, რომლებიც დიდი ხანია დავიწყებულია), სოციალ-დემოკრატებს წილად გვხვდა, შევიტანოთ რესპუბლიკის მოთხოვნა მასაში და შევქმნათ რესპუბლიკური ტრადიცია რუს რევოლუციონერთა შორის.

თვით ბრძოლა გადაწყვეტს, თუ ამ განაღდების რა ნაწილს, სახელდობრ როდის და სახელდობრ როგორ მოვიპოვებთ ბრძოლით! სისულელე იქნებოდა იმის ცდა, რომ გაგვეთვალისწინებინა ეს ნაწილი იმაზე ადრე, ვიდრე მტერს არ ვაგრძნობინებთ ჩვენი დარტყმის მთელ სიძლიერეს და ვიდრე ჩვენს ზურგზე არ ვიწვნევთ მისი დარტყმის მთელ სიძლიერეს. ასევე, გლეხთა მოთხოვნებშიც ჩვენი საქმეა განვსაზღვროთ, მეცნიერულ მონაცემთა საფუძველზე, ამ მოთხოვნათა მ ა ქ ს ი მ უ მ ი და დავეხმაროთ ამხანაგებს იბრძოლონ ამ მაქსიმუმისათვის, შემდეგ კი დაე ფხიზელმა ლეგალურმა კრიტიკოსებმა და შედეგთა ხელშესახებლობაზე შეყვარებულმა არალეგალურმა «კუდმაჩანჩალებმა» დასცინონ ამ მაქსიმუმის «პრობლემატურობას» *.

---

* იქნებ, უსარგებლო არ იყოს სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მოთხოვნათა «განსახორციელებლობის» საკითხზე გავიხსენოთ კ. კაუტსკის 1896 წლის პოლემიკა რ. ლუქსემბურგის წინააღმდეგ. რ. ლუქსემბურგი წერდა, რომ პოლონეთის აღდგენის მოთხოვნა პოლონეთის სოციალ-დემოკრატთა პრაქტიკულ პროგრამაში უადგილოა, რადგან ეს მოთხოვნა განუხორციელებელია თანამედროვე საზოგადოებაშიო. კ. კაუტსკი ამის წინააღმდეგ გამოვიდა და ამბობდა, რომ ეს მოსაზრება «დაფუძნებულია სოციალისტური პროგრამის დედაარსის უცნაურ გაუგებლობაზე. ჩვენი პრაქტიკული მოთხოვნანი, პირდაპირ არიან გამოხატულნი პროგრამაში, თუ უხმოდ მიღებულ «პოსტულატებს» წარმოადგენენ, უნდა შეეხამებოდნენ (**werden... darnach bemessen**) არა იმას, შ ე ი ძ ლ ე ბ ა თუ არა მათი მ ი ღ წ ე ვ ა ძალთა არსებული თანაფარდობის დროს, არამედ იმას, შ ე ე თ ა ვ ს ე ბ ი ა ნ თუ არა ისინი არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას, და შეუძლია თუ არა მათს გატარებას გააადვილოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, ბიძგი მისცეს ამ ბრძოლის განვითარებას (**fördern**) და პროლეტარიატს გაუკაფოს (**ebnen**) გზა პოლიტიკური ბატონობისაკენ. ამასთანავე, ძალთა არსებულ თანაფარდობას ჩვენ სრულიადაც არ ვუწევთ ანგარიშს. სოციალ-დემოკრატიული პროგრამა იწერება არა მოცემული («**den**») მომენტისათვის, — იგი შეძლებისდაგვარად უნდა იძლეოდეს დირექტივას (**ausweichen**) თანამედროვე საზოგადოებაში ყველა და ყოველგვარი კონიუნქტურის დროს. იგი უნდა ემსახურებოდეს არა მარტო პრაქტიკულ მოქმედებას (**der Action**), არამედ პროპაგანდასაც, მან კონკრეტულ მოთხოვნათა ფორმით უფრო თვალსაჩინოდ უნდა დაგვანახოს, ვიდრე ეს შეუძლია აბსტრაქტულ მსჯელობას, ის მიმართულება, რომლი-

## V

გადავდივართ მეორე ზოგად დებულებაზე, რომელიც განსაზღვრავს ყველა ჩვენი საგლეხო მოთხოვნის ხასიათს და რომელიც გამოხატულია სიტყვებით: «...*სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის*...»

ეს სიტყვები უაღრესად მნიშვნელოვანია აგრარული საკითხის პრინციპულად დაყენებისათვისაც საერთოდ და ცალკეულ აგრარულ მოთხოვნათა შეფასებისთვისაც კერძოდ. ბატონყმური წყობილების ნაშთთა მოსპობის მოთხოვნა საერთოა ჩვენთვისაც, ყველა თანამიმდევარი ლიბერალისთვისაც, ნაროდნიკებისთვისაც, სოციალ-რეფორმატორებისთვისაც. აგრარულ საკითხში მარქსიზმის კრიტიკოსებისთვისაც და სხვ. და სხვ. ასეთ მოთხოვნას რომ ვაყენებთ, ჩვენ ყველა ამ ვაუბატონისაგან განვსხვავდებით არა პრინციპულად, არა-

---

თაც ჩვენ წინსვლა გვსურს. ამასთან რაც უფრო შორეული პრაქტიკული მიზნები შეგვიძლია დავისახოთ ისე, რომ არ დავიბნეთ უტოპიურ სპეკულაციებში, — მით უკეთესია. მით უფრო ნათელი იქნება მასებისათვის — იმ მასებისთვისაც კი, რომელთაც არ შეუძლიათ გაიგონ (**erfassen**) ჩვენი თეორიული მსჯელობანი, — ის მიმართულება, რომელსაც ჩვენ ვადგივართ. პროგრამამ უნდა დაგვანახოს, თუ რას *მოვითხოვთ* თანამედროვე საზოგადოებისაგან, თანამედროვე სახელმწიფოსაგან, და არა ის, თუ რას *მოველით* მისგან. ავიღოთ, მაგ., გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამა. იგი მოითხოვს ხალხის მიერ მოხელეთა არჩევას. ეს მოთხოვნა, თუ მას რ. ლუქსემბურგის მასშტაბით გავზომავთ, ისევე უტოპიურია, როგორც პოლონეთის ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა. არავინ არ მიეცემა ისეთ ილუზიას, რომ თანამედროვე პოლიტიკური თანაფარდობის დროს განსახორციელებლად ჩასთვალოს გერმანიის იმპერიაში ხალხის მიერ სახელმწიფო მოხელეთა არჩევის მოთხოვნა. იმავე უფლებით, რა უფლებითაც შეგვიძლია მივიღოთ, რომ პოლონეთის ნაციონალური სახელმწიფო შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ, — იმავე უფლებით შეგვიძლია ეს ვთქვათ მოცემულ მოთხოვნაზეც. მაგრამ განა ეს საკმაო საბუთია იმისათვის, რომ არ მივიღოთ იგი ჩვენს პრაქტიკულ პროგრამაში?» [«**Neue Zeit**», XIV. 2, S. 513 u. 514) («ახალი დროება», XIV. 2, გვ. 513 და 514. *რედ.*). *კურსივი კ. კაუტსკისაა.*]

მედ მხოლოდ ხარისხით: ისინი ამ პუნქტშიც ყოველთვის გარდუვალად დარჩებიან რეფორმის ფარგლებში, ჩვენ კი არ შევჩერდებით (ზემოადნიშნული აზრით) სოციალ-რევოლუციური მოთხოვნების წინაშეც. პირიქით, როდესაც მოვითხოვთ «სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების» უზრუნველყოფას, ჩვენ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ ვეწინააღმდეგებით ყველა ამ ვაუბატონს და ყველა ა რ ა სოციალ-დემოკრატ რევოლუციონერსა და სოციალისტსაც კი. ეს უკანასკნელნიც არ შეჩერდებიან აგრარულ საკითხში სოციალურ-რევოლუციური მოთხოვნების წინაშე, მაგრამ ისინი არ მოისურვებენ ეს მოთხოვნები დაუმორჩილონ სწორედ ისეთ პირობას, როგორიც არის სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარება. ეს პირობა აგრარული საკითხის სფეროში რევოლუციური მარქსიზმის თეორიის ძირითადი და ცენტრალური პუნქტია *. ამ პირობის აღიარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ სოფლის მეურნეობის ევოლუციაც, მიუხედავად მთელი მისი დახლართულობისა და სირთულისა, მიუხედავად მის სახეობათა მთელი მრავალფეროვანებისა, არის აგრეთვე კაპიტალისტური ევოლუცია, რომ ისიც აგრეთვე წარმოშობს (როგორც მრეწველობის ევოლუცია) პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიასთან, რომ სწორედ ე ს კლასობრივი ბრძოლა უნდა იყოს ჩვენი პირველი და ძირითადი საზრუნავი, უნდა იყოს ის სასინჯი, რომელზედაც ჩვენ გამოვცდით პრინციპულ საკითხებსაც, პოლიტიკურ ამოცანებსაც და პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის ხერხებსაც. ამ პირობის აღიარება იმას ნიშნავს, რომ იკისრო ვალდებულება და სოციალ-დემოკრატიულ

* არსებითად, სწორედ ამ პუნქტის გაუგებლობით გამოიხატება აგრარულ საკითხში მარქსიზმის «კრიტიკოსთა» ყველა შეცდომა და დაბნეულობა, და ყველაზე გაბედული, ყველაზე თანამიმდევარი (და ამდენად ყველაზე პატიოსანი) მათ შორის, ბ-ნი ბულგაკოვი, თავის «გამოკვლევაში» პირდაპირ აცხადებს, რომ კლასობრივი ბრძოლის «მოძღვრება» სრულიად შეუფარდებელია სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობათა სფეროსთვის («კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება», ტ. II, გვ. 289).

მოძრაობაში წვრილი გლეხობის მონაწილეობის განსაკუთრებით მტკივნეულ საკითხშიც იდგე განუხრელ კლასობრივ თვალსაზრისზე, არაფერში არ დასთმო პროლეტარიატის თვალსაზრისი წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ, არამედ, პირიქით, მოითხოვო, რომ წვრილმა გლეხმა, რომელსაც აჩანაგებს და სჩაგრავს მთელი თანამედროვე კაპიტალიზმი, მიატოვოს თ ა ვ ი ს ი კლასობრივი თვალსაზრისი და დადგეს პროლეტარიატის თვალსაზრისზე.

ამ პირობას რომ ვაყენებთ, ჩვენ ამით გადაჭრით და სამუდამოდ ვიმიჯნებით არა მარტო ჩ ვ ე ნ ი მ ტ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ (ე. ი. ბურჟუაზიის პირდაპირი თუ არაპირდაპირი, შეგნებული თუ შეუგნებელი მომხრეებისაგან, რომლებიც ჩვენი დროებითი და ნაწილობრივი მოკავშირეები არიან ბატონყმური წყობილების ნაშთთა წინააღმდეგ ბრძოლაში), არამედ იმ ა რ ა ს ა ი მ ე დ ო მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ს გ ა ნ ა ც, რომლებსაც აგრარული საკითხის ორჭოფული დაყენებით შეუძლიათ დიდი ვნება მოუტანონ პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას (და ნამდვილად მოაქვთ კიდეც).

ამ პირობას რომ ვაყენებთ, ამით ვავლებთ სახელმძღვანელო ძაფს, რომლის საშუალებით სოციალ-დემოკრატს, თუნდაც იგი გადაკარგული იყოს ამა თუ იმ მივარდნილ სოფელში, თუნდაც იგი იდგეს უაღრესად დახლართულ აგრარულ ურთიერთობათა წინაშე, რომელნიც პირველ რიგში აყენებენ ს ა ე რ თ ო-დემოკრატიულ ამოცანებს, შეეძლება ამ ამოცანათა გადაწყვეტის დროს გაატაროს თავისი პროლეტარული თვალსაზრისი და ხაზი გაუსვას მას, — სწორედ ისევე, როგორც ჩვენ ვრჩებით სოციალ-დემოკრატებად ს ა ე რ თ ო-დემოკრატიული პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის დროსაც.

ამ პირობას რომ ვაყენებთ, ჩვენ ამით პასუხს ვაძლევთ იმ საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელიც აღეძვრის ბევრ ადამიანს ჩვენი აგრარული პროგრამის კონკრეტულ მოთხოვნათა სახელდახელოდ გაცნობის შემდეგ... «ს ო ფ ლ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ებ ს დაუბრუნდეს გამოსასყიდი გადასახდე-

ლები და ჩამონაჭრები»!? — სად არის აქ ჩვენი პროლეტარული თავისებური სახე და ჩვენი პროლეტარული დამოუკიდებლობა? განა ეს, არსებითად, საჩუქარი არ იქნება სოფლის ბურჟუაზიისათვის??

რა თქმა უნდა, იქნება, — მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რა აზრითაც «ბურჟუაზიისათვის საჩუქარი» იყო თვით ბატონყმობის გადავარდნაც, ე. ი. სწორედ ბურჟუაზიული, და არა სხვა რაიმე განვითარების განთავისუფლება ბატონყმური ხუნდებისა და შევიწროებისაგან. პროლეტარიატი სწორედ იმით განსხვავდება ბურჟუაზიის მიერ ჩაგრული და მისი მოპირისპირე სხვა კლასებისაგან, რომ იგი თავის იმედებს ამყარებს არა ბურჟუაზიული განვითარების შეფერხებაზე, არა კლასობრივი ბრძოლის მოდუნებასა ან შერბილებაზე, არამედ, პირიქით, ამ კლასობრივი ბრძოლის უაღრესად სრულ და თავისუფალ განვითარებაზე, ბურჟუაზიული პროგრესის დაჩქარებაზე *. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც ვითარდება, არ შეიძლება მისი განვითარების შემაფერხებელი ბატონყმობის ნაშთთა მოსპობა ისე, რომ ამან არ გააძლიეროს და არ განამტკიცოს ბურჟუაზია. ამის გამო «შეშფოთება» ნიშნავს იმ სოციალისტების შეცდომის განმეორებას, რომლებიც ამბობდნენ, რომ პოლიტიკური თავისუფლება ჩვენ არ გამოგვადგება, ვინაიდან იგი გააძლიერებს და განამტკიცებს ბურჟუაზიის ბატონობასო.

## VI

ჩვენი აგრარული პროგრამის «ზოგადი ნაწილის» განხილვის შემდეგ გადავიდეთ მის ცალკეულ მოთხოვნათა გარ-

* რა თქმა უნდა, პროლეტარიატიც იცავს არა ყოველ ზომას, რომელიც აჩქარებს ბურჟუაზიულ პროგრესს, არამედ მხოლოდ ისეთ ზომებს, რომლებიც უშუალოდ გავლენას ახდენენ იმაზე, რომ გაძლიერდეს მუშათა კლასის უნარი თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ხოლო «შრომამიგება» და კაბალა გლეხობის უქონელ და პროლეტარიატთან ახლო მდგომ ნაწილს გაცილებით უფრო ძლიერად აწვება, ვიდრე შეძლებულ ნაწილს.

ჩევაზე. ამასთან ჩვენს თავს ნებას მივცემთ დავიწყოთ არა პირველი, არამედ მეოთხე პუნქტიდან (ჩამონაჭრების შესახებ), ვინაიდან სწორედ ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ცენტრალური პუნქტი, რომელიც განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს აგრარულ პროგრამას, და ამავე დროს ყველაზე სადავო პუნქტი (ყოველ შემთხვევაში, იმ პირთა უმრავლესობის აზრით, რომელთაც გამოთქვეს თავისი აზრი «ისკრის» მე-3 ნომრის სტატიის შესახებ).

გავიხსენოთ, რომ ამ პუნქტის შინაარსი შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. იგი მოითხოვს გლეხთა კომიტეტების დაარსებას, რომელთაც უფლება ექნებათ ხელახლა მოაწესრიგონ ის აგრარული ურთიერთობანი, რაც ბატონყმობის პირდაპირ ნაშთს წარმოადგენს. სიტყვები: «გ ლ ე ხ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი» შერჩეულია იმის ნათლად აღსანიშნავად, რომ — 1861 წლის «რეფორმის» საპირდაპიროდ, როცა თავადაზნაურული კომიტეტები მოქმედებდნენ — საქმის ახალი მოწესრიგება გლეხთა ხელში უნდა იყოს და არა მემამულეთა ხელში. სხვანაირად რომ ითქვას: ბატონყმურ ურთიერთობათა საბოლოო ლიკვიდაცია უნდა მიენდოს არა მჩაგვრელებს, არამედ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც დაჩაგრულია ამ ურთიერთობით, უნდა მიენდოს დაინტერესებულ პირთა არა უმცირესობას, არამედ უმრავლესობას. არსებითად ეს სხვა არაფერია, თუ არა ს ა გ ლ ე ხ ო რ ე ფ ო რ მ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ა (ე. ი. სწორედ ის, რასაც მოითხოვდა პროგრამის პირველი პროექტიც, შედგენილი «მრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ). და თუ ჩვენ ეს უკანასკნელი გამოთქმა არ ავირჩიეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ნაკლებად გარკვეულია, რომ იგი ნაკლებად მკაფიოდ აღნიშნავს ამ გადასინჯვის ჭეშმარიტ ხასიათსა და კონკრეტულ შინაარსს. ამიტომ, მაგალითად, მარტინოვს, თუკი მას ნამდვილად რაიმე თავისი ჰქონდა სათქმელი აგრარული საკითხის გამო, გარკვეულად უნდა განეცხადებინა, უარჰყოფს თუ არა ის საგლეხო რეფორმის

დემოკრატიული გადასინჯვის თვით იდეას, და თუ არ უარ-ჰყოფს, სახელდობრ როგორ წარმოუდგენია მ ა ს იგი*.

შემდეგ, 2. გლეხთა კომიტეტებს უფლება ეძლევათ მოახ-დინონ მემამულეთა მიწების ექსპროპრიაცია და გამოსყიდვა, მიწების გადაცვლა და სხვ. (პ. 4, ბ), ამასთან ეს უფლება შეზღუდულია მხოლოდ ბატონყმურ ურთიერთობათა პირდა-პირი ნაშთის შემთხვევებით. სახელდობრ (ვ) ექსპროპრიაცი-ისა და გამოსყიდვის უფლება გლეხთა კომიტეტებს ეძლევათ მხოლოდ იმ მიწების მიმართ, რომლებიც, ჯერ ერთი, «ჩამო-ეჭრათ გლეხებს ბატონყმობის მოსპობის დროს» (ეს მიწები, მაშასადამე, თავიდანვე შეადგენდა გლეხის მეურნეობის აუ-ცილებელ კუთვნილებას, შედიოდა როგორც ნაწილი ამ მეურნეობის მთელში და ხელოვნურად წაერთვა მას იმ დაკანონებული მძარცველობის მეოხებით, როგორიც იყო

---

* აღენიშნაეთ ნადეჟდინის არათანამიმდევრობას (თუ ორჭოფობას?). მან აგრარული პროგრამის თავის მონასახში, ეტყობა, აიღო «ისკრის» იდეა გლეხთა კომიტეტების შესახებ, მაგრამ ეს იდეა მეტად უხეიროდ ჩამოაყა-ლიბა, როდესაც თქვა: «ხალხის წარმომადგენელთაგან განსაკუთრებული სასამართლოს შექმნა ყველა იმ ოპერაციის შესახებ შეტანილი გლეხთა ს ა ჩ ი ვ რ ე ბ ი ს ა და განცხადების გასარჩევად, რაც თან სდევდა «განთა-ვისუფლებას» («რევოლუციის წინადღე», გვ. 65, კურსივი ჩემია). ჩ ი ვ ი-ლ ი შეიძლება მხოლოდ კანონის დ ა რ ღ ვ ე ვ ა ზ ე. 19 თებერვლის «განთავისუფლება» ყველა თავისი «ოპერაციით» თვითონ წარმოადგენს კ ა ნ ო ნ ს. განსაკუთრებული სასამართლოების შექმნას განსაზღვრული კანონის უსამართლობაზე საჩივართა გასარჩევად არავითარი აზრი არა აქვს, ვიდრე გაუქმებული არ არის ეს კანონი, ვიდრე მის სანაცვლოდ (ან ნაწილობრივ გასაუქმებლად) მოცემული არ არის ახალი საკანონმდებ-ლო ნორმები. «სასამართლოს» უნდა მიენიჭოს არა მარტო უფლება — მიიღოს საჩივარი საძოვრის ჩამოჭრაზე, არამედ უფლებაც — დაუბრუნოს (resp. გამოისყიდოს და სხვ.) ეს საძოვარი, — და მაშინ, ჯერ ერთი, «სა-სამართლო», რომელიც უფლებამოსილია შექმნას კანონი, უკვე სასამართ-ლო არ იქნება, და, მეორეც, საჭიროა ზუსტად აღინიშნოს, სახელდობრ ექსპროპრიაციის, გამოსყიდვის და სხვა რა უფლებები აქვს ასეთ «სასა-მართლოს». მაგრამ რაც უნდა უხერხული იყოს ნადეჟდინის ფორმული-რება, მაინც საგლეხო რეფორმის დემოკრატიული გადასინჯვის აუცი-ლებლობა მან მარტინოვზე გაცილებით უფრო სწორად გაიგო.

დიდი საგლეხო რეფორმა), — და, მეორეც, «წარმოადგენს მემამულეთა ხელში მათი დამონების იარაღს».

ეს მეორე პირობა კიდევ უფრო მჭიდროდ ზღუდავს გამოსყიდვისა და ექსპროპრიაციის უფლებას, რადგან ავრცელებს მას არა ყველა «ჩამონაჭერზე», არამედ მხოლოდ ისეთებზე, რომლებიც ახლაც წარმოადგენენ დამონების იარაღს, «რომელთა საშუალებით — როგორც ამას ამბობდა «ისკრა» — კ ვ ლ ა ვ დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი ა არათავისუფალი, კაბალური, საბატონო, ე. ი. ნამდვილად იგივე ბატონყმური შრომა». სხვანაირად რომ ითქვას: იქ, სადაც, ჩვენებური საგლეხო რეფორმის ნახევრადობის მეოხებით, დღემდე დარჩენილია მეურნეობის ბატონყმური ფორმები გლეხებისაგან ჩამონაჭერი მიწების საშუალებით, იქ გლეხებს უფლება ეძლევათ ერთბაშად და საბოლოოდ მოუღონ ბოლო ბატონყმობის ამ ნაშთებს ექსპროპრიაციის გზითაც კი, იქ მათ უფლება ეძლევათ «დ ა ი ბ რ უ ნ ო ნ ჩ ა მ ო ნ ა ჭ რ ე ბ ი».

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავამშვიდოთ ჩვენი გულკეთილი მარტინოვი, რომელიც ასეთი შეშფოთებით კითხულობდა: «რა ვუყოთ იმ ჩამონაჭრებს, რომელთა ექსპლოატაციაც, მემამულეთა ხელშია ეს ჩამონაჭრები თუ მათი მყიდველი რაზნოჩინცების ხელში, ახლა სანიმუშოდ, კაპიტალისტური წესით წარმოებს?». ამ ერთეულ ჩამონაჭრებზე როდია ლაპარაკი, დიდად პატივცემულო, არამედ იმ ტიპიურ (და მეტად მრავალრიცხოვან) ჩამონაჭრებზე, რომლებიც დღემდე წარმოადგენენ ბატონყმური მეურნეობის ისევ არსებული ნაშთების ბაზისს.

დასასრულ, 4. პუნქტი 4, ბ, გლეხთა კომიტეტებს უფლებას ანიჭებს მოსპონ ბატონყმობის ნაშთები, რომლებიც შერჩენილია სახელმწიფოს ცალკეულ ადგილებში (სერვიტუტები, მიწის დაუმთავრებელი გამოყოფა და დაყორღვნა და სხვ.).

ამრიგად, მე-4 პუნქტის მთელი შინაარსი, სიმარტივის მიზნით, შეიძლება ორი სიტყვით გამოვხატოთ: «დაუბრუნდეთ ჩამონაჭრები». ისმება კითხვა: როგორ წარმოიშვა ასეთი

მოთხოვნის იდეა? როგორც პირდაპირი დასკვნა იმ ზოგადი და ძირითადი დებულებიდან, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ გლეხებს და წავაქეზოთ გლეხები იმისათვის, რომ რაც შეიძლება მთლიანად მოსპონ ბატონყმობის ყველა ნაშთი. ამას «ყველა ეთანხმებით», ხომ ასეა? მაშ, თუ თანახმა ხართ ამ გზას დაადგეთ, კეთილ ინებეთ და უკვე დამოუკიდებლად იარეთ ამ გზით წინ, ნუ გვაიძულებთ გათრიოთ, ნუ შეგაშინებთ ამ გზის «უჩვეულო» სახე, ნუ შეგაკრთობთ ის, რომ მრავალ ადგილას თქვენ ვერავითარ გატკეპნილ გზას ვერ ნახავთ და იძულებული იქნებით უფსკრულის ნაპირზეც გასცოცდეთ, ჯაგებშიც გაძვრეთ და ორმოებზედაც გადახტეთ. ნუ უჩივით უგზოობას: ეს ჩივილი უსარგებლო წუწუნი იქნება, რადგან თქვენ წინდაწინვე უნდა გცოდნოდათ, რომ შარაგზაზე კი არ დგებოდით, საზოგადოებრივი პროგრესის მთელი ძალების მიერ გამართულ და გასწორებულ გზაზე, არამედ მიხვეულ-მოხვეულ და მივარდნილ ბილიკებზე, საიდანაც გამოსავალი არის, მაგრამ პირდაპირ, მარტივ და ადვილ გამოსავალს ვერც თქვენ, ვერც ჩვენ, ვერც სხვა ვინმე ვერასოდეს ვერ იპოვნის, — «ვერასოდეს», ე. ი. საერთოდ მანამდე, სანამ კიდევ იარსებებს ეს მომაკვდავი, მტანჯველად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მომაკვდავი, მიხვეულ-მოხვეული და მივარდნილი ბილიკები.

და თუ არ გნებავთ ამ მიხვეულ-მოხვეულებში შესვლა, მაშინ პირდაპირ თქვით, არ გვინდაო, და ნუ იძვრენთ თავს ფრაზებით *.

---

* მაგ., მარტინოვი «ფრაზეოლოგიაში» სდებს ბრალს «ისკრას», რომელმაც მას მისცა თავისი აგრარული პოლიტიკის ზოგადი საფუძვლებიც («სოფლად კლასობრივი ბრძოლის შეტანა») და კონკრეტულ საპროგრამო მოთხოვნათა საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტაც. მარტინოვს ეს ზოგადი საფუძვლები არავითარი სხვა საფუძვლებით არ შეუცვლია, სულაც არ ჩაფიქრებია ამ საფუძვლებს, არ ცდილა ემუშავნა ვარკვეული პროგრამის შესადგენად და თავს იძვრენს შემდეგი საუცხოო ფრაზით: «...ჩვენ უნდა მოვითხოვდეთ მათს (გლეხების, როგორც წვრილი მესაკუთრეების) დაცვას... ეკონომიური კაბალის სხვადასხვა ჩამორჩენილი ფორმებისაგან...» მეტისმეტად იოლად ხომ არ გამოდიხართ? იქნებ სცადოთ და პირდაპირ

თქვენ თანახმა ხართ იბრძოლოთ ბატონყმობის ნაშთების მოსპობისათვის? — კეთილი. მაშ გახსოვდეთ, რომ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს არავითარი ერთიანი იურიდიული დაწესებულება, რომელიც გამოხატავდეს ან განაპირობებდეს ამ ნაშთებს, — მე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ ბატონყმობის ნაშთებზე მხოლოდ და მხოლოდ იმ აგრარულ ურთიერთობათა სფეროში, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, და არა წოდებრივი, ფინანსური და სხვ. კანონმდებლობის სფეროში. საბატონო მეურნეობის პირდაპირი გადმონაშთები, რომლებიც რუსეთის ყველა ეკონომიური გამოკვლევით უთვალავჯერ იყო აღნიშნული, ემყარება არა რაიმე ცალკეულ კანონს, რომელიც მათ იცავს, არამედ ფაქტიურად არსებულ საადგილმამულო ურთიერთობათა ძალას. ეს იმდენად ასე არის, რომ ვალუევის ცნობილი კომისიის[36] წინაშე მოწმეები პირდაპირ ამბობდნენ: ბატონყმობა, უეჭველია, კვლავ აღორძინდებოდა, იგი კანონით პირდაპირ რომ არ ყოფილიყო აკრძალულიო. მაშასადამე, ორში ერთი: ან სრულიად არ უნდა შევეხოთ გლეხებსა და მემამულეებს შორის არსებულ საადგილმამულო ურთიერთობას, — მაშინ ყველა დანარჩენი საკითხი ძალიან «მარტივად» წყდება, მაგრამ მაშინ თქვენ ვერ შეეხებით სოფლად ბატონყმური მეურნეობის ყოველგვარი ნაშთის მთავარ წყაროსაც, მაშინ თქვენ «მარტივად» მოიშორებთ თავიდან ფრიად მწვავე საკითხს, რომელიც ეხება მებატონეთა და დამონებული გლეხობის უაღრესად ღრმა ინტერესებს, — საკითხს, რომელიც ადვილად შეიძლება

---

გვიჩვენოთ თ უ ნ დ ა ც ე რ თ ი დაცვა კაბალის თ უ ნ დ ა ც ე რ თ ი (არა თუ «სხვადასხვა»!) ჩამორჩენილი ფორმისაგან? (ალბათ, ყოფილა «კაბალის» არა ჩამორჩენილი «ფორმებიც»!!) წვრილი კრედიტიც, საერთო სარძეველებიც, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანიც, წვრილ მეპატრონეთა კავშირებიც, საგლეხო ბანკიც, ერობის აგრონომებიც, — ყოველივე ეს ხომ აგრეთვე «ეკონომიური კაბალის სხვადასხვა ჩამორჩენილი ფორმებისაგან დაცვაა». მაშასადამე, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ყოველივე ამას «უნდა მოვითხოვდეთ»?? ჯერ უნდა იფიქროთ, ჩემო კარგო, და უკვე შემდეგ ილაპარაკოთ პროგრამებზე!

ხვალ ან ზეგ გახდეს რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო სოციალ-პოლიტიკური საკითხი. ან თქვენ უნდა შეეხოთ «ეკონომიური კაბალის ჩამორჩენილი ფორმების» იმ წყაროსაც, როგორიც არის საადგილმამულო ურთიერთობა, — და მაშინ ანგარიში უნდა გაუწიოთ ამ ურთიერთობის ისეთ სირთულეს და დახლართულობას, რომელიც ადვილ და მარტივ გადაწყვეტას პირდაპირ ვერ იწყნარებს. მაშინ თქვენ, დახლართული საკითხის ჩვენს მიერ წამოყენებული კონკრეტული გადაწყვეტით უკმაყოფილოს, უ ფ ლ ე ბ ა ა ღ ა რ გექნებათ თავი დაიძვრინოთ საერთო «ჩივილით» დახლართულობაზე, არამედ უ ნ დ ა სცადოთ დამოუკიდებლად გაერკვეთ მასში, წამოაყენოთ სხვა კონკრეტული გადაწყვეტა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე გლეხურ მეურნეობაში ჩამონაჭრებს, — ეს ფაქტის საკითხია. და საგულისხმოა, რომ, მიუხედავად იმ ღრმა უფსკრულისა, რომელიც არსებობს ნაროდნიკობასა (ამ სიტყვის ფართო გაგებით) და მარქსიზმს შორის რუსეთის ეკონომიური წესებისა და ეკონომიური ევოლუციის შეფასებაში, — ამ ორ დოქტრინას შორის მ ო ც ე მ უ ლ საკითხში უთანხმოება არ არის. ორივე მიმართულების წარმომადგენლები თანახმანი არიან იმაში, რომ რუსეთის სოფელში ბატონყმობის აუარებელი ნაშთია და (ნოტა-ბენე) რომ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში გაბატონებული წესი კერძომფლობელური მეურნეობისა («მეურნეობის შრომამიგებითი სისტემა») ბატონყმობის პირდაპირი გადმონაშთია. შემდეგ, ისინი თანახმანი არიან იმაშიც, რომ გლეხთა მიწების ჩამონაჭრები მემამულეთა სასარგებლოდ, — ე. ი. ჩამონაჭრები პირდაპირი, უშუალო გაგებითაც და გლეხებისათვის საძოვრით, ტყით, წყალსალევით, საბალახოთი და სხვ. და სხვ. სარგებლობის უფლების წართმევაც, — წარმოადგენს შრომამიგებითი სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს (თ უ ყ ვ ე ლ ა ზ ე მ თ ა ვ ა რ ს ა რ ა) ბაზისს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ უახლესი ცნობებით მემამულური მეურნეობის შრომამიგებითი სისტემა უ პ ი რ ა ტ ე ს სი ს-

ტემად ითვლება ევროპული რუსეთის სულ. ცოტა 17 გუბერნიაში. დაე, სცადონ ამ ფაქტის უარყოფა იმათ, ვინც ჩამონაჭრების პუნქტში ხედავს წმინდა ხელოვნურ, «ნაცოდვილევ» ეშმაკურ გამოგონებას!

მეურნეობის შრომამიგებითი სისტემა აი რას ნიშნავს. ფაქტიურად, ე. ი. არა მფლობელობის უფლებით, არამედ სამეურნეო სარგებლობით, მემამულეთა და გლეხთა მიწები და ადგილები საბოლოოდ კი არ არის გაყოფილი, არამედ კვლავ შეერთებულადაა დატოვებული: გლეხთა მიწის ნაწილი გამოყენებულია, მაგ., იმ პირუტყვის შესანახად, რომელიც საჭიროა არა გლეხის, არამედ მემამულის მიწის დასამუშავებლად; მემამულის მიწის ნაწილი აუცილებლად საჭიროა მეზობელი გლეხური მეურნეობისათვის მის მოცემულ სისტემაში (წყალსალევი, საბალახო და სხვ.). და მიწათსარგებლობის ეს ფაქტიური გადახლართვა გარდუვალად წარმოშობს (უფრო სწორად: ინარჩუნებს ათასწლოვანი ისტორიით წარმოშობილს) გლეხის ისეთსავე დამოკიდებულებას ბატონთან, როგორიც ბატონყმობის დროსაც იყო. გლეხი **de facto** * რჩება ყმად, წინანდებურად მუშაობს თავისი ძველისძველი ინვენტარით, სამმინდვრიანი მეურნეობის ძველისძველი რუტინით, თავისი ძველისძველი «მეუფე-მებატონისათვის». მეტი რაღა გინდათ, როდესაც თვით გლეხები ამ შრომამიგებას ძალიან ხშირად უწოდებენ საპანო და «საბატონო ბეგარას»? — როდესაც თვით მემამულეები თავისი მეურნეობის აწერის დროს ამბობენ: მიწას მიმუშავებენ «ჩემი ყოფილი»... (მაშასადამე, არა მარტო ყოფილი, არამედ ახლანდელიც!) «...გლეხები» თავისი ინვენტარით ჩემგან ნაქირავები საძოვრის სანაცვლოდ?

როდესაც წყდება რომელიმე რთული და დახლართული საზოგადოებრივ-ეკონომიური საკითხი, ანბანური წესი მოითხოვს, რომ ჯერ ავიღოთ ყველაზე ტიპიური, ყოველგვარ გარეშე გამართულებელ გავლენათა და გარემოებათაგან

* — ფაქტიურად, ნამდვილად. რედ.

თავისუფალი, შემთხვევა და უკვე მისი გადაწყვეტის შემდეგ წავიდეთ უფრო იქით, სათითაოდ მივიღოთ მხედველობაში ეს გარეშე და გამართულებელი გარემოებანი. აიღეთ აქაც ყველაზე «ტიპიური» შემთხვევა: ყოფილი ყმების შვილები მუშაობენ ყოფილი ბატონის შვილებისათვის მისგან ნაქირავები საძოვრის სანაცვლოდ. შრომამიგების სისტემა იწვევს ტექნიკის გაყინვას და სოფლად ყ ვ ე ლ ა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა გაყინვას, რადგან ეს სისტემა ხელს უშლის ფულადი მეურნეობის განვითარებას და გლეხობის დაშლას, მემამულეს ათავისუფლებს (შედარებით) კონკურენციის წამბიძგველი გავლენისაგან (ტექნიკის ამაღლების ნაცვლად იგი ამცირებს მონახევრის წილს; სხვათა შორის, ეს შემცირება შემჩნეულია მთელ რიგ ადგილას რეფორმისშემდგომი პერიოდის მრავალი წლის განმავლობაში), გლეხს მიწაზე ამაგრებს და ამით აფერხებს გადასახლება-გადმოსახლებისა და გარესამუშაოების განვითარებას და სხვ.

ისმება კითხვა: დაეჭვდება თუ არა რომელიმე სოციალ-დემოკრატი, რომ ამ «წმინდა» შემთხვევაში სავსებით ბუნებრივია, სასურველი და განსახორციელებელია მემამულის მიწის სათანადო ნაწილის ექსპროპრიაცია გლეხის სასარგებლოდ? ეს ექსპროპრიაცია შეანჯღრევს ობლომოვს და აიძულებს მას გადავიდეს თავისი მიწის უფრო მცირე რაოდენობის უფრო გაუმჯობესებულ მეურნეობაზე, ეს ექსპროპრიაცია ძირს გამოუთხრის (არ ვამბობ — მოსპობს, არამედ სწორედ ძირს გამოუთხრის) შრომამიგების სისტემას, გააძლიერებს გლეხობაში დამოუკიდებლობასა და დემოკრატიულ სულისკვეთებას, აამაღლებს მის საარსებო დონეს, მძლავრ ბიძგს მისცემს ფულადი მეურნეობის შემდგომ განვითარებას და მიწათმოქმედების შემდგომ კაპიტალისტურ პროგრესს.

და საერთოდაც: რაკი საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩამონაჭრები შრომამიგების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა, ხოლო ეს სისტემა ბატონყმობის პირდაპირი ნაშთია, რომელიც აფერხებს კაპიტალიზმის განვითარებას, მაშ როგორ შეიძლება დაეჭვება იმაში, რომ ჩამონაჭრების დაბრუ-

ნება ძირს გამოუთხრის შრომამიგებას და დააჩქარებს საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებას?

## VII

მაგრამ ამაში ძალიან ბევრნი დაეჭვდნენ, და ახლა ჩვენ გადავალთ იმ საბუთების გარჩევაზე, რომლებიც დაეჭვებულებმა წამოაყენეს. ყველა ეს საბუთი შეიძლება შემდეგ რუბრიკებად დავაჯგუფოთ: ა) შეესაბამება თუ არა ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და სოციალ-დემოკრატიის პროგრამულ პრინციპებს? ბ) პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით გონივრულია თუ არა წამოვაყენოთ იმ ისტორიული უსამართლობის გამოსწორების მოთხოვნა, რომლის მნიშვნელობასაც ასუსტებს ეკონომიური განვითარების თვითეული ნაბიჯი? გ) შეიძლება თუ არა ამ მოთხოვნის პრაქტიკულად განხორციელება? დ) თუ აღვიარებთ, რომ ჩვენ შეგვიძლია წამოვაყენოთ და უნდა წამოვაყენოთ ამგვარი მოთხოვნა და ჩვენს აგრარულ პროგრამაში დავსახოთ არა მინიმუმი, არამედ მაქსიმუმი, მაშინ თანამიმდევრულია თუ არა ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა ამ თვალსაზრისით? წარმოადგენს თუ არა ასეთი მოთხოვნა ნამდვილად მაქსიმუმს?

რამდენადაც ვიცი, ყ ვ ე ლ ა მოსაზრება «ჩამონაჭრების წინააღმდეგ» ამ ოთხი პუნქტიდან ამა თუ იმ პუნქტს მიეკუთვნება, ამასთან მოდავეთა უმრავლესობა (მათ შორის მარტინოვიც) ოთხივე კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლეოდა და ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნას სცნობდა პრინციპულადაც არასწორად, პოლიტიკურადაც მიზანშეუწონლად, პრაქტიკულადაც განუხორციელებლად და ლოგიკურადაც არათანამიმდევრულად.

მაშ განვიხილოთ ყველა ეს საკითხი მათი მნიშვნელობის მიხედვით.

ა) ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა პრინციპულად არასწორად მიაჩნიათ ორი მოსაზრებით. ჯერ ერთი, ამბობენ,

რომ ეს კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობას «შელახავსო», ე. ი. შეაჩერებს ან შეაფერხებს კაპიტალიზმის განვითარებასო; მეორეც, ამბობენ, რომ იგი არა მარტო გააძლიერებს, არამედ პირდაპირ გაამრავლებს წვრილ საკუთრებასო. პირველი ამ მოსაზრებათაგანი (რომელსაც განსაკუთრებით მარტინოვი აღნიშნავს ხაზგასმით) სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ტიპიური ჩამონაჭრები, პირიქით, აფერხებენ კაპიტალიზმის განვითარებას, და მათი დაბრუნება გააძლიერებს ამ განვითარებას; რაც შეეხება არატიპიურ შემთხვევებს (თავი რომ დავანებოთ იმას, რომ გამონაკლისები ყოველთვის და ყველგან შესაძლებელია და რომ ეს გამონაკლისები მხოლოდ ადასტურებენ წესს), ამაზე შენიშვნა იყო «ისკრაშიც» და პროგრამაშიც («...მიწები, რომლებიც ჩამოჭრილია... და წარმოადგენენ დამონების იარაღს...»). ეს მოსაზრება პირდაპირ დამყარებულია რუსეთის სოფლის ეკონომიკაში ჩამონაჭრებისა და შრომამიგების ნამდვილი მნიშვნელობის უცოდინარობაზე.

მეორე მოსაზრება (განსაკუთრებით დაწვრილებით განვითარებული ზოგიერთ კერძო წერილში) გაცილებით უფრო სერიოზულია და საერთოდ წარმოადგენს ყველაზე ძლიერ საბუთს იმ პროგრამის წინააღმდეგ, რომელსაც ვიცავთ. საერთოდ რომ ითქვას, წვრილი მეურნეობისა და წვრილი საკუთრების განვითარება, მხარდაჭერა, განმტკიცება და, მით უმეტეს, გამრავლება სრულიადაც არ არის სოციალ-დემოკრატიის ამოცანა. ეს სავსებით მართებულია. მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ ჩვენს წინაშე არის წვრილი მეურნეობის სწორედ არა «საერთო», არამედ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მაგალითი, და ეს განსაკუთრებულობა ნ ა თ ლ ა დ ა რ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი ჩვენი აგრარული პროგრამის შესავალში: «ბატონყმური წყობილების ნაშთთა მოსპობა და კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარება სოფლად». ს ა ე რ თ ო დ რომ ითქვას, წვრილი საკუთრების მხარდაჭერა რეაქციულია, რ ა დ გ ა ნ იგი მიმართულია მსხვილი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მეურნეობის წინააღმდეგ და, მაშასადამე, აფერხებს საზოგა-

დოებრივ განვითარებას, ჩრდილავს და ანელებს კლასობრივ ბრძოლას. ამ შემთხვევაში კი ჩვენ გვინდა მხარი დავუჭიროთ წვრილ საკუთრებას სახელდობრ არა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, არამედ ბატონყმობის წინააღმდეგ, — ამ შემთხვევაში წვრილი გლეხობისათვის მხარდაჭერით ჩვენ დიდად ვუწყობთ ხელს კლასობრივი ბრძოლის განვითარებას. მართლაც, ერთი მხრით, ჩვენ ამით ვახდენთ უკანასკნელ ცდას — გავაღვივოთ მებატონე-მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა კლასობრივი (წოდებრივი) მტრობის ნაშთები. მეორე მხრით, ჩვენ გზას ვუკაფავთ ბურჟუაზიული კლასობრივი ანტაგონიზმის განვითარებას სოფლად, ვინაიდან ეს ანტაგონიზმი ახლა დაფარულია ყველა გლეხის, ვითომდა, საერთო და ერთნაირი დაჩაგრულობით ბატონყმობის ნაშთების ქვეშ.

ყველაფერს ამ ქვეყნად ორი მხარე აქვს. მესაკუთრე გლეხმა დასავლეთში უკვე შეასრულა თავისი როლი დემოკრატიულ მოძრაობაში და ის იცავს თავის პრივილეგიურ მდგომარეობას პროლეტარიატთან შედარებით. მესაკუთრე გლეხი რუსეთში ჯერ კიდევ დგას გადამწყვეტი და საერთოსახალხო დემოკრატიული მოძრაობის წინ, რომელსაც არ შეუძლია არ თანაუგრძნობდეს. იგი ჯერ კიდევ უფრო წინ იხედება, ვიდრე უკან. იგი ჯერ კიდევ გაცილებით უფრო იბრძვის რუსეთში ესოდენ ძლიერ წოდებრივ-ბატონყმურ პრივილეგიათა წინააღმდეგ, ვიდრე იცავს თავის პრივილეგიურ მდგომარეობას. ასეთ ისტორიულ მომენტში ჩვენ პირდაპირ ვალდებულნი ვართ მხარი დავუჭიროთ გლეხობას და შევეცადოთ მივმართოთ მისი ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველი უკმაყოფილება მისი ნამდვილი მტრის წინააღმდეგ. და ჩვენ სრულიადაც არ ვიქნებით ჩვენს თავთან წინააღმდეგობაში, თუ შემდგომ ისტორიულ პერიოდში, როდესაც მოცემული სოციალ-პოლიტიკური «კონიუნქტურის» თავისებურებანი გაივლიან, როდესაც გლეხობა, ვთქვათ, დაკმაყოფილდება მესაკუთრეთა უმნიშვნელო ნაწილის უმნიშვნელო ნასუფრალით და უკვე გაბედულად «შეუბღვერს»

პროლეტარიატს, თუ ჩვენ მაშინ ჩვენი პროგრამიდან ამოვაგდებთ ბრძოლას ბატონყმობის ნაშთთა წინააღმდეგ. მაშინ, ალბათ, დაგვჭირდება ამოვაგდოთ პროგრამიდან თვითმპყრობელობასთან ბრძოლაც, რადგან არასგზით არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გლეხობამ თავი იხსნას ყველაზე საზიზღარი და მძიმე ბატონყმური უღლისაგან პოლიტიკური თავისუფლების მ ო პ ო ვ ე ბ ა მ დ ე.

კაპიტალისტური მეურნეობის ბატონობის დროს წვრილი საკუთრება აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას, რადგან მომუშავეს ამაგრებს მიწის პატარა ნაკვეთზე, აკანონებს რუტინულ ტექნიკას, აძნელებს მიწის მოქცევას სავაჭრო ბრუნვაში. შრომამიგებითი მეურნეობის ბატონობის დროს წვრილი საადგილმამულო საკუთრება, თავისუფლდება რა შრომამიგებისაგან, ამით ხელს უწყობს საწარმოო ძალების განვითარებას, სთავისუფლებს გლეხს კაბალისაგან, რომელიც მას ერთ ადგილზე აჯაჭვავდა, ათავისუფლებს მემამულეს «მუქთი» მსახურისაგან, ართმევს მას შესაძლებლობას ტექნიკური გაუმჯობესება შესცვალოს «პატრიარქალური» ექსპლოატაციის უსაზღვრო გაძლიერებით, აადვილებს მიწის მოქცევას სავაჭრო ბრუნვაში. ერთი სიტყვით, წვრილი გლეხობის წინააღმდეგობრივი მდგომარეობა ბატონყმური და კაპიტალისტური მეურნეობის მიჯნაზე სავსებით ამართლებს სოციალ-დემოკრატიის მიერ წვრილი საკუთრების ამ განსაკუთრებულსა და დროებითს მხარდაჭერას. ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: ეს ჩვენი პროგრამის რედაქტირების ან ფორმულირების წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ ცოცხალი სინამდვილის წინააღმდეგობაა.

გვიპასუხებენ: «რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს შრომამიგებითი მეურნეობა კაპიტალიზმის შემოტევას, იგი მაინც ვერ უძლებს მას, — უფრო მეტიც: იგი განწირულია და სავსებით გაქრება; მსხვილი შრომამიგებითი მეურნეობა თავის ადგილს უთმობს და დაუთმობს უშუალოდ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობას. თქვენ კი გინდათ ბატონყმობის ლიკვიდაციის პროცესი დააჩქაროთ ისეთი ღონისძიებით, რომელიც არსე-

ბითად წარმოადგენს მსხვილი მეურნეობის დაქუცმაცებას (თუნდაც ნაწილობრივს, მაგრამ მაინც დაქუცმაცებას). ამით განა მომავლის ინტერესები მსხვერპლად არ მიგაქვთ დღევანდელი ინტერესების გულისათვის? უახლოეს მომავალში ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების პრობლემატური შესაძლებლობის გულისათვის თქვენ აძნელებთ მეტად თუ ნაკლებად შორეულ მომავალში სოფლის პროლეტარიატის აჯანყებას კაპიტალიზმის წინააღმდეგ!»

ასეთ მსჯელობას, რა დამაჯერებელიც უნდა იყოს იგი ერთი შეხედვით, მეტად დიდი ცალმხრივობა ახასიათებს: ჯერ ერთი, წვრილი გლეხობაც ვერ უძლებს, თუმცა ეწინააღმდეგება, მაგრამ მაინც ვერ უძლებს, კაპიტალიზმის შემოტევას, იმასაც საბოლოო ანგარიშით მოელის გარდუვალი გამოდევნა. მეორე, მსხვილი შრომამიგებითი მეურნეობაც ადგილს უთმობს მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობას არა ყოველთვის «უშუალოდ», არამედ ხშირად ისე, რომ ჰქმნის ნახევრადდამოკიდებულთა, ნახევრადმოჯამაგირეთა, ნახევრადმესაკუთრეთა ფენას, — მაშინ როდესაც ისეთი რევოლუციური ღონისძიება, როგორიც არის ჩამონაჭრების დაბრუნება, უდიდეს სამსახურს გაგვიწევდა სწორედ იმით, რომ ბატონყმური დამოკიდებულების ბურჟუაზიულ დამოკიდებულებად თანდათანობითი და შეუმჩნეველი გადაქცევის «მეთოდს» ერთხელ მაინც შესცვლიდა აშკარა რევოლუციური გარდაქმნის «მეთოდით»: ეს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უ ღ რ მ ე ს გ ა ვ ლ ე ნ ა ს მოახდენდა სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობის პროტესტისა და დამოუკიდებელი ბრძოლის სულისკვეთებაზე. მესამე, ჩვენც, რუსი სოციალ-დემოკრატები, შევეცდებით გამოვიყენოთ ევროპის გამოცდილება და გაცილებით ადრე, გაცილებით უფრო გულმოდგინედ შევუდგებით «სოფლის მოსახლეობის» ჩაბმას მუშათა სოციალისტურ მოძრაობაში, ვიდრე ეს შესძლეს ჩვენმა დასავლეთელმა ამხანაგებმა, რომლებიც პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების შემდეგ კიდევ დიდხანს ეძებდნენ «ხელის ფათურით» სამრეწველო მუშათა მოძრაობის გზებს: ამ

დარგში ჩვენ ბევრ რამეს ავიღებთ მზამზარეულად «გერმანელებისაგან», აგრარულ დარგში კი, იქნებ, რაიმე ახალიც შევიმუშაოთ. და იმისათვის, რომ შემდეგში ჩვენს მოჯამაგირეებსა და ნახევრადმოჯამაგირეებს გავუადვილოთ სოციალიზმში გადასვლა, მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ სოციალისტურმა პარტიამ ა ხ ლ ა ვ ე დაიწყოს წვრილი გლეხობის «გამოქომაგება», თავის მხრივ გააკეთოს მისთვის «ყოველივე შესაძლებელი», უარი არ თქვას «უცხო» (არაპროლეტარულ) მტკივნეულ და დახლართულ საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობაზე, მიაჩვიოს მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასა იმას, რომ ჩვენს პარტიაში ხედავდეს თავის ბელადსა და წარმომადგენელს.

გავყვეთ ქვემოთ. ბ) ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა პოლიტიკურად მიზანშეუწონლად მიაჩნიათ: უანგარიშობაა, რომ პარტია ყურადღებას აქცევდეს ყოველგვარ იმ ისტორიულ უსამართლობათა გამოსწორებას, რომელნიც უკვე ჰკარგავენ თანამედროვე მნიშვნელობას, — და ყურადღებას არიდებდეს ძირითადსა და სულ უფრო და უფრო მოახლოებულ საკითხს — პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლის საკითხს. განუზრახავთ «40 წლის დაგვიანებით გლეხობის ხელახალი განთავისუფლებაო», — ირონიით ამბობს მარტინოვი.

და ეს მსჯელობა ასე კეთილსახიერად მოჩანს მხოლოდ ერთი შეხედვით. ისტორიული უსამართლობანი ხომ სხვადასხვანაირია. არიან უსამართლობანი, რომელნიც, ასე ვთქვათ, განზე რჩებიან მთავარი ისტორიული ნაკადისაგან, არ აფერხებენ მას, ხელს არ უშლიან მის მდინარებას, არ აბრკოლებენ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებას და გაფართოებას. მართლაც, უგუნურება იქნებოდა ასეთი ისტორიული უსამართლობის გამოსწორებისათვის რომ მოგვეკიდა ხელი. მაგალითისათვის აღვნიშნავთ გერმანიის მიერ ელზას-ლოთარინგიის შეერთებას. არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ფიქრად არ მოუვა თავის პროგრამაში წამოაყენოს ა ს ე თ ი უსამართლობის გამოსწორება, თუმცა

ამავე დროს არც ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია თავს არ აარიდებს თავის მოვალეობას — პროტესტი განაცხადოს ამ უსამართლობის წინააღმდეგ და სამარცხვინო ბოძზე გააკრას ამისათვის ყველა გაბატონებული კლასი. და ჩვენ რომ ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა დაგვესაბუთებინა იმით და მხოლოდ იმით, რომ აი, ისტორიული უსამართლობა იყო ჩადენილი, მოდი გამოვასწოროთ იგიო, — მაშინ ეს ლიტონი დემოკრატიული ფრაზა იქნებოდა. მაგრამ ჩვენს მოთხოვნას ვასაბუთებთ არა წუწუნით ისტორიული უსამართლობის გამო, არამედ აუცილებლობით — გავაუქმოთ ბატონყმობის ნაშთები და გზა გავუწმინდოთ კლასობრივ ბრძოლას სოფლად, ე. ი. ვასაბუთებთ პროლეტარიატისათვის ფრიად «პრაქტიკული» და ფრიად არსებითი აუცილებლობით.

ჩვენ აქ ვხედავთ ს ხ ვ ა ისტორიული უსამართლობის მაგალითს, სახელდობრ: ისეთი უსამართლობისა, რომელიც უ შ უ ა ლ ო დ განაგრძობს საზოგადოებრივი განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის შ ე ფ ე რ ხ ე ბ ა ს. ა ს ე თ ისტორიულ უსამართლობათა გამოსწორების ცდაზე უარისთქმა ნიშნავს «მათრახის დაცვას იმ საბუთით, რომ ეს მათრახი ისტორიულია». ჩვენი სოფლის განთავისუფლება «ძველი რეჟიმის» ნაშთთა უღლისაგან თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია, რომელსაც აყენებს ყველა მიმართულება და პარტია (გარდა ბატონყმური პარტიისა), ასე რომ დაგვიანებაზე ლაპარაკი საერთოდ უადგილოა, ხოლო როცა ეს მარტინოვისგან გესმის, პირდაპირ სასაცილოა. კაცმა რომ თქვას, «დააგვიანა» თ ა ვ ი ს ი ამოცანის გადაწყვეტა რუსეთის ბურჟუაზიამ — აღმოეფხვრა ძველი რეჟიმის ყველა ნაშთი, — და ამ დეფექტს ჩვენ უნდა ვასწორებდეთ თვით იმ დრომდე, ვიდრე იგი გამოსწორებული არ იქნება, ვიდრე ჩვენ პოლიტიკური თავისუფლება არ გვექნება, ვიდრე გლეხობის მდგომარეობა ასაზრდოებს განათლებული ბურჟუაზიული საზოგადოების თითქმის მთელი მასის უკმაყოფილებას (როგორც ამას ვხედავთ რუსეთში) და არა

კონსერვატიული თვითკმაყოფილების გრძნობას ამ მასაში იმის გამო, რომ სოციალიზმის წინააღმდეგ ვითომდა ყველაზე მძლავრი ბურჯი «ურღვეველია» (როგორც ამას ვხედავთ დასავლეთში, სადაც აღნიშნული თვითკმაყოფილება ემჩნევა წესრიგის ყველა პარტიას, დაწყებული აგრარიებით და **pur sang** * კონსერვატორებით, გაგრძელებული ლიბერალური და თავისუფლად მოაზროვნე ბურჟუებით და გათავებული, ასე გასინჯეთ... ნუ განრისხდებიან ბატონი ჩერნოვები და «ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციი»!.. ასე გასინჯეთ, გათავებული მარქსიზმის მოდური «კრიტიკოსებით» აგრარულ საკითხში). და შემდეგ, რა თქმა უნდა, «დაიგვიანეს» იმ რუსმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც, თავიანთი პრინციპის მიხედვით, კუდში მისჩანჩალებენ მოძრაობას და მუშაობენ მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც «ხელშესახებ შედეგებს გვპირდება»: აგრარულ საკითხშიც გარკვეული დირექტივის მიცემის დაგვიანებით ეს «კუდმაჩანჩალები» აძლევენ მხოლოდ უაღრესად ძლიერს და უაღრესად საიმედო იარაღს არა სოციალ-დემოკრატიულ რევოლუციურ მიმართულებებს.

რაც შეეხება (გ) ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნის პრაქტიკულად «განუხორციელებლობას», ეს მოსაზრება (განსაკუთრებით მარტინოვის მიერ ხაზგასმული) ერთ-ერთი ყველაზე სუსტი საბუთია. იმ საკითხს, თუ სახელდობრ რა შემთხვევებში და სახელდობრ როგორ მოხდეს ექსპროპრიაცია, გამოსყიდვა, გამიჯვნა და სხვ., გლეხთა კომიტეტები, პოლიტიკური თავისუფლების დროს, ერთიათად უფრო უკეთესად გაართმევენ თავს, ვიდრე უმცირესობის წარმომადგენელთაგან შემდგარი და უმცირესობის ინტერესებისათვის მოქმედი თავადაზნაურული კომიტეტები. ამ მოსაზრებას მხოლოდ ისეთი ადამიანები მისცემენ მნიშვნელობას, რომლებიც შეეჩვივნენ მასების რევოლუციური აქტივობის ძალიან დაბალ შეფასებას.

* — წმინდა სისხლის. რ ე დ.

აქ აყენებენ შეოთხე და უკანასკნელ საწინააღმდეგო მოსაზრებას. თუ იმედებს ვამყარებთ გლეხობის რევოლუციურ აქტივობაზე და მისთვის ვადგენთ არა პროგრამა-მინიმუმს, არამედ პროგრამა-მაქსიმუმს, მაშინ თანამიმდევარნი უნდა ვიყვეთ და მოვითხოვოთ ან მიწის გლეხური «ხელახალი გაყოფა» («ჩერნი პერედელ»), ან მისი ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია! «ჩვენ რომ მოგვენდომებინა, — წერს მარტინოვი, — გვეპოვნა ნამდვილი (sic! *) კლასობრივი ლოზუნგი მცირემიწიანი გლეხობის მასისათვის, უფრო შორს უნდა წავსულიყავით — ჩვენ უნდა წამოგვეყენებინა მიწის «ხელახალი გაყოფის» მოთხოვნა, მაგრამ მაშინ ჩვენ უნდა გამოვთხოვებოდით სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას».

ეს მსჯელობა შესანიშნავი რელიეფურობით ამხელს «ეკონომისტს» და გვაგონებს ანდაზას იმ ადამიანებზე, რომლებიც შუბლს გაიხეთქენ, თუ აიძულებ ღმერთს ევედრონ.

თქვენ მხარი დაუჭირეთ ე რ თ იმ მოთხოვნათაგანს, რომლებიც ახორციელებენ წვრილ მწარმოებელთა განსაზღვრული ფენის გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ინტერესებს: ეს ნ ი შ ნ ა ვ ს, რომ თქვენ უნდა მიატოვოთ საკუთარი თვალსაზრისი და გადახვიდეთ ამ ფენის თვალსაზრისზე!! — ეს სრულიადაც არ ნიშნავს ამას; ასე მსჯელობენ მხოლოდ «მაჩანჩალები», რომლებიც ერთმანეთში ურევენ კლასის ფართოდ გაგებული ინტერესების შესაბამისი პროგრამის შემუშავებას და ამ კლასის წინაშე მლიქვნელობას. ჩვენ პროლეტარიატის წარმომადგენლები ვართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირდაპირ დავგმობთ განუვითარებელ პროლეტართა იმ ცრურწმენას, თითქოს ბრძოლა საჭიროა მხოლოდ ისეთი მოთხოვნებისათვის, რომლებიც «ხელშესახებ შედეგებს გვპირდებიან». ჩვენ მხარს ვუჭერთ გლეხობის პროგრესულ ინტერესებსა და მოთხოვნებს, მაგრამ გადაჭრით უკუვაგდებთ მის რეაქციულ მოთხოვნებს. ხოლო მიწის «ხელახალი გაყოფა», ძველი ნაროდნიკობის ეს ერთ-ერთი უაღრესად რელიეფური ლოზუნგი, შეიცავს სწორედ რევოლუციური და რეაქციული მომენ-

* — ასე! რ ე დ.

ტების გადახლართვას. და სოციალ-დემოკრატებს მრავალ-ჯერ უთქვამთ, რომ სრულიადაც არ უკუაგდებენ მთელ ნა-როდნიკობას ერთი უგუნური ფრინველის ჯიუტობის მსგავ-სად, არამედ მისგან გამოჰყოფენ და თავისად აღიარებენ მის რევოლუციურ, მის საერთო-დემოკრატიულ ელემენტებს. მი-წის ხელახალი გაყოფის მოთხოვნაში რეაქციულია წვრილი გლეხური წარმოების გაყოვლადებისა და გამარადისების უტოპია, მაგრამ მასში (გარდა უტოპიისა, თითქოს «გლეხო-ბას» შეუძლია იყოს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გადატრიალების მატარებელი) არის რევოლუციური მხარეც, სახელდობრ: იმის სურვილი, რომ გლეხთა აჯანყების საშუალებით აღი-გავოს ბატონყმური წყობილების ყველა ნაშთი. ჩვენი აზრით, ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა გლეხის ყველა ორჭო-ფული და წინააღმდეგობრივი მოთხოვნისაგან გამოჰყოფს სწორედ იმას, რასაც შეუძლია რევოლუციურად იმოქმედოს მხოლოდ მთელი საზოგადოებრივი განვითარების მიმართუ-ლებით და რაც ამიტომ ღირსია იმისა, რომ პროლეტარიატმა მას მხარი დაუჭიროს. მარტინოვის მოწოდებას, რომ «უფრო შორს წავიდეთ», ნამდვილად მივყავართ მხოლოდ იმ უაზ-რობისაკენ, რომ გლეხობის «ნ ა მ დ ვ ი ლ ი» კლასობრივი ლოზუნგი განვსაზღვროთ გლეხობის ნ ა მ დ ვ ი ლ ცრურწმე-ნათა თვალსაზრისით და არა პროლეტარიატის ნ ა მ დ ვ ი-ლ ა დ გ ა გ ე ბ უ ლ ინტერესთა თვალსაზრისით.

სხვა საქმეა მიწის ნაციონალიზაცია. ეს მოთხოვნა (თუ მას გავიგებთ ბურჟუაზიულად და არა სოციალისტურად), მართლაც, ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნაზე «შორს მიდის», და პრინციპულად ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ მოთხოვნას. განსაზღვრულ რევოლუციურ მომენტში ჩვენ, რა თქმა უნდა, უარს არ ვიტყვით მის წამოყენებაზე. მაგრამ ჩვენს ახლანდელ პროგრამას ვადგენთ არა მარტო და, ასე გასინჯეთ, არა იმდენად რევოლუციური აჯანყების ეპოქისათვის, რამდე-ნადაც პოლიტიკური მონობის ეპოქისათვის, იმ ეპოქისა-თვის, რომელიც წინ უძღვის პოლიტიკურ თავისუფლებას. ასეთ ეპოქაში კი მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა გ ა ც ი-

ლებით უფრო სუსტად გამოხატავს დემოკრატიული მოძრაობის უშუალო ამოცანებს ბატონყმობასთან ბრძოლის აზრით. გლეხთა კომიტეტების დაარსებისა და ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა უშუალოდ აღვივებს მოცემულ კლასობრივ ბრძოლას სოფლად, და ამიტომ მას არ შეუძლია საბაბი მოგვცეს რაიმე ექსპერიმენტისათვის სახელმწიფოებრივი სოციალიზმის აზრით. პირიქით, მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა რამდენადმე აშორებს ჩვენს ყურადღებას ბატონყმობის ყველაზე რელიეფური გამოვლენებისა და ყველაზე ძლიერი ნაშთებისაგან. ამიტომ ჩვენი აგრარული პროგრამა შეიძლება და უნდა წამოვაყენოთ კიდეც ახლავე, როგორც გლეხობაში დემოკრატიული მოძრაობისათვის ბიძგის მიმცემი ერთ-ერთი საშუალება. ხოლო ნაციონალიზაციის მოთხოვნის წამოყენება არა მარტო თვითმპყრობელობის დროს, არამედ ნახევრადკონსტიტუციური მონარქიის დროსაც პირდაპირ უმართებულო იქნებოდა, რადგან როდესაც არ არსებობენ უკვე მთლად განმტკიცებული და ღრმად ფესვგადგმული დემოკრატიული პოლიტიკური დაწესებულებანი, ეს მოთხოვნა გაცილებით უფრო ჩქარა მიმართავს ჩვენს აზრს სახელმწიფოებრივი სოციალიზმის უაზრო ექსპერიმენტებისაკენ, ვიდრე მისცემს ბიძგს «კლასობრივი ბრძოლის თავისუფალ განვითარებას სოფლად» *.

აი რატომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი აგრარული პროგრამის მაქსიმუმი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების ბაზისზე არ უნდა სცილდებოდეს საგლეხო რეფორმის დემო-

* ძალიან სწორად შენიშნა კაუტსკიმ თავის ერთ-ერთ სტატიაში ფოლმარის წინააღმდეგ: «ინგლისში მოწინავე მუშებს შეუძლიათ მოითხოვონ მიწის ნაციონალიზაცია. მაგრამ რას მივიღებდით, მთელი მიწა ისეთი სამხედრო და პოლიციური სახელმწიფოსი, როგორიც გერმანიაა, სახელმწიფოს საკუთრება (**eine Domäne**) რომ გახდეს? ასეთი ჯურის სახელმწიფოებრივი სოციალიზმის განხორციელებას, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ვხედავთ მეკლენბურგში» [«**Vollmar und der Staatssocialismus**», «**Neue Zeit**», 1891 — 1892, X. 2. S. 710 («ფოლმარი და სახელმწიფოებრივი სოციალიზმი», «ახალი დროება», 1891 — 1892, X. 2, გვ. 710. რ ე დ.)].

კრატიულ გადასინჯვას. მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა, თუმცა იგი პრინციპული თვალსაზრისით სავსებით სწორია და გამოსადეგია განსაზღვრული მომენტებისათვის, პოლიტიკურად მიზანშეუწონელია ახლანდელ მომენტში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნადეჟდინს გზა აებნა, როცა ის ისწრაფვოდა მისულიყო სწორედ ისეთ მაქსიმუმამდე, როგორიც მიწის ნაციონალიზაცია არის (გზა აებნა ნაწილობრივ თავისი გადაწყვეტილების გავლენით, რომ პროგრამაში დასჯერებოდა «მოთხოვნებს, რომლებიც გლეხისათვის გ ა ს ა გ ე ბ ი და საჭიროა»). ნადეჟდინი ნაციონალიზაციის მოთხოვნას შემდეგნაირად აყალიბებს: «სახელმწიფო, საუფლისწულო, საეკლესიო, მემამულეთა მიწის გადაცემა ხალხის საკუთრებად, ნაციონალურ ფონდად, მშრომელი გლეხობისათვის გრძელვადიანი იჯარით დასარიგებლად უაღრესად შეღავათიან პირობებში». «გლეხისათვის» ეს მოთხოვნა, უეჭველია, გასაგები იქნება, — მაგრამ სოციალ-დემოკრატისათვის ნამდვილად გაუგებარია. მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პრინციპულად სწორ მოთხოვნას მხოლოდ როგორც ბურჟუაზიული ღონისძიება და არა სოციალისტური, რადგან სოციალისტური გაგებით ჩვენ მოვითხოვთ წარმოების ყ ვ ე ლ ა საშუალების ნაციონალიზაციას. ხოლო თუ ბურჟუაზიული საზოგადოების ბაზისზე დავრჩებით, ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ მხოლოდ მიწის რენტის გადაცემა სახელმწიფოსათვის, — გადაცემა, რომელიც თავისთავად არათუ არ შეაფერხებდა, არამედ, პირიქით, დააჩქარებდა კიდეც მიწათმოქმედების კაპიტალისტურ ევოლუციას. ამიტომ, როცა სოციალ-დემოკრატი მხარს უჭერს მიწის ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციას, მან, ჯერ ერთი, სრულიადაც არ უნდა გამორიცხოს გლეხთა მიწები, როგორც ეს ნადეჟდინმა ჩაიდინა. თუ ჩვენ ვინარჩუნებთ კ ე რ ძ ო მეურნეობას მიწაზე და ვსპობთ მხოლოდ მიწის კერძო საკუთრებას, პირდაპირ რეაქციული იქნებოდა ამ მ ხ რ ი ვ წვრილი მესაკუთრისათვის გამონაკლისის დაშვება. მეორეც, ა ს ე თ ი ნაციონალიზაციის დროს სოციალ-დემო-

კრატი გადაჭრით წინააღმდეგი იქნებოდა იმისა, რომ ნაციონალური მიწის იჯარით გაცემისას უპირატესობა მიეცეს «მშრომელ გლეხობას» მიწათმოქმედებაში მეწარმე კაპიტალისტებთან შედარებით. ეს უპირატესობა ისევ და ისევ რეაქციული იქნებოდა წარმოების კაპიტალისტური წესის ბატონობის ან შენარჩუნების პირობებში. ისეთი დემოკრატიული ქვეყანა რომ აღმოჩენილიყო, რომელიც მოახდენდა მიწის ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციას, მაშინ ამ ქვეყნის პროლეტარიატმა არ უნდა მისცეს უპირატესობა არც წვრილ, არც მსხვილ მოიჯარადრეებს, არამედ უნდა მოითხოვოს აუცილებლივ, რომ ყ ო ვ ე ლ მ ა მოიჯარადრემ დაიცვას კანონით დადგენილი წესები შრომის დაცვის შესახებ (მაქსიმალური სამუშაო დღის, სანიტარულ დადგენილებათა შესრულების და სხვ. შესახებ), აგრეთვე მიწასთან და პირუტყვთან რაციონალურად მოპყრობის შესახებ. რასაკვირველია, პროლეტარიატის ასეთი მოქმედება ბურჟუაზიული ნაციონალიზაციის დროს ფაქტიურად იქნებოდა წვრილ წარმოებაზე მსხვილი წარმოების გამარჯვების დაჩქარება (როგორც ამ გამარჯვებას მრეწველობაში აჩქარებს საფაბრიკო კანონმდებლობა).

იმ მისწრაფებამ, რომ რადაც უნდა დაჯდეს «გასაგები იყოს გლეხისათვის», ნადეჟდინი აქ შეიყვანა რეაქციული წვრილბურჟუაზიული უტოპიის ულრან ტყეში *.

* რაც შეეხება ნადეჟდინს, მან აგრარული პროგრამის თავის მონასახში, ჩვენი აზრით, დიდი არათანამიმდევრობა დაუშვა, როცა მოითხოვა ყველა და ყოველგვარი მიწის გადაქცევა «სახალხო საკუთრებად», გ ა რ დ ა გ ლ ე ხ თ ა მიწებისა, და «ნაციონალური (საადგილმამულო) ფონდის» დარიგება «მ შ რ ო მ ე ლ ი გ ლ ე ხ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს გრძელვადიანი იჯარით». ჯერ ერთი, სოციალ-დემოკრატი მიწის საერთო ნაციონალიზაციიდან გლეხთა მიწებსაც ვერ გამორიცხავდა. მეორეც, იგი გასწევდა მიწის ნაციონალიზაციის, როგორც მხოლოდ მსხვილი კომუნისტური და არა წვრილი ინდივიდუალისტური მეურნეობისაკენ გადასვლის პროპაგანდას. ნადეჟდინის შეცდომა, ალბათ, გამოწვეულია მისი გადაწყვეტილებით — დასჯერდეს პროგრამაში «გლეხისათვის გ ა ს ა გ ე ბ (კურსივი ჩემია) და საჭირო მოთხოვნებს» [37].

ამრიგად, ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნის საწინააღმდეგო მოსაზრებათა გარჩევა გვარწმუნებს ამ მოსაზრებათა უსაფუძვლობაში. ჩვენ უნდა გამოვიდეთ საგლეხო რეფორმის დემოკრატიული გადასინჯვის მოთხოვნით, და სწორედ მის აგრარულ გარდაქმნათა მოთხოვნით. ხოლო იმისათვის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ამ გადასინჯვის ხასიათიც, ფარგლებიც და წესიც, ჩვენ უნდა წამოვაყენოთ გლეხთა კომიტეტების შექმნის მოთხოვნა «ჩამონაჭერთა» ექსპროპრიაციის, გამოსყიდვის, გადაცვლის და სხვა უფლებით, რომელთა მეოხებითაც განაგრძობენ არსებობას ბატონყმური მეურნეობის ნაშთები.

## VIII

ჩვენი აგრარული პროგრამის პროექტის მეოთხე პუნქტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მეხუთე პუნქტი, რომელიც მოითხოვს, რომ «მიენიჭოს სასამართლოებს უფლება — შეამცირონ უზომოდ დიდი საიჯარო ქირა და ძალადაკარგულად გამოაცხადონ გარიგებანი, რომელთაც კაბალური ხასიათი აქვთ». მე-4 პუნქტის მსგავსად, ეს პუნქტიც კაბალის წინააღმდეგ არის მიმართული; მე-4 პუნქტისაგან განსხვავებით იგი მოითხოვს აგრარული წესების არა ერთდროულ გადასინჯვასა და გარდაქმნას, არამედ სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობათა მუდმივად გადასინჯვას. ეს გადასინჯვა ეკისრება «სასამართლოებს», ამასთან ნაგულისხმევია, რა თქმა უნდა, არა სასამართლოს ის საცოდავი პაროდია, როგორიც არის ერობის უფროსთა «ინსტიტუტი» (ან თუნდაც ინსტიტუტი მომრიგებელი მოსამართლეებისა, რომლებსაც მქონებელი კლასები მქონებელ პირთაგან ირჩევენ), არამედ ის სასამართლოები, რომელთა შესახებაც ლაპარაკია პროგრამის ჩვენი პროექტის წინა განყოფილების მე-16 პარაგრაფში. ეს მე-16 პარაგრაფი მოითხოვს «დაარსდეს სარეწაო სასამართლოები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში...» (მაშასადამე, მიწათმოქმედებაშიც) «...მუშათა და მეწარმეთა თანაბარი წარმომადგენლებისაგან». სასამართლოს ასეთი შე-

მადგენლობა უზრუნველჰყოფდა მის დემოკრატიზმსაც და სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სხვადასხვა კლასობრივ ინტერესთა თავისუფალ გამოხატვასაც. კლასობრივი ანტაგონიზმი არ დაიფარებოდა დამპალი ბიუროკრატიზმის — ხალხის თავისუფლების ნეშტის ამ შეღებილი კუბოს — ლეღვის ფოთლებით, არამედ აშკარად და ნათლად გამოჩნდებოდა ყველას და თვითეულის წინაშე და ამით სოფლის მცხოვრებლებს შეანჯღრევდა მათი პატრიარქალური უძრაობისაგან. საერთოდ აგრარული ყოფაცხოვრების და კერძოდ მის ადგილობრივ თავისებურებათა სრული ცოდნა სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა მოსამართლეთა არჩევით ადგილობრივ მცხოვრებთაგან. გლეხთა მასისათვის, რომელთაც ვერ მივაკუთვნებთ მარტო «მუშათა» ჯგუფს ან მარტო «მეწარმეთა» ჯგუფს, ცხადია, დადგენილი იქნებოდა განსაკუთრებული წესები სოფლის მოსახლეობის ყველა ელემენტის თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, ამასთან ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, უსათუოდ დაჟინებით მოვითხოვდით ყოველ გარემოებაში, ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა ცალკე წარმომადგენლობას, რაც უნდა ცოტანი ყოფილიყვნენ ისინი, და, მეორეც, მოვითხოვდით, რომ შეძლებისდაგვარად ცალკე ყოფილიყო წარმოდგენილი მცირე შეძლებისა და შეძლებული გლეხობა (ვინაიდან ამ ჯგუფების არევა არა მარტო სტატისტიკაში იწვევს სიყალბეს, არამედ ცხოვრების ყველა დარგში იწვევს მეორე ჯგუფის მიერ პირველის დაჩაგვრასა და შევიწროვებას).

ნავარაუდევია ამ სასამართლოების ორნაირი კომპეტენცია: ჯერ ერთი, მათ უფლება ექნებოდათ შ ე ე მ ც ი რ ე ბ ი ნ ა თ საიჯარო ქირა, თუ იგი «უზომოდ დიდია». უკვე პროგრამის თვით ეს სიტყვები გამოხატავენ ამ მოვლენის ფართოდ გავრცელების არაპირდაპირ აღიარებას. სასამართლოში საიჯარო ქირის სიდიდის საკითხის საჯარო და პაექრობით გარჩევა უდიდეს სარგებლობას მოიტანდა იმის მიუხედავადაც, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო.

საიჯარო ქირის შემცირება (ეს შემცირება თუნდაც ხშირი არ იყოს) თავის როლს შეასრულებდა ბატონყმობის ნაშთთა აღმოფხვრის საქმეში: ცნობილია, რომ ჩვენს სოფელში იჯარა უფრო ხშირად ბატონყმურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ბურჟუაზიულს, და საიჯარო ქირა გაცილებით უფრო «ფულადი» რენტაა (ე. ი. გარდაქმნილი ფეოდალური), ვიდრე კაპიტალისტური (ე. ი. მეწარმის მოგების გარდამეტი). მაშასადამე, საიჯარო ქირის შემცირება უშუალოდ შეუწყობდა ხელს მეურნეობის ბატონყმური ფორმების კაპიტალისტური ფორმებით შეცვლას.

შემდეგ, მეორეც, სასამართლოებს უფლება ექნებოდათ «ძალადაკარგულად გამოეცხადებინათ გარიგებანი, რომელთაც კაბალური ხასიათი აქვთ». «კაბალის» ცნება აქ განსაზღვრული არ არის, რადგან სრულიადაც სასურველი არ იქნებოდა არჩეული მოსამართლეების შეზღუდვა ამ პუნქტის გამოყენებაში. რა არის კაბალა, — ეს რუსმა გლეხმა ძალიან კარგად იცის! მეცნიერული თვალსაზრისით კი ეს ცნება მოიცავს ყველა იმ გარიგებას, რომლებშიც არის ელემენტი მ ე ვ ა ხ შ ე ო ბ ი ს ა (დაქირავება ზამთარში და სხვ.) ან ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს ა (წანახედის ანაზღაურება შრომამიგებით და სხვ.).

რამდენადმე სხვა ხასიათს ატარებს მე-3 პუნქტი გამოსასყიდ გადასახდელთა ხალხისათვის დაბრუნების შესახებ. ეს არ იწვევს წვრილი საკუთრების მიმართ იმ ეჭვებს, რომლებსაც მე-4 პუნქტი აღძრავს, მაგრამ სამაგიეროდ მოკამათენი აღნიშნავენ ამ მოთხოვნის პრაქტიკულ განუხორციელებლობასაც და ლოგიკური კავშირის უქონლობასაც ამ პუნქტსა და ჩვენი აგრარული პროგრამის საერთო ნაწილს შორის (= «ბატონყმობის ნაშთთა აღმოფხვრა და კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარება სოფლად»). მაგრამ ხომ არავინ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ სწორედ ბატონყმობის ნაშთები, მთელი თავისი ერთობლიობით, იწვევენ მილიონობით გლეხის იმ მუდმივ შიმშილობას, რომელიც რუსეთს

ერთბაშად გამოჰყოფს ყველა ცივილიზებულ ერთა რიცხვიდან. ამიტომ თვითმპყრობელობაც კი იძულებულია უფრო და უფრო ხშირად შეჰქმნას საგანგებო (რა თქმა უნდა, სავსებით უბადრუკი და უფრო ხაზინის მქურდავებისა და ბიუროკრატების მიერ გაძარცული, ვიდრე დამშეულთა სასარგებლოდ გამოყენებული) «ფონდი სოფლის საზოგადოებათა კულტურული და საქველმოქმედო საჭიროებებისათვის». არც ჩვენ შეგვიძლია, დანარჩენ დემოკრატიულ ცვლილებათა შორის, არ მოვითხოვოთ ასეთი ფონდის შექმნა. არა გვგონია, ამის წინააღმდეგ დავა შეიძლებოდეს.

ახლა საკითხავია: რა წყაროდან ავიღოთ თანხები ასეთი ფონდის შესაქმნელად? რამდენადაც ვიცით, აქ შეიძლება მიგვითითონ პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადზე: გავადიდოთ სპეციალურად ის განაკვეთები, რაც მდიდრების შემოსავალზე მოდის, და ეს თანხები მოვახმაროთ აღნიშნულ ფონდს. სავსებით სამართლიანი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს ყველაზე შეძლებული წევრები ყველაზე მეტ მონაწილეობას იღებდნენ დამშეულთა შენახვაში და იმ ხარჯებში, რაც შიმშილობით გამოწვეულ უბედურებათა შესაძლო გამოსწორებას უნდა მოხმარდეს. — ჩვენ არაფერი გვექნებოდა სათქმელი ასეთი ზომის წინააღმდეგაც; ამის შესახებ საჭირო არ არის პროგრამაში ცალკე ვილაპარაკოთ, ვინაიდან იგი სავსებით შეესაბამება პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადის მოთხოვნას, რომელიც პროგრამაში ცალკეა მოხსენიებული. მაგრამ რად დავჯერდეთ ამ წყაროს? რატომ არ შეიძლება, გარდა ამისა, ვეცადოთ — დავუბრუნოთ ხალხს თუნდაც ნაწილი იმ ხარკისა, რომელსაც გუშინდელი მონათმფლობელნი გლეხებს ახდევინებდნენ და ახლაც ისევ ახდევინებენ პოლიციური სახელმწიფოს დახმარებით? განა ეს ხარკი ფრიად მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ახლანდელ შიმშილობასთან? და განა ამ ხარკის დაბრუნების მოთხოვნა უაღრესად სასარგებლო სამსახურს არ გაგვიწევს ყველა მეგატო-

ნისა და ყოველგვარი ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხთა რევოლუციური აღშფოთების გაფართოებასა და გაღრმავებაში?

მაგრამ ამ ხარკის მთლიანად დაბრუნება ხომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, — გვიპასუხებენ ჩვენ. — მართალია (როგორც შეუძლებელია მთელი ჩამონაჭრების დაბრუნებაც). მაგრამ თუ მთელი ვალის დაბრუნება შეუძლებელია, — რატომ არ უნდა ავიღოთ მისი ნაწილი მაინც? რა შეიძლება გვქონდეს იმის საწინააღმდეგო, რომ განსაკუთრებული გადასახადით დაიბეგროს იმ მსხვილ თავადაზნაურ-მემამულეთა მიწები, რომელთაც ისარგებლეს გამოსასყიდი სესხით? ლატიფუნდიების (რომლებიც ზოგჯერ საგვარეულო მამულებადაც კი არიან გადაქცეულნი) ასეთ მფლობელთა რიცხვი რუსეთში ძალიან მნიშვნელოვანია, და სამართლიანი იქნება სპეციალურად პასუხი ვაგებინოთ მათ გლეხობის შიმშილობისათვის. კიდევ უფრო სამართლიანი იქნება სამონასტრო ქონებისა და საუფლისწულო მამულების სრული კონფისკაცია, როგორც ისეთი საკუთრებისა, რომელიც ყველაზე მეტად არის გაჟღენთილი ბატონყმობის ტრადიციებით, ემსახურება ყველაზე რეაქციული და საზოგადოებისათვის ყველაზე მავნე მუქთახორების გამდიდრებას და ამავე დროს სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის სფეროს გარეთ სტოვებს მიწის არამცირე რაოდენობას. მაშასადამე, ასეთი მამულების კონფისკაცია სავსებით შესაფერისი იქნებოდა მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისა *; ეს კონფისკაცია იქნებოდა მიწის სწორედ ისეთი ნაწილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია, რომელიც, ეჭვი არ არის, არ გამოიწვევდა «სახელმწიფოებრივი სოციალიზმის» ფოკუს-პოკუსებს; ამ კონფისკაციას უშუალო და უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა ა ხ ა ლ ი რუსეთის დემოკრატიულ დაწესებულებათა განმტკიცებისა-

* ამ ჩამორთმეული მამულების იჯარით გაცემის დროს სოციალ-დემოკრატია ახლავე უნდა ატარებდეს არა სპეციფიკურ-გლეხურ, არამედ სწორედ იმ პოლიტიკას, რომელიც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ, როდესაც ნადეკდინს ვუპასუხებდით.

თვის; ამასთანავე იგი მოგვცემდა აგრეთვე დამატებითს სახსრებს დამშეულთა დასახმარებლად.

IX

ბოლოს, რაც შეეხება ჩვენი აგრარული პროგრამის ორ პირველ პუნქტს, მათზე დიდხანს შეჩერება საჭირო არ არის. «გამოსასყიდი და საღალო გადასახდელის, აგრეთვე ყოველგვარი ბეგარის გაუქმება, რომელიც ამჟამად აწევს გლეხობას, როგორც მოხარკე წოდებას» (პ. 1) — ისეთი რამ არის, რაც თავისთავად იგულისხმება ყველა სოციალ-დემოკრატიისათვის. არავითარ გაუგებრობას არ იწვევს ამ ღონისძიების პრაქტიკული განხორციელების საკითხიც, — რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ამაზე ვიმსჯელოთ. მეორე პუნქტი მოითხოვს «გაუქმდეს ურთიერთთავდებობა და ყველა ის კანონი, რომლებიც ზღუდავენ გლეხს...» (მიაქციეთ ყურადღება: «გლეხს» და არა «გლეხებს») « — ...იყოს თავისი მიწის განმკარგულებელი». აქ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ყბადაღებულ და მარადსახსოვარ «თ ე მ ზ ე». ფაქტიურად, რა თქმა უნდა, ურთიერთთავდებობის გაუქმება (ამ რეფორმის განხორციელებას კი ბ-ნი ვიტე, ალბათ, მოასწრებს ჯერ კიდევ რევოლუციამდე), წოდებრივი დაყოფის მოსპობა, თვითეული ცალკე გლეხისათვის გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლება და მიწის განკარგულების თავისუფლება გამოიწვევს იმ ფისკალურ-ბატონყმური ტვირთის აუცილებელ და სწრაფ მოსპობას, რომელსაც სამი მეოთხედით წარმოადგენს თანამედროვე საადგილმამულო თემი. მაგრამ ასეთი შედეგი დაამტკიცებს მხოლოდ, რომ სწორია ჩვენი შეხედულება თემზე, დაამტკიცებს, რომ თემი შეუთავსებელია კაპიტალიზმის მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებასთან. ეს შედეგი სრულიადაც არ იქნება გამოწვეული ჩვენ მიერ წამოყენებული რაიმე ღონისძიებით «თემის წინააღმდეგ», რადგან ჩვენ არასოდეს არ ვიცავდით და არ დავიცავთ ა რ ც ე რ თ ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ს, რომელიც მიმართული იქნება უშუალოდ გლეხთა საადგილმამულო წესების ამა თუ იმ სისტემის წინააღ-

მდეგ. უფრო მეტი: თემს, როგორც ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიულ ორგანიზაციას, როგორც ამხანაგურ ან მეზობლურ კავშირს, ჩვენ უეჭველად დავიცავთ ბიუროკრატების მხრივ ყოველგვარი ხელყოფისაგან, — ხელყოფისაგან, რომელიც ესოდენ სანუკვარია თემის მტრებისათვის «მოსკოვსკიე ვედომოსტის»[39] ბანაკიდან. ჩვენ არავის და არასოდეს არ დავეხმარებით «თემის დანგრევაში», მაგრამ აუცილებლად ვეცდებით ყველა იმ დაწესებულების გაუქმებას, რომლებიც დემოკრატიზმს ეწინააღმდეგებიან, სულერთია, რა გავლენაც უნდა მოახდინოს ამ გაუქმებამ მიწის საყოველთაო ან კერძო ხელახალ დაყოფაზე და სხვ.: ესაა ჩვენი ძირფესვიანი განსხვავება აშკარა და ფარული, თანამიმდევარი და არათანამიმდევარი, მშიშარა და გამბედავი ნაროდნიკებისაგან, რომლებიც, ერთი, მხრივ, «რა თქმა უნდა», დემოკრატები არიან, ხოლო მეორე მხრივ, შიშობენ გადაჭრით და მკაფიოდ განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება ისეთი ელემენტარულ-დემოკრატიული მოთხოვნებისადმი, როგორიც არის გადასვლა-გადმოსვლის სრული თავისუფლება, გლეხური თემის წოდებრიობის სრული გაუქმება და, მაშასადამე, ურთიერთთავდებობის სრული გაუქმებაც, ყველა იმ კანონის გაუქმება, რომლებიც ზღუდავენ გლეხს — იყოს თავისი მიწის განმკარგულებელი *.

ჩვენ გვეტყვიან: სწორედ ეს უკანასკნელი ღონისძიება, რომელიც გზას უხსნის თვითეული ცალკე გლეხის ინდივიდუალურ ნებას, ანგრევს კიდეც თემს არა მარტო როგორც ხელახალი გაყოფის სისტემას და სხვ., არამედ პირდაპირ როგორც ამხანაგურ მეზობლურ კავშირსაც. თვითეულ ცალკე გლეხს, წინააღმდეგ უმრავლესობის ნებისა, უფლება ექნება

* სწორედ ამ სასინჯით უნდა შემოწმდნენ რუსეთის მრავალრიცხოვანი რადიკალები (და რევოლუციონერებიც კი «ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციიდან»), რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ამ საკითხში ორ სკამშუა ისხდნენ.

მოითხოვოს თავისი მიწის ცალკე ნაკვეთად გამოყოფა. განა ეს არ ეწინააღმდეგება ყველა სოციალისტის საერთო ტენდენციას — ხელი შეეწყოს ინდივიდუუმთან შედარებით კოლექტიურობის უფლებათა გაფართოებას და არა შეზღუდვას?

ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: ჩვენი ფორმულირებიდან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს თვითეული გლეხის უფლება — მოითხოვოს მიწის გამოყოფა უეჭველად ცალკე ნაკვეთად. მისგან მხოლოდ გამომდინარეობს მიწის გაყიდვის თავისუფლება, ამასთანავე ამ თავისუფლებასაც არ ეწინააღმდეგება უფლება, რომ გასაყიდი მიწა უპირატესად თემის თანამოზიარეებმა იყიდონ.

ურთიერთთავდებობის გაუქმებამ გლეხური თემის ყველა წევრი უნდა გადააქციოს მიწის განსაზღვრული ნაკვეთის თავისუფალ თანამფლობელად, — და შემდეგ, თუ როგორ განაგებენ ისინი ამ ნაკვეთს, ეს უკვე მათი საქმეა, ეს დამოკიდებული იქნება საერთო სამოქალაქო კანონებზე და მათ მიერ ერთმანეთთან დადებულ სპეციალურ ხელშეკრულებებზე. რაც შეეხება ინდივიდუუმთან შედარებით კოლექტიურობის უფლებათა გაფართოებას, სოციალისტები ამას მხოლოდ შაშინ იცავენ, როცა ეს გაფართოება ტექნიკური და სოციალური პროგრესის ინტერესებს შეესაბამება *. ასეთი ფორმით, რასაკვირველია, ჩვენც დავიცავდით ყოველ სათანადო კანონს, ოღონდ კი იგი ეხებოდეს არა მარტო წვრილ მესაკუთრეებს, არა მარტო გლეხებს, არამედ საერთოდ ყ ვ ე ლ ა მიწათმფლობელს.

* მაგ., კაუტსკი სამართლიანად აღიარებს მოთხოვნას — «შეიზღუდოს კერძო საადგილმამულო საკუთრების უფლებანი: 1) გამიჯვნის ინტერესებისათვის, ხარვეზიანობის მოსპობის ინტერესებისათვის; 2) სასოფლო-სამეურნეო კულტურის ამაღლების ინტერესებისათვის; 3) ეპიდემიების წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღების ინტერესებისათვის» («Die Agrarfrage», S. 437) («აგრარული საკითხი», გვ. 437. რ ე დ.). ამგვარი, სავსებით საფუძვლიანი, მოთხოვნები სრულიადაც არ არის და არ უნდა იყოს დაკავშირებული გლეხურ თემთან.

## X

დასასრულ, ვაჯამებთ იმ ძირითად დებულებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენს აგრარულ პროგრამას. ყველამ, ვისაც კი უმუშავნია პროგრამის შედგენაზე ან გასცნობია სხვა ქვეყნებში მისი შედგენის დეტალებს, იცის, რომ ერთი და იგივე აზრი შეიძლება სულ სხვადასხვანაირად გამოიხატოს, — ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა ამხანაგი, ვის სამსჯავროდაც გამოგვაქვს ამჟამად ჩვენი პროექტი, სავსებით შეთანხმდეს უწინარეს ყოვლისა და უმეტესად ყოვლისა ძირითადი პრინციპების შესახებ. ფორმულირების ამა თუ იმ კერძო ხასიათის თავისებურებებს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ.

რუსეთის აგრარული წესების სფეროშიც ცენტრალურ ფაქტად ჩვენ კლასობრივ ბრძოლას აღვიარებთ. მთელ ჩვენს აგრარულ პოლიტიკას (და, მაშასადამე, აგრარულ პროგრამასაც) ვაგებთ ამ ფაქტის მტკიცედ აღიარებაზე აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ჩვენი მთავარი უახლოესი მიზანია გზა გავუწმინდოთ სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალ განვითარებას, პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, რომელიც მიმართულია მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიის საბოლოო მიზნის განხორციელებისაკენ, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ და სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების შექმნისაკენ. ვაცხადებთ რა კლასობრივ ბრძოლას ჩვენს სახელმძღვანელო ხაზად ყველა «აგრარულ საკითხში», ამით ჩვენ გადაჭრით და საბოლოოდ ვემიჯნებით რუსეთში ესოდენ მრავალრიცხოვან მომხრეებს ორჭოფული და უსახური — «ნაროდნიკული», «ეთიკურ-სოციოლოგიური», «კრიტიკული», სოციალ-რეფორმატორული და ვინ იცის კიდევ რა სახელწოდების თეორიებისას!

რათა გზა გავუწმინდოთ სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალ განვითარებას, აუცილებლად საჭიროა აღმოვფხვრათ ბატონყმური წყობილების ყველა ნაშთი, რომლებიც

ახლა ჰფარავენ კაპიტალისტურ ანტაგონიზმთა ჩანასახებს სოფლის მოსახლეობაში და არ აძლევენ მათ განვითარების საშუალებას. და ჩვენ ვახდენთ უკანასკნელ ცდას — დავეხმაროთ გლეხობას, რათა ერთი გადამწყვეტი დაკვრით აღიგავოს ყველა ეს ნაშთი, — «უკანასკნელ» ცდას იმიტომ, რომ თვით განვითარების პროცესში მყოფი რუსული კაპიტალიზმი სტიქიურად აკეთებს ამავე საქმეს, მიდის ამავე მიზნისაკენ, მაგრამ მიდის მისთვის ჩვეული ძალადობისა და ჩაგვრის გზით, გაჩანაგებისა და შიმშილით გამოწვეული სიკვდილის გზით. ბატონყმური ექსპლოატაციის გადასვლა კაპიტალისტურ ექსპლოატაციაში გარდუვალია; და მავნე, რეაქციული ილუზია იქნებოდა იმის ცდა, რომ შევაფერხოთ ეს გადასვლა ან «გვერდი ავუაროთ» მას. მაგრამ ეს გადასვლა შესაძლებელია იმ მებატონე-ნაბოლარების ძალით დამხობის ფორმითაც, რომლებიც, ემყარებიან რა არა «ფულის ძალას», არამედ მონათმფლობელობის წინანდელი ძალაუფლების ტრადიციებს, ახლა უკანასკნელ სისხლს სწოვენ პატრიარქალურ გლეხობას. ეს პატრიარქალური გლეხობა, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს ნატურალური მეურნეობის სისტემის დროს, განწირულია მოსასპობად, მაგრამ სრულიადაც არ არის საზოგადოებრივ-ეკონომიური ევოლუციის «იმანენტური» კანონით «აუცილებლად» განწირული იმისათვის, რომ «ხარკის ამოქაჩვის» წამება განიცადოს, გაწკეპლვა იგემოს, გახანგრძლივებული, შიმშილით გამოწვეული, საშინლად ნელი, მტანჯავი სიკვდილის მსხვერპლი გახდეს.

და აი, ჩვენ, არ ვქმნით რა ილუზიებს, თითქოს კაპიტალისტურ საზოგადოებაში (რანაირ საზოგადოებადაც სულ უფრო და უფრო ხდება რუსეთი) შესაძლებელი იყოს წვრილ მწარმოებელთა აყვავება ანდა მათი ასე თუ ისე ასატანი არსებობა მაინც, — მოვითხოვთ ბატონყმობის ნაშთების სრულ და უეჭველ, არა რეფორმატორულ, არამედ რევოლუციურ გაუქმებასა და მოსპობას; ჩვენ გლეხების მიწებად ვთვლით

იმ მიწებს, რომლებიც თავადაზნაურულმა მთავრობამ ჩამოაჭრა მათ და რომელთა საშუალებითაც გლეხები დღემდე ფაქტიურ მონობაში იმყოფებიან. ამრიგად, ჩვენ ვხდებით — გამონაკლისის სახით და განსაკუთრებულ ისტორიულ გარემოებათა გამო — წვრილი საკუთრების დამცველებად, მაგრამ ჩვენ მას ვიცავთ მხოლოდ მის ბრძოლაში იმის წინააღმდეგ, რაც გადარჩა «ძველი რეჟიმისაგან», და მხოლოდ იმ დაწესებულებათა გაუქმების პირობით, რომელნიც აფერხებენ პატრიარქალური, თავის უძრაობაში, სიბეჩავესა და დახავსებულობაში გაყინული ობლომოვკის გარდაქმნას: იმ პირობით, რომ შეიქმნას გადასვლა-გადმოსვლის სრული თავისუფლება, მიწის მიმოქცევის თავისუფლება და სავსებით მოისპოს წოდებრივი დაყოფა. რუსეთის სახელმწიფო და სამოქალაქო კანონების დემოკრატიულ გადასინჯვას ჩვენ გვინდა დავუმატოთ ყბადაღებული «საგლეხო რეფორმის» დემოკრატიული, რევოლუციური გადასინჯვა.

აგრარული პოლიტიკის ასეთი პრინციპებით ხელმძღვანელობის დროს, რუსი სოციალ-დემოკრატი, როდესაც იგი სოფლად მოხვდება, შესძლებს გაერკვეს იქაური ურთიერთობის რთულ ქსელში, შესძლებს «შეუგუოს» ამ ურთიერთობას თავისი მტკიცე რევოლუციური პროპაგანდა და აგიტაცია. მაშინ მას მოუმზადებელს არ მოუსწრებს გლეხობის შესაძლო მოძრაობა (რომელიც ზოგან თითქოს უკვე იწყება). იგი არ დასჯერდება იმ მოთხოვნებს სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების დასაცავად, რომლებიც დაწვრილებით გადმოცემულია ჩვენი პროგრამის უახლოეს «მუშურ» მოთხოვნათა განყოფილებაში და რომელთაც იგი, რა თქმა უნდა, ყველგან და ყოველთვის წამოაყენებს. მას შესაძლებლობა ექნება აგრეთვე გლეხობაშიც წასწიოს წინ ის საერთო დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც (თუკი მას უწერია ჩვენს სოფელში ჩანასახი მდგომარეობის ფარგლების გადალახვა) დაიწყება ბრძოლით სოფლის მებატონეების წინააღმდეგ, ხოლო გათავდება — აჯანყებით იმ ყოვლად ძლიერი და

ყოვლად უხამსი ბატონყმური ნაშთის წინააღმდეგ, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა ეწოდება.

* * *

**P. S.** * ეს სტატია დაწერილი იყო მანამდე, სანამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყებოდა გლეხთა აჯანყებანი სამხრეთ რუსეთში. სტატიის პრინციპული დებულებანი სავსებით დადასტურდა ამ მოვლენებით. ხოლო იმ ტაქტიკურ ამოცანებზე, რომლებიც ამჟამად განსაკუთრებული სიძლიერით დგება ჩვენი პარტიის წინაშე მის «სასოფლო» მუშაობაში, ჩვენ, იმედი გვაქვს, შემდეგ მოვილაპარაკებთ.

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

# წერილი ერობელებს

მთლიანად მოგვყავს ერობის მოღვაწეებისადმი მიმართული ჰექტოგრაფირებული წერილი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა საერობო კრებათა უკანასკნელი სესიის დროს (ჩვენ ეს წერილი ხელში ჩაგვივარდა, სამწუხაროდ, სულ ბოლო ხანს):

«მოწყალეო ხელმწიფევ!

მძიმე პირობები, რომლებშიც ამჟამად ჩაყენებულია რუსეთი, რუსი ხალხი და რუსეთის ერობა, გვაიძულებენ მოგმართოთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ამ წერილით და იმედი ვიქონიოთ, რომ აქ გამოთქმულ აზრებსა. და განზრახვებს თანაგრძნობით შეხვდებით.

სამწუხარო და აღმაშფოთებელი ფაქტების გრძელი წყება, რომელთა მდუმარე მოწმენიც ვიყავით ამ ბოლო დროს, შავ ღრუბლად აწევს საზოგადოებრივ სინდისს, და ყოველი ინტელიგენტი ადამიანის წინაშე პირდაპირ დგება საბედისწერო საკითხი: შესაძლოა თუ არა შემდეგშიც პოლიტიკური უმოქმედობა და პასიური მონაწილეობა სამშობლოს პროგრესირებულ გაღატაკებასა და წარყვნაში?

ქრონიკულმა მოუსავლიანობამ და აუტანელმა საგადასახადო ტვირთმა გამოსასყიდ გადასახდელთა და არაპირდაპირ გადასახადთა სახით პირდაპირ გააჩანაგა ხალხი, ფიზიკური გადაშენების გზაზე დააყენა იგი.

ხოლო გლეხობისათვის თვითმმართველობის ყოველგვარი ნიშან-წყალის ფაქტიური წართმევა, «მტკიცე ხელისუფლების» ოფიციალურ და მოხალისე წარმომადგენელთა წვრილმანი მეურვეობა და ხელოვნური გონებრივი შიმშილობა, რომელშიც ამყოფებენ ხალხს «თვითმყოფ და კანონიერ საწყისთა» არამკითხე დამცველები, ასუსტებენ ხალხის სულიერ ძალას, მის თვითმოქმედებასა და ენერგიას.

ქვეყნის საწარმოო ძალებს ურცხვად ფლანგავენ ჩვენებური და უცხოელი მოღვაწეები იმ ავანტიურისტთა კეთილმოწყალე დახმარებით, რომელნიც თამაშობენ სამშობლოს ბედიღბლით. ამაოდ ლამობს «კეთილმყოფელი მთავრობა» მთელი რიგი ერთმანეთის საწინააღმდეგო და ნაჩ-

ქარევად გამოგონილი ღონისძიებებით შესცვალოს ქვეყნის ეკონომიური ჯგუფთა ცოცხალი და გეგმაშეწონილი ბრძოლა. მზრუნველობითი «ხელ-შეწყობა» და «სათანადო შეხედულებით მოქმედება» უძლურია რუსეთის სამეურნეო და ფინანსური გაკოტრების მრისხანე წინამორბედთა წინაშე: სამიწათმოქმედო, სამრეწველო და ფულადი კრიზისების — შემთხვევისა და ავანტიურის პოლიტიკის ამ ბრწყინვალე შედეგების წინაშე. პრესა ჩახ-შობილია და მოკლებულია საშუალებას სინათლე მოჰფინოს იმ დანაშაულობათა ნაწილს მაინც, რომელთაც ყოველსაათობით სჩადიან წესრიგის დამცველნი რუსეთის მოქალაქეთა თავისუფლებისა და ღირსების წინააღ-მდეგ. მარტოოდენ თვითნებობა, უაზრო და მკაცრი თვითნებობა მძლედ იმაღლებს თავის ხმას და მეფობს გაჩანაგებული, დამცირებული და შეურაცხყოფილი მშობელი მიწის მთელ თვალუწვდენ სივრცეზე და არსად არ ხვდება ჯეროვან წინააღმდეგობას.

საქმის ასეთი ვითარების დროს სავსებით ბუნებრივია მთავრობის სისტემატური უნდობლობა კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივის სულ-ოდნავი გამოვლინებისადმი, ყოველგვარი საზოგადოებრივი კავშირის საქ-მიანობისადმი და კერძოდ საერობო დაწესებულებათადმი — ამ საძირკვ-ლისადმი, რომელზედაც 60-იანი წლების რუსეთი იმედოვნებდა ეხილა ახალი სუფევის დამკვიდრება. მოზეიმე ბიუროკრატიამ საერობო დაწესე-ბულებებს განუმზადა ნელი სიკვდილი, და ყოველი წელიწადი ახალახალ-ლახვარსა სცემს მათს ცხოველმყოფელობას, მათს მნიშვნელობასა და ავ-ტორიტეტს საზოგადოებისა და იმ ხალხის თვალში, რომელიც თითქმის ვერ არჩევს ერობას სამოხელეო ადმინისტრაციისაგან. საერობო კრებები გადაქცეულია წოდებრივ-ბიუროკრატიულ თათბირებად, წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ყველა პროგრესული ჯგუფის ნათლად გამოხატული პროტეს-ტისა. ამ კრებებმა ყოველგვარი კავშირი დაჰკარგეს რუსი ხალხის მასას-თან. საერობო გამგეობანი გუბერნატორთა კანცელარიების დამატებად ხდებიან, ჰკარგავენ დამოუკიდებლობას და თანდათან იძენენ ოფიცია-ლური დაწესებულების ყველა ნაკლს. საერობო საარჩევნო კრებები გა-დაქცეულია რაღაც კომედიად. ამომრჩეველთა მცირერიცხოვნობა და მათი დაყოფა წოდებრივ ჯგუფებად კრებებს შესაძლებლობას არ აძლევს არჩეულ ხმოსანთა სახით გამოხატონ სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტე-რესი და ამ კრებებს აქცევს წვრილმანი და პირადი თავმოყვარეობის ბრძოლის ასპარეზად.

საერობო დაწესებულებათა გამგებლობის ფარგლები იზღუდება თან-დათანობით, მაგრამ განუხრელად. ერობის კომპეტენციიდან გამორიცხეს სასურსათო საქმე. შეფასების საქმეში ერობა გადაქცეულია მოხელეების განკარგულებათა აღმასრულებლად. სახალხო განათლების დარგში ერო-ბის როლი თითქმის ნულამდეა დაყვანილი. გორემიკინის სამინისტროს მიერ შედგენილი საექიმო წესდება ფორმალურად გაუქმებული არ არის და დამოკლეს მახვილად ჰკიდია საერობო მედიცინის თავზე. სასწავლე-

ბელთა საბჭოებისათვის განკუთვნილი განაწესის შავი ლანდი, თითქოს, გაჰქრა. მაგრამ ერობა არაფრით არ არის გარანტირებული, რომ ეს ლანდი კვლავ არ გამოჩნდება, ოღონდ უკვე კანონის ფორმით განსახიერებული, არაფრით არ არის გარანტირებული, რომ ამ ლანდთან დაკავშირებით საერობო სახალხო სკოლა საბოლოოდ არ დაიღუპება. სხვადასხვა გუბერნიის საერობო დაწესებულებათა კავშირურთიერთობა, რის აუცილებლობაც საყოველთაოდ აღიარებულია, ახალ დაბრკოლებებს ხვდება შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანასკნელ ცირკულარში ამ საკითხის შესახებ. ერობის, როგორც საზოგადოებრივი დაწესებულების, თვითეული ნაბიჯი შებორკილია სხვადასხვა მინისტრების მრავალრიცხოვან ცირკულართა რთული ხლართით, და ერობის მოღვაწეს ამა თუ იმ ღონისძიების ცხოვრებაში გატარების დროს უხდება დიდი დროის, ენერგიისა და გონებამახვილობის დახარჯვა უმადლო შრომაზე ამ ხლართის გასახსნელად. საერობო დებულების ყბადაღებული 87-ე მუხლი, განსაკუთრებით კი მისი მეორე პუნქტი, ერობის მთელ საქმიანობას გუბერნატორის ნებასურვილს უმორჩილებს. უფრო და უფრო ხშირდება ერობის გამგეობათა რევიზია გუბერნატორების მხრივ; საერობო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მუდმივ წევრთა სახით მთავრობა უცერემონიოდ აწესებს საჯარო მეთვალყურეობას ერობაზე. საერობო დაბეგვრის შეზღუდვის კანონის გამოცემით მთავრობა აშკარად აღიარებს თავის უკიდურეს უნდობლობას ერობის ძირითადი უფლების — თვითდაბეგვრის უფლების მიმართ. პოლიციის დეპარტამენტის ჩარევის მეოხებით საერობო საქმიანობას ნაძალადევად აშორებენ ერობის საუკეთესო მუშაკებს, არჩეულებს თუ დაქირავებულებს. ალბათ, უახლოეს მომავალში კანონის ძალა მიენიჭება შინისტრების პროექტებს სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა მიერ ერობის ფულადი ოპერაციებისათვის კონტროლის გაწევისა და საერობო სათათბირო კომისიათა საქმიანობის მოწესრიგების შესახებ.

ერობის შუამდგომლობებს არათუ არ აკმაყოფილებენ, არამედ არც კი იხილავენ საამისოდ დადგენილი წესის მიხედვით და ტლანქად უკუაგდებენ მინისტრების ერთპიროვნული ძალაუფლებით. ასეთი პირობების დროს შეუძლებელი ხდება იმუშაო ერობაში და გქონდეს სერიოზული რწმენა, რომ ეს მუშაობა ნაყოფიერია. და ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ერობის მუშაკთა წრის და განსაკუთრებით ერობის აღმასრულებელ ორგანოთა — გამგეობათა სულ უფრო და უფრო მზარდი დაკნინების პროცესი. ერობიდან მიდიან ადამიანები, რომლებიც თავგამოდებით ერთგულნი არიან საერობო საქმისა, მაგრამ რომელთაც დაუკარგავთ რწმენა, რომ ახლანდელ პირობებში მუშაობა ნაყოფიერია. და მათ შესაცვლელად მოდის ერობის ახალი ფორმაციის მოღვაწე, მოდის ოპორტუნისტი, რომელიც ლაჩრულად თრთის ერობის დაწესებულებათა სახელისათვის, ფორმისათვის და საბოლოოდ ამცირებს მათს ღირსებას ადმინისტრაციის წინაშე შეშზარავი ხოხვით. შედეგად ვიღებთ ერობის იმ შინაგან გახრწნას, რომე-

ლიც გაცილებით უფრო უარესია, ვიდრე თვითმმართველობის ფორმალური გაუქმება. მთავრობის აშკარა გალაშქრებას თვით ერობის იდეის წინააღმდეგ შეეძლო გამოეწვია ფართო საზოგადოებრივი აღშფოთება, რისიც ასე ეშინია ბიუროკრატიას. მაგრამ ჩვენს თვალწინ ხდება შენიღბული ჩაკვლა თვითმმართველობის პრინციპისა, და, საუბედუროდ, ამას ორგანიზებულ წინააღმდეგობას არ უწევენ.

ასეთ ვითარებაში საერობო მოღვაწეობის მატერიალურ შედეგთა შედარებითს არარაობას ოდნავადაც ვერ ავსებს მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, და საერობო დაწესებულებათა თითქმის ორმოცი წლის მუშაობა მოქალაქობრიობის, საზოგადოებრივი თვითშეგნებისა და თვითმოქმედების განვითარების მხრივ შეიძლება უკვალოდ დაიკარგოს უახლოესი მომავლისათვის. ამ თვალსაზრისით ოპორტუნისტ-ერობელთა გულდამშვიდებული, მორჩილი ლოდინი მხოლოდ ხელს უწყობს საერობო დაწესებულებათა დიადი იდეის უსახელო და უსარგებლო სიკვდილს. ერობის გამოყვანა იმ ჩიხიდან, რომელშიც იგი მოამწყვდია მეურვეობის სისტემამ, შესაძლებელია მხოლოდ ენერგიული ბრძოლით იმ სუფლეური აზრის წინააღმდეგ, თითქოს ადგილობრივი ცხოვრების წვრილმანების ფარგლებს გაცილებულ საკითხთა განხილვას შეუძლია სახალხო უბედურებანი გამოიწვიოს. ბრძოლა ამ საფრთხობელასთან, რომელიც საშიშია, რა თქმა უნდა, არა ხალხისათვის და სახელმწიფო უშიშროებისათვის, ბრძოლა ამ აზრთან, რომლის სულელობას ცინიკურად აღიარებენ თვით მისი დამცველნი (იხ. ვიტეს კონფიდენციური ბარათი «თვითმპყრობელობა და ერობა»), — ერობამ უნდა აწარმოოს საერობო კრებებზე საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იმ საკითხთა აშკარა და თამამი განხილვით, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებასა და სარგებლობასთან. და რაც უფრო მრავალმხრივად, სრულად და ენერგიულად განიხილავენ საერობო კრებები ამგვარ საკითხებს, მით უფრო ნათლად გამოაშკარავდება, რომ ხალხის სატკივართა საჯარო განხილვა არათუ არ გამოიწვევს სახალხო უბედურებას, არამედ, პირიქით, აგვაცილებს მას; გამოაშკარავდება, რომ ის ჩაგვრა, რომელსაც ამჟამად განიცდის პრესა, სასარგებლოა მხოლოდ ხალხის მტრებისათვის, რომ აზრისა და სიტყვის გაბატონებული პოლიციის საშუალებით არ შეიძლება შეიქმნან პატიოსანი მოქალაქენი, რომ კანონიერება და თავისუფლება ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგება. ყველა ამგვარი საკითხის საჯარო გამორკვევა ერთდროულად რამდენიმე საგუბერნიო საერო კრებაზე, უეჭველია, უაღრესად ძლიერ თანაგრძნობას ჰპოვებს ხალხის ყველა ფენაში და გამოიწვევს საზოგადოებრივი სინდისის ენერგიულ მუშაობას. ხოლო თუ ერობა არაფრით არ ეხმაურება რუსეთის თანამედროვე კრიტიკულ მდგომარეობას, რა თქმა უნდა, ბატონი სიპიაგინები და ვიტეები წაართმევენ მას შრომის ინტერესთა წარმომადგენლის როლს და არ მოერიდებიან, რომ იგი საბოლოოდ «შეუფარდონ» იმპერიის დაწესე-

ბულებათა საერთო წყობას. ჩვენ პირდაპირ გვიძნელდება წარმოვიდგინოთ, თუ რა ფორმებს მიიღებს ეს «შეფარდება», როდესაც ვითვალისწინებთ ქვეყნის ახლანდელ მმართველთა ღრმააზროვნებასა და გამომგონებლობის ნიჭს. ხომ ეყო ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს თავხედობა და საოცარი ზიზღი იმპერიის «უპირველესი» წოდებისადმი, რომ ამ წოდების არჩეული პირებისათვის — თავადაზნაურობის წინამძღოლთათვის — დაეკისრებინა საზიზღარი როლი ჯაშუშებისა სახალხო კითხვის შინაარსზე და წამკითხველებზე მეთვალყურეობის გაწევაში.

აღნიშნულ მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი უმოქმედობა და შემდგომი მოკრძალებული მორჩილება ყველა იმ ექსპერიმენტისადმი, რასაც ბიუროკრატია ახდენს ერობაზე და მთელ რუსეთზე, წარმოადგენს არა მარტო თავისებურ თვითმკვლელობას, არამედ მძიმე დანაშაულსაც სამშობლო ქვეყნის წინაშე. ოპორტუნიზმის ტაქტიკის უსაფუძვლობა, უგუნურება — გაყიდვა «პირშშოობისა» «ოსპის შეჭამადზე» — საკმაოდ დაგვიმტკიცა ცხოვრებამ: თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ ჯერ მიითვისა პირშშოობის უფლება და ახლა «ოსპის შეჭამადიც» წაგვართვა. თანდათანობით წაგვერთვა თითქმის ყველა მოქალაქობრივი უფლება, და «დიდი რეფორმების» დაწყების დროიდან განვლილმა ორმოცი წლის პერიოდმა მიგვიყვანა იმავე პუნქტამდე, საიდანაც დავიწყეთ 40 წლის წინათ, როცა ამ რეფორმებს შევუდექით. განა ბევრი-ღა დაგვრჩა დასაკარგი? და რით შეიძლება გამართლდეს ჩვენი შემდგომი დუმილი, რით შეიძლება აიხსნას იგი, თუ არა სამარცხვინო ლაჩრობით და საკუთარ მოქალაქობრივ უფლებათა შეგნების სრული უქონლობით?

როგორც რუსი მოქალაქენი, ამასთანავე «ზემოთ მდგომნი», ჩვენ ვალდებულნი ვართ დავიცვათ რუსი ხალხის უფლებანი, ვალდებულნი ვართ ჯეროვანი პასუხი გავცეთ თვითმპყრობელ ბიუროკრატიას, რომელიც ლამობს ჩაახშოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სულ ოდნავი გამოხატულება ხალხის ცხოვრებაში და გადააქციოს მთელი რუსი ხალხი ყურმოჭრილ მონად. როგორც ერობის მოღვაწენი, ჩვენ განსაკუთრებით მოვალენი ვართ დავიცვათ საერობო დაწესებულებათა უფლებანი, დავიცვათ ისინი ბიუროკრატიის თვითნებობისა და ჩაგვრისაგან, დავიცვათ მათი დამოუკიდებლობის უფლება და ხალხის ყველა ფენის საჭიროებათა ფართოდ დაკმაყოფილების უფლება.

მაშ ნუღარ ვდუმვართ, მსგავსად დამნაშავე მოსწავლისა; დავამტკიცოთ, ბოლოსა და ბოლოს, რომ ჩვენ მომწიფებული მოქალაქენი ვართ, და მოვითხოვოთ ის, რაც უფლებით გვეკუთვნის, — ჩვენი «პირშშოობის» უფლება, ჩვენი სამოქალაქო უფლებანი.

თვითმპყრობელი ბიუროკრატია ნებაყოფლობით არასოდეს არაფერს იძლევა, არამედ იძლევა მხოლოდ იმას, რის მოცემასაც აიძულებენ, თუმცა ის ცდილობს თავი ისე მოგვაჩვენოს, თითქოს თავის «უფლებებზე» მარტოოდენ სულგრძელობით იღებდეს ხელს. ხოლო თუ ვინიცობაა

მოხდა და იმაზე მეტი გასცა, რაც იძულებით გააცემინეს, იგი დაუყოვნებლივ გვართმევს ყველა ზედმეტ დათმობას, როგორც ეს დაემართა ჩვენს «დიდ რეფორმებს». მთავრობას თავი არ შეუწუხებია მუშებზე მანამდე, სანამ მის წინაშე არ აღიმართა სერიოზული «მუშათა მოძრაობა» მუშათა მრავალათასიანი მასების დემონსტრაციის ფორმით. მაშინ იგი საჩქაროდ შეუდგა «მუშათა კანონმდებლობას», მართალია, საკმაოდ თვალთმაქცურს, მაგრამ მაინც იმისათვის ნავარაუდევ კანონმდებლობას, რომ დაეკმაყოფილებინა მუშათა თუნდაც მცირედი მოთხოვნანი და დაეშოშმინებინა ეს მრისხანე მასები. მთავრობა ათეული წლების განმავლობაში ასახიჩრებდა ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას, ჩვენს დებს, ძმებსა და შვილებს, არ იძლეოდა თავისი შეთხზული «სასწავლო სისტემის» არავითარი კრიტიკის საშუალებას და მძვინვარედ ახშობდა სტუდენტთა «არეულობას».

მაგრამ აი ეს «არეულობა» გადაიქცა მასობრივ გაფიცვად, აკადემიური მანქანა გაჩერდა, და ბიუროკრატია ერთბაშად განიმსჭვალა «გულითადი მზრუნველობის» მხურვალე გრძნობით მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, და სწორედ ის მოთხოვნანი, რომელთა ერთადერთი პასუხი ჯერ კიდევ გუშინ კაზაკთა მათრახის ტყლაშუნი იყო, დღეს ცხადდება მთავრობის პროგრამად «სასწავლო საქმის რეფორმის» დარგში.

რა თქმა უნდა, ამ მეტამორფოზაშიც თვალთმაქცობის საკმაო დოზაა, მაგრამ მაინც... მაინც უეჭველია ის ფაქტი, რომ «ბიუროკრატია» იძულებულია აშკარად აღიაროს და მოახდინოს საკმაოდ არსებითი დათმობა საზოგადოებრივი აზრის მიმართ. და ჩვენ, როგორც მთელ რუს საზოგადოებას, მთელ რუს ხალხს, შეგვიძლია ჩვენი უფლებების აღიარებისა და განხორციელების იმედი ვიქონიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უფლებებს მოვითხოვთ გაბედულად, აშკარად, ერთსულოვნად და მედგრად.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, ჩვენ გადავწყვიტეთ ამ წერილით მოგმართოთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, და ყველა საგუბერნიო ერობის ბევრ სხვა საერობო მოღვაწეს და გთხოვოთ საგუბერნიო საერობო კრებათა ახლანდელ სესიაზე ხელი შეუწყოთ ქვემოაღნიშნულ საკითხთა შესახებ სათანადო დადგენილებათა აღძვრას, განხილვასა და მიღებას:

I. საერობო დაწესებულებათა დებულების გადასინჯვა და მისი შეცვლა იმ მხრივ, რომ:

ა) მიენიჭოს თანაბარი საარჩევნო უფლებანი მოსახლეობის ყველა ჯგუფს, წოდებრივი განსხვავების სრულიად განურჩევლად და ქონებრივი საარჩევნო ცენზის მნიშვნელოვანი შემცირების პირობით; ბ) გაყვანილ იქნან ერობის შემადგენლობიდან წოდებათა წარმომადგენლები, როგორც ასეთები; გ) განთავისუფლდეს ერობა ყველა თავის მოქმედებაში ადმინისტრაციის მეურვეობისაგან, სრული დამოუკიდებლობა მიენიჭოს მას ყველა ადგილობრივ საქმეში, იმ პირობით, რომ იგი დაექვემდებაროს ქვეყნის კანონებს საერთო საფუძველზე ყველა დანარჩენ პირთან და დაწესებულებასთან ერთად; დ) გაფართოვდეს ერობის კომპეტენცია მის-

თვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებით ყველა ადგილობრივი სარგებლობისა და საჭიროებისათვის მზრუნველობაში, რამდენადაც ისინი არ არღვევენ მთელი სახელმწიფოს ინტერესებს; ე) გაუქმდეს საერობო დაბეგვრის შეზღუდვის კანონი; ვ) მიენიჭოს ერობას უაღრესად ფართო უფლებანი, რათა ყველა საშუალებით გაავრცელოს სახალხო განათლება, ამასთან, სამეურნეო მზრუნველობის გარდა, ერობას უნდა მიენიჭოს სასწავლო ნაწილის მეთვალყურეობისა და გაუმჯობესების უფლებაც; ზ) გაუქმდეს ზემოაღნიშნული საექიმო წესდება, რომელიც საფრთხეს უქმნის საერობო მედიცინას; თ) დაუბრუნდეს ერობას სასურსათო საქმე, აგრეთვე მიენიჭოს მას სრული დამოუკიდებლობა საერობო-სტატისტიკური შეფასების საქმის მოწყობასა და გაძღოლაში; ი) მთელ საერობო საქმეს უნდა განაგებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ერობის არჩეული ადამიანები, რომლებიც არ უნდა საჭიროებდნენ დამტკიცებას ადმინისტრაციის მხრივ და მით უმეტეს არ უნდა ინიშნებოდნენ საერობო კრების ნება-სურვილის გარეშე; კ) მიენიჭოს ერობას უფლება მოიწვიოს ერობის მოსამსახურენი მხოლოდ და მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ, ადმინისტრაციის მხრივ დაუმტკიცებლად; ლ) მიენიჭოს ერობას უფლება თავისუფლად განიხილოს ყველა საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხი, რომელთაც კავშირი აქვთ ადგილობრივ სარგებლობასა და საჭიროებასთან, თანაც ერობის მიერ აღძრული შუამდგომლობანი მთავრობის უმაღლეს დაწესებულებათა მიერ აუცილებლად უნდა განიხილებოდნენ განსაზღვრული ვადის განმავლობაში; მ) მიენიჭოს ყველა ერობას ერთმანეთთან კავშირის გაბმის უფლება, აგრეთვე უფლება — მოაწყონ ერობის წარმომადგენელთა ყრილობანი იმ საკითხთა განსახილველად, რომელნიც ყველა ან რამდენიმე ერობას ეხებიან.

II. გლეხთა შესახებ არსებული დებულების გადასინჯვა და შეცვლა იმ მხრივ, რომ გლეხთა უფლებანი საესებით გათანაბრებულ იქნან დანარჩენ წოდებათა უფლებებთან.

III. საგადასახადო სისტემის შეცვლა იმ მხრივ, რომ ქონების შემოსავლიანობის პროგრესიული დაბეგვრის გზით გათანაბრდეს საგადასახადო ტვირთი და ამასთანავე დაბეგვრისაგან განთავისუფლდეს განსაზღვრული მინიმალური შემოსავალი;

ფრიად სასურველია აგრეთვე, რომ საერობო კრებებზე აღიძრას და განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

IV. მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა აღდგენა ყველგან, აგრეთვე ყველა იმ კანონის გაუქმება, რომლებიც ზღუდავენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენციას.

V. პრესისათვის მეტი თავისუფლების მინიჭება, წინასწარი ცენზურის გაუქმების აუცილებლობა, საცენზურო წესდების შეცვლა იმ მხრივ, რომ გარკვევით და ზუსტად იყოს მითითებული, რის დაბეჭდვა შეიძლება და რისი არა; ადმინისტრაციის თვითნებობის მოსპობა საცენზურო პრაქ-

ტიკაში და პრესის დანაშაულობათა ყველა საქმის გადაცემა მხოლოდ და მხოლოდ საერთო სასამართლო დაწესებულებათა საჯარო სასამართლოს გამგებლობაში.

VI. გადასინჯვა არსებული კანონებისა და მინისტრთა განკარგულებებისა სახელმწიფო უშიშროების დაცვის ღონისძიებათა შესახებ, ამ დარგში ფარული ადმინისტრაციული «შეხედულების» მოსპობა და ყველა ამგვარი საქმის საჯარო განხილვა საერთო სასამართლო დაწესებულებებში.

გამოვთქვამთ რა იმედს, რომ თქვენ უარს არ იტყვით ხელი შეუწყოთ თქვენს საგუბერნიო კრებაზე აღნიშნული საერთო საკითხების აღძვრას, პატივი გვაქვს გთხოვოთ აცნობოთ საერობო კრების მოსალოდნელი დადგენილება შეძლებისდაგვარად ყველა ერობას თქვენი ნაცნობი ან თქვენთვის ცნობილი ხმოსნების საშუალებით. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ერობათა მეტ ნაწილში საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან გაბედული და ენერგიული პირნი, რომელთაც შეეძლებათ ამ მოთხოვნათა გატარება საერობო კრებებზე. და თუ ჩვენ ყველანი ერთსულოვნად, აშკარად და კატეგორიული ფორმით წარვადგენთ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს, ბიუროკრატია იძულებული იქნება დათმობაზე წავიდეს, როგორც დათმობაზე მიდის იგი ყოველთვის, როდესაც შეკავშირებულ შეგნებულ ძალას ხვდება.

**ძველი ერობელები»**

ეს მეტად საგულისხმო წერილია. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ აიძულებს თვით ცხოვრება თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებას ისეთ ადამიანებსაც კი, რომელთაც ნაკლებად შესწევთ ბრძოლის უნარი და რომელნიც ყველაზე მეტად ჩაფლულნი არიან წვრილმან პრაქტიკულ მუშაობაში. და თუ ამ წერილს შევადარებთ, მაგ., ისეთ ნაწარმოებს, როგორც არის ბ-ნ რ. ნ. ს.-ს [38] წინასიტყვაობა ვიტეს ბარათისადმი, ჩემი შეხედულებით, პირველი უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს.

მართალია, წერილში არ არის ცოტად თუ ბევრად «ფართო» პოლიტიკური განზოგადებანი, — მაგრამ მისი ავტორები ხომ «პროგრამული» განცხადებებით არ გამოდიან, არამედ მოკრძალებული რჩევით, თუ პრაქტიკულად როგორ უნდა დაიწყოს აგიტაცია. მათ არა აქვთ «აზრის აღმაფრენა» იმდენადაც კი, რომ პირდაპირ სთქვან პოლიტიკურ თავის-

უფლებაზე, მაგრამ სამაგიეროდ არც ფრაზებია სამეფო ტახტის მახლობელ პირებზე, რომლებსაც, შეიძლება მეფეზე გავლენის მოხდენა შესძლებოდათ. სამაგიეროდ მათ არა აქვთ ალექსანდრე II-ის «ღვაწლთა» ყალბი ქება-დიდება, პირიქით: მათი წერილიდან გამოსჭვივის დაცინვა «დიდ რეფორმებზე» (ბრჭყალებში). სამაგიეროდ ისინი იჩენენ პირდაპირობას და ვაჟკაცობას, რათა გადაჭრით გაილაშქრონ «ოპორტუნისტ-ერობელთა» წინააღმდეგ, არ ეშინიათ ომი გამოუცხადონ «სამარცხვინო ლაჩრობას», არ ცდილობენ შეუგუონ თავისი აზრები განსაკუთრებით ჩამორჩენილ ლიბერალებს.

ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, რა წარმატება ჰქონდა ძველ ერობელთა მოწოდებას, მაგრამ მათი თაოსნობა ჩვენ ყოველ შემთხვევაში მიგვაჩნია სრული მხარდაჭერის ღირსად. საერობო მოძრაობის გამოცოცხლება ამ ბოლო დროს საერთოდ მეტისმეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს. წერილის ავტორები თვითონვე აღნიშნავენ, თუ როგორ ფართოვდებოდა მუშების მიერ დაწყებული მოძრაობა, რომელიც გავრცელდა სტუდენტებზე და რომელსაც ახლა ერობელები ეხმაურებიან. ამგვარად, ყველა ეს სამი საზოგადოებრივი ელემენტი განლაგებულია წესიერად, მათი რიცხობრივი ძალის, მათი საზოგადოებრივი მოქნილობის, მათი სოციალურ-პოლიტიკური რადიკალიზმის, მათი რევოლუციური გამბედაობის შემცირების კვალობაზე.

მით უარესი ჩვენი მტრისათვის. რაც უფრო ნაკლებად რევოლუციური ელემენტები ამხედრდებიან მის წინააღმდეგ, — მით უკეთესი ჩვენთვის, თვითმპყრობელობისა და მთელი თანამედროვე ეკონომიური წყობილების უეჭველ მოწინააღმდეგეთათვის.

მაშ მივესალმოთ ახალ პროტესტანტებს, — და მაშასადამე, ჩვენს ახალ მოკავშირეებსაც. დავეხმაროთ მათ.

თქვენ ხედავთ: ისინი ღარიბნი არიან; ისინი გამოდიან მხოლოდ პატარა ფურცლით, რომელიც გამოცემულია მუშე-

ბისა და სტუდენტების ფურცლებზე უარესად. ჩვენ მდიდრები ვართ. გამოვაქვეყნოთ იგი ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. საჯაროდ გამოვიტანოთ ახალი სილა, რომელიც გააწნეს მეფე-ობმანოვებს. ეს სილა მით უფრო საინტერესოა, რაც უფრო «დარბაისელნი» არიან ადამიანები, რომლებიც ამ სილას აწნავენ.

თქვენ ხედავთ: ისინი სუსტნი არიან; მათ ისე ცოტა კავშირი აქვთ ხალხთან, რომ მათი წერილი ხელიხელ გადადის, თითქოს მართლაც კერძო წერილის ასლი იყოს. ჩვენ ძლიერნი ვართ, ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავუშვათ ეს წერილი «ხალხში» და უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატის წრეში, რომელიც მზად არის საბრძოლველად და რომელმაც უკვე დაიწყო ბრძოლა მთელი ხალხის თავისუფლებისათვის.

თქვენ ხედავთ: ისინი მოკრძალებული არიან, ეს-ეს არის იწყებენ თავისი პროფესიულ-საერობო აგიტაციის გაფართოებას. ჩვენ მათზე თამამნი ვართ, ჩვენმა მუშებმა უკვე განვლეს მარტოოდენ პროფესიულ-ეკონომიური აგიტაციის «სტადია» (მათთვის თავზემოხვეული სტადია). მაშ ვაჩვენოთ მათ ბრძოლის მაგალითი. თუ კი მუშები იბრძოდნენ ისეთი მოთხოვნისათვის, როგორიც არის «დროებითი წესების» გაუქმება, — რათა პროტესტი განეცხადებინათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, — ნაკლებ მნიშვნელოვან საბაბს არ უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციის მიერ აბუჩად აგდება რაც უნდა იყოს, მაინც: «თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა»!

მაგრამ აქ ჩვენ გვაჩერებენ ყოველნაირი, აშკარა თუ ფარული, შეგნებული თუ შეუგნებელი მომხრენი «ეკონომიზმისა». — ვისთვის არის საჭირო მუშების მიერ ერობელთა მხარდაჭერა? — გვეკითხებიან ისინი. მარტო ერობელებისათვის ხომ არა? იმ ადამიანებისათვის ხომ არა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან, იქნებ, მხოლოდ იმით, რომ მთავრობა უფრო მრეწველ მეწარმეებს ეალერსება, ვიდრე სოფლელ მეწარმეებს? მარტო ბურჟუაზიისათვის ხომ არა, რომლის

სურვილებიც «ქვეყნის ეკონომიურ ჯგუფთა ცოცხალ ბრძოლაზე» უფრო შორს არ მიდის?

ვისთვის არის საჭირო? ვისთვის და უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა თვით მუშათა კლასისათვის. თანამედროვე საზოგადოების ეს «ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური კლასი» არ იქნება საქმით რევოლუციონერი, თუ იგი არ გამოიყენებს ყოველ საბაბს თავისი მოსისხლე მტრისათვის ახალი ლახვარის ჩასაცემად. და სიტყვები პოლიტიკურ აგიტაციასა და პოლიტიკურ ბრძოლაზე ჩვენს განცხადებებსა და პროგრამებში ლიტონი ბგერა იქნება, თუ ჩვენ ხელიდან გავუშვებთ ისეთ ხელსაყრელ შემთხვევებს ბრძოლისათვის, როდესაც ამ მტერთან ჩხუბს იწყებენ მისი გუშინდელი (60-იანი წლები), ხოლო ნაწილობრივ დღევანდელი (ოპორტუნისტ-ერობელები და მებატონე-მემამულეები) მოკავშირეებიც კი.

მაშ მოდით, გულდასმით ვადევნოთ თვალყური საერობო ცხოვრებას, პროტესტის ახალი ტალღის ზრდასა და გაფართოებას (ან დაცემას და შეკვეცას). შევეცადოთ მუშათა კლასს უფრო მეტად გავაცნოთ ერობის ისტორია, საზოგადოების მიმართ მთავრობის დათმობა 60-იან წლებში, მეფეების ცრუ სიტყვები და მათი ტაქტიკა: ჯერ «შეჭამადი» მივცეთ ნაცვლად «პირმშოობის უფლებისა», — ხოლო შემდეგ (მათ მიერ შენარჩუნებულ ამ «პირმშოობის უფლებაზე» დაყრდნობით) თვით შეჭამადიც წავართვათო. დაე, მუშებმა ისწავლონ ამ ძველთაძველი პოლიციური ტაქტიკის გამოცნობა ყველა მისი გამოხატულებით. ეს გამოცნობა აუცილებლად სჭირდება ჩვენს ბრძოლასაც ჩვენი «პირმშოობის უფლებისათვის», ყოველგვარი ეკონომიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის თავისუფლებისათვის. წავუკითხოთ მუშებს წრეების კრებებზე ერობისა და მთავრობასთან მისი დამოკიდებულების შესახებ, გამოვუშვათ ფურცლები საერობო პროტესტების გამო, ვემზადოთ იმისათვის, რომ პროლეტარიატს შეეძლოს მეფის მთავრობის მიერ ცოტად თუ ბევრად პატიოსანი საერობო საქმის ყოველ-

გვარ შებღალვას უპასუხოს დემონსტრაციებით პომპადურ-გუბერნატორების წინააღმდეგ, ბაშიბუზუკ-ჟანდარმებისა და იეზუიტ-ცენზორების წინააღმდეგ. პროლეტარიატის პარტიამ უნდა ისწავლოს ის, რომ სდევნოს და სამარცხვინო ბოძზე გააკრას თვითმპყრობელობის ყ ო ვ ე ლ ი მსახური ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ძალადობისა და უხამსობისათვის, რომელი საზოგადოებრივი ფენისა და რომელი ერის თუ რასის წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული ეს ძალადობა და უხამსობა.

«ისკრა» № 18, 1902 წ. 10 მარტი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# «ბორბას» ჯგუფის შესახებ

კ. ნ. თქვენ კითხულობთ, რა ჯგუფია ეს «ბორბაო»? ჩვენ ამ ჯგუფიდან ვიცნობდით «ზარიას» (ორი სტატია) და «ისკრის» (3 კორესპონდენცია, 2 სტატია და 1 შენიშვნა) რამდენიმე თანამშრომელს. მათი გამოგზავნილი რამდენიმე სტატია არ ყოფილა დაბეჭდილი. ახლა ისინი გამოვიდნენ ბეჭდვითი «განცხადებით» და უჩივიან ჩვენს «არადემოკრატიზმს», ილაშქრებენ კიდეც... Personencultus * წინააღმდეგ! როგორც გამოცდილი კაცი, თქვენ უკვე მარტო ამ უბადლო და შეუდარებელი სიტყვიდან მიხვდებით, თუ რაშია აქ საქმე. ხოლო როცა «ბორბა» დაბეჭდავს თავის სტატიას წინააღმდეგ სტატიისა «რით დავიწყოთ?», რომლის მიუღებლობაზეც ისინი აგრეთვე ლაპარაკობენ თავის განცხადებაში, — მაშინ პარტიულ საქმეებში მთლად გამოუცდელი ამხანაგებიც კი მიხვდებიან, თუ რატომ ხელგაშლით არ შეეგებეთ ჩვენ ამ თანამშრომლებს.

«დემოკრატიზმის» შესახებ იხ. «რა ვაკეთოთ?», IV, ე) **: რაც იქ «რაბოჩეე დელოს» შესახებ არის ნათქვამი, «ბორბასაც» შეეხება.

«ისკრა» № 18, 1902 წ. 10 მარტი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

---

* — პიროვნებათა კულტის. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი მე-5, გვ. 601. რ ე დ.

# წერილი «ჩრდილოეთის კავშირს» [40]

## შენიშვნები «ჩრდილოეთის კავშირის» პროგრამის გამო

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს «პროგრამის» ძირითადი ნაკლი ფ ო რ მ ა ლ უ რ ი მხრით, სახელდობრ: მეცნიერული სოციალიზმის ძირითად პრინციპულ დებულებათა აღრევა არა მარტო ერთი მომენტის, არამედ აგრეთვე ერთი ადგილის ვიწრო კონკრეტულ ამოცანებთან. ეს ნაკლი ერთბაშად ნათელი გახდება, თუკი გადავათვალიერებთ პროგრამის ყველა 15 პარაგრაფის შინაარსს. გავაკეთოთ ეს.

§ 1 — მუშათა მოძრაობის მიზანი საზოგადოდ.

§ 2 — ამ მიზნის მიღწევის ძირითადი პირობა.

§ 3 — რ უ ს ე თ ი ს სოციალ-დემოკრატიის უახლოესი პოლიტიკური ამოცანა.

§ 4 — რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ლიბერალებთან და სხვ.

§ 5 — იგივე.

§ 6 — «კლასისა» და «პარტიის» ცნებები (კვრძო უთანხმოება «ეკონომისტებთან»).

§ 7 — აგიტაციის პრაქტიკული ამოცანები.

§ 8 — პროპაგანდის მნიშვნელობა.

§ 9 — დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების შესახებ.

§ 10 — 1 მაისის დღესასწაულის შესახებ.

§ 11 — 19 თებერვლის ფურცლები და დემონსტრაციები.

§ 12 — ეკონომიური ბრძოლა და სოციალური რეფორმები.

§ 13 — მუშების არა მარტო თავდაცვითი, არამედ აგრეთვე შეტევითი ბრძოლის აუცილებლობა.

§ 14 — აქტიური, არა მარტო პასიური, როლი გაფიცვების მიმართ.

§ 15 — გაფიცვები, როგორც ბრძოლის საუკეთესო საშუალება.

ადვილი დასანახავია, რომ თავისი შინაარსით ესოდენ სხვადასხვაგვარი პარაგრაფები დაყოფილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა განყოფილებად (წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი გაუგებრობანი იმ საზოგადოების მხრივ, რომელსაც არ შესწევს უნარი განასხვაოს ძირითადი პრინციპები მომენტის პრაქტიკული ამოცანებისაგან). არა მარტო უხერხულია, არამედ პირდაპირ არასწორი და ორაზროვანიც არის, როდესაც ერთიმეორის გვერდით აყენებენ სოციალიზმის საბოლოო მიზანზე მითითებასაც და ეკონომისტებთან ახსნა-განმარტებასაც ან გაფიცვის მნიშვნელობის განსაზღვრას. ნათლად უნდა ყოფილიყო გამოყოფილი პრინციპული განცხადება საკუთარი მრწამსის შესახებ საზოგადოდ, — შემდეგ მითითება პარტიის პოლიტიკურ ამოცანებზე, როგორც ეს ამოცანები «ჩრდილოეთის კავშირს» ესმის, — და, მესამე, პროგრამული დებულებებისაგან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გამოყოფილი უნდა ყოფილიყო ორგანიზაციის («ჩრდილოეთის კავშირის») რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ ი პრაქტიკული მოძრაობის საკითხებზე (§§ 7 — 11 და 13 — 15). მე-6 პარაგრაფი ცალკე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი, როგორც განსაზღვრა «ჩრდილოეთის კავშირის» დამოკიდებულებისა რუს სოციალ-დემოკრატთა წრეში არსებულ უთანხმოებათადმი. მე-12 პარაგრაფი კი უნდა შესულიყო პრინციპულ განცხადებაში (რადგან წვრილმან გაუმჯობესებათა და რეფორმათათვის წარმოებული მიმდინარე ბრძოლის დამოკიდებულება საბოლოო მიზნისათვის ბრძოლისადმი არის საერთო და არა სპეციალურად რუსული საკითხი).

ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ გადავალ ცალკეულ პარაგრაფთა გარჩევაზე.

1 პარაგრაფში დასახულია სოციალ-დემოკრატიის საერთო მიზნები საზოგადოდ. ეს მიზნები მეტისმეტად მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის აღნიშნული. მართალია, ადგილობრივი ორგანიზაციის პროგრამაში შეუძლებელი იყო დეტალების გამოკიდება, რომლებიც აუცილებელია პარტიის პროგრამისათვის. მე სავსებით აღვიარებ ამას და ძალიან სასარგებლოდ და მნიშვნელოვნად მიმაჩნია «ჩრდილოეთის კავშირის» გადაწყვეტილება — დუმილით არ აუაროს გვერდი სოციალ-დემოკრატიის ძირითად პრინციპებს მისი ადგილობრივი ორგანიზაციის პროგრამაშიც კი; მე მხოლოდ საჭიროდ მივიჩნევდი, რომ ამ შემთხვევაში დამატებული ყოფილიყო მითითება ძირითადი პრინციპების უფრო საფუძვლიანად გადმოცემაზე; ესე იგი მითითებული უნდა ყოფილიყო, მაგალითად, რომ «ჩრდილოეთის კავშირი» საერთაშორისო მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზე დგას (პროგრამაში არსად არ არის აღნიშნული მოძრაობის საერთაშორისო ხასიათი) და «რევოლუციური მარქსიზმის» თეორიას იზიარებს. თავის პრინციპებზე ასეთ ზოგად მითითებასთან ერთად შეიძლებოდა წამოყენებული ყოფილიყო პირველი პარაგრაფის მსგავსი დებულება, მაგრამ, ცალკე აღებული, იგი (§ 1) საკმარისი არ არის.

როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შემავალ ორგანიზაციას, «ჩრდილოეთის კავშირს» უნდა აღენიშნა თავისი სოლიდარობა მის «მანიფესტთან», ამასთან სასარგებლო იქნებოდა მიეთითებინა აგრეთვე «ჩრდილოეთის კავშირის» სოლიდარობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თუნდაც პროგრამის იმ პროექტთან, რომელიც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა შეადგინა 80-იან წლებში. ასეთი მითითება წინასწარ არ გადაწყვეტდა ამ პროექტში აუცილებელ ცვლილებათა შეტანის საკითხს, მაგრამ უფრო ზუსტად განსაზღვრავდა «ჩრდილოეთის კავშირის» პრინციპულ პოზიციას. ორში ერთი: «ჩრდილოეთის კავშირს» ან

თვითონ უნდა შეედგინა სოციალ-დემოკრატიის ყველა ძირითადი პრინციპის ს რ უ ლ ი გადმოცემა (ე. ი. თვითონ შეედგინა ს.-დ. პროგრამის პრინციპული ნაწილი), ა ნ სავსებით გარკვევით უნდა განეცხადებინა, რომ იგი ი ღ ე ბ ს მეტად თუ ნაკლებად ცნობილ, დადგენილ პრინციპებს. მესამე გზა კი, პროგრამის მიერ არჩეული — სრულიად ნაწყვეტ-ნაწყვეტი მითითება საბოლოო მიზანზე, — უვარგისია.

მე-2 პარაგრაფი იწყება მეტისმეტად არაზუსტი, ორაზროვანი და სახიფათო განცხადებით: «ვთვლით რა სოციალიზმს პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესად», ეს სიტყვები სოციალიზმს თითქოს აიგივებენ «პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესთან». ეს გაიგივება კი ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა რ ი ს ს წ ო რ ი. სწორედ ამჟამად, როცა არაჩვეულებრივ ფართოდ გავრცელდა «პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების» მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ ვ ი წ რ ო გაგება, პირდაპირ დაუშვებელია ისეთი ფორმულის წამოყენება, რომლის აღიარება, ეს კიდეც რომ ძლივძლივობით შესაძლებელი იყოს, მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ გამოთქმა: «კლასობრივი ინტერესი» უ ა ღ რ ე ს ა დ ფ ა რ თ ო დ იქნება გაგებული. «კლასობრივი ინტერესი» აიძულებს პროლეტარიატს გაერთიანდეს, ებრძოლოს კაპიტალისტებს, იფიქროს თავისი განთავისუფლების პირობებზე. «კლასობრივი ინტერესი» მას სოციალიზმის ადვილად ათვისების გზაზე აყენებს. მაგრამ სოციალიზმი, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგია, ემორჩილება იდეოლოგიის წარმოშობის, განვითარებისა და განმტკიცების საერთო პირობებს, ე. ი. იგი ადამიანთა ცოდნის მთელ მასალას ემყარება, გულისხმობს მეცნიერების მაღალ განვითარებას, მოითხოვს მეცნიერულ მუშაობას და ა. შ. და ა. შ. პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში, რომელიც სტიქიურად ვითარდება კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნიადაგზე, სოციალიზმი იდეოლოგებს შ ე ა ქ ვ თ. მე-2 პარაგრაფის ფორმულირება კი სრულიად არასწორად აშუქებს სოციალიზმის ნამდვილ დამოკიდებულებას კლასობრივი ბრძოლისადმი. კლასობრივი ბრძოლის

შესახებაც მე-2 პარაგრაფი არ ლაპარაკობს. ეს მისი მეორე ნაკლია.

მე-3 პარაგრაფი აბსოლუტიზმს ახასიათებს არასაკმარისად (არ არის აღნიშნული, მაგალითად, მისი კავშირი ბატონყმობის ნაშთებთან), ნაწილობრივ მყვირალა ფრაზებით («უსაზღვრო») და ბუნდოვანად (პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს «უგულებელყოფა»). შემდეგ, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება (საჭირო იყო იმის აღნიშვნა, რომ ამ ამოცანას «ჩრდილოეთის კავშირი» მ თ ე ლ ი პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს სახავს) აუცილებელია არა მ ა რ ტ ო მუშათა კლასობრივი ბრძოლის სრული განვითარებისათვის; საჭირო იყო ამა თუ იმ ფორმით აღნიშნული ყოფილიყო, რომ იგი აუცილებელია აგრეთვე მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისთვისაც.

«თვითმპყრობელობა გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული კლასების ინტერესებს». ეს ზუსტი ან სწორი არ არის. თვითმპყრობელობა აკმაყოფილებს გაბატონებული კლასების გ ა რ კ ვ ე უ ლ ინტერესებს, იგი არსებობას ინარჩუნებს ნაწილობრივ გლეხობისა და წვრილ მწარმოებელთა მასის უძრაობითაც საზოგადოდ, ნაწილობრივ — ბალანსირებით მოპირდაპირე ინტერესებს შორის, და რამდენადმე დამოუკიდებელ ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალასაც წარმოადგენს. მე-3 პარაგრაფის ფორმულირება განსაკუთრებით შეუწყნარებელია იმის გამო, რომ ჩვენში ძალიან გავრცელებულია რუსეთის თვითმპყრობელობის უაზრო გაიგივება ბურჟუაზიის ბატონობასთან.

«შეუთავსებელია დემოკრატიის პრინციპთან». რისთვისაა ეს საჭირო, თუკი დემოკრატიაზე ჯერ არაფერი არ თქმულა? და განა თვითმპყრობელობის დამხობისა და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების მოთხოვნა არ გამოხატავს სწორედ დემოკრატიის «პრინციპს»? ეს ფრაზა უვარგისია. მის ნაცვლად საჭირო იყო უფრო ზუსტად ყოფილიყო აღნიშნული ჩვენი თანამიმდევრობა და ს ი მ ტ კ ი ც ე (ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით) «დემოკრატიის პრინციპის»

გაგებაში, — მაგ., ასე თუ ისე დასურათებული ყოფილიყო «დემოკრატიული კონსტიტუციის» ცნება და შინაარსი ან განცხადებული ყოფილიყო, რომ ჩვენ «პრინციპულად» მოვითხოვთ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

მე-4 პარაგრაფი განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია. «ფართო» თავისუფლების «სრულ» გამოყენებაზე ლაპარაკის ნაცვლად (ეს, ნამდვილად, გაურკვეველი ფრაზებია, რომლებიც სავსებით შეიძლება შეიცვალოს და უნდა შეიცვალოს ზუსტი მითითებით დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და დემოკრატიულ კონსტიტუციაზე, რადგან «სისრულე» სწორედ თანამიმდევარ დემოკრატიზმში მდგომარეობს), — ამის ნაცვლად აუცილებელი იყო იმის თქმა, რომ პოლიტიკური თავისუფლებით მარტო მუშათა კლასი როდია დაინტერესებული. ამაზე დუმილი იმას ნიშნავს, რომ ფართოდ გაუღო კარი «ეკონომიზმის» ყველაზე უარეს ფორმებს და დაივიწყო ჩვენი საერთო-დემოკრატიული ამოცანები.

სრულიად არ არის სწორი, რომ პოლიტიკური თავისუფლების განხორციელება (?? მიღწევა, მოპოვება) «ისეთსავე» აუცილებლობას წარმოადგენს პროლეტარიატისათვის, როგორსაც ხელფასის მომატება და სამუშაო დღის შემცირება. სწორედ, რომ არა ასეთს: ეს სხვადასხვაგვარი ხასიათის აუცილებლობაა, **გაცილებით უფრო რთული** ხასიათისა, ვიდრე ხელფასის მომატებისა და სხვ. აუცილებლობა. ამა თუ იმ ხასიათის «აუცილებლობის» განსხვავება ნათლად ჩანს, მაგალითად, იქიდანაც, რომ თვითმპყრობელობა მზად არის გააუმჯობესოს მუშათა კლასის ცალკეული ფენების თუ ჯგუფების მდგომარეობა (და ზოგჯერ მართლაც აუმჯობესებს), ოღონდ ეს ფენები შეურიგდნენ აბსოლუტიზმს. ფრაზა, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, ყოვლად დაუშვებელია, რადგან იგი გამოხატავს «ეკონომიური» მატერიალიზმის წარმოუდგენელ ვულგარიზაციას და სოციალ-დემოკრატიული გაგების ტრედუნიონისტულ გაგებამდე ჩამოქვეითებას.

შემდეგ. «ამის გამო»... ზემონათქვამის გ ა მ ო საჭირო არ არის... «მომავალ ბრძოლაში»... (ე. ი., ალბათ, ცარიზმთან ბრძოლაში?)... «ს.-დ. გამოდიოდნენ განსაზღვრული კლასობრივი პროგრამითა და მოთხოვნებით...». ჩვენი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პროგრამისა და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მოთხოვნების კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ხასიათი სწორედ დემოკრატიის სისრულითა და თანამიმდევრობით გამოიხატება. ხოლო თუ ვილაპარაკებთ არა მარტო პოლიტიკურ მოთხოვნებზე, არამედ მთელ ჩვენს პროგრამაზე საზოგადოდ, მისი პოლიტიკური ხასიათი თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი პროგრამის შინაარსიდან. «გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ» კლასობრივ პროგრამაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ჩვენ თვითონ პირდაპირ და ზუსტად უნდა გ ა ნ ვ ს ა ზ ღ ვ რ ო თ, დავალაგოთ, გამოვხატოთ და ჩამოვაყალიბოთ ეს კლასობრივი პროგრამა.

«...არ ვუმორჩილებთ რა ლიბერალურ პროგრამას...». ეს სასაცილოც კია. ჩვენ გამოვდივართ როგორც მოწინავე დემოკრატიული პარტია, და უცებ შენიშვნას ვაკეთებთ, რომ «არ ვუმორჩილებთ»!! თითქოს ჩვენ ბავშვები ვიყოთ, რომლებიც ეს-ეს არის «მორჩილებიდან» გამოვიდნენ!

ჩვენი «დაუმორჩილებლობა» ლიბერალებისადმი უნდა გამოიხატებოდეს არა ფრაზებით დაუმორჩილებლობის შესახებ, არამედ ჩვენი პროგრამის (დ ა, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, ჩ ვ ე ნ ი მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს) მთელი ხასიათით. პოლიტიკური ამოცანების სწორედ ის გაგება, რომელიც თავისუფლების აუცილებლობას აიგივეებს (ან თუნდაც ათანაბრებს) ხელფასის მომატების აუცილებლობასთან, გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს კ ი დ ე ც ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ს ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ს ა დ მ ი.

მე-4 პარაგრაფის ბოლოც უვარგისია; მისი კრიტიკა მოცემულია ყოველივე იმით, რაც ზემოთ იყო ნათქვამი.

მე-5 პარაგრაფს ჩვენი საერთო დამოკიდებულება საზოგადოდ მთელი დემოკრატიისადმი დაჰყავს სხვა პარტიებთან მხოლოდ თანამშრომლობამდე პრაქტიკულ საქმეებში. ეს ძალიან ვიწრო გაგებაა. ასეთი პარტიები რომ არსებულ-

იყვნენ, — საჭირო იქნებოდა (არა პროგრამაში, არამედ ყრილობის განსაკუთრებულ რეზოლუციაში) ზუსტად დაგვესახელებინა ისინი და ზუსტად განგვესაზღვრა დამოკიდებულება სოციალისტ-რევოლუციონერებთან, «თავისუფლებასთან» ets. *. ხოლო თუკი ლაპარაკია არა განსაზღვრულ პარტიებზე, არამედ საზოგადოდ სხვა რევოლუციურ (დ ა ო პ ო ზ ი ც ი უ რ) მიმართულებებთან დამოკიდებულებაზე, მაშინ საჭირო იყო ამის უფრო ფართოდ ფორმულირება, განმეორება ამა თუ იმ ფორმით «კომუნისტური მანიფესტის» დებულებისა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას არსებული წყობილების წინააღმდეგ[41].

მე-6 პარაგრაფი პროგრამაში უადგილოა. იგი უნდა შეეტანათ განსაკუთრებულ რეზოლუციაში და პ ი რ დ ა პ ი რ ეთქვათ, რომ ლაპარაკია უთანხმოებათა შესახებ (ან ორი მიმართულების შესახებ) რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. ეს უფრო მეტია, ვიდრე «მრავალრიცხოვანი გაუგებრობანი». უთანხმოებათა ფორმულირება მეტისმეტად ვიწროა, რადგან უთანხმოებანი ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ გ ა ნ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ა ნ კლასისა და პარტიის აღრევით. საჭირო იყო სათანადო დებულებაში უფრო გადაჭრით და უფრო გარკვეულად ეთქვათ «მარქსიზმის კრიტიკისა» და «ე კ ო ნ ო მ ი ზ მ ი ს» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ჩვენი პოლიტიკური ამოცანების შეკვეცის წინააღმდეგ.

რაც შეეხება მეექვსე პარაგრაფის მეორე ნაწილს, რადგან იგი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ უ ლ ი ა სხვა პარაგრაფებში (7, 14 და სხვ.), ამიტომ მისი კრიტიკა ამ პარაგრაფების კრიტიკაშია მოცემული.

მე-7 პარაგრაფი, ისევე როგორც ყველა შემდგომი პარაგრაფი (გარდა მე-12 პარაგრაფისა), უნდა შევიდეს განსაკუთრებულ რეზოლუციაში და არა პირდაპირ პ რ ო გ რ ა მ ა შ ი.

თავისი მოღვაწეობის «ამოცანას» მე-7 პარაგრაფი ვიწროდ აყალიბებს. ჩვენ არა მარტო «უნდა განვავითაროთ

---

* — et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.

პროლეტარიატის თვითშეგნება», არამედ კიდეც უნდა დავრაზმოთ იგი პოლიტიკურ პარტიად, — შემდეგ კი ხელმძღვანელობა გავუწიოთ მის ბრძოლას (ეკონომიურსაც და პოლიტიკურსაც).

ზედმეტია იმის მითითება, რომ პროლეტარიატი ჩაყენებულია «გარკვეულ, კონკრეტულ პირობებში». ეს ან უნდა გამოვტოვოთ, ანდა თვითონ ჩვენვე უნდა განვსაზღვროთ ეს პირობები (მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს პროგრამის სხვა ადგილებში).

სწორი არ არის, რომ აგიტაცია ჩვენი ამოცანების განხორციელების «ერთადერთი» საშუალებაა. სრულიადაც არ არის ერთადერთი.

საკმარისი არ არის განვსაზღვროთ აგიტაცია, როგორც «მუშათა ფართო ფენებზე ზემოქმედება». საჭიროა ითქვას, თუ რა ხასიათისაა ეს ზემოქმედება. საჭიროა უფრო პირდაპირ, უფრო გადაჭრით, უფრო გარკვეულად და დაწვრილებით ითქვას პოლიტიკური აგიტაციის შესახებ: წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა, რომელიც სდუმს საკუთრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე და მთელ ორ პარაგრაფში (14 და 15) ლაპარაკობს ეკონომიური აგიტაციის შესახებ, — «ეკონომიზმში» ვარდება (თავისი სურვილის წინააღმდეგ). საჭირო იყო განსაკუთრებით გასმოდა ხაზი იმას, რომ აგიტაცია აუცილებელია პოლიტიკური და ეკონომიური, ყოფაცხოვრებითი და ნაციონალური ჩაგვრის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ, მოსახლეობის რომელი კლასებიც ან ფენებიც უნდა განიცდიდნენ ამ ჩაგვრას, — რომ აუცილებელია (სოციალ-დემოკრატიისათვის) ყველაზე წინ ვიყოთ მთავრობასთან ყოველი შეტაკების დროს და სხვ., — და უკვე შემდეგ უნდა ყოფილიყო მითითებული აგიტაციის საშუალებანი (ზეპირი აგიტაცია, გაზეთები, ფურცლები, მანიფესტაციები და სხვ. და ა. შ.).

მე-8 პარაგრაფი. დასაწყისი ზედმეტი განმეორებაა.

«აღიარებს პროპაგანდას მხოლოდ იმდენად» და ა. შ. ეს სწორი არ არის. პროპაგანდას მარტო ეს მნიშვნელობა

როდი აქვს; იგი არა მარტო «აგიტატორებს ამზადებს», არამედ საზოგადოდ შეგნებასაც ავრცელებს. პროგრამა მეტისმეტად ხრის მშვილდს ცალ მხარეზე. თუ საჭირო იყო გალაშქრება ისეთი პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელსაც ვინმე მეტისმეტად აშორებს აგიტაციის ამოცანებისაგან, მაშინ უმჯობესი იყო გვეთქვა: «პროპაგანდის დროს განსაკუთრებით საჭიროა მხედველობიდან არ გავუშვათ აგიტატორთა მომზადების ამოცანა» ან ამისდაგვარად. მაგრამ არ შეიძლება მთელი პროპაგანდის განსაზღვრა «გამოცდილი და მარჯვე აგიტატორების» მომზადებით, არ შეიძლება ხელაღებით «უარვყოთ» «მხოლოდ ერთეული შეგნებული მუშების მომზადება». ჩვენ ეს არასაკმაოდ მიგვაჩნია, მაგრამ ამას არ «უარვყოფთ». ამიტომ მე-8 პარაგრაფის მეორე ნაწილი (სიტყვებიდან: «უარყოფითად ვუყურებთ რა») სრულიად უნდა ამოიშალოს.

მე-9 პარაგრაფი. არსებითად სავსებით ვეთანხმები. იქნებ, დავამატოთ: «საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა ფაქტებისა და მთავრობის ღონისძიებათა გამო...».

ნაცვლად «საუკეთესო საშუალებას» უფრო ზუსტი იქნებოდა: «ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას».

მხოლოდ პარაგრაფის ბოლოა არადამაკმაყოფილებელი. დემონსტრაციები და მანიფესტაციები აერთიანებენ და უნდა აერთიანებდნენ არა მარტო მუშებს (და არც საკმარისია მანიფესტაციებით «გაერთიანება», რაკი ჩვენ გვსურს გავაერთიანოთ ორგანიზაციულადაც, უშუალოდ და სამუდამოდ, და არა მარტო ერთ მოვლენასთან დაკავშირებით). «...ვავითარებთ რა ამით მათში...». ეს ან ზუსტი არ არის: მარტო მანიფესტაციებით შეგნებას ვერ განავითარებ, ანდა ზედმეტია (უკვე ნათქვამია, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა).

ზედმეტი არ იქნებოდა დაგვემატებინა, რომ აუცილებელია მანიფესტაციების, მათი მომზადების, ჩატარების და სხვ. ორგანიზაცია.

საზოგადოდ, ის გარემოება, რომ პროგრამაში არ არის არავითარი მითითება იმაზე, რომ აუცილებელია დიდი ყუ-

რადღება მიექცეს რევოლუციური ორგანიზაციის — ამასთან საერთო-რუსეთის, საბრძოლო ორგანიზაციის საქმეს — დიდ ნაკლს წარმოადგენს. რაკი ვლაპარაკობთ აგიტაციაზე, პროპაგანდაზე, გაფიცვაზე და სხვ., — პირდაპირ შეუწყნარებელია დუმილი რევოლუციური ორგანიზაციის შესახებ.

მე-10 პარაგრაფი. საჭირო იყო დაგვემატებინა, რომ ჩვენში 1 მაისი უნდა გადაიქცეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დემონსტრაციადაც, პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნად. საკმარისი არ არის მიუთითო დღესასწაულის ინტერნაციონალურ მნიშვნელობაზე. ამასთან უნდა შეაერთო აგრეთვე ბრძოლა უაღრესად საარსებო ნაციონალური პოლიტიკური მოთხოვნებისათვის.

მე-11 პარაგრაფი. ძალიან კარგი აზრია. მაგრამ გამოთქმულია მეტად ვიწროდ. იქნებ, საჭირო იყო გვეთქვა — «სხვათა შორის», რადგან დემონსტრაციების მოწყობა აუცილებელია კომუნის წლისთავის გამოც და ბევრ სხვა შემთხვევაშიც. ან გვეთქვა — «განსაკუთრებით», თორემ ისე გამოდის, თითქოს სხვა საბაბთა გამო აუცილებელი არ იყოს.

შემდეგ. 19 თებერვალს არ შეიძლება მარტო მუშებს მივმართოთ (ფურცლებით). იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ საზოგადოდ დემონსტრაციებითა და მათ გამო ფურცლებით ჩვენ ყოველთვის მივმართავთ ხოლმე მთელ ხალხს და მთელ მსოფლიოსაც კი, — 19 თებერვალს საჭიროა მივმართოთ გლეხობასაც. ხოლო გლეხობისადმი მიმართვა იმას ნიშნავს, რომ შეიმუშაო სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა აგრარულ საკითხში. პროგრამა ამ საკითხს არ ეხება, და ჩვენ კარგად გვესმის, რომ ადგილობრივ ორგანიზაციას, შესაძლოა, არ ჰყოფნის დრო თუ ძალა ხელი მოჰკიდოს მას. მაგრამ აუცილებლად საჭიროა თუნდაც მივუთითოთ მასზე ამა თუ იმ ფორმით, რუსულ ს.-დ. ლიტერატურასა და

ჩვენი მოძრაობის * პრაქტიკაში მისი წამოყენების ამა თუ იმ ცდასთან დაკავშირებით.

მე-11 პარაგრაფის ბოლო არ ვარგა («მხოლოდ კ ლ ა ს ი ს ძალა» — რომლის? მარტო მუშათა კლასისა?). საჭიროა ამის ამოშლა.

მე-12 პარაგრაფი. «ყოველნაირად» ჩვენ არ შეგვიძლია და არც შევუწყობთ ხელს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას არსებულ პირობებში. მაგალითად, ზუბატოვურად ხელშეწყობა არ შეგვიძლია და ზუბატოვური გარყვნის პირობებშიც კი არ შევუწყობთ ხელს. ჩვენ ვიბრძვით მუშების მდგომარეობის მხოლოდ ისეთი გაუმჯობესებისათვის, რომელიც ა მ ა ღ ლ ე ბ ს მათ უნარს — აწარმოონ კლასობრივი ბრძოლა, ე. ი. როცა პირობების გაუმჯობესება არ უ ე რ თ დ ე ბ ა პოლიტიკური შეგნების გარყვნას, პოლიციის მეურვეობას, ადგილზე მიმაგრებას, «კეთილისმყოფელისადმი» დამონებას, ადამიანის ღირსების დამცირებას და სხვ. და სხვ. სწორედ რუსეთში, სადაც თვითმპყრობელობა ესოდენ ი ჩ ე ნ ს მიდრეკილებას (და სულ უფრო და უფრო მეტ მიდრეკილებას) თ ა ვ ი დ ა ი ხ ს ნ ა ს რევოლუციისაგან სხვადასხვა მოწყალებითა და ცრურეფორმებით, ჩვენ ვალდებულნი ვართ მკვეთრად გავიმიჯნოთ ყოველგვარი «რეფორმატორებისაგან». ჩვენც ვიბრძვით რეფორმებისათვის, მაგრამ სწორედ არა «ყოველნაირად», არამედ მ ხ ო ლ ო დ სოციალ-დემოკრატიულად, მხოლოდ რევოლუციურად ვიბრძვით რეფორმებისათვის.

მე-13 პარაგრაფი გამოტოვებულია ყრილობის გადაწყვეტილებით. საჭიროც იყო მისი გამოტოვება.

მე-14 პარაგრაფი მეტად ვიწროდ აყალიბებს ეკონომიური აგიტაციის შინაარსსა და ამოცანებს. ეს აგიტაცია გაფიცვებით არ ამოიწურება. «საუკეთესო პირობები» ჩვენ გვესაჭიროება პროლეტარიატის არა მარტო კულტურული, არამედ

* მაგალითად, მუშათა დემონსტრაციების ცდები გლეხების გაწკეპლვის გამო და სხვ.

სახელდობრ — რევოლუციური განვითარებისათვის. სოციალ-დემოკრატიის «აქტიური როლი» გაფიცვების დროს არ ამოიწურება ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბრძოლისათვის განწყობით. გაფიცვებს (ისე როგორც ეკონომიურ აგიტაციას საზოგადოდ) მუდამ უნდა ვიყენებდეთ აგრეთვე იმ მიზნით, რომ აღვძრათ რევოლუციური ბრძოლა თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის. გაფიცვებს უნდა ვიყენებდეთ პოლიტიკური აგიტაციისთვისაც.

მე-15 პარაგრაფიც მეტად არადამაკმაყოფილებელია. გაფიცვები ბრძოლის «საუკეთესო» საშუალება კი არ არის, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა, და არც თუ ყოველთვის აუცილებლად საუკეთესო საშუალება. უნდა აღვიაროთ გაფიცვების მნიშვნელობა და ყოველთვის უნდა ვიყენებდეთ მათ, ვხელმძღვანელობდეთ გაფიცვებს, — მაგრამ მათი გაზვიადება მით უფრო სახიფათოა, რაც უფრო ძლიერად სჩადიოდა ამას «ეკონომიზმი».

ის, რაც შემდეგ ნათქვამია გაფიცვების შესახებ, ზედმეტია: უკვე ნათქვამია მე-14 პარაგრაფში. საკმარისი იქნებოდა მითითება ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობაზე საზოგადოდ. ზოგჯერ ეს ხელმძღვანელობა გამოხატულებას ჰპოვებს გაფიცვისაგან მუშების შეკავებაშიც. პროგრამა ლაპარაკობს მეტისმეტად აბსოლუტურად და სწორედ ამიტომ მეტისმეტად ვიწროდ. საჭირო იყო გვეთქვა საზოგადოდ შემდეგ ამოცანაზე — ხელმძღვანელობა გავუწიოთ პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას, გავხადოთ იგი უფრო ორგანიზებული და შეგნებული, შევქმნათ მუშათა პროფესიული კავშირები და ვეცადოთ გავაფართოოთ ისინი საერთო-რუსეთის კავშირებად, გამოვიყენოთ ყოველი გაფიცვა, ეკონომიური ჩაგვრის ყოველი გამოვლინება და სხვა უფართოესი სოციალისტური და რევოლუციური პროპაგანდისა და აგიტაციისათვის.

მე-15 პარაგრაფის ბოლო ზღუდავს ამ აგიტაციის ამოცანებს, თითქოს განაპირობებს პოლიტიკური აგიტაციის გა-

მოყენებას პოლიციის გამოსვლით etc. ნამდვილად კი უნდა ვეცადოთ გამოვიყენოთ პოლიტიკური აგიტაცია (და რამდენადმე მაინც უნარიანი ხელმძღვანელების დროს ეს სავსებით შესაძლებელია). მ ა ნ ა მ დ ე ც, სანამ «მთავარანგელოზები» გამოვიდოდნენ, და მათი გამოსვლის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ. ზოგადად უნდა ყოფილიყო ნათქვამი: «უნდა ვისარგებლოთ ყველა და ყოველგვარი საბაბით პოლიტიკური აგიტაციისათვის» და სხვ.

მე-15 პარაგრაფის დასასრულიც არ არის სწორი. «საყოველთაო გაფიცვებზე» ლაპარაკი ჩვენ მით უფრო ნაკლებად შეგვფერის, რაც უფრო ნაკლებია ჩვენში, რუსეთში, მათი მ ო მ ზ ა დ ე ბ ი ს შესაძლებლობა. და საერთოდ პროგრამებში ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ ლაპარაკი «საყოველთაო» გაფიცვებზე საჭირო არ არის (გაიხსენეთ უაზრო «საყოველთაო გაფიცვა» ბროშურაში «ვინ მოახდენს პოლიტიკურ რევოლუციას?»[42]. ხომ შესაძლებელია ასეთი გაუგებრობაც). სრულიად არ არის სწორი აგრეთვე გაფიცვების გამოცხადება «შ ე გ ნ ე ბ ი ს განვითარების ს ა უ კ ე თ ე ს ო საშუალებად».

საერთოდ და მთლიანად, — ძალიან სასურველი იქნებოდა პროგრამის სერიოზული გადამუშავება. სასურველი იქნებოდა საზოგადოდ რომ «ჩრდილოეთის კავშირს» აქტიური მონაწილეობა მიეღო როგორც რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სოციალ-დემოკრატიის პ ა რ ტ ი უ ლ ი გაერთიანების საქმეში, ისე პარტიული პროგრამის შემუშავების საქმეშიც. თავის მხრივ, «ზარიას» და «ისკრის» რედაქციას იმედი აქვს, რომ მოკლე ხანში აცნობებს «ჩრდილოეთის კავშირს» თავის პროექტს (რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მზადაა) და იმედი აქვს, რომ «ჩრდილოეთის კავშირი» მონაწილეობას მიიღებს პროექტის შესწორებისა, გავრცელებისა და მთელი პარტიის მიერ მისი მიღების მომზადების საქმეში.

«დაწერილი» 1902 წ. აპრილში
პირველად გამოქვეყნდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# რატომ უნდა გამოუცხადოს სოციალ-დემოკრატიამ გადამწყვეტი და ულმობელი ომი სოციალისტ-რევოლუციონერებს?

1) იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობა, «სოციალისტურ-რევოლუციური» მიმდინარეობის სახელწოდებით ცნობილი, ნამდვილად შორდება და დაშორდა რევოლუციური სოციალიზმის ერთადერთ საერთაშორისო თეორიას, რომელიც არსებობს ამჟამად, ე. ი. მარქსიზმს. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის დიდ გათიშვაში ოპორტუნისტულ (იგივე «ბერნშტეინულ») და რევოლუციურ ნაწილებად ამ მიმდინარეობამ დაიკავა სრულიად გაურკვეველი და შეუწყნარებლად ორჭოფული პოზიცია ორ სკამს შუა, — აღიარა მარქსიზმი «შერყეულად» («ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციი» № 2, გვ. 62) მხოლოდ ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული კრიტიკის საფუძველზე, დაგვპირდა თავის მხრივ ხელახლა და თავისებურად «გადაესინჯა» მარქსიზმი და სრულიად არაფერი არ გაუკეთებია ამ მრისხანე დაპირების შესასრულებლად.

2) იმიტომ, რომ ს.-რ. მიმდინარეობა უმწეოდ უკან იხევს რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის იმ გაბატონებული მიმართულების წინაშე, რომელსაც ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულება უნდა ეწოდოს. იმეორებენ რა «ნაროდნაია ვოლიას» [43] და საერთოდ მთელი ძველი რუსული სოციალიზმის შეცდომას, სოციალისტ-რევოლუციონერე-

ბი ვერ ხედავენ ამ მიმართულების მთელ სიძაბუნეს და შინაგან წინააღმდეგობას და რუსული რევოლუციური აზრის სფეროში თავის დამოუკიდებელ შემოქმედებას ზღუდავენ რევოლუციური ფრაზის უბრალო მიმატებით ლიბერალურ-ნაროდნიკული სიბრძნის ძველი აღთქმისადმი. რუსულმა მარქსიზმმა პირველად გამოუთხარა ძირი ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულების თეორიულ საფუძვლებს, გამოამჟღავნა მისი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული კლასობრივი შინაარსი, ომი გააჩაღა მის წინააღმდეგ, განაგრძობს ამ ომს და არ აშინებს მას მოწინააღმდეგეთა ბანაკში მთელი ხროვა კრიტიკული (= ოპორტუნისტული) მარქსისტების გადასვლა. მაგრამ სოციალისტ-რევოლუციონერებს მთელ ამ ომში ეჭირათ და უჭირავთ (უკეთეს შემთხვევაში) მტრული ნეიტრალიტეტის პოზიცია, ისინი სხდებიან ისევ ორ სკამს შუა, რუსულ მარქსიზმსა (რომლისგან მათ მხოლოდ საცოდავი ნაგლეჯები შეითვისეს) და ქვაზი-სოციალისტურ ლიბერალურ-ნაროდნიკულ მიმართულებას შუა.

3) იმიტომ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებს, საერთაშორისო და რუსული სოციალიზმის საკითხებში მათი ზემოხსენებული სრული უპრინციპობის გამო, არ ესმით ან არ სურთ სცნონ კლასობრივი ბრძოლის ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური პრინციპი. მათ არ ესმით, რომ თანამედროვე რუსეთში ნამდვილად რევოლუციური და ჭეშმარიტად სოციალისტური შეიძლება იყოს მხოლოდ ის პარტია, რომელიც სოციალიზმს აერთებს რუსეთის მუშათა მოძრაობასთან, რასაც სულ უფრო და უფრო შეტი სიძლიერით და სულ უფრო და უფრო ფართოდ წარმოშობს მზარდი რუსული კაპიტალიზმი. სოციალისტ-რევოლუციონერების დამოკიდებულება რუსეთის მუშათა მოძრაობისადმი ყოველთვის იყო გარედან მაყურებლის დილეტანტური დამოკიდებულება, და როდესაც, მაგ., ეს მოძრაობა დაავადდა (საოცრად სწრაფი ზრდის გამო) «ეკონომიზმით», სოციალისტ-რევოლუციონერები, ერთი მხრივ, ღვარძლიანად სიხარულს ეძლეოდნენ იმ ადამიანთა შეცდომების გამო,

რომლებიც მუშაობდნენ მუშათა მასების გამოღვიძების ახალ და ძნელ საქმეზე, მეორე მხრივ კი, დაბრკოლებებს უქმნიდნენ რევოლუციურ მარქსიზმს, რომელმაც დაიწყო და ძლევამოსილად ჩაატარა ბრძოლა ამ ეკონომიზმთან. მუშათა მოძრაობისადმი ორჭოფულ დამოკიდებულებას გარდუვალად მოსდევს მისგან ფაქტიურად ჩამოშორება, და ამ ჩამოშორების გამო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მოკლებულია ყოველგვარ სოციალურ ბაზისს. იგი არც ერთ საზოგადოებრივ კლასს არ ეყრდნობა, რადგან არ შეიძლება კლასი ვუწოდოთ იმ მერყევი ინტელიგენციის ჯგუფებს, რომელსაც «სიფართოედ» მიაჩნია თავისი უსახურობა და უპრინციპობა.

4) იმიტომ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას, რომელიც ათვალწუნებით ეპყრობა სოციალისტურ იდეოლოგიას და მოწადინებულია ერთსა და იმავე დროს და ერთნაირად დაეყრდნოს ინტელიგენციასაც, პროლეტარიატსაც და გლეხობასაც, — ამით გარდუვალად (თავისი სურვილის დამოუკიდებლად) მიჰყავს საქმე იქით, რომ რუსეთის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ რუსეთის პროლეტარიატი პოლიტიკურად და იდეურად დაიმონოს. თეორიისადმი ათვალწუნებით დამოკიდებულება, სოციალისტური იდეოლოგიის მიმართ ორჭოფობა და მელაკუდობა უეჭველად ხელსაყრელია ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის. რუსი ინტელიგენცია და რუსი გლეხობა, როგორც, პროლეტარიატთან შ ე დ ა რ ე ბ უ ლ ი, სოციალური ფენები, შეიძლება იყვნენ მხოლოდ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მოძრაობის დასაყრდენი. ეს არის არა მარტო მოსაზრება, რომელიც აუცილებლად გამომდინარეობს მთელი ჩვენი მოძღვრებიდან (რომლის მიხედვითაც, მაგ., წვრილი მწარმოებელი მხოლოდ იმდენად არის რევოლუციური, რამდენადაც იგი სწყვეტს ყოველგვარ კავშირს სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის საზოგადოებასთან და გადადის პროლეტარიატის თვალსაზრისზე), — არა, ეს, გარდა ამისა, აშკარა ფაქტიცაა, რომელიც უკვე ახლავე იჩენს თავს. ხოლო პოლიტიკური გადა-

ტრიალების მომენტში და ამ გადატრიალების მეორე დღეს ეს ფაქტი გარდუვალად თავს იჩენს გაცილებით უფრო მეტი ძალით. სოციალ-რევოლუციონარიზმი არის წვრილბურჟუაზიული იდეური მერყეობისა და სოციალიზმის წვრილბურჟუაზიული ვულგარიზაციის ერთი იმ გამოხატულებათაგანი, რომელთა წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატია მუდამ უნდა სწევდეს და გასწევს გადამწყვეტ ომს.

5) იმიტომ, რომ უკვე იმ პრაქტიკულ-პროგრამულმა მოთხოვნებმა, რომლებიც სოციალისტ-რევოლუციონერებმა — არ ვიტყვი: წამოაყენეს, არამედ თუნდაც: დასახეს, უკვე სრული სიცხადით გამოააშკარავეს, თუ რა უდიდესი ზიანი მოაქვს პრაქტიკაში ამ მიმართულების უპრინციპობას. მაგალითად, აგრარულ პროგრამა-მინიმუმს, «რევოლუციონნაია როსსიას» მე-8 ნომერში მოხაზულს (იქნებ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: მოფანტულს ჩვენებური ნაროდნიკობის გაცვეთილ დებულებებს შორის?), ჯერ ერთი, შეცდომაში შეჰყავს გლეხობაც, რომელსაც ჰპირდება «მინიმუმს» — მიწის სოციალიზაციას, და მუშათა კლასიც, რომელსაც უნერგავს სრულიად მცდარ წარმოდგენას გლეხთა მოძრაობის ნამდვილი ხასიათის შესახებ. ასეთი დაუფიქრებელი დაპირებანი მხოლოდ სახელს უტეხენ საერთოდ რევოლუციურ პარტიას და კერძოდ მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას წარმოების ყველა საშუალებათა განსაზოგადოების, როგორც ჩვენი საბოლოო მიზნის შესახებ. მეორეც, როცა სოციალისტ-რევოლუციონერებს თავის პროგრამა-მინიმუმში შეაქვთ კოოპერაციების მხარდაჭერა და განვითარება, ამით ისინი სავსებით სტოვებენ რევოლუციური ბრძოლის ნიადაგს და აქვეითებენ თავის ვითომდა სოციალიზმს სრულიად ჩვეულებრივი წვრილბურჟუაზიული რეფორმატორობის დონემდე. მესამე, როცა სოციალისტ-რევოლუციონერები ამხედრდნენ სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ მოისპოს ყველა შუასაუკუნეობრივი დაბრკოლება, რომელიც ბოჭავს ჩვენს თემს, ნადელზე ამაგრებს გლეხს, გადასვლა-გადმოსვლის თა-

ვისუფლებას ართმევს მას და გარდუვალად განაპირობებს მის წოდებრივ დაბეჩავებას, — ამით გვიჩვენეს, რომ მათ რუსული ნაროდნიკობის რ ე ა ქ ც ი უ ლ მოძღვრებათაგან თავის დაფარვაც კი ვერ შესძლეს.

6) იმიტომ, რომ, რაკი სოციალისტ-რევოლუციონერებს შეაქვთ თავიანთ პროგრამაში ტერორი და ჰქადაგებენ მას როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას მისი თანამედროვე ფორმით, ამით მათ ფრიად სერიოზული ზიანი მოაქვთ მოძრაობისათვის, რადგანაც არღვევენ სოციალისტური მუშაობის განუყრელ კავშირს რევოლუციური კლასის მასასთან. ვერავითარი სიტყვიერი დაპირება და ფიცი ვერ გააბათილებს იმ უეჭველ ფაქტს, რომ თანამედროვე ტერორს, როგორც მას იყენებენ და ჰქადაგებენ სოციალისტ-რევოლუციონერები, ა რ ა ვ ი თ ა რ ი კ ა ვ შ ი რ ი ა რ ა ა ქ ვ ს მასებში, მასებისათვის და მასებთან ერთად მუშაობასთან, რომ ტერორისტული აქტების პარტიული ორგანიზება აშორებს ჩვენს მეტისმეტად მცირერიცხოვან ორგანიზატორულ ძალებს მათი მძიმე და ჯერ კიდევ ბევრად შეუსრულებელი ამოცანისაგან — რევოლუციური მ უ შ ა თ ა პარტიის ორგანიზაციის ამოცანისაგან, რომ სოციალისტ-რევოლუციონერების ტერორი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ სხვა არა არის რა, თუ არა ო რ თ ა ბ რ ძ ო ლ ა, რომელიც ისტორიის გამოცდილებით სავსებით დაგმობილია. უცხოელი სოციალისტებიც კი შეშფოთებას იწყებენ ტერორის იმ მყვირალა ქადაგების გამო, რომელსაც ახლა ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერები ეწევიან. რუსეთის მუშათა მასებში კი ეს ქადაგება პირდაპირ სთესს მავნე ილუზიებს, თითქოს ტერორი «აიძულებს ადამიანებს პოლიტიკურად იაზროვნონ თუნდაც საკუთარი ნების წინააღმდეგ» («რევოლუციონნაია როსსია» № 7, გვ. 4), თითქოს მას «შეეძლოს მთელი თვეების სიტყვიერ პროპაგანდაზე უკეთ შეუცვალოს შეხედულება... ათასობით ადამიანს რევოლუციონერებზე და მათი საქმიანობის აზრზე (!!)», თითქოს მას

შეეძლოს «შთაბეროს ახალი ძალა მერყევთ, მრავალი დემონსტრაციის სამწუხარო შედეგით იმედგაცრუებულთ და თავზარდაცემულთ» (იქვე) და სხვ. ამ მავნე ილუზიებს შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ სწრაფი სასოწარკვეთილება და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მასების იერიშის მოსამზადებელი მუშაობის შესუსტება.

დაწერილია 1902 წ. ივნის-ივლისში
პირველად დაიბეჭდა 1923 წ. ჟურნალ
«პროკეტორში» № 14

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# ᲝᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Ი. Ი. ᲠᲐᲓᲩᲔᲜᲙᲝᲡ

## I

ძვირფასო მეგობარო! უწინარეს ყოვლისა მთელი სულითა და გულით მოგილოცავთ თქვენ (და თქვენს მეგობრებს) უდიდეს წარმატებას: ადგილობრივი კომიტეტის რეორგანიზაციის დაწყებას. ეს საქმე შეიძლება შებრუნების პუნქტი გახდეს მ თ ე ლ ჩვენს მოძრაობაში, და ამიტომ ამ რეორგანიზაციის ბ ო ლ ო მ დ ე მიყვანა ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა. თავს ძალიან გაუფრთხილდით, რომ ამ ამოცანის შესრულება მოასწროთ.

გადავალ საქმეზე. თქვენ გვთხოვთ დაგეხმაროთ «ადგილობრივი მუშაობის გეგმის კონკრეტული მოხაზვით სრულიად რუსეთის მასშტაბით მუშაობასთან დაკავშირებით». თქვენი თხოვნა დაუყოვნებლივ რომ შევასრულო, ჯერჯერობით ერთპიროვნულად გწერთ (რათა არ გაჭიანურდეს საქმე რედაქციის სხვა წევრებთან მოლაპარაკებით, რომლებიც ახლა გაფანტულნი არიან სხვადასხვა კუთხეში; შესაძლოა შემდეგ თვითონ იმათაც მოგწერონ რამე). სავსებით დარწმუნებული არა ვარ, სწორად მესმის თუ არა თქვენი შეკითხვა. ამჟამად ჩემი წყაროებია: თქვენი 2/VI-ის წერილი და 2ა 3ბ-ს [44] წერილი ორი შეხვედრის შესახებ (თქვენი, 2ა 3ბ და კრასიკოვისა) ვანიასთან (პეტერბურგის კავშირთან). როგორც ამ წყაროებიდან ჩანს (განსაკუთრებით მეორე წყაროდან), ვანია «ახლა ჩვენი თანამოაზრე აღმოჩნდა და აშკარად

აღიარებს თავისი წინანდელი პოზიციის ნაკლოვანებებს». სწორედ აქედან გამომდინარე გწერთ ქვემოთ, მოგმართავთ რა თქვენცა და ვანიასაც, და სავსებით თქვენი შეხედულებისათვის მიმინდვია, ჩემი წერილი ვანიას (და მანიას = მუშათა ორგანიზაციას) ახლა უნდა გადაეცეს, თუ უფრო გვიან, მთლიანად უნდა გადაეცეს, თუ ზოგიერთი შესწორებით, რასაც საჭიროების შემთხვევაში თქვენვე განდობთ (ამასთან გვაცნობებთ ყველა ამ შესწორების შესახებ, რა თქმა უნდა, შეძლებისამებრ).

ზუსტად რომ ვთქვა, მე, რასაკვირველია, ამჟამად არ შემიძლია მოგცეთ «ადგილობრივი მუშაობის გეგმის კონკრეტული მონახაზი სრულიად რუსეთის მასშტაბით მუშაობასთან დაკავშირებით»: ამ ამოცანის შესრულება ჩემთვის შეუძლებელია მთელი რიგი დეტალური თათბირების გაუმართავად ვანიასთანაც და მანიასთანაც. ყველაფერი, რისი გაკეთებაც მე შემიძლია, ეს არის იმის მოხაზვა, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგას ვანიამ დაუყოვნებლივ და უწინარეს ყოვლისა, რაკი იგი ახალ ვანიად იქცა ან მოწადინებულია ასეთი გახდეს **de facto** *. და მე მგონია, რომ ვანიასთან მე-2 შეხვედრისას ყველა თქვენს მიერ დასახული ნაბიჯები (რაც აწერილია 2ა 3ბ წერილში) სავსებით სწორია. სავსებით ვეთანხმები იმას, რომ «პირველი საქმეა აშკარად აღიარო შენი თავი გარკვეულ შეხედულებათა მომხრედ». ეს სწორედ პირველი საქმეა, და ამის გაკეთება მხოლოდ აშკარა განცხადებით შეიძლება[43]. კარგად ვიცი, რომ ვანიას ამხანაგების უმრავლესობა ან ბევრი მისი ამხანაგი (ე. ი. კომიტეტები და მათი წევრები) წინასწარ ძლიერ განწყობილია ასეთ აშკარა განცხადებათა წინააღმდეგ ან, ყოველ შემთხვევაში, არ არის ამას ჩვეული. ეს თვისება სავსებით გასაგებია მოძრაობის უკვე განვლილი სტადიისა და უკვე უარყოფილი შეცდომების თვალსაზრისით. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ვანიას ესოდენ მნიშვნელოვანი პოზიცია უკავია, სწორედ

* — ფაქტიურად, ნამდვილად. რ ე დ.

იმიტომ, რომ იგი წინათ აშკარად აღიარებდა თავის ძველ, «ისკრულ» შეხედულებათაგან გადაჭრით განსხვავებულ, შეხედულებებს, — სწორედ ამიტომ მე განსაკუთრებით მხურვალედ ვურჩევ ამხანაგებს (= ვანიას) დასძლიონ ეს მიუჩვევლობა და წინასწარგანწყობა. ჩვენს ადგილობრივ მუშაობას დღემდე ყველაზე მეტ ზიანს აყენებდა შეზღუდულობა და მოწყვეტილობა, ის, რომ ადგილობრივ მოღვაწეებს არ სურდათ ა ქ ტ ი უ რ ა დ და გადაჭრით მოეკიდათ ხელი პარტიის საერთო საკითხების დამუშავებისათვის. და დაე, ვანიამ, რომელიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მომხრეთა რიგებში გადადის, ერთბაშად გასწყვიტოს კავშირი ამ ტრადიციასთან და ყ ვ ე ლ ა ს გ ა ს ა გ ო ნ ა დ განაცხადოს, რომ მისი ძირითადი თ ე ო რ ი უ ლ ი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ნ ი და ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი ი დ ე ე ბ ი ა ს ე თ ი ა და რომ ამჟამად იგი თვითონ კისრულობს ამ იდეების განხორციელებას და ამისაკენ მოუწოდებს ყველა დანარჩენ კომიტეტსაც. ამ განცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ვანიასთვისაც და მთელი რუსეთისთვისაც, იგი უკვე თავისთავადაც დიდი ს ა ქ მ ე იქნება. არ უნდა გვეშინოდეს ვაწყენინოთ ვანიას ძველ მეგობრებს, რომლებიც სხვა შეხედულებებს იზიარებენ: აქ წყენინების ყოველგვარი ნასახიც კი გაქარწყლებული იქნება სწორედ იმით, რომ ვანია თ ვ ი თ ო ნ აშკარად და გულახდილად აღიარებს, რომ გარემოებებმა და გამოცდილებამ დაარწმუნეს იგი თავისი წინანდელი, ასე თუ ისე ეკონომიზმთან დაკავშირებული თეორიული შეხედულებების, ტაქტიკური პრინციპებისა და ორგანიზაციული გეგმების უსწორობაში. აქ ამ ძველ შეხედულებებზე თავდასხმის ნასახიც კი არ იქნება, არამედ იქნება თ ა ვ ი ს ი ევოლუციის უბრალო აღიარება. ამ აღიარების აშკარა პირდაპირობა ათკეცად მეტ გავლენას მოახდენს ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის ფ ა ქ ტ ი უ რ გაერთიანებაზე და მათ შორის «პოლემიკის» სრულ შეწყვეტაზე, ვიდრე ასობით პროტესტი «პოლემიკის» წინააღმდეგ.

ამრიგად, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად: აშკარა ბეჭდვითი განცხადება (ადგილობრივ ფურცელში ან «ისკრაში», ყველაზე უმჯობესია იქაც და აქაც). ამ ნაბიჯის ერთი კვირითაც კი გადადება აბსოლუტურად დაუშვებელია, რადგან უმისოდ ყველა დანარჩენი ნაბიჯი ადვილად შეიძლება უნაყოფო აღმოჩნდეს (ჩავარდნა და სხვ.), ხოლო ამ ნაბიჯით ერთბაშად განმტკიცდება ახალი გზა.

რა უნდა იყოს მოცემული ამ განცხადებაში? ვანიამ რომ ამის შესახებ ამხანაგური რჩევა მკითხოს (მაგრამ, რა თქმა უნდა, არა იმაზე ადრე, სანამ იგი შემეკითხებოდეს), მე ვუპასუხებდი: 1) იმის აღიარება, რომ იგი უარჰყოფს ძველ შეხედულებებს (თეორიულს, ტაქტიკურს, ორგანიზაციულს), და ამ შეხედულებათა უაღრესად ზოგადი (შეძლებისამებრ 1—2 სიტყვით) დახასიათება. 2) იმის აღიარება, რომ იგი გადადის «ისკრის», მისი თეორიული, ტაქტიკური და ორგანიზაციული შეხედულებების მომხრეთა რიგებში, «ისკრის» აღიარება ხელმძღვანელ ორგანოდ (NB: * ხელმძღვანელი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერში აუცილებლად მას უნდა ეთანხმებოდე. ეს ნიშნავს სწორედ მხოლოდ სოლიდარობას ამა თუ იმ ორგანოს ხელმძღვანელ პრინციპებთან. ეს აღიარება საკვანძოდ შეიძლება შეთავსებულ იქნას მითითებასთან კერძო უთანხმოებებზე, თუკი ასეთი უთანხმოებანი არსებობენ, და იმაზე მითითებასთან, რომ მე ასეთი და ასეთი ცვლილებანი მსურს და რომ მე, «ისკრის» ახლანდელი მომხრე, გავატარებ ამ ცვლილებებს, ვეცდები, რომ ეს ცვლილებანი გატარდეს მასში, «ისკრაში»). 3) პირველ რიგში წამოყენება ერთიანი, სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაერთიანებისა, უფრო სწორად — ფაქტიური აღდგენისა ერთობლივი მუშაობის გზით, რაც უნდა დაიწყოს «ისკრის» ირგვლივ შეჯგუფებით, რათა იგი გადაიქცეს ნამდვილად საერთო-სახალხო აგი-

* — Nota bene — დაიხსომეთ. რედ.

ტაციის იარაღად, და რასაც (მუშაობას) უნდა მოჰყვეს სრულიად რუსეთის მებრძოლი ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც შეეძლება გადამწყვეტი იერიში მიიტანოს თვითმპყრობელობაზე. 4) იმის აღიარება (რაც ვანიას მიერ უკვე გაკეთებულია, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია), რომ საჭიროა გარდაიქმნას კონსტიტუცია და ფუნქციონირება ვანიასა და მანიას შორის (მათი ურთიერთობა და სხვ.), აღიარება კონსტიტუციის (ასე ვთქვათ) გადასინჯვისა. 5) იმის აღიარება, რომ საჭიროა უფრო მჭიდროდ დაახლოება და შ ე ე რ თ ე ბ ა «ისკრის» რუსულ ორგანიზაციასთან იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც ამიერიდან საერთოა ვანიასა და ამ ორგანიზაციისათვის. 6) პეტერბურგის კომიტეტის ერთი ან რამდენიმე წევრის გამოყოფა (შეიძლება ვანიასაგან და მანიასაგან და სხვ.) ზემოთქმულის პრაქტიკული განხორციელების, ე. ი. «ისკრასთან» შ ე ე რ თ ე ბ ი ს და პარტიასთან გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს* დაუყოვნებლივ დაწყების ფუნქციის შესასრულებლად.

რა თქმა უნდა, ამ 6 განყოფილებიდან უსათუოდ არ შეიძლება გამოქვეყნდეს მე-6 განყოფილება, აგრეთვე შესაძლებელია კიდევ სხვა პუნქტებიც. განცხადებაში შეიძლებოდა გარკვევით თქმულიყო და პირდაპირ გაკეთებული ყოფილიყო შენიშვნა, რომ ასეთი და ასეთი (ან «შემდგომი») პუნქტები კონსპირაციული მიზეზების გამო ვერ ქვეყნდება. მაგრამ ვიმეორებ: თუ ვანია მართლაც ჩვენი მომხრე გახდა, მან ეს განცხადება ერთი კვირითაც კი არ უნდა გადასდოს.

აი პეტერბურგის კომიტეტის დელეგატების ამ თათბირზე სონიასთან («ისკრის» რუსულ ორგანიზაციასთან) და «ისკრის» რედაქციასთან (საზღვარგარეთ) შემუშავდება უკვე ნამდვილი კონკრეტული გეგმა არა მარტო მუშაობის გარდაქმნისა პიტერში, არამედ პარტიის პირდაპირი გაერთიანე-

* ესეც (§ 6) აგრეთვე უკვე გადაწყვეტილია **de facto** თქვენს შეორე თათბირზე: საზღვარგარეთ გაგზავნა საბოლოო შეთანხმებისათვის.

ბისაც, საორგანიზაციო კომიტეტის შექმნისა მე-2 პარტიული ყრილობის მოსამზადებლად და სხვ. და ა. შ. და ა. შ.

შემდეგ, თქვენს მეორე თათბირზე დასახული იყო «ხსენებული პროექტის (ივლისში საზღვარგარეთ დელეგატების გაგზავნის) შესრულებამდე ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს სხვადასხვა ადგილას არსებული ვითარების წინასწარ გაცნობა, რათა ბაზისი გვქონდეს ყრილობაზე მსჯელობისათვის». აი ეს გადაწყვეტილება მე (გულახდილად უნდა ვთქვა) შეცდომად მიმაჩნია და გირჩევთ უარჰყოთ იგი. ეს ნიშნავს საქმის გაჭიანურებას და ორი კურდღლის დევნას. ჯერ პირველი დავიჭიროთ: შევთანხმდეთ ერთმანეთში (ჩვენ და ვანია). ეს უ კ ვ ე სონიასთან ვანიას სრული სოლიდარობის მ ო მ ა ს წ ა ვ ე ბ ე ლ ი ი ქ ნ ე ბ ა. ხოლო ასეთი სოლიდარობის დროს შ ე მ დ გ ო მ პრაქტიკულ ამოცანას (რუსეთის ჩამოვლა) ვანია+სონია (+ თუ = ?) სულ იოლად შეასრულებს. მაგრამ ახლა ყველაფრისათვის ხელის მოკიდება საჭირო არ არის: ჯერ (1) საბოლოოდ დ ა ვ ა რ წ მ უ ნ ო თ ვანია და მანია, მერე (2) ყველას გასაგონად გ ა ნ ვ ა ც ხ ა დ ო თ ჩვენი შტანდპუნქტი *, შემდეგ (3) დაუყოვნებლივ შევუთანხმდეთ «ისკრას» (საზღვარგარეთ, სადაც «ისკრას» ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს სხვადასხვა ადგილას არსებული ვითარების საკითხზე უკვე მოეპოვება მონაცემთა მთელი არქივი: ნუ უგულებელჰყოფთ ამ არქივს, ამხანაგებო!), და შევუთანხმდეთ (4) სონიას, და მაშინ უკვე (5) შევუდგეთ რუსეთის ჩამოვლას მუშაობის ფ ა ქ ტ ი უ რ ი გაერთიანების (და საერთო-პარტიული ყრილობის მოწვევის) პირდაპირი პრაქტიკული მიზნით.

აი, თუ გნებავთ, უახლოესი პრაქტიკული ამოცანების «გეგმის კონკრეტული მონახაზი». თუ მე-2 პარაგრაფი საძნელო აღმოჩნდა, — მაშინ შეიძლება პირველ ადგილზე წამოვწიოთ მე-3 პარაგრაფი (ეს, რა თქმა უნდა, საქმის ერთგვარი გაჭიანურება იქნება, მაგრამ გარკვეულ პირობებში გარდუვალი

* — თვალსაზრისი. რ ე დ.

გაჭიანურება). მაგრამ საჭიროა დაჟინებით მოვითხოვოთ როგორც მეორე, ისე მესამე პუნქტის შესრულება რადაც უნდა დაგვიჯდეს ეს. ამასთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვანიას წევრები, რომლებიც აქეთ მოემგზავრებიან, აღჭურვილნი იყვნენ რაც შეიძლება უფრო ფართო რწმუნებით, რათა შეძლებისამებრ მათი რიცხვი იყოს 2 და არა 1 (თუმცა ეს უკვე სავსებით ადგილობრივ პირობებზეა დამოკიდებული და ეს თქვენთვის გაცილებით უფრო ცხადია).

მგონი, ამით კიდეც შეიძლება დავასრულოთ. გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გვაცნობოთ თქვენი აზრი: სწორად გავიგე თუ არა თქვენი შეკითხვა? შეიძლება თუ არა ჩემი «კონკრეტული გეგმის» განხორციელება და ა. შ. ვშიშობ, რომ საქმე ჯერ კიდევ არც ისე კარგად არის, რომ ვანია ჯერ კიდევ არ არის სრული მომხრე. განსაკუთრებით ეჭვს იწვევს ის, რომ მანიასათვის დღემდე არ გადაუციათ «რა ვაკეთოთ?» *. კარგი იქნებოდა გაგემეორებინათ თათბირი ვანიასთან **in pleno** (ე. ი. პეტერბურგის კომიტეტის ს რ უ ლ ი შემადგენლობით): ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმის ზ უ ს ტ ა დ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს, არიან თუ არა მოწინააღმდეგენი, სახელდობრ ვინ, როგორია მათი მთავარი პუნქტები. სწორედ ასევე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თქვენს უშუალო შეხვედრასაც მანიასთან. ვანიას (კარგი იქნებოდა აგრეთვე მანიასაც!) აქეთ გამომგზავრება დააჩქარეთ **რამდენადაც შესაძლებელია და რადაც უნდა დაჯდეს** (გამოემგზავრონ პირდაპირ ლონდონს: მიეცეთ მათ უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ლ ო ნ დ ო ნ ი ს მისამართი და დამატებით, საჭირო შემთხვევისათვის, ბელგიის მისამართიც მეშჩერიაკოვის სახელზე). თუ ამას მიაღწიეთ, ეს უკვე უდიდესი წარმატება იქნება, რომელიც უზრუნველჰყოფს თქვენი მუშაობის ნაყოფს, ამჟამად სრული ჩავარდნაც რომ განიცადოთ. და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ასეთი ჩავარდნა სავსებით შესაძლებელია და რომ ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მალე

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი მე-5, გვ. 431 — 673. რ ე დ.

უბრუნველჰყოთ რ ე ა ლ უ რ ი პირველი ნაბიჯი (განცხადება, გამომგზავრება) აუცილებლივ, სრულიად დაუყოვნებლივ.

თუ ვანია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ სავსებით ჩ ვ ე ნ ი გახდება, მაშინ რამდენიმე თვის შემდეგ ჩავატარებთ პარტიის მეორე ყრილობას და გადავაქცევთ «ისკრას» პარტიის ორკვირეულ-და, შესაძლოა, ერთკვირეულ ორგანოდაც. ეცადეთ დაარწ-მუნოთ ვანია, რომ ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს ჩამოვაშოროთ იგი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ს მუშაობას, რომ პიტერი ისეთი «ადგილია», რომელსაც უ შ უ ა ლ ო დ სრულიად-რუსეთის მნიშვნელობაც აქვს, რომ ვანიას შეერთება სონიასთან უაღ-რესად გააძლიერებს ადგილობრივ მუშაობას და ამავე დროს ერთბაშად გამოიყვანს მთელ პარტიას ნახევრადმოჩვენებითი მდგომარეობიდან და გახდის მას არა მარტო რეალობად, არა-მედ პირველხარისხოვან ძალადაც.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1902 წ. 3 (16) ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 3

იბეჭდება ხელნაწერის ~~მიხედვით~~

## II

ძვირფასო მეგობარო! ჩვენს მიერ ამ ცოტა ხნის წინათ თქვენგან მიღებული ცნობა ვანიას მეგობრების — «მოკავშირეების» (= «რაბოჩეე დელოს» მომხრეების) გამოშვების შესახებ კვლავ მთელ რიგ ეჭვებს იწვევს ჩვენში. გაუძლებს თუ არა ახლა ვანია? ყოველ შემთხვევაში, გადაჭრით დაუყენეთ მას საკითხი, მიიღწიეთ პირდაპირ პასუხს, თუ უარყოფითი პასუხი მიიღეთ, ნუ დაერიდებით მაგარ სიტყვებს, შეარცხვინეთ, და, ყოველ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გვაცნობეთ საქმის ვითარება. თუ ვანია კვლავ წაგვივიდა ხელიდან (ანდა თუნდაც მიდის), მით უფრო საჭიროა გასამკეცებული ძალღონით იმოქმედოთ მანიაზე: თუ შესაძლებელია, პირდაპირ მასზე; თუ ეს არ შეიძლება, თქვენი ახალი მეგობრების საშუალებით, რომლებთან საუბრის შესახებაც თქვენ ასე დაწვრილებით და ასე საინტერესოდ გვწერდით.

თქვენს ამოცანად (ვანიას თუნდაც სულ მცირედი არასაიმედობისა ან მერყეობის შემთხვევაში) უნდა დაისახოთ ეკონომიზმის ნაშთების წინააღმდეგ პიტერელ ისკრელთა ომის მომზადება. ამ ომის შესახებ მათ, რა თქმა უნდა, არაფერი უნდა უთხრათ, მაგრამ ეს ომი მთელი ძალღონით უნდა ვამზადოთ და, შეძლებისამებრ, ორივე ფლანგზე. ესე იგი, პირველი, ეცადეთ შეინარჩუნოთ ერთხელვე დამყარებული პირადი ურთიერთობა ჩვენს მეგობრებთან ვანიას ინტელიგენტურ ნაწილში, ეცადეთ ნახოთ ხოლმე ისინი, გავლენა მოახდინოთ მათზე, ნამუსში ჩააგდოთ ისინი, ინახულოთ ხოლმე მათი ახალგაზრდობა, მოამზადოთ ისკრელების ჩამოშო-

რება ორჭოფი ადამიანებისაგან. მეორე ფლანგი — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი — ესაა მუშები. თქვენი წრე საუცხოო ნიადაგია, და თქვენ უწინარეს ყოვლისა უნდა მიაღწიოთ იმას, რომ ამ წრემ განავითაროს, შეიგნოს და გააფორმოს თავისი მტრობა ვანიასადმი. შეეცადეთ მისცეთ ამ წრეს «რა ვაკეთოთ?» და მიაღწიოთ (ეს, როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, სულაც არ არის ძნელი) უ ა ღ რ ე ს ა დ ს რ უ ლ სოლიდარობას, ამასთან განსაკუთრებით და გაძლიერებით გაუსვათ ხაზი იმას, რომ «რა ვაკეთოთ?» სახელდობრ და უმთავრესად მიმართულია «პიტერული» ტიპის ადამიანთა წინააღმდეგ. მათთან საუბრის დროს ილაპარაკეთ სავსებით გარკვევით და აშკარად, მუდამ მიუთითეთ ვანიაზე, როგორც ცუდის ნიმუშზე, როგორც იმის ნიმუშზე, რაც არ უნდა კეთდებოდეს. მე მზად ვარ ხალისით დაგეხმაროთ ამაში ყველაფრით, რითაც კი შემიძლია, — მაგალითად, მთელი რიგი წერილებით წრისადმი. დაე, ეს წრე ჯერ გახდეს შეგნებული და სავსებით ისკრული, შეგნებულად და უ ე ჭ ვ ე ლ ა დ მტრულად განწყობილი მთელი ძველი «პიტერშჩინის» მიმართ, «რაბოჩაია მისლის» მიმართაც, «რაბოჩეე დელოს» მიმართაც და ყოველგვარი ორჭოფობის მიმართაც. მ ა შ ი ნ (და მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ) აი რას გავაკეთებთ ჩვენ: იმ განცხადებას, რომლითაც გამოსვლას თქვენ ვანიას ურჩევდით და რომლის შესახებაც მე დაწვრილებით გწერდით, ამ განცხადებას, რამდენადმე შეცვლილი სახით, გააკეთებს, რა თქმა უნდა, წრე; ის აღმართავს «აჯანყების დროშას» ვანიას ეკონომისტების წინააღმდეგ და პირდაპირ ლაშქრობას გამოაცხადებს .იმ მიზნით, რომ მიიმხროს მთელი მანია.

მე ერთი წუთითაც არ ვეჭვობ, რომ ეს ლაშქრობა სწრაფი და სრული გამარჯვებით დამთავრდება, და მთავარ სიძნელედ მიმაჩნია არა ეს ლაშქრობა, არამედ სახელდობრ ის, რომ ადამიანები მივიყვანოთ პირდაპირ ლაშქრობამდე, რომ კვლავ არ წავიდნენ კომპრომისზე ვანიას მიმართ, დათმობებზე მისდამი, საქმის გაჭიანურებაზე და ა. შ.. ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ

არავითარი კომპრომისი, უ ლ მ ო ბ ე ლ ი ომი ეკონომიზმისა და კუსტარულობის სულ მცირედი ნაშთების წინააღმდეგ, — აი ჩემი აზრით, რა უნდა დაისახოთ ჩვენს ამოცანად წრეში. უმჯობესია მომზადებაზე დავკარგოთ ¼ წელიწადი, ½ წელიწადი და მეტი, მაგრამ მივაღწიოთ მ ე ბ რ ძ ო ლ ი ისკრული წრის შექმნას, ვიდრე არა სავსებით ჩამოყალიბებული ადამიანები შევუერთოთ ვანიას დიპლომატებსა და კუნკტატორებს.

ისარგებლეთ იმით, რომ წრის მიმართ თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ იმოქმედოთ, და გადაჭრით გაატარეთ თქვენი ხაზი, სათოფედ ნუ გაიკარებთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც სავსებით თქვენი არ არიან.

თუ თქვენ ასე წარმართავთ საქმეს, — დამოუკიდებელი იქნებით ვანიას ყოყმანისა და მერყეობისაგან, თქვენ **საკუთარი** დასაყრდენი გექნებათ. და თუ საჭიროებამ გაიძულათ ზოგჯერ იპოლიტიკანოთ ვანიასთან, წრის მიმართ აბსოლუტურად არავითარი პოლიტიკანობა არ დაუშვათ, არამედ იქ მუდამ შ ე უ რ ი გ ე ბ ლ ა დ გეჭიროთ თავი ვანიას წინააღმდეგ. მაშინ თქვენი ტაქტიკა მარტივი იქნება: როდესაც ვანია ჩვენთან მოდის, თავზე ხელი დაუსვით, მაგრამ ქვა მომარჯვებული გქონდეთ, ე. ი. არ დაუმალოთ მას, რომ ეს ცოტაა, რომ საჭიროა სავსებით მოსვლა და შემოსვლა, და რომ თქვენ ცოტა რამით არ დაკმაყოფილდებით. როდესაც ვანია გშორდებათ, თქვენ მას არ აპატიებთ არც ერთ შეცდომას, არც ერთ ნაკლს. თქვენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ვანიას დ ა ჭ ე რ ა ყოველ შეცდომაზე და მათი დაუნდობელი მხილება და გაკიცხვა წრეში (ხოლო შეძლებისამებრ ზოგჯერ «ისკრაშიც»).

ერთი სიტყვით, განუხრელად დაიცავით ვანიას მიმართ პრინციპი: მე შენთან მშვიდობიანობა მსურს და ამიტომ მთელი ძალღონით ვამზადებ ომს შენს წინააღმდეგ.

დასასრულ — ერთი პრაქტიკული რჩევა. ვანია ბუნებით დიპლომატია და ასოკირკიტა. მან ახლა წამოაყენა ხუხულას

გადაკეთების საკითხი, და ძალიან შესაძლებელია, რომ «კონ-სტიტუციის გადასინჯვის» ამ კეთილსახოვან საფარქვეშ ის გააჭიანურებს საქმეს, შესთხზავს ათასგვარ კომპრომისს და სხვ.. ნუ წამოეგებით ამ ანკესზე. დაუნდობლად დასცინეთ წესდებათა შეთხზვის ამ სიყვარულს. საქმე წესდებანი როდია, და ვინც ფიქრობს, რომ ამა თუ იმ ტაქტიკურ და ორგანიზა-ციულ იდეებზე დაყრდნობით შეიძლება სანიმუშო წესდება დაიწეროს, — მას სრულიად არაფერი არ გაეგება და ის ბო-ლომდე უნდა ვ დ ე ვ ნ ო თ ამ გაუგებლობისათვის. თუ ვანია ფიქრობს, რომ აი ისინი ყოველმხრივ განიხილავენ ახალ წეს-დებას, 50 პარაგრაფიდან გადააკეთებენ 40-ს და შემდეგ «გულგაშლილ ლხინსა და ქორწილს მიჰყოფენ ხელს», ე. ი. რომ შემდეგ უკვე ახალი წესდების მიხედვით მუშაობაც ახ-ლებურად გაჩაღდება, თუ ის (როგორც ყველაფრიდან ჩანს) ამას ფიქრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მხოლოდ სიტყვით უკუუგდია ძველი ცრურწმენანი, ნამდვილად კი ჯერ ისევ შეუნარჩუნებია ასობით სულელური იდეები, რომლებთანაც საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა. ებრძოლეთ ასოკირკიტობასა და ფორმალისტიკას და დაამტკიცეთ, რომ საქმე წესდებანი კი არ არის, არამედ ის, 1) რომ შევთანხმდეთ შეხედულებებ-ში, ამ შეხედულებათა ბ ო ლ ო მ დ ე მ ო ფ ი ქ რ ე ბ ი ს გზით, და 2) რომ შ ე ვ ე წ ყ ო თ ე რ თ მ ა ნ ე თ ს თ ვ ი თ პრაქტიკულ მუშაობაში.

ვდგავართ რა ამ თვალსაზრისზე, ჩვენ არაფრად მიგვაჩნია თქვენი (ვანიას) წესდებანობის თამაში და პირდაპირ ვაცხა-დებთ: თუ ვინა ვართ ჩვენ, რა გვსურს და როგორ ვმუშაობთ, ეს თქვენ იცით და უნდა გაიგოთ არა მარტო ლიტერატური-დან, არამედ პირადი შეხვედრებიდანაც რუსეთში და საზ-ღვარგარეთ (ასეთი შეხვედრები აუცილებელია რევოლუ-ციურ საქმეში). თუ არა გსურთ ხელიხელჩაკიდებულმა იაროთ ჩვენთან, — მაშინ ეს პირდაპირ განაცხადეთ, კუდს ნუ აქიცინებთ და გახსოვდეთ, რომ ჩვენ «ომის წესების მიხედ-ვით» ვიომებთ ყოველგვარი მელაკუდობის წინააღმდეგ. ნუ

ფიქრობთ, რომ თქვენს მელაკუდობას ჩვენგან დაჰფარავთ წესდებათა გადასინჯვით და ა. შ.. ხოლო თუ გსურთ ერთად ვიაროთ, მაშინ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მოჰკიდეთ ხელი მუშაობას, და მაშინ დაინახავთ, რომ თვით ეს მუშაობა სრულიად რუსეთის გაზეთთან დაკავშირებით, მუშაობა მასზე და მის ბაზისზე, თვით ეს მუშაობა გვიჩვენებს, თუ რა ახალი ფორმებია საჭირო, და ალბათ (და უეჭველადაც კი) გვიჩვენებს, რომ ნამდვილი, ცოცხალი საქმის დროს ეს ფორმები თავისთავად, ყოველგვარ წესდებათა გარეშე ისახება. და როდესაც ჩვენ ძლიერნი ვიქნებით, წელიწადში ოთხჯერ მოვაწყობთ ხოლმე შეხვედრებსა და კონფერენციებს რუსეთში და ორჯერ — საზღვარგარეთ — (ან პირიქით — გარემოებათა მიხედვით), ხოლო ყოველგვარ წესდებას ამ კონფერენციებზე განვსაზღვრავთ (უფრო მარტივად რომ ვთქვათ: ყოველგვარ წესდებას ჯანდაბის გზას ვუჩვენებთ).

მაგრად გართმევთ ხელს და მოუთმენლად ველი პასუხს: მიზანში ხვდება თუ არა ჩემი წერილები, ე. ი. გაძლევთ თუ არა თქვენ იმას, რაც საჭიროა.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1902 წ. 9 (22) ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებებში, ტომი V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# რევოლუციური ავანტიურიზმი

## I

ჩვენ განვიცდით მშფოთვარე დროს, როდესაც რუსეთის ისტორია ბუმბერაზული ნაბიჯებით მიდის წინ, როდესაც ზოგჯერ თვითეული წელი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მშვიდობიანი პერიოდების ათეული წლები. სწარმოებს რეფორმისშემდგომი ეპოქის ნახევარი საუკუნის შედეგების შეჯამება, საძირკველი ეყრება სოციალ-პოლიტიკურ ნაგებობათ, რომელნიც ძალიან დიდხანს იქნებიან მთელი ჩვენი ქვეყნის ბედის განმსაზღვრელნი. რევოლუციური მოძრაობა განაგრძობს გასაოცარი სისწრაფით ზრდას, — და «ჩვენი მიმართულებანი» არაჩვეულებრივი სისწრაფით მწიფდებიან (და ჭკნებიან). მიმართულებანი, რომელთაც მტკიცე საფუძველი აქვთ ისეთი სწრაფი განვითარების გზაზე მყოფი კაპიტალისტური ქვეყნის კლასობრივ წყობილებაში, როგორიც არის რუსეთი, თითქმის ერთბაშად ჰპოულობენ «თავის თაროს» და აგნებენ თავიანთ მონათესავე კლასებს. მაგალითი: ევოლუცია ბ-ნ სტრუვესი, რომლისგანაც მუშა-რევოლუციონერები სულ რაღაც 1½ წლის წინათ გვირჩევდნენ «ჩამოგვეგლიჯა ნიღაბი» მარქსისტისა და რომელიც უკვე ამჟამად თვითონ გამოვიდა უნიღბოდ, როგორც ბელადი (თუ დამქაში?) ლიბერალური მემამულეებისა, რომლებიც ამაყობენ: ნიადაგი გვაქვს და ფხიზელი გონებისა ვართო. პირიქით, მიმართულებანი,

რომლებიც გამოხატავენ ინტელიგენციის შუალედი და გაურკვეველი ფენების შეხედულებათა მხოლოდ ტრადიციულ მერყეობას, ცდილობენ გარკვეულ კლასებთან დაახლოება შესცვალონ მით უფრო ხმაურიანი გამოსვლით, რაც უფრო მქუხარედ გრგვინავენ მოვლენები. «ვხმაურობთ, ძმაო, ვხმაურობთ» — ასეთია ლოზუნგი რევოლუციურად განწყობილი მრავალი პიროვნებისა, რომლებიც მოვლენათა ქარიშხალმა გაიტაცა და რომელთაც არც თეორიული და არც სოციალური საფუძვლები არ მოეპოვებათ.

ასეთ «ხმაურიან» მიმართულებებს ეკუთვნიან «სოციალისტ-რევოლუციონერებიც», რომელთა ფიზიონომია სულ უფრო და უფრო ცხადად ისახება. და უკვე დროა, რომ პროლეტარიატი ყურადღებით დაუკვირდეს ამ ფიზიონომიას, ზუსტი ანგარიში მისცეს თავისთავს იმაში, თუ რას წარმოადგენენ ნამდვილად ეს ადამიანები, რომლებიც მით უფრო დაჟინებით ეძებენ მის მეგობრობას, რაც უფრო საგრძნობი ხდება მათთვის, რომ მათი არსებობა, როგორც განსაკუთრებული მიმართულებისა, შეუძლებელია ისე, თუ მჭიდროდ არ დაუახლოვდნენ ნამდვილად რევოლუციურ საზოგადოებრივ კლასს.

სამგვარმა გარემოებამ ყველაზე მეტად შეუწყო ხელი სოციალისტ-რევოლუციონერთა ნამდვილი ფიზიონომიის გამორკვევას. ეს არის, ჯერ ერთი, გათიშვა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასა და იმ ოპორტუნიზმს შორის, რომელიც თავს მაღლა სწევს «მარქსიზმის კრიტიკის» დროშით. მეორე — ბალმაშევის მიერ სიპიაგინის მოკვლა და ახალი მობრუნება ტერორისაკენ ზოგიერთი რევოლუციონერის განწყობილებაში. მესამე და უმთავრესი — გლეხობის უახლესი მოძრაობა, რამაც ადამიანები, რომლებიც მიჩვეულნი არიან ორ სკამს შუა ჯდომას და რომელთაც არავითარი პროგრამა არ გააჩნიათ, აიძულა **post factum** * გამოსულიყვნენ პროგრამის თუნდაც მსგავსი რამით. განვიხილოთ სამივე ეს გარე-

* — მოვლენის შემდეგ. რ ე დ.

შოება, ამასთან შევნიშნავთ, რომ საგაზეთო სტატიაში შეიძ-ლება მხოლოდ მოკლედ მოიხაზოს არგუმენტაციის ძირითადი პუნქტები და რომ ჩვენ, ალბათ, კიდევ მოგვიხდება დავუბ-რუნდეთ მის უფრო დაწვრილებით გადმოცემას საჟურნალო სტატიაში ან ბროშურაში.

პრინციპული თეორიული განცხადებით გამოსვლა სო-ციალისტ-რევოლუციონერებმა გაბედეს მხოლოდ «ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციის» მე-2 ნომერში, ხელმოუწერელ სარედაქციო სტატიაში: «სოციალიზმის მსოფლიო ზრდა და კრიზისი». ყველას, ვისაც კი სურს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს სრულ თეორიულ უპრინციპობასა და მერყეობაზე (აგრეთვე ასეთი რამის სიტყვების ნიაღვრით დაფარვის ხე-ლოვნებაზე), ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევთ გაეცნოს ამ სტა-ტიას. ამ ერთობშესანიშნავი სტატიის მთელი შინაარსი შეიძლება ორი სიტყვით გადმოიცეს. სოციალიზმი მსოფლიო ძალად გაიზარდა, სოციალიზმი (= მარქსიზმი) ახლა ითიშება ოპორტუნისტების («კრიტიკოსების») წინააღმდეგ რევოლუ-ციონერთა («ორთოდოქსთა») ომის გამო. ჩვენ, სოციალისტ-რევოლუციონერები, «რა თქმა უნდა», არასოდეს არ თანა-ვუგრძნობდით ოპორტუნიზმს, მაგრამ ვზეიმობთ და დავლურს ვუვლით "კრიტიკის» გამო, რომელმაც დოგმისაგან გაგვათა-ვისუფლა, ჩვენც ხელს ვკიდებთ ამ დოგმის გადასინჯვას, — და თუმცა ჯერ კიდევ არავითარი კრიტიკა (ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტულის გარდა) არ გვიჩვენებია, თუმცა ჯერ სრულიად არაფერი არ გადაგვისინჯავს, მაგრამ ჩვენი სწო-რედ ეს თავისუფლება თეორიისაგან უნდა ჩაგვეთვალოს სა-განგებო დამსახურებად; მით უფრო უნდა ჩაგვეთვალოს დამსა-ხურებად, რომ, როგორც თეორიისაგან თავისუფალი ადამიანე-ბი, ჩვენ გატაცებით ვუჭერთ მხარს საყოველთაო გაერთიანებას, ჩვენ მხურვალედ ვეძებთ ყოველგვარ პრინციპულ-თეორიულ დავას. «სერიოზული რევოლუციური ორგანიზაცია, — უაღ-რესად სერიოზულად გვარწმუნებს «ვ. რ. რ.» (№ 2, გვ. 127), — უარს იტყოდა გადაეჭრა სოციალური თეორიის მუ-დამ გამთიშველი სადავო საკითხები, რაც, რა თქმა უნდა,

ხელს არ უნდა უშლიდეს თეორეტიკოსებს ეძიონ მათი გადაჭრა», — ან, პირდაპირ: დაე მწერალმა წეროს, მკითხველმა იკითხოს, ჩვენ კი, სანამ სხვები ბჭობენ და სჯიან, სიხარულს მივეცეთ განთავისუფლებული ცარიელი ადგილის გამოო.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შევუდგებით სოციალიზმისაგან გადახვევის ამ თეორიის სერიოზულად განხილვას (სწორედ რომ ვთქვათ, დავის გამო). ჩვენი აზრით, სოციალიზმის კრიზისი რაოდენადმე მაინც სერიოზულ სოციალისტებს ავალებს სწორედ იმას, რომ გაძლიერებული ყურადღება მიაქციონ თეორიას, — უფრო გადაჭრით დაიკავონ ზუსტად გარკვეული პოზიცია, უფრო მკვეთრად გაემიჯნონ მერყეე და არასაიმედო ელემენტებს. ხოლო სოციალისტ-რევოლუციონერების აზრით, რახან «გერმანელებს შორისაც კი» ადგილი აქვს გათიშვასა და დაქსაქსულობას, ჩვენ, რუსებს, მით უფრო გვმართებს ვიამაყოთ იმით, რომ თვითონაც არ ვიცით, საით მივდივართ. ჩვენი აზრით, თეორიის უქონლობა არსებობის უფლებას უსპობს რევოლუციურ მიმართულებას და აუცილებლად, ადრე თუ გვიან, წილად არგუნებს მას პოლიტიკურ მარცხს. სოციალისტ-რევოლუციონერთა აზრით კი, თეორიის უქონლობა მეტისმეტად კარგი რამ არის, განსაკუთრებით ხელსაყრელი «გაერთიანებისათვის». როგორც ხედავთ, ჩვენ და ისინი ვერ მოვრიგდებით, რადგან ჩვენ ლაპარაკითაც კი სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. არის ერთი იმედი: ჭკუაზე ხომ არ მოიყვანს მათ ბ-ნი სტრუვე, რომელიც აგრეთვე (ოღონდ უფრო სერიოზულად) ლაპარაკობს დოგმის უკუგდებაზე და იმაზე, რომ «ჩვენი» საქმეა (ისე, როგორც ყოველგვარი ბურჟუაზიისა, რომელიც პროლეტარიატს მიმართავს) არა გათიშვა, არამედ გაერთიანებაო. ხომ არ დაინახავენ ოდესმე სოციალისტ-რევოლუციონერები, ბ-ნ სტრუვეს დახმარებით, თუ ნამდვილად რა მნიშვნელობა აქვს მათს პოზიციას — სოციალიზმისაგან განთავისუფლებას გაერთიანებისათვის და გაერთიანებას სოციალიზმისაგან განთავისუფლების გამო?

გადავიდეთ მეორე პუნქტზე, ტერორის საკითხზე.

იცავენ რა ტერორს, რომლის უვარგისობა ასე ცხადად დაამტკიცა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებამ, სოციალისტ-რევოლუციონერები წელებზე ფეხს იდგამენ და აცხადებენ, რომ ისინი ტერორს აღიარებენ მხოლოდ მასებში მუშაობასთან ერთად, და ამიტომ მათ არ ეხება ის საბუთები, რომლებითაც რუსი სოციალ-დემოკრატები არღვევდნენ (და დიდი ხნით დაარღვიეს) ბრძოლის ასეთი ხერხის მიზანშეწონილობას. აქ მეორდება ისტორია, რომელიც ძალიან წააგავს მათს დამოკიდებულებას «კრიტიკისადმი». ჩვენ ოპორტუნისტები არა ვართ, — გაჰკივიან სოციალისტ-რევოლუციონერები, და ამავე დროს არქივს აბარებენ პროლეტარული სოციალიზმის დოგმას მხოლოდ და მხოლოდ ოპორტუნისტული და არა რაიმე სხვაგვარი კრიტიკის საფუძველზე. ჩვენ არ ვიმეორებთ ტერორისტების შეცდომებს, ჩვენ მასებში მუშაობისაგან ჩამოშორებას არ ვიწვევთო, — ირწმუნებიან სოციალისტ-რევოლუციონერები, და ამავე დროს გულმოდგინედ ურჩევენ პარტიას ისეთ აქტებს, როგორიცაა სიპიაგინის მოკვლა ბალმაშევის მიერ, თუმცა ყველამ ჩინებულად იცის და ხედავს, რომ ეს აქტი არავითარ კავშირში არ ყოფილა მასებთან და, მისი შესრულების წესის მიხედვით, არც შეიძლებოდა მასებთან კავშირში ყოფილიყო, — რომ ის პირები, რომლებიც ამ აქტს ახდენდნენ, არც ვარაუდობდნენ და არც იმედოვნებდნენ, რომ მასა მოაწყობდა რაიმე გარკვეულ გამოსვლას ან მხარს დაუჭერდა მათ. სოციალისტ-რევოლუციონერები გულუბრყვილოდ ვერ ამჩნევდნენ იმას, რომ მათი მიდრეკილება ტერორისადმი უმჭიდროესი მიზეზობრივი კავშირით არის დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომ ისინი თავიდანვე განზე გაუდგნენ მუშათა მოძრაობას, განაგრძობენ მისგან განზე დგომას და არც კი მიისწრაფვიან, რომ გახდნენ იმ რევოლუციური კლასის პარტიად, რომელიც თავის კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს. გულმოდგინე ფიცი ძალიან ხშირად გვაიძულებს ყურადღება გავამახვილოთ და ეჭვი შევიტანოთ იმის სიმართლეში, რაც მაგარ საკაზმავს

საჭიროებს. და როდესაც მე ვკითხულობ სოციალისტ-რევოლუციონერთა მტკიცებას: ტერორით ჩვენ მასებში მუშაობას უკან არ ვწევთო, ხშირად მაგონდება სიტყვები: ნუთუ არ გბეზრდებათ ამდენი ფიცი? ტერორით მასებში მუშაობას უკან არ ვეწევითო, ამას ხომ ის ადამიანები ირწმუნებიან, რომლებიც უკვე ჩამოშორდნენ მასების ნამდვილად ამამოძრავებელ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობას და რომლებიც განაგრძობენ მისგან ჩამოშორებას, ებღაუჭებიან რა ყოველგვარი თეორიის ნაფლეთებს.

ნათქვამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს 1902 წლის 3 აპრილის პროკლამაცია, რომელიც «სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ» გამოსცა. ეს არის ყველაზე ცოცხალი, უშუალო მოღვაწეებთან მახლობელი, ყველაზე აუტენტური წყარო. «რევოლუციონნაია როსსიას» (№ 7, გვ. 24) ძვირფასი მოწმობით, «ტერორისტული ბრძოლის საკითხის დაყენება» ამ პროკლამაციაში «მთლიანად ემთხვევა» «პარტიულ თვალსაზრისსაც» *.

3 აპრილის პროკლამაცია შესანიშნავი გულმოდგინებით ჰბაძავს ტერორისტთა «უახლესი» არგუმენტაციის შაბლონს. უწინარეს ყოვლისა თვალში გხვდებათ სიტყვები: «ჩვენ ტერორისაკენ მოვუწოდებთ არა მასებში მუშაობის ნაცვლად, არამედ სწორედ ამ მუშაობისათვის და მასთან ერთდროუ-

* მართალია, «რევ. როსსია» ამ პუნქტის შესახებაც რაღაც ეკვილიბრისტიკას მიმართავს. ერთი მხრივ, — «მთლიანად ემთხვევა», მეორე მხრივ — გადაკვრით მითითებულია «გაზვიადებაზე». ერთი მხრივ, «რევ. როსსია» აცხადებს, რომ ეს პროკლამაცია დაწერილია სოც.-რევოლუციონერთა მხოლოდ «ერთი ჯგუფის» მიერ. მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს ის ფ ა ქ ტ ი, რომ პროკლამაციაზე წარწერილია: «სოც.-რევოლუციონერთა პ ა რ ტ ი ი ს გამოცემა» და, გარდა ამისა, განმეორებულია იმავე «რევ. როსსიის» ეპიგრაფი («ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას»). ჩვენ გვესმის, რომ «რევ. როსსიისათვის» არასასიამოვნოა ამ საჩოთირო პუნქტზე ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამგვარ შემთხვევაში კეკეშალულობას თამაში პირდაპირ სათაკილოა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისთვისაც არასასიამოვნო იყო ეკონომიზმის არსებობა, მაგრამ იგი აშკარად ამხელდა მას და არასოდეს არ უცდია ვინმე შეცდომაში შეეყვანა.

ლად». ხოლო ეს სიტყვები თვალში გხვდებათ იმიტომ, რომ აწყობილია სამჯერ უფრო მსხვილი შრიფტით, ვიდრე დანარჩენი ტექსტი (ხერხი, რომელიც, რა თქმა უნდა, განმეორებულია «რევ. როსსიაშიც»). და მართლაც, ეს ხომ სულ უბრალო რამაა! საკმარისია მსხვილი შრიფტით დაბეჭდო «არა ნაცვლად, არამედ ერთად», და სოციალ-დემოკრატების ყველა საბუთი, ისტორიის მთელი გაკვეთილი ერთბაშად ქარწყლდება. მაგრამ აბა ერთი სინჯეთ და წაიკითხეთ მთელი პროკლამაცია, და თქვენ დაინახავთ, რომ მსხვილი შრიფტის ფიცი ამაოდ იჩემებს მასების სახელს. ის დრო, «როდესაც მუშა ხალხი თავს დააღწევს სიბნელეს» და «მძლავრი სახალხო ტალღა ნამსხვრევებად აქცევს რკინის ჭიშკარს» — «ვაი რომ!» (პირდაპირ ასე: ვაი რომ!) «ჯერ არც ისე მალე დადგება, და შემაძრწუნებელია ფიქრი, თუ რამდენი მსხვერპლი მოჰყვება ამას!» განა ეს სიტყვები: «ვაი რომ ჯერ არც ისე მალე დადგება» არ გამოხატავს იმას, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებს სრულიად არ გაეგებათ მასობრივი მოძრაობა და არა აქვთ მისი რწმენა? განა ეს საბუთი განზრახ არ არის გამოგონებული, რათა დასცინონ იმ ფაქტს, რომ მუშა ხალხი უკვე ირაზმება? და ბოლოს, ეს გაცვეთილი საბუთი რომ კიდეც იმდენადვე საფუძვლიანი იყოს, რამდენადაც იგი ნამდვილად უაზროა, — იგი განსაკუთრებით რელიეფურად ცხადჰყოფდა ტერორის უვარგისობას, ვინაიდან მუშა ხალხის გ ა რ ე შ ე უძლურია, აშკარად უძლურია ყოველგვარი ყუმბარა.

მოისმინეთ შემდეგ: «ყოველი ტერორისტული დარტყმა, ასე ვთქვათ, ართმევს თვითმპყრობელობას მისი ძალის ნაწილს და გადაისვრის (!) მთელ ამ ძალას (!) თავისუფლებისათვის მებრძოლთა მხარეზე». «და რაკი ტერორი სისტემატური (!) იქნება, ცხადია, ბოლოს და ბოლოს ჩვენი სასწორი გადასწონის». დიახ, დიახ, ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენს წინაშეა ტერორიზმის უდიდესი ცრურწმენათაგანი უაღრესად უხეში ფორმით: პოლიტიკური მკვლელობა თავისთავად «გადაისვრის ძალას»! აი, ერთი მხრივ, ძალის გადასროლის

თეორია, ხოლო მეორე მხრივ — «არა ნაცვლად, არამედ ერთად...» ნუთუ არ გბეზრდებათ ამდენი ფიცი?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თავიდათავი წინ არის. «ვის უნდა დავარტყათ?» — კითხულობს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და უპასუხებს: მინისტრებს, და არა მეფეს, რადგან «მეფე უკიდურესობამდე არ მიიყვანს საქმეს» (!! საიდან გაიგეს მათ ეს??), და, გარდა ამისა, «ეს უფრო ადვილიცაა» (სიტყვასიტყვით ასეა!): «ვერავითარი მინისტრი ვერ გამაგრდება სასახლეში, როგორც ციხე-სიმაგრეში». და ეს არგუმენტაცია თავდება შემდეგი მსჯელობით, რომელიც ღირსია უკვდავყოფილ იქნას როგორც სოციალისტ-რევოლუციონერთა «თეორიის» ნიმუში. «ხალხის წინააღმდეგ თვითმპყრობელობას ჰყავს ჯარისკაცები, რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ — ფარული და აშკარა პოლიცია, მაგრამ რა იხსნის მას...» (ვის მას? თვითმპყრობელობას? ავტორმა თავისდა შეუმჩნევლად თვითმპყრობელობა უკვე იმ მინისტრთან გააიგივა, რომლის დარტყმაც უფრო ადვილია!) «...ცალკეულ პიროვნებათაგან ან პატარა წრეებისაგან, რომლებიც განუწყვეტლივ ემზადებიან თავდასასხმელად და თავს ესხმიან ისე, რომ არც კი იციან რაიმე ერთიმეორის შესახებ (!!)? უჩინარი პირების წინაშე უძლურია ყოველგვარი ძალა. მაშასადამე, ჩვენი ამოცანა ნათელია: გადავაყენოთ ძალაუფლების მქონე ყველა მოძალადე თვითმპყრობელობისა ერთადერთი საშუალებით, რომელიც ჩვენ თვითმპყრობელობამ დაგვიტოვა (!), — მოკვლის საშუალებით». რამდენიც უნდა წერონ სოციალისტ-რევოლუციონერებმა და გვარწმუნონ, რომ ისინი თავისი ტერორის ქადაგებით უკან არ სწევენ მასებში მუშაობას და მის დეზორგანიზაციას არ ახდენენ, — ისინი სიტყვის ნიაღვრით ვერ დაარღვევენ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ტერორისტის ნამდვილი ფსიქოლოგია უტყუარად გადმოცემულია სწორედ ციტირებულ პროკლამაციაში. ძალის გადასროლის თეორიას ბუნებრივად ემატება უჩინრობის თეორია, თეორია, რომელიც საბოლოოდ თავდაყირა აყენებს არა მარტო წარსულის მთელ გამოცდილებას, არამედ

ყოველგვარ საღ აზრსაც. რევოლუციის ერთადერთი «იმედი» რომ «ხალხია», პოლიციასთან ბრძოლა რომ მხოლოდ რევოლუციურ ორგანიზაციას შეუძლია, რომელიც ხელმძღვანელობს (საქმით და არა სიტყვით) ამ ხალხს, ეს ანბანია. ამის მტკიცება სირცხვილია. და მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი დაივიწყეს და სრულიად ვერაფერი ისწავლეს, შეეძლოთ «პირიქით» გადაეწყვიტათ, მისულიყვნენ იმ საზღაპრო, აღმაშფოთებელ უაზრობამდე, რომ თვითმპყრობელობის «ხსნა» ხალხისაგან შეუძლიათ ჯარისკაცებს, რევოლუციური ორგანიზაციებისაგან — პოლიციას, ხოლო ცალკეულ პიროვნებათაგან, რომლებიც მინისტრებზე ნადირობენ, ვ ე რ ა ფ ე რ ი ვ ე რ ი ხ ს ნ ი ს!!

ეს საზღაპრო მსჯელობა, რომელიც, ჩვენ დარწმუნებული ვართ, სახელს მოიხვეჭს, მარტო უბრალო კურიოზი როდია. არა, იგი მით არის საგულისხმო, რომ აბსურდამდე გაბედული მიყვანით ააშკარავებს ტერორისტთა ძირითად შეცდომას, რაც მათი და ეკონომისტების (შესაძლოა უკვე უნდა გვეთქვა: განსვენებული ეკონომიზმის ყოფილი წარმომადგენლების?) საერთო შეცდომას წარმოადგენს. ეს შეცდომა, როგორც ჩვენ ბევრჯერ მიგვითითებია, ჩვენი მოძრაობის ძირითადი ნაკლის გ ა უ გ ე ბ ლ ო ბ ა შ ი მდგომარეობს. მოძრაობის არაჩვეულებრივი სწრაფი ზრდის გამო ხელმძღვანელები ჩამორჩნენ მასას, რევოლუციური ორგანიზაციები არ ამაღლებულან პროლეტარიატის რევოლუციურ აქტივობამდე; ისინი მოკლებულნი აღმოჩნდნენ წინსვლისა და მასების ხელმძღვანელობის უნარს. ამგვარი შეუსაბამობა რომ არსებობს, ამაში ეჭვს ვერ შეიტანს ვერც ერთი კეთილსინდისიერი ადამიანი, რომელიც ცოტად თუ ბევრად იცნობს მოძრაობას. ხოლო რაკი ეს ასეა, ცხადია, ახლანდელი ტერორისტები არიან ნამდვილი ეკონომისტები პირუკუღმა, რამდენადაც ისინი ვარდებიან ასევე არაგონივრულ, მაგრამ წინააღმდეგს უკიდურესობაში. იმ დროს, როდესაც რევოლუციონერებს ა რ ა ჰ ყ ო ფ ნ ი თ ძალები და საშუალებანი უკვე ამოძრავებული მასის სახელმძღვანელოდ, ისეთი ტერორისკენ მოწოდება, როგორიცაა ცალკეულ პიროვნებათა და ერთმანეთის

უცნობი წრეების მიერ მინისტრებზე თავდასხმის მოწყობა, — იმას ნიშნავს, რომ ამ ი თ არა მარტო შეწყვიტო მასებში მუშაობა, არამედ პირდაპირ დეზორგანიზაციაც შეიტანო მასში. — ჩვენ, რევოლუციონერები, «მიჩვეულნი ვართ გაუბედავ თავმოყრას გროვა-გროვად — ვკითხულობთ 3 აპრილის პროკლამაციაში — და იმ ახალმა, გაბედულმა სულისკვეთებამაც კი (NB) *, რომელმაც დაჰქროლა უკანასკნელი 2 — 3 წლის განმავლობაში, ჯერჯერობით უფრო მასის განწყობილების აღმავლობა შექმნა, ვიდრე პიროვნებებისა». ამ სიტყვებში ბევრია უნებლიეთ ნათქვამი სიმართლე. და სწორედ ეს სიმართლე სავსებით ანადგურებს ტერორიზმის მქადაგებელთ. ამ სიმართლიდან ყოველი დაკვირვებული სოციალისტი დაასკვნის: საჭიროა უფრო ენერგიულად, უფრო გაბედულად და უფრო მწყობრად ვიმოქმედოთ გროვა-გროვად. სოციალისტ-რევოლუციონერები კი ასკვნიან: «ისროლე, უჩინარო პიროვნებავ, რადგან გროვა, ვაი რომ ჯერ კიდევ შორსაა, და ამასთან გროვის წინააღმდეგ ჯარისკაცები ჰყავთო». ეს უკვე სრული უგუნურებაა, ბატონებო!

პროკლამაცია ექსციტატიური ტერორის თეორიასაც იშველიებს. «გმირის ყოველი ერთპიროვნული შებრძოლება ყველა ჩვენგანში აღვიძებს ბრძოლისა და მამაცობის სულისკვეთებას», — გვეუბნებიან ჩვენ. მაგრამ ჩვენ ვიცით წარსულიდან და ვხედავთ აწმყოში, რომ მ ხ ო ლ ო დ მასობრივი მოძრაობის ახალი ფორმები ან მასის ახალი ფენების გაღვიძება დამოუკიდებელი ბრძოლისათვის ნამდვილად აღვიძებს ყ ვ ე ლ ა შ ი ბრძოლისა და მამაცობის სულისკვეთებას. ერთპიროვნული შებრძოლება კი, სწორედ იმდენად, რამდენადაც იგი ბალმაშევების ე რ თ პ ი რ ო ვ ნ უ ლ შ ე ბ რ ძ ო ლ ე ბ ა დ რჩება, უშუალოდ იწვევს მხოლოდ სწრაფწარმავალ სენსაციას, ხოლო არაპირდაპირ — აპათიასაც კი, შემდგომი ე რ თ პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი შ ე ბ რ ძ ო ლ ე ბ ი ს პასიურ მოლოდინს. შემდეგ ჩვენ გვარწმუნებენ, რომ «ტერორის ყოველი ელვა გონებას ანათლებს», რაც ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ შევამჩ-

* — Nota bene — დაიბსომეთ. რ ე დ.

ნიეთ ტერორის მქადაგებელ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას. ჩვენ გვთავაზობენ დიდი და წვრილი მუშაობის თეორიას: «ვისაც მეტი ძალა, მეტი შესაძლებლობა და მეტი გამბედაობა შესწევს, დაე, ნუ დაკმაყოფილდება წვრილი (!) მუშაობით; დაე, მან ეძიოს და ხელი მოჰკიდოს დიდ საქმეს, — ტერორის პროპაგანდას მასებში (!), რთულ.... (უჩინრობის თეორია უკვე დავიწყებულია!)... ტერორისტულ წამოწყებათა მომზადებასო». და მერე, რა გონივრული რამ არის ეს: შესწირო რევოლუციონერის სიცოცხლე იმას, რომ შური იძიო არამზადა სიპიაგინზე და შესცვალო იგი არამზადა პლევეთი — ეს დიდი საქმეა. ხოლო, მ ა გ ა ლ ი თ ა დ, მასის მზადება შეიარაღებული დემონსტრაციისათვის — წვრილი საქმეა. და აი «რევ. როსსია» მე-8 ნომერში სწორედ ამას განმარტავს, როდესაც აცხადებს, რომ შეიარაღებულ დემონსტრაციებზე «წერა და მსჯელობა ადვილია, როგორც გაურკვეველი შორეული მომავლის საქმეზე», «მაგრამ მთელ ამ მსჯელობას დღემდე მხოლოდ თეორიული ხასიათი ჰქონდაო». რა კარგად ვიცნობთ ჩვენ ამ ენას ადამიანებისას, რომლებიც თავისუფალნი არიან მტკიცე სოციალისტურ რწმენათა შემავიწროებლობისაგან, ყველა და ყოველგვარი საზალხო მოძრაობის სამძიმო გამოცდილებისაგან? შედეგთა უშუალო ხელშესახებლობასა და სენსაციურობას ისინი პრაქტიკულობაში ურევენ. კლასობრივ თვალსაზრისზე განუხრელი დგომისა და მოძრაობის მასობრივი ხასიათის დაცვის მოთხოვნა მათთვის «გაურკვეველ» «თეორეტიზებას» წარმოადგენს. მათთვის გარკვეულობა ის არის, როდესაც მონურად მისდევ განწყობილების ყოველ შემობრუნებას და... და ამის გამო გარდუვალი უმწეობა ჩნდება ყოველი შემობრუნების დროს. იწყება დემონსტრაციები — და ასეთი ადამიანებისაგან იღვრება სისხლიანი ფრაზები, მსჯელობა დასასრულის დასაწყისზე. ფერხდება დემონსტრაციები — ხელებს დაბლა ვუშვებთ და ჯერ ფეხსაცმლის გაცვეთაც კი ვერ მოგვისწრია, რომ უკვე გავკივით: «ხალხი, ვაი რომ ჯერ კიდევ მალე არ დაიძვრება...». მოხდება მეფის მოძალადეთა ახალი საზიზღრობა — და ჩვენ მოვითხოვთ გვიჩვენონ ისეთი «გარკვე-

ული» საშუალება, რომელიც ამომწურავი პასუხი იქნებოდა სწორედ ამ ძალადობაზე, ისეთი საშუალება, რომელიც «ძალთა» დაუყოვნებლივ «გადასროლას» იწვევდეს, და ამაყად ვპირდებით ამ გადასროლას! ასეთ ადამიანებს არ ესმით, რომ მარტოოდენ ეს დაპირება ძალთა «გადასროლისა» წარმოადგენს პოლიტიკურ ავანტიურიზმს, და რომ მათი ავანტიურიზმი დამოკიდებულია მათს უპრინციპობაზე.

სოციალ-დემოკრატია მუდამ გაგვაფრთხილებს ავანტიურიზმისაგან და ულმობლად ამხელს ილუზიებს, რომლებსაც აუცილებელ შედეგად იმედის სრული გაცრუება მოსდევს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციური პარტია მხოლოდ მაშინ არის თავისი სახელის ღირსი, როდესაც იგი ნამდვილად ხელმძღვანელობს რევოლუციური კლასის მოძრაობას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი სახალხო მოძრაობა უსასრულოდ სხვადასხვაგვარ ფორმას იღებს, მუდამ იმუშავებს ახალ ფორმებს, უკუაგდებს ძველს, ჰქმნის ძველი და ახალი ფორმების სახესხვაობებს ან ახალ კომბინაციებს. და ჩვენი ვალია აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ბრძოლის ხერხთა და საშუალებათა შემუშავების ამ პროცესში. როდესაც სტუდენტთა მოძრაობა გამწვავდა, ჩვენ მოვუწოდეთ მუშას დახმარებოდა სტუდენტს («ისკრა» № 2 *), ამასთან ჩვენ არ გვიკისრნია დემონსტრაციათა ფორმების წინასწარმეტყველება, არ დავპირებივართ არც ძალთა დაუყოვნებლივ გადასროლას, არც გონების განათლებას, არც ამა თუ იმ პირთა განსაკუთრებულ უჩინარობას. როდესაც დემონსტრაციები განმტკიცდა, ჩვენ მოვუწოდეთ მათი ორგანიზებისაკენ, მასების შეიარაღებისაკენ, ჩვენ წამოვაყენეთ სახალხო აჯანყების მომზადების ამოცანა. სრულიადაც არ უარვყოფდით რა პრინციპულად ძალადობას და ტერორს, ჩვენ მოვითხოვდით მუშაობას ძალადობის ისეთი ფორმების მომზადებაზე, რომლებიც გაითვალისწინებდნენ მასის უშუალო მონაწილეობას და უზრუნველჰყოფდნენ ამ მონაწილეობას.

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-4, გვ. 510 — 516. რ ე დ.

ჩვენ თვალს არ ვარიდებთ ამ ამოცანის სიძნელეს, მაგრამ მტკიცედ და შეუპოვრად ვიმუშავებთ მასზე, და ვერ შეგვაშფოთებს ის აზრი, რომ ეს «გაურკვევლად შორეული მომავალია». დიახ, ბატონებო, ჩვენ მხარს ვუჭერთ მოძრაობის არა მარტო წარსულ ფორმებს, არამედ მომავალ ფორმებსაც. ჩვენ ვამჯობინებთ ხანგრძლივად და შეუპოვრად მუშაობას იმაზე, რასაც მომავალი აქვს, ვიდრე იმის «იოლ» განმეორებას, რაც უკვე დაგმობილია წარსულის მიერ. ჩვენ ყოველთვის ვამხელთ იმ ადამიანებს, რომლებსაც პირზე აკერიათ ომი დოგმის შაბლონებთან, მაგრამ რომლებსაც ნამდვილად ისეთი უაღრესად დახავსებული და მაკნე თეორიების შაბლონები მოეპოვებათ, როგორიცაა ძალთა გადასროლის, დიდი და წვრილი მუშაობის განსხვავების თეორიები და, რა თქმა უნდა, ერთპიროვნული გამოსვლისა და ერთპიროვნული ბრძოლის თეორია. «როგორც ოდესღაც, ხალხთა შეტაკებების დროს, მათი ბელადები შეტაკების ბედს ორთაბრძოლით სწყვეტდნენ, ასევე ტერორისტებიც თვითმპყრობელობასთან ორთაბრძოლით მოუპოვებენ რუსეთს თავისუფლებას», — ასე თავდება 3 აპრილის პროკლამაცია. ასეთი ფრაზები საკმარისია გადაბეჭდო, რომ გააქარწყლო.

ვინც თავის რევოლუციურ მუშაობას ნამდვილად უკავშირებს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, მან ჩინებულად იცის, ხედავს და გრძნობს, თუ პროლეტარიატის (და ხალხის იმ ფენებისა, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მას) რა დიდძალი უშუალო და პირდაპირი საჭიროებანი რჩება დაუკმაყოფილებელი. მან იცის, რომ უამრავ ადგილას, მთელს უზარმაზარ რაიონებში მუშა ხალხი პირდაპირ მთელი არსებით ისწრაფვის ბრძოლისაკენ და მისი აღტყინება ტყუილუბრალოდ იკარგება იმის გამო, რომ საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ლიტერატურა, არ მოიპოვებიან ხელმძღვანელები, რომ რევოლუციურ ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ძალები და საშუალებანი. და ჩვენ ვრჩებით, — ჩვენ ვხედავთ ამას, რომ ვრჩებით, — იმავე წყეულ მოჯადოებულ წრეში, რომელიც, როგორც ავი ბედისწერა, ასე დიდხანს ჰბორკავდა

რუსეთის რევოლუციას. ერთი მხრივ, ტყუილუბრალოდ იკარგება არასაკმაოდ გათვითცნობიერებული და არაორგანიზებული მასის რევოლუციური აღტყინება. მეორე მხრივ, ტყუილუბრალოდ იკარგება იმ «უჩინარ პიროვნებათა» გასროლილი ტყვია, რომლებიც მასასთან ერთად ერთ რიგსა და მწკრივში სიარულის, მასთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობის შესაძლებლობის რწმენას ჰკარგავენ.

მაგრამ საქმის გამოსწორება ჯერ კიდევ სავსებით შეიძლება, ამხანაგებო! ნამდვილი საქმისადმი რწმენის დაკარგვა მხოლოდ იშვიათი გამონაკლისია. ტერორით გატაცება მხოლოდ სწრაფწარმავალი განწყობილებაა. დაე, უფრო მჭიდროდ დაირაზმონ სოციალ-დემოკრატთა რიგები, და ჩვენ ერთ მთელად შევაკავშირებთ რევოლუციონერთა მებრძოლ ორგანიზაციას და რუსეთის პროლეტარიატის მასობრივ გმირობას!

---

შემდეგს სტატიაში ჩვენ განვიხილავთ სოციალისტ-რევოლუციონერთა აგრარულ პროგრამას.

## II

სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. სწორედ აგრარულ საკითხში მუდამ განსაკუთრებით ძლიერად სთვლიდნენ თავს ძველი რუსული სოციალიზმის წარმომადგენლებიც, მათი ლიბერალურ-ნაროდნიკული მემკვიდრეებიც და ოპორტუნისტული კრიტიკის ის მრავალრიცხოვანი მომხრეებიც რუსეთში, რომლებიც გაცხარებით ირწმუნებიან, რომ ამ პუნქტში მარქსიზმი უკვე საბოლოოდ უკუგდებულია პოზიციიდან «კრიტიკის» მიერო. და ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერები, როგორც იტყვიან, სულ ერთიანად აცამტვერებენ მარქსიზმს: «დოგმატური ცრურწმენანი... დრომოჭმული, ცხოვრების მიერ დიდი ხანია დამსხვრეული დოგმატები... რევოლუციურმა ინტელიგენციამ თვალი აარიდა სოფელს, ორთოდოქსია კრძალავდა რევოლუციურ მუშაობას გლეხობაში» და მრავალი სხვა

ამგვარი ორთოდოქსიის ჩაწიხლვა ახლა მოდაშია. მაგრამ რომელ ქვესახეობას უნდა მივაკუთვნოთ ის ადამიანები მწიხლავთა წრიდან, რომელთაც გლეხობაში მოძრაობის დაწყებამდე თავისი საკუთარი აგრარული პროგრამის დასახვაც კი ვერ მოუსწრიათ? როდესაც «ისკრამ» ჯერ კიდევ მე-3 ნომერში * მოხაზა თავისი აგრარული პროგრამა, «ვესტნ. რუსსკ. რევ».-მ მხოლოდ ამის წალუღლუღება მოახერხა: «საკითხის ასეთი დაყენებით საგრძნობლად ნელდება კიდევ ერთ-ერთი ჩვენი უთანხმოებაო», ამასთან «ვესტნ. რუსსკ. რევ.»-ის რედაქციას ერთი პატარა უბედურება შეემთხვა: მან აბსოლუტურად ვერ გაიგო სწორედ საკითხის დაყენება «ისკრის» მიერ («კლასობრივი ბრძოლის შეტანა სოფლად»). ახლა «რევ. როსსია» უკანა რიცხვით იმოწმებს ბროშურას — «მორიგი საკითხი», თუმცა იქაც არავითარი პროგრამა არ მოიპოვება, არის მხოლოდ ისეთი «განთქმული» ოპორტუნისტების ქება-დიდება, როგორიცაა ჰერცი.

და აი ეს ადამიანები, რომლებიც მოძრაობის დაწყებამდე ეთანხმებოდნენ «ისკრასაც» და ჰერცსაც, — გლეხთა აჯანყების მეორე დღეს გამოდიან მანიფესტით «სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის გლეხთა კავშირისაგან» (!), ამასთან ამ მანიფესტში თქვენ ვერ იპოვნით ვერც ერთ სიტყვას, რომელიც მართლაც გლეხს ეკუთვნოდეს, თქვენ იქ იპოვნით მხოლოდ იმის სიტყვა-სიტყვით განმეორებას, რაც ათასჯერ წაგიკითხავთ ნაროდნიკების, ლიბერალებისა და «კრიტიკოსების» ნაწერებში... ამბობენ, გამბედაობა ციხე-სიმაგრეს იპყრობსო. ეს ასეა, ბატონო სოციალისტ-რევოლუციონერებო, მაგრამ უხეშად შეთითხნილი რეკლამა ასეთ გამბედაობას როდი მოწმობს.

ჩვენ დავინახეთ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერების მთავარ «უპირატესობას» წარმოადგენს თეორიისაგან თავისუფლება, მათი მთავარი ოსტატობა — ეს არის უნარი ისე ილაპარაკონ, რომ არაფერი არ თქვან. მაგრამ პროგრამის მოსაცემად საჭიროა ასე თუ ისე გამოთქვა შენი აზრი.

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-4, გვ. 517 — 527. რ ე დ.

საჭიროა, მაგალითად, შორს გადაისროლო «80-იანი წლების დამლევისა და 90-იანი წლების დამდეგის რუსი სოციალ-დემოკრატების დოგმატი იმის შესახებ, რომ არ არსებობს რევოლუციური ძალა, გარდა ქალაქის პროლეტარიატისა». რა მარჯვე სიტყვაა ეს «დოგმატი»! საკმარისია ოდნავ დაამახინჯო მტრული თეორია, დაფარო ეს დამახინჯება «დოგმატის» საფრთხობელათი, — და მორჩა და გათავდა!

მთელი თანამედროვე სოციალიზმი, დაწყებული «კომუნისტური მანიფესტით», იმ უდავო ჭეშმარიტებას ეყრდნობა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ერთადერთ ნამდვილად რევოლუციურ კლასს პროლეტარიატი წარმოადგენს. დანარჩენი კლასები შეიძლება რევოლუციურნი იყვნენ და არიან მხოლოდ ნაწილობრივ და მხოლოდ გარკვეულ პირობებში. საკითხავია, რა უნდა იფიქროს კაცმა იმ ადამიანებზე, რომლებმაც ეს ჭეშმარიტება გარკვეული ეპოქის რუსი სოციალ-დემოკრატების დოგმატად «გადააქციეს» და რომლებიც ცდილობენ დაარწმუნონ გულუბრყვილო მკითხველი, თითქოს ეს დოგმატი «სულ ერთიანად დაფუძნებული» იყო «აშკარა პოლიტიკური ბრძოლის სიშორის რწმენაზე»?

მარქსის მოძღვრებას თანამედროვე საზოგადოების ერთად-ერთი ნამდვილად რევოლუციური კლასის შესახებ სოციალისტ-რევოლუციონერები უპირისპირებენ სამებას: «ინტელიგენცია, პროლეტარიატი და გლეხობა», და ამით ააშკარავებენ ცნებათა სრულ არევ-დარევას. თუ თქვენ ინტელიგენციას უპირისპირებთ პროლეტარიატსა და გლეხობას, — ეს ნიშნავს, რომ თქვენ ინტელიგენცია გესმით როგორც გარკვეული სოციალური ფენა, ისეთ პირთა ჯგუფი, რომელთაც ისევე გარკვეული სოციალური პოზიცია უჭირავთ, როგორც გარკვეულია დაქირავებული მუშებისა და გლეხების სოციალური პოზიცია. მაგრამ ასეთი ფენის სახით რუსი ინტელიგენცია წარმოადგენს სწორედ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას. ამ ფენის მიმართ სავსებით მართალია ბ-ნი სტრუვე, რომელიც თავის ორგანოს რუსი ინტელიგენციის ორგანოს უწოდებს. ხოლო თუ

თქვენ იმ ინტელიგენტებზე ლაპარაკობთ, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუკავებიათ რაიმე გარკვეული სოციალური პოზიცია ან რომელნიც უკვე ამოგდებულნი არიან ცხოვრების მიერ თავისი ნორმალური პოზიციიდან და პროლეტარიატის მხარეზე გადადიან, — მაშინ სრულიად უაზროა ამ ინტელიგენციის დაპირისპირება პროლეტარიატისადმი. როგორც თანამედროვე საზოგადოების ყველა სხვა კლასი, ისე პროლეტარიატიც არა მარტო ქმნის თავის საკუთარ ინტელიგენციას, არამედ მომხრეებს იძენს აგრეთვე ყველა და ყოველგვარი განათლებული ადამიანების შემადგენლობიდან. სოციალისტ-რევოლუციონერების გამოლაშქრება მარქსიზმის ძირითადი «დოგმატის» წინააღმდეგ ერთხელ კიდევ ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ამ პარტიის მთელ ძალას წარმოადგენს რუსი ინტელიგენტების ის პატარა ჯგუფი, რომელიც ძველს ჩამორჩა, ახალს კი არ მიკედლებია.

რაც შეეხება გლეხობას, მის შესახებ სოციალისტ-რევოლუციონერების მსჯელობა კიდევ უფრო აბნეულ-დაბნეულია. რად ღირს თუნდაც მარტო საკითხის დაყენება: «რომელი საზოგადოებრივი კლასები საერთოდ (!) მუდამ (!!) უჭერენ მხარს არსებულ... (მარტო თვითმპყრობელურ? თუ საერთოდ ბურჟუაზიულ?) ...წყობილებას, იცავენ მას და ვერ რევოლუციურდებიან?» კაცმა რომ თქვას, ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ მხოლოდ კითხვითვე: საერთოდ ინტელიგენციის რომელი ელემენტები ემხრობიან მუდამ იდეათა არსებულ ქაოსს, იცავენ მას და არ იზიარებენ გარკვეულ სოციალისტურ მსოფლმხედველობას? მაგრამ სოციალისტ-რევოლუციონერებს არასერიოზულ კითხვაზე სერიოზული პასუხის გაცემა სურთ. ისინი «ამ» კლასებს მიაკუთვნებენ, ჯერ ერთი, ბურჟუაზიას, რადგან მისი «ინტერესები დაკმაყოფილებულია». ეს ძველი ცრურწმენა, თითქოს რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესები უკვე იმდენად დაკმაყოფილებულია, რომ ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს ბურჟუაზიული დემოკრატია (შეად. «ვესტნ. რუსსკ. რევ.» № 2, გვ. 132 — 133), ამჟამად ეკონომისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების საერ-

თო კუთვნილებას შეადგენს. კიდევ ერთხელ: ხომ არ ასწავ-ლის მათ ჭკუას ბ-ნი სტრუვე?

მეორეც, სოციალისტ-რევოლუციონერები ამ კლასებს მიაკუთვნებენ «წვრილბურჟუაზიულ ფენებს», «რომელთა ინტერესები ინდივიდუალისტურია, არ არის განსაზღვრული როგორც კლასობრივი ინტერესები და არ არის ჩამოყალიბებული რეფორმატორულ ან რევოლუციურ სოციალურ-პოლიტიკურ პროგრამად». საიდანაა ეს, ალაჰმა უწყის. წვრილი ბურჟუაზია რომ საერთოდ და მუდამ არათუ არ იცავს არსებულ წყობილებას, არამედ, პირიქით, ხშირად რევოლუციურად გამოდის ბურჟუაზიის წინააღმდეგაც კი (სახელდობრ: როდესაც პროლეტარიატს ემხრობა), ძალიან ხშირად — აბსოლუტიზმის წინააღმდეგ და თითქმის ყოველთვის აყალიბებს სოციალურ-რეფორმატორულ პროგრამებს, — ეს ყველამ და თვითეულმა იცის. ჩვენმა ავტორმა აქ მხოლოდ «უფრო ხმამაღლა» წამოროშა წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმ «ცხოვრების წესისამებრ», რომელსაც ერთ-ერთ თავის «ლექსში პროზად», «ძველი გაიძვერას» ნათქვამის მიხედვით, გადმოგვცემდა ტურგენევი: რაც შეიძლება უფრო ხმამაღლა უნდა გაჰყვიროდე იმ მანკიერებათა წინააღმდეგ, რომლებსაც შენში გრძნობო. და აი: რადგან სოციალისტ-რევოლუციონერები გრძნობენ, რომ მათი ორ სკამს შუა ჯდომის პოზიციის ერთადერთი სოციალური ბაზისი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ინტელიგენციის ზოგიერთი წვრილბურჟუაზიული ფენა, — ამიტომ ისინი ისე წერენ წვრილ ბურჟუაზიაზე, თითქოს ეს ტერმინი ნიშნავდეს არა სოციალურ კატეგორიას, არამედ მხოლოდ სიტყვის პოლემიკურ ხერხს. მათ სურთ აგრეთვე გვეკრდი აუარონ იმ არასასიამოვნო პუნქტს, რომ არ ესმით შემდეგი: თანამედროვე გლეხობა, როგორც მთელი, «წვრილბურჟუაზიულ ფენებს» ეკუთვნის. ხომ არ შეეცდებით გვიპასუხოთ ამ პუნქტზე, ბატონო სოციალისტ-რევოლუციონერებო? ხომ არ გვეტყვით, რატომ არის, რომ, იმეორებთ რა რუსული მარქსიზმის თეორიების ნაწყვეტებს (მაგ., გლეხთა გარესაშოვარზე გასვ-

ლისა და ხეტიალის პროგრესული მნიშვნელობის შესახებ), თქვენ თვალს არიდებთ იმას, რომ იმავე მარქსიზმმა დაამტკიცა რუსი გლეხობის მეურნეობის წვრილბურჟუაზიული წყობა? ხომ არ განგვიმარტავთ, როგორ შეიძლება, რომ «მესაკუთრენი ან ნახევრადმესაკუთრენი» თანამედროვე საზოგადოებაში არ ეკუთვნოდნენ წვრილბურჟუაზიულ ფენებს?

არა, ამის იმედი ნუ გაქვთ! სოციალისტ-რევოლუციონერები არსებითად არ გვიპასუხებენ, არაფერს იტყვიან და არ განმარტავენ, რადგან მათ (კვლავ ეკონომისტების მსგავსად) მტკიცედ შეითვისეს ტაქტიკა თეორიის მხრივ თავი ამოჰყონ იმათ შორის, ვისაც თეორია არ გააჩნია. «რევ. როსსია» «ვესტ. რუსსკ. რევ.»-ზე მიუთითებს — ეს მათი საქმეაო (იხ. № 4, პასუხი «ზარიას»), «ვესტნ. რუსსკ. რევ.» კი მკითხველს მოუთხრობს ოპორტუნისტული კრიტიკის საგმირო საქმეებს და სულ იმუქრება, იმუქრება და იმუქრება — თავს დაგატეხთ კიდევ უფრო ძლიერ კრიტიკასაო. ეს ცოტაა, ბატონებო!

სოციალისტ-რევოლუციონერებმა წმინდად შეინახეს თავი თანამედროვე სოციალისტურ მოძღვრებათა გამხრწნელი გავლენისაგან. მათ მთლიანად შეინარჩუნეს ვულგარული სოციალიზმის ძველი დალოცვილი ხერხები. ჩვენს წინაშეა ახალი ისტორიული ფაქტი, ახალი მოძრაობა ხალხის გარკვეულ ფენაში. ისინი არ იკვლევენ ამ ფენის მდგომარეობას, არ ისახავენ მიზნად — ახსნან ამ ფენის მოძრაობა მისი ხასიათით და მისი დამოკიდებულებით მთელი საზოგადოების ეკონომიური წყობისადმი, რომელიც ვითარდება. ყველაფერი ეს მათთვის ცარიელი დოგმაა, დრომოჭმული ორთოდოქსიაა. ისინი ამას უფრო მარტივად აკეთებენ. — რის შესახებ ლაპარაკობენ თვით წარმომადგენლები იმ ფენისა, რომელიც მოძრაობაში ებმება? მიწის შესახებ, მიწის მოკრისა და გადანაწილების შესახებ. — მორჩა და გათავდა. აი «ნახევრადსოციალისტური პროგრამა», «სავსებით სწორი პრინციპი», «ნათელი იდეა», «იდეალი, რომელიც ჩანასახი ფორმით უკვე ცოცხლობს გლეხის თავში» და ა. შ. საჭიროა მხოლოდ

«გავწმინდოთ და დავამუშაოთ ეს იდეალი», გამოვიყვანოთ «სოციალიზმის წმინდა იდეა». თქვენ არა გჯერათ, მკითხველო? თქვენ წარმოუდგენლად მიგაჩნიათ, რომ ეს ნაროდნიკული ძველმანი კვლავ გამოჰქონდეთ მზის სინათლეზე იმ ადამიანებს, რომლებიც ასე მკვირცხლად იმეორებენ იმას, რაც მათ უკანასკნელ წიგნში ამოუკითხავთ? მაგრამ ეს ფაქტია, და ჩვენ მიერ ციტირებული ყველა სიტყვა ამოღებულია «გლეხთა კავშირის» განცხადებიდან, რომელიც მოთავსებული იყო «რევ. როსსიას» მე-8 ნომერში.

სოციალისტ-რევოლუციონერები «ისკრას» ბრალად სდებენ იმას, რომ მან, უწოდა რა გლეხთა მოძრაობას გლეხობის უკანასკნელი ამბოხება, ნაადრევად დაიწყო ლაპარაკი აღსასრულზე: გლეხობას, — გვასწავლიან ჩვენ, — შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროლეტარიატის სოციალისტურ მოძრაობაშიცო. ეს ბრალდება ნათლად გვიჩვენებს სოციალისტ-რევოლუციონერთა აზრის მთელ დაბნეულობას. ისინი იმაშიც კი ვერ გარკვეულან, რომ ერთია — დემოკრატიული მოძრაობა ბატონყმობის ნაშთთა წინააღმდეგ, და სულ სხვაა სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რადგან ვერ გაიგეს თვით გლეხური მოძრაობა, მათ არ შეეძლოთ გაეგოთ არც ის, რომ «ისკრის» სიტყვები, რომლებმაც ისინი დააფრთხო, მხოლოდ პირველ მოძრაობას ეხება. იმის შესახებ, რომ დაღუპვის გზაზე მდგომ წვრილ მწარმოებლებს (მათ შორის გლეხებს) შეუძლიათ და უნდა მიიღონ მონაწილეობა პროლეტარიატის სოციალისტურ მოძრაობაში, «ისკრამ» არა მარტო განაცხადა თავის პროგრამაში, არამედ ზუსტადაც განსაზღვრა ამ მონაწილეობის პირობები. მაგრამ თანამედროვე გლეხური მოძრაობა სრულიადაც არ არის სოციალისტური მოძრაობა, მიმართული ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. პირიქით, იგი აერთიანებს გლეხობის ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ელემენტებს, რომლებიც ნამდვილად ერთიანნი არიან ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. თანამედროვე გლეხურ მოძრაობას მივყავართ — და იგი კიდეც მიგვიყვანს — არა სოციალისტური

და არა ნახევრადსოციალისტური, არამედ სოფლად ბურჟუა-ზიული წყობის დამყარებამდე, რამდენადაც იგი გასწმენდს ჩვენი სოფლის უკვე მომწიფებულ ბურჟუაზიულ საყრდე-ნებს ბატონყმური ხუნდებისაგან.

ესეც კია, სოციალისტ-რევოლუციონერებისათვის ყოვე-ლივე ეს მიუწვდომელი რამაა. ისინი სერიოზულადაც კი არწმუნებენ «ისკრას», რომ კაპიტალიზმის განვითარებისათვის გზის გაწმენდა ფუჭი დოგმატია, რადგან სწორედ «რეფორ-მებმა» (60-იანი წლებისა) «სავსებით (!!) გაუწმინდეს (!) არე კაპიტალიზმის განვითარებასო». აი სანამდე შეიძლება მივიდეს მკვირცხლი კაცი, რომელსაც მკვირცხლი კალამი ჰფლობს და რომელიც ფიქრობს, რომ «გლეხთა კავშირის» ყოველგვარმა აბდაუბდამ შეიძლება გასავალი ჰპოვოს: გლეხი ვერ გაარჩევსო! — მაგრამ ერთი დაფიქრდით, პატივცემულო ავტორო: ხომ არ გაგიგონიათ თქვენ ოდესმე, რომ ბატონ-ყმობის ნაშთები აფერხებენ კაპიტალიზმის განვითარებას? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს თითქმის ტავტოლოგიაც კი არის? და ხომ არ წაგიკითხავთ სადმე რაიმე ბატონყმობის ნაშთებ-ზე თანამედროვე რუსულ სოფელში?

«ისკრა» ამბობს, რომ მომავალი რევოლუცია ბურჟუა-ზიული რევოლუცია იქნება. სოციალისტ-რევოლუციონერები გვედავებიან: იგი იქნება «უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური და რაოდენადმე დემოკრატიული რევოლუციაო». ხომ არ ეცდებიან ამ მშვენიერი პასუხის ავტორები აგვიხსნან — ყოფილა თუ არა ოდესმე ისტორიაში, შეიძლება თუ არა საზოგადოდ წარმოვიდგინოთ ისეთი ბურჟუაზიული რევო-ლუცია, რომელიც «რაოდენადმე დემოკრატიული» არ ყოფი-ლიყოს? და თვით სოციალისტ-რევოლუციონერთა პროგრამაც (გამთანაბრებელი სარგებლობა საზოგადოების საკუთრებად გადასული მიწისა) ჯერ კიდევ არ სცილდება ბურჟუაზიული პროგრამის ჩარჩოებს, რადგან სასაქონლო წარმოების შენარ-ჩუნება და კერძო მეურნეობის დაშვება, თუნდაც საერთო მიწაზე, სრულიადაც არ სპობს კაპიტალისტურ ურთიერთო-ბას მიწათმოქმედებაში.

რაც უფრო მსუბუქად ეკიდებიან სოციალისტ-რევოლუციონერები თანამედროვე სოციალიზმის უაღრესად ელემენტარულ ჭეშმარიტებებს, მით უფრო იოლად თხზავენ ისინი «უაღრესად ელემენტარულ დედუქციებს» და ამაყობენ კიდეც იმით, რომ მათი «პროგრამა გამოიხატება» დედუქციებით. განვიხილოთ მათი სამივე დედუქცია, რომლებიც, ალბათ, დიდხანს დარჩება სოციალისტ-რევოლუციონერთა გონების სიმახვილისა და სოციალისტურ რწმენათა სიღრმის ძეგლად.

დედუქცია № 1: «უკვე ახლა რუსეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის — საჭიროა, რათა მთელი ტერიტორია ხალხს ეკუთვნოდეს». გულამაჩუყებელმა მითითებებმა სახელმწიფო მიწათმფლობელობაზე რუსეთში «უკვე ახლა» თავი მოგვაბეზრეს პოლიციურ ნაროდნიკთა (á la * საზონოვისა და სხვ.) და სხვადასხვა კათედერ-რეფორმატორთა [46] ნაწარმოებებში. «საჭიროა», რათა ამ ვაჟბატონებს კუდში მისჩანჩალებდნენ ადამიანები, რომლებიც თავისთავს სოციალისტებს და რევოლუციონერებსაც კი უწოდებენ. «საჭიროა», რათა სოციალისტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ «სახელმწიფოს» ვითომდა ყოვლისშემძლეობას (ამასთან იმასაც კი ივიწყებდნენ, რომ სახელმწიფო-მიწების მეტი ნაწილი ქვეყნის დაუსახლებელ განაპირა მხარეებშია) და არა ნახევრად ყმა გლეხობისა და იმ ერთ მუჭა პრივილეგიურ მსხვილ მიწათმფლობელთა კლასობრივ დაპირისპირებას, რომლებიც უამრავ საუკეთესო დამუშავებულ მიწებს ჰფლობენ და რომლებთანაც «სახელმწიფო» ყოველთვის სიამტკბილობით ცხოვრობდა. ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერები ფიქრობენ, რომ მათ სოციალიზმის წმინდა იდეა გამოჰყავთ, ნამდვილად კი ისინი ლაფში სვრიან ამ იდეას ძველი ნაროდნიკობისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულებით.

---

* — მსგავსად. რ ე დ.

დედუქცია № 2: «უკვე ახლავე მიწა კაპიტალისაგან შრომისაკენ გადადის, — საჭიროა, რათა ეს პროცესი სახელმწიფომ დააგვირგვინოს». რაც უფრო შესტოპავ, მით უფრო ჩაიფლობი. გადავდგათ კიდევ ერთი ნაბიჯი პოლიციური ნაროდნიკობისაკენ, მოვუწოდოთ «სახელმწიფოს» (კლასობრივს!) გააფართოოს საზოგადოდ გლეხთა მიწათმფლობელობა. ეს საუცხოო სოციალისტობაა და გასაოცრად რევოლუციურობაა. მაგრამ აბა რას უნდა მოველოდეთ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც გლეხების მიერ მიწის ყიდვასა და იჯარით აღებას უწოდებენ არა მიწის გადასვლას მებატონე-მემამულეებისაგან სოფლის ბურჟუაზიის ხელში, არამედ «კაპიტალისაგან შრომისაკენ» გადასვლას. მოვაგონოთ ამ ადამიანებს თუნდაც მონაცემები «შრომისაკენ გადასული» მიწების ფაქტიური განაწილებისა: ნასყიდობით შეძენილი გლეხთა მთელი მიწის ექვსიდან ცხრა მეათედამდე და იჯარისა — ხუთიდან რვა მეათედამდე ნაწილი თავმოყრილია კ ო მ ლ თ ა ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი ნ ა წ ი ლ ი ს ხელში, ე. ი. შეძლებულთა უმნიშვნელო უმცირესობის ხელში. აბა განსაჯეთ: განა ბევრი სიმართლეა სოციალისტ-რევოლუციონერთა სიტყვებში, როდესაც ისინი ამტკიცებენ, რომ «ჩვენ არც ვამყარებთ იმედებს» შეძლებულ გლეხებზე, არამედ მხოლოდ «წმინდა მშრომელ ფენებზეო»?

დედუქცია № 3: «გლეხს უკვე აქვს მიწა და მიწით იგი მეტნაწილად გამთანაბრებელი განაწილების წესით სარგებლობს, — საჭიროა, რათა ეს შრომითი სარგებლობა ბოლომდე იქნას მიყვანილი... და ყოველგვარი სახის კოოპერაციის განვითარების გზით დაგვირგვინდეს კოლექტიური სამიწათმოქმედო წარმოებით». — ცოტა გადაფხიკეთ სოციალისტ-რევოლუციონერი და თქვენ დაინახავთ ბ-ნ ვ. ვ.-ს[47]! როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, მყისვე გამოჰყო თავი ნაროდნიკობის ყველა ძველმა ცრურწმენამ, რომელიც მშვიდად განისვენებდა გაქნილი ფრაზების საფარქვეშ. სახელმწიფო მიწათმფლობელობა — გლეხობის ხელში მიწის გადასვლის დაგვირგვინება სახელმწიფოს მიერ — თემი —

კოოპერაცია — კოლექტივიზმი, — ბ-ნ საზონოვის, იუზოვის, ნ. — ონისა [48], სოც.-რევოლუციონერებისა, გოფშტეტერის, ტოტომიანცისა და სხვათა და სხვათა ამ საუცხოო სქემას სულ მცირე რამ წვრილმანი აკლია. მასში არ არის არც განვითარების პროცესში მყოფი კაპიტალიზმი, არც კლასობრივი ბრძოლა. ანდა საიდან უნდა გაჩენილიყო ეს წვრილმანი იმ ადამიანთა თავში, რომელთა მთელი იდეური ავლადიდება ნაროდნიკობის ძონძებისა და მოდური კრიტიკის ჭრელ-ჭრელი ნაკუწებისაგან შესდგება? განა თ ვ ი თ ო ნ ბ-მა ბულგაკოვმა არა თქვა, რომ სოფლად არ არის ადგილი კლასობრივი ბრძოლისათვისო? განა კლასობრივი ბრძოლის შეცვლა «ყოველგვარი კოოპერაციით» არ დააკმაყოფილებს ლიბერალებსაც, «კრიტიკოსებსაც» და საზოგადოდ ყველა იმათ, ვისთვისაც სოციალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა ტრადიციული აბრა? და განა არ შეიძლება ვცადოთ, რომ გულუბრყვილო ადამიანები დავამშვიდოთ მტკიცებით: «ჩვენ, რა თქმა უნდა, შორსა ვართ თემის ყოველგვარი იდეალიზაციისაგან», — თუმცა ამ მტკიცებასთან ერთად თქვენ კითხულობთ კოლოსალურ ფრაზიორობას «თემის გლეხობის კოლოსალურ ორგანიზაციაზე», იმაზე, რომ «გარკვეული მხრივ არც ერთი კლასი რუსეთში არ ღებულობს ისეთ ბიძგს წმინდა (!) პოლიტიკური ბრძოლისათვის, როგორც სახელდობრ გლეხობა», რომ გლეხთა თვითგამორკვევა (!) თავისი საზღვრებითა და კომპეტენციით საერობოზე გაცილებით უფრო ფართოა, რომ «ფართო»... (თვით ჭიშკრამდე?)... «თვითმოქმედების» ეს შეერთება «უაღრესად ელემენტარული მოქალაქობრივი უფლებების» უქონლობასთან «თითქოს განზრახ იყო გამოგონილი იმისათვის, რომ... გაეღვიძებინა და ევარჯიშებინა (!) საზოგადოებრივი ბრძოლის პოლიტიკური ინსტინქტები და ჩვევები». თუ არ მოგწონთ — ნუ უსმენთ, ხოლო...

«ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, რამდენად უფრო ადვილია მიწის სოციალიზაციის იდეაზე გადასვლა მიწის თემური გამგებლობის ტრადიციებიდან». თუ პირიქით, ბატონებო? განა უიმედოდ ბრმა და ყრუ არ არის ის, ვინც

დღემდე არ იცის, რომ უძრაობის, დაბეჩავებულობისა და გაველურების ტრადიციებს იცავს სწორედ ნახევრადბატონყმური თემის შუასაუკუნეობრივი კარჩაკეტილობა, რაც ნამცეცა კავშირებად აქუცმაცებს გლეხობას და ხელფეხს უბორკავს სოფლის პროლეტარიატს? განა თქვენ თვითონ არ იმათრახებთ თავს, როდესაც აღიარებთ გარესაშოვარზე გასვლის სარგებლობას, რამაც უკვე სამი მეოთხედით დაანგრია თემური ტრადიციების ყბადაღებული გამთანაბრებლობა და ეს ტრადიციები მარტოოდენ პოლიციურ კინკლაობამდე დაიყვანა?

სოციალისტ-რევოლუციონერთა პროგრამა-მინიმუმი, ზემოთ განხილულ თეორიაზე დაფუძნებული, ნამდვილი კურიოზია. ამ «პროგრამაში» ორი პუნქტია: 1) «მიწის სოციალიზაცია, ე. ი. მისი გადასვლა მთელი საზოგადოების საკუთრებად და მშრომელთა სარგებლობაში»; 2) «გლეხობაში ყოველგვარი სახის საზოგადოებრივი გაერთიანებისა და ეკონომიური კოოპერაციების განვითარება... («წმინდა» პოლიტიკური ბრძოლისათვის?)... გლეხობის თანდათანობით განთავისუფლებისათვის ფულადი კაპიტალის უღლისაგან... (სამრეწველო კაპიტალის უღელქვეშ მოსაქცევად?)... და მომავალი კოლექტიური სამიწათმოქმედო წარმოების მოსამზადებლად». ამ ორ პუნქტში, ისე როგორც მზე წყლის პატარა წვეთში, ასახულია თანამედროვე «სოციალ-რევოლუციონარიზმის» მთელი დედაარსი. თეორიაში — რევოლუციური ფრაზა შეხედულებათა მოფიქრებული და მთლიანი სისტემის ნაცვლად, პრაქტიკაში — უმწეოდ ხელის ტაცება ამა თუ იმ მოდური პაწაწა საშუალებისათვის კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობის ნაცვლად, — აი მთელი მისი ავლადიდება. უნდა გამოვტყდეთ, რომ პროგრამა-მ ი ნ ი მ უ მ-შ ი მიწის სოციალიზაციისა და კოოპერაციების ერთიმეორის გ ვ ე რ დ ი თ დაყენებისათვის საჭიროა იშვიათი მოქალაქობრივი გამბედაობა. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი, ერთი მხრივ, ეს არის — ბაბეფი, მეორე მხრივ — ბ-ნი ლევიტსკი[19]. ეს შეუდარებელია.

ამ პროგრამისადმი სერიოზული მოპყრობა რომ შეიძლებოდეს, ჩვენ ვიტყოდით, რომ სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც თავს იტყუებენ სიტყვების ხმაურით, ატყუებენ გლეხსაც. სიცრუეა, თითქოს «ყოველგვარი კოოპერაციები» რევოლუციურ როლს ასრულებენ თანამედროვე საზოგადოებაში და ამზადებენ კოლექტივიზმს, და არა სოფლის ბურჟუაზიის განმტკიცებას. სიცრუეა, თითქოს «გლეხობას» «მინიმუმად», ისევე ახლობელ რამედ, როგორიცაა კოოპერაცია, შეიძლებოდეს დავუსახოთ მიწის სოციალიზაცია. ყოველი სოციალისტი განუმარტავდა ჩვენს სოციალისტ-რევოლუციონერებს, რომ მიწის კერძო საკუთრების მოსპობა ახლა შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო შესავალი საკუთრების მოსპობისა საზოგადოდ, რომ მარტო გადაცემა მიწისა «მშრომელთა სარგებლობაში» ჯერ კიდევ არ დააკმაყოფილებდა პროლეტარიატს, რადგან გაჩანაგებულ გლეხთა მილიონებსა და ათეულ მილიონებს უკვე აღარ შეუძლიათ გაუძღვნენ მეურნეობას მიწაზე, კიდეც რომ ჰქონდეთ ეს მიწა. ხოლო ამ გაჩანაგებული მილიონების იარაღით, პირუტყვითა და სხვით მომარაგება უკვე წარმოების ყველა საშუალების სოციალიზაცია იქნებოდა და იგი მოითხოვდა პროლეტარიატის სოციალისტურ რევოლუციას და არა გლეხთა მოძრაობას ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ. სოციალისტ-რევოლუციონერები ერთმანეთში ურევენ მიწის სოციალიზაციას და მის ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციას. ეს უკანასკნელი შესაძლებელია, აბსტრაქტულად რომ ვთქვათ, კაპიტალიზმის ბაზისზეც, დაქირავებული შრომის მოუსპობლად. მაგრამ სწორედ იმაზე სოციალისტ-რევოლუციონერთა მაგალითი თვალსაჩინოდ ნათელყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის წამოყენება პოლიციურ სახელმწიფოში ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის ერთადერთი რევოლუციური პრინციპის დაჩრდილვას და ყოველგვარი კაზიონურობის წისქვილზე წყლის მიშვებას.

ეს კიდევ ცოტაა, სოციალისტ-რევოლუციონერები ნამდვილ რეაქციულობამდეც მიდიან, როდესაც ილაშქრებენ

ჩვენი პროგრამის პროექტის შემდეგი მოთხოვნის წინააღმდეგ: «გაუქმდეს ყველა ის კანონი, რომლებიც ზღუდავენ გლეხს — იყოს თავისი მიწის განმკარგულებელი». «თემური საწყისის» და «გამთანაბრებელი პრინციპის» ნაროდნიკული ცრურწმენის გამო ისინი უარს ეუბნებიან გლეხს ისეთ «უაღრესად ელემენტარულ მოქალაქობრივ უფლებაზე», როგორიცაა საკუთარი მიწის განკარგულების უფლება, ისინი უდარდელად არიდებენ თვალს ნამდვილი თემის წოდებრივ კარჩაკეტილობას, ისინი ხდებიან იმ პოლიციურ აკრძალვათა დამცველნი, რომლებსაც... საერობო უფროსთა «სახელმწიფო» აწესებს და იცავს! ჩვენ ვფიქრობთ, რომ არათუ ბ-ნ ლევიტსკის, არამედ ბ-ნ პობედონოსცევსაც არც თუ ძალიან შეაშინებს მოთხოვნა მიწის სოციალიზაციისა მისი გამთანაბრებელი სარგებლობისათვის, რაკი ეს მოთხოვნა წამოყენებულია როგორც მინიმუმი, რომლის გვერდითაც არის კოოპერაციებიც და იმის დაცვაც, რომ გლეხი პოლიციური წესით მიმაგრებულ იქნას მის უზრუნველმყოფელ სახაზინო ნაკვეთზე.

დაე, სოციალისტ-რევოლუციონერთა აგრარული პროგრამა იყოს გაკვეთილი და გაფრთხილება ყველა სოციალისტისათვის, თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რა მოსდევს შედეგად უიდეურობასა და უპრინციპობას, რასაც ზოგიერთი მსუბუქი ადამიანი დოგმისაგან თავისუფლებას უწოდებს. როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, სოციალისტ-რევოლუციონერებს არ აღმოაჩნდათ არც ერთი პირობა იმ სამი პირობიდან, რომლებიც აუცილებელია თანამიმდევარი სოციალისტური პროგრამის წამოსაყენებლად: არც ნათელი იდეა საბოლოო მიზნისა, არც იმ გზის სწორი გაგება, რომელსაც ამ მიზნისაკენ მივყავართ, არც ზუსტი წარმოდგენა ახლანდელ მომენტში საქმის ნამდვილი ვითარებისა და ამ მომენტის უახლოესი ამოცანებისა. სოციალიზმის საბოლოო მიზანი მათ მხოლოდ დააბნელეს, რაკი ერთმანეთში არიეს მიწის სოციალიზაცია და მისი ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია, რაკი ერთმანეთში არიეს წვრილი გამთანაბრებელი მიწათ-

სარგებლობის პრიმიტიული გლეხური იდეა და თანამედროვე სოციალიზმის მოძღვრება წარმოების ყველა საშუალების საზოგადოებრივ საკუთრებად გადასვლისა და სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის შესახებ. მათს წარმოდგენას იმ გზაზე, რომელსაც სოციალიზმისაკენ მივყავართ, საუცხოოდ ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის შეცვლა კოოპერაციების განვითარებით. რუსეთის აგრარული ევოლუციის ახლანდელი მომენტის შეფასებისას მათ დაავიწყდათ წვრილმანი: ბატონყმობის ნაშთები, რომლებიც სულს უხუთავენ ჩვენს სოფელს. ცნობილ სამებას, რომელიც მათს თეორიულ შეხედულებებს გამოხატავდა, — ინტელიგენციას, პროლეტარიატსა და გლეხობას — დაემატა არანაკლებ ღირსშესანიშნავი «პროგრამული» სამება: მიწის სოციალიზაცია — კოოპერაციები — მიწის ნაკვეთზე მიმაგრება.

შეადარეთ ამას «ისკრის» პროგრამა, რომელიც მთელ მებრძოლ პროლეტარიატს მიუთითებს ერთიან საბოლოო მიზანზე, ისე რომ არ დაჰყავს ეს მიზანი «მინიმუმამდე», არ ამდაბლებს მას პროლეტარიატის ზოგიერთი განუვითარებელი ფენის ან წვრილი მწარმოებლების იდეებთან შეგუების გულისათვის. ამ მიზნის მისაღწევი გზა ერთია ქალაქადაც და სოფლადაც — ესაა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ ამ კლასობრივი ბრძოლის გარდა ჩვენს სოფელში კვლავ გრძელდება სხვაგვარი ბრძოლაც: მთელი გლეხობის ბრძოლა ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ. და ამ ბრძოლაში პროლეტარიატის პარტია თავის დახმარებას აღუთქვამს მთელ გლეხობას, ცდილობს უჩვენოს ნამდვილი მიზანი მის რევოლუციურ აღტყინებას, წარმართოს გლეხობის აჯანყება მისი ნამდვილი მტრის წინააღმდეგ, ამასთან პროლეტარიატის პარტია უპატიოსნოდ და არასაკადრისად სთვლის ისე მოეპყრას გლეხს, როგორც მეურვეობის ქვეშ მყოფს, დაუმალოს გლეხს, რომ მას ამჟა-

მად და დაუყოვნებლივ შეუძლია მიაღწიოს მხოლოდ ბატონ-ყმობის ყველა კვალისა და ნაშთის სრულ გაუქმებას, მიაღ-წიოს მხოლოდ გზის გაწმენდას მთელი პროლეტარიატის უფრო ფართო და უფრო ძნელი ბრძოლისათვის მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ.

«ისკრა» № 23, 1902 წ. 1 აგვისტო, და № 24, 1 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# წერილი მოსკოვის კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღეთ თქვენი წერილი, რომელშიც მადლობას უხდით ბროშურის «რა ვაკეთოთ?» ავტორს და რომელიც შეიცავს დადგენილებასაც «ისკრის» სასარგებლოდ 20%-ის გადარიცხვის შესახებ. ჩემის მხრივ მხურვალე მადლობას მოგახსენებთ თანაგრძნობისა და სოლიდარობის გამოთქმისათვის. არალეგალური მწერლისათვის ეს მით უფრო ძვირფასია, რომ მას მუშაობა უხდება მკითხველისაგან უჩვეულო დაშორების პირობებში. აზრთა ყოველ გაზიარებას, ყოველ ცნობას იმ შთაბეჭდილების შესახებ, რასაც ესა თუ ის სტატია ან ბროშურა ახდენს მკითხველთა სხვადასხვა ფენაზე, ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, და ჩვენ ფრიად მადლობელნი ვიქნებით, თუ მოგვწერენ ხოლმე არა მარტო საქმეებზე ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არა მარტო პრესისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ მწერალი მკითხველისაგან მოწყვეტილად არ გრძნობდეს თავს.

«ისკრის» 22-ე ნომერში გამოვაქვეყნეთ თქვენი დადგენილება «ისკრისათვის» 20%-ის გადარიცხვის შესახებ. ლენინისადმი თქვენი მადლობის გამოქვეყნება კი ვერ გადავწყვიტეთ, რადგან, ჯერ ერთი, თქვენ ეს მადლობა ცალკე გქონდათ გამოყოფილი და არ იყო გამოთქმული იმის სურვილი, რომ პრესაში გეხილათ იგი. მეორეც, ამ მადლობის ფორმაც თითქოს ვერ გამოდგებოდა პრესისათვის. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ჩვენთვის მნიშვნელობა არა ჰქონდეს კომიტეტების განცხადებათა გამოქვეყნებას ამა თუ იმ შეხე-

დულებასთან მათი სოლიდარობის შესახებ. პირიქით, სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ ყველანი ვფიქრობთ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შეერთებაზე, ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ მოსკოვის კომიტეტმა თავისი სოლიდარობა ჩემი წიგნისადმი ჩამოაყალიბოს განცხადების ფორმით, რომელიც დაუყოვნებლივ გამოქვეყნდებოდა «ისკრაში». დიდი ხანია დროა, რომ კომიტეტები აშკარად აცხადებდნენ თავის პარტიულ პოზიციას, რომ მათ უარჰყონ ჩუმი თანხმობის ის ტაქტიკა, რომელიც სჭარბობდა «მე-3 პერიოდში». ეს არის ზოგადი მოსაზრება აშკარა განცხადების სასარგებლოდ. კერძოდ კი მე, მაგ., ბრალს მდებდნენ პრესის საშუალებით («ბორბას» ჯგუფი თავის «ფურცელში»), თითქოს მსურდეს «ისკრის» რედაქცია გადავაქციო რუსეთის ცენტრალურ კომიტეტად, «ვბრძანებლობდე» «აგენტებს» და სხვ. ეს აშკარა დამახინჯებაა იმისა, რაც ნათქვამია «რა ვაკეთოთ?»-ში, მაგრამ მე ხალისი არა მაქვს კიდევ და კიდევ ვბეჭდო: «თქვენ ამახინჯებთ». მე ვფიქრობ, რომ უნდა ალაპარაკდნენ რუსეთში მომუშავე ის პრაქტიკოსები, რომლებმაც ზედმიწევნით იციან, რომ «ისკრის» «ბრძანებლობა» რჩევა-დარიგებაზე და თავისი აზრის გამოთქმაზე შორს არ მიდის, და რომლებიც ხედავენ, რომ «რა ვაკეთოთ?»-ში გადმოცემული ორგანიზაციული იდეები გამოხატავენ დღევანდელი დღის საჭირბოროტო საკითხს, ნამდვილი მოძრაობის მტკივნეულ საკითხს. მე ვფიქრობ, რომ ამ პრაქტიკოსებმა თვითონ უნდა მოითხოვონ სიტყვა და ხმამაღლა განაცხადონ, თუ როგორ უყურებენ ისინი საკითხს, როგორ მიდიან ისინი თავისი მუშაობის გამოცდილებით ჩვენთან სოლიდარულ შეხედულებებამდე ორგანიზაციული ამოცანების შესახებ.

თქვენი მადლობა ბროშურისათვის «რა ვაკეთოთ?» ჩვენ გავიგეთ და, ცხადია, უნდა გაგვეგო მხოლოდ იმ აზრით, რომ ამ წიგნში ჰპოვეთ თქვენი საკუთარი კითხვების პასუხი, რომ თქვენ თვითონ მოძრაობის უშუალო ცოდნი-

დან გამოიტანეთ ის რწმენა, რომ აუცილებელია უფრო გაბედული, უფრო დიდი, უფრო გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ ი, უფრო ცენტრალიზებული, ერთი საგაზეთო ცენტრის ირგვლივ უფრო შემჭიდროებული მუშაობა, — რწმენა, რომელიც ჩამოყალიბებულია ამ წიგნშიც. და რაკი ეს ასეა, რაკი თქვენ ნამდვილად. მიხვედით ასეთ რწმენამდე, — სასურველია, რათა კომიტეტმა აშკარად და ხმამაღლა განაცხადოს ეს და მოუწოდოს სხვა კომიტეტებსაც მასთან ერთად იმუშაონ იმავე მიმართულებით, ხელი ჩასჭიდონ. იმავე «ძაფს», დაისახონ იგივე უახლოესი ორგანიზაციულ-პარტიული მიზნები.

ჩვენ იმედი გვაქვს, ამხანაგებო, რომ თქვენ შესაძლებლად დაინახავთ წაიკითხოთ ეს წერილი მთელი კომიტეტის საერთო კრებაზე და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება დასახული საკითხების შესახებ. (ფრჩხილებში დავძენ, რომ პეტერბურგის კომიტეტმაც გამოგვიგზავნა სოლიდარობის გამოთქმა და ახლა ის ასეთსავე განცხადებაზე ფიქრობს.)

საკმაოდ გქონდათ თუ არა თქვენ «რა ვაკეთოთ?»? წაიკითხეს თუ არა მუშებმა და როგორ შეხვდნენ მას?

მაგრად ვართმევ ხელს ყველა ამხანაგს და ვუსურვებ მათ სრულ წარმატებას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1902 წ. 11 (24) აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1922 წელს
ვ. ნ. ლენინსკის წიგნში «მოსახვევზე»

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# ბროშურის—«რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანების» მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

სრული ხუთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწერა წინამდებარე ბროშურა, რომელიც ახლა მეორე გამოცემად გამოდის აგიტაციის საჭიროებათა გამო. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენმა ნორჩმა მუშათა მოძრაობამ ისეთი უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ, ისეთი ღრმა ცვლილებანი მოხდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მდგომარეობასა და მის ძალებში, რომ შესაძლოა უცნაურადაც კი მოგვეჩვენოს, რატომ დადგა ძველი ბროშურის უბრალო გადაბეჭდვის საჭიროება. ნუთუ «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» სრულიად არ შეცვლილა 1902 წელს 1897 წელთან შედარებით? ნუთუ ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ თვით ავტორის შეხედულებანი ამ საკითხზე, რომელიც მაშინ აჯამებდა თავისი პარტიული მოღვაწეობის ჯერ კიდევ მხოლოდ «პირველ გამოცდილებას»?

ასეთი (ან ამდაგვარი) კითხვები, ალბათ, დაებადება არა ერთსა და ორ მკითხველს, და ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ უნდა მივმართოთ ბროშურას «რა ვაკეთოთ?» და შევავსოთ ზოგი რამ იქ ნათქვამი. მივმართოთ — რათა აღვნიშნოთ ავტორის შეხედულებანი სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე ამოცანებზე: შევავსოთ იქ ნათქვამი (გვ. 31 — 32, 121, 138) * იმის შესახებ, თუ რა პირობებში დაიწერა ამჟამად ხელახლა გამოცემული ბროშურა და როგორია მისი დამოკიდებულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის განვითარების განსაკუთრებული «პერიოდისადმი».

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 485 — 487, 632, 659. რ ე დ.

საერთოდ ასეთი პერიოდი აღნიშნულ ბროშურაში («რა ვაკეთოთ?») ოთხი მაქვს დასახელებული, ამასთან უკანასკნელი პერიოდი ეხება «აწმყოს, ნაწილობრივ — მომავალს», მესამე პერიოდად წოდებულია «ეკონომიური» მიმართულების ბატონობა (ან, ყოველ შემთხვევაში, ფართოდ გავრცელება), დაწყებული 1897 — 1898 წლიდან, მეორე პერიოდად წოდებულია 1894 — 1898 წლები და პირველ პერიოდად — 1884 — 1894 წლები. მეორე პერიოდში, მესამე პერიოდისაგან განსხვავებით, ჩვენ ვერ ვხედავთ აზრთა სხვადასხვაობას თვით სოციალ-დემოკრატების წრეში. მაშინ სოციალ-დემოკრატია იდეურად ერთიანი იყო, და მაშინვე იყო ცდა, რომ მიღწეული ყოფილიყო აგრეთვე პრაქტიკული, ორგანიზაციული ერთიანობა (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დაარსება). სოციალ-დემოკრატების მთავარი ყურადღება მაშინ მიმართული იყო არა ამა თუ იმ შინაური პარტიული საკითხის გამორკვევისა და გადაწყვეტისაკენ (როგორც მესამე პერიოდში), არამედ სოციალ-დემოკრატიის მოწინააღმდეგეებთან იდეური ბრძოლისაკენ, ერთი მხრივ, და პრაქტიკული პარტიული მუშაობის განვითარებისაკენ, — მეორე მხრივ.

სოციალ-დემოკრატების თეორიასა და პრაქტიკას შორის არ იყო ის ანტაგონიზმი, რომელიც არსებობდა «ეკონომიზმის» ეპოქაში.

წინამდებარე ბროშურა ასახავს სოციალ-დემოკრატიის სწორედ მაშინდელი მდგომარეობისა და მაშინდელი «ამოცანების» თავისებურებებს. ბროშურა მოუწოდებს პრაქტიკული მუშაობის გაღრმავებისა და გაფართოებისაკენ და საამისოდ არავითარ «ღაბრკოლებას» არ ხედავს რაიმე საერთო შეხედულებათა, პრინციპთა და თეორიათა გაურკვევლობაში, არ ხედავს (მაშინ არარსებულ) სიძნელეს პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის შეხამებაში. ბროშურა თავისი პრინციპული ახსნა-განმარტებით მიმართავს სოციალ-დემოკრატიის მოწინააღმდეგეებს, ნაროდოვოლცებსა და ნაროდოპრავცებს, ცდილობს გაჰფანტოს ის გაუგებრობანი და ყალბი

შეხედულებანი, რომლებიც აიძულებენ მათ განზე გაუდგნენ ახალ მოძრაობას.

და აი ამჟამად, როდესაც «ეკონომიზმის» პერიოდი, როგორც ეტყობა, დასასრულს უახლოვდება, სოციალ-დემოკრატების პოზიცია კვლავ იმ პოზიციას ემსგავსება, რომელიც ამ ხუთი წლის წინათ იყო. ცხადია, ჩვენს წინაშე ახლა მდგარი ამოცანები განუზომლად უფრო რთულია ამ ხნის განმავლობაში მოძრაობის გიგანტური ზრდის შესაბამისად, — მაგრამ ახლანდელი მომენტის ძირითადი თავისებურებანი აღადგენენ, უფრო ფართო ბაზისზე და უფრო დიდი მასშტაბით, «მეორე» პერიოდის თავისებურებებს. ეკონომიზმის გაქრობასთან ერთად ჰქრება 'მეუფარდებლობაც ჩვენს თეორიასა, პროგრამასა, ტაქტიკურ ამოცანებსა და პრაქტიკას 'შორის. ჩვენ კვლავ შეგვიძლია თამამად მოვუწოდოთ და უნდა მოვუწოდოთ პრაქტიკული მუშაობის გაღრმავებისა და გაფართოებისაკენ, რადგან ამ მუშაობის თეორიული წანამძღვრები უკვე საგრძნობლად გაწმენდილია. ჩვენ კვლავ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ რუსეთში არსებულ 'არა სოციალ-დემოკრატიულ არალეგალურ მიმართულებებს, ამასთან ჩვენს წინაშე, არსებითად, კვლავ იგივე მიმართულებანია, რომელნიც იყვნენ გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ოღონდ უფრო განვითარებულნი, ჩამოყალიბებულნი, «მომწიფებულნი».

ნაროდოვოლცები თავისი ძველი სამოსელის გახდის პროცესში «სოციალისტ-რევოლუციონერებად» იქცნენ, და უკვე ამ სახელწოდებით თითქოს გვიჩვენებენ, რომ ისინი შუა გზაზე გაჩერებულან. ძველს («რუსულ» სოციალიზმს) ისინი ჩამოშორდნენ, ახალს კი (სოციალ-დემოკრატიას) არ მიჰკედლებიან. რევოლუციური სოციალიზმის ერთადერთ თეორიას, როგორსაც კი თანამედროვე კაცობრიობა იცნობს, ე. ი. მარქსიზმს, ისინი არქივში აბარებენ ბურჟუაზიული («სოციალისტები»!) და ოპორტუნისტული (= «რევოლუციონერები»!) კრიტიკის საფუძველზე. უიდეობასა და უპრინციპობას ისინი პრაქტიკაში მიჰყავს «რევოლუციური ავანტიურიზ-

მისაკენ», რაც გამოიხატება მათი მისწრაფებითაც ერთ რიგში დააყენონ ისეთი სოციალური ფენები და კლასები, როგორიც არიან ინტელიგენცია, პროლეტარიატი და გლეხობა, მათ მიერ «სისტემატური» ტერორის მყვირალა ქადაგებითაც, მათი შესანიშნავი აგრარული პროგრამა-მინიმუმითაც (მიწის სოციალიზაცია — კოოპერაციები, მიწის ნაკვეთზე მიმაგრება. იხ. «ისკრა» №№ 23 და 24 *), მათი დამოკიდებულებითაც ლიბერალებთან (იხ. «რევ. როსს». № 9 და ბ-ნ ჟიტლოვსკის რეცენზია «ოსვობოჟდენიეზე» «Socialistische Monatshefte»-ს მე-9 ნომერში [50]) და ბევრი სხვა რამითაც, რაზედაც ჩვენ, ალბათ, კიდევ არა ერთხელ მოგვიხდება ლაპარაკი. რუსეთში ჯერ კიდევ ისე ბლომად არიან ისეთი სოციალური ელემენტები და პირობები, რომლებიც ასაზრდოებენ ინტელიგენტურ მერყეობას, იწვევენ რადიკალურად განწყობილ პიროვნებებში სურვილს — ერთმანეთს შეახამონ დრომოჭმული ძველი და უსიცოცხლო ახალმოდური და ხელს უშლიან მათ თავისი საქმე შეაერთონ კლასობრივი ბრძოლის მწარმოებელ პროლეტარიატთან, — რომ რუსეთის სოციალდემოკრატიას ჯერ კიდევ მოუხდება ანგარიში გაუწიოს «სოციალ-რევოლუციური» მიმართულების მსგავს მიმართულებას ან მიმართულებებს, ვიდრე კაპიტალისტური ევოლუცია და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება ყოველგვარ ნიადაგს არ გამოაცლის მათ.

ნაროდოპრავცები, რომლებსაც 1897 წელს ახლანდელ სოციალისტ-რევოლუციონერებზე ნაკლები გაურკვევლობა არ ახასიათებდათ (იხ. ქვემოთ, გვ. 20 — 22) **, ამის გამო ძალიან მალე ჩამოშორდნენ სცენას. მაგრამ მათი «ფხიზელი» იდეა — სრულიად გამოეყოთ პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა სოციალიზმისაგან — არ მომკვდარა და ვერც მოკვდებოდა, რადგან რუსეთში ფრიად ძლიერნი არიან და სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობანი მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 225 — 253. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-2, გვ. 423 — 425. რ ე დ.

სულ სხვადასხვანაირ ფენებში. ამიტომ ნაროდოპრავცების კანონიერ მემკვიდრედ, მათ გარკვეულ, თანამიმდევარ, მომწიფებულ განმგრძობად მოგვევლინა ლიბერალური «ოსვობოჟდენიე» [51], რომელსაც სურს გარს შემოიკრიბოს რუსეთის ბურჟუაზიული ოპოზიციის წარმომადგენლები. და რამდენადაც გარდუვალია გადაშენება და გაქრობა ძველი, რეფორმამდელი რუსეთისა, პატრიარქალური გლეხობისა, ძველი ტიპის ინტელიგენციისა, რომელსაც შეუძლია ერთნაირად გატაცებული იყოს თემითაც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებითაც და «უჩინარი» ტერორითაც, — იმდენადვე გარდუვალია ზრდა და მომწიფება კაპიტალისტური რუსეთის მქონებელი კლასებისა, ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიისა, — მათი ფხიზელი ლიბერალიზმით, რომელიც იწყებს იმის შეგნებას, რომ სახეირო არ არის კმაყოფაზე გყავდეს ჩლუნგი, ველური, ძვირადღირებული და აბსოლუტური მთავრობა, რომელიც ოდნავადაც ვერ იცავს მათ სოციალიზმისაგან, — ეს კლასები მოითხოვენ კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ბატონობის ევროპულ ფორმებს, მათ თანდაყოლილი აქვთ (პროლეტარიატის გამოღვიძებისა და ზრდის ეპოქაში) მისწრაფება — თავისი ბურჟუაზიული კლასობრივი ინტერესები დაფარონ საერთოდ კლასობრივი ბრძოლის უარყოფით.

ამიტომ ჩვენ საფუძველი გვაქვს მადლობა გადავუხადოთ ბატონ ლიბერალ მემამულეებს, რომლებიც ცდილობენ დააარსონ «საერობო კონსტიტუციური პარტია». ჯერ ერთი, — დავიწყოთ ყველაზე უმნიშვნელოთი, — ჩვენ მადლობას ვეტყვით მათ იმისათვის, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას მოაშორეს ბ-ნი სტრუვე, რომელსაც კვაზი-მარქსისტიდან საბოლოოდ აქცევენ ლიბერალად, და გვეხმარებიან ცოცხალი მაგალითით ნათელვყოთ ყველას და თვითეულის წინაშე საერთოდ ბერნშტეინელობისა და განსაკუთრებით რუსული ბერნშტეინელობის ნამდვილი მნიშვნელობა. მეორეც, ცდილობს რა რუსეთის ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენები შეგნებულ-ლიბერალურ ფენებად გახადოს, «ოსვობოჟ-

დენიე» ამით დაგვეხმარება უფრო დაჩქარებით გადავაქციოთ შეგნებულ სოციალისტებად მუშათა სულ უფრო და უფრო მეტი მასა. ჩვენში ისე ბლომად იყო და არის უსახური, ლიბერალურ-ნაროდნიკული კვაზი-სოციალიზმი, რომ მასთან შედარებით ახალი ლიბერალური მიმართულება აშკარად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ასე უფრო ადვილი იქნება ახლა ნათლად დავანახოთ მუშებს რუსეთის ლიბერალური და დემოკრატიული ბურჟუაზია, განვუმარტოთ მათ აუცილებლობა დამოუკიდებელი მუშათა პოლიტიკური პარტიისა, რომელიც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიასთან ერთ მთელს წარმოადგენს; — ასე უფრო მარტივი იქნება ახლა მოვუწოდოთ ინტელიგენტებს გადაჭრით გაარკვიონ თავიანთი პოზიცია: ლიბერალიზმი თუ სოციალ-დემოკრატია; — ასე უფრო სწრაფად დაფშვნის ამ ორი მზარდი და უფრო და უფრო გაძლიერებული «ანტიპოდის» დოლაბი ორჭოფულ თეორიებსა და მიმართულებებს. მესამეც, — და ეს, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანია, — ლიბერალებს მადლობას ვეტყვით, თუ ისინი თავიანთი ოპოზიციით შეარყევენ თვითმპყრობელობის კავშირს ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ზოგიერთ ფენასთან. ვამბობთ «თუ», რადგან თვითმპყრობელობასთან თავისი კეკლუცობით, მშვიდობიანი კულტურული მუშაობის თავისი ქება-დიდებით, თავისი ომით «ტენდენციურ» რევოლუციონერთა წინააღმდეგ და სხვ., ლიბერალები იმდენად თვითმპყრობელობას არ არყევენ, რამდენადაც ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. განუხრელად და შეურიგებლად ვამხელთ რა ლიბერალების ყოველგვარ ორჭოფობას, მთავრობასთან მათი ლაქუცის ყოველგვარ ცდას, ჩვენ ამით დავაუძლურებთ კიდეც ბატონი ლიბერალური ბურჟუების პოლიტიკური მოღვაწეობის ამ გამცემლურ მხარეს, ჩვენ ამით დამბლას დავცემთ მათს მარცხენას და უზრუნველვყოფთ მათი მარჯვენის მუშაობის ყველაზე მეტ შედეგებს.

ამრიგად, ნაროდოვოლცებმაც და ნაროდოპრავცებმაც ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგეს წინ თავიანთ ნამდვილ მისწ-

რაფებათა და თავიანთი ნამდვილი ბუნების განვითარებისა, გარკვევისა და ჩამოყალიბების მხრივ. ის ბრძოლა, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში წარმოადგენდა რევოლუციური ახალგაზრდობის პატარა წრეების ურთიერთ ბრძოლას, ამჟამად ახლდება როგორც მომწიფებულ პოლიტიკურ მიმართულებათა და ნამდვილ პოლიტიკურ პარტიათა გადამწყვეტი ბრძოლა.

ამიტომ, «ამოცანების» ხელახალი გამოცემა შეიძლება უსარგებლო არ იყოს იმ მხრივაც, რომ პარტიის ახალგაზრდა წევრებს გაახსენებს ამ პარტიის ახლო წარსულს, დაანახვებს სოციალ-დემოკრატების იმ მდგომარეობის შექმნას სხვა მიმართულებათა შორის, რომელიც სავსებით მხოლოდ ახლა განისაზღვრა, დაეხმარება უფრო ნათლად და უფრო მკაფიოდ წარმოიდგინონ თანამედროვე მომენტის არსებითად ერთგვაროვანი, მაგრამ უფრო რთული «ამოცანები».

სოციალ-დემოკრატიის წინაშე ახლა განსაკუთრებული ძალით დგება ამოცანა — ბოლო მოუღოს ყოველგვარ დაქსაქსულობასა და ქანაობას თავის წრეში, მჭიდროდ შეკავშირდეს და ორგანიზაციულად შედუღდეს რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ, — მთელი ღონისძიება მიმართოს პრაქტიკულად მომუშავე ყველა სოციალ-დემოკრატის გაერთიანებისაკენ, მათი საქმიანობის გაღრმავებისა და გაფართოებისაკენ, ხოლო ამასთან ერთად სერიოზული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ინტელიგენტთა და მუშათა რაც შეიძლება ფართო მასას განუმარტოს ჭეშმარიტი მნიშვნელობა ზემოაღნიშნული ორი მიმართულებისა, რომლებისთვისაც სოციალ-დემოკრატიას უკვე დიდი ხანია ანგარიშის გაწევა უხდება.

1902 წ. აგვისტო

პირველად დაიბეჭდა 1902 წ. დეკემბერს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მიერ გამოცემულ ბროშურაში

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

# გაფიცვების ახალი კანონის პროექტი

ჩვენ მოგვივიდა ახალი საიდუმლო დოკუმენტი: ფინანსთა სამინისტროს ბარათი «კანონის იმ მუხლთა გადასინჯვის შესახებ, რომლებითაც ისჯება გაფიცვები და დაქირავების ხელშეკრულებათა ვადამდე დარღვევა, და თვითდახმარების მიზნით მუშათა ორგანიზაციების დაწესების სასურველობის შესახებ». რადგან ეს ბარათი ვრცელია და აუცილებელია გავაცნოთ მას მუშათა კლასის რაც შეიძლება ფართო ფენები, ჩვენ მას ცალკე ბროშურად ვცემთ [52]. ახლა კი მოკლედ გადმოვცემთ ამ საინტერესო დოკუმენტის შინაარსს და აღვნიშნავთ მის მნიშვნელობას.

ბარათი იწყება ჩვენი საფაბრიკო კანონმდებლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვით, 1886 წ. 3 ივნისის, 1897 წ. 2 ივნისის კანონებზე [53] მითითებით და შემდეგ გადადის სამუშაოდან წასვლისათვის და გაფიცვებისათვის სისხლის სამართლის წესით დასჯის გაუქმების საკითხზე. ფინანსთა სამინისტრო ფიქრობს, რომ მიზანს ვერ აღწევს დაპატიმრებითა და საპყრობილით დამუქრება იმ შემთხვევებში, როცა სამუშაოდან თვითნებურად მიდის ერთი მუშა ან როცა მუშაობა წყდება მრავალი მუშის ურთიერთ შეთანხმებით. როგორც გამოცდილებამ ცხადჰყო, ეს ვერ უზრუნველჰყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; ეს მუქარა მხოლოდ აბოროტებს მუშებს და არწმუნებს მათ, რომ კანონი უსამართლოა. ამ კანონების გამოყენება ძალიან ძნელია, «რადგან მეტისმეტად გვტვირთავს ასობით და ზოგჯერ ათასობით საქმის აღძვრა» თვითეული მუშის წასვლის შესახებ, აგრეთვე იმის

გამო, რომ მეფაბრიკისათვის ხელსაყრელი არ არის უმუშებოდ დარჩეს, თუკი იმათ გაფიცვისათვის საპყრობილეში ჩასვამენ. გაფიცვის დანაშაულობად აღიარება იწვევს პოლიციის მეტისმეტად გულმოდგინე ჩარევას, რასაც ვნება მეტი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა, უფრო მეტი სიძნელე და დავიდარაბა მოაქვს მეფაბრიკეთათვის, ვიდრე საქმის შემსუბუქება. ბარათი წინადადებას იძლევა სრულიად გაუქმდეს ყოველგვარი სასჯელი ფაბრიკიდან ცალკეული მუშის თვითნებურად წასვლისათვის და მშვიდობიანი გაფიცვისათვის (რომელსაც თან არ მოსდევს არც ძალადობა, არც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და სხვ.). სასჯელი უნდა დაწესდეს, უცხოეთის კანონების მსგავსად, მხოლოდ «ძალადობისათვის, მუქარისათვის, ან ს ა ხ ე ლ ი ს შ ე რ ც ხ ვ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს (!), რასაც ჩაიდენს სამუშაოს რომელიმე მიმცემი ან მუშა სხვისი პიროვნების ან ქონების მიმართ და რასაც მიზნად ექნება, ამ სხვა პიროვნების თავისუფალ და კანონიერ ზრახვათა წინააღმდეგ, აიძულოს იგი ან ხელი შეუშალოს მას» — იმუშაოს ამა თუ იმ პირობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაფიცვების გამო სისხლის სამართლის წესით დასჯის ნაცვლად, განზრახულია სისხლის სამართლის წესით დასჯა იმ პირთა ხელის შეშლის გამო, ვისაც «მუშაობა სურს».

რაც შეეხება თვითდახმარების საზოგადოებებს, ფინანსთა სამინისტრო უჩივის ადმინისტრაციულ თვითნებობას ამ საქმეში (რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა მოსკოვში, სადაც მექანიკოსი მუშების საზოგადოებამ მუშებსა და ადმინისტრაციას შორის «შუამავლობის როლზედაც» კი განაცხადა პრეტენზიაო) და მოითხოვს საკანონმდებლო წესით გატარდეს ასეთ საზოგადოებათა ნორმალური წესდება და გაადვილდეს მათი მოწყობა.

ამრიგად, ფინანსთა სამინისტროს ახალი ბარათის საერთო ხასიათი, უეჭველია, ლიბერალურია, და მის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს წინადადება — გაუქმდეს გაფიცვისათვის სისხლის სამართლის წესით დასჯა. ჩვენ აქ არ გამო-

ვუდგებით მთელი «კანონპროექტის» შინაარსის დაწვრილებით გარჩევას (ეს უფრო მოსახერხებელი იქნება მას შემდეგ, როცა მთელი ბარათი დაიბეჭდება), არამედ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ამ ლიბერალიზმის ხასიათსა და მნიშვნელობაზე. წინადადება, რომ მუშებს მიენიჭოთ გაფიცვების ერთგვარი თავისუფლება და ორგანიზაციების თავისუფლება — ახალი რამ არ არის არათუ ჩვენს ლიბერალურ პუბლიცისტიკაში, არამედ ოფიციალურ, მთავრობის კომისიათა გეგმებშიც. 60-იანი წლების დამდეგს შტაკელბერგის კომისია, რომელმაც გადასინჯა საფაბრიკო და სახელოსნო წესდებანი, წინადადებას იძლეოდა შექმნილიყო სამრეწველო სასამართლოები მუშებისა და მეპატრონეების მიერ არჩეულ პირთაგან და მუშებს მისცემოდათ ორგანიზაციების განსაზღვრული თავისუფლება. 80-იან წლებში სისხლის სამართლის ახალი დებულების პროექტის შემდგენელ კომისიას განზრახვა ჰქონდა გაეუქმებინა გაფიცვისათვის სისხლის სამართლის წესით დასჯა. მაგრამ ფინანსთა სამინისტროს ახლანდელი პროექტი არსებითად განსხვავდება წინანდელი პროექტებისაგან, და ეს განსხვავება დროების ფრიად საგულისხმო ნიშნად დარჩება იმ შემთხვევაშიც კი, ახალი პროექტის წინადადებანიც მაუდქვეშ რომ დარჩეს ისევე, როგორც ყველა წინანდელი პროექტი დარჩა. არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ახალი პროექტი შეუდარებლად მეტი «საფუძვლიანობით» ხასიათდება: თქვენ მასში გრძნობთ არა მარტო ბურჟუაზიის მცირერიცხოვან თეორიულ მოწინავე პირთა და იდეოლოგთა ხმას, არამედ პრაქტიკოსმრეწველთა მთელი ფენის ხმასაც. ეს უკვე მარტო «ჰუმანურ» მოხელეთა და პროფესორთა ლიბერალიზმი კი არ არის, არამედ მოსკოველ ვაჭართა და მრეწველთა ჩვენებური, შინნასაზრდოები ლიბერალიზმია. ეს ფაქტი, გულახდილად ვიტყვი, უმაღლესი პატრიოტული სიამაყით აღავსებს ჩემს გულს: ვაჭრის სამკაპიკიანი ლიბერალიზმი გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მოხელის სამშაურიანი ლიბერალიზმი. და ბარათში ყველაზე საინტერესო არის არა გულის-

ამრევი მსჯელობა ხელშეკრულების თავისუფლებაზე და სახელმწიფოს სარგებლობაზე, არამედ მეფაბრიკეთა ის პრაქტიკული მოსაზრებანი, რომლებიც გამოსჭვივის ტრადიციულ-იურიდიულ არგუმენტაციაში.

მოთმინება აღარ არის! მოგვბეზრდა! ნუ ეჩრები! — აი რას ეუბნება რუსი მეფაბრიკე რუსეთის პოლიციას სამინისტროს ბარათის ავტორის პირით. მართლაცდა, მოისმინეთ შემდეგი მსჯელობა:

«პოლიციის ორგანოთა შეხედულებით, რომელსაც ხელს უწყობს მოქმედი კანონის გაურკვევლობა და აბნეულობა, ყოველი გაფიცვა განიხილება არა როგორც ბუნებრივი ეკონომიური მოვლენა, არამედ უეჭველად როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დარღვევა. ამავე დროს, ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობის შეწყვეტის ფაქტებს უფრო გულდამშვიდებით რომ ვუყურებდეთ და გაფიცვებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან არ ვაიგივებდეთ, გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა გამოგვერკვია ამ გაფიცვების ჭეშმარიტი მიზეზები, გამოგვეყო კანონიერი და სამართლიანი საბაბი უკანონო და უსაფუძვლო საბაბისაგან და მიგვეღო სათანადო ზომები მხარეთა მშვიდობიანი შეთანხმებისათვის. ამგვარი, უფრო ნორმალური წესების დროს აღკვეთისა და დათრგუნვის ზომები მხოლოდ მაშინ იქნებოდა მიღებული, როცა ჩვენს თვალწინ იქნებოდა არეულობის დამადასტურებელი ფაქტები». პოლიცია არ დაეძებს გაფიცვის მიზეზებს, არამედ მ ხ ო ლ ო დ მის შეწყვეტაზე ზრუნავს, ამასთან ორში ერთ-ერთ ხერხს ხმარობს: ან აიძულებს მუშებს (დაპატიმრებით, გადასახლებით და სხვა ზომებით «თვით სამხედრო ძალის გამოყენებამდე») შეუდგნენ მუშაობას, ან ურჩევს მეპატრონეებს დათმობაზე დათანხმებას. «არ შეიძლება ითქვას, რომ თუნდაც ერთ-ერთი ეს ხერხი გამოსადეგი იყოს» ბატონი მეფაბრიკეებისათვის: პირველი ხერხი «გაბოროტებას სთესს მუშებს შორის», მეორე — «მუშებში განამტკიცებს ფრიად მავნე რწმენას, რომ გაფიცვა უალრესად საიმედო საშუალებაა საკუთარი სურვილების შესრულე-

ბის მისაღწევად ყოველ შემთხვევაში». «უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მომხდარ გაფიცვათა ისტორია იმ ვნების მრავალ მაგალითს იძლევა, რომელიც შედეგია მისწრაფებისა — სწრაფად ჩაახშონ შექმნილი გართულებანი რადაც უნდა დაჯდეს. ნაჩქარევად მოხდენილი დაპატიმრებანი ზოგჯერ ისეთ გაბოროტებას იწვევდნენ მანამდე სრულიად მშვიდ მუშებში, რომ საჭირო ხდებოდა კაზაკების გამოყვანა, რის შემდეგაც, რასაკვირველია, ლაპარაკიც მეტი იყო გაფიცულთა თუნდაც კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. მეორე მხრივ, მეფაბრიკეებზე ზეგავლენის საშუალებით მუშათა უკანონო მოთხოვნების სწრაფი დაკმაყოფილების შემთხვევები უეჭველად იწვევდნენ ანალოგიურ გაფიცვებს სხვა სამრეწველო დაწესებულებებში, სადაც უკვე საჭირო ხდებოდა არა დათმობათა სისტემის, არამედ სამხედრო ძალის გამოყენება, რაც მუშებისათვის სრულიად გაუგებარია და ნერგავს მათში რწმენას, რომ ხელისუფლება თვითნებობს და უსამართლოდ ეპყრობა მათ...». პოლიციას როდისმე რომ დაეკმაყოფილებინოს მუშების უკანონო მოთხოვნებიც კი მეფაბრიკეებზე ზეგავლენის საშუალებით, ეს, რა თქმა უნდა, გადამლაშებაა ბატონი კაპიტალისტებისა, რომლებსაც იმის თქმა უნდათ, რომ გაფიცულებთან შევაჭრებით თვითონ ისინი ზოგჯერ უფრო ნაკლებს მისცემდნენ, ვიდრე უხდებათ ხოლმე მისცენ «სახელმწიფოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დარღვევის» მრისხანე აჩრდილის ზეგავლენით. ბარათი მათრახს გადაჭკრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც «ფინანსთა სამინისტროსთან შეუთანხმებლად გამოცემულ» (აი სად არის ძაღლის თავი ჩამარხული!) 1897 წ. 12 აგვისტოს ცირკულარში ბრძანებს მიმართონ ხოლმე დაპატიმრებასაც და გადასახლებასაც ყოველი გაფიცვის დროს და გაფიცვის საქმეები დაცვის წესით წარმართონ. «უმაღლესი ადმინისტრაციული ხელისუფალნი, — განაგრძობს ბარათი მეფაბრიკეთა ჩივილის გადმოცემას, — (კანონზე) უფრო შორს მიდიან და გაფიცვის ყ ვ ე ლ ა (კურსივი ორიგინალისაა) შემთხვევას პირდაპირ სახელმწიფოებრივ მნიშვნე-

ლობას აძლევენ... ამავე დროს კი, არსებითად რომ ითქვას, ყოველი გაფიცვა (რა თქმა უნდა, თუ მას თან არ სდევს ძალადობა) არის წმინდა ეკონომიური, საკუთრივ ბუნებრივი მოვლენა და სრულიადაც არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს. სიმშვიდის დაცვა ამ შემთხვევებში უნდა გამოიხატებოდეს ისეთი ფორმებით, როგორიც მიღებულია სახალხო სეირნობის, ზეიმის, სანახაობისა და მსგავსი შემთხვევების დროს».

ეს არის ენა ნამდვილი ლიბერალ-მანჩესტერელებისა[54], რომლებიც კაპიტალისა და შრომის ბრძოლას წმინდა ბუნებრივ მოვლენად აცხადებენ, შესანიშნავი გულახდილობით უთანაბრებენ ერთმანეთს «საქონლით ვაჭრობას» და «შრომით ვაჭრობას» (ბარათის სხვა ადგილას), მოითხოვენ სახელმწიფოს ჩაურევლობას და ამ სახელმწიფოს მიაკუთვნებენ ღამის (და დღის) დარაჯის როლს. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რუსი მეფაბრიკეები აიძულეს ამ ლიბერალურ თვალსაზრისზე დამდგარიყვნენ ჩვენმა მუშებმა, და არა სხვა ვინმემ. მუშათა მოძრაობა ისე ფართოდ გაიშალა, რომ გაფიცვა, მართლაც, «ბუნებრივი ეკონომიური მოვლენა» გახდა. მუშათა ბრძოლამ ისეთი შეუპოვარი ფორმები მიიღო, რომ ჩარევა პოლიციური სახელმწიფოს მხრივ, რომელიც კრძალავს ამ ბრძოლის ყოველგვარ გამოხატულებას, მართლაც მავნე შეიქმნა არა მარტო მუშებისათვის (მათთვის ამ ჩარევას არასოდეს ვნების გარდა სხვა არაფერი მოუტანია), არამედ თვით მეფაბრიკეებისთვისაც, რომელთა სასარგებლოდაც ხდებოდა ეს ჩარევა. მუშებმა პოლიციური აკრძალვანი ფაქტიურად უძლურნი გახადეს, — მაგრამ პოლიცია განაგრძობდა (და თვითმპყრობელურ სახელმწიფოში არც შეეძლო არ განეგრძო) ჩარევას და, რაკი გრძნობდა თავის უმწეობას, აქეთ-იქით ეხეთქებოდა: ხან სამხედრო ძალას, ხან დათმობას, ხან მხეცურად ანგარიშის გასწორებასა და ხან ლაქუცს მიმართავდა. რაც უფრო ნაკლები მნიშვნელობა ეძლეოდა პოლიციურ ჩარევას, მით უფრო მწვავედ გრძნობდნენ მეფაბრიკეები პოლიციის თ ვ ი თ ნ ე ბ ო ბ ა ს, მით უფრო იხრებოდნენ იმ რწმენისაკენ, რომ მათთვის ს ა ხ ე ი რ ო ა რ

არის მხარი დაუჭირონ ამ თვითნებობას. უფრო და უფრო მწვავდებოდა კონფლიქტი მსხვილ მრეწველთა განსაზღვრულ ნაწილსა და პოლიციურ ყოვლისშემძლეობას შორის, და ამ კონფლიქტმა განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო მოსკოვში, სადაც მუშებთან ლაქუცის სისტემა განსაკუთრებით გაიფურჩქნა. ბარათი პირდაპირ ჩივის მოსკოვის ადმინისტრაციაზე, რომელმაც დაიწყო სახიფათო თამაში მუშებთან გასაუბრების სახით და მექანიკური წარმოების მუშათა თვითდახმარების საზოგადოებასთან ლაქუცი. მუშების გადასაბირებლად იძულებული იყვნენ ამ საზოგადოების საბჭოსათვის მიენიჭებინათ შუამავლობის ერთგვარი უფლება, — და მეფაბრიკეები უმალვე ყალხზე შედგნენ. «ჯერ ეს საბჭო, — წერია მათი კარნახით ბარათში, — მიმართავდა საფაბრიკო ინსპექციის მოხელეებს, მაგრამ შემდეგ, როდესაც დაინახა, რომ ეს უკანასკნელნი არ სცნობდნენ მის მიერ თვითნებურად მიკუთვნებულ საშუამავლო როლის კომპეტენციას, იგი უკვე მიმართავს ობერპოლიცმეისტერს, რომელიც არათუ იღებს შემოსულ განცხადებებს, არამედ კანონიერ მსვლელობასაც აძლევს მათ, რითაც სანქციას ანიჭებს საბჭოს მიერ მითვისებულ უფლებებს». მეფაბრიკეები პროტესტს აცხადებენ კერძო ადმინისტრაციულ განკარგულებათა წინააღმდეგ და მოითხოვენ ახალი წესების დამყარებას საკანონმდებლო გზით.

მართალია, მეფაბრიკეთა ლიბერალიზმი ჯერჯერობით არ სცილდება ფრიად ვიწრო პროფესიულ ჩარჩოებს, მათი მტრული განწყობილება პოლიციური თვითნებობისადმი იფარგლება მათთვის არახელსაყრელ უკიდურესობათა ცალკეული გამოვლინებებით და მიმართული არ არის ბიუროკრატიული თვითმბრძანებლობის ძირეული საფუძვლების წინააღმდეგ. მაგრამ ამ მტრობის ზრდაზე, მის საბაბთა გაფართოებაზე, მის გაღრმავებაზე იზრუნებს რუსეთისა და მთელი მსოფლიოს ეკონომიური განვითარება, რაც გაამწვავებს კაპიტალისტური ქვეყნების კლასობრივ ანტაგონიზმს. პროლეტარიატის ძალა სწორედ ის არის, რომ მისი რაოდენობა და დარაზმულობა იზრდება თვით ეკონომიური განვითარების

პროცესის გამო, მაშინ როდესაც მსხვილ და წვრილ ბურ-ჟუაზიაში სულ უფრო და უფრო ძლიერდება ინტერესთა დაქსაქსულობა და დაქუცმაცება. პროლეტარიატის ამ «ბუნებ-რივი» უპირატესობის გასათვალისწინებლად სოციალ-დემოკ-რატიამ ყურადღებით უნდა ადევნოს თვალყური გაბატონებულ კლასებში ინტერესთა ყველა შეხლა-შემოხლას, გამოიყენოს ეს შეხლა-შემოხლა არა მარტო მუშათა კლასის ამა თუ იმ ფენის პრაქტიკული სარგებლობისათვის, არამედ მთელი მუ-შათა კლასის განათლებისთვისაც, იმ მიზნისთვისაც, რომ თვითეული ახალი სოციალ-პოლიტიკური ეპიზოდიდან სასარ-გებლო გაკვეთილი მიიღოს.

ფრიად აშკარაა კანონის იმ შეცვლის პრაქტიკული სარ-გებლობა მუშებისათვის, რის წინადადებასაც ლიბერალი მეფაბრიკეები იძლევიან, და ამიტომ საჭირო არ არის ამაზე დიდხანს შეჩერება. ეს უსათუოდ არის მზარდი ძალის მი-მართ დათმობა, მტრის მიერ დატოვება თავისი ერთ-ერთი პოზიციისა, რომელიც ფაქტიურად თითქმის უკვე დაიპყრო რევოლუციურმა პროლეტარიატმა და რომლის შემდგომი დაცვა აღარ სურთ მტრის არმიის უფრო გამჭრიახ ბელადებს. რა ლაპარაკი უნდა, რომ ეს მცირე დათმობა დიდი არაფერია: ჯერ ერთი, სასაცილოა ფიქრიც კი ნ ა მ დ ვ ი ლ ი თავისუფ-ლების, გაფიცვების თავისუფლების შესაძლებლობაზე, რო-დესაც არ არსებობს პოლიტიკური თავისუფლება. სასამართ-ლოს გარეშე დაპატიმრებისა და გადასახლების უფლება პოლიციას რჩება და მანამდე დარჩება, სანამ თვითმპყრობე-ლობა იარსებებს. ხოლო ამ უფლების შენარჩუნება ნიშნავს მთელი იმ პოლიციური კინკლაობის, ყველა იმ უმსგავსობი-სა და იმ თვითნებობის ცხრა მეათედის შენარჩუნებას, რომელიც მეფაბრიკეებსაც კი უკვე ზიზღს ჰგვრის. მეორეც, საკუთრივ სამრეწველო კანონმდებლობის ვიწრო სფეროშიც ფინანსთა სამინისტრო ძალიან გაუბედავ ნაბიჯს სდგამს წინ, როდესაც ჰბაძავს იმ გერმანულ კანონპროექტს, რომელსაც გერმანელმა მუშებმა «კატორღული» კანონპროექტი უწოდეს, როდესაც რჩება გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი სასჯელი «ძალა-დობისათვის, მუქარისათვის, სახელის შერცხვენისათვის» და-

ქირავების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, თითქოს არ არსებობდეს სისხლის სამართლის ს ა ე რ თ ო კანონები, რომლებიც სჯიან ამ დანაშაულობებს! მაგრამ რუსი მუშები შესძლებენ გამოიყენონ ეს მცირე დათმობაც თავისი პოზიციის გასამაგრებლად, თავისი იმ დიადი ბრძოლის გასაძლიერებლად და გასაფართოებლად, რომლის მიზანია მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლება დაქირავებული მონობისაგან.

რაც შეეხება იმ სასარგებლო გაკვეთილს, რომელსაც ახალი ბარათი გვაძლევს, უნდა შევნიშნოთ, უწინარეს ყოვლისა, რომ მეფაბრიკეთა პროტესტი შუასაუკუნეობრივი საგაფიცვო კანონის წინააღმდეგ პატარა კერძო მაგალითით გვიჩვენებს განვითარების პროცესში მყოფი ბურჟუაზიისა და გადაშენების გზაზე მდგარი აბსოლუტიზმის ინტერესთა საერთო შეუფარდებლობას. კარგი იქნებოდა ამაზე ეფიქრათ იმ ადამიანებს, რომლებიც (სოციალისტ-რევოლუციონერთა მსგავსად) დღემდე შიშით თვალს არიდებენ რუსეთში ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ოპოზიციის ელემენტებს და ძველებურად გაიძახიან, რუსეთის ბურჟუაზიის «ინტერესები» (საერთოდ!) დაკმაყოფილებულიაო. თურმე, პოლიციური თვითმბრძანებლობა ეჯახება ბურჟუაზიის ისეთი ფენების ხან ერთ, ხან მეორე ინტერესებსაც კი, რომლებსაც ყველაზე უშუალოდ ი ც ა ვ ს მეფის პოლიცია და რომლებსაც უ შ უ ა ლ ო დ მატერიალურ ზიანს უ ქ ა დ ი ს იმ ლაგამის ყოველი შემსუბუქება, პროლეტარიატს რომ აქვს ამოდებული.

თურმე, ნამდვილი რევოლუციური მოძრაობა მთავრობის დეზორგანიზაციას ახდენს არა მარტო პირდაპირ იმით, რომ ანათლებს, აღაგზნებს და რაზმავს ექსპლოატირებულ მასებს, არამედ არაპირდაპირადაც იმით, რომ ნიადაგს. აცლის დაბავსებულ კანონებს, თვითმბრძანებლობის რწმენას ართმევს მის სისხლხორცეულ, თითქოს, ნაშიერებსაც კი, ახშირებს «შინაურ უსიამოვნებას» ამ ნაშიერებს შორის, სიმტკიცესა და ერთიანობას მტრების ბანაკში სცვლის შუღლითა და მერყეობით. მაგრამ ასეთ შედეგებს რომ მიაღწიო, საჭიროა ერთი პირობა, რომელიც ვერასოდეს ვერ შეითვისეს ჩვენმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა: ამისათვის აუცილებელია,

რომ მოძრაობა ნამდვილად რევოლუციური იყოს, ე. ი. ახალი ცხოვრებისათვის აღძრავდეს ნამდვილად რევოლუციური კლასის სულ უფრო და უფრო ფართო ფენებს, ფაქტიურად გარდაქმნიდეს ამ კლასისა და მისი საშუალებით ყველა იმათ სულიერ-პოლიტიკურ სახეს, ვინც ამ კლასს უახლოვდება. ამ ჭეშმარიტებას რომ შეითვისებდნენ, სოციალისტ-რევოლუციონერები მიხვდებოდნენ, თუ რა პრაქტიკული ვნება მოაქვს მათს უიდეობასა და უპრინციპობას სოციალიზმის ძირითად საკითხებში, მიხვდებოდნენ, რომ მთავრობის ძალთა დეზორგანიზაციას კი არა, არამედ რევოლუციურ ძალთა დეზორგანიზაციას ახდენენ ის ადამიანები, რომლებიც ქადაგებენ, რომ თვითმპყრობელობას ხალხის წინააღმდეგ ჯარისკაცები ჰყავს, ორგანიზაციების წინააღმდეგ — პოლიცია, ხოლო ცალკეული ტერორისტები, რომლებიც მინისტრებსა და გუბერნატორებს თავიდან იშორებენ, — აი ისინი კი ჭეშმარიტად მოუხელთებელნი არიანო.

კიდევ არის ერთი სასარგებლო გაკვეთილი მეფაბრიკეთა უწყების ახალ «ნაბიჯში». ეს გაკვეთილი ის არის, რომ უნდა ვიცოდეთ საქმით გამოყენება ყოველგვარი, თუნდაც სამკაპიკიანი ლიბერალიზმისა და ამავე დროს «ფხიზლად ვიყოთ», რომ ამ ლიბერალიზმმა საკითხების თავისი ყალბი დაყენებით არ შერყვნას ხალხის მასები. მაგალითი — ბ-ნი სტრუვე, რომელთან ლაპარაკსაც ჩვენ ასე დავასათაურებდით: «როგორ სწადიათ ლიბერალებს ასწავლონ მუშებს და როგორ უნდა ასწავლიდნენ მუშები ლიბერალებს». ბ-ნმა სტრუვემ ჩვენ მიერ გარჩეული ბარათის ბეჭდვა დაიწყო «ოსვობოჟდენიეს» მე-4 ნომერში, სადაც ის, სხვათა შორის, ამბობს, რომ ახალი პროექტი «სახელმწიფოებრივი აზრის» გამოხატულებაა, და ამ აზრმა, საეჭვოა, თვითნებობისა და უაზროობის კედელი გაარღვიოსო. ასე არ გახლავთ ეს, ბ-ნო სტრუვე. «სახელმწიფოებრივ აზრს» კი არ წამოუყენებია გაფიცვების ახალი კანონის პროექტი, არამედ მეფაბრიკეებმა წამოაყენეს. იმიტომ კი არ გაჩნდა ეს პროექტი, რომ სახელმწიფომ «აღიარა» სამოქალაქო სამართლის ძირითადი საფუძვლები (მეპატ-

რონეებისა და მუშების ბურჟუაზიული «თავისუფლება და თანასწორობა»), არამედ იმიტომ, რომ გაფიცვებისათვის სასჯელის გაუქმება სახეირო გახდა მეფაბრიკეებისათვის. იურიდიული ფორმულირებანი და სავსებით დამამტკიცებელი დასაბუთებანი, რომლებსაც ახლა იძლევა «თვით» («ოსვ.» № 4, გვ. 50) ფინანსთა სამინისტრო, დიდი ხანია არსებობდნენ რუსულ ლიტერატურაშიც და, ასე გასინჯეთ, მთავრობის კომისიების შრომებშიც, — მაგრამ ყოველივე ეს მაუდქვეშ იყო ამოდებული, ვიდრე არ ალაპარაკდნენ მრეწველობის მეპატრონეები, რომლებსაც მუშებმა პრაქტიკულად დაანახვეს ძველი კანონების უაზრობა. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ მეფაბრიკეთა სარგებლობისა და მეფაბრიკეთა დაინტერესების ამ გადამწყვეტ მნიშვნელობას არა იმიტომ, რომ ეს, ჩვენი შეხედულებით, ასუსტებდეს მთავრობის განზრახვათა მნიშვნელობას, — პირიქით, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამაში მათი მნიშვნელობის გაძლიერებას ვხედავთ. მაგრამ პროლეტარიატმა თავის ბრძოლაში მთელი თანამედროვე წყობილების წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა უნდა ისწავლოს ის, რომ საგნებს პირდაპირ და ფხიზლად შეხედოს, გამოააშკარაოს «მაღალ სახელმწიფოებრივ მოქმედებათა» ნამდვილი გამომწვევი მიზეზები და განუხრელად ამხილოს ის ყალბი მაღალფარდოვანი ფრაზები «სახელმწიფოებრივ აზრზე» და სხვ., რომლებსაც პოლიციის მარჯვე მოხელეები ანგარიშით აყენებენ, ხოლო სწავლული ლიბერალები — სიბეცით.

შემდეგ ბ-ნი სტრუვე მუშებს ურჩევს «თავდაჭერილნი» იყვნენ გაფიცვებისათვის სასჯელთა გაუქმების აგიტაციაში. «რაც უფრო თავდაჭერილი იქნება იგი (ეს აგიტაცია) თავისი ფორმებით, — ქადაგებს ბ-ნი სტრუვე, — მით უფრო დიდი იქნება მისი მნიშვნელობა». მუშამ დიდი მადლობა უნდა გადაუხადოს ყოფილ სოციალისტს ასეთი რჩევისათვის. ეს ლიბერალების ტრადიციული მოლჩალინური სიბრძნეა — თავდაჭერილობის ქადაგება სწორედ მაშინ, როდესაც მთავრობამ ოდნავ დაიწყო ქანაობა (რაიმე კერძო საკითხის გამო). უფრო თავდაჭერილნი უნდა იყოთ, რომ ხელი არ შეუშალოთ

დაწყებული რეფორმის გატარებას, რომ არ დააფრთხოთ, რომ გამოიყენოთ ხელსაყრელი მომენტი, როდესაც პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია (ბარათი შედგენილია!) და როდესაც რომელიმე უწყების მიერ რეფორმების აუცილებლობის აღიარება იძლევა ამ რეფორმების «სამართლიანობისა და დროულობის (?) ურყევ (?) დასაბუთებას თვით მთავრობისთვისაც და საზოგადოებისთვისაც (!)». ასე მსჯელობს ბ-ნი სტრუვე ჩვენს მიერ განხილულ პროექტზე, ასე მსჯელობდნენ ყოველთვის რუსეთის ლიბერალები. ასე არ მსჯელობს სოციალ-დემოკრატია. შეხედეთ, — იტყვის იგი, — თვით მეფაბრიკეებშიც ზოგიერთს უკვე ესმის, რომ კლასობრივი ბრძოლის ევროპული ფორმები სჯობია პოლიციის აზიურ თვითნებობას. ჩვენი შეუპოვარი ბრძოლით თვით მეფაბრიკეებიც კი ვაიძულეთ დაეჭვებულიყვნენ თვითმპყრობელური ოპრიჩნიკების ყოვლისშემძლეობაში. მაშ, გაბედულად გასწიეთ წინ! უფრო ფართოდ გაავრცელეთ სასიამოვნო ცნობა მტრის რიგების მერყეობის შესახებ, გამოიყენეთ მტრის ოდნავი ყოყმანიც კი არა საკუთარ მოთხოვნათა მოლჩალინური «თავდაჭერილობისათვის», არამედ ამ მოთხოვნათა გასაძლიერებლად. იმ ვალის ანგარიშში, რომელიც მთავრობას ხალხისა ჰმართებს, უნდათ ასი მანეთიდან კაპიკი მოგცენ. ისარგებლეთ ამ კაპიკის მიღებით, რათა უფრო და უფრო ხმამაღლა მოითხოვოთ მთელი ვალი, რათა საბოლოოდ გაუტეხოთ სახელი მთავრობას, რათა მოამზადოთ ჩვენი ძალები იმისათვის, რომ გადამწყვეტი ლახვარი ჩავცეთ მას.

«ისკრა» № 24. 1902 წ.
1 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

## წერილი «იუჟნი რაბოჩის» რედაქციას [55]

ძვირფასო ამხანაგებო! ძალიან გაგვახარა ჩვენ ყველანი თქვენმა ვრცელმა წერილმა. გთხოვთ, დაჩქარებით გამოგზავნოთ დაპირებული დამატებანი და უფრო ხშირად ჰგზავნოთ წერილები. იმედი გვაქვს მალე გამოვგზავნოთ თქვენთან ერთი ამხანაგი უფრო დაწვრილებით და საბოლოო მოლაპარაკებისათვის, ჯერ კი ყველაზე მთავარს დავჯერდებით.

თქვენ ათასჯერ მართალი ხართ, რომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა და დაუყოვნებლივ გავერთიანდეთ საერთო-რუსეთის ხასიათის ერთ ორგანიზაციად, რომელიც მიზნად დაისახავს მოამზადოს კომიტეტების იდეური ერთიანობა და პარტიის პრაქტიკული, ორგანიზაციული ერთიანობა. ჩვენის მხრივ უკვე გადავდგით საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მიმართულებით იმის მეოხებით, რომ პეტერბურგის კომიტეტი სავსებით ისკრული გახდა, ამის შესახებ მან განცხადება დაბეჭდა და **de facto** * (ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ **entre nous** ** დარჩეს) შეუერთდა «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციას და ფრიად გავლენიანი ადგილები მისცა მის წევრებს კომიტეტის ცენტრალურ ჯგუფში. თუ ჩვენ მივაღწევთ ასეთსავე სრულ სოლიდარობას და სრულ გაერთიანებას სამხრეთთან, მაშინ პარტიის ფაქტიური გაერთიანების საკითხი ¾-ით წაიწევს განხორციელებისაკენ. ეს ფრიად საჩქაროდ უნდა გაკეთდეს. ჩვენ დაუყოვნებლივ ვიღებთ ზომებს, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ თქვენთან ჩამოვიდნენ

* — ფაქტიურად, ნამდვილად. რ ე დ.
** — ჩვენს შორის. რ ე დ.

შესათანხმებლად «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის წევრები; მეორეც, რომ კავშირი დამყარდეს აქ ჩერნიშევთან. თქვენის მხრივ დააჩქარეთ გამოშვება (ან «ისკრაში» მოთავსება) თქვენი პრინციპული განცხადებისა, რომელიც სავსებით განსაზღვრავს თქვენს პოზიციას პარტიაში, და მიიღეთ ყველა ზომა «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციასთან ფაქტიური გაერთიანებისათვის.

დასასრულ — რამდენიმე სიტყვა თქვენს მიერ აღძრულ საკითხებზე. გლეხობისა და აგრარული პროგრამის შესახებ ჩვენთვის გაურკვეველი რჩება, სახელდობრ რა არ გაკმაყოფილებთ აგრარული პროგრამის ჩვენს პროექტში და რა ცვლილებათა შეტანა გსურთ. განსაზღვრეთ ეს უფრო ზუსტად. ნახეთ თუ არა «ზარიას» № 4, სადაც მოთავსებულია სტატია აგრარულ პროგრამაზე *? საერთოდ თქვენი შენიშვნები «ისკრის» შეცდომების შესახებ იმას მოწმობენ, თუ რამდენად საჭიროა გავახშიროთ და მოვაწესრიგოთ ერთმანეთთან კავშირი, რომ სავსებით შევთანხმდეთ. ძალები ისე უღმერთოდ ცოტაა, რომ მხოლოდ ყ ვ ე ლ ა სოციალ-დემოკრატის უაღრესად მჭიდრო გაერთიანებას შეუძლია უზრუნველჰყოს ჩვენი წარმატება როგორც «ავანტიურისტების», ისე მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს კი, მაგალითად, თქვენს თვალსაზრისზე, თქვენს პრაქტიკულ მუშაობაზე დღემდე თითქმის არაფერი ვიცოდით — განა ეს ნორმალურია? განა ნორმალურია ისიც, რომ თქვენ, მაგალითად, მარტონი სდგამთ ნაბიჯებს მუდმივი ტრანსპორტისათვის და ჩვენც მარტონი? (მოგვწერეთ უფრო დაწვრილებით, როგორ, სად და რას აკეთებთ, რა საშუალებანი გაქვთ და სხვ.). იგივე გარემოება, ე. ი. ძალთა ნაკლებობა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როცა ვმსჯელობთ ცალკე ორგანოს საკითხზე, «იუჟნი რაბოჩის» განგრძობაზე, მის «რუსსკი რაბოჩ»-ად გადაქცევაზე. საჭიროა ძალიან და ძალიან ავწონდავწონოთ საქმის ყველა მხარე. აბა იფიქრეთ, სად გაგვაჩნია ძალები 2

* იხ. წინამდებარე ტომი. გვ. 121 — 178. რ ე დ.

ორგანოსათვის, როდესაც მშვენივრად ვიცით, რომ ისინი ერთი ორგანოსთვისაც კი საკმაოდ არა გვყვანან. თქვენ პიტერს (პიტერის არაისკრულ ელემენტებს) ბიძგს ხომ არ მისცემთ, რომ «რაბოჩაია მისლი» გამოსცენ როგორც აგრეთვე «განმარტებითი», პოპულარული და სხვ. ორგანო — და ეს ისეთ მომენტში, როდესაც პიტერი აპირებს შეწყვიტოს «რაბოჩაია მისლი» და ბოლოს და ბოლოს შეუდგეს ნამდვილ მუშაობას «ისკრაზე». ზიანს ხომ არ მოუტანს თქვენი გეგმები თქვენს მუშაობას იმ მიზნით, რომ რუსეთიდან «ისკრაში» წესიერი ლიტერატურული თანამშრომლობა მოაწყოთ, — ხოლო თუ ეს თანამშრომლობა არ იქნება, «ისკრა» ვერ გახდება ნამდვილ პარტიულ ორგანოდ, და არ დაივიწყოთ, რომ ამ საქმისათვის თქვენს გარდა ჩვენ ადამიანები თითქმის არც კი გვეგულება. და თუ ამ საქმეს ისკრელები ხელს არ მოჰკიდებენ, მაშინ ვინღა და როდის მოჰკიდებს ხელს? დასასრულ, უფრო გულმოდგინედ განიხილეთ საკითხი, შესაძლებელია თუ არა შეთავსდეს «საშუალო» მკითხველისთვის (როგორც თქვენ ამბობთ) ნავარაუდევი ახსნა-განმარტებითი, პროპაგანდისტული, პოპულარული ლიტერატურის ამოცანები და ამ გაზეთის ამოცანები? ეს უდავოა, რომ განსაკუთრებული ლიტერატურა უნდა იყოს საშუალო მკითხველისათვის და მასისათვის, მაგრამ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ფურცლები და ბროშურები, რადგან გაზეთში ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ჯეროვნად გ ა ნ ე მ ა რ ტ ო ს საშუალო მკითხველს ყ ო ვ ე ლ ი საკითხი. ამისათვის საჭიროა დავიწყოთ თ ა ვ ი დ ა ნ, ანაბანიდან და მივიდეთ ბოლომდე, საჭიროა ყოველმხრივ დავლეჭოთ საკითხი. არა მგონია გაზეთმა ეს შესძლოს, თუნდაც იგი იდეალურად იყოს უზრუნველყოფილი ლიტერატურული ძალებით. ბოლოს, არ დაივიწყოთ, რომ თქვენს საქმეს საერთო-რუსეთის მნიშვნელობა ექნება, სულ ერთია გინდათ ეს თუ არ გინდათ, და რომ მითქმა-მოთქმას, წარმოდგენებს, თეორიებს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ გაზეთებზე «ინტელიგენციისათვის» და «მუშებისათვის» შეუძლიათ მეტისმეტად მავნე როლი შეასრულონ არა მარტო

თქვენი სურვილების დამოუკიდებლად, არამედ თქვენი პირადი წინააღმდეგობის მიუხედავადაც. ისეთები, როგორიც თქვენა ხართ, რუს სოციალ-დემოკრატებში ხომ მცირეა, ხოლო რუსი სოციალ-დემოკრატების მასაში ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან ბლომად არის ყოველგვარი შეზღუდულობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობთ ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე ამ გაკვრითს შენიშვნებს დავჯერდეთ, მაგრამ გთხოვთ მხოლოდ არ აჩქარდეთ საკითხის გადაწყვეტისას და ყოველმხრივ განიხილოთ იგი. ცალკე ჯგუფის («იუჟნი რაბოჩის» რედაქციის) შენარჩუნება ჩვენ ს ა ს უ რ ვ ე ლ ა დ ა ც კი მიგვაჩნია პარტიის ყრილობამდე მაინც, მაგრამ ამ ჯგუფს არ მართებს აჩქარება თავისი გაზეთის საქმეში.

დაწერილია 1902 წ. 3 (16) სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 3

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ[56]

დაწერილია 1902 წ. სექტემბერში
პირველად დაიბეჭდა 1902 წ.
ჰექტოგრაფზე

იბეჭდება რსდმპ ც. კ-ის მიერ
1904 წელს გამოცემული ბროშურის
ტექსტის მიხედვით

Россійская Соціальдемократическая Рабочая Партія

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

# Письмо къ товарищу

## о нашихъ организаціонныхъ задачахъ

Н. Ленина

---

Изданіе Центральнаго Комитета Р. С.-Д. Р. Партіи.

---

ЖЕНЕВА
Типографія Партіи. Rue de la Coulouvrenière. 27.
1904

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა
«წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ». — 1904 წ.
დაპროფარაგებულია

ძვირფასო ამხანაგო! სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას — მოგცეთ «ს.-პეტერბურგის რევოლუციური პარტიის ორგანიზაციის» თქვენი პროექტის კრიტიკა. (თქვენ, ალბათ, მხედველობაში გქონდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის მუშაობის ორგანიზაცია.) თქვენ მიერ აღძრული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ს.-პეტერბურგის კომიტეტის ყველა წევრმაც და საერთოდ ყველა რუსმა სოციალ-დემოკრატმაც კი.

უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავ ჩემს სრულ სოლიდარობას «კავშირის» წინანდელი («კავშირული», როგორც თქვენ უწოდებთ მას) ორგანიზაციის უვარგისობის იმ ახსნასთან, რომელსაც თქვენ იძლევით. თქვენ აღნიშნავთ, რომ მოწინავე მუშებს არა აქვთ სერიოზული მომზადება და რევოლუციური აღზრდა, აღნიშნავთ ეგრეთწოდებულ საარჩევნო სისტემას, რომელსაც ასე ამაყად და დაჟინებით იცავენ რაბოჩეე დელოელები «დემოკრატიული» პრინციპების გულისათვის, აღნიშნავთ მუშების განზე დგომას აქტიური საქმიანობისაგან.

სწორედ ასე: 1) სერიოზული მომზადებისა და რევოლუციური აღზრდის უქონლობა (არა მარტო მუშებში, არამედ ინტელიგენტებშიც), 2) არჩევითი საწყისის უადგილო და უზომო გამოყენება და 3) მუშების განზე დგომა აქტიური რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი საქმიანობისაგან, — მართლაც, ეს არის მთავარი ნაკლი ჩვენი პარტიის არა მარტო ს.-პეტერბურგის, არამედ ბევრი სხვა ადგილობრივი ორგანიზაციისაც.

სავსებით ვიზიარებ რა თქვენს ძირითად შეხედულებას ორგანიზაციულ ამოცანებზე. ვუერთდები აგრეთვე თქვენს ორგანიზაციულ პროექტს, რამდენადაც მისი მთავარი ნიშნები ჩემთვის აშკარავდება თქვენი წერილიდან.

სახელდობრ, სავსებით გეთანხმებით, რომ საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობისა და საზოგადოდ მთელი პარტიის ამოცანებს; ეს თქვენ იმით გაქვთ გამოხატული, რომ პროექტის პირველი პუნქტი ამბობს: «პ ა რ ტ ი ი ს (და არა მარტო კომიტეტის ან რაიონის) ხელმძღვანელ ცენტრს წარმოადგენს გაზეთი «ისკრა», რომელსაც მუდმივი კორესპონდენტები ჰყავს მუშებს შორის და რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციის შინაგან მუშაობასთან». მე შევნიშნავდი მხოლოდ, რომ გაზეთს შეუძლია იყოს და უნდა იყოს პარტიის ი დ ე უ რ ი ხელმძღვანელი, შეუძლია განავითაროს და უნდა განავითაროს თეორიული ჭეშმარიტებანი, ტაქტიკური დებულებანი, საერთო ორგანიზაციული იდეები, მთელი პარტიის საერთო ამოცანები ამა თუ იმ მომენტში. მოძრაობის უშუალო პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ხელმძღვანელი კი შეიძლება იყოს მხოლოდ განსაკუთრებული ცენტრალური ჯგუფი (ვუწოდოთ მას თუნდაც ცენტრალური კომიტეტი), რომელიც პ ი რ ა დ ა დ გააბამს კავშირს ყველა კომიტეტთან, შეიცავს ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის მთელ საუკეთესო რევოლუციურ ძალებს და გ ა ნ ა გ ე ბ ს ყველა საერთო-პარტიულ საქმეს, როგორიცაა: ლიტერატურის განაწილება, ფურცლების გამოცემა, ძალთა განაწილება, პირებისა და ჯგუფების დანიშვნა განსაკუთრებული საქმეების გასაძღოლად, საერთო-რუსეთის მასშტაბით დემონსტრაციებისა და აჯანყების მომზადება და ა. შ. როცა აუცილებელია უსასტიკესი კონსპირაცია და მოძრაობის თანამომდევნობის დაცვა, — ჩვენს პარტიას შეიძლება და უნდა ჰყავდეს ო რ ი ხელმძღვანელი ცენტრი: ც. ო. (ცენტრალური ორგანო) და ც. კ. (ცენტრალური კომიტეტი). პირველი უნდა ხელმძღვანელობდეს იდეურად, მეორე — უშუალოდ და პრაქტიკულად. ამ ორი ჯგუფის მოქმედების

ერთიანობას და აუცილებელ სოლიდარობას უნდა უზრუნველჰყოფდეს არა მარტო ერთიანი პროგრამა პარტიისა, არამედ ორივე ჯგუფის შემადგენლობაც (საჭიროა, რათა ორივე ჯგუფში, ცენტრალურ ორგანოშიც და ცენტრალურ კომიტეტშიც, იყვნენ ერთმანეთთან სავსებით შეხმატკბილებული ადამიანები) და მათი რეგულარული და მუდმივი თათბირების გამართვაც. მხოლოდ მაშინ, ერთი მხრივ, ც. ო. მოექცევა რუსეთის ჟანდარმთა მოქმედების გარეთ და უზრუნველყოფილი იქნება მისი სიმტკიცე და თანამომდევნობა, — მეორე მხრივ კი, ც. კ. ყოველთვის სოლიდარული იქნება ც. ო-სთან ყოველსავე არსებით საკითხში და საკმაოდ თავისუფალი იქნება მოძრაობის მთელი პრაქტიკული მხარის უშუალო გამგებლობისათვის.

ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ წესდების პირველი პუნქტი (თქვენი პროექტის შესაბამისად) მიგვითითებდეს არა მარტო იმას, თუ პარტიის რომელი ორგანო არის აღიარებული ხელმძღვანელ ორგანოდ (ეს, რა თქმა უნდა, აუცილებელი მითითებაა); არამედ აგრეთვე იმასაც, რომ მოცემული ადგილობრივი ორგანიზაცია თავის ამოცანად ისახავს აქტიურად იმუშაოს იმ ცენტრალურ დაწესებულებათა შესაქმნელად, მხარდასაჭერად და განსამტკიცებლად, ურომლისოდაც ჩვენს პარტიას არ შეუძლია იარსებოს, როგორც პარტიას.

შემდეგ, მეორე პუნქტში თქვენ ამბობთ კომიტეტზე, რომ იგი უნდა «ხელმძღვანელობდეს ადგილობრივ ორგანიზაციას» (იქნებ, უკეთესია ითქვას: «მთელ ადგილობრივ მუშაობას და პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას», მაგრამ არ შევჩერდები ფორმულირების დეტალებზე), და რომ იგი უნდა შესდგებოდეს მუშებისგანაც და ინტელიგენტებისგანაც, — მათი ორ კომიტეტად გაყოფა კი მავნებელია. ეს სავსებით და უსათუოდ მართალია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტი ერთი უნდა იყოს, და ამ კომიტეტში უნდა იყვნენ სავსებით შეგნებული სოციალ-დემოკრატები, რომლებიც თავიანთ თავს

მთლად სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას უნდა ანდომებ-
დნენ. განსაკუთრებით უნდა ვცდილობდეთ, რომ რაც შეიძ-
ლება მეტი მუშა გახდეს სავსებით შეგნებული და პროფე-
სიონალი რევოლუციონერი და მოხვდეს ხოლმე კომიტეტის
შემადგენლობაში *. ე რ თ ი ა ნ ი, და არა ორმაგი, კომიტე-
ტის არსებობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ
საკითხს, რომ კომიტეტის წევრები პ ი რ ა დ ა დ იცნობდნენ
მრავალ მუშას. ყოველივე იმას, რომ უხელმძღვანელო, რაც
მუშათა წრეში ხდება, შესაძლებლობა უნდა გქონდეს ყველ-
გან მოხვდე, ძალიან ბევრს უნდა იცნობდე, ყველა ასავალ-
დასავალი უნდა იცოდე და სხვ. და სხვ. ამიტომ კომიტეტში,
შეძლებისდაგვარად, უნდა იყვნენ მუშათა მოძრაობის ყველა
მთავარი წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ნ ი თვით მუშების წრიდან, კომი-
ტეტი უნდა ხელმძღვანელობდეს ადგილობრივი მოძრაობის
ყ ვ ე ლ ა მხარეს დ ა განაგებდეს პარტიის ყ ვ ე ლ ა ადგი-
ლობრივ დაწესებულებას, ძალებსა და სახსრებს. იმაზე, თუ
როგორ უნდა შესდგეს ხოლმე კომიტეტი, თქვენ არაფერს
ამბობთ, — ალბათ, ჩვენ აქაც შევთანხმდებით, რომ ამის
შესახებ არა გვგონია განსაკუთრებული წესები იყოს საჭი-
რო. როგორ უნდა შესდგეს კომიტეტი, — ეს უკვე ადგილობ-
რივი სოციალ-დემოკრატების საქმეა. იქნებ მხოლოდ საჭირო
იყოს იმის აღნიშვნა, რომ კომიტეტი შეივსება მის წევრთა
უმრავლესობის (ან ორი მესამედის და სხვ.) გადაწყვეტილე
ბით, რომ კომიტეტი უნდა ზრუნავდეს, რათა თავისი კავშირ-
ურთიერთობა გადასცეს საიმედო (რევოლუციური მხრივ) და
დაცულ (პოლიტიკური მხრივ) ადგილას და წინასწარ მოამ-
ზადოს თავისი კანდიდატები. როდესაც ჩვენ გვექნება ც. ო.
და გვეყოლება ც. კ., — ახალი კომიტეტები უნდა შეიქმნას
მხოლოდ მათი მონაწილეობითა და მათი თანხმობით. კომიტე-
ტის წევრთა რიცხვი შეძლებისდაგვარად ძალიან დიდი არ

* უნდა ვეცადოთ კომიტეტში შევიყვანოთ მუშა-რევოლუციონერები, რომლებსაც ყველაზე მეტი კავშირურთიერთობა და საუკეთესო «სახელი» აქვთ მუშათა მასაში.

უნდა იყოს (რათა ამ წევრთა დონე უფრო მაღალი და მათი სპეციალიზაცია რევოლუციურ პროფესიაში უფრო სრული იყოს), მაგრამ ამავე დროს საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ განაგოს საქმის ყ ვ ე ლ ა მხარე და უზრუნველჰყოს თათბირთა სისრულე და გადაწყვეტილებათა სიმტკიცე. თუ აღმოჩნდება, რომ წევრთა რიცხვი საკმაოდ დიდია და მათი ხშირად შეკრება საშიშია, — მაშინ შეიძლება საჭირო გახდეს გამოვყოთ კომიტეტიდან კიდევ ცალკე, ფრიად მცირე (ვთქვათ, ხუთი კაცი, ან უფრო ნაკლებიც) . გ ა ნ მ კ ა რ გ უ ლ ე ბ ე ლ ი ჯგუფი, და მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა მოექცნენ მდივანი და ისეთი პირნი, რომელთაც ყველაზე მეტად შესწევთ უნარი — იყვნენ საერთოდ მთელი მუშაობის პრაქტიკული განმკარგულებელნი. ამ ჯგუფისათვის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი იქნება, რომ ჩავარდნის შემთხვევისათვის უზრუნველჰყოს თავისთვის კანდიდატები, რათა მუშაობა არ ჩერდებოდეს. კომიტეტის საერთო კრებები დაამტკიცებდნენ განმკარგულებელი ჯგუფის მოქმედებას, განსაზღვრავდნენ მის შემადგენლობას და სხვ.

შემდეგ, კომიტეტის მ ე რ ე თქვენ ასახელებთ, როგორც მისდამი დაქვემდებარებულთ, შემდეგ დაწესებულებებს: 1) დისკუსიას («საუკეთესო» რევოლუციონერთა თათბირს), 2) რაიონულ წრეებს 3) პროპაგანდისტთა წრით თვითეულ რაიონულ წრესთან, 4) საქარხნო წრეებს და 5) მოცემული რაიონის საქარხნო წრეების დელეგატთა «წარმომადგენლობითს კრებებს». სავსებით გეთანხმებით, რომ ყ ვ ე ლ ა შემდგომი დაწესებულება (ხოლო ისინი ძალიან ბევრნი და ფრიად მრავალნაირნი უნდა იყვნენ, გარდა თქვენ მიერ დასახელებულთა) უნდა დაექვემდებაროს კომიტეტს, და რომ საჭიროა რაიონული (ძალიან დიდი ქალაქებისათვის) და საქარხნო (ყოველთვის და ყველგან) ჯგუფები. მაგრამ ზოგიერთ დეტალში, მგონია, მთლად ვერ დაგეთანხმებით. მაგალითად, «დისკუსიის» შესახებ ვფიქრობ, რომ ასეთი დაწესებულება ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა რ ი ს ს ა ჭ ი რ ო. «საუკეთე-

სო რევოლუციონერები» ყველანი კომიტეტში უნდა იყვნენ ან ცალკეულ ფუნქციებს ასრულებდნენ (სტამბა, ტრანსპორტი, მოძრავი აგიტაცია, ორგანიზაცია, ვთქვათ, საპასპორტო ბიუროსი, ან რაზმისა ჯაშუშებთან და პროვოკატორებთან საბრძოლველად, ან ჯგუფებისა ჯარში და ა. შ.).

«თათბირები» გაიმართება კომიტეტშიც, თვითეულ რაიონშიც, თვითეულ საქარხნო, პროპაგანდისტულ, პროფესიულ (ფეიქრების, მექანიკოსების, დაბალების და სხვ.), სტუდენტთა, ლიტერატურულ და სხვ. წრეში. რა საჭიროა ცალკე დაწესებულება თათბირებისათვის?

შემდეგ. თქვენ სავსებით სამართლიანად მოითხოვთ, რომ «ყველა მსურველს» შესაძლებლობა მიეცეს უშუალოდ ჰგზავნოს კორესპონდენციები «ისკრაში». ოღონდ «უშუალოდ» ისე კი არ უნდა გვესმოდეს, რომ «ყველა მსურველს» მიეცეს რედაქციის გზა და მისამართი, არამედ ისე, რომ ყველა მსურველისაგან წერილები აუცილებლად გადაეცეს (ან გადეგზავნოს) რედაქციას. მისამართები კი საკმაოდ ფართოდ უნდა მიეცეთ, მაგრამ მაინც არა ყველა მსურველს, არამედ მხოლოდ საიმედო და კონსპირაციული მოხერხებულობის მხრივ გამოჩენილ რევოლუციონერებს, — იქნებ რაიონზე თითოს კი არა, როგორც თქვენ გინდათ, არამედ რამდენიმეს; საჭიროა აგრეთვე, რათა მუშაობის ყველა მონაწილეს, ყველა და ყოველგვარ წრეს უფლება ჰქონდეს თავისი გადაწყვეტილებანი, სურვილები, შეკითხვები აცნობოს როგორც კომიტეტს, ისე ცენტრალურ ორგანოს და ცენტრალურ კომიტეტს. თუ ჩვენ ამას უზრუნველვყოფთ, მაშინ ყველა პარტიულ მუშაკთა თათბირების სისრულე მიღწეული იქნება ისე, რომ არ შეიქმნას ისეთი ვეება და არაკონსპირაციული დაწესებულებანი, როგორიც არის «დისკუსია». რა თქმა უნდა, საჭიროა აგრეთვე ვეცადოთ მოვაწყოთ ყველა და ყოველგვარ მოღვაწეთა რაც შეიძლება მეტი შემადგენლობის პირადი თათბირები, — მაგრამ აქ ხომ მთელი საქმე კონსპირაციაა. საერთო კრებები და თავის მოყრა რუსეთში

შესაძლებელია მხოლოდ იშვიათად, გამონაკლისის სახით, და უაღრესად ფრთხილი უნდა ვიყოთ ამ კრებებზე «საუკეთესო რევოლუციონერთა» დაშვების დროს, რადგან პროვოკატორს საზოგადოდ უფრო ადვილად შეუძლია მოხვდეს საერთო კრებებზე და ჯაშუშს შეეძლება თვალყური ადევნოს ერთ-ერთ მონაწილეს. მე ვფიქრობ, იქნებ აჯობებდა ასე მოვქცეულიყავით: როდესაც შეიძლება დიდი (ვთქვათ, 30 — 100 კაცის) საერთო კრებების მოწვევა (მაგ., ზაფხულობით ტყეში ან საგანგებოდ გამონახულ კონსპირაციულ ბინაზე), მაშინ კომიტეტი იქ გაგზავნის 1 — 2 «საუკეთესო რევოლუციონერს» და იზრუნავს კრების კარგი შემადგენლობისათვის, ე. ი. მაგ., იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იქნან მოწვეულნი საქარხნო წრეების საიმედო წევრები და სხვ. მაგრამ საჭირო არ არის ამ კრებების გაფორმება, საჭირო არ არის მათი შეტანა წესდებაში, საჭირო არ არის მათი რეგულარულ კრებებად გადაქცევა; ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ კრების ყველა წევრი იცნობდეს ყველა მონაწილეს, ე. ი. რომ იცოდნენ, ყველანი წრეების «წარმომადგენელნი» არიან, და სხვ.; აი რატომ ვარ მე წინააღმდეგი არა მარტო «დისკუსიებისა», არამედ წინააღმდეგი ვარ «წარმომადგენლობითი კრებებისაც». მე წინადადებას შემოვიტანდი ორივე ამ დაწესებულების ნაცვლად დაგვედგინა დაახლოებით ასეთი წესი. კომიტეტი ზრუნავს იმისათვის, რომ მოაწყოს მოძრაობის პრაქტიკულ მონაწილეთა რაც შეიძლება მეტი შემადგენლობის და საერთოდ ყველა მუშის დიდი კრებები. კრების დროს, ადგილს, საბაბს და შემადგენლობას განსაზღვრავს კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი საქმეების კონსპირაციულად დაყენებისათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ ამით ოდნავადაც არ იზღუდება უფრო ნაკლებად გაფორმებული კრებების მოწყობა მუშების მიერაც სეირნობის დროს, ტყეში და სხვ. ეგებ სჯობდეს, რომ წესდებაში ამაზე ლაპარაკი არ იყოს.

შემდეგ, რაც შეეხება რაიონულ ჯგუფებს, მათ თაობაზე სავსებით გეთანხმებით, რომ ამ ჯგუფების ერთ-ერთი უმნიშ-

სო რევოლუციონერები» ყველანი კომიტეტში უნდა იყვნენ ან ცალკეულ ფუნქციებს ასრულებდნენ (სტამბა, ტრანსპორტი, მოძრავი აგიტაცია, ორგანიზაცია, ვთქვათ, საპასპორტო ბიუროსი, ან რაზმისა ჯაშუშებთან და პროვოკატორებთან საბრძოლველად, ან ჯგუფებისა ჯარში და ა. შ.).

«თათბირები» გაიმართება კომიტეტშიც, თ ვ ი თ ე უ ლ რაიონშიც, თვითეულ საქარხნო, პროპაგანდისტულ, პროფესიულ (ფეიქრების, მექანიკოსების, დაბაღების და სხვ.), სტუდენტთა, ლიტერატურულ და სხვ. წრეში. რა საჭიროა ცალკე დაწესებულება თათბირებისათვის?

შემდეგ. თქვენ სავსებით სამართლიანად მოითხოვთ, რომ «ყველა მსურველს» შესაძლებლობა მიეცეს უშუალოდ ჰგზავნოს კორესპონდენციები «ისკრაში». ოღონდ «უშუალოდ» ისე კი არ უნდა გვესმოდეს, რომ «ყველა მსურველს» მიეცეს რედაქციის გზა და მისამართი, არამედ ისე, რომ ყ ვ ე ლ ა მ ს უ რ ვ ე ლ ი ს ა გ ა ნ წერილები აუცილებლად გადაეცეს (ან გადეგზავნოს) რედაქციას. მისამართები კი ს ა კ მ ა ო დ ფ ა რ თ ო დ უნდა მიეცეთ, მაგრამ მაინც არა ყველა მსურველს, არამედ მხოლოდ საიმედო და კონსპირაციული მოხერხებულობის მხრივ გამოჩენილ რევოლუციონერებს, — იქნებ რაიონზე თითოს კი არა, როგორც თქვენ გინდათ, არამედ რამდენიმეს; საჭიროა აგრეთვე, რათა მუშაობის ყველა მონაწილეს, ყველა და ყოველგვარ წრეს უ ფ ლ ე ბ ა ჰ ქ ო ნ დ ე ს თავისი გადაწყვეტილებანი, სურვილები, შეკითხვები აცნობოს რ ო გ ო რ ც კ ო მ ი ტ ე ტ ს, ისე ცენტრალურ ორგანოს და ცენტრალურ კომიტეტს. თუ ჩვენ ამას უზრუნველვყოფთ, მაშინ ყ ვ ე ლ ა პ ა რ ტ ი უ ლ მ უ შ ა კ თ ა თ ა თ ბ ი რ ე ბ ი ს ი ს რ უ ლ ე მიღწეული იქნება ისე, რომ არ შეიქმნას ისეთი ვეება და არაკონსპირაციული დაწესებულებანი, როგორიც არის «დისკუსია». რა თქმა უნდა, საჭიროა აგრეთვე ვეცადოთ მოვაწყოთ ყველა და ყოველგვარ მოღვაწეთა რაც შეიძლება მეტი შემადგენლობის პ ი რ ა დ ი თ ა თ ბ ი რ ე ბ ი, — მაგრამ აქ ხომ მთელი საქმე კონსპირაციაა. საერთო კრებები და თავის მოყრა რუსეთში

შესაძლებელია მხოლოდ იშვიათად, გამონაკლისის სახით, და უაღრესად ფრთხილი უნდა ვიყოთ ამ კრებებზე «საუკეთესო რევოლუციონერთა» დაშვების დროს, რადგან პროვოკატორს საზოგადოდ უფრო ადვილად შეუძლია მოხვდეს საერთო კრებებზე და ჯაშუშს შეეძლება თვალყური ადევნოს ერთ-ერთ მონაწილეს. მე ვფიქრობ, იქნებ აჯობებდა ასე მოვქცეულიყავით: როდესაც შეიძლება დიდი (ვთქვათ, 30 — 100 კაცის) საერთო კრებების მოწვევა (მაგ., ზაფხულობით ტყეში ან საგანგებოდ გამონახულ კონსპირაციულ ბინაზე), მაშინ კომიტეტი იქ გაგზავნის 1 — 2 «საუკეთესო რევოლუციონერს» და იზრუნავს კრების კარგი შემადგენლობისათვის, ე. ი. მაგ., იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იქნან მოწვეულნი საქარხნო წრეების საიმედო წევრები და სხვ. მაგრამ საჭირო არ არის ამ კრებების გაფორმება, საჭირო არ არის მათი შეტანა წესდებაში, საჭირო არ არის მათი რეგულარულ კრებებად გადაქცევა; ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ კრების ყველა წევრი იცნობდეს ყველა მონაწილეს, ე. ი. რომ იცოდნენ, ყველანი წრეების «წარმომადგენელნი» არიან, და სხვ.; აი რატომ ვარ მე წინააღმდეგი არა მარტო «დისკუსიებისა», არამედ წინააღმდეგი ვარ «წარმომადგენლობითი კრებებისაც». მე წინადადებას შემოვიტანდი ორივე ამ დაწესებულების ნაცვლად დაგვედგინა დაახლოებით ასეთი წესი. კომიტეტი ზრუნავს იმისათვის, რომ მოაწყოს მოძრაობის პრაქტიკულ მონაწილეთა რაც შეიძლება მეტი შემადგენლობის და საერთოდ ყველა მუშის დიდი კრებები. კრების დროს, ადგილს, საბაბს და შემადგენლობას განსაზღვრავს კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი საქმეების კონსპირაციულად დაყენებისათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ ამით ოდნავადაც არ იზღუდება უფრო ნაკლებად გაფორმებული კრებების მოწყობა მუშების მიერაც სეირნობის დროს, ტყეში და სხვ. ეგებ სჯობდეს, რომ წესდებაში ამაზე ლაპარაკი არ იყოს.

შემდეგ, რაც შეეხება რაიონულ ჯგუფებს, მათ თაობაზე სავსებით გეთანხმებით, რომ ამ ჯგუფების ერთ-ერთი უმნიშ-

ვნელოვანესი ამოცანაა ლიტერატურის განაწილების სწორად მოწყობა. მე ვფიქრობ, რომ რაიონული ჯგუფები უმთავრესად შუამავლები უნდა იყვნენ კომიტეტებსა და ქარხნებს შორის, შუამავლები და უმთავრესად — გადამცემებიც კი. კომიტეტიდან მიღებული ლიტერატურის სწორად გავრცელების კონსპირაციულად მოწყობა უნდა იყოს მათი მთავარი ამოცანა. და ეს ამოცანა უაღრესად მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ, თუ უზრუნველვყოფთ დამტარებელთა განსაკუთრებული რაიონული ჯგუფის რეგულარულ კავშირს რაიონის ყველა ქარხანასთან, რაიონის მუშათა ბინების რაც შეიძლება მეტ რაოდენობასთან, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება დემონსტრაციებისთვისაც და აჯანყებისთვისაც. ლიტერატურის, ფურცლების, პროკლამაციებისა და სხვ. სწრაფი და წესიერი გადაცემის საქმე რომ მოვაგვაროთ, მოვაწყოთ, ამას რომ მივაჩვიოთ აგენტთა მთელი ქსელი — ეს ნიშნავს მომავალში დემონსტრაციების ან აჯანყების მომზადების საქმის ნახევარზე მეტის გაკეთებას. აღელვების, გაფიცვის, მოძრაობის გაცხოველების მომენტში უკვე გვიანაა ლიტერატურის დატარების მოგვარება — ამას შეიძლება მივაჩვიოთ მხოლოდ თანდათან, ეს აუცილებლად უნდა ვაკეთოთ თვეში ორჯერ, სამჯერ. თუ გაზეთი არ არის, მაშინ ეს შეიძლება და უნდა გაკეთდეს ფურცლების მიმართ, მაგრამ არასგზით ნება არ უნდა მივცეთ ამ გამავრცელებელ აპარატს, რომ უმოქმედოდ იყოს. უნდა ვეცადოთ მივიყვანოთ ეს აპარატი ისეთ სრულყოფამდე, რომ შეიძლებოდეს ერთ ღამეში ს.-პეტერბურგის მთელ მუშათა მოსახლეობას მოვფინოთ ესა თუ ის ცნობა და, ასე ვთქვათ, მოვახდინოთ მისი მობილიზაცია. და ეს სრულიადაც არ არის უტოპიური ამოცანა, თუ ფურცლებს ცენტრიდან სისტემატურად გადავცემთ უფრო ვიწრო საშუამავლო წრეებს და ამ წრეებიდან — დამტარებლებს. რაიონული ჯგუფის მოვალეობის ფარგლების გაფართოება სხვა ფუნქციების მინიჭებით, გარდა წმინდა საშუამავლო და საგადამცემო ფუნქციებისა, ჩემი აზრით, საჭირო არ არის, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უნდა

მოხდეს მხოლოდ უაღრესი სიფრთხილით — ამას შეუძლია მხოლოდ ავნოს მუშაობის კონსპირაციულობასაც და მთლიანობასაც. თათბირები ყველა პარტიულ საკითხზე, რა თქმა უნდა, რაიონულ წრეებშიც გაიმართება, მაგრამ ადგილობრივი მოძრაობის ყველა საერთო საკითხს მხოლოდ კომიტეტი უნდა წ ყ ვ ე ტ დ ე ს. რაიონული ჯგუფის დამოუკიდებლობა უნდა დავუშვათ მხოლოდ გადაცემისა და გავრცელების ტექნიკის საკითხებში. რაიონული ჯგუფის შემადგენლობას კომიტეტი უნდა განსაზღვრავდეს, ე. ი. კომიტეტი ნ ი შ ნ ა ვ ს თავის ერთ-ორ წევრს (ან არა წევრსაც კი) დელეგატებად ამა თუ იმ რაიონში და ამ დელეგატებს ავალებს შ ე ა დ გ ი ნ ო ს რ ა ი ო ნ უ ლ ი ჯ გ უ ფ ი, რომლის ყველა წევრს ისევ კომიტეტი ამტკიცებს, ასე ვთქვათ, თანამდებობაზე. რაიონული ჯგუფი კომიტეტის ფილიალური განყოფილებაა, რომელიც მხოლოდ მისგან იღებს თავის რწმუნებულებას.

გადავდივარ პროპაგანდისტთა წრეების საკითხზე. მათი ცალკე მოწყობა თვითეულ რაიონში არა მგონია შესაძლებელი იყოს პროპაგანდისტთა ძალების სიმცირის გამო და არც სასურველი მგონია. პროპაგანდას მთელი კომიტეტი უნდა ეწეოდეს ერთი მიმართულებით, და საჭიროა მისი სასტიკად ცენტრალიზება; ამიტომ მე ასე წარმომიდგენია საქმე: კომიტეტი თავის რამდენიმე წევრს ავალებს მოაწყონ პროპაგანდისტთა ჯგუფი (რომელიც იქნება კომიტეტის ფილიალური განყოფილება ან კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ე რ თ-ე რ თ ი დ ა წ ე ს ებ უ ლ ე ბ ა). ეს ჯგუფი, კონსპირაციის მხრივ გამოიყენებს რა რაიონული ჯგუფების ს ა მ ს ა ხ უ რ ს, პროპაგანდას უნდა ეწეოდეს მ თ ე ლ ქ ა ლ ა ქ შ ი, მთელ ადგილას, რომელიც კომიტეტს «ექვემდებარება». თუ საჭირო იქნება, ამ ჯგუფს შეუძლია შეადგინოს კიდევ ქვეჯგუფები, თავისი ფუნქციების ესა თუ ის ნაწილი, ასე ვთქვათ, გადაანდოს სხვას, მაგრამ ყოველივე ეს ისე უნდა მოხდეს, რომ კომიტეტმა დაამტკიცოს, კომიტეტს ყოველთვის და უსათუოდ უნდა ჰქონდეს უფლება თავისი დელეგატი გაგზავნოს თვითეულ ჯგუფში,

ქვეჯგუფში ან წრეში, რომელსაც კი რაიმე კავშირი აქვს მოძრაობასთან.

დავალებათა ამავე ტიპის მიხედვით, კომიტეტის ფილიალურ განყოფილებათა ან მის დაწესებულებათა ტიპის მიხედვით, უნდა მოეწყოს ყველა სხვადასხვაგვარი ჯგუფი, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოძრაობას, — სტუდენტი და გიმნაზიელი ახალგაზრდობის ჯგუფებიც, ვთქვათ, ხელისშემწყობ მოხელეთა ჯგუფებიც, ტრანსპორტის, სტამბის, პასპორტის ჯგუფებიც, კონსპირაციული ბინების მომწყობი ჯგუფებიც, ჯაშუშების მეთვალყურე ჯგუფებიც, სამხედრო პირთა ჯგუფები, იარაღის მომმარაგებელი ჯგუფები, ჯგუფები, მაგ., «შემოსავლიანი ფინანსიური საქმის» მოსაწყობად და ა. შ. კონსპირაციული ორგანიზაციის მთელი ოსტატობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გამოვიყენოთ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე დ ა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, «მივცეთ სამუშაო ყველას და თვითეულს» და ამავე დროს შევინარჩუნოთ მთელი მოძრაობის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა, შევინარჩუნოთ, რა თქმა უნდა, არა ძალაუფლების მეოხებით, არამედ ავტორიტეტის ძალით, ენერგიის, უფრო მეტი გამოცდილების, უფრო მეტი მრავალმხრიობის, უფრო მეტი ნიჭიერების ძალით. ეს შენიშვნა .შეეხება იმ შესაძლებელ და ჩვეულებრივ შემოდავებას, რომ სასტიკ ცენტრალიზაციას ძალიან ადვილად შეუძლია დაღუპოს საქმე, თუ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ცენტრში აღმოჩნდება უდიდესი ძალაუფლებით აღჭურვილი უ უ ნ ა რ ო პირი. ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ამის საწინააღმდეგო საშუალებად ვერ გამოდგება არჩევითობა და დეცენტრალიზაცია, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია რამდენადმე ფართო მასშტაბით და პირდაპირ მავნებელიც კია რევოლუციურ მუშაობაში თვითმპყრობელობის დროს. ამის საწინააღმდეგო საშუალებას ვერავითარი წესდება ვერ მოგვცემს, მისი მოცემა შეუძლია მხოლოდ «ამხანაგური ზეგავლენის» ზომებს, დაწყებული ყველა და ყოველგვარი ქვეჯგუფის რეზოლუციებით, განგრძობილი ცენტრალური ორგანოსადმი და ცენტრალური კომიტეტისადმი მათი მიმართვით და

გათავებული (უარეს შემთხვევაში) სრულიად უუნარო ძალაუფლების დ ა მ ხ ო ბ ი თ. კომიტეტი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება სრულად გაატაროს შრომის განაწილება, რადგან მას უნდა ახსოვდეს, რომ რევოლუციური მუშაობის სხვადასხვა მხარისათვის სხვადასხვანაირი უნარია საჭირო, რომ ზოგჯერ ადამიანი, სრულიად უვარგისი როგორც ორგანიზატორი, შეიძლება უბადლო აგიტატორი იყოს, ან ადამიანი, რომელსაც არ შესწევს უსასტიკესი კონსპირაციული თავდაჭერილობის უნარი, შეიძლება საუცხოო პროპაგანდისტი იყოს და სხვ.

სხვათა შორის, პროპაგანდისტების შესახებ მე მინდოდა კიდევ რამდენიმე სიტყვა მეთქვა იმის წინააღმდეგ, რომ ამ პროფესიას ჩვეულებრივ ა ა ვ ს ე ბ ე ნ ხოლმე ნაკლებადუნარიანი ადამიანებით და ამით დაბლა სწევენ პროპაგანდის დონეს. ჩვენში ზოგჯერ ყველა სტუდენტი ხელაღებით პროპაგანდისტად ითვლება, და მთელი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა მოითხოვს, რომ მას «წრე მისცენ» და სხვ. ამის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგან ამას ძალიან დიდი ზიანი მოაქვს. პრინციპულად ნამდვილად გამობრძმედილი და ნიჭიერი პროპაგანდისტები ძ ა ლ ი ა ნ ც ო ტ ა ნ ი ა რ ი ა ნ (და ასეთი რომ გახდე, საჭიროა ბევრი ისწავლო და გამოცდილება შეიძინო), და ასეთი ადამიანები უნდა დავასპეციალოთ, მთლიანად ჩავაბათ საქმეში და უაღრესად გავუფრთხილდეთ. საჭიროა კვირაში რამდენიმე ლექცია მოვაწყოთ ასეთი პირებისათვის და შეგვეძლოს მათი დროზე გაწვევა სხვა ქალაქებში, საერთოდ უნდა მოვაწყოთ სხვადასხვა ქალაქის შემოვლა დახელოვნებული პროპაგანდისტების მიერ. ხოლო დამწყები ახალგაზრდობის მასა უფრო უნდა მივუჩინოთ პრაქტიკულ საქმეებს, რომლებიც ჩვენში მივიწყებულია ხოლმე წრეებში სტუდენტთა იმ სიარულთან შედარებით, რასაც ოპტიმისტურად «პროპაგანდას» უწოდებენ. რა თქმა უნდა, სერიოზული პრაქტიკული საქმეებისთვისაც საფუძვლიანი მომზადებაა საჭირო, მაგრამ აქ მაინც უფრო ადვილია საქმის გამონახვა «დამწყებთათვისაც».

ახლა საქარხნო წრეებზე. მათ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ: მოძრაობის მთელი მთავარი ძალა ხომ დიდი ქარხნების მუშათა დარაზმულობაშია, რადგან დიდი ქარხნები (და ფაბრიკები) შეიცავენ მთელი მუშათა კლასის იმ ნაწილს, რომელიც არა მარტო რიცხობრივად არის უპირატესი, არამედ კიდევ უფრო უპირატესია თავისი გავლენით, განვითარებით, ბრძოლის უნარით. ყოველი ქარხანა ჩვენი ციხე-სიმაგრე უნდა იყოს. ამისათვის კი მუშათა «საქარხნო» ორგანიზაცია ისეთივე კონსპირაციული უნდა იყოს თავის შიგნით, ისეთივე «განშტოებული» გარეთ, ე. ი. თავის გარეურთიერთობაში, ისევე შორს უნდა აწვდენდეს, ამასთან სულ სხვადასხვა მხარეს აწვდენდეს, თავის ხელს, როგორც ყოველი რევოლუციური ორგანიზაცია. მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აქაც აუცილებლად რევოლუციონერ-მუშათა ჯგუფი უნდა წარმოადგენდეს ბირთვსა და ხელმძღვანელს, «ბატონ-პატრონს». წმინდა მუშური ან პროფესიული ტიპის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების, მათ შორის აგრეთვე «საქარხნო» წრეების ტრადიციასთან სრულიად უნდა გავწყვიტოთ კავშირი. საქარხნო ჯგუფი ან საქარხნო (საფაბრიკო) კომიტეტი (რათა განვასხვაოთ იგი სხვა ჯგუფებისაგან, რომელთა რიცხვიც ძალიან დიდი უნდა იყოს) უნდა შესდგებოდეს ფრიად მცირერიცხოვან რევოლუციონერთაგან, რომელნიც უშუალოდ კომიტეტისაგან იღებენ დავალებებსა და რწმუნებებს — აწარმოონ მთელი სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ქარხანაში. საქარხნო კომიტეტის ყველა წევრი თავისთავს უნდა უყურებდეს, როგორც კომიტეტის აგენტს, რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს კომიტეტის ყველა განკარგულებას, ვალდებულია დაიცვას იმ «მოქმედი არმიის» ყველა «კანონი და ჩვეულება», რომელშიც ის შევიდა და რომლიდანაც ომის დროს გამოსვლის უფლება უფროსების ნებადაურთველად არა აქვს. ამიტომ საქარხნო კომიტეტის შემადგენლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, და კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ სწორად მოაწყოს ეს ქვეკომიტეტები. ეს საქმე მე ასე

წარმომიდგენია: კომიტეტი თავის ამა თუ იმ წევრებს (პლუს, ვთქვათ, ესა და ეს პირები მუშათა წრიდან, პირები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ შესულან კომიტეტში, მაგრამ რომელთაც შეუძლიათ სასარგებლონი იყვნენ თავიანთი გამოცდილებით, ადამიანთა ცნობით, ჭკუა-გონებით, ნაცნობობით) ავალებს მოაწყონ ყველგან საქარხნო ქვეკომიტეტები. კომისია თათბირობს რაიონულ რწმუნებულებთან, ნიშნავს მთელ რიგ შეხვედრებს, კარგად გამოსცდის საქარხნო ქვეკომიტეტთა წევრობის კანდიდატებს, აწყობს მათს ჯვარედინსა და «მიკერძებით» დაკითხვას, თუ საჭიროა, ამოწმებს მათ, ამასთან ცდილობს თვითონ ნახოს და უშუალოდ გამოსცადოს მოცემული ქარხნის საქარხნო ქვეკომიტეტის წევრობის კანდიდატთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი და, დასასრულ, წინადადებას აძლევს კომიტეტს დაამტკიცოს თვითეული საქარხნო წრის ესა და ეს შემადგენლობა ან რწმუნება მისცეს ამა და ამ მუშას — შეადგინოს, დასახოს, შეარჩიოს მთელი ქვეკომიტეტი. ამრიგად, კომიტეტივე განსაზღვრავს, თუ ამ აგენტებიდან რომელს უნდა ჰქონდეს მასთან ურთიერთობა და როგორ უნდა ჰქონდეს ეს ურთიერთობა (საერთო წესით რაიონულ რწმუნებულთა საშუალებით, მაგრამ შეიძლება ეს წესი შეივსოს ან შეიცვალოს). ამ საქარხნო ქვეკომიტეტების დიდი მნიშვნელობის გამო, ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ, შეძლებისდაგვარად, რომ თვითეულ ქვეკომიტეტს ჰქონდეს მისამართიც ცენტრალურ ორგანოში მიმართვისათვის და თავისი კავშირურთიერთობის მასალაც დაცულ ადგილას (ე. ი. რომ ცნობები, რომლებიც საჭიროა ქვეკომიტეტის დაუყოვნებლივი აღდგენისათვის ჩავარდნის შემთხვევაში, რაც შეიძლება რეგულარულად და უხვად გადაეცემოდეს პარტიის ცენტრს იქ შესანახად, სადაც რუს ჟანდარმებს ხელი ვერ მიუწვდებათ). თავისთავად გასაგებია, რომ მისამართების ამ გადაცემას უნდა განსაზღვრავდეს კომიტეტი თავისი მოსაზრებებისა და ცნობების მიხედვით, და არა ამ მისამართთა «დემოკრატიული» განაწილების არარსებული უფლების მიხედვით. დასასრულ, ეგებ ზედმეტი არ იყოს დავძინოთ,

რომ ზოგჯერ რამდენიმე წევრისაგან შემდგარი საქარხნო ქვეკომიტეტის მაგივრად საჭირო იქნება ან უფრო მოხერხებული იქნება დავჯერდეთ კომიტეტის მიერ ერთი აგენტის (და მისი კანდიდატის) დანიშვნას. როცა საქარხნო ქვეკომიტეტი ჩამოყალიბდება, იგი უნდა შეუდგეს მთელი რიგი საქარხნო ჯგუფებისა და წრეების შექმნას, რომლებსაც ექნებათ სხვადასხვა ამოცანები, კონსპირაციულობისა და გაფორმების სხვადასხვა ხარისხი, მაგ., უნდა შეიქმნას წრეები ლიტერატურის დასატარებლად და გასავრცელებლად (ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ჩვენ ნამდვილი საკუთარი ფოსტა გვქონდეს, რომ შემოწმებული და გამოცდილი იყოს არა მარტო გავრცელების ხერხები, არამედ ბინებზე დატარებაც, რომ აუცილებლად ვიცოდეთ ყველა ბინა და მათი შესავალ-გამოსავალი), წრეები არალეგალური ლიტერატურის საკითხავად, წრეები ჯაშუშების სათვალთვალოდ *, წრეები პროფესიული მოძრაობისა და ეკონომიური ბრძოლის სპეციალური ხელმძღვანელობისათვის, წრეები აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისა, რომლებსაც შეეძლებათ ლაპარაკის დაწყება და დიდხანს განგრძობა სავსებით ლეგალურად (მანქანების, ინსპექციის და სხვ. შესახებ) ისე, რომ ილაპარაკონ უშიშრად და საჯაროდ, რომ გაიცნონ ადამიანები და მოსინჯონ ნიადაგი და ა. შ. **. საქარხნო ქვეკომიტეტი უნდა

* ჩვენ უნდა ჩავაგონოთ მუშებს, რომ ჯაშუშების, პროვოკატორებისა და გამცემლების მოკვლა, რა თქმა უნდა, ზოგჯერ აუცილებლად საჭიროა, მაგრამ რომ ფრიად არასასურველი და შემცდარი იქნებოდა ამის სისტემად გადაქცევა, რომ უნდა ვცდილობდეთ შევქმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება არარად აქციოს ჯაშუშების მუშაობა მათი გამოაშკარავებით და დევნით. ჯაშუშების ამოხოცვა შეუძლებელია, ხოლო ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მათ თვალყურს ადევნებს და მუშათა მასას აღზრდის, შესაძლებელიც არის და საკვალდებულოც.

** საჭიროა მებრძოლი წრეებიც, რომლებიც გამოიყენებენ ჯარში ნამსახურთ ან ძალიან ღონიერ და მარჯვე მუშებს დემონსტრაციებისათვის, საპატიმროებიდან განთავისუფლებისათვის და სხვ.

ცდილობდეს, რათა ყოველნაირი წრეების (ან აგენტების) ქსელში ჩააბას მთელი ქარხანა, მუშათა რაც შეიძლება მეტი ნაწილი. ქვეკომიტეტის საქმიანობის წარმატება უნდა განიზომებოდეს ამ წრეების სიუხვით, იმით, რომ მიმომსვლელ პროპაგანდისტს შეეძლოს ამ წრეებთან მისვლა და, რაც მთავარია, მართებული რეგულარული მუშაობით ლიტერატურის გავრცელებისა და ცნობების და კორესპონდენციების მიღების დარგში.

ამრიგად, ორგანიზაციის საერთო ტიპი, ჩემი აზრით, ასეთი უნდა იყოს: მთელი ადგილობრივი მოძრაობის, მთელი ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის სათავეში კომიტეტი დგას. კომიტეტისაგან გამომდინარეობენ მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებანი და ფილიალური განყოფილებანი: ჯერ ერთი, ამსრულებელი აგენტების ქსელი, რომელიც მოიცავს მუშათა მთელ (შეძლებისდაგვარად) მასას და მოწყობილია რაიონული ჯგუფებისა და საქარხნო (საფაბრიკო) ქვეკომიტეტების სახით. ეს ქსელი მშვიდობიანობის დროს გაავრცელებს ლიტერატურას, ფურცლებს, პროკლამაციებს და კომიტეტის კონსპირაციულ ცნობებს; ომიანობის დროს მოაწყობს დემონსტრაციებს და სხვა ამგვარ კოლექტიურ მოქმედებას. მეორეც, კომიტეტისაგანვე გამომდინარეობენ მთელი რიგი წრეები და ჯგუფები (პროპაგანდა, ტრანსპორტი, ყოველგვარი კონსპირაციული საქმე და ა. შ.), რომლებიც მომსახურებას უწევენ მთელ მოძრაობას. ყველა ჯგუფი, წრე, ქვეკომიტეტი და სხვა უნდა იყოს კომიტეტის დაწესებულებათა ან კომიტეტის ფილიალურ განყოფილებათა მდგომარეობაში. ზოგი მათგანი პირდაპირ განაცხადებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შესვლის სურვილს და, თუ კომიტეტი დაამტკიცებს, შევა მის შემადგენლობაში, იკისრებს (კომიტეტის დავალებით ან მასთან შეთანხმებით) განსაზღვრულ ფუნქციებს, ვალდებული გახდება დაემორჩილოს პარტიის ორგანოთა განკარგულებებს, მიიღებს პარტიის ყველა წევრის უფლებებს, ჩაითვლება კომიტეტის წევრობის უახლოეს კანდიდატად და ა. შ.. ზოგნი არ

შევლენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და იქნებიან წრეების მდგომარეობაში, რომლებიც მოწყობილია პარტიის წევრების მიერ, ანდა რომლებიც ემხრობიან პარტიის ამა თუ იმ ჯგუფს და ა. შ..

ყველა თავის შინაურ საქმეში ყველა ამ წრის წევრები, რა თქმა უნდა, ისევე თანასწორუფლებიანნი არიან, როგორც კომიტეტის წევრები ერთმანეთს შორის. აქედან ერთადერთი გამონაკლისი ის იქნება, რომ ადგილობრივ კომიტეტთან (აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტთან და ცენტრალურ ორგანოსთან) პირადი ურთიერთობის უფლება ექნება მხოლოდ იმ პირს (ან პირებს), რომელიც ამ კომიტეტის მიერ არის დანიშნული. სხვა მხრივ ეს პირი ყოველნაირად თანასწორუფლებიანი იქნება დანარჩენებთან, რომლებსაც ისეთივე უფლება აქვთ განცხადებებით მიმართონ (მაგრამ არა პირადად) ადგილობრივ კომიტეტსაც, ცენტრალურ კომიტეტსაც და ცენტრალურ ორგანოსაც. ამგვარად, აღნიშნული გამონაკლისი არსებითად სრულიადაც არ იქნება თანასწორუფლებიანობის დარღვევა, არამედ იქნება მხოლოდ აუცილებელი დათმობა კონსპირაციის უსათუო მოთხოვნების მიმართ. კომიტეტის წევრი, რომელიც «თავისი» ჯგუფის განცხადებას არ გადასცემს კომიტეტს, ცენტრალურ კომიტეტს ან ცენტრალურ ორგანოს, პასუხისმგებელი იქნება პარტიული მოვალეობის აშკარა დარღვევისათვის. შემდეგ, რაც შეეხება სხვადასხვაგვარი წრეების კონსპირაციულობას და გაფორმებას, ეს დამოკიდებული იქნება მათი ფუნქციების ხასიათზე: ამის მიხედვით აქ იქნებიან სულ სხვადასხვანაირი ორგანიზაციები (დაწყებული ყველაზე «მკაცრით», ვიწროთი, კარჩაკეტილით და გათავებული ყველაზე «თავისუფალით», ფართოთი, აშკარათი, ნაკლებად გაფორმებულით). მაგალითად, დამტარებელთა ჯგუფისათვის საჭიროა უდიდესი კონსპირაცია და სამხედრო დისციპლინა. პროპაგანდისტთა ჯგუფისათვის კონსპირაცია ასევე საჭიროა, სამხედრო დისციპლინა კი — გაცილებით ნაკლებ. იმ მუშების ჯგუფისათვის, რომლებიც ლეგალურ ლიტერატურას კითხულობენ ან საუბრებს მართავენ პროფესიულ

საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, უფრო ნაკლები კონსპირაციაა საჭირო და ა. შ. დამტარებელთა ჯგუფები უნდა ეკუთვნოდნენ რსდმპ და იცნობდნენ მის წევრთა და მის თანამდებობის პირთა განსაზღვრულ რიცხვს. ჯგუფი, რომელიც სწავლობს შრომის პროფესიულ პირობებს და იმუშავებს პროფესიულ მოთხოვნათა სახეებს, სავალდებულო არ არის რსდმპ ეკუთვნოდეს. იმ სტუდენტთა, ოფიცერთა, მოსამსახურეთა ჯგუფმა, რომლებიც თვითგანვითარებას ეწევიან პარტიის ერთი ან ორი წევრის მონაწილეობით, ზოგჯერ სრულიადაც არ უნდა იცოდეს, რომ პარტიის ხსენებული წევრი პარტიას ეკუთვნის, და სხვ. მაგრამ ერთ შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად უნდა მოვითხოვდეთ საქმის მაქსიმალურ გაფორმებას ყველა ამ ფილიალურ ჯგუფში, სახელდობრ: პარტიის ყოველ წევრს, რომელიც ამ ჯგუფებში მონაწილეობს, ეკისრება ფორმალური პასუხისმგებლობა ხსენებულ ჯგუფებში საქმის წარმართვისათვის, ეკისრება აგრეთვე ვალდებულება მიიღოს ყველა ზომა, რომ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს წინაშე რაც შეიძლება აშკარა იყოს თვითეული ასეთი ჯგუფის შემადგენლობაც, მისი მუშაობის მთელი მექანიზმიც და ამ მუშაობის მთელი შინაარსიც. ეს აუცილებელია იმისთვისაც, რომ ცენტრს მთელი მოძრაობის სრული სურათი ჰქონდეს, იმისთვისაც, რომ შესაძლებელი იყოს ადამიანთა რაც შეიძლება ფართო წრიდან მოხდეს სხვადასხვა პარტიული თანამდებობისათვის შერჩევა, იმისთვისაც, რომ ერთი ჯგუფისაგან (ცენტრის საშუალებით) შეეძლოს მთელ რუსეთში არსებულ ყველა ამგვარ ჯგუფს ისწავლოს, იმისთვისაც, რომ წინასწარი ზომები იქნას მიღებული პროვოკატორებისა და საეჭვო პირების გამოჩენის წინააღმდეგ, — ერთი სიტყვით, ეს უსათუოდ საჭიროა და ყველა შემთხვევაში გადაჭრით აუცილებელია.

როგორ უნდა გაკეთდეს ეს? რეგულარული მოხსენებანი უნდა წარედგინოს კომიტეტს, უნდა ეცნობოს ცენტრალურ ორგანოს ამ მოხსენებათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის შინაარსის რაც შეიძლება მეტი ნაწილი, ცენტრალური კომი-

ტეტისა და ადგილობრივი კომიტეტის წევრებმა უნდა ინახულონ ხოლმე ყოველგვარი წრეები, დასასრულ, ამ წრესთან კავშირი, ე. ი. ამ წრის რამდენიმე წევრის სახელი და მისამართი აუ ც ი ლ ე ბ ლ ა დ გადაცემულ უნდა იქნას დაცულ ადგილას (და პარტიის ბიუროში ცენტრალურ ორგანოსთან და ცენტრალურ კომიტეტთან). მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხსენებებს აცნობენ და კავშირურთიერთობას გადასცემენ, შეიძლება აღიარებულ იქნას, რომ თავისი მოვალეობა შეასრულა პარტიის წევრმა, რომელიც ამა თუ იმ წრეში მონაწილეობს; მხოლოდ მაშინ შეეძლება მთლიანად პარტიას ი ს წ ა ვ ლ ო ს თვითეული წრისაგან, რომელიც პრაქტიკულ მუშაობას ეწევა; მხოლოდ მაშინ არ იქნება საშიში ჩვენთვის ჩავარდნები, რადგან სხვადასხვაგვარ წრეებთან კავშირურთიერთობის დროს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის დელეგატს ყოველთვის ადვილად შეეძლება მ ა შ ი ნ ვ ე მონახოს შემცვლელები და აღადგინოს საქმე. მაშინ კომიტეტის კრახი მთელ მანქანას კი არ დაამსხვრევს, არამედ მხოლოდ მოსწყვეტს ხელმძღვანელებს, რომლებსაც მზად ჰყავთ კანდიდატები. და დაე ნუ ამბობენ, რომ მოხსენებათა და კავშირურთიერთობის შეტყობინება შეუძლებელია კონსპირაციული პირობების გამო: საჭიროა მხოლოდ მონდომება, ცნობებისა და კავშირურთიერთობის გადაცემის (ან გადაგზავნის) შესაძლებლობა კი ყოველთვის არის და ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ი ქ ნ ე ბ ა, ვიდრე გვეყოლება კომიტეტები, ვიდრე არის ცენტრალური კომიტეტი ან ცენტრალური ორგანო.

ჩვენ მივადექით მთელი პარტიული ორგანიზაციისა და პარტიული მოღვაწეობის ფრიად მნიშვნელოვან პრინციპს: თუ პროლეტარიატის მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის იდეური და პრაქტიკული ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი ს მხრივ საჭიროა რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა, სამაგიეროდ პარტიის ცენტრისათვის (და, მაშასადამე, საერთოდ მთელი პარტიისთვისაც) მოძრაობის შესახებ ც ნ ო ბ ე ბ ი ს მ ი წ ო დ ე ბ ი ს მხრივ, პარტიის წინაშე პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს მხრივ საჭიროა რ ა ც შ ე ი ძ ლ ე-

ბ ა მ ე ტ ი დ ე ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა. მოძრაობას უნდა ხელმძღვანელობდეს რაც შეიძლება ნაკლები რიცხვი რაც შეიძლება უფრო ერთგვაროვანი ჯგუფებისა, რომლებიც დახელოვნებულნი არიან პროფესიონალ რევოლუციონერთა გამოცდილებით. მოძრაობაში უნდა მონაწილეობდეს პროლეტარიატის (და ხალხის სხვა კლასების) სულ სხვადასხვანაირი ფენების რაც შეიძლება მრავალფეროვან და მრავალგვაროვან ჯგუფთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი. და თვითეული ასეთი ჯგუფის მიმართ პარტიის ცენტრს ყოველთვის თვალწინ უნდა ჰქონდეს არა მარტო ზუსტი ცნობები მათი საქმიანობის შესახებ, არამედ რაც შეიძლება ს რ უ ლ ი ც ნ ო ბ ე ბ ი ც ამ ჯგუფთა შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. ჩვენ უნდა მოვახდინოთ მოძრაობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია. ჩვენ აგრეთვე უნდა მოვახდინოთ (და უნდა მოვახდინოთ ა მ ი ს ა თ ვ ი ს, რადგან ცნობების უქონებლად ცენტრალიზაცია შეუძლებელია) პარტიის თვითეული წევრის, მუშაობის თვითეული მონაწილის, პარტიაში შემავალი ან პარტიის მომხრე თვითეული წრის პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა შ ე პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ი ს რაც შეიძლება მეტი დ ე ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა. ეს დეცენტრალიზაცია რევოლუციური ცენტრალიზაციის აუცილებელი პირობა და მ ი ს ი ა უ ც ი ლ ებ ელ ი კ ო რ ე ქ ტ ი ვ ი ა. სახელდობრ, როცა ცენტრალიზაცია ბოლომდე იქნება მიყვანილი და ჩვენ გვექნება ცენტრალური ორგანო და გვეყოლება ცენტრალური კომიტეტი, მაშინ თვითეული სულ უმცირესი ჯგუფის მათდამი მიმართვის შესაძლებლობა, — და არა მარტო მიმართვის შესაძლებლობა, არამედ მრავალი წლის პრაქტიკით შემუშავებული რ ე გ უ ლ ა რ ო ბ ა ც ცენტრალური ორგანოსადმი და ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვისა — თავიდან აგვაცილებს ამა თუ იმ ადგილობრივი კომიტეტის შემადგენლობის შემთხვევითი უვარგისობის სამწუხარო შედეგების შესაძლებლობას. ახლა, როდესაც ჩვენ უშუალოდ ვუახლოვდებით პარტიის ფაქტიურ გაერთიანებას და ნამდვილი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნას, განსაკუთრებით მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ე ს ც ე ნ-

ტრიუძლურიიქნება, თუ ჩვენ ამავე დროს არ გავატარებთ მაქსიმალურ დეცენტრალიზაციას მის წინაშე პასუხისმგებლობის საქმეშიც და პარტიული მანქანის ყველა დიდი და პატარა ბორბლის შესახებ მისთვის ცნობების მიწოდების საქმეშიც. ასეთი დეცენტრალიზაცია სხვა არა არის რა, თუ არა მეორე მხარე შრომის იმ განაწილებისა, რომელიც საყოველთაო აღიარებით შეადგენს ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად საარსებო პრაქტიკულ საჭიროებას. ვერავითარი ოფიციალური აღიარება ამა თუ იმ ორგანიზაციისა ხელმძღვანელ ორგანიზაციად, ვერავითარი შექმნა ფორმალური ცენტრალური კომიტეტისა ჯერ კიდევ ვერ გახდის ჩვენს მოძრაობას ნამდვილად ერთიან მოძრაობად, ჯერ კიდევ ვერ შექმნის მტკიცე მებრძოლ პარტიას, თუ პარტიული ცენტრი წინანდებურად დაშორებული იქნება უშუალო პრაქტიკული მუშაობისაგან ძველი ტიპის ადგილობრივი კომიტეტების მიერ, ე. ი. ისეთი კომიტეტების მიერ, სადაც, ერთი მხრივ, შედის პირთა მთელი გროვა, რომელთაგან თვითეული განაგებს ყველა და ყოველგვარ საქმეს, და ყურადღებას არ აქცევს რევოლუციური მუშაობის ცალკეული ფუნქციების შესრულებას, პასუხისმგებელი არ არის სპეციალური საქმეებისათვის, ბოლომდე არ მიჰყავს ხოლმე ერთხელ დაწყებული, კარგად მოფიქრებული და მომზადებული საქმე, აუარებელ დროსა და ძალას ხარჯავს რადიკალურ ფუსფუსზე, — ხოლო მეორე მხრივ, მოიპოვება სტუდენტთა და მუშათა მრავალი წრე, რომლებსაც სანახევროდ სულაც არ იცნობს კომიტეტი, რომელნიც სანახევროდ ისევე ვეებაა, არასპეციალიზებულია, არ იმუშავებენ პროფესიულ გამოცდილებას, არ იყენებენ სხვათა გამოცდილებას და სწორედ ისევე, როგორც კომიტეტი, გართულნი არიან დაუსრულებელი თათბირებით «ყველაფერზე», გართულნი არიან არჩევნებით და წესდებათა შედგენით. იმისათვის, რომ ცენტრმა შეძლოს კარგად მუშაობა, აღგილობრივმა კომიტეტებმა უნდა გარდაქმნან თავისთავი, ისინი უნდა გახდნენ სპეციალიზებულ და უფრო «საქმიან» ორგანიზაციებად, რომლებიც ნამდვილ «სრულყო-

ფას» აღწევენ ხან ერთ, ხან მეორე პრაქტიკულ ფუნქციაში. იმისათვის, რომ ცენტრს შეეძლოს არა მარტო რჩევა-დარიგება, დაჯერება, დავა (როგორც ეს დღემდე ხდებოდა), არამედ ორკესტრის ნამდვილი დირიჟორობა, ამისათვის აუცილებელია მან ზუსტად იცოდეს, თუ ვინ სად და რა საკრავს უკრავს, სად, როგორ და რა ინსტრუმენტის დაკვრას სწავლობდა და სწავლობს, ვინ, სად და რატომ ყალბობს (როდესაც მუსიკა ყურსა სჭრის) და ვინ, როგორ და სად უნდა გადავიყვანოთ დისონანსის გამოსასწორებლად და სხვ. ამჟამად, — პირდაპირ უნდა ითქვას, — ჩვენ ან არაფერი ვიცით კომიტეტის ნ ა მ დ ვ ი ლ შ ი ნ ა გ ა ნ მუშაობაზე, გარდა მისი პროკლამაციებისა და საერთო კორესპონდენციებისა, ანდა ვიცით მეგობრებისაგან და პირადად კარგი ნაცნობებისაგან. მაგრამ სასაცილოა იმის ფიქრი, რომ ამას შეიძლება დასჯერდეს უზარმაზარი პარტია, რომელსაც უნარი შესწევს უხელმძღვანელოს რუსეთის მუშათა მოძრაობას და რომელიც ამზადებს საერთო შეტევას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. კომიტეტის წევრთა რიცხვის შემცირება, თვითეული მათგანისათვის, შეძლებისდაგვარად, გარკვეული, განსაკუთრებული საქვეანგარიშო და პასუხსაგები ფუნქციის მინდობა, განსაკუთრებული, ფრიად მცირერიცხოვანი, განმკარგულებელი ცენტრის შექმნა, ამსრულებელ აგენტთა ქსელის შექმნა, რომლებიც კომიტეტს დააკავშირებენ თვითეულ დიდ ქარხანასა და ფაბრიკასთან, რეგულარულად გაავრცელებენ ლიტერატურას და ცენტრს მისცემენ ამ გავრცელებისა და მუშაობის მთელი მექანიკის ზუსტ სურათს, დასასრულ, მრავალრიცხოვანი ჯგუფებისა და წრეების შექმნა, რომლებიც კისრულობენ სხვადასხვა ფუნქციას ან აერთიანებენ იმ პირთ, ვინც ემხრობა სოციალ-დემოკრატიას, ეხმარება მას, ემზადება იმისათვის, რომ გახდეს სოციალ-დემოკრატი, იმ ვარაუდით, რომ კომიტეტმა და ცენტრმა ყოველთვის იცოდნენ ამ წრეების საქმიანობა (და შემადგენლობა), — აი რაში უნდა მდგომარეობდეს პარტიის ს.-პეტერბურგისა და

ყველა სხვა კომიტეტის რეორგანიზაცია, და აი რატომ აქვს ასეთი მცირე მნიშვნელობა წესდების საკითხს.

მე დავიწყე წესდების მონახაზის განხილვით, რათა უფრო თვალსაჩინოდ დამენახვებინა, თუ საით არის მიმართული ჩემი წინადადებანი. და იმედი მაქვს, ამის შედეგად მკითხველისათვის ნათელი გახდა, რომ არსებითად, კაცმა რომ თქვას, შეიძლება წესდებასაც შეველიოთ და შევცვალოთ იგი რეგულარული ანგარიშით თვითეული წრის შესახებ, მუშაობის თვითეული ფუნქციის შესახებ. რა შეიძლება დაიწეროს წესდებაში? კომიტეტი ყველას ხელმძღვანელობს (ეს ისედაც ნათელია). კომიტეტი ირჩევს განმკარგულებელ ჯგუფს (ეს ყოველთვის როდია საჭირო, ხოლო როდესაც საჭიროა, საქმე წესდება კი არ არის, არამედ ისაა, რომ ცენტრს ეცნობოს ამ ჯგუფის შემადგენლობა და მისი კანდიდატები). კომიტეტი თავის წევრთა შორის ანაწილებს მუშაობის ცალკეულ მხარეებს და თვითეულს ავალებს რეგულარულად მოახსენოს კომიტეტს და აცნობოს ცენტრალურ ორგანოს და ცენტრალურ კომიტეტს საქმის მსვლელობა (და აქ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ცენტრს ეცნობოს ესა და ეს განაწილება, ვიდრე ის, რომ წესდებაში დაიწეროს წესი, რომელიც ჩვენი ძალების სიმცირის გამო ხშირად გამოუყენებელი დარჩება). კომიტეტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ ვინ არის მისი წევრი. კომიტეტი შეივსება კოოპტაციით. კომიტეტი ნიშნავს რაიონულ ჯგუფებს, საქარხნო ქვეკომიტეტებს, ამა და ამ ჯგუფს (თუ დავიწყებთ სასურველი ჯგუფების ჩამოთვლას, სულ ერთია, ვერასოდეს ვერ გავათავებთ ამ ჩამოთვლას, ხოლო დაახლოებითი ჩამოთვლა წესდებაში საჭირო არ არის; საკმარისია ცენტრს ეცნობოს დაარსება). რაიონული ჯგუფები და ქვეკომიტეტები ჰქმნიან ასეთსა და ასეთს წრეებს... ასეთი წესდების შედგენა მით უფრო ნაკლებად სასარგებლოა ამჟამად, რომ ჩვენ თითქმის არ გაგვაჩნია (მრავალ ადგილას სრულიად არა გვაქვს) ასეთი სხვადასხვა ჯგუფისა და ქვეჯგუფების საქმიანობის საერთო-პარტიული გამოცდილება, ასეთი გამოცდილების

შესამუშავებლად კი საჭიროა არა წესდება, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პარტიული ინფორმირების მოწყობა: ჩვენში თვითეული ადგილობრივი ორგანიზაცია სულ ცოტა რამდენიმე საღამოს ანდომებს წესდებას. ეს დრო თვითეულმა თავისი სპეციალური ფუნქციის მიხედვით რომ მოახმაროს ამ ფუნქციის შესახებ დაწვრილებითსა და მოფიქრებულ ანგარიშს მ თ ე ლ ი პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა შ ე, საქმე ერთიასად მოიგებდა.

და მარტო იმიტომ კი არ არის წესდება უსარგებლო, რომ რევოლუციური მუშაობა ყოველთვის როდი იძლევა გაფორმების შესაძლებლობას. არა, გაფორმება საჭიროა, და ჩვენ უნდა ვცდილობდეთ გ ა ვ ა ფ ო რ მ ო თ, შეძლებისდაგვარად, მთელი მუშაობა. და გაფორმება გაცილებით მეტი მასშტაბით არის დასაშვები, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ჰგონიათ, მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება არა წესდებით, არამედ მხოლოდ და მარტოოდენ (ვიმეორებთ ამას კიდევ და კიდევ) პარტიის ცენტრის ზუსტი ინფორმირებით: მხოლოდ მაშინ იქნება ეს რეალური გაფორმება, დაკავშირებული რეალურ პასუხისმგებლობასთან და (პარტიული წესით) გამოქვეყნებასთან. და ვინ არ იცის ჩვენში, რომ ს ე რ ი ო ზ უ ლ ი კონფლიქტები და უთანხმოებანი ჩვენთან არსებითად წყდება სრულიადაც არა კენჭისყრით «წესდების მიხედვით», არამედ ბრძოლით და «გასვლის» მუქარით? ასეთი შინაგანი ბრძოლით აღსავსეა ჩვენი კომიტეტების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ამ უკანასკნელი 3 — 4 წლის პარტიული ცხოვრების ისტორია. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ბრძოლა არ იყო გაფორმებული: ის მაშინ გაცილებით მეტს მოგვცემდა პარტიის ჭკუის სასწავლებლად, ჩვენი მემკვიდრეების გამოცდილებისათვის. მაგრამ ა ს ე თ სასარგებლო და აუცილებელ გაფორმებას არავითარი წესდება არ ქმნის, არამედ მარტოოდენ პ ა რ ტ ი უ ლ ი წ ე ს ი თ გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ა. ჩვენში თვითმპყრობელობის დროს არ შეიძლება იყოს პარტიული წესით გამოქვეყნების სხვა საშუალება და იარაღი, გარდა იმისა, რომ პარტიული ცენტრი რეგულარულად იქნას ინფორმირებული.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც ვისწავლით ამ საჯაროდ გამოქვეყნების ფართოდ გამოყენებას, ჩვენში ნამდვილად შემუშავდება ამა თუ იმ ორგანიზაციის ფუნქციონირების გამოცდილება, მხოლოდ ასეთი ფართო და მრავალი წლის გამოცდილების საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს წესდებები, რომლებიც მარტო ფარატინა ქაღალდი არ იქნება.

---

# პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკანობა

რუსეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკას, მგონია, ყველაზე ნაკლებად შეიძლება ამჟამად ვუსაყვედუროთ გაბედულებისა და გარკვეულობის ნაკლებობა. შინაურ მტერთან ბრძოლა სავსებით გაჩაღებულია. არა გვგონია წინათ როდისმე ასე გავსებული ყოფილიყოს პატიმრებით ციხეები, საპყრობილეები, საპატიმროები, პოლიციის ნაწილებთან არსებული განსაკუთრებული სადგომები და კერძო სახლები და ბინებიც კი, რომლებიც დროებით საპატიმროებად არიან გადაქცეულნი. არ არის ადგილი, რომ ყველა შეპყრობილი მოათავსონ, არ არის შესაძლებლობა — ყველა გადასახლებული ჩვეულებრივი «ტრანსპორტით» გაგზავნონ ციმბირში ისე, რომ ექსტრაორდინარული «ექსპედიციები» არ მოაწყონ, არ არის ძალა და საშუალება, რომ ერთნაირ რეჟიმში ჩააყენონ ყველა დაპატიმრებულნი, რომელთაც განსაკუთრებით აღაშფოთებს და საპროტესტოდ, საბრძოლველად და შიმშილობის გამოსაცხადებლად აღაგზნებს თავგზააბნეულ და თავნება ადგილობრივ ხელისუფალთა სრული თვითნებობა. უმაღლესი ხელისუფალნი კი, რომლებიც თავიანთ წვრილფეხა მოხელეებს ანდობენ ანგარიში გაუსწორონ უკვე შეპყრობილ შინაურ მტრებს, გულმოდგინედ განაგრძობენ მუშაობას პოლიციის «გაუმჯობესებასა» და რეორგანიზაციაზე, — ფესვებთან და ძაფებთან შემდგომი ბრძოლის მიზნით. ეს აშკარა და ნამდვილი ომია, რომელსაც რუს ობივატელთა სულ უფრო და უფრო მეტი მასები არამარტო ხედავენ, არამედ ცოტად თუ ბევრად უშუალოდ გრძნობენ კიდეც. პოლიციისა და ჟანდარ-

მერიის მფრინავ რაზმთა ავანგარდს ნელა, მაგრამ განუხრელად მისდევს მძიმე საკანონმდებლო მანქანაც. აიღეთ უკანასკნელი თვის კანონები, — და თქვენ უწინარეს ყოვლისა თვალში გეცემათ ახალი ბრძანებულებანი, რომლებიც საბოლოოდ სპობენ ფინეთის თავისუფლების უკანასკნელ ნაშთებს, აგრეთვე, თუ გნებავთ, ვრცელი კანონი თავადაზნაურთა ურთიერთდახმარების სალაროების შესახებ. პირველი ამ ღონისძიებათაგანი სავსებით უთხრის ძირს ფინეთის სასამართლოებისა და სენატის დამოუკიდებლობას და შესაძლებლობას აძლევს გენერალ-გუბერნატორს ყველაფერი იცოდეს, ყველაფერს განაგებდეს, ე. ი. ფინეთს ფაქტიურად აქცევს რუსეთის ერთ-ერთ უუფლებო და დამცირებულ პროვინციად მრავალ ასეთ პროვინციათა შორის. ამიერიდან, — შენიშნავს პოლიციურ-ოფიციალური «ფინლიანდსკაია გაზეტა», — იმედია, რომ ყველა ადგილობრივი დაწესებულება «ჰარმონიულად» იმოქმედებს... აღარ ვიცი, ეს გულღვარძლიანი დაცინვაა უიარაღო მოწინააღმდეგეზე, რომელსაც უაღრესად უხამსად და უაღრესად ულმობლად ჩასცეს ლახვარი, თუ ფარისევლური ლიტონსიტყვაობაა იუდუშკა გოლოვლიოვის ყაიდაზე.

დასახელებული კანონებიდან მეორე კანონი ახალი ნაყოფია თავადაზნაურთა წოდების საქმეებზე შექმნილი იმავე განსაკუთრებული თათბირისა, რომელმაც სამშობლოს უკვე უწყალობა ციმბირის მიწების გაძარცვა («ციმბირში მემამულეთა მიწათმფლობელობის დანერგვა») [57]. სასტიკი სავაჭრო-სამრეწველო კრიზისისა და სოფლის სრული გაღატაკების დროს, როდესაც მილიონობით მუშა და გლეხი შიმშილობს, საზრდოს ნაკლებობას განიცდის და გაჭირვებულია, რა თქმა უნდა, ძნელია წარმოვიდგინოთ ხალხის ფულის იმაზე უკეთ გამოყენება, თუ არა ის, რომ წყალობა უბოძონ საწყალ ბატონ მიწათმფლობელ-თავადაზნაურებს. მთავრობა თავადაზნაურთა ურთიერთდახმარების თვითეულ სალაროს, ჯერ ერთი, ერთდროულად მისცემს განსაზღვრულ თანხას («ხელმწიფე-იმპერატორის შეხედულებისამებრ»!), და, მეორე, ათი

წლის განმავლობაში მისცემს ხოლმე იმდენსავე, რამდენსაც შეაგროვებენ თვით ადგილობრივი თავადაზნაურები. სალარო დაეხმარება იმათ, ვისაც უჭირს ვალის პროცენტების გადახდა. ბატონ თავადაზნაურებს შეუძლიათ არხეინად აიღონ სესხი, როდესაც ნაჩვენებია ასეთი იოლი გზა — ხალხის ჯიბიდან ფულის ამოღება ვალის გასასტუმრებლად.

და თითქოს განზრახ, — ამ დევნა-შევიწროების, ძალადობისა და ძარცვის პოლიტიკის შესაჯამებლად, ამ პოლიტიკის განზოგადებისა და კურთხევის მიზნით, — წარმოითქვა მეფის სიტყვები თავადაზნაურთა, ერობელთა, გლეხთა და მუშათა მიმართ (კურსკში და ს.-პეტერბურგში). თავადაზნაურებს მეფემ მადლობა გამოუცხადა სამსახურისათვის, რასაც მას უწევენ «არა შიშით, არამედ სინდისით», და აღუთქვა მუდმივი მზრუნველობა მემამულური მიწათმფლობელობის განმტკიცებისათვის, «რომელიც დასაბამითვე წარმოადგენს რუსეთის წესრიგისა და ზნეობრივი ძლიერების ბურჯს». ერობელებს მეფემ ერთი სიტყვაც არ უთხრა არც ბურჯზე, არც რუსეთის ზნეობრივ ძლიერებაზე, არც სამსახურზე არა შიშით, არამედ სინდისით. მეფემ მათ მოკლედ და ნათლად გამოუცხადა, რომ ერობელთა «დანიშნულებაა სამეურნეო საჭიროებათა დარგში საქმეების ადგილობრივ მოწყობა», და მხოლოდ ამის დახსომებით, მხოლოდ ამ დანიშნულების კარგად შესრულებით შეუძლიათ მათ იმედი ჰქონდეთ მისი კეთილმოწყალებისა. ეს სავსებით გარკვეული პასუხი იყო ერობელთა კონსტიტუციურ ზრახვებზე, ეს იყო მათი პირდაპირი გაფრთხილება (ან, უფრო სწორედ, გამოწვევა), მუქარა, რომ მოაკლებს «კეთილმოწყალებას», თუ ერობელები ოდნავ მაინც გამოვლენ «სამეურნეო საჭიროებათა დარგში საქმეთა ადგილობრივ მოწყობის» ფარგლებიდან.

შემდეგ, მეფემ გლეხებს უკვე აშკარა გაიცხვა გამოუცხადა «არეულობისათვის» და «ეკონომიების დარბევისათვის», «დამსახურებული სასჯელი» უწოდა შიმშილისა და სასოწარკვეთილების გამო აჯანყებულ გლეხთა მხეცურ ამოჟლეტას და წამებას და გაახსენა მათ სიტყვები ალექსანდრე III-ისა,

რომელიც ბრძანებდა «მორჩილნი ყოფილიყვნენ თავადაზნაურთა წინამძღოლებისა». დასასრულ, მეფე მუშებს ელაპარაკა, არც მეტი არც ნაკლები, «მტრებზე», თავის მტრებზე, რომლებიც მუშების მტრებიც უნდა იყვნენ.

ამრიგად, თავადაზნაურნი — ერთგული მსახურნი და დასაბამითვე წესრიგის ბურჯნი არიან. ერობელნი (თუ ერობელი თავადაზნაურნი?) გაფრთხილებას იმსახურებენ. გლეხები იმსახურებენ გაკიცხვას და ბრძანებას — მორჩილნი იყვნენ თავადაზნაურებისა. მუშებს პირდაპირ უყენებენ საკითხს მტრების შესახებ. საგულისხმო სიტყვებია. საგულისხმოა მათი შედარება, და ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ პროკლამაციებისა და ფურცლების საშუალებით, წრეებში და კრებებზე საუბრების საშუალებით რაც შეიძლება მეტი ხალხი გაეცნოს ამ სიტყვების ზუსტ ტექსტსა და ნამდვილ მნიშვნელობას. ამ ტექსტთან დართული უბრალო განმარტებითი შენიშვნები საუცხოო მასალა იქნებოდა სააგიტაციოდ მუშათა კლასის ყველაზე განუვითარებელი ფენების, წვრილი ვაჭრებისა და მრეწველების, აგრეთვე გლეხობის ყველაზე ბნელი ნაწილისათვის. და არა მარტო «ბნელი» ხალხისათვის, არამედ მრავალი განათლებული და განსწავლული რუსი ობივატელისთვისაც ურიგო არ იქნება კარგად ჩაუკვირდეს მეფის სიტყვებს, — განსაკუთრებით ურიგო არ იქნება ეს ობივატელებისათვის საერთოდ ლიბერალების წრიდან და მეტადრე ერობელთა წრიდან. ხშირად არ გვიხდება გვირგვინოსანთა ბაგეთაგან მოვისმინოთ ასეთი გარკვეული აღიარება, დადასტურება და გამოცხადება შინაური ომისა: მოსახლეობის სხვადასხვა კლასის ომისა, შინაურ მტრებთან ომისა. და ომის აშკარა აღიარება ძალიან კარგი საშუალებაა ყველა და ყოველგვარი სახის პოლიტიკანობის წინააღმდეგ, ე. ი. იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მიჩქმალონ, გვერდი აუარონ, ჩააქრონ ომი, ან იმ ცდების წინააღმდეგ, რომ შეჰკვეცონ და დააკნინონ მისი ხასიათი.

პოლიტიკანობა, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ, თავს იჩენს მთავრობის მხრივაც, მშვიდობიანი ოპოზიციის

მხრივაც და, ასე გასინჯეთ, ზოგჯერ რევოლუციონერების მხრივაც (მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი მეღავნდება განსაკუთრებული ფორმით, რომელიც წინა ფორმებს არ წააგავს). მთავრობის მხრივ ეს არის შეგნებული ლაქუცობა, მოსყიდვა და გარყვნა, ერთი სიტყვით, სისტემა, რომელმაც «ზუბატოვობის» სახელწოდება მიიღო. ცოტად თუ ბევრად ფართო რეფორმების დაპირება, დაპირებულის ნამცეცა ნაწილის განსახორციელებლად ნამდვილი მზადყოფნა და ამისათვის პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელის აღების მოთხოვნა, — აი რა არის ზუბატოვობის დედაარსი. ახლა ზოგიერთი ერობელიც კი ხედავს უკვე, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ბ-ნ პლეევეს ლაპარაკი ბ-ნ დ. ნ. შიპოვთან (მოსკოვის ერობის გამგეობის თავმჯდომარე) «საერობო ზუბატოვობის» დასაწყისია. პლეევ პირობას იძლევა, რომ «უფრო კეთილსასურველად» მოეპყრობა ერობას (შეად. «ოსვობოჟდენიე» № 7), პირობას იძლევა, რომ მომავალი წლის დამდეგს მოიწვევს ერობის გამგეობათა თავმჯდომარეების თათბირს ყველა იმ «საკითხის გადასაწყვეტად, რომლებიც საერობო დაწესებულებათა საქმიანობის დაყენებას ეხება», და ამისათვის მოითხოვს, რომ ერობელებმა «არაფერი არ ილაპარაკონ მთავრობის უმაღლეს დაწესებულებებში წარმომადგენლობაზე». თითქოს, საქმე ცხადზე უცხადესია: დაპირება უაღრესად გაურკვეველია, ხოლო მოთხოვნა ისეთია, რომ მისი შესრულებით ერობათა ზრახვები განუხორციელებელნი ხდებიან. ამ პოლიტიკური მატყუარობის, თვალთმაქცობისა და გარყვნილების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალება შეიძლება იყოს: თვალთმაქცების ულმობელი მხილება და გადამწყვეტი პოლიტიკური (ე. ი., რუსეთის პირობების მიხედვით, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი) ბრძოლა პოლიციურ თვითმპყრობელობასთან. ჩვენი ერობელები კი, რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ «ოსვობოჟდენიეს» მიხედვით, ჯერ კიდევ არა დგანან ამ ამოცანის სიმაღლეზე. პოლიტიკანობას ისინი პოლიტიკანობით უპასუხებენ, მათი ორგანო სულ მერყეობას იჩენს. «ოსვობოჟდენიეს» მე-7 ნომერში ამ მერყეობას განსაკუთრებით

ნათლად ხედავთ იმის მეოხებით, რომ ამ საკითხის შესახებ თავის აზრს გამოთქვამს არა მარტო რედაქცია, არამედ ზოგიერთი თანამშრომელიც, რომლებსაც რედაქცია ცოტად თუ ბევრად არ ეთანხმება. მოწინავე სარედაქციო სტატიაში ის აზრი, რომ პლევეს დაპირებანი ხაფანგი და ზუბატოვობაა, მოყვანილია მხოლოდ როგორც ზოგიერთი ერობელის აზრი, ამასთან იქვე გვერდით გვაცნობებენ სხვა ერობელთა აზრსაც, რომელნიც «ამჯობინებენ გაჰყვნენ ბ-ნ მინისტრის მითითებებს»(!!). რედაქცია შორს არის იმ აზრისაგან, რომ გაილაშქროს საერობო ზუბატოვობის წინააღმდეგ. იგი აფრთხილებდა ერობელებს მთავრობის მიმართ «დათმობებისაგან» (№№ 5 და 6), მაგრამ იგი გადაჭრით არ ჰკიცხავს ბ-ნ შიპოვს და კომპანიას, რომლებიც აჰყვნენ ბებერი პოლიციელი მელიის რჩევას და საგაზაფხულო საერობო ყრილობის პროგრამიდან ამოაგდეს მე-4 პუნქტი (რომელიც აღნიშნავდა იმის აუცილებლობას, რომ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამო არსებული განსაკუთრებული თათბირის შემადგენლობა შევსებულიყო არჩეული საერობო მოღვაწეებით). რედაქცია მოწინავე სტატიაში აკეთებს არა იმ დასკვნას, რომ ერობა დამცირებულია ერობელთა ერთი ნაწილის თანხმობით პოლიციის საზიზღარ მისატყუებელ საკენკზე, არამედ იმ დასკვნას, რომ ერობასთან მთავრობის მოლაპარაკების თვით ფაქტი «ამტკიცებს, რომ ერობა უკვე ახლავე «წარმომადგენლობაა»» (!!), და რომ ბ-ნ პლევეს მიერ აღთქმული «ყრილობა» (ბ-ნი პლევე, მგონი, მარტო «თათბირზე» ლაპარაკობდა?) «ყოველ შემთხვევაში სასურველია», რადგან მას «არ შეუძლია გარკვეულობა არ შეიტანოს ერობისა და მთავრობის ურთიერთობაში». რედაქცია «მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ერობის მოღვაწენი შესძლებენ ამ ყრილობაზე თავი გამოიჩინონ იმად, რანიც უნდა იყვნენ — მოსახლეობის წარმომადგენლებად და არა მინისტრების ხელქვეითებად სამეურნეო ნაწილში». თუ ვიმსჯელებთ მხოლოდ მოწინავე სარედაქციო სტატიის მიხედვით, პირიქით, მტკიცედ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ერობელები კვლავ

აღმოჩნდებიან პოლიციის უწყების «ხელქვეითებად», როგორც აღმოჩნდნენ ბ-ნი შიპოვი და კომპანია (ვიდრე მათ არ გარიყავს, ან სახეს არ შეუცვლის სხვა საერობო მიმდინარეობა).

მოწინავე სტატიის პოლიტიკანობის შემდეგ სიამოვნებით ისვენებს კაცი თანამშრომლების ბ-ნ ანტონ სტარიცკისა და უფრო მეტად — ერობის ხმოსნის ბ-ნ ტ.-ის შემდგომ სტატიებზე. პირველი ბ-ნ შიპოვისა და კომპანიის საქციელს «ყალბ ნაბიჯს» უწოდებს, ურჩევს ერობელებს «ნუ აჩქარდებიან და თავს ნუ მოიტყუებენ რაღაც ყრილობით, რომელსაც ბ-ნი პლევე გააფორმებს», ურჩევს ნუ მიჰყვებიან საკენკს და ნუ იპოლიტიკანებენ. რედაქცია შენიშვნას უკეთებს: «ჩვენ საერთოდ ვეთანხმებით სტატიის ავტორსო»; რედაქცია, ალბათ, ფიქრობს, რომ დეტალებში არ შეიძლება ასე ცალმხრივად გაიკიცხოს პოლიტიკანობა *.

მეორე თანამშრომელი უკვე აშკარად ილაშქრებს «ოსვობოჟდენიეს» მთელი პოზიციის წინააღმდეგ, თავს ესხმის მერყეობასა და გაუბედაობას, გმობს ისეთ ყალბ ფრაზებს, როგორიც არის ლაპარაკი «სახალხო ანარქიაზე», აცხადებს, რომ «არ შეიძლება დავჯერდეთ ნახევარზომებს, რომ აუცილებლად საჭიროა გავბედოთ ბოლომდე მისვლა», რომ «აუცილებლად საჭიროა ბოლო მოვუღოთ ლეგალური ოპოზიციის მონურ ნახევარზომებს»..., «არ დავერიდოთ მსხვერპლს», რომ «თუ რევოლუციონერები არ გავხდებით, ჩვენ (ერობელები) ვერ შევძლებთ მნიშვნელოვანი განძი შევიტანოთ რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლების საქმეში». მთელი სულით და გულით მივესალმებით ბ-ნ ერობელი ხმოსნის ამ პატიოსან და მტკიცე სიტყვებს და ძალიან ვურჩევთ ყველას,

* ახლახან მიღებულ «ოსვობოჟდენიეს» მე-8 ნომერში ჩვენ უკვე ვხედავთ პოლიტიკანობისა და ბ-ნ შიპოვის ყალბი ნაბიჯის უფრო მტკიცედ გაკიცხვას. კეთილიმც იყოს! იქნებ, ამ პატივცემული მოღვაწის შემთხვევამ აიძულოს რედაქცია «პოლიტიკანობის» ფესვები მოძებნოს თავის ძირითად შეხედულებებში ლიბერალიზმისა და რევოლუციურ მიმართულებათა ურთიერთობაზე?

ვისაც კი ეს საკითხი აინტერესებს, გაეცნოს ამ სიტყვებს. ბ-ნი ერობელი ხმოსანი მ თ ლ ი ა ნ ა დ ადასტურებს იმ შეფასებას, რომელიც ჩვენ «ოსვობოჟდენიეს» პროგრამას მივეცით «ისკრაში». უფრო მეტი: მისი სტატია ამტკიცებს არა მარტო ჩვენი თვალსაზრისის სისწორეს, არამედ ჩვენ მიერ ლიბერალიზმის ორჭოფობის მკაცრი მხილების მიზანშეწონილებასაც. თურმე, თვით ერობელთა წრეშიც არიან ადამიანები, რომლებსაც გულს ურევს ყოველგვარი ლაქუცობა და რომელთა მხარის დაჭერასაც განსაკუთრებით უნდა ვცდილობდეთ ჩვენი თვალსაზრისის საფუძველზე ამ ლაქუცობის ულმობელი კრიტიკით.

«ოსვობოჟდენიეს» რედაქტორი, რასაკვირველია, არ ეთანხმება ბ-ნ ერობელ ხმოსანს ტ.-ს და — თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ აცხადებს: «ბევრ რამეს ჩვენ სხვანაირად ვუყურებთ...». ოღონდაც! და მერე რანაირია რედაქციის საწინააღმდეგო მოსაზრებანი? — ეს მოსაზრებანი სულ ორ უმთავრეს პუნქტს შეიცავენ: ჯერ ერთი, ბ-ნი სტრუვე «პრინციპულად» ამჯობინებს მშვიდობიან გზებს, მისი აზრით, ზოგიერთი რევოლუციონერისაგან განსხვავებით; მეორე, — ამ უკანასკნელთ იგი ბრალს სდებს, შემწყნარებლობა გაკლიათო. განვიხილოთ ეს საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

სტატიაში «ერთი საყვედურის გამო» ბ-ნ სტრუვეს (სტატია ხელმოწერილია — რ ე დ.) მოჰყავს ადგილები «ზარიას» მე-2 — 3 ნომერში მოთავსებული ჩემი სტატიიდან («ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები»). მას განსაკუთრებით არ მოსწონებია, რა თქმა უნდა, სიტყვები: «ხალხმა ერთხელ მაინც კარგად რომ ასწავლოს ჭკუა მთავრობას», ამას «გიგანტური ისტორიული მნიშვნელობა» ექნებოდა*. ბ-ნი სტრუვე, თურმე ნუ იტყვით, გადაჭრით და უსათუოდ არ ეთანხმება იმას, რომ ძალმომრეობითი რევოლუცია მშვიდობიან რეფორმაზე უმჯობესია. ყველაზე გაბედული რუსი რევოლუციონერები, — ამბობს ის, — პრინციპულად მშვიდო-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 75. რ ე დ.

ბიან გზას ამჯობინებდნენ, და ამ სასახელო ტრადიციას ვერა-ვითარი დოქტრინით ვერ მივჩქმალავთო.

ძნელია წარმოიდგინო ამ მსჯელობაზე უფრო ყალბი და ნაცოდვილარი რამ. ნუთუ ბ-ნ სტრუვეს არ ესმის, რომ აჯანყებულ მონას უფლება აქვს ილაპარაკოს მონათმფლობელთან ზავის უპირატესობაზე, ხოლო მონა, რომელიც უარს ამბობს აჯანყებაზე, სამარცხვინო სიყალბეში ვარდება, როდესაც ამავე სიტყვებს იმეორებს? «რევოლუციის ელემენტები რუსეთში ჯერ კიდევ, სამწუხაროდ თ უ ს ა ბ ე დ ნ ი ე რ ო დ, არ მომწიფებულან», — ამბობს ბ-ნი სტრუვე, და ეს სიტყვები «საბედნიეროდ» მთლიანად ამხელენ მას.

რაც შეეხება რევოლუციური აზროვნების სასახელო ტრადიციებს, უმჯობესია ამაზე ბ-ნი სტრუვე სდუმდეს. ჩვენთვის საკმარისია მივუთითოთ «კომუნისტური მანიფესტის» განთქმულ დასკვნითს სიტყვებზე [58]. ჩვენთვის საკმარისია გავახსენოთ, რომ «მანიფესტის» დღიდან ოცდაათი წლის შემდეგ, როდესაც გერმანელ მუშებს წაართვეს იმ უფლებათა ნაწილი, რომლებიც რუს ხალხს არასოდეს არა ჰქონია, ენგელსმა ასეთი პასუხი გასცა დიურინგს:

«ბ-ნ დიურინგისათვის ძალადობა რაღაც აბსოლუტურ ბოროტებას წარმოადგენს. პირველი აქტი ძალადობისა, მისი აზრით, ცოდვაში ჩავარდნას უდრიდა. მთელი მისი დოქტრინა წარმოადგენს წუწუნს იმის გამო, რომ ძალმომრეობის ამ აქტმა პირვანდელი ცოდვის ჩირქი მოსცხო მთელ ისტორიას დღევანდლამდე, რომ ბუნების ყველა კანონი და სოციალური კანონები სამარცხვინოდ შერყვნილია ეშმაკის ამ იარაღით — ძალადობით. ბ-ნი დიურინგი კრინტსაც არა ძრავს იმაზე, რომ ძალადობა სულ სხვა როლსაც ასრულებს ისტორიაში, რევოლუციურ როლს, რომ იგი, მარქსის სიტყვებისა არ იყოს, ბებია ქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, რომელიც ორსულადაა ახლით, რომ ძალადობა იარაღია, რომლის შემწეობითაც საზოგადოებრივი მოძრაობა გზას იკაფავს და გაქვავებულ, მომაკვდავ ფორმებს ამსხვრევს. მხოლოდ ოხვრითა და კვნესით სთვლის ბ-ნი დიურინგი დასაშვებად

იმის შესაძლებლობას, რომ ექსპლოატატორული მეურნეობის დასამხობად, სამწუხაროდ, საჭირო გახდება ძალადობა, — სამწუხაროდ, რადგან ყოველი ძალადობა, თურმე ნუ იტყვით, რყვნის იმას, ვინც მას იყენებს. და ამას იგი ამბობს იმ მაღალი მორალური და სულიერი აღმავლობის შემდეგ, რომელიც თანახლდა ყოველ გამარჯვებულ რევოლუციას! და ამას იგი ამბობს გერმანიაში, სადაც ძალის გამომყენებელ შეტაკებას, რომელსაც ხალხი შეიძლება პირდაპირ იძულებული გახდეს მიმართოს, ის უპირატესობა მაინც ექნებოდა, რომ ხალხის ხასიათიდან აღმოფხვრიდა ლაქიურ სულისკვეთებას, რაც მას ჩაუნერგა 30-წლიანი ომის დროს განცდილმა ყოველგვარმა დამცირებამ. და ეს დონდლო, უსისხლხორცო და უილაჯო ხუცესური აზროვნება ჰბედავენ თავს მოახვიონ ყველაზე რევოლუციურ პარტიას, როგორსაც კი ისტორია იცნობს!» [50].

გადავიდეთ მეორე პუნქტზე — შემწყნარებლობის შესახებ. საჭიროა «ერთმანეთის გაგება», «სრული გულწრფელობა» და «ფართო შემწყნარებლობა» სხვადასხვა მიმართულებათა ურთიერთობაში, — მოთაფლული ენით გვასწავლის ჭკუას ბ-ნი სტრუვე (მსგავსად მრავალი სოციალისტ-რევოლუციონერისა და საზოგადოების წარმომადგენლისა). კეთილი, მაგრამ რა ვქნათ, — ვეკითხებით მას, — თუ ჩვენი სრული გულწრფელობა თქვენ შემწყნარებლობის უქონლობად მოგეჩვენათ? თუ ჩვენ, მაგალითად, ვხედავთ, რომ «ოსვობოჟდენიეში» არის მარჯვენა ხელი და მარცხენა ხელი, მავნე, მოღალატური მარცხენა ხელი, განა სრული გულწრფელობა არ გვავალებს ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ ამ მარცხენასთან? განა იგი არ გვავალებს ბრძოლას სოციალისტ-რევოლუციონერების ავანტიურიზმთან (იმავე პოლიტიკანობასთან), როდესაც ისინი ამ ავანტიურიზმს იჩენენ სოციალიზმის თეორიის საკითხებშიც და კლასობრივი ბრძოლის მიმართაც მთელ თავის ტაქტიკაში? განა რაიმე ნამცეცი პოლიტიკური აზრია იმის მოთხოვნაში, რომ ეს ბრძოლა გავფცქვნათ, მოვადუნოთ იმის გულისათვის, რასაც შემწყნარებლობა ჰნებავთ უწოდონ იმ ადამიანებმა, ვის წინააღმდეგაც მიმართულია ბრძოლა?

დროა უკუვაგდოთ გალანტერიული მიამიტობა, ბატონებო! დროა შევიგნოთ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ საერთო მტერთან ბრძოლის ნამდვილ (და არა სიტყვიერ) ერთიანობას უზრუნველჰყოფს არა პოლიტიკანობა, არა ის, რასაც განსვენებულმა სტეპნიაკმა ერთხელ თვითშეკვეცა და თვითმიმალვა უწოდა, არა დიპლომატიური ურთიერთაღიარების პირობითი სიყალბე, — არამედ ფაქტიური მონაწილეობა ბრძოლაში, ბრძოლის ფაქტიური ერთიანობა. როდესაც გერმანელი სოციალ-დემოკრატების ბრძოლა სამხედრო-პოლიციური და ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციის წინააღმდეგ ნამდვილად ხდებოდა საერთო ბრძოლად რომელიმე ნამდვილ პარტიასთან ერთად, რომელიც ემყარებოდა ხალხის განსაზღვრულ კლასს (მაგ., ლიბერალურ ბურჟუაზიას), მაშინ მოქმედების ერთობლიობა მყარდებოდა ურთიერთაღიარების თაობაზე ფრაზიორობის გარეშე. ყველასათვის აშკარა და ყველასათვის ხელშესახები ფაქტის აღიარებაზე არ ლაპარაკობენ (ჩვენ ხომ არავის არა ვთხოვთ აღიარონ მუშათა მოძრაობა!). იმის ფიქრი, რომ პოლემიკის «ტონს» შეუძლია ხელი შეუშალოს ნამდვილ პოლიტიკურ კავშირს, მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც პოლიტიკასა და პოლიტიკანობას ერთმანეთში ურევენ. და ვიდრე ჩვენს ბრძოლაში ნამდვილი მონაწილეობის ნაცვლად ვხედავთ მიკიბმოკიბულ ფრაზებს, ვიდრე ჩვენს ბრძოლასთან რომელიმე სხვა საზოგადოებრივი ფენის ან კლასის ნამდვილი მოახლოების ნაცვლად ვხედავთ მარტო ავანტიურისტულ ტაქტიკას, — მანამდე სიტყვების ვერავითარი, ვერც მრისხანე და ვერც უბადრუკი, შადრევანი ოდნავადაც ვერ მოაახლოებს «ურთიერთაღიარებას».

«ისკრა» № 26, 1902 წ.
15 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

## დემონსტრაციების შესახებ[60]

ჩვენ გვგონია, რომ წერილის ავტორი რამდენადმე ერთობ ჯიქურად სვამს საკითხს და სათანადოდ ვერ აფასებს დემონსტრაციათა ორგანიზებულობის მნიშვნელობას. ამ მთავარი საქმისათვის ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს გაკეთებული, და ორგანიზაციას უნდა მოვახმაროთ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტი ძალღონე. ვიდრე ჩვენ არ მოგვეპოვება მტკიცედ შედუღებული რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებსაც შეეძლებათ დასძრან რჩეული ხალხის რამდენიმე რაზმი დემონსტრაციის ყოველმხრივი ხელმძღვანელობის გასაწევად, — მანამდე წარუმატებლობანი გარდუვალია. ხოლო რაკი ასეთი ორგანიზაცია შეიქმნება და თვით მუშაობის პროცესში, მთელი რიგი გამოცდილებით, განმტკიცდება, — მაშინ იგი (და მხოლოდ იგი) შესძლებს გადაწყვიტოს საკითხი, როდის და როგორ უნდა შეიარაღდე, როდის და როგორ უნდა აამოქმედო იარაღი. ამ ორგანიზაციამ სერიოზულად უნდა იმუშაოს «მობილიზაციის სისწრაფის» გადიდებისთვისაც (ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რასაც სავსებით საფუძვლიანად უსვამს ხაზს წერილის ავტორი), აქტიური დემონსტრანტების რიცხვის გადიდებისთვისაც, განმკარგულებელთა მომზადებისთვისაც, მასაში აგიტაციის გაფართოებისთვისაც, «საქმეში» მონაწილეობის მისაღებად «ცნობისმოყვარეთა ჯგუფების» მიზიდვისთვისაც და ჯარის «შეცდენისთვისაც».

სწორედ იმიტომ, რომ ისეთი ნაბიჯი, როგორიცაა ქუჩის შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლა, «სასტიკია», და რომ იგი «ადრე თუ გვიან გარდუვალია», — ეს შეუძლია გააკეთოს და კიდეც უნდა გააკეთოს მხოლოდ მტკიცე რევოლუციურმა ორგანიზაციამ, რომელიც უ შ უ ა ლ ო დ ხელმძღვანელობს მოძრაობას.

დაწერილია 1902 წ. ოქტომბრის დამლევს
იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# ვულგარული სოციალიზმი და ნაროდნიკობა, რომლებსაც აცოცხლებენ სოციალისტ-რევოლუციონერები

დაცინვა ერთგვარ სასარგებლო გავლენას ახდენს. სტატიებში სათაურით «რევოლუციური ავანტიურიზმი» * ჩვენ გამოვთქვით მტკიცე რწმენა, რომ ჩვენებური სოციალისტ-რევოლუციონერები არასოდეს არ მოისურვებენ პირდაპირ და ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი თეორიული პოზიცია. ამ ბოროტი და უსამართლო ვარაუდის გასაბათილებლად «რევოლუციონნაია როსსია» მე-11 ნომერში იწყებს სტატიების სერიას სათაურით: «საპროგრამო საკითხები». კეთილიმც იყოს! სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. წინასწარ მივესალმებით «რევოლუციონნაია როსსიას» ყველა სტატიას «საპროგრამო საკითხებზე» და პირობას ვიძლევით ყურადღებით ვადევნოთ თვალყური იმას, შეიძლება თუ არა მართლა ამოვიკითხოთ იქიდან რაიმე პ რ ო გ რ ა მ ა.

დავაკვირდეთ ამ მიზნით პირველ სტატიას: «კლასობრივი ბრძოლა სოფლად», მაგრამ ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი კვალად და კვალად მეტისმეტად... «გატაცებული» არიან, როდესაც აცხადებენ (№ 11, გვ. 6) — «ჩვენი პროგრამა წამოყენებულიაო». არაა ეს მართალი, ბატონებო! არავითარი პროგრამა თქვენ ჯერ არ წამოგიყენებიათ, ე. ი. არათუ არ მოგიციათ თქვენი შეხედულებების დამთავრებული და ოფიციალურ-პარტიული გადმოცემა (პროგრამა ამ სიტყვის ვიწრო გაგებით ან თუნდაც პროგრამის პროექტი), არამედ სრულიად არც კი განგისაზღვრავთ თქვენი დამოკიდე-

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 225 — 253. რ ე დ.

ბულება ისეთი ძირითადი «საპროგრამო საკითხებისადმი», როგორიც არის მარქსიზმისა და მისი ოპორტუნისტული კრიტიკის საკითხი, რუსეთის კაპიტალიზმისა და ამ კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი პროლეტარიატის მდგომარეობის, მნიშვნელობისა და ამოცანების და სხვ. საკითხები. ყველაფერი, რაც «თქვენს პროგრამაზე» ვიცით, ის არის, რომ თქვენ გიჭირავთ სრულიად გაურკვეველი პოზიცია, ერთი მხრივ, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასა და ოპორტუნისტულ მიმდინარეობას შ ო რ ი ს და, მეორე მხრივ, რუსულ მარქსიზმსა და რუსულ ლიბერალურ-ნაროდნიკულ მიმართულებას შ ო რ ი ს.

თუ რა გამოუვალ წინააღმდეგობაში იხლართებით იმის გამო, რომ ცდილობთ ორ სკამს შუა ჯდომას, ამას ჩვენ ახლავე გიჩვენებთ თქვენ მიერ არჩეული საკითხითაც. «ჩვენ არათუ არ გვესმის, ჩვენ არ ვცნობთ, რომ თანამედროვე გლეხობა, როგორც მთელი, წვრილბურჟუაზიულ ფენებს ეკუთვნისო», — წერს «რევოლ. როსსია» (№ 11). «ჩვენთვის გლეხობა მკვეთრად იყოფა ორ პრინციპულად განსხვავებულ კატეგორიად: 1) მშრომელ გლეხობად, რომელიც ცხოვრობს საკუთარი სამუშაო ძალის ექსპლოატაციით (!??), და 2) სოფლის ბურჟუაზიად — საშუალო და წვრილ ბურჟუაზიად, რომელიც ცოტად თუ ბევრად სხვისი სამუშაო ძალის ექსპლოატაციით ცხოვრობს». სთვლიან რა ბურჟუაზიის კლასის «ძირითად განმასხვავებელ ნიშნად» «შემოსავლის წყაროს» (სხვა ადამიანთა აუნაზღაურებელი შრომით სარგებლობას), სოციალისტ-რევოლუციონერთა თეორეტიკოსები «უდიდეს პრინციპულ მსგავსებას» პოულობენ სოფლის პროლეტარიატსა და იმ «დამოუკიდებელ მიწათმოქმედთა» შორის, რომლებიც ცხოვრობენ წარმოების საშუალებებზე საკუთარი შრომის გამოყენებით. «როგორც პირველთა, ისე მეორეთა არსებობის საფუძველი არის შ რ ო მ ა, როგორც გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური კატეგორია. ეს ერთი. მეორე, ერთნიც და მეორენიც თანამედროვე პირობებში უ მ ო წ ყ ა ლ ო ე ქ ს-

პლოატაციას განიცდიან». ამიტომ ისინი გაერთიანებულ უნდა იქნან მშრომელი გლეხობის ერთ კატეგორიად.

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ «რევ. როსსიას» მსჯელობა ასე დაწვრილებით, რომ მკითხველს შეეძლოს კარგად ჩაუკვირდეს მას და შეაფასოს მისი თეორიული წანამძღვრები. ამ წანამძღვართა უსაფუძვლობა თვალში გეცემათ. სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშნის ძებნა შემოსავლის წყაროში იმას ნიშნავს, რომ პირველ ადგილზე წამოაყენო განაწილების ურთიერთობა, მაშინ როდესაც ნამდვილად იგი საწარმოო ურთიერთობის შედეგია. ამ შეცდომაზე დიდი ხანია მიუთითა მარქსმა, — მან ვულგარული სოციალისტები უწოდა იმ ადამიანებს, რომელნიც ამას ვერ ხედავენ. კლასებს შორის განსხვავების ძირითადი ნიშანი არის მათი ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში და, მაშასადამე, მათი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი. წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათა ამა თუ იმ ნაწილის მითვისება და მათი მოხმარება კერძო მეურნეობაზე, პროდუქტის გამყიდველ მეურნეობაზე — აი თანამედროვე საზოგადოების ერთი კლასის (ბურჟუაზიის) ძირითადი განსხვავება პროლეტარიატისაგან, რომელიც მოკლებულია წარმოების საშუალებებს და ჰყიდის თავის სამუშაო ძალას.

გავყვეთ ქვევით. «როგორც პირველთა, ისე მეორეთა არსებობის საფუძველი არის შრომა, როგორც გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური კატეგორიაო». გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური კატეგორია არის არა შრომა, არამედ მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი ფორმა, შრომის საზოგადოებრივი მოწყობა, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ: ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებრივ შრომაში მათი მონაწილეობის მიხედვით. აქ სხვა ფორმით მეორდება ვულგარული სოციალიზმის იგივე შეცდომა, რომელიც ჩვენ უკვე გავარჩიეთ. როდესაც სოც.-რევოლუციონერები აცხადებენ: «ერთი მხრივ, სოფლის მეურნისა და მოჯამაგირის, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი მიწათმოქმედისა და გამსესხებლების, კულაკების ურთიერთდამოკიდებულების დედაარსი სავსებით

ერთნაირიაო», ისინი მთლიანად იმეორებენ შეცდომას თუნდაც გერმანული ვულგარული სოციალიზმისა, რომელმაც, მაგ., მიულბერგერის პირით განაცხადა: მუშისადმი მეპატრონის დამოკიდებულების დედაარსი იგივეა, რაც სახლის პატრონისა მდგმურისადმიო. ჩვენებურ მიულბერგერებს სწორედ ასევე არა აქვთ უნარი გამოჰყონ ექსპლოატაციის ძირითადი და ნაწარმოები ფორმები და სჯერდებიან დეკლამაციას საერთოდ «ექსპლოატაციის» გამო. ჩვენებურ მიულბერგერებს სწორედ ასევე არ ესმით, რომ სახელდობრ დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია წარმოადგენს მთელი თანამედროვე მტაცებლური წყობილების დასაყრდენს, სწორედ იგი იწვევს საზოგადოების დაყოფას შეურიგებელ მოპირდაპირე კლასებად, და მხოლოდ ამ კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით შეიძლება ექსპლოატაციის ყველა დანარჩენ გამოხატულებათა თანამიმდევრობით შეფასება ისე, რომ არ გადავეშვათ უსახურობასა და უპრინციპობაში. ამიტომ ჩვენებური მიულბერგერები რუსი სოციალისტების მხრივ, რომელთათვისაც ძვირფასია თავიანთი მოძრაობის მთლიანობა და თავიანთი რევოლუციური დროშის «კეთილი სახელი», უნდა შეხვდნენ ისეთსავე გადამჭრელ და ულმობელ წინააღმდეგობას, როგორსაც შეხვდა გერმანელი მიულბერგერი.

უფრო ნათელი რომ გახდეს ჩვენებური სოც.-რევოლუციონერების «თეორიის» აბნეულობა, შევეხებით კიდევ იმავე საკითხს პრაქტიკულად და შევეცდებით გასარჩევი საკითხის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები. ჯერ ერთი, შ რ ო მ ო ბ ს და ექსპლოატაციას განიცდის ყველგან და ყოველთვის წვრილი ბურჟუაზიის დიდი უმრავლესობა. რატომღა უნდა მივაკუთვნოთ ის გარდამავალ და შუათანა ფენებს? მეორე: სწორედ ისევე, როგორც გლეხები სასაქონლო მეურნეობის საზოგადოებაში, შ რ ო მ ო ბ ე ნ და ექსპლოატაციას განიცდიან წვრილი ხელოსნები და ვაჭრები. ხომ არა სურთ ჩვენებურ სოც.-რევოლუციონერებს შექმნან აგრეთვე «მშრომელი» სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის «კატეგორია» პროლეტარიატის «ვიწრო» კატეგორიის ნაცვლად?

მესამე: დაე სცადონ სოც.-რევოლუციონერებმა, რათა გაიგონ მათგან ასე ათვალწუნებული «დოგმის» მნიშვნელობა, და წარმოიდგინონ ქალაქის ახლო მცხოვრები გლეხი, რომელიც მუშების დაუქირავებლად ცხოვრობს თავისი შრომით და მიწათმოქმედების ყოველგვარი პროდუქტების გაყიდვით. ჩვენ ვბედავთ იმედი ვიქონიოთ, რომ თვით თავგამოდებული ნაროდნიკებიც ვერ გაბედავენ უარყონ, რომ ა ს ე თ ი გლეხი ეკუთვნის წვრილ ბურჟუაზიას და რომ შეუძლებელია მისი «გაერთიანება» დაქირავებულ მუშასთან ერთ კ ლ ა ს შ ი (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლაპარაკია სწორედ კლასზე და არა პარტიაზე). ხოლო არის თუ არა რაიმე პრინციპული განსხვავება ქალაქის ახლო მცხოვრებ ვაჭარ-მიწათმოქმედისა და ყოველი სხვა წვრილი მიწათმოქმედის მდგომარეობას შორის განვითარების გზაზე მდგარი სასაქონლო მეურნეობის საზოგადოებაში?

ახლა საკითხავია: რით აიხსნება ბბ. სოც.-რევოლუციონერთა ეს მიახლოება (რბილად რომ ვთქვათ) ვულგარულ სოციალიზმთან? იქნებ, ეს ამ ავტორის შემთხვევითი თავისებურებაა? ასეთი მოსაზრების დასარღვევად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ადგილი «რევ. როსსიას» მე-11 ნომრიდან: «თითქოს, — შესძახებს ავტორი, — აქ მთელი საქმე ერთი და იგივე სამეურნეო კატეგორიის ოდენობა იყოს» (მსხვილი და წვრილი ბურჟუა) «და არა» (ისმინეთ!) «ორი კატეგორიის — შრომითი და ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური მეურნეობის — პრინციპული განსხვავებაო!». ჩვენთვის ძნელი იქნებოდა წარმოგვედგინა იმის უფრო სრული და უფრო თვალსაჩინო დადასტურება, რაც ვთქვით სტატიაში «რევოლუციური ავანტიურიზმი». გადაფხიკეთ სოც.-რევოლუციონერი — და თქვენ მიიღებთ ბ-ნ ვ. ვ-ს. ყველასათვის, ვინც ცოტათი მაინც იცნობს რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ევოლუციას, სოც.-რევოლუციონერთა პოზიცია ირკვევა მარტო ამ ერთი ფრაზიდან. ცნობილია, რომ იმ მკრთალ-ვარდისფერი კვაზი-სოციალიზმის საფუძველს, რომელიც ამშვენებდა (და დღესაც კიდევ ამშვენებს) ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაბატონებულ ლიბერალურ-ნაროდნიკულ მიმართუ-

ლებას, შეადგენდა გლეხური «შრომითი მეურნეობისა» და ბურჟუაზიული მეურნეობის დიამეტრალური დაპირისპირების იდეა. ეს იდეა, მისი სხვადასხვა ელფერით დაწვრილებით დამუშავებული ბბ. მიხაილოვსკის, ვ. ვ-ის, ნიკ. — ონის და სხვ. მიერ, შეადგენდა ერთს იმ ციხე-სიმაგრეთაგანს, რომელთა წინააღმდეგ რუსული მარქსიზმის კრიტიკა იყო მიმართული. გაჩანაგების გზაზე დამდგარ და ჩაგრულ გლეხობას რომ დავეხმაროთ, — ვამბობდით ჩვენ, — უნდა შეგვეძლოს უკუვაგდოთ ილუზიები და პირდაპირ შევხედოთ სინამდვილეს, რომელიც აქარწყლებს ბუნდოვან ოცნებებს შრომითს მეურნეობაზე (თუ «სახალხო წარმოებაზე»?) და გვიჩვენებს გლეხური მეურნეობის წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ წ ყ ო ბ ა ს. ჩვენშიც, ისე როგორც ყველგან, წვრილი შრომითი მეურნეობის განვითარება და განმტკიცება შეიძლება მისი მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ მეურნეობად გადაქცევის გზით. ეს გადაქცევა, მართლაც, ხდება და მშრომელი გლეხის ნ ა მ დ ვ ი ლ ი რეალური ტენდენცია წვრილი მწარმეობისადმი დაურღვევლად დამტკიცებულია ცხოვრების ფაქტებით. ჩვენებური გლეხები, ისევე როგორც ყოველი წვრილი მწარმოებელი, წვრილი ბურჟუების კატეგორიას ეკუთვნიან, რამდენადაც ვითარდება სასაქონლო მეურნეობა: ისინი ითიშებიან მეწარმეთა უმცირესობად და პროლეტარიატის მასად, რომელიც დაკავშირებულია «მეპატრონეებთან» ნახევრადმუშების და ნახევრადმეპატრონეთა მთელი რიგი გარდამავალი საფეხურებით (ეს გარდამავალი ფორმები არსებობენ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და მრეწველობის ყველა დარგში).

როგორ შეხვდნენ სოც.-რევოლუციონერები სოციალისტური აზროვნების ორი მიმდინარეობის ამ შეცვლას, ძველი რუსული სოციალიზმისა და მარქსიზმის ბრძოლას? ისინი უბრალოდ შეეცადნენ გვერდი აევლოთ, სანამ შეიძლებოდა, საკითხის არსებითად გარჩევისათვის. ხოლო როდესაც ეს გვერდის ავლა უკვე შეუძლებელი გახდა, როდესაც იმ ადამიანებს, რომლებმაც მოისურვეს ცალკე «პარტიის» შექმნა, მოსთხოვეს გარკვეული ახსნა-განმარტება, როდესაც ისინი აიძულეს პა-

სუხი გაეცათ, აიძულეს დაცინვითაც და უპრინციპობაში პირდაპირ ბრალის დადებითაც, — მხოლოდ მაშინ დაიწყეს მათ «შრომითი მეურნეობის» ძველი ნაროდნიკული თეორიისა და კულგარული სოციალიზმის ძველი შეცდომების განმეორება. ვიმეორებთ: ჩვენ არც მოველოდით სოც.-რევოლუციონერთა წინააღმდეგ სრული უპრინციპობის შესახებ ჩვენ მიერ წაყენებული ბრალდების უკეთეს დადასტურებას, ვიდრე არის მე-11 ნომერში მოთავსებული სტატია, რომელიც ცდილობს «შეაერთოს» «შრომითი მეურნეობის» თეორიაც და კლასობრივი ბრძოლის თეორიაც.

* * *

როგორც კურიოზი, უნდა აღვნიშნოთ კიდევ, რომ «რევ. როსსიას» მე-11 ნომერში არის ცდები — «კეთილსახიერად» ახსნან პრინციპული პოლემიკის თავიდან არიდების გადაწყვეტილება. სტატიაში «რევოლუციური ავანტიურიზმი» «ისკრას», თურმე, არასწორად მოჰყავს ციტატები. მაგალითად? მაგალითად, გამოტოვებულია სიტყვა «ალაგ-ალაგ» (მიწა ალაგ-ალაგ გადადის კაპიტალისაგან შრომისაკენ). რა საშინელებაა! გამოსტოვეს სიტყვა, რომელიც საქმეს არ ეხება! ან, იქნებ, «რევ. როსსიას» აზრად მოუვიდეს იმის მტკიცება, რომ ს ა ე რ თ ო დ მიწის გადასვლის შ ე ფ ა ს ე ბ ი ს საკითხთან (ბურჟუაზიულია ეს პროცესი თუ არა) თ უ ნ დ ა ც რ ა ი მ ე დამოკიდებულება ჰქონდეს სიტყვას «ალაგ-ალაგ». დაე სცადოს!

შემდეგ. «ისკრამ» შეწყვიტა ციტატა სიტყვაზე «სახელმწიფოთი», თუმცა მერე ნათქვამია: «რა თქმა უნდა, არა ახლანდელით». «ისკრა» მოიქცა კიდევ უფრო ბოროტად (დავსძენთ ჩვენ): მან გამოიჩინა კადნიერება და ამ სახელმწიფოს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი უწოდა. ხომ არ დაიწყებენ «საუკეთესო გრძნობებშეურაცხყოფილი» ჩვენი მოწინააღმდეგენი მტკიცებას, რომ ჩვენ მიერ გარჩეულ «პროგრამა-მინიმუმში» შეიძლებოდა ლაპარაკი ყოფილიყო ა რ ა კლასობრივ სახელმწიფოზე?

ბოლოს, «ისკრას» მოჰყავდა ციტატა 3 აპრილის პროკლამაციიდან, რომელშიც თ ვ ი თ «რევ. როსსიამ» ტერორის შე-

ფასება გადაჭარბებულად დაინახა. — დიახ, ჩვენც მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ე თ «რევ. როსსიას» ეს შენიშვნა, მხოლოდ დავუმატეთ ჩვენი მხრივ, რომ აქ ვხედავთ «ეკვილიბრისტიკას» და ბუნდოვან ნართაულ ლაპარაკს. «რევ. როსსია» ამით ძალიან უკმაყოფილოა და იწყებს განმარტებებსა და წვრილმანების მოყოლას (და, ამრიგად, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ამტკიცებს, რომ იყო ბუნდოვანება, რომელიც მოითხოვს ახსნა-განმარტებას). ხოლო როგორია ეს ახსნა-განმარტება? 3 აპრილის პროკლამაციაში, თურმე ნუ იტყვით, შეტანილია შ ე ს წ ო რ ე ბ ა ნ ი პარტიის მოთხოვნით. მაგრამ ეს შესწორებანი «არასაკმაოდ იქნა აღიარებული», და ამიტომ სიტყვა «პარტიისაგან» პროკლამაციიდან ამოღებულია. სიტყვები კი «პარტიის გამოცემა» დარჩა, და იმავე 3 აპრილის მეორე პროკლამაციას («ნამდვილს») კრინტიც არ დაუძრავს უთანხმოებაზე ან გაზვიადებაზე. «რევ. როსსია», რომელსაც მოჰყავს ეს განმარტება და გრძნობს, რომ იგი მხოლოდ ადასტურებს «ისკრის» მიერ მოთხოვნილი (სიტყვებში: ეკვილიბრისტიკა და ნართაული ლაპარაკი) ახსნა-განმარტების კანონიერებას, თვითონ აძლევს თავისთავს კითხვას: როგორ შეეძლო პარტიას დაებეჭდა თავის სტამბაში პროკლამაცია, რომელსაც ის არ ეთანხმება? «რევ. როსსიას» პასუხი ასეთია: «დიახ, ეს სწორედ ისევე მოხდა, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფირმით იბეჭდება «რაბოჩეე დელო», «ისკრა», «რაბოჩაია მისლ» [61] და «ბორბაო» [62]». ძალიან კარგი. მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ გვაქვს სხვადასხვაგვარი გამოცემები, და იბეჭდება ეს გამოცემები არა «პარტიის» სტამბაში, არამედ ჯგუფების სტამბებში. მეორე, როცა ჩვენში ერთად გამოდიოდა «რაბოჩაია მისლი», «რაბოჩეე დელოც», «ისკრაც», ჩვენ ამას თვითონვე ვეძახდით დ ა ქ ს ა ქ ს უ ლ ო ბ ა ს. ახლა დააკვირდით, რა გამოდის აქედან: სოციალ-დემოკრატია თვითონ ამჟღავნებს და სასტიკად ებრძვის დაქსაქსულობას ს ა კ უ თ ა რ წ რ ე შ ი და ცდილობს აღმოფხვრას ის სერიოზული თეორიული მუშაობით, სოც.-რევოლუციონერები კი თავიანთი დაქსაქსულობის აღიარებას იწყებენ მხოლოდ მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც მათ ამხე-

ლენ, და ამ შემთხვევის გამო ზედმეტჯერ თავს იწონებენ თავისი სიფართოვით, რამაც საშუალება მისცა მათ ერთი და იგივე პოლიტიკური ამბის შესახებ ერთ და იმავე დღეს გამოეცათ ორი პროკლამაცია, რომლებშიც ამ ამბის (ახალი ტერორისტული აქტის) პოლიტიკური მნიშვნელობა განმარტებულია პირდაპირ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრით. — სოციალ-დემოკრატებმა იცოდნენ, რომ იდეური დაქსაქსულობიდან სასიკეთო არაფერი გამოვა, და არჩიეს «ჯერ გამიჯვნა და შემდეგ გაერთიანება» *, რითაც უზრუნველჰყვეს მომავალი გაერთიანების სიმტკიცეც და ნაყოფიერებაც. სოც.-რევოლუციონერები კი, განმარტავენ რა თავის «პროგრამას» სხვადასხვა ყაიდაზე, «ერთი ალთას, მეორე ბალთას» **, «პრაქტიკული» მთლიანობის ფიქციას თამაშობენ და ჩვენ ქედმაღლურად გვიცხადებენ: ეს მხოლოდ თქვენ, სოციალ-დემოკრატებს, გყავთ სხვადასხვა «ჯგუფები», ჩვენ კი პარტია ვართო! სრული სიმართლეა, ბატონებო, მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ ხანდახან «ჯგუფებსა» და პარტიებს შორის დამოკიდებულება ემსგავსება ფარაონის მჭლე და მსუქან ძროხებს შორის დამოკიდებულებას. «პარტიებიც» არიან და «პარტიებიც». მაგ., იყო «რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლების მუშაფა პარტია», მაგრამ მისმა ორი წლის არსებობამ ისევე უკვალოდ ჩაიარა, როგორც მისმა გაქრობამ.

«ისკრა» № 27, 1902 წ.
1 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-4, გვ. 434 — 435. რ ე დ.

** შეადარეთ მხოლოდ ყოფილი «სოც.-რევოლუციონერთა კავშირის» «ჩვენი ამოცანები» ყოფილი «სოც.-რევოლუციონერთა პარტიის» «მანიფესტს» (მის შესახებ იხ. «ისკრა» № 5), შემდეგ «ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციის» № 1-ის სარედაქციო განცხადებას, «რევ. როსსიას» № № 7 — 11-ის «საპროგრამო» სტატიებს და ბროშურას — «თავისუფლება», რომელიც გამოსცა ეგრეთწოდებულმა «რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლების მუშათა პარტიამ»; ამ პარტიის გაერთიანებაზე სოც.-რევოლუციონერთა პარტიასთან ამას წინათ იყო ცნობა «რევ. როსსიაში».

# სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ამოცანების შესახებ [63]

როდესაც ორპირული ლაქუცი მუშათა კლასთანაც და «კანონიერ» ოპოზიციასთანაც ხელიხელ ჩაკიდებული მიდის ისეთი გააფთრებული არამზადების ურდოს გამოსვლასთან ერთად, როგორიც არის ვალია თუ ობოლენსკი, — ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას უნდა გარყვნას და დააქუცმაცოს ხალხის ის მასები და ის ფენები, რომელთა **მოდრეკაც მას** არ ძალუძს, ხოლო თავისი ამოცანის გასაადვილებლად სურს გაიტყუოს მცირერიცხოვანი რევოლუციური ძალები თვითეული ამ არამზადის ცალ-ცალკე დასადევნებლად. მნიშვნელობა არა აქვს იმას, შეგნებული აქვთ თუ არა ეს საერთოდ ან რამდენად ნათლადა აქვთ ეს შეგნებული მთავრობის ამა თუ იმ წარმომადგენლებს. საგულისხმოა ის, რომ ტაქტიკას, რომელზედაც მთავრობას აყენებს მთელი თავისი უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება და პოლიციური ინსტინქტი, **სინამდვილეში** სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს. როდესაც რევოლუციური მოძრაობით მთლად მოცულია ხალხის ნამდვილად რევოლუციური კლასები, როდესაც ეს მოძრაობა, გარდა ამისა, არა მარტო ღრმავდება, არამედ ფართოვდება კიდეც და შეიძლება მალე უძლეველ ძალად გადაიქცეს, — მაშინ მთავრობისათვის ხელსაყრელია პროვოკაციულად წააქეზოს საუკეთესო რევოლუციური ძალები ყველაზე ალმაშფო-

თებელი ძალადობის ჩვეულებრივ ხელმძღვანელებზე სანადიროდ. მაგრამ ჩვენ პროვოკაციის ანკესზე არ უნდა წამოვეგოთ. ჩვენ ნამდვილი სახალხო-რევოლუციური ჭექა-ქუხილის პირველ გრგვინვაზე თავგზა არ უნდა დაგვებნეს და აქეთ-იქით არ უნდა ვეხეთქოთ; არ უნდა უკუვაგდოთ, ჩვენი გონებისა და ჩვენი სინდისის შესამსუბუქებლად, ევროპის მთელი გამოცდილება და რუსეთის გამოცდილება, ყოველი რაოდენადმე გარკვეული სოციალისტური რწმენა, ყოველი პრეტენზია არა ავანტიურისტული, არამედ პრინციპულად გამართული ტაქტიკისა. ერთი სიტყვით, ჩვენ შეუძლებელი უნდა გავხადოთ, რომ განხორციელდეს ნაროდოვოლცობის აღდგენისა და ყველა მისი თეორიული და პრაქტიკული შეცდომის განმეორების ის ცდა, რომელიც მოახდინეს და სულ უფრო და უფრო ატარებენ სოც.-რევოლუციონერები. მასების გარყვნას, რევოლუციონერების პროვოცირებას ჩვენ უნდა ვუპასუხოთ არა ისეთი «პროგრამით», რომელიც ფართოდ უღებს კარს ყველაზე მავნე ძველ შეცდომებს და აზრის ახალ ქანაობას, არა ისეთი ტაქტიკით, რომელიც აძლიერებს მასებისაგან რევოლუციონერების მოწყვეტილობას, რაც ჩვენი სისუსტის, ჩვენ მიერ გადამწყვეტი ბრძოლის ახლავე დაწყების უუნაროების მთავარ წყაროს წარმოადგენს. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ რევოლუციონერებისა და ხალხის კავშირის განმტკიცებით, ასეთი კავშირი კი ჩვენს დროში არ შეიძლება სხვანაირად შეიქმნას, თუ არა სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის განვითარებითა და განმტკიცებით. მხოლოდ მუშათა მოძრაობა აყენებს ფეხზე ნამდვილად რევოლუციურ და მოწინავე კლასს, რომელიც არაფერს დაჰკარგავს თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური წყობილების კრახით, — კლასს, რომელიც არის ამ წყობილების უკანასკნელი და გარდუვალი პროდუქტი, კლასს, რომელიც მარტოოდენ ის წარმოადგენს ამ წყობილების უეჭველ და შეურიგებელ მტერს. მხოლოდ რევოლუციური მარქსიზმის თეორიაზე, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებაზე დაყრდნობით შევძლებთ ჩვენ შევაერთოთ ჩვენი რევოლუციური მოძრაობა მუშათა მოძრაო-

ბასთან, შევქმნათ უძლეველი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. მხოლოდ ნამდვილი მუშათა პარტიის სახელით შეგვიძლია, ჩვენი რწმენისადმი ერთგულების დაუკარგავად, მოვუხმოთ რევოლუციური მუშაობისაკენ ქვეყნის ყველა პროგრესულ ელემენტს, მოვუხმოთ სოციალიზმის მხარდაჭერისაკენ ყველა მშრომელს, ყველა მაშვრალსა და ტვირთმძიმეს.

დაწერილია 1902 წ. ნოემბერში

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

# ძირითადი თეზისი ესერების წინააღმდეგ

ძირითადი თეზისი, რომელსაც მე ვაყენებ სოციალისტ-რევოლუციონერების წინააღმდეგ და ამ მიმართულების საქმიანობის ყველა მხარის (და მთელი რაობის) შესაფასებლად, შემდეგია: სოციალისტ-რევოლუციონერების მთელი მიმართულება და მთელი მათი პარტია სხვა არა არის რა, თუ არა წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ცდა—მოახდინოს ჩვენი მუშათა მოძრაობის, მაშასადამე, რუსეთის მთელი სოციალისტური და მთელი რევოლუციური მოძრაობის ესკამოტირება.

ვიჩქარი ავხსნა, თუ რატომ ვერ ავიცილე თავიდან ამ, ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვან, თეზისში უცხო, ნაკლებად ხმარებული და მკითხველთა უმრავლესობისათვის უეჭველად გაუგებარი სიტყვა. ესკამოტირება, სწორედ რომ ვთქვათ, ნიშნავს მოტყუებას, სხვისი შრომის შედეგების მოტყუებით მითვისებას და ამით მთელი ამ შრომის არარად ქცევას, ნიშნავს გაბრიყვებას, გაცურებას და სხვ. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რატომ უნდა უკუმეგდო ეს რუსული სიტყვები და ამერჩია უცხო სიტყვა. ჯერ ერთი, სიტყვები «გაბრიყვება, გაცურება, მოტყუება» ჩვენში უეჭველად იწვევენ წარმოდგენას განზრახულ, შეგნებულ სიცრუეზე; მეორეც, წარმოდგენას ამ სიცრუის ანგარებიან, უპატიოსნო მოტივებზე იმის მხრივ, ვინც მას მიმართავს. ამავე დროს მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებს ბრალად

დავდო შეგნებული სიცრუის ან მოქმედების უპატიოსნო მოტივების მაგვარი რამ. სრულებითაც არა. მე ეჭვი არ მეპარება, რომ როგორც მიმართულება, როგორც «პარტია», სოციალისტ-რევოლუციონერები შეიძლებოდა წარმოშობილიყვნენ (ან შეიძლებოდა ნაროდოვოლცობის დროიდან დღემდე დარჩენილიყვნენ), შეიძლებოდა ამ უკანასკნელ დროს გაზრდილიყვნენ და რაოდენადმე განმტკიცებულიყვნენ სულ მთლად იმ გარემოების მეოხებით, რომ ისინი იზიდავდნენ უეჭველად რევოლუციურად განწყობილ, გმირული თავდადებულობითაც კი გამსჭვალულ ადამიანებს, ისეთ ადამიანებს, რომლებსაც უაღრესად გულწრფელად სურთ სიცოცხლე გასწირონ თავისუფლების ინტერესებისათვის და ხალხის ინტერესებისათვის. მაგრამ ის გარემოება, რომ ადამიანებს გულწრფელად და რწმენით უჭირავთ გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, ჯერ კიდევ ოდნავაც არ წყვეტს საკითხს: ხომ არ არის ეს პოზიცია უეჭველად ყალბი და შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი? ხომ არ უნდა აღმოჩნდეს ამ პოზიციიდან წარმოებული საუკეთესო საქმიანობის გარდუვალი შედეგები (თუნდაც მოქმედთა შეგნებისაგან დამოუკიდებლად და მათი ნების წინააღმდეგ) მუშათა მოძრაობის «ესკამოტირება», მისი აცდენა სწორი გზიდან, მისი ჩიხში მომწყვდევა და ა. შ.?

შევეცდები განვმარტო ჩემი აზრი მაგალითით. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ უზარმაზარ, ბნელ და ნესტიან, ხშირსა და თითქმის უღრან ტყეში ვიმყოფებით. წარმოიდგინეთ, რომ ამ ტყის მხოლოდ ცეცხლით მოსპობას შეუძლია გაწმინდოს გზა ტყით დაკავებული მთელი ადგილის ან ტყით გარემოცული მიდამოს კულტურული განვითარებისათვის და რომ ცეცხლის მოპოვება და გაღვივება ამ ტყეში უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული. უნდა გაახმოთ ხე-ტყის ის მასალა, რომელიც ძალიან ბლომად არის ყველგან, მაგრამ რომელიც ძალიან ძნელად ინთება და კვლავ ძალიან ადვილად და ხშირად ხელახლა ქრება დამყაყებულ-ნესტიან ატმოსფეროში. ერთად უნდა დააგროვოთ ის მასალა, რომელსაც შეიძლება ცეცხ-

ლი მოეკიდოს. უნდა შეინახოთ ცეცხლი (წვა), დაიცვათ იგი, მოუაროთ თვითეულ ახლადანთებულ ნაპერწკალს, გააღვივოთ ალი და სისტემატურად, დაბეჯითებით ამზადოთ ის საერთო ხანძარი, ურომლისოდაც ნესტიანი და ბნელი ტყე არ მოისპობა. ეს სამუშაო კი მეტად საძნელოა არა მარტო გარეგნული, ატმოსფერული პირობების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ძალიან მცირეა წვისათვის სავსებით გამოსადეგი ერთადერთი მასალა, რომლის წვა არავითარ პირობებში არ შეიძლება შეწყდეს, რომელიც მართლაც აინთო და უკვე [illegible] უწყვეტლივ გიზგიზებს ცეცხლად, და ეს ცეცხლი არა ჰგავს იმ მრავალრიცხოვან ცთომილ ნაპერწკლებს, რომლებიც შინაგან ძალას მოკლებულნი არიან და ესოდენ ხშირად აალებულან წარსულში მხოლოდ იმისათვის, რომ ხანმოკლე წვის შემდეგ ჩამქრალიყვნენ. და აი, როცა ეს ძირითადი საწვავი მასალა უკვე იმდენად აინთო, რომ ტემპერატურის საერთო აწევა გამოიწვია, რითაც ძალა და სიკაშკაშე მიანიჭა სხვა, ცთომილ ნაპერწკალთა მასას, — უცებ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც რიხიანად აცხადებენ: ეს რა გონებაშეზღუდულობაა — გწამდეს მოძველებული დოგმა ერთადერთი ძირითადი, ერთადერთი უეჭველად საიმედო საწვავი მასალის შესახებო! რა შაბლონობაა — მიგაჩნდეს ყველა დანარჩენი ნაპერწკალი მხოლოდ არამთავარ საშუალებებად, მხოლოდ დამხმარე ელემენტებად და სავალდებულოდ სთვლიდე ჩაეჭიდო უსათუოდ და რადაც უნდა დაჯდეს, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო მეტად მხოლოდ ე რ თ მასალას! რა ცალმხრიობაა — მუდამ ამზადო, ამზადო და ამზადო ნამდვილი საერთო ხანძარი და საშუალება მისცე ამ აღ'ბაშფოთებელ· არამზადებს, ხეების კენწეროებს, გადაეფარონ და შეინარჩუნონ სინესტე და სიბნელე. უნდა აუშვათ შუშხუნები, რომლებიც ხეების კენწეროებს ჩამოგლეჯენ, გატრუსავენ, შეაშინებენ მთელ ბნელ ძალებს და გამოიწვევენ დიდ სენსაციას, დიდ აღგზნებას, გამხნევებას, ექსციტაციას. და ეს ადამიანები მარჯვეთ ჰკიდებენ საქმეს ხელს. შვების გრძნობით უკუაგდებენ ისინი მოძველებულ ცრურწმენებს რაღაც ძირითადი საწვავი მასალის შესახებ. დამშვიდე-

ბული გულით იღებენ ისინი ყველას და თვითეულს ისე, რომ არ დაგიდევენ მათ შეხედულებებსა და აზრებს, რწმენასა და მისწრაფებებს: ჩვენ მოქმედების პარტია ვართ, და ჩვენთვის სულ ერთია, თუ ზოგიერთმა ჩვენგანმა ხელი ჩასჭიდა ისეთ მსჯელობას, რომელიც ხანძრის ჩაქრობისაკენ იხრებაო. ისინი გაბედულად მოუწოდებენ — განურჩევლად მოეპყრან ყოველგვარ ნაპერწკალსა და შუშხუნის აშვებას და ქედმაღლურად უკუაგდებენ წარსულის გაკვეთილებს: ახლა საწვავი მასალა გაცილებით მეტია, და ამიტომ უაღრესი ქარაფშუტობა დასაშვებიაო!.. და აი, მთელი ზიანის მიუხედავად, რასაც ამგვარი ადამიანები მოძრაობას აყენებენ, შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ, რომ ისინი უბრალო მატყუარები არიან? ოდნავადაც არა. ისინი სრულიადაც არ არიან მატყუარები, ისინი მხოლოდ პიროტექნიკოსები არიან.

სხვათა შორის, ამაში მდგომარეობს ჩემი პასუხი იმ სოციალისტ-რევოლუციონერებისადმი, რომლებიც ტერმინ ავანტიურისტს პირდაპირ თარგმნიდნენ ტერმინებით: თაღლითი (ბ-ნი რაფაილოვი, ჟენევა) და გაიძვერა (ბ-ნი ჟიგლოვსკი, ბერნი). საჭირო არ არის, ბატონებო, ვუპასუხებდი მე მათ, ყველაფერი უეჭველად სასჯელთა დებულების აზრით გავიგოთ! ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ავანტიურა რევოლუციური მიმართულებისა, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, უპრინციპოა, მერყევია და რომელიც უშინაარსობას მრავალაღმთქმელი ფრაზებით ჰფარავს და ამიტომ გარდუვალად განწირულია გასაკოტრებლად, და ავანტიურა არამზადებისა, რომლებმაც ჩინებულად იციან, რომ ისინი სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიან და რომ მათ თაღლითობაში მხილება ემუქრება. პირდაპირ და ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ თქვენ ბრალი დაგდეთ ავანტიურიზმში (იხ. «ისკრა» №№ 23 და 24 *), რაც გამომდინარეობს თქვენი სრული უპრინციპობიდან საერთაშორისო სოციალიზმის ყველა ძირითად საკითხში, ნაჩქარევად შეთითხნილი და «მომხმარებლისათვის» პი-

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 225 — 253. რ ე დ.

კანტური სახით მიწოდებული თქვენი აგრარული პროგრამის შეხედულებათა წარმოუდგენელი დომხალიდან, თქვენი ტერორისტული ტაქტიკის უსუსურობიდან და უნიადაგობიდან. თქვენ კი გვიპასუხებთ: დახეთ, ჩვენ გვლანძღავენ, ავანტიურისტ-გაიძვერა-თაღლითებს გვეძახიან, ჩვენ შეურაცხგვყოფენ, ჩვენ გვამცირებენო! ეს გოდება, ფრიად პატივცემულო ბატონებო, ხომ ძალიან წააგავს იმას, რომ არსებითად არაფერი გაქვთ ჩვენს საწინააღმდეგოდ სათქმელი.

ახლა საკითხავია: რაში უნდა მდგომარეობდეს ჩემ მიერ წამოყენებული თეზისის სისწორის დამტკიცება? სოციალისტ-რევოლუციონერთა მთელი მიმართულების რა განმასხვავებელი, დამახასიათებელი ნიშნები უნდა ვაჩვენო, რომ გავამართლო მთელი მათი მიმართულების ის შეფასება, რაც მოცემულია ამ თეზისში? თუ ეს შეფასება სწორია, მაშინ არც ერთი (იმედი უნდა ვიქონიოთ) რაოდენადმე კეთილსინდისიერი და სერიოზული სოციალისტი არ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ აუცილებელია გადამწყვეტი და ულმობელი ომი ასეთ მიმართულებასთან, მთელი მისი მავნებლობის სრული მხილება ხალხის რაც შეიძლება უფრო ფართო ფენების წინაშე. და აი, რათა ჩვენ შეგვეძლოს ყოველმხრივ და არსებითად გავარჩიოთ ეს საკითხი, მე წინადადებას ვიძლევი უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ყურადღება მიექცეს იმას, თუ რისაგან უნდა შესდგეს ამ კითხვის პ ა ს უ ხ ი. დაე, ადამიანები, რომლებსაც სურთ გააბათილონ შეფასების სისწორე, ნუ დასჯერდებიან «ჩივილს» თუ «შესწორებებს», არამედ აგრეთვე პირდაპირ გვიპასუხონ: რა პუნქტების დამტკიცება მიაჩნიათ მ ა თ საჭიროდ წამოყენებული თეზისის სისწორის დასადასტურებლად?

ამ თეზისის (მუშათა მოძრაობის ესკამოტირება წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ) ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს ფაქტი ესკამოტირებისა, სხვანაირად რომ ითქვას: ძირეული წინააღმდეგობისა «პარტიის» პრინციპებსა, პროგრამასა და თანამედროვე საზოგადოების გარევოლუციურების პროცესისადმი «პარტიის» ნამდვილ დამოკიდებულებას

შორის. წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ «სოციალისტ-რევოლუციონერების» პარტია ნამდვილად სულაც არა დგას მეცნიერული რევოლუციური სოციალიზმის (= მარქსიზმის) თვალსაზრისზე არც საერთაშორისო მოძრაობის საკითხებში, არც რუსეთის მოძრაობის საკითხებში. ნამდვილად «პარტიას» ახასიათებს სრული უპრინციპობა თანამედროვე სოციალიზმის ყველა უმნიშვნელოვანეს პრინციპულ საკითხში *.

დაწერილია 1902 წ. ნოემბერ-დეკემბერში

პირველად დაიბეჭდა 1936 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

# ახალი მოვლენები და ძველი საკითხები

როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება ხანმოკლე «მიყუჩება», რომელიც ახასიათებდა ჩვენი რევოლუციური მოძრაობის ამ უკანასკნელ ნახევარ წელს თუ სამმეოთხედ წელს, — რევოლუციური მოძრაობის წინანდელ სწრაფსა და მძაფრ განვითარებასთან შედარებით. თუმცა ეს «მიყუჩება» ძალიან ხანმოკლე იყო, თუმცა ყველა დაკვირვებული და მცოდნე მეთვალყურისთვის მეტად აშკარა იყო, რომ მუშათა მასობრივი მღელვარების აშკარა გამოვლინების უქონლობა (ასე მცირე ხნით) სრულიადაც არ მოასწავებდა ამ მღელვარების სიღრმე-სიგანით ზრდის შეწყვეტას, მაინც ჩვენს ინტელიგენციაში, რომელიც რევოლუციურად არის განწყობილი, მაგრამ რომელსაც ხშირად არ გააჩნია არც მტკიცე კავშირი მუშათა კლასთან, არც გარკვეულ სოციალისტურ რწმენათა მტკიცე საყრდენები, გაისმა მრავალრიცხოვანი ხმები სასოწარკვეთილებისა და მუშათა მასობრივი მოძრაობისადმი ურწმენობისა, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ — ხმები ცალკეულ პოლიტიკურ მკვლელობათა ძველი ტაქტიკის განმეორების სასარგებლოდ, როგორც პოლიტიკური ბრძოლის აუცილებელი და სავალდებულო ხერხისა ამჟამად. შარშანდელი სეზონის დემონსტრაციების შემდეგ განვლილი რამდენიმე თვის მანძილზე ჩვენში უკვე დაარსდა «სოც.-რევოლუციონერების» «პარტია», რომელიც ხმამაღლა ალაპარაკდა დემონსტრაციების შთაბეჭდილების გაქარწყლებაზე, იმაზე, რომ «ხალხი ვაი რომ ჯერ ჩქარა არ ამოძრავდება», რომ მასების შეიარაღებაზე, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, ადვილია ლაპარაკი და

წერა, ახლა კი საჭიროა შევუდგეთ «ინდივიდუალურ გამკლავებას» და თავი არ ავარიდოთ ერთპიროვნული ტერორის უთუო აუცილებლობას გაცვეთილი მითითებით სულ იმავე, ერთ და იმავე ამოცანაზე (რაც მოსაწყენი და «უინტერესოა» ინტელიგენტისთვის, რომელიც თავისუფალია მუშათა მოძრაობის ძალის «დოგმატური» რწმენისაგან!) — პროლეტარიატის მასებს შორის აგიტაციის გაწევისა და მასობრივი იერიშის მოწყობის ამოცანაზე.

მაგრამ აი იფეთქა დონის როსტოვში, პირველი შეხედვით, ერთ-ერთმა ფრიად ჩვეულებრივმა და «საყოველდღეო» გაფიცვამ, და ამან გამოიწვია მოვლენები, რომლებიც აშკარად გვიჩვენებენ სოც.-რევოლუციონერთა იმ ცდის სრულ უაზრობას და მთელ მავნებლობას, რომელიც მიმართულია ნაროდოვოლცობის აღდგენისკენ მთელი მისი თეორიული და ტაქტიკური შეცდომებით. გაფიცვა, რომელიც დაიწყო წმინდა ეკონომიური ხასიათის მოთხოვნების ნიადაგზე და მოედო მრავალ ათას მუშას, სწრაფად იქცა პოლიტიკურ მოვლენად, ძიუხედავად იმისა, რომ მასში ფრიად არასაკმარის მონაწილეობას იღებენ ორგანიზებული რევოლუციური ძალები. ხალხის მასები, რომლებიც, ზოგიერთი მონაწილის მოწმობით, 20 — 30 ათას კაცამდე აღწევენ, მართავენ თავისი სერიოზულობითა და დარაზმულობით გასაოცარ პოლიტიკურ კრებებს; ამ კრებებზე ხარბად კითხულობენ და კომენტარს უკეთებენ სოც.-დემოკრატიულ პროკლამაციებს, წარმოსთქვამენ პოლიტიკურ სიტყვებს, მშრომელი ხალხის ყველაზე შემთხვევითსა და მოუმზადებელ წარმომადგენლებს განუმარტავენ სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის საანბანო ჭეშმარიტებებს, აძლევენ პრაქტიკულ და «საგნობრივ» გაკვეთილებს, თუ როგორ უნდა მოეპყრან ჯარისკაცებს და როგორ შიჰმართონ ჯარისკაცებს. ადმინისტრაცია და პოლიცია თავგზას ჰკარგავენ (იქნებ, ნაწილობრივ, ჯარის არასაიმედობის გამოც?) და უძლურნი არიან ხელი შეუშალონ რუსეთისათვის უმაგალითო მასობრივ პოლიტიკურ კრებებს, რომლებიც ცის ქვეშ იმართება რამდენიმე დღის განმავლობაში. და რო-

დესაც, დასასრულ, სამხედრო ძალას აამოქმედებენ, ხალხი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს მას, და ამხანაგის მოკვლა საბაბად ხდება, რომ მეორე დღეს მის გვამთან პოლიტიკური დემონსტრაცია გაიმართოს... თუმცაღა, სოც.-რევოლუციონერებს, ალბათ, სხვანაირად ეხატებათ საქმე, და, მათი თვალსაზრისით, ეტყობა, «უფრო მიზანშეწონილი» იქნებოდა, რომ როსტოვში მოკლულ ექვს ამხანაგს თავისი სიცოცხლე გაეწირა ამა თუ იმ მტარვალ პოლიციელზე თავდასხმის დროს?

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ასეთი მასობრივი მოძრაობა, დაკავშირებული მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნებისა და რევოლუციური აქტივობის ზრდასთან, რაც ყველას წინაშე თვალსაჩინოდ ისახება, იმსახურებს ნ ა მ დ ვ ი ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი აქტის სახელწოდებას, მხოლოდ ასეთ მოძრაობას შეუძლია ნამდვილი სიმხნევე ჩაუნერგოს იმათ, ვინც იბრძვის რუსეთის რევოლუციისათვის. ჩვენ აქ ვხედავთ არა ყბადაღებულ «ინდივიდუალურ გამკლავებას», რომლის კავშირიც მასებთან მდგომარეობს მხოლოდ სიტყვიერ განცხადებებში, დაბეჭდილ განაჩენებში და სხვ.. ჩვენ ვხედავთ მასის ნამდვილ გამკლავებას, და ამ გამკლავების არაორგანიზებულობა, მოუმზადებლობა, სტიქიურობა მოგვაგონებს, თუ რა უგუნურებაა ჩვენი რევოლუციური ძალების გაზვიადება, რა დანაშაულობაა უგულებელვყოთ ის ამოცანა, რომ აი ამ მასაში, რომელიც ჩვენს თვალწინ ნამდვილად იბრძვის, შევიტანოთ უფრო და უფრო მეტი ორგანიზებულობა და მომზადებულობა. ტყვიის სროლით ნუკი შევქმნით საბაბს აღშფოთებისთვის, მასალას აგიტაციისთვის და პოლიტიკური აზროვნებისთვის, არამედ ვისწავლოთ იმ მასალის დამუშავება, გამოყენება, ხელში აღება, რასაც საკმაოზე უფრო ჭარბად იძლევა რუსეთის ცხოვრება, — აი ერთადერთი ამოცანა, რომელიც რევოლუციონერს შეჰფერის. სოც.-რევოლუციონერებს ძალიან მოაქვთ თავი იმით, თუ რა დიდი «სააგიტაციო» ძალა აქვთ პოლიტიკურ მკვლელობებს, რომლებზედაც ესოდენ ბევრს ჩურჩულებენ ლიბერალურ დარბაზებშიც და უბრალო

ხალხის სამიკიტნოებშიც. მათთვის სულ იოლია (ისინი ხომ თავისუფალნი არიან ცოტათი მაინც გარკვეული სოციალისტური თეორიის რაიმე ვიწრო დოგმისგან!) პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდა შესცვალონ (ანდა თუნდაც შეავსონ) პოლიტიკური ს ე ნ ს ა ც ი ი ს მოხდენით. ჩვენ კი გვგონია, რომ ნამდვილი და სერიოზული «სააგიტაციო» (აღმგზნები), და არა მარტო აღმგზნები, არამედ (და ამას გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს) აღმზრდელი ძალა აქვთ მ ხ ო ლ ო დ ისეთ მოვლენებს, რომლებშიც მოქმედ პირად თვით მასა გამოდის, რომელთა ინსცენირებას ესა თუ ის ორგანიზაცია კი არ ახდენს «სპეციალური მიზნით», არამედ რომელთაც მასის განწყობილება წარმოშობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასობით მეფის მოკვლას არასოდეს არ შეუძლია იქონიოს ისეთი აღმგზნები და აღმზრდელი გავლენა, როგორიც ათიათასობით მუშა ხალხის ამ ერთ მონაწილეობას კრებებში, სადაც განიხილება მათი საარსებო ინტერესები და პოლიტიკის კავშირი ამ ინტერესებთან, — როგორიც ამ მონაწილეობას ბრძოლაში, რომელიც ნამდვილად ა ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ს პროლეტარიატის ახალ-ახალ «ხელუხლებელ» ფენებს უფრო შეგნებული ცხოვრებისათვის, უფრო ფართო რევოლუციური ბრძოლისათვის. ჩვენ გველაპარაკებიან მთავრობის (რომელიც იძულებულია ბატონი სიპიაგინები ბატონ პლეველებით შესცვალოს და სამსახურში «აიყვანოს» ყველაზე უხამსი ვიგინდარები) დეზორგანიზაციაზე, ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ერთი რევოლუციონერის გ ა წ ი რ ვ ა თუნდაც ათი ვიგინდარისთვის ნიშნავს მხოლოდ საკუთარი რიგების დეზორგანიზაციას; ამ რიგებში კი ისედაც ცოტანი გვყვანან, იმდენად ცოტანი, რომ ისინი ვერ ასწრებენ მთელ მუშაობას, რასაც რევოლუციონერებისაგან მუშები «მოითხოვენ». ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობის ნამდვილ დეზორგანიზაციას წარმოადგენს ისეთი და მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც თვით ბრძოლის მეოხებით ნამდვილად ორგანიზებული ფართო მასები მთავრობას თავგზას უბნევენ, როდესაც მუშათა კლასის მოწინავე ადამიანთა მოთხოვნების კანონიერება ნათელი ხდება ქუჩის მა-

სისთვის, ნათელი ხდება ჯარის ნაწილისთვისაც კი, რომელსაც «დასაწყნარებლად» იწვევენ, როდესაც ათიათასობით ხალხის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებას წინ უძღვის ხელისუფალთა მერყეობა, რომელთაც არავითარი რეალური შესაძლებლობა არა აქვთ გამოარკვიონ, თუ სადამდე მიიყვანს მათ ეს სამხედრო მოქმედება, — როდესაც სამოქალაქო ომის ველზე მოკლულებში ხალხი ხედავს და გრძნობს თავის ამხანაგებს, თავის თანაწეერებს და იგროვებს სიძულვილის ახალ მარაგს, იმის სურვილს, რომ მტერს უფრო გაბედულად შეებას. და აქ უკვე არა ცალკეული ვიგინდარა, არამედ მთელი თანამედროვე წყობილება გამოდის ხალხის მტრად, ხალხისა, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებენ ადგილობრივი და პეტერბურგელი ხელისუფალნი, პოლიცია, კაზაკები და ჯარი, რომ არაფერი ვთქვათ ჟანდარმებსა და სასამართლოებზე, რომელთა ამუშავება, როგორც ყოველთვის, თან ახლავს და ამთავრებს ყოველგვარ სახალხო აჯანყებას.

დიახ, აჯანყება. თუმცა ძალიან შორს იყო «ნამდვილი» აჯანყებისგან ამ, როგორც ჩანს, საგაფიცვო მოძრაობის დასაწყისი შორეულ პროვინციულ ქალაქში, მაგრამ მისი გაგრძელება და ფინალი ძალაუნებურად სწორედ აჯანყების ფიქრს აღგიძრავენ. გაფიცვის ჩვეულებრივი საბაბი, მუშების მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა წვრილმანი ხასიათი განსაკუთრებით ძლიერ აჩენენ პროლეტარიატის სოლიდარობის მძლავრ ძალასაც, რომელმაც ერთბაშად დაინახა, რომ რკინიგზელ მუშათა ბრძოლა მისი საერთო საქმეა, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური იდეების, პოლიტიკური ქადაგების შემთვისებლობასაც, მის მზადყოფნასაც, რომ თავისი მკერდით დაიცვას ჯარებთან პირდაპირ ბრძოლაში თავისუფალი ცხოვრების, თავისუფალი განვითარების ის უფლებანი, რომელნიც უკვე გახდნენ ყველა მოაზროვნე მუშის საერთო და ელემენტარულ კუთვნილებად. და ათასჯერ მართალი იყო დონის კომიტეტი, როცა პროკლამაციაში, რომელიც ქვემოთ მთლიანად მოგვყავს, «ყველა მოქალაქეს» ეუბნებოდა როსტოვის გაფიცვის შესახებ, რომ ეს არის რუსეთის მუშათა საერთო აღმავლობის, მათ

მიერ პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნის წამოყენების ერთ-ერთი დასაწყისიო[64]. ასეთი ხასიათის მოვლენებით ჩვენ ნამდვილად თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ მწიფდება საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყება თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ არა მარტო როგორც იდეა რევოლუციონერთა გონებაში და პროგრამებში, არამედ აგრეთვე როგორც გარდუვალი, პრაქტიკულ-ბუნებრივი, შ ე მ დ გ ო მ ი ნაბიჯი თვით მოძრაობისა, როგორც შედეგი მასების მზარდი აღშფოთებისა, მზარდი გამოცდილებისა, მზარდი გაბედულებისა, მასების, რომლებიც რუსეთის სინამდვილისაგან იღებენ ასეთ ძვირფას გაკვეთილებს, ასეთ ჩინებულ აღზრდას.

გარდუვალი და ბუნებრივი ნაბიჯი, ვთქვი მე — და ვისწრაფვი დავსძინო: თ უ ჩ ვ ე ნ ნებას არ მივცემთ თავს ერთი ნაბიჯითაც გადავუხვიოთ მოახლოებულ, ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ ამ მასებს, რომლებიც უკვე ფეხზე დგებიან, დავეხმაროთ აღდგნენ უფრო გაბედულად და უფრო ერთსულოვნად, მივცეთ მათ ქუჩის არა ორი, არამედ ათობით ორატორი და ხელმძღვანელი, შევქმნათ ნამდვილი მებრძოლი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება წარმართოს მასები, და არა ეგრეთწოდებული «მებრძოლი ორგანიზაცია», რომელიც წარმართავს (თუ კი წარმართავს) უჩინარ პიროვნებებს. რა თქმა უნდა, ეს ამოცანა ძნელია, მაგრამ ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია შევცვალოთ მარქსის სიტყვები, რომლებიც ამ ბოლო დროს ასე ხშირად და ასე უხეიროდ მოჰყავთ ხოლმე, და ვთქვათ: «ნ ა მ დ ვ ი ლ ი მოძრაობის თვითეული ნაბიჯი უფრო მნიშვნელოვანია», ვიდრე «დუქინობით» ინდივიდუალური თავდასხმა და წინააღმდეგობა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ასობით მარტო-ინტელიგენტური ორგანიზაციები და «პარტიები»[65].

როსტოვის ბრძოლასთან ერთად უკანასკნელი დროის პოლიტიკური ფაქტებიდან პირველ რიგში დგება დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოტანილი საკატორღო განაჩენები. მთავრობამ გადაწყვიტა ყოველნაირად დააშინოს მუშები,

დაწყებული წკეპლით და გათავებული კატორღით. და რა შესანიშნავი პასუხი გასცეს მას მუშებმა, რომელთა სიტყვები, წარმოთქმული სასამართლოში, ჩვენ ქვემოთ მოგვყავს [66], — რა ჭკუის სასწავლებელია ეს პასუხი ყველა იმათთვის, ვინც განსაკუთრებით ხმაურობდა დემონსტრაციების მოქმედების გაქარწყლებაზე არა ამავე გზით შემდგომი მუშაობის წაქეზების მიზნით, არამედ ყბადაღებული ინდივიდუალური გამკლავების ქადაგების მიზნით! ეს სიტყვები საუცხოო, პროლეტარიატის თვით გულის სიღრმიდან გამომდინარე კომენტარია როსტოვის ამბების მსგავსი მოვლენებისა და ამავე დროს შესანიშნავი განცხადებაა («საჯარო გამოჩინება», ვიტყოდი მე, ეს რომ სპეციფიკური პოლიციური ტერმინი არ იყოს), რომელსაც დიდძალი მხნეობა შეაქვს ხანგრძლივ და მძიმე მუშაობაში მოძრაობის «ნამდვილი» ნაბიჯების მოსამზადებლად. ამ სიტყვებში შესანიშნავია უბრალო, ნამდვილად ზუსტი გამოხატვა იმისა, თუ თანამედროვე საზოგადოებაში მუშათა «ჩაგვრის, სიღატაკის, მონობის, დამცირების, ექსპლოატაციის» უაღრესად ყოველდღიური, ათეული და ასეული მილიონობით განმეორებული ფაქტებიდან როგორ ხდება გადასვლა მუშების შეგნების გაღვიძებისაკენ, მათი «აღშფოთების» ზრდისაკენ, ამ აღშფოთების რევოლუციური გამოვლინებისაკენ (მე ბრჭყალებში ჩავსვი ის გამოთქმები, რომელთა ხმარება დამჭირდა ნიჟნინოვგოროდელ მუშათა სიტყვების დასახასიათებლად, რადგან ეს სწორედ მარქსის ის შესანიშნავი სიტყვებია «კაპიტალის» პირველი ტომის უკანასკნელი ფურცლებიდან, რომლებმაც გამოიწვიეს «კრიტიკოსთა», ოპორტუნისტთა, რევიზიონისტთა და სხვათა ამდენი ხმაურიანი და უხეირო ცდა — გაებათილებინათ და ემხილებინათ სოციალ-დემოკრატები იმაში, რომ ისინი მართალს არ ლაპარაკობენო).

სწორედ იმიტომ, რომ ამ სიტყვებს ლაპარაკობდნენ უბრალო მუშები, თავიანთი განვითარების დონის მხრივ სრულიადაც არა მოწინავე მუშები, ლაპარაკობდნენ არა როგორც თუნდაც რაიმე ორგანიზაციის წევრები, არამედ როგორც მა-

სის ადამიანები, სწორედ იმიტომ, რომ ეს სიტყვები ემყარებოდა არა მათს პირად რწმენას, არამედ რუსეთის თვითეული პროლეტარისა და ნახევრადპროლეტარის ცხოვრების ფაქტებს, — ასეთ გამამხნევებელ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ მათი დასკვნები: «აი რატომ მივდიოდით ჩვენ შეგნებულად ლემონსტრაციაზე თვითმპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ». იმ ფაქტების ჩვეულებრიობა და «მასობრიობა», რომლებიდანაც მათ ეს დასკვნა გამოჰყავდათ, იმის თავდებია, რომ ამ დასკვნამდე შეუძლიათ მივიდნენ და აუცილებლად მივლენ კიდეც ათასები, ათეული და ასეული ათასები, თუ ჩვენ შევძლებთ განვაგრძოთ, გავაფართოოთ და განვამტკიცოთ სისტემატური, პრინციპულად გამართული და ყოველმხრივ რევოლუციური (სოციალ-დემოკრატიული) ზეგავლენა მათზე. ჩვენ მზადა ვართ წავიდეთ კატორღაში პოლიტიკური და ეკონომიური მონობის წინააღმდეგ ბრძოლის გულისთვის, რახან ვიგრძენით თავისუფლების სიო, — ამბობდა ოთხი ნიჟნინოვგოროდელი მუშა. ჩვენ მზადა ვართ სიკვდილს შეეგებოთ — თითქოს ეხმაურებოდნენ მათ ათასები როსტოვში, როცა მათ რამდენიმე დღით ბრძოლით მოიპოვეს პოლიტიკური კრებების თავისუფლება და მოიგერიეს მთელი რიგი სამხედრო იერიშები უიარაღო მასის წინააღმდეგ.

ამით გაიმარჯვებ — დაგვრჩენია ჩვენ ვუთხრათ იმათ, ვისაც თვალნი ხედვად აქვთ და ყურნი სმენად.

«ისკრა» № 29, 1902 წ.
1 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# საშუალო სკოლების მოსწავლეებს [67]

მთელი სულითა და გულით მივესალმებით მოსწავლეთა ენერგიულ თაოსნობას და ჩვენი მხრივ ვაძლევთ მათ ასეთ ამხანაგურ რჩევას. ეცადეთ თქვენი ორგანიზაციის მთავარ მიზნად გაიხადოთ თვითგანათლება, დარწმუნებულ, მტკიცე და გამობრძმედილ სოციალ-დემოკრატებად ჩამოყალიბება. რაც შეიძლება უფრო მტკიცედ განასხვავეთ ეს ფრიად ძნიშვნელოვანი და აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა უშუალო პრაქტიკული საქმიანობისაგან. ეცადეთ მოქმედი არმიის რიგებში შესვლისას (და შ ე ს ვ ლ ა მ დ ე) გააბათ უაღრესად მჭიდრო (და უაღრესად კონსპირაციული) კავშირურთიერთობა ადგილობრივს ორგანიზაციებთან ან საერთო-რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, რათა არ მოგიხდეთ საქმის ცალ-ცალკე დაწყება, რათა უკვე შეგეძლოთ დაიწყოთ არა თავიდან, არამედ განაგრძოთ წინათ გაკეთებული, ერთბაშად ჩადგეთ რიგებსა და რაზმებში, წინ წასწიოთ მოძრაობა და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოთ იგი.

«ისკრა» № 29, 1902 წ.
1 დეკემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

## «სვობოდას» ჯგუფის შესახებ

თუ როგორ ეპყრობიან ბატონი «რევოლუციონერ-სოციალისტები» უთანხმოებათა არსებითად გარჩევას, შემდეგიდან ჩანს. ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» ლენინმა «სვობოდა» პირდაპირ გამოიწვია და წინადადება მისცა უარეყო ის დებულება, რომ «რევოლუციონერთა ორგანიზაცია» აუცილებელია მასებში მუშაობის გასაჩაღებლად და განსამტკიცებლად. იქვე ბ-ნ ნადეჟდინს საფუძვლიანად განემარტა მთელი მავნებლობა და ურიგობა თეორიული სიმჩატისა, პროგრამული ქარაფშუტობისა («რევოლუციონერ-სოციალისტი» და ლამის სოციალ-დემოკრატიც ამავე დროს!), ტაქტიკური ქანაობისა რევოლუციონიზმსა და ეკონომიზმს შორის, ტერორიზმსა და პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას შორის. იქ პირდაპირ იყო ნაჩვენები და დამტკიცებული, რომ «სვობოდა» დემაგოგიამდე ეშვება*. ბ-მა ნადეჟდინმა ამჯობინა თავი აერიდებინა ამ პირდაპირი გამოწვევისთვის. ნაცვლად აშკარა, ნიღაბახდილი ომისა, ამ კეთილშობილმა მეომარმა ამჯობინა მოქმედება ორგანიზაციული განხეთქილების კუნჭულიდან. «ჟურნალ-ში მუშებისთვის» (??) «სვობოდას» ჯგუფი თავის შეხედულებებს კი არ განმარტავს, არამედ მხოლოდ სისინებს, «მასებს» აქეზებს «რევოლუციონერთა ორგანიზაციის» წინააღმდეგ და არწმუნებს მათ, რომ «ისკრა» ეკონომიზმის «ჯანსაღ ღეროს» სჭრისო. არსებითი დავა — ეს ხომ მხოლოდ ინტელიგენტური ამბავია. «მასებისთვის» კი საკმარისია გოდება «მბრძანებ-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 572 — 593. რ ე დ.

ლობის» წინააღმდეგ და ლათაიები «მშიერ კუჭსა და წმინდა სულზე», «ლურსმებიან მავნე ჩექმაზე», «ღორებსა და სპილენძის შუბლზე», «ტვინის მოდუნებულ პარკუჭანებზე» და «საღრუტუნებელზე», «კინწისკვრასა და კბილების ჩამტვრევაზე» და ა. შ. (იხ. «გამოხმაურება», გვ. 30—55). ჩვენებური ბ-ნი რევოლუციონერ-სოციალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები განაგრძობენ «მასობრივი» ლიტერატურის დამცირებას მდარე ღირსების ლიტერატურის დონემდე და ამ თავისი დამსახურებისთვის ისინი მოითხოვენ უფლებას — დაქსაქსულობა და გარყვნილება სთესონ ყველა სერიოზულ პარტიულ საკითხში. პროგრამა — ორმაგი ბუხჰალტერიაა, ტაქტიკა — ორმაგი ბუხჰალტერიაა, პრაქტიკული მოღვაწეობა — დემაგოგიაა, აი, «რევოლუციურ-სოციალისტური» ჯგუფის — «სვობოდას» პორტრეტი.

«ისკრა» № 30, 1902 წ.
15 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# ნაწყვეტი სტატიიდან ესერების წინააღმდეგ

სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან (მტკიცე და ნამდვილი რევოლუციური მოძრაობის ეს ერთადერთი საწინდარი) ადვილი საქმე როდია, და გასაკვირი არ არის, რომ მის შემუშავებას თან სდევს სხვადასხვა ქანაობაო, — ვწერდით ჩვენ სწორედ ორი წლის წინათ «ისკრის» პირველი ნომრის პირველ სტატიაში *. და თუ აუცილებელი იყო ბრძოლა ისეთ მიმართულებასთან (მიმდინარეობასთან), რომელმაც სწორი გზა აირჩია, მაგრამ შემცდარად განსაზღვრა თავისი ამოცანები ამ გზაზე, გაცილებით უფრო აუცილებელია ბრძოლა იმ მიმართულებასთან, რომელსაც არც განუზრახავს რაოდენადმე მთლიანი და მოფიქრებული სოციალიზმის რაიმე შეერთება მუშათა მოძრაობასთან. ეს მიმართულება, მოკლებული სოციალურ საფუძველს და ყოველგვარ კავშირს რომელიმე გარკვეულ საზოგადოებრივ კლასთან, ცდილობს თავისი შინაგანი უძლურება დაჰფაროს მისწრაფების გაქანებით, პროგრამის «სიფართოვით», ესე იგი (წაიკითხე) სულ სხვადასხვანაირი და საწინააღმდეგო პროგრამების უპრინციპო შეხამებით, რომლებიც, სწორედ ამ თვისებათა გამო, შესაძლებელია ერთნაირად მიუდგეს ინტელიგენციასაც, პროლეტარიატსაც და გლეხობასაც. ამასთან **en masse** ** ინტელიგენციის გარდა, ისევე როგორც ლიბერალური ოპოზიციის გარდა, შეგიძლიათ არავითარი საზოგადოებრივი კლასი არ შეამჩნიოთ (კიდევ კარგი, რომ ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულება, რომლისადმი კრიტიკული და-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-4, გვ. 451 — 452. რ ე დ.

** — მასობრივად. რ ე დ.

მოკიდებულების უნარი არ ჰქონდა ძველ რუსულ სოციალიზმს და არა აქვთ თანამედროვე სოც.-რევოლუციონერებსაც, არაკლასობრივ მიმართულებად აცხადებს თავს). გლეხობას შეგიძლიათ ისე მიუდგეთ, რომ სრულიად არ გადაწყვიტოთ «წყეული» საკითხები მისი ყოფაცხოვრების საფუძვლებისა, მისი ადგილისა რუსეთის და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ევოლუციაში, მიუდგეთ ისეთი ზოგადი რევოლუციური და სოციალისტური (პირველი შეხედვით სოციალისტური) ფრაზებით, რომლებიც შეძლებისამებრ არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ გლეხთა საკითხის არც ერთ დამკვიდრებულ და ცნობილ გადაწყვეტას. დღევანდელი მშფოთვარე მომენტი, როდესაც ხან იქ, ხან აქ იფეთქებს ბრძოლა, საშუალებას იძლევა ამ ბრძოლის «ხმაურში» გვერდი აუარო ყველა და ყოველგვარ პრინციპულ საკითხს და დასჯერდე ამ ბრძოლის ყველა გამოვლინების თანაგრძნობითს მხარდაჭერას და შედარებითი სიწყნარის დროს «ინდივიდუალური გამკლავების» გამოგონებას. ვღებულობთ მიმართულებას, რომელიც ძალიან რევოლუციურია თავისი ფრაზებით და სრულიადაც არ არის რევოლუციური თავისი ნამდვილი შეხედულებებით და რევოლუციურ კლასთან კავშირით, — რევოლუციურია მთავრობაზე თავდასხმების სიმკვეთრით და ამავე დროს სრულიად მოკლებულია უნარს — სწორად შეაფასოს ამ მთავრობის საერთო ტაქტიკა და სწორი პასუხი გასცეს ამ ტაქტიკას. მართლაც, ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ, მიუხედავად ყველა ნახტომისა და ქანაობისა, მიუხედავად მთავრობის მთელი დაბნეულობისა თავისი ტაქტიკის ამა თუ იმ ცალკეულ შემთხვევაში, საერთოდ და მთლიანად, ნათლად ჩანს მისი თავდაცვის ორი მთავარი ხაზი.

---

დაწერილია 1902 წ. დეკემბერში
პირველად დაიბეჭდა 1939 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# პროექტი რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის მიმართვისა ლიგისადმი, კავშირისა და ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტისადმი

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაზაფხულის კონფერენციის (1902 წ.) დადგენილების შესასრულებლად საორგანიზაციო კომიტეტი წინადადებას აძლევს რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლიგას, საზღვარგარეთულ «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირს» და ბუნდის საზღვარგარეთულ კომიტეტს შექმნან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილება.

რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის ამ საზღვარგარეთული განყოფილების ფუნქციები შემდეგი უნდა იყოს:

1) დაამუშაოს საკითხი საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლობისა ყრილობაზე. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებულია რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტზე და შემდეგ თვით ყრილობაზე; 2) საზღვარგარეთიდან ხელი შეუწყოს ყრილობის მოწყობას (მაგ., ფული, პასპორტები და სხვ.) და 3) მოამზადოს საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება, რაც ესოდენ გადაჭრით აუცილებელია პარტიისა და რუსეთის მთელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის.

დაწერილია 1902 წ. დეკემბერში —
1903 წ. იანვარში

იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# საერთო პარტიულ ყრილობაზე რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებათა საკითხისათვის [68]

საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა მომმართა თხოვნით გამეგზავნა იმ საკითხების სია, რომლებზედაც სასურველია პასუხის გაცემა ჩვენი პარტიის კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებებში პარტიის მე-2 ყრილობაზე. ქვემოთ მომყავს ასეთი საკითხების სანიმუშო სია, მაგრამ წინასწარ რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ამ სიის სიგრძის გამო. თავისთავად ცხადია, რომ მოხსენებები სასურველია ს.-დ. მუშაობის ყველა დარგის შესახებ, და ამიტომ იდეალური მოხსენება მოიცავს საკითხთა თითქმის დაუსრულებელ რაოდენობას. რა თქმა უნდა, ოცნებაც არ შეიძლება ასეთ სრულ მოხსენებათა წარდგენის შესაძლებლობაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ფრიად მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიმაჩნია, რომ საორგანიზაციო კომიტეტი ეცადოს თვითეულ კომიტეტსა თუ ჯგუფს გააცნოს ყრილობისათვის საინტერესო (და საჭირო) საკითხთა მთელი მოცულობა. ჩვენს მე-2 ყრილობას უფრო მეტად ექნება დამფუძნებელი ხასიათი, ვიდრე პირველს ჰქონდა, და ამიტომ მთელი ძალონე უნდა ვიხმაროთ, რათა მოხსენებები უფრო სრული და საფუძვლიანი იყოს: მოხსენების იდეალური პროგრამის რაც უფრო მეტ ნაწილს შეასრულებს თვითეული ჯგუფი, მით უფრო სრულად და უფრო ზუსტად იქნება წარმოდგენილი ჩვენს ყრილობაზე მთელი მოძრაობა საერთოდ, მით უფრო მტკიცე იქნება ყრილობის შედეგები.

საჭიროა, რათა ყრილობამდე რაც შეიძლება დიდი ხნით ადრე დაიწყოს მოხსენებათა მომზადება, მათი განხილვა კო-



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«საერთო პარტიულ ყრილობაზე რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების
მოხსენებათა საკითხისათვის». 1902 წ. დეკემბერი — 1903 წ. იანვარი
დაპატარავებულია

მიტეტებსა და ჯგუფებში და სხვ. ამასთან მეტისმეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ კომიტეტებმა და ჯგუფებმა, ჯერ ერთი, მრავალ წევრს შორის გაანაწილონ მუშაობა მოხსენების შედგენაზე; მეორე, მოხსენების თ ვ ი თ ე უ ლ ი ნაწილის შედგენისთანავე დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გაგზავნონ მისი ასლი (სრულიადაც არ დაუცადონ მ თ ე ლ მოხსენებას) საზღვარგარეთ, ე. ი. დაცულ ადგილას; მესამე, ეცადნენ ამ მუშაობაში ჩააბან არა მარტო ახლანდელი, არამედ ყოფილი წევრებიც, არა მარტო აქტიური, არამედ ჩამოშორებული წევრებიც, ე. ი. პირნი, რომელნიც იმყოფებიან გადასახლებაში და საზღვარგარეთ. ასეთ პირებს შეიძლება დაევალოთ მოხსენებათა შედგენა ან საკითხთა განსაზღვრული ჯგუფის მიხედვით, ან დროის განსაზღვრული პერიოდის მიხედვით, როდესაც ეს პირები კომიტეტში ან ჯგუფში მუშაობდნენ. ასეთ მოხსენებებს, ან მოხსენებათა ნაწილებს, შეუძლიათ ძალიან გააადვილონ დელეგატების ამოცანა ყრილობაზე. თავისთავად ცხადია აგრეთვე, რომ დელეგატებმა უნდა გამოიყენონ პარტიული ლიტერატურაც, რომელიც შეიცავს მრავალ პასუხს მოხსენების კითხვებზე, ე. ი. უნდა შეეცადონ და ამ ლიტერატურას ერთ მთელად მოუყარონ თავი, მთელი მისი არსებითი ნაწილის ექსტრაქტი გააკეთონ, შეცდომები გაასწორონ, შეავსონ, მიუმატონ ის, რაც არ შეიძლებოდა დაბეჭდილი ყოფილიყო კონსპირაციის მოსაზრებით და სხვ. (ასეთი მუშაობისთვისაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს კომიტეტებისა და ჯგუფების იმ ყოფილ წევრთა საქმეში ჩაბმას, რომლებიც დროებით საზღვარგარეთ იმყოფებიან). სხვათა შორის, კონსპირაციულობის შესახებ უნდა დავუმატო, რომ ზოგიერთ კითხვაზე წერილობითი პასუხი არ შეიძლება შესდგეს და არც უნდა შესდგეს, რადგან ეს საიდუმლოს გამჟღავნება იქნებოდა. მაგრამ ამ კითხვებზე პასუხი მაინც აუცილებლად მოფიქრებული, მომზადებული და განხილული უნდა იყოს კომიტეტებისა და ჯგუფების მიერ, რადგან პარტიულ ყრილობაზე მოხსენება ამ საკითხების შესახებ ს ა-

ვალდებულო იქნება (თუ ყრილობის **in pleno** * არა, ცალკე კომისიის წინაშე, ცენტრალური კომიტეტის წინაშე და სხვ.).

იმ მიზნით, რომ ანგარიშების შედგენაში რაც შეიძლება მეტი პირი იყოს ჩაბმული, სასურველია საკითხთა თვითსია (ცალკეულ კომიტეტთა, ჯგუფთა ან ამხანაგთაგან შემოტანილ დამატებებთან ერთად) რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს, ამასთან სოციალ-დემოკრატთა ფართო წრისგან დაფარული უნდა იყოს მხოლოდ ის, რომ ეს საკითხები და მოხსენებანი გათვალისწინებულია მეორე პარტიული ყრილობისთვის.

დასასრულ, იბადება კითხვა: დროის რა პერიოდის ანგარიშია საჭირო? ფორმალურად რომ ვთქვათ, ანგარიში უნდა მოიცავდეს პირველი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე განვლილ პერიოდს, ე. ი. 1898-დან 1903 წლამდე. მაგრამ იმის გამო, რომ პირველი ყრილობა არც სრული იყო, ფრიად ხანმოკლეც იყო და მეტად არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა, — ამიტომ სასურველი იქნება მოხსენებები გავრცელდეს 1898 წლის წინა პერიოდზედაც.

მგონია, ზედმეტი არ იქნება კიდევ შევნიშნოთ, რომ მოხსენებისათვის საკითხთა ფრიად დაწვრილებითი სია სრულიადაც არ უნდა იყოს ისე გაგებული, თითქოს ყრილობაზე საუკეთესო დელეგატი ის ამხანაგი იქნება, ვინც ყველაზე უკეთ იცნობს მოძრაობის ისტორიას, ანდა საერთოდ ვისაც ყველაზე უკეთ შეუძლია უპასუხოს ყველა ამ კითხვას. ყრილობას პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მოძრაობის გასაერთიანებლად და ამ მოძრაობისთვის ძლიერი წინწამწევი ბიძგის მისაცემად, და საუკეთესო დელეგატები უნდა იყვნენ თუნდაც ახალი, მაგრამ ყველაზე ენერგიული, გავლენიანი, რევოლუციურ მუშაობაში ყველაზე მეტად ჩაბმული ამხანაგები. მოხსენებები კი შეიძლება შესდგეს მრავალი პირის ნაშრომებისგან, გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში იქნებ შესაძლებელი აღმოჩნდეს რამდენიმე პირის

* — სრული შემადგენლობით, პლენუმზე. რ ე დ.

გაგზავნა: განსაკუთრებით სასურველია მ უ შ ა დელეგატების დ ი დ რ ი ც ხ ვ ს მიეცეს ყრილობაზე ყოფნის შესაძლებლობა.

---

ახლა მომყავს საკითხების სია, რომლებიც რვა განყოფილებად ან ჯგუფად არის დაყოფილი (დაყოფა ცალკე საკითხებისა და მათი ჯგუფებისაც კი ხშირად ხელოვნურია, და ეს გაკეთებულია მხოლოდ მიმოხილვის გასაადვილებლად, რადგან ყველა საკითხი ერთიმეორესთან უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული).

## I. მუშათა მოძრაობა, მისი ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა

1. მრეწველობის პირობებისა და მდგომარეობის მოკლე დახასიათება. ადგილობრივი პროლეტარიატის (სამრეწველო, სავაჭრო, შინამრეწველობისა და სხვ., აგრეთვე, შესაძლოა, მიწათმოქმედი პროლეტარიატისაც) რაოდენობა, შემადგენლობა, განაწილება და სხვა თავისებურებანი.

2. რამდენად ფართოდ არის გავრცელებული მუშებს შორის სოციალისტური აგიტაცია? რომელ რაიონებში? ქარხნებში? ფაბრიკებში? შინამუშებში და სხვ.. რაც შეიძლება დაწვრილებით იქნას დასურათებული მუშათა ამ წრის გაფართოება მოძრაობის დაწყების დროიდან.

3. რაც შეიძლება სრულად ჩამოითვალოს მომხდარი გაფიცვები და დაწვრილებით აიწეროს თვითეული ცოტად თუ ბევრად დიდი გაფიცვა. სასურველია ნაკრები ცნობები.

4. იყო თუ არა ბოიკოტისა და მუშათა სხვა კოლექტიური მოქმედების* შესანიშნავი შემთხვევები, გარდა გაფიცვებისა? დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ.

5. მუშათა რა და რა წრეები არსებობდნენ და არსებობენ? — სალაროები? — თვითგანათლების საზოგადოებანი? — მუშათა ორგანიზაციები? — პროფესიული კავშირები? რაც

---

* კოლექტიური განცხადებანი? საჯარო კრებები? მონაწილეობა საჯარო «გამოჩინებაში»? და სხვ. და ა. შ.

შეიძლება სრულად აიწეროს ყველა მსგავსი გაერთიანება, მათი მოწყობის ტიპი, მათი უპირატესი შემადგენლობა, წევრთა რიცხვი, არსებობის დრო, ფუნქციონირების ხასიათი, ამ მიმართულებით გამოცდილების შედეგები და სხვ.

6. იყო თუ არა ცდები მუშათა ლეგალური საზოგადოებების დაარსებისა? დაწვრილებითი ცნობები თვითეულ ასეთ ცდაზე და მის შედეგებზე, მის გავლენაზე, მის ბედზე, მის თანამედროვე მდგომარეობასა და მნიშვნელობაზე. იგივე ზუბატოველთა საზოგადოებებზე. იყო თუ არა ცდები გამოეყენებინათ ლეგალური საზოგადოებანი სოციალ-დემოკრატიის მიზნებისათვის?

7. თანამედროვე კრიზისის გავლენა? მისი დახასიათება უმთავრესად მუშათა მონაცემების მიხედვით. უმუშევრები, მათი სულიერი განწყობილება, აგიტაცია მათ შორის და სხვ.

## II. ადგილობრივი სოციალისტური წრეების ისტორია, სოციალ-დემოკრატების გამოჩენა, მიმართულებათა ბრძოლა მათს შიგნით

8. დარჩა თუ არა ძველი სოციალისტური ორგანიზაციების კვალი სოციალ-დემოკრატების გამოჩენის დროისთვის? რაში მდგომარეობდა და რა გავლენას ახდენდა? როდის და ვინ დაიწყო პროპაგანდა და აგიტაცია მუშათა კლასში? ნაროდოვოლცები? მათი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატებთან?

9. როდის და რა პირობებში გამოჩნდნენ ცალკეული სოციალ-დემოკრატები ან სოციალ-დემოკრატიული წრეები? რაც შეიძლება დაწვრილებით აიწეროს თ ვ ი თ ე უ ლ ი წრე (ამ პროგრამასთან შეფარდებით), მისი მნიშვნელობა და გავლენა შემდგომ წრეებზე.

10. როგორ იქმნებოდნენ და ვითარდებოდნენ სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი ადგილობრივ წრეებში? სხვა ადგილების (ქალაქების) გავლენა? — საზღვარგარეთული ლიტერატურის გავლენა? — ლეგალური მარქსისტული (და «მარქსიზმის კრიტიკის») ლიტერატურის გავლენა? რაც შეიძ-

ლება დაწვრილებით დახასიათდეს პირველის, მეორისა და მესამის გავლენა.

11. უთანხმოებანი სოციალ-დემოკრატიის შიგნით. იყო თუ არა ეს უთანხმოებანი 1898 წლის მანიფესტის გამოსვლამდე? სახელდობრ რით გამოიხატებოდა? ხომ არ დარჩენილა დოკუმენტები? როგორ შეხვდნენ მანიფესტს? სახელდობრ რა პროტესტები და უკმაყოფილება გამოიწვია მანიფესტმა და ვის მხრივ? სახელდობრ როგორ წარმოიშვნენ ეგრეთწოდებული «ეკონომისტური» შეხედულებანი? როგორ ვითარდებოდნენ და ვრცელდებოდნენ ისინი? ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს უფრო ზუსტად და უფრო დოკუმენტურად დასურათდეს ადგილობრივი მოძრაობის თვითეული ეკონომიური «ზოლის» მიმართ. როგორ გამოიხატებოდა უთანხმოება სხვადასხვა პარტიულ ორგანოთა შეფასებაში და მათ მომხრეთა ბრძოლაში? — «რაბოჩაია გაზეტასი» [69] (1897 წ.), საზღვარგარეთული «რაბოტნიკისა» [70] და მისი «ფურცლებისა», «რაბოჩაია მისლისა», «რაბოჩეე დელოსი», «ისკრისა», «ზარიასი», «ბორბასი», «ეიზნისა» [71] და სხვ. და სხვ.?

11. **bis**. იყო თუ არა გათიშვა და განხეთქილება მუშებსა და «ინტელიგენციას» შორის სოციალ-დემოკრატთა შიგნით? ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გამოირკვეს მათი მიზეზები და გავლენა.

12. სახელდობრ როგორ მიმდინარეობდა მიმართულებათა ბრძოლა ადგილობრივ წრეებში? მარტო სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტებში? — თუ მუშებშიც? — ახლო მდგომ სტუდენტთა წრეებში? — გამოიხატა თუ არა ეს ბრძოლა გათიშვით? — სეპარატიული ჯგუფების შექმნით? — ჩაღდებოდა თუ არა იგი საერთო პრინციპული საკითხების გამო? — ფურცლების შინაარსის გამო? — დემონსტრაციების საკითხის გამო? — სტუდენტთა მოძრაობასთან დამოკიდებულების გამო? — სამაისო მოთხოვნათა საკითხის გამო?

უფრო დაწვრილებით აიწეროს მიმართულებათა ბრძოლის მსვლელობა, შედეგები და საქმის თანამედროვე მდგომარეობა ამ მხრივ.

## III. ადგილობრივი კომიტეტის, ადგილობრივი ჯგუფებისა და წრეების ორგანიზაცია

13. კომიტეტის (resp. * ჯგუფის, წრის და, თუ მათი რიცხვი დიდია, მაშინ თვითეულისა ცალკე) უპირატესი შემადგენლობა? — სტუდენტობა? მუშები? შევსება არჩევით ხდება (სახელდობრ როგორ?) თუ სხვანაირად? არის თუ არა ცალკე ინტელიგენტური და მუშური კომიტეტი? ცალკე ტექნიკური, პროპაგანდისტული, სააგიტაციო ჯგუფები? ლიტერატურული, ცენტრალურნი, რაიონულნი, ადგილობრივნი, აღმასრულებელნი? მათი ურთიერთდამოკიდებულება «წესდების» მიხედვით (თუ ასეთი არსებობს) და სინამდვილეში? საერთო კრებები, მათი გამგებლობა, სიხშირე და ოდენობა? სხვა ქალაქებთან და საზღვარგარეთთან ურთიერთობის ორგანიზაცია (ე. ი. ცალკე ადამიანები, ჯგუფები, ან ჯგუფს გარეთ მდგომი პირები და სხვ.)? ლიტერატურის განაწილების ორგანიზაცია? მიმოსვლის ორგანიზაცია?

ორგანიზაციული გამოცდილებიდან გამომდინარე დასკვნები და გაბატონებული შეხედულებანი ორგანიზაციულ პრინციპებზე კომიტეტებში, ინტელიგენტებსა და მუშებში?

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დაწვრილებით გაირკვეს ცალკე ინტელიგენტური და მუშური (საქარხნო, ხელოსანთა და სხვ.) კომიტეტების აღმოცენების მიზეზები და შ ე დ ე გ ე ბ ი.

14. მუშაობის გავრცელება მეზობელ და სხვა ადგილებზე? რა ფორმით იყო იგი: ორგანიზაციულად თუ შემთხვევით? იყო თუ არა ცდა რ ა ი ო ნ უ ლ ი ორგანიზაციების შექმნისა ან მათში მონაწილეობისა?

---

* — respective — ან. რ ე დ.

სხვა ადგილებთან კავშირურთიერთობის ხასიათი.

რაიონული ორგანიზაციების შექმნისა და ფუნქციონირების ისტორია. ცენტრალური რაიონული კომიტეტის შემადგენლობა? ადგილობრივ კომიტეტებთან დამოკიდებულება? ფულის შეგროვება? რაიონული სალაროები? ლიტერატურის საწყობები? რაიონული ორგანიზაციების გავლენა მუშაობის სიფართოვეზე, მისი სიმტკიცე, კავშირი ადგილობრივ კომიტეტებთან და სხვ. და ა. შ.

15. კომიტეტის ფინანსები? ნაკლები მონაცემები შემოსავალსა და გასავალზე (ანგარიშების მიხედვით, თუკი ასეთები იყო) არსებობის მთელი დროის განმავლობაში? ჩვეულებრივი და საშუალო ბიუჯეტი, წყაროების ხასიათი, შეგროვება მუშებში, წევრების დაბეგვრა გადასახადით, ლიტერატურის ხარჯები, საღამოები, შემოწირულებანი და სხვ. («ოსვობოჟდენიეს» და სოც.-რევოლუციონერების გავლენა ამ მხრივ).

ხარჯების ოდენობა და ხასიათი: ტექნიკა? ადამიანების შენახვა? მიმოსვლა? და სხვ.

## IV. ადგილობრივი მუშაობის ხასიათი, შინაარსი და სიფართოვე

16. პროპაგანდა. პროპაგანდისტების (წრეების) შემადგენლობა, მათი რიცხვი, მოქმედების ხასიათი? არიან თუ არა მათ შორის მუშები? სჭარბობენ სტუდენტები? არის თუ არა უფრო გამოცდილი ამხანაგების მხრივ კონტროლი და ხელმძღვანელობა? ლექციების ჩვეულებრივი პროგრამები და მათი ცვლილებანი დროის მიხედვით? მუშათა გამოხმაურება და მათი საჭიროებანი ამა თუ იმ საგანზე? არის თუ არა გამოცდილება რეფერენტების დაგზავნისა კარგი რეფერატებით სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა რაიონში და სხვ.? საკითხავად გამართული კრებების შემადგენლობა და რიცხვი, სიხშირე და პირობები?

17. ეკონომიური აგიტაცია. რა დროიდან დაიწყო ფურცლების გამოშვება? შეიძლება თუ არა დაითვალოს ყველა გამოშვებული ფურცლისა და ეგზემპლარის რაოდენობა?

(დაახლოებით?) რა რაიონები, ქარხნები და შრომის დარგებია მოცული ამ აგიტაციით? ფურცლების შედგენისა და დამტკიცების წესი? მუშების მონაწილეობა ამაში? გამოცემისა და **გავრცელების** ტექნიკა? არიან თუ არა მუშა-დამტარებლები? რამდენად კმაყოფილდება მოთხოვნილება ფურცლებზე?

18. პოლიტიკური აგიტაცია. გადასვლა ეკონომიურიდან? როდის დაიწყო? გამოიწვია თუ არა პროტესტები? როდის იყო პირველი პოლიტიკური ფურცლები? იყო თუ არა დრო მ ა რ ტ ო ეკონომიური ფურცლების გამოშვებისა? საკითხის დაყენება და პოლიტიკური აგიტაციის საბაბი? რაც შეიძლება დაწვრილებით აიწეროს პოლიტიკური აგიტაციის გაფართოება როგორც ფურცლების ხასიათის მიხედვით, ისე გავრცელების სფეროების მიხედვით. სასურველია დოკუმენტები, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ პოლიტიკური აგიტაციის ყ ვ ე ლ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა და ყველა სფერო. სწარმოებდა თუ არა იგი მარტო მუშებში, თუ სხვა კლასებშიც (იხ. ქვემოთ). ფურცლების შედგენის ხერხი და წესი, მოთხოვნილება ფურცლებზე, რამდენად კმაყოფილდება იგი? უფრო მეტად ადგილობრივი თუ საერთო ფურცლებია საჭირო?

19. ლიტერატურა. რა არალეგალური გამოცემები ვრცელდება? ჩამოითვალოს ეს გამოცემები, აღინიშნოს, თუ რამდენად გავრცელებულია ისინი, კომიტეტისა და მუშების (**resp.** საერთოდ ხალხის) დამოკიდებულება თ ვ ი თ ე უ ლ ი გამოცემისადმი (ბროშურისადმი და სხვ.), გავრცელების დრო, მოთხოვნილება, რა ფენებში და უფრო რომელ ლიტერატურაზე?

ფურცლების დარიგება, გაფანტვა, ერთად წაკითხვა წრეებში? რა საკითხების განმარტება იყო საჭირო ინტელიგენციის მხრივ? — ფართოდ მიმართავენ თუ არა წაკითხვა-განმარტებას? — სახელდობრ, რა ნაწარმოებებისა?

20. ადგილობრივი და საერთო-პარტიული ორგანოები. ადგილობრივი ორგანოს ისტორია: გამოსვლის სიხშირე? ეგზემპლარების რაოდენობა? როგორ იყო დაყენებული ლიტე-

რატურული ნაწილი? მასალების შეგროვება და შენახვა (დაკარგვა?)? ადგილობრივსა და საერთო ორგანოებში თანამშრომლობის ორგანიზაცია? განსაკუთრებული ლიტერატურული ჯგუფები? «რეპორტიორები»? კავშირი ლიტერატურულ წრეში? კორესპონდენციათა გაგზავნის წესები? — კომიტეტის საშუალებით? კერძო პირთა საშუალებით და რამდენად ფართოდ? ცდები — გამოიყენონ სტუდენტობა? გადასახლებულნი?

დასკვნები და საჭიროებანი ორგანოების საქმეში.

21. მაისობანი. თვითეული მაისობის ისტორია და გაკვეთილები მომავლისთვის.

22. დემონსტრაციები. ნაკრები ცნობები თვითეული დემონსტრაციის შესახებ. საერთოდ ორგანიზაციის ცდები? — კერძოდ, წინააღმდეგობის გაწევისა? — შეიარაღებისა? მუშებისა და საერთოდ «პრაქტიკოსების» შეხედულებანი ამ საკითხზე?

დემონსტრაციების შესახებ პარტიული ლიტერატურის დამატება და შემოწმება.

ახლანდელი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

## V. დამოკიდებულება სხვა რასებისა და ეროვნებათა რევოლუციურ (განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ) ჯგუფებთან

23. არიან თუ არა სხვა ეროვნებათა და რასების მუშები? მათ შორის მუშაობა? ორგანიზებულია თუ შემთხვევითი? რა ენაზე? დამოკიდებულება იმ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფებთან, რომლებიც იქვე სხვა ენაზე მუშაობენ? სასურველია ამ ურთიერთობის ზუსტი და დაწვრილებითი დახასიათება. არის თუ არა უთანხმოება? — პრინციპულ საკითხში ნაციონალისტური პროგრამის შესახებ? — ტაქტიკური? — ორგანიზაციული? სასურველი ურთიერთობა ერთად მუშაობისთვის. ერთი პარტიული ორგანოს შესაძლებლობა? ფედერაცია, სასურველია თუ არა და რა ტიპისა?

## VI. სტამბები, ტრანსპორტი და მუშაობის კონსპირაციულად მოწყობა

24. სტამბები. მათი მოწყობის გამოცდილება. ფულისა და ადამიანების ხარჯი. პროდუქტიულობა. საჭიროება ადგილობრივი სტამბისა (ფურცლებისთვის) და საერთო სტამბისა მრავალი ქალაქისთვის? ამ საქმის ტექნიკური, ორგანიზაციული, ფინანსური, კონსპირაციული მხარე.

25. ტრანსპორტი. იყო თუ არა კავშირურთიერთობა ამ მხრივ? — წამოწყებანი? — თვითეული მათგანის ისტორია და დაწვრილებითი ცნობები საქმის დაყენებაზე, მსვლელობაზე, შედეგებზე და მომავლის პერსპექტივებზე. სასურველი ორგანიზაცია.

26. კონსპირაციის საქმე. კონსპირაციული ბინები? ნიშნები? არიან თუ არა არალეგალურნი? — პასპორტების შოვნა? — გამოცდილება ამ მხრივ? — არის თუ არა საამისო კავშირი?

შეხვედრების მოწყობა?

მეთვალყურეობა ჯაშუშებზე? ბრძოლა ჯაშუშებთან და პროვოკატორებთან? მისი ფორმები, წინანდელი და სასურველი?

შიფრები. მიმოწერა ქალაქებს შორის, ქალაქს შიგნით, საზღვარგარეთთან?

ბროშურები საკითხზე: «როგორ უნდა გეჭიროს თავი დაკითხვის დროს?» ამ და მსგავსი ბროშურების საჭიროება?

კომიტეტის არქივები? იყო თუ არა და ინახებოდა თუ არა წინათ? ახლა?

## VII. კავშირი და მუშაობა მოსახლეობის სხვა ფენებში, გარდა მუშათა კლასისა

27. მუშაობა გლეხობაში? არის თუ არა ცალკე კავშირურთიერთობა? დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ? — როგორ არის გაბმული კავშირი და როგორ გრძელდება იგი, რომელ გლეხებთან? — სოფლის მეურნეობის მუშებთან? სოფლად მიმავალ მუშათა როლი?

ცდები პროპაგანდისა? — ბროშურების გავრცელებისა? — ფურცლებისა? — სახელდობრ რომლებისა, რა წარმატებით? თანამედროვე მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივები.

28. სტუდენტობა. შემთხვევითი და პირადი თუ ორგანიზებული ზემოქმედება? ბევრი სოციალ-დემოკრატი გამოდის თუ არა სტუდენტებიდან? არის თუ არა კავშირი სტუდენტთა წრეებთან, სათვისტომოებთან, მოკავშირე საბჭოებთან? როგორ მიმდინარეობს ეს ურთიერთობა? — წაკითხვა? — ლიტერატურის გავრცელება? რა სულიერი განწყობილება სჭარბობს სტუდენტობაში და სხვადასხვა განწყობილების შეცვლის ისტორია.

დამოკიდებულება სტუდენტთა მღელვარებასთან?

სტუდენტთა მონაწილეობა დემონსტრაციებში? ცდები წინასწარი შეთანხმებისა ამის შესახებ?

სტუდენტები, როგორც პროპაგანდისტები, მათი მომზადება?

29. საშუალო სკოლები, გიმნაზიები, სემინარიები და სხვ., სავაჭრო და კომერციული სასწავლებლები? მოწაფეებთან კავშირურთიერთობის ხასიათი? დამოკიდებულება მათს წრეში მოძრაობის აღმავლობის ახალი ფაზისისადმი? წრეებისა და მეცადინეობის მოწყობის ცდები? იყვნენ თუ არა (და რამდენად ხშირად) სოციალ-დემოკრატები ახლადდამთავრებულ (ან დაუმთავრებელ) გიმნაზიელთა წრიდან? წრეები, წაკითხვა? ლიტერატურის გავრცელება?

30. კავშირი «საზოგადოებასთან»? იყო თუ არა წინათ და ახლა? რომელ ფენებში? ფულის შეგროვების ნიადაგზე? — ლიტერატურის გავრცელებისა? — ლეგალური ბიბლიოთეკების მოსაწყობად? — ცნობებისა და კორესპონდენციების შესაგროვებლად? ცვლილებანი «საზოგადოების» დამოკიდებულებაში სოციალ-დემოკრატებისადმი. მოთხოვნილება სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე? კავშირი მოხელეთა წრეებთან? ფოსტა-ტელეგრაფის, რკინიგზის მოსამსახურეებთან? საფაბრიკო ინსპექციასთან? პოლიციის მოსამსახურეებს შორის? — სამღვდელოებაში? და სხვ.?

სასურველია გაცნობა იმ გამოცდილებისაც, რომელიც კომიტეტის ცალკეულ წევრებს აქვთ სხვადასხვა ფენაში პირადი ურთიერთობის ნიადაგზე.

31. კავშირი სამხედრო წრეებთან? ინტელიგენტებისა და სოციალ-დემოკრატი მუშების როლი, რომლებიც სამხედრო ბეგარას იხდიან? კავშირი ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან? როგორ არის გაბმული ეს კავშირი და როგორ ხდება მისი გამოყენება? ამ კავშირის მნიშვნელობა აგიტაციის, პროპაგანდის, ორგანიზაციისა და სხვ. მხრივ?

ამ საკითხზე და წინა საკითხებზე სასურველია განსაკუთრებით დაწვრილებითი ცნობები, რადგან საკითხი ახალია და აუცილებლად საჭიროა მრავალი დაქსაქსული მოქმედების განზოგადება და დაკავშირება.

## VIII. არასოციალ-დემოკრატიულ რევოლუციურ და ოპოზიციურ მიმდინარეობათა მდგომარეობა და მათთან დამოკიდებულება

32. ლიბერალური მიმართულებანი. ლიბერალურ-ნაროდნიკულნი. საზოგადოებაში? — სტუდენტობაში? «ოსვობოჟდენიე», მისი გავრცელება (სტუდენტობაში? მუშებში?) და გავლენა? არის თუ არა «ოსვობოჟდენიელების» წრეები? მათი დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატებთან.

«ოსვობოჟდენიესადმი» ინტერესი სოციალ-დემოკრატიულ წრეებში და თვალსაზრისი ამის თაობაზე. გამოყენებულია თუ არა პროპაგანდისა და აგიტაციისათვის?

საერთო კრებები პოლემიკით?

33. სოციალისტ-რევოლუციონერები. ამა თუ იმ ადგილას მათი გამოჩენის დაწვრილებითი ისტორია? — როდის? — ნაროდოვოლცებიდან? სოციალისტ-რევოლუციონერებში გადასვლა? — «ეკონომიზმის» გავლენა? მათი კავშირურთიერთობისა და წრეების ხასიათი და შემადგენლობა? — ვეტერანები? — სტუდენტები? — მუშები? ბრძოლა სოციალ-დემოკრატებთან, ამ ბრძოლის მსვლელობა და მისი წარმოების ხერხები?

სოც.-დემოკრატებისა და სოც.-რევოლუციონერების გაერთიანებული ჯგუფები. მათი დაწვრილებითი ისტორია, ცნობები ჯგუფების მუშაობაზე, **ფურცლებზე,** რეზოლუციებზე და სხვ.

სოც.-რევოლუციონერთა სისუსტისა ან ძალის განსაკუთრებული პირობები? ტერორისტული გატაცებანი — სტუდენტობაში? — მუშათა წრეში?

სოც.-რევოლუციონერთა მუშაობა გლეხობაში? ხასიათი მათი კავშირურთიერთობისა და საქმიანობისა იქ? მათი «აგრარული პროგრამის» გავლენა?

34. დანარჩენი ჯგუფები და მიმართულებანი. «სვობოდა», «რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლების მუშათა პარტია», მახაეველები [72], რაბოჩეეზნამიელები და სხვ.. შეხედულებათა დახასიათება, სოც.-დემოკრატებთან დამოკიდებულება, ცნობები მათი კავშირურთიერთობისა და მუშაობის შესახებ.

დაწერილია 1902 წ. დეკემბერს —
1903 წ. იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# მოსკოველი ზუბატოველები პეტერბურგში

«მოსკოვსკიე ვედომოსტში» (№ 345, 1902 წ. 15 დეკემბერი) მოთავსებულია მუშის ფ. ა. სლეპოვის «წერილი გამომცემლისადმი», რომელსაც ჩვენ ქვემოთ მთლიანად ვბეჭდავთ. ჯერ ერთი, ჩვენ გვინდა წავაქეზოთ ჩვენი დიდად პატივცემული «თანამოკალმე», «მოსკოვსკიე ვედომოსტის» ბ-ნი რედაქტორი გრინგმუტი, რომელმაც მოათავსა ესოდენ საინტერესო დოკუმენტი. ხოლო ბ-ნი გრინგმუტი უეჭველად საჭიროებს წაქეზებას, რადგან მისი ფრიად სასარგებლო მოღვაწეობა რევოლუციური აგიტაციისათვის მასალის მიწოდების (და გაშუქების) მხრივ ამ ბოლო დროს როგორღაც მისუსტდა, ფერმკრთალი გახდა... რიხი მოაკლდა. მეტი სიბეჯითეა საჭირო, კოლეგა! მეორეც, პეტერბურგელი მუშებისთვის ფრიად საჭიროა ახლა თვალყური ადევნონ ზუბატოვობის თვითეულ ნაბიჯს, უფრო რეგულარულად შეაგროვონ, უფრო ფართოდ გაავრცელონ და უფრო საფუძვლიანად განუმარტონ ყველას და თვითეულს ცნობები იმის შესახებ, თუ ჯაშუშებთან ხელგადახვეული მუშები როგორ საუბრობენ ყოფილ, ახლანდელ და მომავალ გენერლებთან, მაღალი წრის ბანოვანებთან და «ჭეშმარიტ რუს» ინტელიგენტებთან.

აი ეს წერილი, რომელსაც ჩვენ ზოგიერთ შენიშვნას ვურთავთ ფრჩხილებში:

«მ. ხ. იქნებ შესაძლებლად დაინახოთ და ჭეშმარიტ რუს ადამიანთაგან პატივცემულ «მოსკოვსკიე ვედომოსტში» დაბეჭდოთ შემდეგი:

მიმდინარე თვის 10-ს პეტერბურგში, «რუსთა საკრებულოს»[73] შენობაში გამართული იყო დასახელებული «რუსთა საკრებულოს» საბჭოს წევრთა სხდომა, მიძღვნილი მხოლოდ იმ საკითხებისადმი, რომლებიც ეხებიან რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ყოფაცხოვრებას. — პეტერბურგის საზოგადოების უთვალსაჩინოეს წარმომადგენელთაგან შემდეგი პირები იყვნენ: ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ყოფილი თანაშემწე გენერალი კ. ვ. კომაროვი, გენერალ-კონტროლიორი ა. ვ. ვასილიევი, პოლკოვნიკი ა. პ. ვერეტენიკოვი, გრაფი აპრაკსინი, კიევის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი, გრაფი ა. პ. იგნატიევი, გრაფი პ. ა. გოლენიშჩევ-კუტუზოვი, გენერალი ზაბუდსკი, ადმირალი ნაზიმოვი, ნიკოლოზ ვიაჩესლავის-ძე ფონ-პლევე, სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული საბჭოს წევრი ი. პ. ხრუშჩევი, გენერალური შტაბის პროფესორი ზოლოტარევი, ვ. ს. კრივენკო, გრ. ნ. ფ. გეიდენი, გენ. დემიანენკოვი, დეკანოზი ორნატსკი და ეკლესიის სხვა წარმომადგენლები; იყვნენ აგრეთვე პეტერბურგის მაღალი საზოგადოების მანდილოსნები, ხოლო ქალაქის მმართველობიდან — ქალაქის თავი ლელიანოვი და ხმოსანი დეხტერევი. პრესის წარმომადგენელთაგან — ვ. ვ. კომაროვი, «სვეტის» რედაქტორი, ვ. ლ. ველიჩკო, «რუსსკი ვესტნიკის» რედაქტორი, სირომიატნიკოვი, «ნოვოე ვრემიას» თანამშრომელი, კ. კ. სლუჩევსკი, «პრავიტელსტვენნი ვესტნიკის» ყოფილი რედაქტორი, ლეიკინი, ჟურნალ «ოსკოლკის» რედაქტორ-გამომცემელი, მხატვარი კარაზინი და სხვ. — სხდომა გაიხსნა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მუშათა მდგომარეობის შესახებ მოხსენების წაკითხვით; ეს მოხსენება წაიკითხა მუშამ ი. ს. სოკოლოვმა (იხ. მის შესახებ «ისკრის» № 30, სადაც მოცემულია, «სვეტის» სიტყვების მიხედვით, პეტერბურგის ზუბატოველ მუშათა უფრო დაწვრილებითი სია. «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.). მომხსენებელმა უმთავრესად გაარკვია მუშათა კლასის თანამედროვე მდგომარეობა სამრეწველო ქალაქებში, მათი მატერიალური და სულიერი საჭიროებანი, მათი მისწრაფება ცოდნისკენ და სხვ. (აფსუს,

რომ ბ-ნ სოკოლოვის მოხსენება დაბეჭდილი არ არის! საინტერესო იქნებოდა გვენახა, თუ როგორ შესძლო მან «გაერკვია» მუშათა მისწრაფება ცოდნისკენ და არაფერი ეთქვა ამ მისწრაფების დევნაზე პოლიციის მხრივ. «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.). შემდეგ მოსკოვის მუშების წარმომადგენლებსაც (განა უფრო სწორი არ იქნებოდა გეთქვათ: მოსკოვის ოხრანკის განყოფილების წარმომადგენლებს? განა პოლიციის ფულით არ წაბრძანდით თქვენ და თქვენი ამხანაგები პიტერში, ბ-ნო სლეპოვო? «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.), რომელთა რიცხვში მეც ვიყავი, პატივი გვქონდა დავსწრებოდით «რუსთა საკრებულოს» სხდომას და პატივცემული კრებისთვის მოგვეხსენებინა საქმის მდგომარეობა მოსკოვის მუშებს შორის. ჩვენს მოხსენებაში, უწინარეს ყოვლისა, რუსი მუშების სახელით ღრმა მადლობა გამოვუცხადეთ «რუსთა საკრებულოს» წევრებს იმისთვის, რომ მათ მუშების წარმომადგენლებს საშუალება მისცეს გამოერკვიათ ის მდგომარეობა, რომელშიაც ამჟამად იმყოფება რუსეთის მუშათა კლასი. შემდეგ ჩვენ ვთხოვეთ უმაღლესი რუსი საზოგადოების წარმომადგენლებს სერიოზული ყურადღება მიექციათ რუსი მუშების განათლებისთვის (ოღონდაც! მუშა სწორედ უმაღლესი კლასებისგან უნდა მოელოდეს განათლებას — ალბათ, მათრახის საშუალებით! «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.), რომელიც სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, რასაც წარმატებით იყენებენ ბოროტმზრახველი პიროვნებანი სოციალისტური პროპაგანდის გასაწევად (თ უ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს თ ვ ი ს სასარგებლოა განათლების ნაკლებობა, მაშ რატომ არის, რომ მ თ ა ვ რ ო ბ ა ჰკეტავს მუშების სკოლებს და ჰკეტავს სამკითხველოებს? აქ რაღაც შეუსაბამობაა, ბ-ნო სლეპოვო! «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.), და ამით ზიანი მოაქვთ არა მარტო მუშებისთვის, არამედ მთელი რუსეთის სახელმწიფოსთვისაც. — შემდეგ ჩვენ ვცდილობდით პატივცემული კრების ყურადღება მიგვექცია იმ გარემოებისთვის, რომ მოსკოველი მეფაბრიკეები და მექარხნეები არ თანაუგრძნობენ მოსკოვის მუშათა იდეას — გაერთიანდნენ მჭიდრო ოჯახად, თავისი ურთი-

ერთდამხმარე სალაროების მოსაწყობად, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საშინელი გაჭირვებისაგან თავის დასახსნელად. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვთხოვეთ პატივცემული კრების წევრებს მთავრობის სფეროებში აღძრან მუშათა ურთიერთდამხმარე სალაროებისთვის კრედიტის მიცემის საკითხი (იხ. ნიჟნინოვგოროდელი მუშის სამილინის სიტყვა სასამართლოში, «ისკრა» № 29, იმის შესახებ, თუ როგორ დააპატიმრეს იგი ეკონომიურ წრეში მონაწილეობისთვის. ესეც თქვენი განათლება, ესეც თქვენი სალაროები! «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.). ეჭვი არაა, მუშებისთვის დახმარების გაწევა ნივთიერ გაჭირვებაში საუკეთესო გაბათილება იქნებოდა მათს წრეში ბოროტგანზრახული პროპაგანდისა (ნუთუ ბ-ნი სლეპოვი — გვარიც რომ ზედგამოჭრილია! — სერიოზულად ფიქრობს, რომ შეგნებული მუშა რაღაც უბადრუკი მოწყალებისთვის უარს იტყვის თავისუფლებისაკენ მისწრაფებაზე? ხოლო შეუგნებელი, ბნელი მ ა ს ი ს თ ვ ი ს «დახმარების გაწევა ნივთიერ გაჭირვებაში» არ ძალუძთ ზუბატოველთა ფრიად მაღალწარჩინებულ მფარველებსაც კი, რადგან ასეთი დახმარებისთვის საჭიროა ჯერ შეიცვალოს მთელი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მასების გაჩანაგებაზეა დამყარებული. «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.). — მუშათა ეს ცრუ «კ ე თ ი ლ ი ს მ ს უ რ ვ ე ლ ნ ი» ჩვეულებრივ ლაპარაკობენ, რომ ცხოვრების გაუმჯობესება მათ შეუძლიათ მხოლოდ ჯანყის, აღშფოთების, ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებით და სხვა. ჩვენდა საუბედუროდ, ასეთ წამქეზებლობას ზოგჯერ გასავალი აქვს, როგორც ეს ყველამ იცის. მუშათა ყოფაცხოვრების მშვიდობიანი გაუმჯობესება ყველაზე უკეთ აბათილებს აგიტატორებს. — შემდეგ ჩვენ პატივი გვქონდა მოგვეხსენებინა პატივცემული კრებისთვის, რომ მოსკოვში, მიუხედავად უძლიერესი უმუშევრობისა, სოციალისტურმა პროპაგანდამ ამ ბოლო დროს ყოველგვარი გასავალი დაჰკარგა (ჩვენ კი ეს-ეს არის გავიგეთ, რომ მოსკოვში დიდძალი ხალხი დააპატიმრეს! ნეტავ რად, ან ვის აპატიმრებდნენ, თუ კი პროპაგანდამ გასავალი დაჰკარგა?? «ი ს კ-

რ ი ს» რ ე დ.) სწორედ იმიტომ, რომ მუშები უკვე ირაზმებიან, რაკი მათ აქვთ თავიანთი ურთიერთდამხმარე საზოგადოება, მომხმარებელთა საზოგადოება, და იმიტომ, რომ ხელისუფლების თანაგრძნობითი ყურადღება უკვე მიპყრობილია მუშათა საჭიროებაზე, რამაც შესაძლებელი გახადა მოეწყოთ მათთვის საერთო-საგანმანათლებლო საუბრები და სხვ. — გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ჩვენ კრებას მოვახსენეთ აგრეთვე ის შემთხვევები, რომლებიც მოსკოვში მოხდა, სადაც ჩვენ გამოვედით შუამავალ-მომრიგებლებად მუშებსა და მექარხნეებს შორის, და არა მარტო თავიდან ვიცილებდით არეულობას, არამედ აგრეთვე წინასწარ ვიღებდით ზომებს, რომ მოსალოდნელ არეულობას თავი არ ეჩინა; ასე იყო, მაგალითად, გაკენტალის ქარხანაში, ძმ. ბრომლეების ქარხანაში, დობროვ-ნაბგოლცის ქარხანაში. ჩვენ მოვიხსენიეთ აგრეთვე გუჟონის მეტალურგიული ქარხნის მუშათა გაფიცვა; აქ საგლინავ და ლურსმნის განყოფილებათა მუშებმა თუმცა შესწყვიტეს მუშაობა, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ჩარევის წყალობით საქმე არეულობამდე არ მისულა, მუშებმა დაიჯერეს ჩვენი ამხანაგური რჩევა და დაიწყეს მუშაობა (ასეთ «ამხანაგურ» რჩევას უკვე საკმაოდ ისმენენ მუშები ყოველი გაფიცვის დროს პოლიციისგანაც, ფაბრიკის ინსპექტორებისგანაც, რომელნიც ყოველთვის ეხვეწებიან მუშებს, რომ «შეუდგნენ მუშაობას». ეს ამხანაგური კი არა, პოლიციური რჩევაა. «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.).

«რუსთა საკრებულოს» წევრებმა კეთილმოწყალებით მოისმინეს (ის-და აკლდათ, კეთილმოწყალებით არ მოესმინათ მუშებისთვის, რომელნიც პოლიციას ეხმარებიან მის საქმეში! «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.) ჩვენი მოხსენებანი, და ბევრმა ის აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა სერიოზულად ჩავუფიქრდეთ მუშათა საკითხს და მუშებს შესაძლებლობა და საშუალება მივცეთ თავი დააღწიონ სოციალისტური მოძღვრების გავლენას (საინტერესო სურათია: გენერლები და ხუცები, ზუბატოველი ჯაშუშები და პოლიციური სულისკვეთების ერთგული მწერლები აპირებენ «დაეხმარონ» მუშას, რათა

მან თავი დააღწიოს სოციალისტური მოძღვრების გავლენას! — და, სხვათა შორის, დაეხმარონ იმ გაუფრთხილებელ მუშათა დაჭერაშიც, რომელნიც ანკესზე წამოეგებიან. «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.), მივცეთ თვითმოქმედების საშუალება მთავრობის დაწესებულებათა კონტროლქვეშ და ინტელიგენციის იმ ნაწილის ხელმძღვანელობით, რომელსაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი სამშობლო და ისწრაფვის მისი სიკეთისა და აყვავებისკენო (კარგი თვითმოქმედება კია პოლიციის კონტროლქვეშ! არა, მუშები ახლა უკვე მოითხოვენ თვითმოქმედებას იმ პირობით, რომ თავისუფალნი იყვნენ პოლიციისაგან, რომ თავისუფლად შეეძლოთ ხელმძღვანელებად ისეთი ინტელიგენტების არჩევა, რომელთაც ისინი, მუშები, ენდობიან. «ი ს კ რ ი ს» რ ე დ.). ვ. ვ. კომაროვი, ა. ვ. ვასილიევი, პოლკოვნიკი ვერეტენიკოვი, ბ-ნი დეხტერევი, მხატვარი კარაზინი, თავადი დ. პ. გოლიცინი და სხვა მრავალი ფრიად გულთბილად შეხვდნენ მუშათა საკითხს. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა დაარსდეს მუშათა განსაკუთრებული საბჭოები ცენტრალური საბჭოს მეთაურობით, რომელთა როლიც კეთილისმყოფელი იქნებოდა იმ მხრივ, რომ წინასწარ აგვაცდენდა თავიდან მუშათა და მექარხნეთა შორის გაუგებრობასო. ბ-ნ დეხტერევის სიტყვით, ამის დაშვება საჭიროა იმისთვის, რომ მასას არასოდეს არ შეუძლია შეგნებულად იმოქმედოს და რომ მუშათა მასაზე გავლენის მოხდენა ყველაზე უკეთ თვით მუშებს შეუძლიათ; მან მაგალითისთვის მოიყვანა საფრანგეთში არსებული ამგვარი დაწესებულებანი, რომელნიც წარმატებით ასრულებენ ზემოაღნიშნულ ამოცანებს. (დიახ, მუშათა საბჭოებს წარმატება აქვთ საფრანგეთში და მთელ ევროპაშიც. ეს მართალია. მაგრამ მათ წარმატება აქვთ იმიტომ, რომ იქ მუშები პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობენ, მათ აქვთ თავიანთი კავშირები, თავიანთი გაზეთები, ჰყავთ თავიანთი არჩეული პირები პარლამენტებში. ნუთუ ბ-ნი დეხტერევი ფიქრობს, ყველა პეტერბურგელი მუშა ისეთი გულუბრყვილოა, რომ ეს არ იცის? «ი ს კ რ ი ს»

რ ე დ.). — მუშათა ურთიერთდამხმარე სალაროებისთვის მთავრობის მხრივ კრედიტის გახსნის საკითხსაც თანაგრძნობით შეხვდნენ «რუსთა საკრებულოს» წევრები. სხდომა იმით გათავდა, რომ დაადგინეს აირჩიონ განსაკუთრებული კომისია ამ საკითხის შესახებ ღონისძიებათა განსახილველად. — ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ, ბ-ნო რედაქტორო, როგორც ჭეშმარიტი რუსი, ასევე თანაგრძნობით შეგვხვდებით ჩვენ, მუშებს, და ნებას მოგვცემთ თქვენს გაზეთში მოვათავსოთ ზემოაღნიშნული, რათა ყველა ჩვენი საუკეთესო ადამიანი შეერთდეს საერთო ბრძოლისთვის ჩვენი სამშობლოს მტრებთან, რომელთაც ხალხის მასებში შეაქვთ არევდარევა, რომელნიც სთესენ შუღლსა და ქიშპს და ასუსტებენ ერთგულებას საუკუნეების მიერ ნაკურთხი, ძველისძველი მცნებებისადმი, ასუსტებენ პატივისცემას და მოწიწებას უზენაესი ხელისუფლების წინაშე. — ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ რუსეთშიაც მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც მზად არიან თავისი ძალღონე შესწირონ სამშობლოს სამსახურს, მის საკურთხეველზე მიიტანონ თავისი ძალა და ნიჭი, ერთსულოვნად შეკავშირდნენ და გარდუვალი ზღუდე დაუდონ უსამართლობას და ბოროტებას რუსეთში.

მუშა ფ. ა. სლეპოვი».

ბოლოს მაინც წამოსცდა ბ-ნ სლეპოვს! მუშების საჭიროებათათვის მთელი დახმარება, მთავრობის მთელი თანაგრძნობა ერთი რამით გამოიხატა: მუშებისგანვე შეიქმნას ჯგუფები სოციალიზმთან საბრძოლველად. ეს კი მართალია. და მუშებისთვის ფრიად საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ მათრახებისა და საპყრობილეების, გადასახლებისა და საპყრობილეების გარდა, ბატონი ზუბატოველი მუშები მათ აგრეთვე ჩაუნერგავენ «პატივისცემასა და მოწიწებას უზენაესი ხელისუფლების წინაშე». ღია კრებებზე არც ერთი გონიერი მუშა არ დაიწყებს იმის ლაპარაკს, რასაც ფიქრობს, — ეს

პირდაპირ პოლიციის ხელში ჩავარდნა იქნებოდა. ხოლო ჩ ვ ე ნ ი გაზეთების, ჩ ვ ე ნ ი ფურცლებისა და ჩ ვ ე ნ ი კრებების საშუალებით შეგვიძლია მივაღწიოთ და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ახალი ზუბატოური ლაშქრობა მთლიანად სოციალიზმის სასარგებლო გამოდგეს.

«ისკრა» № 31, 1903 წ.
1 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# ცნობა «საორგანიზაციო კომიტეტის» დაარსების შესახებ[74]

ოთხი წლის წინათ რუსეთის რამდენიმე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია გაერთიანდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად», შეიმუშავა ორგანიზაციის ერთგვარი გეგმა და მოქმედების საერთო პრინციპები, რომლებიც ასახულია პარტიის მიერ გამოცემულ «მანიფესტში». სამწუხაროდ, ეს პირველი ცდა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა: ჯერ კიდევ არ იყო აუცილებელი ელემენტები ერთიანი, ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად, რომელიც განუხრელად იბრძოლებდა პროლეტარიატის განთავისუფლებისთვის ყოველგვარი სახის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. ერთი მხრივ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკული საქმიანობის თვით ფორმები ჯერ კიდევ მხოლოდ ყალიბდებოდა; ბრძოლის ველზე ახლად გამოსული სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ ეძებდა გზებს თავის თეორიულ შეხედულებათა საუკეთესოდ გასატარებლად, იგი მიდიოდა ჯერ კიდევ მოკრძალებული, გაუბედავი ნაბიჯებით. მუშათა მოძრაობამ, რაც საფუძვლად ედო ამ პარტიის საქმიანობას და რაც გამოიხატა გრანდიოზული გაფიცვებით, ის-ის იყო იფეთქა იმ მკვეთრი ბრწყინვალებით, რომელმაც ბევრს დაუბრმავა თვალი, დაუჩრდილა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ესოდენ ნათელი და გარკვეული ამოცანები და მიზნები, ბევრი აიძულა გატაცებულიყო ვიწრო-პროფესიული ბრძოლით. მეორე მხრივ, მთავრობის განუწყვეტელი რეპრესიები თავს ატყდებოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჯერ კიდევ მოუმაგრებელი იყვნენ, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მტკიცედ გადგმული ფესვები; ეს რეპრესიები ანგრევდა ყოველგვარ თანამომდევნობას, სპობდა საქმიანობის ყოველგვარ ტრადიციას.

მაგრამ ამ წარუმატებელ ცდას უკვალოდ არ ჩაუვლია. პროლეტარიატის ორგანიზებული პოლიტიკური პარტიის თვით იდეა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჩვენი წინამორბედნი, ამის შემდეგ ყველა შეგნებული სოც.-დემოკრატი მოღვაწისთვის გზის მანათობელი ვარსკვლავი და სასურველი მიზანი გახდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში არაერთხელ

ყოფილა ცდა განეხორციელებინათ ეს იდეა, რომელიც პირველმა სოც.-დემოკრატმა მოღვაწეებმა გვიანდერძეს. მაგრამ დღემდე ჩვენ კვლავ ისევ ვდგევართ ჩვენი დეზორგანიზებულობის წინაშე, როგორც ოთხი წლის წინათაც ვიდექით.

ცხოვრება კი სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნებს გვიყენებს. თუ პარტიის პირველი მოღვაწენი თავის ამოცანად ისახავდნენ გამოღვიძებინათ მუშათა მასებში მთვლემარე რევოლუციური ძალები, სამაგიეროდ ჩვენს წინაშე გაცილებით უფრო რთული ამოცანა დგას — გაღვიძების პროცესში მყოფი ძალები მივმართოთ იქით, საითკენაც საჭიროა, სათავეში ჩავუდგეთ ამ ძალებს და ვუხელმძღვანელოთ მათ. დღეს არა — ხვალ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მოვისმინოთ მოწოდების ძახილი: «გაგვიძეხით იქით, საითკენაც მოგვიხმობდით!», და საშინელება იქნება, თუ ეს მომენტი მოგვისწრებს ანაზდეულად, ისევე დაქსაქსულებს, ისევე მოუმზადებლებს, როგორც ამჟამად ვართ. ნუ გვეუბნებიან, თითქოს ჩვენ ვაზვიადებდეთ მომენტის სერიოზულობას. ვისაც უნარი შესწევს წყლის მოციმციმე ზედაპირის ქვემოთ ჩაიხედოს, ვისაც უნარი შესწევს გამოიცნოს სიღრმეში მიმდინარე პროცესი, ის არ იფიქრებს, რომ ჩვენ ვაზვიადებთ.

მაგრამ მდგომარეობის სერიოზულობას კიდევ სხვა გარემოებანი აღრმავებენ. ჩვენ შესანიშნავ ისტორიულ მომენტს განვიცდით. მუშათა კლასის გამოღვიძებამ რუსეთის ცხოვრების საერთო მსვლელობასთან დაკავშირებით სამოქმედოდ გამოიწვია სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენა. მეტნაკლები შევნებით ისინი ცდილობენ დაირაზმონ, რათა ასე თუ ისე მიემხრონ ბრძოლას დრომოჭმული რეჟიმის წინააღმდეგ. კეთილიმც იყოს! სოციალ-დემოკრატიას შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ყველა იმას, ვინც ასეთ ბრძოლას მიემხრობა. მაგრამ იგი ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს, რომ ამგვარმა მოკავშირეებმა იგი თავიანთ ხელში ეროდ არ აქციონ, არ ჩამოაშორონ იგი მოქმედების მთავარ ასპარეზს, არ წაართვან მას ხელმძღვანელი როლი თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში და, რაც მთავარია, არ ავნონ რევოლუციური ბრძოლის შეტევითს მსვლელობას, არ გადააცდინონ იგი სწორ გზას. ასეთი საფრთხე რომ ფანტაზიის მოჩვენება არ არის, ეს ცხადია ყველა იმისთვის, ვინც დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს უკანასკნელი წლების რევოლუციურ ბრძოლას.

ამგვარად, ახლანდელ მომენტში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე უდიდესი ამოცანა დგას, რომელსაც ვერ გადაწყვეტს ვერავითარი ადგილობრივი კომიტეტი, ვერავითარი რაიონული ორგანიზაციაც კი. რარიგ სრულყოფილნიც უნდა იყვნენ ადგილობრივი ორგანიზაციები, ისინი ვერ გაართმევენ თავს ამ ამოცანას, რადგან იგი უკვე გასცილდა ადგილობრივ ჩარჩოებს. ამ ამოცანის შესრულება შეიძლება მხოლოდ რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატთა კოლექტიური ძალებით, რომელ-

ნიც დარაზმულნი იქნებიან ერთ ცენტრალიზებულ, დისციპლინირებულ არმიად. მაგრამ ვინ უნდა იკისროს გაერთიანების ინიციატივა?

ეს საკითხი ირჩეოდა შარშან კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები: პეტერბურგის «ბრძოლის კავშირისა», სამხრეთის გაერთიანებულ კომიტეტთა და ორგანიზაციათა ცენტრალური კომიტეტისა, «ისკრის» ორგანიზაციისა, ბუნდის ცენტრალური კომიტეტებისა (რუსეთის და საზღვარგარეთის), საზღვარგარეთის «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირისა» [75] და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციისა. კონფერენციამ ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენლებს დაავალა შეექმნათ საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც იკისრებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფაქტიური აღდგენის ამოცანას.

ამ დადგენილების შესასრულებლად პეტერბურგის «ბრძოლის კავშირის», «ისკრის» ორგანიზაციისა და «იუჟნი რაბოჩის» [55] ჯგუფის წარმომადგენლებმა* შეჰქმნეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც თავის პირველ და მთავარ ამოცანად ისახავს პ ი რ ო ბ ე ბ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ს პ ა რ ტ ი უ ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ი ს მ ო ს ა წ ვ ე ვ ა დ.

მაგრამ იმის გამო, რომ ყრილობის მოწვევის საქმე ფრიად რთულია და მისი განხორციელება მნიშვნელოვან დროს მოითხოვს, საორგანიზაციო კომიტეტი პარტიის ცენტრალური ორგანიზაციის აღდგენამდე კისრულობს ზოგიერთი საერთო ფუნქციის შესრულებას (საერთო-რუსეთის ფურცლების გამოშვება, საერთო ტრანსპორტი და ტექნიკა, კავშირის დამყარება კომიტეტებს შორის და სხვ.).

თავისთავად იგულისხმება, რომ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც შეიქმნა ზოგიერთი ორგანიზაციის კერძო ინიციატივით, სავალდებულო ურთიერთობა აქვს მხოლოდ იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც მას უკვე მისცეს რწმუნებულება, ანდა შემდეგში მისცემენ რწმუნებულებას. ყველა დანარჩენი კომიტეტისა და ჯგუფისთვის კი იგი წარმოადგენს კერძო ორგანიზაციას, რომელიც თავის სამსახურს სთავაზობს მათ.

დიდია და პასუხსაგები ამოცანა, რომელსაც კისრულობს საორგანიზაციო კომიტეტი, და თუ იგი მაინც ჰბედავს ამის გაკეთებას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გაერთიანების აუცილებლობა ფრიად საარსებოა, დაქსაქსულობა ფრიად საგრძნობია, შემდგომი დეზორგანიზებულობა ფრიად დიდ საფრთხეს უქადის საერთო საქმეს. იწყებს რა მუშაობას, საორგანიზაციო კომიტეტი ფიქრობს, რომ ამ მუშაობის წარმატებას მნიშვნელოვნად

---

* ბუნდსაც მიეცა წინადადება თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნა საორგანიზაციო კომიტეტში, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ბუნდი ამ მოწვევას არ გამოეხმაურა. ვიმედოვნებთ, რომ ეს მიზეზები მხოლოდ შემთხვევითი იყო, და ბუნდი არ დააყოვნებს თავისი წარმომადგენლის გამოგზავნას.

განსაზღვრავს სოციალ-დემოკრატიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების დამოკიდებულება საორგანიზაციო კომიტეტისადმი, და თვით ეს დამოკიდებულება იქნება მისთვის იმის კრიტერიუმი, თუ რამდენად სწორად შეაფასა მან ახლანდელი მომენტი.

1902 წ. დეკემბერი.

საორგანიზაციო კომიტეტი.

* * *

ჩვენი პარტიის ახლად შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება საკმაოდ ნათლად ლაპარაკობს თავისთავად, და ჩვენთვის საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გადადგმულ ნაბიჯს. გაერთიანება, პარტიის მთლიანობის აღდგენა — რუსეთის სოც.-დემოკრატთა ყველაზე არსებითი ამოცანაა, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა ფრიად ძნელია, რადგან ჩვენ გვჭირდება რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენტთა რამდენიმე პატარა ჯგუფის გაერთიანება კი არა, არამედ მუშათა მოძრაობის ყველა ხელმძღვანელის გაერთიანება, მოძრაობისა, რომელმაც დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ბრძოლისათვის აამოქმედა მოსახლეობის მთელი ფართო კლასი. ჩვენ გვჭირდება გაერთიანება იმ მტკიცე პრინციპული ერთიანობის ნიადაგზე, რასაც შეგნებულად და მტკიცედ უნდა მიაღწიონ ყველა კომიტეტმა, ორგანიზაციებმა და ჯგუფებმა, ინტელიგენტებმა და მუშებმა ან მათმა დიდმა უმრავლესობამ, ხოლო ეს კომიტეტები, ორგანიზაციები და ჯგუფები, ინტელიგენტები და მუშები მოქმედებენ სხვადასხვა ვითარებასა და სხვადასხვა პირობებში და ზოგჯერ სულ სხვადასხვა გზით მივიდნენ თავიანთ სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებამდე. არათუ არ შეიძლება ასეთი გაერთიანების დეკრეტირება, არამედ არ შეიძლება მისი შექმნაც ერთბაშად, შეკრებილ დელეგატთა მარტო რეზოლუციებით; საჭიროა მისი სისტემატური და თანდათანობითი მომზადება და შემუშავება, ისე რომ მთელი

პარტიის ყრილობა განამტკიცებდეს და ასწორებდეს უკვე გაკეთებულს, განაგრძობდეს დაწყებულს, ამთავრებდეს და ფორმალურად ადასტურებდეს მტკიცე საძირკველს შემდგომი, უფრო ფართო და ღრმა მუშაობისთვის. და ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით საორგანიზაციო კომიტეტის მიერ თავისი მუშაობის გონივრული სიფრთხილით და თავმდაბლად დაწყებას. საორგანიზაციო კომიტეტი პრეტენზიას არ აცხადებს რაიმე სავალდებულო ურთიერთობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატთა მთელ მასასთან, იგი იმას სჯერდება, რომ თავის სამსახურს სთავაზობს ყველა მათ. დაე რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატი უკლებლივ, კომიტეტები და წრეები, ორგანიზაციები და ჯგუფები, ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან ნამდვილ სამსახურში, და დროებით გადამდგარნი (გადასახლებულნი და სხვ.) საჩქაროდ გამოეხმაურონ ამ მოწოდებას, სცადონ უშუალო და ცოცხალი კავშირის დამყარება საორგანიზაციო კომიტეტთან, უაღრესად ენერგიულად დაიწყონ აქტიური დახმარების გაწევა მთელი უზარმაზარი გამაერთიანებელი მუშაობისთვის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არ იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატთა არც ერთი ჯგუფი, რომელიც დაკავშირებული არ იქნება საორგანიზაციო კომიტეტთან და რომელიც არ იმუშავებს მასთან ერთად ამხანაგური ერთიანობით. შემდეგ, სთვლის რა თავის პირველ და მთავარ ამოცანად საერთო პარტიული ყრილობის მომზადებასა და მოწვევას, საორგანიზაციო კომიტეტი კისრულობს აგრეთვე ზოგიერთ საერთო ფუნქციას მოძრაობის მომსახურების მხრივ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არ აღმოჩნდება არც ერთი სოციალ-დემოკრატი, რომელიც არ აღიარებდეს საორგანიზაციო კომიტეტის ფუნქციათა ამ გაფართოების არსებითს აუცილებლობას, რადგან ეს არის მხოლოდ გაფართოებული შეთავაზება სამსახურისა, — შეთავაზება, რომელიც უპასუხებს უკვე ათასჯერ და ათასჯერ გამოთქმულ საჭიროებებს, — შეთავაზება იმისი, რომ უარი კი არ სთქვან რაიმე «უფლებაზე», არამედ რაც

შეიძლება ჩქარა უარი სთქვან პრაქტიკაში განკერძოებაზე, ერთობლივად მოჰკიდონ ხელი მთელ რიგ საერთო მოქმედებათა მოგვარებას. დასასრულ, ჩვენ აგრეთვე სავსებით სწორად და დროულად მიგვაჩნია საორგანიზაციო კომიტეტის მტკიცე განცხადება, რომ ყრილობის მოწვევის საქმე ფრიად რთულია და მისი განხორციელება მნიშვნელოვან დროს მოითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყრილობის მოწვევა გადაიდოს. სრულიადაც არა. თუ ვილაპარაკებთ ყრილობის აუცილებელ საჭიროებაზე, მისი მოწვევის ერთი თვის ვადასაც მეტისმეტად «მნიშვნელოვნად» მივიჩნევდით. მაგრამ თუ გავიხსენებთ მუშაობის ჩვენს პირობებს და ყრილობაზე მთელი მოძრაობის სერიოზული წარმომადგენლობის აუცილებლობას, მაშინ ამაზე ხუთჯერ და ათჯერ უფრო დიდი ვადაც არ დააღონებს არც ერთ ცოტათი მაინც გამოცდილ მუშაკს.

მაშ ვუსურვოთ ყოველგვარი წარმატება პარტიის რაც შეიძლება მალე გაერთიანებისა და აღდგენის საქმეს, დავამტკიცოთ ჩვენი თანაგრძნობა არა მარტო სიტყვებით, არამედ ყველასი და თვითეულის დაუყოვნებლივი საქმეებით, და გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას!

«ისკრა» № 32, 1903 წ.
15 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

## რამდენიმე აზრი 7 ც. 6 ფ.-ს წერილის გამო[76]

ეს-ეს არის წავიკითხე თქვენი წერილი და ვწერ მისი ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ. წერილმა აღმაშფოთა თავისი მოუფიქრებელი რახარუხით, ასე რომ არ შემიძლია თავი შევიკავო სურვილისგან — გულახდილად გამოვთქვა ჩემი აზრი. გთხოვთ გადასცეთ ჩემი წერილი მის ავტორს და უთხრათ, რომ ნუ დაგვემდურება მკაცრი სიტყვისთვის. ეს ხომ პრესისთვის არ არის დანიშნული.

ჩემი აზრით, წერილი პასუხის ღირსია, რადგან იგი განსაკუთრებით რელიეფურად აშუქებს ბევრი ახლანდელი რევოლუციონერის სულიერი განწყობილების ერთ დამახასიათებელ თვისებას. მითითების მოლოდინი, ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს მოთხოვნა ზემოდან, გარედან, ხელების უმწეოდ ქნევა, როდესაც მარცხს განიცდი ადგილზე არა აქტიური მოქმედების მეოხებით, ჩივილი და ჩივილი, გამოგონება რეცეპტებისა, რომლებიც ბოროტებას განკურნავენ იაფად და უბრალოდ.

ვერ გამოიგონებთ, ბატონებო! როდესაც თ ქ ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ არა აქტიურნი ხართ, როდესაც თქვენ ცხვირწინ უშვებთ გათიშვას და შემდეგ იწყებთ ვაიოშსა და წუწუნს, — ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი რ ე ც ე პ ტ ი ვ ერ გ ი შ ვ ე ლ ი თ. და სრულიადაც არ არის გონივრული საქციელი ამის გამო სამდურავებით აგვავსოთ. არ გეგონოთ, რომ ჩვენ გვწყინდეს თქვენი ბრალდებანი და თავდასხმანი: იცით რა, შევეჩვიეთ, ძალიან შევეჩვიეთ ამას, ასე რომ ეს ბრალდებანი და თავდასხმანი არ გვაღელვებენ.

«მასობრივი» ლიტერატურა, «ათეული ფუთობით» — ეს თქვენი საბრძოლო ყიჟინა სხვა არაფერია, თუ არა გ ა მ ო-გ ო ნ ი ლ ი რ ე ც ე პ ტ ი გარედან თქვენი განკურნებისა თქვენივე საკუთარი უაქტივობისაგან. დაგვიჯერეთ, რომ არავითარი ასეთი რეცეპტი ა რ ა ს ო დ ე ს არ გასჭრის! თუ თქვენ თვითონ არ იქნებით ენერგიულნი და მოქნილნი, — ვერავინ ვერაფრით დაგეხმარებათ. გოდება: **მოგვეცით** ესა და ეს, **მოგვაწოდეთ** ესა და ესო — ფრიად უსაფუძვლოა, რადგან თ ქ ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ უ ნ დ ა ა ი ღ ო თ და მ ი ი ღ ო თ. უსარგებლოა ჩვენთვის ამაზე წერა, რადგან ამის გაკეთება აქედან არ შეგვიძლია, თქვენ კი თქვენის მხრივ შეგიძლიათ და უნდა გააკეთოთ კიდეც: მე ვლაპარაკობ იმ ლიტერატურის მოწოდებაზე, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება და ჩვენ მიერ არის გამოცემული.

ზოგიერთი ადგილობრივი «მოღვაწე» (რომელნიც ამ საზელწოდებას თავიანთი უმოღვაწეობის გამო იღებენ), როდესაც ხედავს «ისკრის» სულ რამდენიმე ნომერს, როდესაც აქტიურად არ მუშაობს მის მ ა ს ო ბ რ ი ვ ა დ მიღებასა და გავრცელებაზე, იგონებს თავისთვის იოლ გამართლებას: ეს ის არ არისო. მოგვეცით მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ლიტერატურა, მასისთვისო! დაგვიღეჭეთ, პირში ჩაგვიდეთ და ჩაყლაპვით, იქნებ, თვითონ ჩავყლაპოთო.

რა საოცრად უაზროდ მოსჩანს ეს გოდება იმისთვის, ვინც იცის და ხედავს, რომ მათ, ამ ადგილობრივ «მოღვაწეებს», არ ძალუძთ იმისი გავრცელებაც კი, რაც უკვე არის. განა სასაცილო არ არის წაიკითხო: მოგვეცით ათეული ფუთობითო, როდესაც თქვენ არ შ ე გ ი ძ ლ ი ა თ აიღოთ და წაიღ-წამოიღოთ **ხუთი ფუთიც** კი? ჯერ ეს გააკეთეთ, დიდად პატივცემულო «ფანტაზიორებო ერთი საათით» (რადგან პირველივე მარცხი მთლად დავთარს გიბნევთ, საკუთარ რწმენასაც კი გიკარგავთ!). ჯერ ეს გააკეთეთ, და როდესაც ამას გააკეთებთ არა ერთხელ, არამედ ათ-ათჯერ, მაშინ გამომცემლობაც გ ა ი-ზ რ დ ე ბ ა საჭიროების დაკვალად.

ვამბობ: გაიზრდება-მეთქი, რადგან თქვენი გოდება (უკრიტიკოდ და უაზროდ გადმოღებული სოც.-რევოლუციონერებისა და სვობოდელებისგან და ყოველგვარი თავგზააბნეული «არამოღვაწეებისგან») მასობრივ ლიტერატურაზე ემყარება იმ გარემოებას, რომ თქვენ დაგავიწყდათ პატარა... ფრიად პატარა წვრილმანი, სახელდობრ დაგავიწყდათ ის, რომ თქვენ არ შეგიძლიათ აიღოთ და გაავრცელოთ იმ მასობრივი ლიტერატურის მ ე ა ს ე დ ი ნ ა წ ი ლ ი ც კ ი, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვაქვეყნებთ. მე ვიღებ ჩვენი ერთ-ერთი მცირერიცხოვანი (საცოდავად, უბადრუკად, სამარცხვინოდ მცირერიცნოვანი) ტრანსპორტის ერთ-ერთ უკანასკნელ სიას. ნიჟნი-ნოვგოროდში წარმოთქმული ს ი ტ ყ ვ ე ბ ი, რ ო ს ტ ო ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა, ბ რ ო შ ურ ა გ ა ფ ი ც ვ ე ბ ზ ე, დ ი კ შ ტ ე ი ნ ი *, — ამას ვიკმარებ. ოთხი, მხოლოდ ოთხი რამ! ასე ცოტა!!

დიახ, ძალიან ცოტაა! დიახ, ჩვენ ოთხასი გვჭირდება, და არა ოთხი.

მაგრამ ნება გვიბოძეთ გკითხოთ: შ ე ს ძ ე ლ ი თ თ უ ა რ ა ე ს ო თ ხ ი მ ა ი ნ ც გ ა გ ე ვ რ ც ე ლ ე ბ ი ნ ა თ ა ი ა თ ა ს ო ბ ი თ? არა, თქვენ ეს ვერ გააკეთეთ. თქვენ ასობით გავრცელებაც კი ვერ მოახერხეთ. ა მ ი ტ ო მ ა რ ი ს, რომ გაჰყვირით: მ ო გ ვ ე ც ი თ ათეული ფუთობით! (არავინ არასოდეს

* ეს მოძველებულია! — გაჰკივით თქვენ. დიახ. ყველა პარტია, რომელსაც მოეპოვება კ ა რ გ ი პოპულარული ლიტერატურა, ავრცელებს **მოძველებულს:** გედსა და ლაფარგს, ბებელს, ბრაკეს, ლიბკნეხტს და სხვას **ათეული წლობით.** გესმით: ათეული წლობით! და მ ხ ო ლ ო დ ი ს პოპულარული ლიტერატურა ა რ ი ს კ ა რ გ ი, მ ხ ო ლ ო დ ი ს ა რ ი ს გ ა მ ო ს ა დ ე გ ი, რომელიც ა თ ე უ ლ ი წ ლ ო ბ ი თ გვემსახურება. რადგან პოპულარული ლიტერატურა არის მთელი რიგი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ე ბ ი ხ ა ლ ხ ი ს თ ვ ი ს, ხოლო სახელმძღვანელოები გადმოგვცემენ ანაბანას, რაც **ნახევარი საუკუნეების** განმავლობაში არ იცვლება. ის «პოპულარული» ლიტერატურა, რომელიც თქვენ «გზიბლავთ» და რომელსაც «სვობოდა» და სოც.-რევოლუციონერები ყოველთვიურად ფუთობით უშვებენ, მ ა კ უ ლ ა ტ ურ ა და შ ა რ ლ ა ტ ნ ო ბ ა ა. შარლატნები ყოველთვის ფაცაფუცში არიან და უფრო მეტად ხმაურობენ, ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანს კი ეს ენერგია ჰგონია.

თქვენ არაფერს მ ო გ ც ე მ თ, თუ თქვენ თვითონ ვერ მოახერხებთ წ ა ღ ე ბ ა ს: დაიხსომეთ ეს).

შესძელით თუ არა გამოგეყენებინათ ის ა ს ე უ ლ ე ბ ი, რომლებიც თქვენ მ ო გ ა წ ო დ ე ს, ჩ ა მ ო გ ი ტ ა ნ ე ს, პ ი რ შ ი ჩ ა გ ი დ ე ს?? არა, თქვენ ეს ვერ გააკეთეთ. თქვენ ისიც კი ვერ მოახერხეთ, რომ ამ წვრილმანით დაგეკავშირებინათ მ ა ს ე ბ ი სოციალ-დემოკრატიასთან. ჩვენ ყოველთვიურად გვაქვს ათობით და ასობით ფურცლები, ცნობები, კორესპონდენციები და წერილები რუსეთის ყველა კუთხიდან, და ჩვენ არ გვქონია ა რ ც ე რ თ ი (კარგად ჩაუფიქრდით ამ ზუსტი სიტყვების ზუსტ აზრს: «არც ერთი!») ცნობა ამ ასეულების გავრცელებაზე მ ა ს ა შ ი, ცნობა იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ასეულებმა მ ა ს ა ზ ე, თუ რა აზრისაა მ ა ს ა, ცნობა მ ა ს ა ს თ ა ნ **ამ** საგნების შესახებ საუბარზე! თქვენ ისეთ მდგომარეობაში გვტოვებთ, როდესაც მწერალი თავისთვის წერს, მკითხველი კი (ინტელიგენტი) თავისთვის კითხულობს, — და შემდეგ სწორედ ეს დოყლაპია მკითხველი ცეცხლს აფრქვევს და მრისხანებს მწერლის წინააღმდეგ იმის გამო, რომ იგი (მწერალი!!!) არ იძლევა **«ათეულ ფუთებს»** ყველგან და ყოველთვის. ადამიანი, რომლის მთელი ამოცანა ის არის, რომ მწერალი მასასთან **დააკავშიროს**, გაბღინძული ინდაურივით ზის და გოდებს: მოგვეცით მასობრივი ლიტერატურაო და ა მ ა ვ ე დროს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა .გამოიყენოს იმის **მეასედი ნაწილიც**, რაც არის.

თქვენ, რასაკვირველია, იტყვით, რომ ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა, საერთოდ არ შეიძლება მასებთან დ ა ა კ ა ვ შ ი რ ო, მაგალითად, «ისკრა», ეს ჩვენი მთავარი პროდუქტი. მე ვიცი, რომ ამას იტყვით. მე ასჯერ მომისმენია ეს და ყოველთვის მითქვამს, რომ ეს მართალი არ არის, რომ ეს თავის დაძვრენაა, მიკიბვმოკიბვაა, უუნარობა და სიზანტეა, იმის სურვილია, რომ პირდაპირ პირში ჩაგიდონ შემწვარი მწყერი.

მე ფაქტებით ვიცი, რომ ენერგიული ხალხი ა ხ ე რ ხ ე ბ დ ა «დაეკავშირებინა» «ისკრა» (ეს არქიინტელიგენტური

«ისკრა», უხეირო ინტელიგენტების აზრით) ისეთ ჩამორჩენილ, ნაკლებად განვითარებულ მუშათა მასასთანაც კი, როგორიც არიან მოსკოვის ახლომახლო სამრეწველო გუბერნიების მუშები. მე ვიცნობდი მუშებს, რომლებიც თვითონ ავრცელებდნენ მასაში (იქაურ მასაში) «ისკრას» და მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ იგი ცოტაა. სულ ამ ცოტა ხნის წინათ მე «ბრძოლის ველზე ნამყოფმა ჯარისკაცმა» მიამბო, თუ რუსეთის ცენტრის ერთ-ერთ ასეთ მივარდნილ საფაბრიკო ადგილას როგორ კითხულობენ «ისკრას» ერთბაშად მრავალ წრეში, კრებებზე, რომლებსაც 10—15 კაცი ესწრება, ამასთან კომიტეტი და ქვეკომიტეტები წინასწარ თვითონ კითხულობენ ყოველ ნომერს, ერთად სახავენ, თუ სახელდობრ როგორ გამოიყენონ თვითეული სტატია საგიტაციო გადაცემაში. და შესძლეს გამოეყენებინათ ის საცოდავი 5—8 (**maximum**: რვა!!) ეგზემპლარიც კი, რაც ასე მცირე რაოდენობით უვარდებოდათ ხელში საზღვართან ფეხმორთხმულ მოღვაწეთა უნიათობისა და უმოქმედობის წყალობით (რომელთაც არასოდეს არ შეეძლოთ მოეწყოთ მიღებაც კი ტრანსპორტიორებისთვის და რომელთაც იმედი აქვთ, რომ მწერალი მათთვის ჰშობს არა მარტო სტატიებს, არამედ მარჯვე ადამიანებსაც!).

გულზე ხელი დაიდეთ და ისე სთქვით: განა ბევრმა თქვენგანმა გამოიყენა ასე თქვენ მიერ მიღებული (თქვენთან გამოგზავნილი, თქვენთან ჩამოტანილი) «ისკრის» **თვითეული** ეგზემპლარი! თქვენ სდუმხართ! მაშ მე გეტყვით: რუსეთში მოხვედრილი (ბედისა და «მკითხველთა» უმოქმედობის წყალობით) ასი ეგზემპლარიდან ასე იყენებენ ერთ ეგზემპლარს, იხილავენ თვითეულ შენიშვნას მისი საგიტაციო მნიშვნელობით, კითხულობენ თვითეულ შენიშვნას მუშათა წრეში, ყველა მუშის ყველა წრეში, რომელთაც კი ჩვეულებად აქვთ ერთად მოიყარონ თავი ამათუიმ ქალაქში. და აი ადამიანები, რომელთაც არ ძალუძთ გადაამუშაონ მათს ხელში ჩავარდნილი მასალის მეასედი ნაწილიც კი, გაიძახიან: მოგვეცით ათეული ფუთებიო!! შჩედრინის

ფორმულა (მწერალი თავისთვის წერს) ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან გადამეტებული ოპტიმიზმით უყურებს «მკითხველს»!!

თანამედროვე მკითხველი (ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატთაგან) იქამდე მივიდა, მ წ ე რ ლ ე ბ ს ემდურის იმის გამო, რომ ინტელიგენტები ადგილებზე დონდლოები არიან, მუშებს «კომანდობენ» და მათთვის არაფერს აკეთებენო. სამართლიანი სამდურავია, ათასჯერ სამართლიანი, ოღონდ... სწორი მისამართით კი არის? იქნებ ნებას მოგვცემთ დ ა ვ უ ბ რ უ ნ ო თ ე ს ს ა მ დ უ რ ა ვ ი გ ა მ ო მ გ ზ ა ვ ნ ს ორმაგი ჯარიმის გადახდევინებით?? თქვენ რაღას აკეთებთ, დიდად პატივცემულო ბატონო მომჩივნებო? თუ თქვენს მეგობრებს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ გამოიყენონ «ისკრა» მუშათა წრეებში წასაკითხად, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ გამოჰყონ ადამიანები ლიტერატურის მისაწოდებლად და დასატარებლად, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ დაეხმარონ მუშებს თვით მოაწყონ წრეები ამისათვის, მაშ რატომ **კინწისკვრით არ ერეკებით** ასეთ უნიათო მეგობრებს?? აბა იფიქრეთ, რა საუცხოო მდგომარეობაში ვარდებით თქვენ, როდესაც ჩ ვ ე ნ შემოგვჩივით **თქვენს** საკუთარ უნიათობას??

ეს **ფაქტია**, რომ «პრაქტიკოსები» ვერ იყენებენ იმის მეასედ ნაწილსაც, რის **წაღებაც** მათ შ ე უ ძ ლ ი ა თ. და არანაკლებ ეჭვმიუტანელი ფაქტია, რომ მხოლოდ მომიზეზებას და თავის დაძვრენას წარმოადგენს ამ პრაქტიკოსების მიერ განსაკუთრებული სახის «მასობრივი» ლიტერატურის გამოგონება. 7 ც. 6 ფ.-ის წერილში, მაგალითად, «ჩვენ» (რა თქმა უნდა, ჩვენ) გვირჩევენ სამი სახის ლიტერატურას:

1) პოპულარული გაზეთი. დაგვიღეჭეთ თვითეული ფაქტი ისე, რომ მოუნელებლადაც სარგებლობა მოგვიტანოს. ისე, რომ **ჩვენ**, «მოღვაწეებს», არც კი გვჭირდებოდეს კუჭიო.

რა ვუყოთ, რომ ქვეყნიერებას ჯერ არც კი უნახავს ასეთი «პოპულარული» «გაზეთი», რადგან გაზეთი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე ი ძ ლ ე ვ ა პ ა ს უ ხ ს, პოპულარული ლიტერატურა კი ც ო ტ ა რ ა მ ე ს ა ს წ ა ვ ლ ი ს. რა ვუყოთ, რომ ასეთი ლიტერატურის ყ ვ ე ლ ა ჩვენი ნიმუში, დაწყებული «რაბოჩაია მის-

ლით», გაგრძელებული «ვპერიოდებით» [77], «რაბოჩეე დელოებით», «კრასნოე ზნამიებით» [78] და სხვ., აუცილებლად და უსათუოდ გამოდიოდა ნაცოდვილარი, არც პოპულარული იყო და არც გაზეთსა ჰგავდა. რა ვუყოთ, რომ «მუშური» გაზეთების შექმნის ყ ო ვ ე ლ ი ცდა მხოლოდ ასაზრდოებდა და ყოველთვის ასაზრდოებს უაზრო დაყოფას ინტელიგენტურ და მუშურ მოძრაობად (დაყოფას, გამოწვეულს ინტელიგენტთა გონებრივი სიჩლუნგით და უნიათობით, რომელნიც იქამდე მიდიან, რომ ა დ გ ი ლ ი დ ა ნ ცხრა მთას იქით გზავნიან საჩივარს თავის საკუთარ უნიათობაზე!). რა ვუყოთ, რომ «მუშური» გაზეთების შექმნის ყ ვ ე ლ ა ცდა დღემდე ამრავლებდა და ყოველთვის გაამრავლებს ჩვენში კუსტარულობას და განსაკუთრებულ, ღრმა, ყაზანურ და ხარკოულ თეორიებს. ყოველივე ეს არაფერია. სამაგიეროდ აი მ ო მ ჯ ა დ ო ე ბ ე ლ ი «სვობოდა» და მომჯადოებელი («სუნთქვა გიწყდება») ესერები ხომ უშვებენ — უჰ, რა დიდძალს უშვებენ! — პოპულარულ გაზეთებსა და გაზეთ-ჟურნალებს!! «ნაროდნოე დელო», «კრასნოე ზნამია», «სვობოდა» — ჟურნალი მუშებისთვის, «ოტკლიკი» — გაზეთი და ჟურნალი მუშებისთვის, «ლუჩინა» — გლეხებისთვის, «რაბოჩაია მისლ» პეტერბურგელი მუშების ჟენევის გაზეთი!! რა ვუყოთ, რომ ყოველივე ეს ნაგავია, სამაგიეროდ **მასობრივი** ნაგავია.

თქვენ კი მარტო «ისკრა» გაქვთ, ეს ხომ მოსაწყენია! 31 ნომერია და სულ «ისკრა», მაშინ როდესაც მომჯადოებელ ადამიანთა გამოცემებში ერთი სახელწოდების (ნაგვის) ორ ნომერზე დაუყოვნებლივ მეორე სახელწოდების (ნაგვის) სამი ნომერი მოდის. აი ეს არის ენერგია, აი ეს არის მხიარულება, ეს არის ახალი რამ! ჩვენი სოციალ-დემოკრატები კი...

2) ბროშურებიც კი «იმათ» სულ ახალ-ახალი აქვთ. და ყოველი ანაბეჭდი ბროშურად საღდება, და ყოველივე ამაზე შარლატნურად გაჰკივიან, ფურცლებს ითვლიან (**მილიონი** ფურცელი: იხ. «რევოლუციონნაია როსსია» № 16. რეკორდი გადალახეს! ჩემპიონები!).

ჩვენთან კი! ანაბეჭდები ბროშურებად არ ითვლება — ინტელიგენტობანაა, ლიტერატურობანაა!! ხელახლად გამოსცემენ ძველს, ძველთაძველ დიკშტეინებს, — მაშინ როდესაც ყოველმა პარიზელმა და ჩერნიგოველმა ქალიშვილმა იცის, რომ ა თ ი ახალი ბროშურა (ნაგავი) ასჯერ მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი ძველი, მაგრამ კარგი ბროშურა.

ეს ხომ მხოლოდ გერმანელებმა იციან ისე, რომ, მაგალითად, 1903 წელს მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე დ გამოსცემენ ბებელის «ჩვენს მიზნებს», რომელიც **34** წლის წინათ არის დაწერილი!! ეს მოსაწყენია. ჩვენში «მომჯადოებელი» სოციალისტ-რევოლუციონერები სწორედ ერთ ამბავში არიან. ჩვენს ადგილობრივ «მოღვაწეებს» კი არ შეუძლიათ გამოიყენონ პლეხანოვის არც **ძველი** (20 წლის წინათ: ძველმანია! არქივში!) ბროშურები და არც «რაიმე» ერთი (ერთი!) ბროშურა გაფიცვებზე [79] და ვიტეს ბარათზე!

მე უკვე არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ადგილობრივ «მოღვაწეს» თითიც კი არ გაუნძრევია, რათა გადასახლებაში მყოფ მწერალთაგან მიეღო კ ა რ გ ი ბროშურები, რ ა თ ა მ ო ე წ ყ ო ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ა «ისკრაში». ეს რა საჭიროა? ჩივილი გაცილებით უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე ასეთი სადავიდარაბო რამის მოგვარება! და თანამედროვე მკითხველი არც კი წითლდება და თავის თავს «ისკრელს» უწოდებს იმ უფლებით, რომ იგი «ისკრას» საჩივრებს უგზავნის. და მას ოდნავადაც არ რცხვენია, რომ «ისკრაში» 99/100-ს იგივე 3½ კაცი წერს. და ის არც კი უფიქრდება, რომ «ისკრის» შეწყვეტა არ შეიძლება, რომ 1½ — 2 თაბახის ორკვირეული გამოშვება მაინც გარჯას მოითხოვს. და იგი, პირდაპირ უბადლო თავქარიანობით, მაინც გაიძახის: 31 ნომერი, ადგილებზე კი ისევ ბლომად არიან სულელები და უნიათო მოწუწუნეები!! ჭეშმარიტად გამანადგურებელი არგუმენტია... ოღონდ ვის და რას ანადგურებს იგი?

3) ფურცლები.

**მოგვეცით** ფურცლები! კომიტეტებს არ შეუძლიათ!! დაწერეთ, მოგვაწოდეთ, ჩამოგვიტანეთ (და გაგვივრცელეთ?) ფურცლები!

ჰმ... აი ეს კი თანამიმდევრობაა. მე პირს დავაღებ და თქვენ ჩამიყარეთ: აი «მწერლისა» და პრაქტიკოს-«ისკრელის» ურთიერთობის ახალი ფორმულა! იმისი თქმა, რომ ადგილობრივი ფურცლები ადგილობრივი ორგანიზაციების (რომლებიც დოყლაპია «მოღვაწეებისგან» შესდგებიან?) ძალღონეს აღემატება, რომ ეს ფურცლები საზღვარგარეთიდან უნდა მოდიოდესო, — ა მ ა ზ ე შ ო რ ს წ ა ს ვ ლ ა უ კ ვ ე ა ღ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. ეს ისეთი საუცხოო (ჩემი თვალსაზრისით) დაგვირგვინებაა 7 ც. 6 ფ.-ის მთელი წერილის შენობისა, რომ მხოლოდ ამ «გვირგვინით» შემიძლია გავათავო. ეს ბრწყინავი გვირგვინი მხოლოდ გაფერმკრთალდება დამატებისა და კომენტარებისგან.

დაწერილია 1903 წ. იანვრის მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «ძოლოდაია გვარდია» № 2—3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# ბუნდის განცხადების გამო

ეს-ეს არის მივიღეთ ბუნდის «პოსლედნიე იზვესტიას» № 106 (3 თებერვლის — 21 იანვრის თარიღით), რომელიც შეიცავს ცნობას ბუნდის მეტისმეტად მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი და უაღრესად სამწუხარო ნაბიჯის შესახებ. თურმე, რუსეთში გამოსულა ბუნდის ცენტრალური კომიტეტის განცხადება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ცნობის გამო. თუმცაღა, უფრო სწორი იქნება ვთქვათ: განცხადება საორგანიზაციო კომიტეტის ცნობაში მოთავსებული შ ე ნ ი შ ვ ნ ი ს გამო, რადგან უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ მარტო ამ შენიშვნის გამო მსჯელობს ბუნდი თავის განცხადებაში.

აი საქმე რაშია. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, საორგანიზაციო კომიტეტმა ამ საშინელ «შენიშვნაში», რომლის გამოც (ვითომდა ამის გამო!) ატყდა მთელი ალიაქოთი, სიტყვასიტყვით შემდეგი თქვა:

«ბუნდსაც მიეცა წინადადება თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნა საორგანიზაციო კომიტეტში, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ბუნდი ამ ჩვენს წინადადებას არ გამოეხმაურა. ვიმედოვნებთ, რომ ეს მიზეზები მხოლოდ შემთხვევითი იყო, და ბუნდი არ დააყოვნებს თავისი წარმომადგენლის გამოგზავნას» *.

იბადება კითხვა: რა უნდა იყოს ამ შენიშვნაზე უფრო ბუნებრივი და უფრო უწყინარი? სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო საორგანიზაციო კომიტეტი? რომ არაფერი ეთ-

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 378. რ ე დ.

ქვა ბუნდზე, სწორი არ იქნებოდა, რადგან საორგანიზაციო კომიტეტი არ უგულებელჰყოფდა მას და არც შეეძლო მისი უგულებელყოფა, ვიდრე ბუნდი 1898 წლის პარტიული ყრილობის გადაწყვეტილების ძალით შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ხოლო თუ გაჩუმება არ შეიძლებოდა, უნდა თქმულიყო, რომ ჩვენ მას ვიწვევდით. მგონი, ნათელი უნდა იყოს ეს? და უფრო ნათელია, რომ, თუ ბუნდის დუმილის მიზეზები საორგანიზაციო კომიტეტმა არ იცოდა, მას სწორედ ასე უ ნ დ ა ეთქვა: «ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო». როდესაც საორგანიზაციო კომიტეტმა ამ სიტყვების შემდეგ დასძინა: ვიმედოვნებთ, რომ ეს მიზეზები მ ხ ო ლ ო დ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი იყო და რომ ბუნდი არ დააყოვნებს წარმომადგენლის გამოგზავნასო, — მან, საორგანიზაციო კომიტეტმა აშკარად და პირდაპირ განაცხადა თავისი სურვილი ბ უ ნ დ თ ა ნ ე რ თ ა დ იმუშაოს ყრილობის მოსაწყობად და პარტიის აღსადგენად.

ცხადია, ბუნდიც რომ იზიარებდეს ამ სურვილს, მას ისღა დარჩებოდა გასაკეთებელი, რომ გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელსაც ი წ ვ ე ვ დ ნ ე ნ კონსპირაციული გზითაც და პრესაში განცხადებითაც. ნაცვლად ამისა, ბუნდი ი წ ყ ე ბ ს პ ო ლ ე მ ი კ ა ს შენიშვნასთან (!!) და ბეჭდვითი განცხადებით ც ა ლ კ ე დ ა ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ გადმოგვცემს თავის აზრებსა და შეხედულებებს საორგანიზაციო კომიტეტის ამოცანებზე, ყრილობის მოწვევის პირობებზე. ვიდრე განვიხილავდეთ ბუნდის «პოლემიკას», ვიდრე გავარჩევდეთ მის შეხედულებებს, ჩვენ უაღრესად ენერგიული პ რ ო ტ ე ს ტ ი უნდა განვაცხადოთ ბუნდის ცალკე ბეჭდვითი განცხადებით გამოსვლის წინააღმდეგ, რადგან ეს გამოსვლა არღვევს რევოლუციური საქმისა და განსაკუთრებით საორგანიზაციო საქმის ს ა ე რ თ ო გაძღოლის უაღრესად ელემენტარულ წესებს. ორში ერთი, ბატონებო: ან თქვენ ა რ გ ი ნ დ ა თ იმუშაოთ ე რ თ ს ა ე რ თ ო საორგანიზაციო კომიტეტში, და მაშინ, რა თქმა უნდა, არავინ დაგემდურებათ თქვენი ცალკე გამოსვლების გამო. ან თქვენ გინდათ ერთად მუშაობა, და მაშინ ვ ა ლ დ ე-

ბ უ ლ ნ ი ხ ა რ თ თქვენი აზრები გამოსთქვათ არა საზოგადოების წინაშე ცალკე, არამედ ამხანაგების — საორგანიზაციო კომიტეტის წევრების — წინაშე, საორგანიზაციო კომიტეტი კი როგორც მხოლოდ მთელი რამ გამოდის საჯაროდ.

რასაკვირველია, ბუნდი თვითონ მშვენივრად ხედავს, რომ მისი გამოსვლა ეწინააღმდეგება ს ა ე რ თ ო საქმის ამხანაგური გაძღოლის ყველა წესს, და ცდილობს მიჰმართოს შემდეგს, ყოვლად სუსტ გამართლებას: «შესაძლებლობა არ გვქონდა ჩვენი შეხედულებანი მომავალი ყრილობის ამოცანების შესახებ გამოგვეთქვა არც თათბირზე პირადი მონაწილეობის გზით, არც «ცნობის» რედაქტირებაში მონაწილეობის გზით და ამიტომ იძულებული ვართ ეს ხარვეზი რამდენადმე მაინც შევავსოთ ამ განცხადებით». იბადება კითხვა, ნუთუ ბუნდი სერიოზულად ფიქრობს დაგვაჯეროს, რომ მას «შესაძლებლობა არ ჰქონდა» გაეგზავნა წერილი საორგანიზაციო კომიტეტში? ან გაეგზავნა წერილი ს.-პეტერბურგის კომიტეტში? «ისკრის» ორგანიზაციაში, «იუჟნი რაბოჩიში»? თავისი დელეგატის გაგზავნა ერთ-ერთ ამ ორგანიზაციაში, — ესეც შეუძლებელი იყო? სცადა თუ არა ბუნდმა გადაედგა თუნდაც ერთ-ერთი ამ «შეუძლებლად»-ძნელი ნაბიჯთაგანი, ალბათ, განსაკუთრებით ძნელი ისეთი სუსტი, გამოუცდელი და ყოველგვარ კავშირურთიერთობას მოკლებული ორგანიზაციისთვის, როგორიც ბუნდია?

რა საჭიროა კეკემალულობა, ბატონებო! ეს უჭკუობაც არის და არც გეკადრებათ. თქვენ ცალკე იმიტომ გამოხვედით, რომ მ ო ი ს უ რ ვ ე თ ცალკე გამოსვლა. ხოლო ცალკე გამოსვლა იმიტომ მოისურვეთ, რომ ერთბაშადვე დაგენახვებინათ და გაგეტარებინათ თქვენი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა — ა ხ ა ლ ნიადაგზე დააყენოთ ურთიერთობა რუს ამხანაგებთან: ა რ შ ე ხ ვ ი დ ე თ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში 1898 წლის წესდების საფუძველზე, არამედ იყოთ მასთან ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ კავშირში. ნაცვლად იმისა, რომ ეს საკითხი საფუძვლიანად და ყოველმხრივ გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი ყ ო მთელი ყრილობის წინაშე, როგორც ეს გვინ-

დოდა ჩვენ, რომელნიც უკვე ფრიად დიდი ხანია თავს ვიკავებდით ფედერაციულობისა და ეროვნულობის საკითხზე ჩვენ მიერ დაწყებული პოლემიკის გაგრძელებისგან[80], — როგორც ეს, უეჭველია, სურდა ყველას ან უდიდეს უმრავლესობას რუსი ამხანაგებისას, ნაცვლად ამისა თქვენ ჩაშალეთ ერთად განხილვა. თქვენ გამოხვედით არა როგორც პეტერბურგის, სამხრეთის, «ისკრის» ამხანაგი, რომელსაც სურს მათთან ერთად განიხილოს (ყრილობამდეც და ყრილობაზედაც) ურთიერთობის საუკეთესო ფორმა, — თქვენ აშკარად გამოხვედით რსდმპ-ის ყველა წევრისაგან გაცალკევებით, როგორც მხარე, რომელიც მთელ ამ პარტიას თავისპიროებს უყენებს.

ძალით თავს ვერ შეაყვარებო, ამბობს რუსული ანდაზა. თუ ბუნდს არა სურს დარჩეს იმ უმჭიდროეს კავშირში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან, რომელიც სწორად დასახა 1898 წლის ყრილობამ, რასაკვირველია, იგი არ დარჩება ძველ ურთიერთობაში. ჩვენ არ უარვყოფთ მის «უფლებას» — გაატაროს თავისი აზრი და თავისი სურვილი (ჩვენ საერთოდ, თუ ძალიან არ გაჭირდა, არ მივმართავთ ხოლმე ლაპარაკს «უფლებებზე» რევოლუციურ საქმეში). მაგრამ ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ ბუნდმა დაჰკარგა ტაქტის ყოველგვარი გრძნობა და თავისი აზრი გაატარა ცალკე ბეჭდვითი საჯარო გამოსვლის გზით სწორედ იმ დროს, როდესაც იგი მიიწვიეს საერთო ორგანიზაციაში (საორგანიზაციო კომიტეტში), რომელსაც წინასწარ არავითარი კატეგორიული აზრი არ გამოუთქვამს ამ საკითხზე და რომელიც იწვევს ყრილობას სწორედ ყველა და ყოველგვარი აზრის განსახილველად.

ბუნდმა მოისურვა პროვოკაცია გაეწია, რათა დაუყოვნებლივ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ყველა იმათ, ვინც სხვანაირად უყურებს საკითხს. რა ვუყოთ! რასაკვირველია, ჩვენ ამაზე უარს არ ვიტყვით. ჩვენ ვეტყვით რუს პროლეტარიატს და სპეციალურად გავუმეორებთ ებრაელ პროლეტა-

რიატს, რომ ბუნდის ახლანდელი ბელადები სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომას სჩადიან, რომელსაც, ეჭვი არაა, გამოასწორებს დრო, გამოასწორებს გამოცდილება, გამოასწორებს მოძრაობის ზრდა. ერთ დროს ბუნდი მხარს უჭერდა ეკონომიზმს, ხელს უწყობდა გათიშვას საზღვარგარეთ, იღებდა გადაწყვეტილებას, რომ ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკური აგიტაციის საუკეთესო საშუალებაა. ჩვენ ამის წინააღმდეგ ვილაშქრებდით და ვიბრძოდით. და ბრძოლამ ხელი შეუწყო ძველ შეცდომათა გამოსწორებას, რომელთაგანაც ამჟამად, ალბათ, კვალიც არ არის დარჩენილი. ჩვენ ვიბრძოდით ტერორისტულ გატაცებათა წინააღმდეგ, რომელთაც, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო მალე განვლეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ნაციონალისტური გატაცებანიც გაივლიან. ებრაელი პროლეტარიატი, ბოლოსა და ბოლოს, მიხვდება, რომ რუს პროლეტარიატთან ერთად ერთ პარტიაში უმჯობესი ერთიანობას მოითხოვს თვით მისი ყველაზე საარსებო ინტერესები, რომ უდიდესი უგუნურებაა წინასწარ გადავწყვიტოთ — განსხვავებული იქნება თუ არა ებრაელთა ევოლუცია თავისუფალ რუსეთში მათი ევოლუციისაგან თავისუფალ ევროპაში, რომ ბუნდს არ მართებს ებრაელი პროლეტარიატის საქმეებში იმ სრული ავტონომიის მოთხოვნაზე (რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში) უფრო შორს წასვლა, რომელიც სავსებით აღიარებული იყო 1898 წლის ყრილობის მიერ და რომელიც არავის არასოდეს არ უარუყვია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბუნდის განცხადებას. საორგანიზაციო კომიტეტის «ცნობის» შენიშვნას იგი «ორაზროვანს» უწოდებს. ეს მართალი არ არის და ძალიან უახლოვდება ინსინუაციას. ბუნდის ცენტრალური კომიტეტი ორიოდე სტრიქონის შემდეგ თვითონ აღიარებს, რომ «თათბირზე ჩვენი წარმომადგენლის დაუსწრებლობის მიზეზები წმინდა შემთხვევითი იყო». საორგანიზაციო კომიტეტმა რაღა სთქვა? მან იმედი გამოსთქვა, რომ ბუნდის წარმომადგენელი შემთხვევითი მიზეზის გამო არ გამოცხადდაო. თქვენ თვითონ ადასტურებთ მის მოსაზრებას და თვითონვე სწყრებით. რისთვის? შემდეგ-

წინასწარ არავის არ შეუძლია იცოდეს შემთხვევითი გარემოება. მაშასადამე, სავსებით უსაფუძვლოა ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის სიტყვები, თითქოს საორგანიზაციო კომიტეტმა ი ც ო დ ა მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალეს წარმომადგენლის გამოცხადებასო. საერთოდ ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი ამ ისტორიაში ძალიან ურიგო როლს თამაშობს: ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი ბუნდის ცენტრალური კომიტეტის განცხადებას ურთავს თავის მიერ შეთხზულ ამბებს, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან თვით ცენტრალური კომიტეტის სიტყვებსაც კი! რანაირად შეიტყო ბუნდის საზღვარგარეთულმა კომიტეტმა, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა ი ც ო დ ა ბუნდის დაუსწრებლობის მიზეზები, როდესაც მოწვეული იყო ბუნდის ცენტრალური კომიტეტი (და არა საზღვარგარეთული კომიტეტი)? როდესაც თვით ბუნდის ცენტრალური კომიტეტი დაუსწრებლობის ამ მიზეზებს წმინდა შემთხვევითს მიზეზებს უწოდებს??

«ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ამბობს ბუნდის ცენტრალური კომიტეტი, — თათბირის ინიციატორებს ცოტა მეტი მონდომება რომ გამოეჩინათ, ეს შემთხვევითი მიზეზები ხელს არ შეგვიშლიდა გამოვხმაურებოდითო...». ჩვენ ვეკითხებით ყოველ მიუდგომელ ადამიანს: თუ ორი ამხანაგი, რომლებიც აპირებენ საორგანიზაციო კომიტეტში მისვლას, ერთხმად აღიარებს, რომ შეხვედრის ხელისშემშლელი მიზეზები «მხოლოდ შემთხვევითი» იყოო, განა საკადრისია ს ა ჯ ა რ ო პ ო ლ ე მ ი კ ი ს ა ტ ე ხ ვ ა ი მ ი ს შ ე ს ა ხ ებ, თუ ვინ უფრო მეტად არის დამნაშავე გამოუცხადებლობაში? ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ უკვე დიდი ხანია გამოვთქვამდით (რა თქმა უნდა, არა პრესაში, არამედ წერილში) სინანულს ბუნდის დაუსწრებლობის გამო, და ჩვენ გვაცნობეს, რომ ბუნდი ო რ ჯ ე რ იყო მოწვეული: ჯერ ერთი, წერილით, და, მეორეც, პირადი ცნობით ბუნდის ...-ის კომიტეტის საშუალებით.

დელეგატი გამოცხადდა თათბირის თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ი თ ვ ი ს შ ე მ დ ე გ, ჩივის ბუნდი. ოღონდაც, ეს საშინელი დანაშაულია და, რა თქმა უნდა, ღირსია იმისი, რომ დაიბეჭ-

დოს, რადგან იგი განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად ზუსტია ბუნდი, რომელმაც ორი თვის შემდეგაც კი დელეგატი არ გაგზავნა!

დელეგატმა «არ შეასრულა თავისი დაპირება» — გამოეგზავნა საორგანიზაციო კომიტეტის ხელნაწერი ან ნაბეჭდი «ცნობა», მაგრამ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ გავრცელებამდე... ვურჩევთ ჩვენს რუს ამხანაგებს ზოგიერთ ადამიანთან უოქმოდ არ ილაპარაკონ. ჩვენც «ისკრის» ორგანიზაცია დაგვპირდა გამოეგზავნა «ცნობის» ხელნაწერიც და ნაბეჭდი ეგზემპლარიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელნაწერი სრულიად არ გვქონია, ხოლო ნაბეჭდი ეგზემპლარი ვიხილეთ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო გ ვ ი ა ნ, ვიდრე იმ ორგანიზაციების წევრებმა, რომლებსაც «ისკრის» ორგანიზაციასთან ურთიერთობა არა აქვთ. დაე გადასწყვიტონ ბუნდელებმა საკითხი, საკადრისი იქნებოდა თუ არა ჩვენი მხრივ, რომ პრესის საშუალებით «ისკრის» ორგანიზაციისთვის დაგვებრალებინა დაპირების დარღვევა? საორგანიზაციო კომიტეტის დელეგატი ბუნდის ცენტრალურ კომიტეტს შეპირდა დაუყოვნებლივ მიეწერა ამხანაგისთვის, რომელიც განაგებდა «ცნობის» ბეჭდვას, შეეჩერებინა ეს ბეჭდვა: აი რანაირი იყო ნ ა მ დ ვ ი ლ ი დაპირება (რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჩვენი ცნობების მიხედვით). ეს დაპირება შესრულდა, მაგრამ უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა ბეჭდვის შეჩერება, რადგან დრო აღარ იყო, რომ ტექნიკისთვის ხმა მიეწვდინათ.

რეზუმეს ვაკეთებთ: საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატორები წერდნენ წერილებს, აცნობებდნენ პირადად ...-ის კომიტეტის საშუალებით, გზავნიდნენ დელეგატებს ბუნდის ცენტრალურ კომიტეტში, ბუნდს კი თვეების განმავლობაში ე რ თ ი წ ე რ ი ლ ი ც არ გაუგზავნია, რომ არაფერი ვთქვათ დელეგატის გაგზავნაზე! და ბუნდივე გამოდის პრესაში ბრალდებებით! და ბუნდის საზღვარგარეთულ კომიტეტს შესწევს უცნაურობა გვარწმუნოს, რომ თათბირის ინიციატორები «უცნაურად» იქცეოდნენ, რომ მათი მოქმედება მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა მათსავე მიზანს, რომ მათ «აჩქარება» გამოი-

ჩინეს (ბუნდის ცენტრალური კომიტეტი კი, პირიქით, დაგვიანებას უკიჟინებს!), რომ მათ სურთ «შეჰქმნან შთაბეჭდილება», თითქოს ბუნდი «ინდიფერენტულად მოეკიდა» საქმეს!!

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ საორგანიზაციო კომიტეტის წინააღმდეგ მიმართული იმ ბრალდების გამო, რომ მან არ გააკეთა «ერთადერთი სწორი დასკვნა», რომელიც შემდეგში მდგომარეობს: «რადგან პარტია ფაქტიურად არ არსებობს, ამიტომ მომავალი ყრილობა დამფუძნებელი ყრილობის ხასიათს უნდა ატარებდეს, ამის გამო მასში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს რუსეთში არსებულ ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, როგორც რუსთა, ისე ყველა სხვა ეროვნებათა ორგანიზაციებს». ბუნდი ცდილობს გვერდი აუხვიოს მისთვის იმ არასასიამოვნო ფაქტს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც არა აქვს ერთიანი ცენტრი, არსებობს მთელი რიგი კომიტეტებისა და ორგანოების სახით, რომ მას აქვს «მანიფესტი» და გადაწყვეტილებანი პირველი ყრილობისა, სადაც, სხვათა შორის, ებრაელი პროლეტარიატის სახელითაც მოქმედებდნენ ადამიანები, რომელნიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოცდილი ეკონომიურ, ტერორისტულ და ნაციონალისტურ მერყეობაში. როდესაც ბუნდი ფორმალურად აყენებს «ყველა» ეროვნების «უფლებას» მონაწილეობა მიიღონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დაარსებაში, რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს, ამით იგი თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ სწორედ უბადაღებული «ფედერაციის» საკითხის გამო ასტეხა მან მთელი ისტორია. მაგრამ ყველაზე ნაკლებად ბუნდს შეჰფერის ამაზე ლაპარაკი და აქ, სერიოზულ რევოლუციონერებს შორის, «უფლებებზე» როდი უნდა იყოს ლაპარაკი. დღის წესრიგში რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მთავარი ბირთვის შემოკრება და გაერთიანება დგას, ეს ყველამ იცის. არ შეიძლება არ თანავუგრძნოთ «ყველა» ეროვნების წარმომადგენლობას ყრილობაზე, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბირთვის გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ა ზ ე, ან სხვა ორგანიზაციებთან მის კავშირზე

ფიქრი შეიძლება მხოლოდ ამბირთვის შექმნის დამთავრების შემდეგ (ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მისი უეჭველი განმტკიცების შემდეგ). ვიდრე თვითონ ჩვენ ორგანიზაციულად ერთიანი არ გავმხდარვართ და მტკიცედ არ დავმდგარვართ სწორ გზაზე, ისე ჩვენთან გაერთიანება არაფერს მისცემს «ყველა სხვა» ეროვნებას! და ჩვენს ყრილობაზე «ყველა სხვა» ეროვნების წარმომადგენლობის შესაძლებლობის (და არა «უფლების», ბატონებო!) საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია საორგანიზაციო კომიტეტისა და რუსეთის კომიტეტების მთელ რიგ ტაქტიკურ და ორგანიზაციულ ნაბიჯებზე, ერთი სიტყვით, დამოკიდებულია საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობის წარმატებაზე. ხოლო ბუნდი რომ თავიდანვე შეეცადა ფეხი გამოედო საორგანიზაციო კომიტეტისთვის — ეს ისტორიული ფაქტია.

«ისკრა» № 33, 1903 წ. 1 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# სომეხი სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ

კავკასიაში გაჩნდა ახალი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია: «სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი». ამ კავშირმა, როგორც ვიცით, ნახევარ წელიწადზე მეტია დაიწყო თავისი პრაქტიკული საქმიანობა, და მას უკვე აქვს თავისი ორგანო სომხურ ენაზე. ჩვენ მივიღეთ ამ ორგანოს № 1, რომელსაც «პროლეტარიატი» ჰქვია და რომელსაც სათაურში წარწერილი აქვს: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია». ეს გაზეთი შეიცავს მთელ რიგ სტატიებს, შენიშვნებსა და კორესპონდენციებს, სადაც გარკვეულია ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს «სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის» შექმნა, და ზოგად ხაზებში დასახულია მისი საქმიანობის პროგრამა.

მოწინავე სტატიაში, რომელსაც ეწოდება «სომეხ სოციალ-დემოკრატთა მანიფესტი», ვკითხულობთ: ««სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი», წარმოადგენს რა ერთ-ერთ შტოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისას, რომელმაც ფართოდ გაშალა თავისი ქსელი რუსეთის მთელ სივრცეზე, სავსებით სოლიდარულია მასთან თავის საქმიანობაში და მასთან ერთად იბრძოლებს საერთოდ რუსეთისა და კერძოდ სომხეთის პროლეტარიატის ინტერესებისთვის». შემდეგ ავტორები აღნიშნავენ კავკასიაში კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას და თავისი ძლიერებითა და მრავალმხრიობით გასაოცარ შედეგებს, რაც თან სდევს ამ პროცესს, და გადადიან კავკასიის მუშათა მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობის საკითხზე. კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა ბაქო, თბილისი და ბათუმი, მათი მსხვილი კაპიტალისტური საწარ-

მოებითა და მრავალრიცხოვანი საფაბრიკო პროლეტარიატით, ამ მოძრაობამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვები. მაგრამ კავკასიელ მუშათა ბრძოლა მეპატრონეების წინააღმდეგ, ამ მუშების ფრიად დაბალი კულტურული დონის გამო, ბუნებრივია, დღემდე ატარებდა ცოტად თუ ბევრად შეუგნებელ, სტიქიურ ხასიათს. აუცილებლად საჭირო იყო ძალა, რომელიც შესძლებდა მუშათა დაქსაქსული ძალების გაერთიანებას, მათი მოთხოვნებისათვის გარკვეული ფორმის მიცემას და მათში კლასობრივი თვითშეგნების გამომუშავებას. ასეთ ძალას სოციალიზმი წარმოადგენს. — შემდეგ კავშირი მოკლედ გადმოგვცემს მეცნიერული სოციალიზმის ძირითად დებულებებს და არკვევს თავის პოზიციას საერთაშორისო და კერძოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე მიმდინარეობათა მიმართ. «სოციალისტური იდეალის განხორციელება, — ნათქვამია მანიფესტში, — ჩვენი აზრით, არც მუშათა კლასის ეკონომიური თვითმოქმედებით არის შესაძლებელი და არც ნაწილობრივი პოლიტიკური და სოციალური რეფორმებით; იგი შესაძლებელია მხოლოდ მთელი არსებული წყობილების ძირფესვიანი დამსხვრევის გზით, სოციალური რევოლუციის საშუალებით, რომლის აუცილებელ პროლოგს უნდა წარმოადგენდეს პროლეტარიატის პოლიტიკური დიქტატურა». შემდეგ, აღნიშნავს რა რომ რუსეთში არსებული პოლიტიკური წყობილება ყოველგვარი საზოგადოებრივი მოძრაობისა და განსაკუთრებით მუშათა მოძრაობისადმი მტრული წყობილებაა, კავშირი აცხადებს, რომ თავის უახლოეს ამოცანად ისახავს სომეხი პროლეტარიატის პოლიტიკურ აღზრდას და მის ჩაბმას მთელი რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად. კავშირი სავსებით არ უარჰყოფს მეპატრონეების წინააღმდეგ მუშათა ნაწილობრივი ეკონომიური ბრძოლის საჭიროებას, მაგრამ ამ ბრძოლას დამოუკიდებელ მნიშვნელობას არ ანიჭებს. კავშირი ცნობს ამ ბრძოლას, რამდენადაც იგი აუმჯობესებს მუშათა მატერიალურ მდგომარეობას და ხელს უწყობს მათში პოლიტიკური თვითშეგნებისა და კლასობრივი სოლიდარობის გამომუშავებას.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კავშირის დამოკიდებულება ნაციონალური საკითხისადმი. «ვიღებთ რა მხედველობაში, — ნათქვამია მანიფესტში, — რომ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის მრავალი სხვადასხვა ეროვნება, რომელნიც კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან, და ვფიქრობთ რა, რომ მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ფართო განვითარებას შეუძლია უზრუნველჰყოს ამ სხვადასხვაგვაროვან ელემენტთა ინტერესები, ჩვენ აუცილებელ საჭიროებად ვთვლით მომავალ თავისუფალ რუსეთში ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ ი (კურსივი ჩვენია) რესპუბლიკის დაარსებას. რაც შეეხება კავკასიას, ვიღებთ რა მხედველობაში მისი მოსახლეობის უკიდურეს ტომობრივ სიჭრელეს, ჩვენ ვეცდებით გავაერთიანოთ ყველა ადგილობრივი სოციალისტური ელემენტები და ყველა მუშა, რომელნიც სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნიან; ჩვენ ვეცდებით შევქმნათ ერთიანი მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, — თვითმპყრობელობასთან უფრო წარმატებით ბრძოლისთვის. მომავალ რუსეთში ჩვენ ყველა ერისთვის აღვიარებთ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას, რადგან ნაციონალური თავისუფლება ჩვენ მიგვაჩნია საერთოდ სამოქალაქო თავისუფლებათა მხოლოდ ერთ-ერთ სახედ. გამოვდივართ რა ამ დებულებიდან და ანგარიშს ვუწევთ რა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიის სხვადასხვა ტომობრივ შემადგენლობას და ცალკეულ ტომებს შორის გეოგრაფიული დაყოფის უქონლობას, შესაძლებლად არ ვთვლით ჩვენს პროგრამაში შევიტანოთ კავკასიის ეროვნებათათვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა; ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ ავტონომიას კულტურული ცხოვრების დარგში, ე. ი. ენის, სკოლის, განათლების თავისუფლებას და სხვ.».

ჩვენ სულით და გულით მივესალმებით «სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის» მანიფესტს და განსაკუთრებით მის შესანიშნავ ცდას — სწორად დააყენოს ნაციონალური საკითხი. ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ ეს ცდა ბოლომდე იქნას მიყვანილი. ორი ძირითადი პრინციპი, რომლითაც უნდა

ხელმძღვანელობდეს რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატი ნაციონალურ საკითხში, კავშირის მიერ სავსებით სწორად არის დასახული. ეს არის, ჯერ ერთი, მოთხოვნა არა ნაციონალური ავტონომიისა, არამედ პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებისა და სრული თანასწორუფლებიანობისა; ეს არის, მეორე, სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი თვითეული ეროვნებისთვის თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნა. მაგრამ ორივე ეს პრინციპი ჯერ კიდევ სავსებით თანამიმდევრად არ არის გატარებული «სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის» მიერ. მართლაც, შეიძლება თუ არა ამ პრინციპების თვალსაზრისით ლაპარაკი ფედერაციული რესპუბლიკის მოთხოვნაზე? ფედერაცია გულისხმობს ავტონომიურ ნაციონალურ პოლიტიკურ მთლიან ერთეულებს, კავშირი კი უარს ამბობს ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნაზე. რათა სავსებით თანამიმდევარი იყოს, კავშირმა თავისი პროგრამიდან უნდა ამოიღოს ფედერაციული რესპუბლიკის მოთხოვნა და დასჯერდეს საერთოდ დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნას. პროლეტარიატის საქმე არ არის ფედერალიზმისა და ნაციონალური ავტონომიის ქადაგება, პროლეტარიატის საქმე არ არის ამგვარი მოთხოვნების წამოყენება, რომელნიც გარდუვალად გამოიხატებიან ავტონომიური კლასობრივი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით. პროლეტარიატის საქმეა უფრო მჭიდროდ შეაკავშიროს ყველა და ყოველგვარი ეროვნების მუშათა რაც შეიძლება ფართო მასები, შეაკავშიროს ისინი რაც შეიძლება ფართო ასპარეზზე დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალიზმისთვის საბრძოლველად. და თუ ამჟამად არსებული სახელმწიფოებრივი ასპარეზი შექმნილია, დაცულია და ფართოვდება მთელ რიგ ალმაშფოთებელ ძალადობათა მეოხებით, ჩვენ, სწორედ იმიტომ, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ყველა სახის წინააღმდეგ, კი არ უნდა დავაქუცმაცოთ, არამედ უნდა შევაერთოთ ყველაზე მეტად დაჩაგრული და ყველაზე მეტად ბრძოლისუნარიანი მუშათა კლასის ძალები. თვითეული

ეროვნებისთვის თვითგამორკვევის უფლების აღიარების მოთხოვნა თავისთავად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, პროლეტარიატის პარტია, ყოველთვის და უეჭველად წინააღმდეგი უნდა ვიყოთ ყოველგვარი ცდისა, რომ ძალადობით ან უსამართლობით გარედან ზეგავლენა მოახდინონ ხალხის თვითგამორკვევაზე. ყოველთვის ვასრულებთ რა ჩვენს ამ უარყოფითს მოვალეობას (ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროტესტის მოვალეობას), ჩვენ თვითონ ჩვენი მხრივ ვზრუნავთ არა ხალხთა და ერთა თვითგამორკვევისთვის, არამედ თვითეული ეროვნების პროლეტარიატის თვითგამორკვევისთვის. ამგვარად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საერთო, ძირითადი, ყოველთვის სავალდებულო პროგრამა უნდა შეიცავდეს მხოლოდ მოქალაქეთა სრული თანასწორუფლებიანობის მოთხოვნას (განურჩევლად სქესისა, ენისა, რელიგიისა, რასისა, ეროვნებისა და სხვ.) და მათი თავისუფალი დემოკრატიული თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნას. რაც შეეხება ნაციონალ-ურ ავტონომიის მოთხოვნის მხარდაჭერას, ეს მხარდაჭერა სრულიადაც არ წარმოადგენს პროლეტარიატის მუდმივ, საპროგრამო მოვალეობას. ეს მხარდაჭერა შეიძლება მისთვის აუცილებელი გახდეს მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში. სომხეთის სოციალ-დემოკრატიის მიმართ ასეთ განსაკუთრებულ გარემოებათა უქონლობა თვით «სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის» მიერ არის აღიარებული.

ჩვენ იმედი გვაქვს კიდევ დავუბრუნდეთ ფედერაციულობისა და ეროვნულობის საკითხს *. ახლა კი ვამთავრებთ იმით, რომ ერთხელ კიდევ მივესალმებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ახალ წევრს — «სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირს».

«ისკრა» № 33, 1903 წ. 1 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 564 — 576. რედ.

# ესაჭიროება თუ არა ებრაელ პროლეტარიატს «დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია»

«პოსლედნიე იზვესტიას» 105-ე ნომერში (1903 წლის 28/15 იანვარი), რომელსაც უშვებს «ლიტვის, პოლონეთისა და რუსეთის ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირის საზღვარგარეთული კომიტეტი», მოთავსებულია პატარა სტატია «ერთი პროკლამაციის გამო» (სახელდობრ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ეკატერინოსლავის კომიტეტის პროკლამაციის გამო); ამ სტატიაში ჩვენ ვპოულობთ შემდეგს, იმდენადვე საოცარს, რამდენადაც მნიშვნელოვანსა და ჭეშმარიტად «შედეგებით აღსავსე» მტკიცებას: «ებრაელი პროლეტარიატი ჩამოყალიბდა (sic! *) ბუნდის დამოუკიდებელ (sic!) პოლიტიკურ პარტიად».

ჩვენ ეს აქამდე არ ვიცოდით. ეს ახალი ამბავია.

დღევანდლამდე ბუნდი შემადგენელი ნაწილი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, და ჯერ კიდევ (ჯერ კიდევ!) «პოსლედნიე იზვესტიას» 106-ე ნომერში გვხვდება ბუნდის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელსაც სათაურად აქვს: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია». მართალია, ბუნდმა თავის უკანასკნელ IV ყრილობაზე დაადგინა შესცვალოს თავისი სახელწოდება (კრინტიც არ დაუძრავს, რომ მას სურს მოისმინოს რუსი ამხანაგების აზრი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა

* — ასე! რ ე დ.

პარტიის ამა თუ იმ ნაწილის სახელწოდების შესახებ) და «გაატაროს» ახალი ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ ი ურთიერთობა რუსეთის პარტიის წესდებაში. ბუნდის საზღვარგარეთულმა კომიტეტმა უკვე «გაატარა» კიდეც ეს ურთიერთობა, თუ ასე შეიძლება ვუწოდოთ მის გამოსვლას საზღვარგარეთული «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირიდან» და ფედერაციული ხელშეკრულების დადებას ამ კავშირთან.

მაგრამ თვითონ ბუნდმა, როდესაც მას «ისკრა» ეკამათებოდა მისი IV ყრილობის გადაწყვეტილებათა გამო, სრულიად გარკვეულად განაცხადა, რომ მას აქვს მხოლოდ განზრახვა, გ ა ა ტ ა რ ო ს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში თ ა ვ ი ს ი ს ურ ვ ი ლ ე ბ ი და გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ნ ი, ე. ი. პირდაპირ და კატეგორიულად აღიარებდა, რომ რჩება რსდმპ ნაწილად, ვიდრე ეს პარტია მიიღებდეს ახალ წესდებას, ვიდრე ის შეიმუშავებდეს ბუნდისადმი ურთიერთობის ახალ ფორმებს.

ახლა კი უეცრად ირკვევა, რომ ებრაელი პროლეტარიატი უკვე ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ დ ა დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ პოლიტიკურ პარტიად! კიდევ ვიმეორებთ: ეს ახალი ამბავია.

ასეთივე ახალი ამბავია ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის მრისხანე და უჭკუო თავდასხმა ეკატერინოსლავის კომიტეტზე. ჩვენ, ბოლოს, მივიღეთ. (თ უ მ ც ა, ს ა მ წ უ ხ ა რ ო დ, დ ი დ ი დ ა გ ვ ი ა ნ ე ბ ი თ) ეს პროკლამაცია და უყოყმანოდ ვიტყვით, რომ ა ს ე თ პროკლამაციაზე თავდასხმა, უ ე ჭ ვ ე ლ ი ა, დიდ პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენს ბუნდის მხრივ *. ეს ნაბიჯი სავსებით შეეფერება ბუნდის დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად გამოცხადებას და, თავის მხრივ, დიდად ჰფენს ნათელს ამ ახალი პარტიის ფიზიონომიასა და მოქმედების ხასიათს.

სამწუხაროდ, ადგილის სიმცირე ხელს გვიშლის მთლიანად მოვიყვანოთ ეკატერინოსლავის პროკლამაცია (იგი დაიჭერდა

* თუ, რასაკვირველია, ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი ამ საკითხში გამოხატავს ბუნდის, როგორც მთელის, შეხედულებებს.

«ისკრის» დაახლოებით ორ სვეტს *), და ჩვენ დავჯერდებით შენიშვნას, რომ ეს მშვენიერი პროკლამაცია ჩინებულად უხსნის ქალაქ ეკატერინოსლავის ებრაელ მუშებს (ჩვენ ახლავე ავხსნით, რატომ ვუსვამთ ხაზს ამ სიტყვებს) სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას სიონიზმისა და ანტისემიტიზმისადმი. ამასთანავე პროკლამაცია იმდენად მზრუნველობით, ამხანაგური მზრუნველობით ეპყრობა ებრაელი მუშების გრძნობებს, განწყობილებას და სურვილებს, რომ სპეციალურად დასძენს და ხაზს უსვამს ბრძოლის აუცილებლობას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დროშით «თქვენი (პროკლამაცია მიმართავს ებრაელ მუშებს) ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვისაც კი», «წმინდა ეროვნული ინტერესებისთვისაც კი» (ხაზგასმული და კურსივით აწყობილია თვით პროკლამაციაში).

და, მიუხედავად ამისა, ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი (კინაღამ ვთქვით: ახალი პარტიის ცენტრალური კომიტეტი) თავს დაატყდა ამ პროკლამაციას იმისათვის, რომ იგი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ბუნდს. აი მისი ერთადერთი, მაგრამ მიუტევებელი, საშინელი დანაშაული. აი რატომ აბრალებენ ეკატერინოსლავის კომიტეტს «პოლიტიკური აზრის» ნაკლებობას. ეკატერინოსლაველ ამხანაგებს სჯიან იმისათვის, რომ მათ «ჯერ კიდევ ვერ მოინელეს აზრი ებრაელი პროლეტარიატის ძალთა (!!) ცალკე ორგანიზაციის აუცილებლობისა» (რა ღრმა და მნიშვნელოვანი აზრია!), იმისათვის, რომ ისინი «ჯერ კიდევ ებღაუჭებიან უაზრო ოცნებას როგორმე დააღწიონ თავი მას (ბუნდს)», რომ ისინი ავრცელებენ «არანაკლებ (სიონისტურზე) მავნე ზღაპარს» ანტისემიტიზმის კავშირზე ბურჟუაზიულ და არა მუშათა ფენებთან და ამ ფენების ინტერესებთან. აი რატომ ურ-

* ჩვენ განზრახვა გვაქვს ეს პროკლამაცია და მასზე ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის თავდასხმა მთლიანად გადავბეჭდოთ ბროშურაში, რომელსაც გამოსაცემად ვამზადებთ.

ჩვენ ეკატერინოსლავის კომიტეტს «უკუაგდოს ებრაელ მუშათა დამოუკიდებელი მოძრაობის მიფუჩეჩების მავნე ჩვეულება» და «შეურიგდეს ბუნდის არსებობის ფაქტს».

ახლა საკითხავია: მართლაც არის თუ არა აქ დანაშაული ეკატერინოსლავის კომიტეტის მხრივ? მართლაც აუცილებლად უნდა მოეხსენებინა თუ არა მას ბუნდი? ამ კითხვებზე შეიძლება მხოლოდ უარყოფით ვუპასუხოთ უკვე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პროკლამაცია მიმართულია არა «ებრაელი მუშებისადმი» საერთოდ (როგორც მას აღნიშნავს სრულიად არასწორად ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი), არამედ «ქ. ეკატერინოსლავის ებრაელი მუშებისადმი» (ბუნდის საზღვარგარეთულ კომიტეტს დაავიწყდა მოეყვანა სიტყვები «ეკატერინოსლავის მუშებისადმი»!). ეკატერინოსლავში არ არსებობს ბუნდის არავითარი ორგანიზაცია. (და საერთოდ სამხრეთ რუსეთის შესახებ ბუნდის IV ყრილობამ დაადგინა არ მოაწყოს ბუნდის ცალკეული კომიტეტები იმ ქალაქებში, სადაც ებრაული ორგანიზაციები შედიან პარტიის კომიტეტების შემადგენლობაში, სადაც მათი საჭიროებანი შეიძლება სავსებით დაკმაყოფილდეს ამ კომიტეტებიდან გამოუყოფლად). რაკი ებრაელი მუშები ეკატერინოსლავში ორგანიზებული არ არიან ცალკე კომიტეტში, მაშასადამე, მათ მოძრაობას (ამ ადგილის მთელ მუშათა მოძრაობასთან განუყრელად) მთლიანად უძღვება ეკატერინოსლავის კომიტეტი; ეს უკანასკნელი უშუალოდ უმორჩილებს მათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელიც უნდა მოუწოდებდეს მათ სამუშაოდ მთელი პარტიისათვის და არა მისი ცალკეული ნაწილებისათვის. ცხადია, ასეთ პირობებში ეკატერინოსლავის კომიტეტი არა თუ არ იყო ვალდებული მოეხსენებინა ბუნდი, არამედ, პირიქით, მას რომ აზრად მოსვლოდა ექადაგნა «ებრაელი პროლეტარიატის ძალთა ცალკე ორგანიზაციის» (რაც ბუნდელებს სურთ) «აუცილებლობა» (ეს იქნებოდა, უფრო სწორედ და უფრო დანამდვილებით რომ

ვთქვათ, უძლურების * ორგანიზაცია), მაშინ ეკატერინოსლავის კომიტეტის მხრივ ეს უდიდესი შეცდომა და პირდაპირი დარღვევა იქნებოდა არა მარტო პარტიის წესდებისა, არამედ აგრეთვე პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ერთიანობის ინტერესებისაც.

შემდეგ. ეკატერინოსლავის კომიტეტს იმაში სდებენ ბრალს, რომ თითქოს მას ანტისემიტიზმის საკითხში «ორიენტირება» აკლია. ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი ჭეშმარიტად ბავშვურ შეხედულებებს ამჟღავნებს დიდ სოციალურ მოძრაობათა შესახებ. ეკატერინოსლავის კომიტეტი ლაპარაკობს უკანასკნელი ათეული წლების საერთაშორისო ანტისემიტურ მოძრაობაზე და შენიშნავს, რომ «ეს მოძრაობა გერმანიიდან მოედო სხვა ქვეყნებს და ყველგან ჰპოვა მომხრეები მოსახლეობის სწორედ ბურჟუაზიულ და არა მუშათა ფენებში». — «ეს არანაკლებ მავნე ზღაპარიაო» (ვიდრე სიონისტური ზღაპრები), — წამოაყრანტალებს ბუნდის მთლად გაბრაზებული საზღვარგარეთული კომიტეტი. ანტისემიტიზმმა «ფესვები გაიდგა მუშათა მასაშიო», რის დასამტკიცებლადაც «ორიენტირებულ» ბუნდს მოჰყავს ორი ფაქტი: 1) მუშების მონაწილეობა ჩენსტოხოვის დარბევაში და 2) იმ 12 (თორმეტი!) მუშა-ქრისტიანის საქციელი ჟიტომირში, რომელთაც დაიკავეს გაფიცულთა ადგილები და რომელნიც «ყველა ურიას ამოჟლეტას» ემუქრებოდნენ. — საბუთები მართლაც რომ საფუძვლიანია, განსა-

* «უძლურების ორგანიზაციის» სწორედ ამნაირ საქმეს ემსახურება ბუნდი, როდესაც ხმარობს, მაგალითად, გამოთქმას: ჩვენი ამხანაგები «ქრისტიანი მუშების ორგანიზაციებიდანო». ეს ისეთივე უცნაურობაა, როგორიც არის მთელი გალაშქრება ეკატერინოსლავის კომიტეტის წინააღმდეგ. ჩვენ არავითარი «ქრისტიან» მუშათა ორგანიზაცია არ ვიცით. ორგანიზაციები, რომლებიც ეკუთვნიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, არასოდეს არ განასხვავებდნენ თავიანთ წევრებს მათი სარწმუნოების მიხედვით, არასოდეს არ ეკითხებოდნენ მათ სარწმუნოებაზე და არც არასოდეს ჩაიდენენ ამას, — არ ჩაიდენენ მაშინაც კი, როდესაც ბუნდი ნამდვილად «ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად».

კუთრებით უკანასკნელი! «პოსლედნიე იზვესტიას» რედაქცია ისე შეეჩვია ლაპარაკს დიდ გაფიცვებზე, რომლებშიც 5 და 10 კაცი იღებს მონაწილეობას, რომ ჟიტომირელი 12 უმეცარი მუშის საქციელი მას გამოაქვს «მოსახლეობის» ამა თუ იმ «ფენასთან» საერთაშორისო ანტისემიტიზმის კავშირის შესაფასებლად. ეს, მართლაც რომ, ჩინებულია! იმის ნაცვლად, რომ ბუნდელები ასე უგუნურად და სასაცილოდ კი არ განრისხებულიყვნენ ეკატერინოსლავის კომიტეტზე, არამედ ცოტათი ჩაფიქრებოდნენ ამ საკითხს და ჩაეხედათ თუნდაც მათ მიერ ახლახან ჟარგონზე გამოცემულს კაუტსკის ბროშურაში სოციალური რევოლუციის შესახებ[81], ისინი გაიგებდნენ, რომ ანტისემიტიზმს უ ე ჭ ვ ე ლ ი კავშირი აქვს მოსახლეობის სწორედ ბურჟუაზიულ და არა მუშურ ფენებთან. კიდევ ცოტა მოფიქრება — და ისინი მიხვდებოდნენ იმასაც, რომ თანამედროვე ანტისემიტიზმის საზოგადოებრივი ხასიათი არ იცვლება იმ ფაქტის გამო, რომ ამა თუ იმ დარბევაში მონაწილეობას იღებს არათუ ათეული, არამედ ასეული დაურაზმავი და ცხრამეათედით ჯერ კიდევ სრულიად უმეცარი მუშა.

ეკატერინოსლავის კომიტეტი ამხედრდა (და კანონიერადაც ამხედრდა) სიონისტების იმ ზღაპრის წინააღმდეგ, თითქოს ანტისემიტიზმი მარადი მოვლენა იყოს, ბუნდმა კი თავისი ბრაზიანი შესწორებით მხოლოდ არივდარია საკითხი და ებრაელ მუშებში დათესა ისეთი იდეები, რომლებსაც მიჰყავს ისინი მათი კლასობრივი შეგნების დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ი ს ა კ ე ნ.

პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის რუსეთის მთელი მუშათა კლასის ბრძოლის თვალსაზრისით ბუნდის გალაშქრება ეკატერინოსლავის კომიტეტის წინააღმდეგ არის უდიდესი უგუნურება. «ბუნდის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის» თვალსაზრისით ეს გალაშქრება გასაგები ხდება: არსად არ გაბედოთ «ებრაელი» მუშების დარაზმვა «ქრისტიან» მუშებთან ერთად და მათგან განუყრელად! არ გაბედოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ან მისი კომიტეტების სახელით მიმართოთ ებრაელ მუ-

შებს პირდაპირ, არა ბუნდის საშუალებით, მის გარეშე, ბუნ-
დის მოუხსენიებლად!

და ეს ფრიად სამწუხარო ფაქტი ხომ შემთხვევითი მოვ-
ლენა არ არის. რაკი იმ საქმეებში, რომლებიც ებრაელ პრო-
ლეტარიატს ეხება, თქვენ ავტონომიის ნაცვლად მოითხოვეთ
«ფედერაცია», — თქვენ ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გ ა ხ დ ი თ გამო-
გეცხადებინათ ბუნდი «დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარ-
ტიად», რათა შესაძლებლობა გქონდეთ გაატაროთ ეს ფედე-
რაცია რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა ჯ დ ე ს. მაგრამ ბუნდის გამოც-
ხადება დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად არის სწორედ
აბსურდამდე მიყვანა ეროვნულ საკითხში იმ ძირითადი შეც-
დომისა, რომელიც უთუოდ და აუცილებლად გახდება მობრუ-
ნების გამოსავალ პუნქტად საერთოდ ებრაელი პროლეტა-
რიატისა და ებრაელი სოციალ-დემოკრატების შეხედულებებ-
ში. 1898 წლის წესდების «ავტონომია» ებრაელ მუშათა მოძ-
რაობას უზრუნველჰყოფს ყველაფრით, რაც მისთვის საჭი-
როა: პროპაგანდითა და აგიტაციით ჟარგონზე, ლიტერატუ-
რითა და ყრილობებით, განსაკუთრებულ მოთხოვნათა წამო-
ყენებით ერთი საერთო სოციალ-დემოკრატიული პროგრამის
გასავითარებლად და იმ ადგილობრივ საჭიროებათა და მოთ-
ხოვნათა დაკმაყოფილებით, რომელნიც ებრაული ყოფაცხოვ-
რების თავისებურებიდან გამომდინარეობენ. ყოველივე და-
ნარჩენში აუცილებლად საჭიროა სრული და უმჭიდროესი
გაერთიანება რუსეთის პროლეტარიატთან, საჭიროა რუსეთის
მთელი პროლეტარიატის ბრძოლის ინტერესებისათვის. და
ასეთი გაერთიანებისას არსებითად უსაფუძვლოა ყოველგვარი
«მაიორიზირების» შიში, რადგან მაიორიზირებას ე ბ რ ა უ-
ლ ი მოძრაობის საგანგებო საკითხებში აგვაცილებს სწორედ
ავტონომია, ხოლო თვითმპყრობელობასთან ბრძოლის, მთელი
რუსეთის ბურჟუაზიასთან ბრძოლის საკითხში ჩვენ უნდა გა-
მოვდიოდეთ როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული, მებრძო-
ლი ორგანიზაცია, ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ მთელ პროლე-
ტარიატს, განურჩევლად ენისა და ეროვნებისა, ჩვენ უნდა
ვიყვეთ შედუღებულნი ერთმანეთთან თეორიული და პრაქ-

ტიკული, ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების მუდმივი ერთობლივი გადაჭრით, და არ უნდა ვქმნიდეთ ცალკეულ, საკუთარი გზებით მიმავალ ორგანიზაციებს, არ ვასუსტებდეთ ჩვენი შეტევის ძალას მრავალრიცხოვან დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიებად დანაწილებით, არ უნდა შეგვქონდეს განშორება და განცალკევება, რომ შემდეგ არ დაგვჭირდეს ხელოვნურად შეყრილი სენის მკურნალობა ყბადაღებული «ფედერაციის» მალამოთი.

«ისკრა» № 34, 1903 წ. 15 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში[82]

დაწერილია 1903 წ. თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ლენინის კრებულში XIX

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით



Марксистская схема аграрного вопроса в Европе и в России.

Лекция I. Общая теория аграрного вопроса. Образование капиталистического рабочего. Различные формы уклона мелкого рабочего и образования класса с.-х. наемных рабочих. Теория рента Маркса. Буржуазный характер учений т.-наз. „критической" школы (м. Булгаков, Бернштейн, Давид, Черное, отчасти Маслов и др.), извращающая объективно существенные* законы. (В чем „чрезвычайно уклонение" неотъемлемо кон-ва) существования дела, вытекающей из общего экономического развития.

Пирველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა.
«მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე
ევროპასა და რუსეთში». — 1903 წ.

## ლექციების პროგრამა

ლექცია I. აგრარული საკითხის ზოგადი თეორია. კაპიტალისტური მიწათმოქმედების წარმოშობა. სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდის სხვადასხვა ფორმა და დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშათა კლასის წარმოშობა. მარქსის რენტის თეორია. ეგრეთწოდებული კრიტიკული სკოლის (ბ. ბ. ბულგაკოვი, ჰერცი, დავიდი, ჩერნოვი, ნაწილობრივ მასლოვი და სხვ.) ძოძღვრებათა ბურჟუაზიული ხასიათი; ეს სკოლა ცდილობს ბუნებრივი კანონებით (როგორიცაა ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების ყბადაღებული კანონი) ახსნას იმ ხარკის არსებობა, რასაც მიწათმფლობელნი ახდევინებენ საზოგადოებას. კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი მიწათმოქმედებაში.

ლექცია II. წვრილი და მსხვილი წარმოება მიწათმოქმედებაში.

ეგრეთწოდებული კრიტიკული სკოლის ცდები — მიჩქმალოს წვრილი მწარმოებლის მონობა თანამედროვე საზოგადოებაში. იმ მონოგრაფიულ გამოკვლევათა გარჩევა, რომლებიც სავსებით უკუღმართად გაიგო ამ სკოლამ (მ. გეხტი, კ. კლავკი, აუჰაგენი).

ლექცია III. გაგრძელება. ბადენის ანკეტა. მარქსისტულ შეხედულებათა სრული დადასტურება მისი შედეგებით. გერმანული აგრარული სტატისტიკის ზოგადი მონაცემები. ზღაპარი მსხვილი კაპიტალის ლატიფუნდურ გადაშენებაზე. მანქანები მიწათმოქმედებაში. მუშა პირუტყვის ყველაზე მეტად გაუარესება საშუალო გლეხის მეურნეობაში. კოო-

პერაციები მიწათმოქმედებაში; 1895 წლის გერმანული მასობრივი მონაცემები სარძეო ამხანაგობათა შესახებ. მიწათმოქმედების კოოპერაციებსა და მრეწველობის ტრესტებს შორის ფორმის მხრივ, განსხვავება, რამაც ხელი შეუშალა ეგრეთწოდებულ კრიტიკულ სკოლას გაეგო ორივეს სრული ერთგვაროობა მათი საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსის მხრივ.

ლექცია IV. აგრარული საკითხის დაყენება რუსეთში. ნაროდნიკული მსოფლმხედველობის საფუძვლები და მისი ისტორიული მნიშვნელობა, როგორც აგრარული დემოკრატიის პრიმიტიული ფორმისა. გლეხობის საკითხის ცენტრალური მნიშვნელობა (თემი და სახალხო წარმოება). გლეხობის დაყოფა სოფლის ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარიატად. ამ პროცესის შესწავლის ხერხები და მისი მნიშვნელობა. საბატონო მეურნეობის შეცვლა კაპიტალისტური მეურნეობით. ნაროდნიკულ შეხედულებათა რეაქციული ხასიათი. თანამედროვე ისტორიული მომენტის საჭიროებანი: ბატონყმობის ნაშთების მოსპობა და კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარება სოფლად.

## პირველი ლექციის კონსპექტი

### ზოგადი თეორია

მარქსის თეორია წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებისა ისევე ეხება მიწათმოქმედებას, როგორც მრეწველობას. ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ კაპიტალიზმის ძირითადი ნიშნები და მისი სხვადასხვა ფორმა მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში.

განვიხილოთ, თუ რაში მდგომარეობენ ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და განსაკუთრებული ფორმები იმ პროცესისა, რომელიც ჰქმნის მიწათმოქმედების კაპიტალისტურ წყობას. ამ პროცესის ჩასახვის მიზეზი ორნაირია: 1) სასაქონლო წარმოება და 2) ის, რომ საქონელს წარმოადგენს არა პროდუქტი, არამედ სამუშაო ძალა. როცა ეს ძალა ჩაებმება

გაცვლაში, მთელი წარმოება კაპიტალისტური ხდება, იქმნება პროლეტარიატის განსაკუთრებული კლასი. სასაქონლო წარმოების ზრდა და დაქირავებული შრომის განვითარება მიწათმოქმედებაში სხვა ფორმით ხდება, ვიდრე მრეწველობაში, ამიტომ აქ მარქსის თეორიის გამოყენება შეიძლება არასწორად მოგვეჩვენოს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, თუ მიწათმოქმედება რა ფორმით ხდება კაპიტალისტური. ამისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვარკვიოთ 2 მოვლენა:

I. როგორ იზრდება საავჭრო მიწათმოქმედება? და

II. როგორ გამოვლინდება მუშათა კლასის წარმოშობა?

I. ამ პროცესის ძირითად მოვლენას წარმოადგენს ინდუსტრიული მოსახლეობის სწრაფი ზრდა და წარმოების საგანთა გატანა ბაზარზე. მაშასადამე, სასაქონლო მიწათმოქმედების ფართო განვითარებისათვის აუცილებელია არამიწათმოქმედი მოსახლეობის ფართო განვითარება. ეს პროცესი გამოვლინდება სხვადასხვა ფორმით და თავს იჩენს იმ ქვეყნებში, რომლებსაც შეაქვთ და გააქვთ პური. ინდუსტრიული მოსახლეობის სწრაფი ზრდა კი ჰქმნის პურის ნაკლებობას სამრეწველო ქვეყნებში, ე. ი. იმის შეუძლებლობას, რომ ტექნიკის უცვლელი სისტემის დროს თავი გაიტანონ სხვა ქვეყნებიდან პურის შეუტანლად. პურის მოთხოვნილების გადიდება, მთელი მიწის კერძო საკუთრების არსებობის დროს, იწვევს მონოპოლიური ფასის წარმოქმნას.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს რენტის ასახსნელად.

თვით პროცესი საავჭრო მიწათმოქმედების წარმოშობისა მთლად ისე არა ხდება; როგორც საფაბრიკო მრეწველობისა: მრეწველობაში ეს ხდება მარტივი და სწორხაზოვანი ფორმით, მიწათმოქმედებაში კი ჩვენ სხვა რამეს ვხედავთ: იქ საავჭრო და არასაავჭრო მიწათმოქმედების გადახლართვა სჭარბობს. იქ ერთდება სხვადასხვა ფორმა. ბაზარზე უმთავრესად გააქვთ თვითეული მოცემული ადგილის რომელიმე ე რ თ ი პროდუქტი. ერთი მხრივ, მემამულისა და განსაკუთრებით გლეხის წარმოება არის სასაქონლო წარმოება, მეორე

მხრივ — ეს წარმოება ინარჩუნებს თავის სამომხმარებლო ხასიათს.

ფულის მიღების აუცილებლობა იწვევს ნატურალური მეურნეობიდან სავაჭრო მეურნეობაზე გადასვლას. ფულის ძალა ჩაგრავს გლეხებს არა მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ რუსეთშიც. საერობო სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ იქაც კი, სადაც ძალიან ძლიერია პატრიარქალური მეურნეობის ნაშთები, — გლეხის დამორჩილება ბაზრისადმი უდიდეს ზომას აღწევს.

II. დაქირავებულ მუშათა კლასის წარმოშობის პროცესი წარმოადგენს გლეხობის დაშლას 2 ფენად: 1) ფერმერებად, რომლებიც მიწათმოქმედებას ისე უყურებენ, როგორც მრეწველობას, და 2) დაქირავებულ მუშებად. ამ პროცესს ხშირად გლეხობის დიფერენციაცია ეწოდება. რუსეთში განსაკუთრებით ამ პროცესმა ძალიან მკაფიოდ იჩინა თავი. ხოლო იგი ეკონომისტებმა შეამჩნიეს ჯერ კიდევ ფეოდალური სისტემის დროს.

წარმოშობის თავისებურებანი.

ეს პროცესი არათანაზომიერად ხდება. დაქირავებულ მუშათა კლასის წარმოშობასთან ერთად ჩვენ ვხედავთ პატრიარქალური სისტემის არსებობას და ახალი, კაპიტალისტური სისტემის წარმოშობას. დაქირავებული მუშათა კლასი ასე თუ ისე დაკავშირებულია მიწასთან: მაშასადამე, პროცესის ფორმები მეტად სხვადასხვანაირი იქნება.

## კაპიტალისტური მიწათმოქმედების ბატონობის შესახებ

### რენტა

კაპიტალისტური ქვეყნის მოსახლეობა 3 კლასად იყოფა: 1) დაქირავებულ მუშებად, 2) მიწათმფლობელებად და 3) კაპიტალისტებად. სისტემის შესწავლისას უნდა უგულებელვყოთ ადგილობრივი თავისებურებანი, იქ სადაც ასეთი გარკვეული დაყოფა შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს.

პროდუქტის მთავარი დაყოფა, მარქსის მიხედვით, არის დაყოფა აუცილებელ და ზედმეტ პროდუქტებად. სწორედ ამ

ზედმეტი პროდუქტის განსაზღვრული ნაწილი წარმოადგენს მიწის რენტას, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც რჩება კაპიტალის საშუალო მოგების გამოქვითვის შემდეგ. საშუალო მოგება კი განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში იქმნება კონკურენციის გავლენით, რომელიც ზედმეტ პროდუქტს კაპიტალისტებს შორის ანაწილებს არა მუშების რიცხვის პროპორციულად, არამედ საწარმოში დაბანდებული მთელი კაპიტალის ოდენობის პროპორციულად.

საშუალო მოგების შექმნას მარქსი განიხილავს «კაპიტალის» III ტომში. სხვადასხვა ნაყოფიერების ნაკვეთებზე კაპიტალი სხვადასხვა მოგებას მოგვცემს: უარეს მიწაზე მოგება ნაკლები იქნება, — უკეთესზე — მეტი, დამატებითი. (ჯერ კიდევ მარქსამდე რიკარდომ ჩაუყარა საფუძველი რენტის თეორიას). პურის ბაზარზე ფასების მონოპოლიისა და პურის საერთო არასაკმაო რაოდენობის გამო ფასს უარესი მიწის ნაკვეთი განსაზღვრავს. მოგების ნამეტს, რასაც იძლევა უკეთესი ხარისხის მიწა ან ბაზართან ახლო მდებარე მიწა, უარეს და უფრო დაშორებულ მიწასთან შედარებით, მარქსის მიხედვით, დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რენტა ეწოდება.

რენტას მიწათმფლობელნი ფერმერებს ართმევენ.

დამატებითი მოგების სხვადასხვა ოდენობა შეიძლება ორგვარი იყოს: 1) ის მოგება, რომელიც წარმოსდგება ნაყოფიერების განსხვავებისაგან, და 2) ის მოგება, რომელიც წარმოსდგება კაპიტალის სხვადასხვანაირი გამოყენებისაგან. შემდეგ. გარდა კერძო მეურნეობის მონოპოლიისა მიწაზე, არსებობს მიწის კერძო საკუთრების მონოპოლია: მიწათმფლობელს შეუძლია არ მისცეს მიწა ფერმერს, ვიდრე პურის ფასი არ მოიმატებს, და მაშინ იგი იღებს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რენტას, რომელიც ელემენტარულ მონოპოლიას წარმოადგენს. იგი შეიძლება იყოს: 1) წმინდა სახის მონოპოლია (მაშინ, თუ ზუსტ ანალიზს გავაკეთებთ, მას რენტა არ უნდა ეწოდოს). 2) აბსოლუტური რენტა შეიძლება აღებულ იქნას სამიწათმოქმედო კაპიტალის დამატებითი მოგებიდან შემდეგი გარემოების გამო. მიწათმოქმედებაში ტექნიკა უფრო დაბალია,

ამიტომ ცვალებადი (=მოგების შემქმნელი) კაპიტალის წილი უფრო მაღალია, ვიდრე მრეწველობაში. ამიტომ მოგების წილიც უფრო მაღალი უნდა იყოს მიწათმოქმედებაში, ვიდრე მრეწველობაში. და აი მიწათმფლობელობის მონოპოლია ხელს უშლის იმას, რომ შეთანასწორდეს მაღალი მოგება მიწათმოქმედებაში და დაბალი მოგება მრეწველობაში. მიწათმოქმედების სწორედ უფრო მაღალი მოგებიდან, რომელიც არ შეთანასწორებულა, იღებენ აბსოლუტურ რენტას სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. მისი წყაროა პურის ფასის მომატება. დიფერენციული რენტა კი პროდუქტიდან მიიღება. უკანასკნელ წლებს, რომლებიც ვაჭრობაში ახალი ქვეყნების ჩაბმით ხასიათდება, კრიზისი მოჰყვა.

მიწის ფასი წარმოადგენს აღრიცხულ, წინასწარ გათვალისწინებულ რენტას. ამიტომ იგი განიხილება როგორც გარკვეული კაპიტალის შემოსავალი. მიწის ყიდვისას უნდა დაიხარჯოს კაპიტალი, რომელსაც შეუძლია საშუალო რენტის შემოსავლის მოცემა. ამიტომ ინდუსტრიის განვითარების სწრაფმა მსვლელობამ ძალიან მაღლა ასწია რენტა ევროპაში და განამტკიცა იგი.

დიდი ნაწილი მასლოვის ახლახან გამოსული წიგნისა: «სოფლის მეურნეობის განვითარების პირობები რუსეთში» მიეძღვნება რენტის თეორიას, და ამ საკითხში მასლოვი სავსებით მცდარ თვალსაზრისზე დგას, როცა იმეორებს მარქსის ისეთი ბურჟუაზიული, ეგრეთწოდებული «კრიტიკოსების» მოსაზრებებს, როგორიც არიან ბ-ნი ბულგაკოვი და სხვები. მარქსმა ცხადჰყო, რომ ძველმა ინგლისურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ერთობ მარტივად შეხედა ამ საკითხს, არა როგორც პროცესს, რომელსაც განსაკუთრებული ისტორიული პირობები ჰქმნის, არამედ, როგორც პროცესს, რომელსაც ბუნებრივი პირობები ჰქმნის. ამიტომ მსჯელობდა ეს პოლიტიკური ეკონომია: რენტა წარმოიქმნება მიწის საუკეთესო ნაკვეთებიდან უარეს ნაკვეთებზე გადასვლის აუცილებლობის გამოო. მაგრამ არის პირუკუ გადასვლაც, რადგან ხდება

გაუმჯობესება. კრიტიკოსები მარქსისაგან უკან წავიდნენ — ბურჟუაზიული ეკონომიისაკენ.

რენტის თეორიის მეორე ვიწრო გაგება — ეს არის დიფერენციული რენტის წარმოქმნის კანონის შეერთება ნიადაგის ნაყოფიერების კლებადობის კანონთან, რის გამო მოგება თითქოს მცირდება მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე. რიკარდო საუკეთესო ნაკვეთებიდან უარეს ნაკვეთებზე გადასვლას იმით ხსნის, რომ სულ უფრო და უფრო მეტი კაპიტალის გამოყენება შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ო. — რუსი «კრიტიკოსებიდან» ყველანი გამოვიდნენ ნიადაგის ნაყოფიერების კლებადობის თეორიის დასაცავად, ისევე როგორც მასლოვი, რომელსაც დანარჩენ საკითხებში სურს მარქსისტად დარჩეს. მაგრამ საბუთები ამ თეორიის დასაცავად არ სცილდებოდნენ ისეთ გონებამახვილობას, როგორიცაა ის, რომ თუ ეს თეორია არ აღვიარეთ, მაშინ უნდა ვცნოთ, რომ ერთი ნაჭერი მიწით შეიძლება მთელი სახელმწიფოს გამოკვებაო.

მარქსი ებრძოდა ამ თეორიას. ეს თეორია კაპიტალის ხარჯვას არითმეტიკულად განიხილავს და შეცდომას უშვებს, როცა საერთო მეურნეობის პირობებს უგულებელჰყოფს. თუ ვიგულისხმებთ, რომ სულ უფრო და უფრო მეტი კაპიტალის გამოყენება ყოველთვის შესაძლებელია, მაშინ ეს თეორია სწორი იქნებოდა, მაგრამ ასეთი რამ გულისხმობს სისტემების გარდაქმნას, ხოლო სისტემები მიწათმოქმედებაში საუკუნეობით სძლებენ, და ამან კაპიტალის გამოყენება განსაზღვრულ ფარგლებში მოაქცია. თუ ტექნიკა არ იცვლება, კაპიტალის შემდგომი გამოყენება შეუძლებელია ანდა ვიწრო ფარგლებშია შესაძლებელი. მარქსი აღნიშნავს, რომ მრეწველობაშიც არ შეიძლება უსაზღვროდ განავითარო წარმოება მიწის მოცემულ ფართობზე: თუ საწარმოს მიწის გარკვეული ფართობი უკავია, ამ საწარმოს გასავითარებლად საჭირო გახდება მისი გადიდება. ხოლო თ უ მიწას რაციონალურად ამუშავებენ, ამან მხოლოდ უნდა გააუმჯობესოს წარმოება, ასე რომ მარქსი დაასკვნის, რომ მიწა ამ მხრივ არათუ უსარგო არ არის, არამედ პირიქით ხდება. აი სწორედ ეს «თ უ» უგულებელჰყვეს

მარქსის თეორიის მოწინააღმდეგეებმა. ამრიგად, მასლოვს, როგორც ვითომდა მარქსისტს, შეუძლია ბევრი შეიყვანოს შეცდომაში თავისი შეხედულებებით ამ საკითხზე. მისი წიგნი წარმოადგენს ჩვენს დროში ერთ-ერთ მაგალითს უამრავი მაგალითიდან — იარო უკან, ნაცვლად იმისა, რომ წინ მიდიოდე.

მიწათმოქმედი მოსახლეობა აბსოლუტურად მცირდება, მაგრამ სამიწათმოქმედო წარმოება პროგრესს განიცდის. XIX საუკუნის განმავლობაში ეს პროგრესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სასაქონლო მიწათმოქმედების ზრდასთან. იგი ახასიათებს ახლანდელი კაპიტალისტური წყობილების ერთ-ერთ ძირითად თვისებას, რომელიც იმით გამოიხატება, რომ იქმნება კონკურენცია მიწათმოქმედებაში, იქმნება ბაზარი მისთვის და ხდება მოსახლეობის დიფერენციაცია. მან ძლიერი ბიძგი მისცა მიწათმოქმედების განვითარებას, მაგრამ პროგრესის თვითეულ ნაბიჯს თან ახლდა წინააღმდეგობათა წარმოშობა, რომლებიც შეუძლებელს ხდიან გამოყენებულ იქნას ახალი, მეცნიერული მიწათმოქმედების მთელი საწარმოო ძალები. კაპიტალიზმი ჰქმნის მსხვილ წარმოებას, კონკურენციას, რომლებსაც თან სდევს მიწის საწარმოო ძალთა გაძარცვა. მოსახლეობის ქალაქად კონცენტრაცია იწვევს მიწის გაუკაცრიელებას, ჰქმნის ნივთიერებათა არანორმალურ გაცვლას. მიწის დამუშავება არ უმჯობესდება, ან ისე არ უმჯობესდება, როგორც უნდა უმჯობესდებოდეს.

სოციალისტურმა კრიტიკამ დიდი ხანია მიაქცია ამას ყურადღება (მარქსი). ბ-ნი ჰერცი, ხოლო შემდეგ ჩვენში, რუსეთში, ბ. ბ. ბულგაკოვი, ჩერნოვი, სტრუვე მიუთითებდნენ, რომ მარქსის თეორია, რომელიც ლიბიხს ემყარება, მოძველდაო. «კრიტიკოსთა» ეს აზრი სავსებით შემცდარია. კაპიტალიზმმა მიწის ექსპლოატაციასა და მიწის განოყიერებას შორის წონასწორობა რომ დაარღვია, ეს უეჭველია (სოფლისაგან ქალაქის გამოცალკევების როლი). საკუთარი მონაცემები ბევრი მწერლისა, რომლებიც თანაუგრძნობენ არა მარქსისტულ თეორიას, არამედ მის «კრიტიკას», მათ წინააღმდეგ მეტყველებენ. მაგ., ნოსიგი (Nossig). მისი მონაცემების

მიხედვით, მიწის საწარმოო ძალების ანაზღაურება არ ხდება, მიწას არ უბრუნებენ იმას, რასაც მისგან იღებენ. საჭიროა ხელოვნური და საქონლის სასუქი. საჭიროა, რათა საშუალოდ ერთ ჰექტარ მიწაზე მოსახმარი 60 000 კილოგრამი სასუქიდან $^1/_3$ ბუნებრივი სასუქი იყოს, მაგრამ მიწათმოქმედების ახლანდელ სისტემას ამის მიცემა არ ძალუძს.

ამრიგად, კაპიტალიზმის გავლენა მიწათმოქმედებაში გამოვლინდება შემდეგით:

იგი მოითხოვს დაქირავებული მუშის თავისუფლებას და სპობს ძველი კაბალის ყველა ფორმას. მაგრამ დაქირავებული სასოფლო-სამეურნეო მუშები დაჩაგრული რჩებიან. ჩაგვრა გაძლიერდა და მეტ ბრძოლას მოითხოვს.

კაპიტალიზმმა უაღრესად გაადიდა ის ხარკი, რასაც მიწათმფლობელი იღებს, გაადიდა დიფერენციული და აბსოლუტური რენტა. გადიდებული რენტა დაბრკოლებას უქმნის მიწათმოქმედების შემდგომ ზრდას.

# თვითმპყრობელობა ირყევა...

თვითმპყრობელობა ირყევა. ამას თვითონ თვითმპყრობელი საჯაროდ აღიარებს ხალხის წინაშე. ასეთია უდიდესი მნიშვნელობა მეფის 26 თებერვლის მანიფესტისა, და ვერავითარი პირობითი ფრაზები, ვერავითარი შენიშვნები და მომიზეზებანი, რითაც სავსეა მანიფესტი, ვერ შესცვლიან გადადგმული ნაბიჯის ისტორიულ მნიშვნელობას.

მეფე იწყებს ძველებურად — ჯ ე რ კ ი დ ე ვ ძველებურად: «შეწევნითა ღვთისათა»... და ათავებს იმით, რომ ნახევრადლაჩრულად, ნახევრად-თვალთმაქცურად მიმართავს დახმარებისათვის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ნ დ ო ბ ი თ აღჭურვილ ადამიანებს. მეფე უკვე თვითონ გრძნობს, რომ სამუდამოდ მიდის ის დრო, როდესაც რუსეთში მთავრობას შეეძლო ღვთის შეწევნით არსებობა, რომ ამიერიდან რუსეთში ერთადერთი მტკიცე მთავრობა შეიძლება იყოს ხალხის ნ ე ბ ა ს უ რ ვ ი ლ ი თ შექმნილი მთავრობა.

მეფე ადასტურებს თავის საღმრთო აღთქმას, რომ დაიცავს რუსეთის სახელმწიფოს საუკუნეობრივ საფუძვლებს. სახაზინო ენიდან ჩვეულებრივ ენაზე გადმოთარგმნით ეს ნიშნავს: დაიცავს თვითმპყრობელობას. ოდესღაც ალექსანდრე III-ემ ეს განაცხადა უყოყმანოდ და აშკარად (1881 წლის 29 აპრილის მანიფესტში), — როდესაც რევოლუციური მოძრაობა ნელდებოდა და კლებულობდა. ახლა, როდესაც საბრძოლო ძახილი — «ძირს თვითმპყრობელობა» უფრო და უფრო ხმამაღლა და უფრო და უფრო მძლავრად გაისმის, ნიკოლოზ II ამჯობინებს თავისი განცხადება დაჰფაროს ლეღვის პატარა

ფოთლით და მორცხვად დაიმოწმოს თავისი დაუვიწყარი მშობელი. უაზრო და საზიზღარი ოინბაზობაა! საკითხი პირდაპირ არის დასმული და ქუჩაში გამოტანილი: თვითმპყრობელობის ყოფნა-არყოფნა. და ყოველგვარი აღთქმა «რეფორმებისა», — უკაცრავად პასუხია, «რეფორმებისა»! — რომელიც იწყება თვითმპყრობელობის დაცვის დაპირებით, აშკარა სიცრუეა, რუსი ხალხის აბუჩად აგდებაა. მაგრამ მთავრობის ხელისუფლების საყოველთაო სახალხო მხილებისთვის იმაზე საუკეთესო საბაბი არაა, როგორც თვით ამ ხელისუფლების მიმართვა მთელი ხალხისადმი თვალთმაქცური და ყალბი დაპირებებით.

მეფე ლაპარაკობს (კვლავ ლეღვის ფოთლით დაფარული) რევოლუციურ მოძრაობაზე, უჩივის იმას, რომ «არეულობა» ხელს უშლის მუშაობას ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, რომ იგი აღელვებს ადამიანებს, აცდენს ხალხს ნაყოფიერი შრომისაგან, ღუპავს მეფისათვის ესოდენ ძვირფას ძალებს, ღუპავს სამშობლოსათვის საჭირო ახალგაზრდა ძალებს. და აი, რ ა დ გ ა ნ ა ც რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი, რომელნიც იღუპებიან, ძვირფასნი არიან შეფისთვის, ა მ ი ტ ო მ მეფე იქვე იძლევა დაპირებას სასტიკად აღკვეთოს ყოველგვარი გადახვევა საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მსვლელობიდან, ე. ი. სასტიკად სდევნოს თავისუფალი სიტყვისთვის, მუშათა გაფიცვებისთვის, სახალხო დემონსტრაციებისთვის.

ეს საკმარისია. ეს საკმარისზე მეტია. იეზუიტური სიტყვა თავისთავად მეტყველებს. ჩვენ მხოლოდ გავბედავთ გამოვთქვათ რწმენა, რომ ეს «მეფის სიტყვა», მოედება რა რუსეთის ყველა კუნჭულსა და მივარდნილ ადგილს, ყველაზე საუცხოო აგიტაცია იქნება რევოლუციურ მოთხოვნათა სასარგებლოდ. ვისაც შერჩენია თუნდაც ნამცეცი პატიოსნება, მასში მეფის ამ სიტყვას შეუძლია ერთი პასუხი გამოიწვიოს: მ ო თ ხ ო ვ ნ ა იმისი, რომ აუცილებლად და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყ ვ ე ლ ა ნ ი, ვინც სასამართლოს წესით თუ გაუსამართლებლად, განაჩენის შემდეგ თუ განაჩენამდე, და-

პატიმრებული ან გადასახლებულია პოლიტიკური და სარწმუნოებრივი საქმეებისთვის, გაფიცვებისა და ხელისუფალთა მიმართ წინააღმდეგობის გაწევის საქმეებისთვის.

ჩვენ ვნახეთ, თუ რა ორპირად ლაპარაკობს მეფე. ახლა ვნახოთ, თუ რაზე ლაპარაკობს იგი.

უმთავრესად, სამ საგანზე. ჯერ ერთი, სარწმუნოებრივ შემწყნარებლობაზე. დადასტურებულ და განმტკიცებულ უნდა იქნას ჩვენი ძირითადი კანონები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ყველა სარწმუნოებრივი მოძღვრებისთვის სჯულის თავისუფლებას. მაგრამ მართლმადიდებელი სარწმუნოება გაბატონებული უნდა დარჩეს. მეორე, მეფე ლაპარაკობს სოფლის მდგომარეობის შესახებ კანონების გადასინჯვაზე, ამ გადასინჯვაში საზოგადოების ნდობით აღჭურვილ პირთა მონაწილეობაზე, ყველა ქვეშევრდომის ერთობლივ მუშაობაზე ოჯახის, სკოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივ საფუძველთა განსამტკიცებლად. მესამე, იმაზე, რომ გაადვილდეს გლეხების გამოსვლა მათი საზოგადოებიდან, განთავისუფლდნენ გლეხები შემავიწროებელი ურთიერთთავდებობისგან.

ნიკოლოზ II-ის სამ განცხადებაზე, დაპირებაზე, წინადადებაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატია უპასუხებს სამი მოთხოვნით, რომლებიც მან დიდი ხანია უკვე წამოაყენა, რომლებსაც იგი ყოველთვის იცავდა და ყველა ღონისძიებით ავრცელებდა და რომლებიც საჭიროა ახლა განსაკუთრებით სერიოზულად დადასტურდეს მეფის მანიფესტთან დაკავშირებით და მის საპასუხოდ.

ჯერ ერთი, ჩვენ მოვითხოვთ, რომ კანონით დაუყოვნებლივ და უსათუოდ აღიარებული იყოს კრებების თავისუფლება, პრესის თავისუფლება და ყველა «პოლიტიკოსის» და ყველა სექტანტის ამნისტია. ვიდრე ეს გაკეთებული არ არის, ყოველგვარი სიტყვები შემწყნარებლობაზე, სარწმუნოების თავისუფლებაზე დარჩება უბადრუკ თამაშად და უღირს სიცრუედ. ვიდრე გამოცხადებული არ არის კრებების, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, — მანამდე არ მოისპობა სამარც-

ხვინო რუსული ინკვიზიცია, რომელიც სდევნის არასახაზინო სარწმუნოების, არასახაზინო აზრების, არასახაზინო მოძღვრებათა აღიარებას. ძირს ცენზურა! ძირს პოლიციური და ჟანდარმული დაცვა «გაბატონებული» ეკლესიისა! ამ მოთხოვნებისთვის რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

მეორე, ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოწვეული იყოს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება, რომელიც უნდა აირჩიოს უკლებლივ ყველა მოქალაქემ და რომელმაც უნდა დააწესოს რუსეთში მართვა-გამგებლობის საარჩევნო ფორმა. კმარა ეს თამაში ადგილობრივ ადამიანთა თათბირებისა, გუბერნატორებთან მემამულეთა პარლამენტებისა, თავადაზნაურობის ბატონ წინამძღოლთა (იქნებ, დელეგატებისაც?) წარმომადგენლობითი გამგებლობისა! კმარა რაც ყოვლისშემძლე მოხელეობა თავს იქცევდა თამაშით ყოველგვარ ერობებთან, როგორც კატა თაგვთან, რომელსაც ხან უშვებს და ხან ეფერება თავისი ხავერდოვანი თათებით! სანამ მოწვეული არ იქნება დეპუტატთა საყოველთაო სახალხო კრება, — მანამდე სიცრუე და მარტოდმარტო სიცრუე იქნება ყოველგვარი სიტყვები საზოგადოებისადმი ნდობაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივ საფუძვლებზე. მანამდე არ შესუსტდება რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მესამე, ჩვენ მოვითხოვთ, რომ კანონმა დაუყოვნებლივ და აუცილებლად აღიაროს გლეხთა სრული თანასწორუფლებიანობა ყველა დანარჩენ წოდებასთან და მოწვეულ იქნას გ ლ ე ხ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ბატონყმობის ყველა ნაშთის მოსასპობად სოფლად, გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების სერიოზულ ღონისძიებათა მისაღებად.

ამიერიდან ერთი დღითაც არ შეიძლება ავიტანოთ უუფლებობა გლეხობისა, რომელიც რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედს შეადგენს. ამ უუფლებობას მტკივნეულად განიცდის მთელი მუშათა კლასიც და მთელი ჩვენი ქვეყანაც; ამ უუფლებობაზეა დამყარებული მთელი აზიურობა რუსეთის ცხოვ-

რებაში; ამ უუფლებობის მიზეზით კვალს არ სტოვებენ (ა ნ-
დ ა ვ ნ ე ბ ა ს ა ყ ე ნ ე ბ ე ნ გ ლ ე ხ ე ბ ს) ყველა და ყოველ-
გვარი თათბირები და კომისიები. მეფეს ახლაც სურს ფონს
გავიდეს მოხელეთა და თავადაზნაურთა წინანდელი «თათბი-
რებით», მეფე ლაპარაკობს კიდეც «ძლიერ ხელისუფლებაზე»
ადგილობრივ ადამიანთა შრომის ხელმძღვანელობის გასაწე-
ვად. გლეხებმა ერობის უფროსთა მაგალითით ძალიან კარგად
იციან, თუ რას ნიშნავს ეს «ძლიერი ხელისუფლება». გლეხებ-
მა თავადაზნაურულ კომიტეტთა კეთილმოწყალების შემდეგ
ტყუილად კი არ გამოიარეს გაჭირვების, სიღატაკისა და მუდ-
მივი შიმშილობის ორმოცი წელი. გლეხები ახლა მიხვდებიან,
რომ ყოველგვარი «რეფორმები» და გაუმჯობესებანი მოტ-
ყუებად დარჩება, ვიდრე ამას არ გაატარებენ თ ვ ი თ ო ნ ვ ე
გ ლ ე ხ ე ბ ი. გლეხები შეიგნებენ, — და ჩვენ დავეხმარებით
მათ შეიგნონ, — რომ მხოლოდ გ ლ ე ხ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ს
ძალუძთ ნამდვილად მოსპონ არა მარტო ურთიერთთავდებობ-
ბა, არამედ საბატონო შრომისა და ბატონყმობის ყველა და
ყოველგვარი ნაშთი, რომელიც თვით მეოცე საუკუნემდე
ათეული მილიონობით ხალხს სტანჯავს. ქალაქის მუშებისთვის
სავსებით საკმარისია კრებების თავისუფლება და პრესის თა-
ვისუფლება: ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ მოვახერხებთ ამ თავის-
უფლებათა გამოყენებას!! მაგრამ გლეხებისთვის, მიყრუებულ
კუთხეებში გაფანტული, დაბეჩავებული და გაგარეულებული
გლეხებისთვის ეს ცოტაა, — და მუშები უნდა დაეხმარონ მათ,
უნდა განუმარტონ, რომ ისინი აუცილებლად და გარდუვა-
ლად დარჩებიან საცოდავ მონებად, ვიდრე თვითონ თავიანთ
ხელში არ აიღებენ საკუთარ ბედიღბალს, ვიდრე არ მიაღწე-
ვენ, როგორც პირველსა და ძირითად ნაბიჯს, გ ლ ე ხ თ ა კ ო-
მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს დაარსებას გლეხობის ნამდვილი და არა
ყალბი განთავისუფლებისთვის.

გამოცდილ და ჭკუიან ადამიანებს დიდი ხანია შენიშნული
აქვთ, რომ მთავრობისთვის ყველაზე სახიფათო მომენტი რე-
ვოლუციურ ეპოქაში არის დათმობების დაწყება, მერყეობის
დაწყება. რუსეთის უკანასკნელი წლების პოლიტიკურმა

ცხოვრებამ ბრწყინვალედ დაადასტურა ეს. მთავრობამ მერყეობა გამოიჩინა მუშათა მოძრაობის საკითხში, როდესაც გზა მისცა ზუბატოვობას, — და ამით თავი შეირცხვინა, რითაც საუცხოო სამსახური გაუწია რევოლუციურ აგიტაციას. მთავრობას სურდა დათმობაზე წასულიყო სტუდენტთა საკითხში, — და თავი შეირცხვინა, ამით გოლიათური ნაბიჯებით წინ წასწია სტუდენტობის გარევოლუციურება. მთავრობა ახლა იმეორებს იმავე ფანდს ფართო მასშტაბით შინაური პოლიტიკის ყველა საკითხის მიმართ, — და იგი აუცილებლად თავს შეირცხვენს, აუცილებლად გააადვილებს, გააძლიერებს და განავითარებს რევოლუციურ შეტევას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ!

*

ჩვენ აუცილებლად უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთ პრაქტიკულ საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ მეფის 26 თებერვლის მანიფესტი აგიტაციისთვის. რუსეთის სოციალ-დემოკრატები უკვე დიდი ხანია იძლეოდნენ ამ პასუხს ბრძოლის საშუალებათა საკითხზე: ორგანიზაცია და აგიტაცია, — და მათ არ აღონებდათ იმ გულუბრყვილო ადამიანთა დაცინვა, რომელთაც ეს «გაურკვევლად» მიაჩნდათ და «გარკვეულ» საშუალებად მხოლოდ ტყვიის სროლას თვლიდნენ. და აი, ისეთ მომენტებში, როგორიც ამჟამად არის, როდესაც ჩვენს წინაშე უეცრად წამოჭრილია ასეთი მადლიანი საბაბი საყოველთაო სახალხო აგიტაციისთვის, საბაბი, რომელიც დაჟინებით მოითხოვს მთელი ძალღონის დაჭიმვას, — ასეთ წუთებში განსაკუთრებით საგრძნობია ეს ნაკლი, კვლავინდებურად ეს ნაკლი, ისევ და ისევ ეს ნაკლი: ორგანიზებულობის, აგიტაციის სწრაფად გაშლის ნაკლი.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ავინაზღაურებთ და არა ერთხელ ავინაზღაურებთ დაკარგულს!

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, 26 თებერვლის მანიფესტს უნდა ვუპასუხოთ საერთო-რუსეთის და ადგილობრივი ფურცლებით. თუ წინათ მთელ რუსეთში ფურცლები ათეული

ათასი ეგზემპლარობით გამოდიოდა, დაე ახლა გავრცელდეს მილიონი ეგზემპლარობით, რათა მთელმა ხალხმა გაიგოს რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის პასუხი მეფის მიმართვაზე ხალხისადმი, რათა ყველამ დაინახოს ჩვენი გარკვეული, პრაქტიკული მოთხოვნები ამ ავე თემაზე მეფის სიტყვასთან დაპირისპირებით.

შემდეგ. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ 26 თებერვლის მანიფესტს კეთილგანმზრახველ ერობელთა და თავადაზნაურთა, ვაჭართა და პროფესორთა და სხვათა და სხვათა მარტოოდენ ლეგალური კრებები მოწიწებული აღფრთოვანებით უპასუხებდნენ. საკმარისი არ არის ის პასუხიც, რომელსაც სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციები გასცემენ თავიანთ ფურცლებში. დაე თვითეულ წრეში, მუშათა თვითეულ კრებაზე შემუშავდეს საკუთარი პასუხი, ფორმალურად და საჯაროდ დადასტურდეს სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნები. დაე ამ მუშათა კრებების (და, თუ მოხერხდება, გლეხთა კრებებისაც) გადაწყვეტილებანი გამოქვეყნდეს ადგილობრივ ფურცლებში და ეცნობოს ჩვენს გაზეთებს. დაე ყველამ იცოდეს, რომ მხოლოდ თვით მუშათა და გლეხთა პასუხი მიგვაჩნია ჩვენ ხალხის პასუხად. დაე ყველა წრე ახლავე შეუდგეს იმის მზადებას, რომ ჩვენი ძირითადი მოთხოვნები ძალით დაიცვას.

შემდეგ, ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ მეფისადმი სამადლობელი მიმართვები ყოველგვარ კრებაზე მუშავდებოდეს წინააღმდეგობის გაუწევლად. კმარა რაც ჩვენებური ბატონი ლიბერალები აყალბებდნენ რუსი ხალხის აზრს! კმარა რაც ცრუობდნენ ისინი, როდესაც ამბობდნენ არა იმას, რასაც ფიქრობდნენ, ამბობდნენ არა იმას, რასაც ფიქრობს ხალხის მთელი მოაზროვნე და საბრძოლველად გამზადებული ნაწილი! უნდა ვცდილობდეთ შევიჭრათ მათს კრებებზე, განვაცხადოთ იქაც რაც შეიძლება ფართოდ, საჯაროდ და აშკარად ჩვენი აზრები, ჩვენი პროტესტი მონური მადლობის წინააღმდეგ, ჩვენი ნამდვილი პასუხი მეფისადმი, განვაცხადოთ ფურცლების გავრცელებითაც და, შეძლებისდაგვარად, საჯარო

სიტყვებითაც ყოველგვარ ასეთ კრებებზე (თუნდაც ბატონმა თავმჯდომარეებმა სცადონ ასეთი სიტყვების შეწყვეტა).

დასასრულ, ჩვენ უნდა ვეცადოთ მუშათა პასუხი გამოვიტანოთ ქუჩაშიც, განვაცხადოთ ჩვენი მოთხოვნები დემონსტრაციის გზით, აშკარად ვუჩვენოთ მუშათა რაოდენობა და ძალა, მათი შეგნებულობა და გამბედაობა. დაე მომავალი მაისობა, ჩვენი პროლეტარული მოთხოვნების საერთო განცხადებასთან ერთად, იყოს საგანგებო, სპეციალური, გარკვეული პასუხი 26 თებერვლის მანიფესტზე!

«ისკრა» № 35, 1903 წ. 1 მარტი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# ბ-ნი სტრუვე, მხილებული თავისი თანამშრომლის მიერ

«ოსვობოქდენიეს» მე-17 ნომერმა ბევრი რამ სასიამოვნო მოუტანა საერთოდ «ისკრას» და კერძოდ ამ სტრიქონების დამწერს. «ისკრას» იმიტომ, რომ მისთვის სასიამოვნო იყო დაენახა ბ-ნ სტრუვეს მარცხნივ წაწევის თავისი ცდის ერთგვარი შედეგი, სასიამოვნო იყო მოესმინა ბ-ნ ს—ს.-გან ორ-ჭოფობის მკაცრი კრიტიკა, სასიამოვნო იყო წაეკითხა «ოსვობოქდენიელების» განზრახვის ამბავი — შეჰქმნან «აშკარად და გადაჭრით კონსტიტუციური პარტია», რომლის პროგრამაშიაც მოთხოვნილი იქნება საყოველთაო საარჩევნო უფლება. ამ სტრიქონების დამწერს იმიტომ, რომ ბ-ნმა ს. ს.-მ, «რომელიც უაღრესად თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა» «ოსვობოქდენიე»-ს 1 №-ში მოთავსებული «რუს კონსტიტუციონალისტთა» განცხადების შემუშავებაში და რომელიც, მაშასადამე, უბრალო თანამშრომელი კი არა, არამედ ბ-ნ სტრუვეს ერთგვარი პ ა ტ რ ო ნ ი ა, მოულოდნელად დიდი სამსახური გაგვიწია პოლემიკაში ბ-ნ სტ რ უ ვ ე ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ-ნებას მივცემ ჩემს თავს ამ, მეორე, პუნქტით დავიწყო. «ზარიას» მე-2—3 №-ში მოთავსებულ სტატიაში «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» * მე ვეკამათებოდი

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 25—89. რ ე დ.

ბ-ნ რ. ნ. ს.-ს, ვიტეს ცნობილი ბარათის წინასიტყვაობის ავტორს. მე იქ ცხადვყავი ბ-ნ რ. ნ. ს.-ს მთელი პოზიციის ორჭოფობა. ავტორი ლაპარაკობდა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ჰანიბალის ფიცზე და ამავე დროს მოთაფლული სიტყვებით მიმართავდა ძალაუფლების მქონეთ, ბრძენ კონსერვატორებს, ამასთან აყენებდა «ფორმულას»: «უფლებანი და ძალაუფლებიანი ერობა» და სხვ. და სხვ. საზოგადოებამ ახლა «ბარათის» მეორე გამოცემიდან გაიგო, რომ ბ-ნი რ. ნ. ს. — ეს ბ-ნი სტრუვეა. ჩემი კრიტიკა ძალიან არ მოეწონა ბ-ნ სტრუვეს და იგი თავს დამატყდა ფრიად გრძელი და ფრიად ბრაზიანი «შენიშვნის შენიშვნით».

გავსინჯოთ ბ-ნ სტრუვეს საბუთები.

ჩემ «პოლემიკურ მშვენიერებათა» «უსაფუძვლობისა და უსამართლობის» პირველი მაგალითი ის არის, რომ მე ვლაპარაკობდი ბ-ნ სტრუვეს ანტიპათიაზე რევოლუციონერების მიმართ, მიუხედავად მისი «ვითომდა, სავსებით ნათელი განცხადებისა». მოვიყვანოთ ეს განცხადება მთლიანად. «ატესტატი, რომელიც ერობას თვით ბიუროკრატიამ მისცა, — წერდა ბ-ნი სტრუვე, — საუცხოო პასუხია ყველა იმათთვის, ვისაც პოლიტიკური განათლების ნაკლებობის გამო ანდა რევოლუციური ფრაზით გატაცების გამო არ სურდა და არა სურს დაინახოს რუსეთის ერობისა და მისი ლეგალური კულტურული მოღვაწეობის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა». ამ ტირადის შენიშვნაში ბ-ნი სტრუვე დასძენდა: «ამ სიტყვებით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვაწყენინოთ რევოლუციურ მოღვაწეებს, რომლებშიც არ შეიძლება არ დავაფასოთ უწინარეს ყოვლისა ზნეობრივი სიმამაცე თვითნებობასთან ბრძოლაში».

ასეთია უსაფუძვლო და უსამართლო კრიტიკის «საქმის დოკუმენტები». მკითხველს ვანდობთ განსაჯოს, ვინ არის მართალი: ის, ვინც ამ განცხადებას სავსებით ნათელ განცხადებად სთვლიდა, თუ ის, ვინც ამბობდა, რომ ბ-ნი სტრუვე ფერ-უმარილით ითხუპნებაო, როდესაც «გადაჰკრავს» რევოლუციონერებს (რ ო მ ლ ე ბ ს ა ც ზ უ ს ტ ა დ ა რ ა ს ა ხ ე-

ლ ე ბ ს) არა მარტო უმეცრების «ანონიმური» (არ ვიცით — ვის წინააღმდეგ მიმართული) ბრალდებით, არამედ იმ ვარაუდითაც, თითქოს შეიძლება აიძულო ისინი გადაყლაპონ უმეცრების ბრალდების აბი, თუკი მას შეავარაყებ მათი «ზნეობრივი სიმამაცის» აღიარებით.

მე კი, ჩემი მხრივ, მხოლოდ ამას ვიტყვი: გემოვნება სხვადასხვანაირია. მრავალ ლიბერალს უდიდეს ტაქტად და სიბრძნედ მიაჩნია სიმამაცის ატესტატები დაურიგოს რევოლუციონერებს, ამავე დროს კი დაჰგმოს მათი პროგრამა, როგორც მხოლოდ ფრაზა, როგორც არასაკმაო განათლების გამომჟღავნება, და ა რ ს ე ბ ი თ ა დ ა რ ც კ ი გ ა ა რ ჩ ი ო ს მათი შეხედულებანი. ჩვენი ფიქრით, ეს ტაქტი და სიბრძნე კი არ არის, არამედ უღირსი ოინბაზობაა. კაცია და გუნება. რუს ტიერებს, რა თქმა უნდა, მოსწონთ ნამდვილი ტიერების[83] ზრდილობიან-სალონური, პარლამენტურად უნაკლო ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი ფ რ ა ზ ე ბ ი.

გავყვეთ ქვემოთ. მე, თურმე ნუ იტყვით, «თავი განგებ ისე მეჭირა, თითქოს არ მესმოდეს, რომ ფორმულა «სრულიად-რუსეთის ძალაუფლებიანი ერობა» ნიშნავს კონსტიტუციის მოთხოვნას», და ჩემმა მსჯელობამ ამის შესახებ «ერთხელ კიდევ დაადასტურა (ბ-ნ სტრუვესთვის), რომ ნამდვილი რევოლუციური ფრაზა და ამასთანავე ღვარძლიან-ტენდენციური ფრაზა (ეს ულაზათო ლიტერატურული სტილი განსაკუთრებით ჰყვავის «ისკრისა» და «ზარიას» ფურცლებზე) ფართოდ გავრცელებულია ჩვენს საზღვარგარეთულ ლიტერატურაში», «ბარათის» მერრე გამოცემის გვ. XII. რაც შეეხება ღვარძლიან ტენდენციურობას, ძნელია ჩვენთვის ამის თაობაზე ბ-ნ სტრუვესთან დავა: მას საყვედურად ეჩვენება ის, რაც ჩვენ კომპლიმენტი გვგონია. ლიბერალები და ბევრი რადიკალი ტენდენციურობას უწოდებენ რწმენის ურყევ სიმტკიცეს, ხოლო შემცდარ შეხედულებათა მკაცრი კრიტიკა «ღვარძლიანობად» მიაჩნიათ. რას იზამ. **Mea culpa, mea**

**maxima culpa**! *, ვიყავ და ვიქნები «ღვარძლიან-ტენდენციური» ბ-ნ სტრუვეების მიმართ. მეორე ბრალდება კი არსებითია. საკითხავია: თავი განგებ ისე მეჭირა, თითქოს არ მესმოდა, ან ნამდვილად არ მესმოდა, თუ გაგებაც არ შეიძლებოდა?

მე ვამტკიცებდი, რომ ფორმულა «უფლებანი და ძალაუფლებიანი ერობა» უღირსი ლაქუცია რუს ლიბერალთა ფართო მასის პოლიტიკურ ცრურწმენებთან, რომ ეს «დროშა კი არ არის, რომელიც ხელს უწყობს მტრებისა და მოკავშირეების გარჩევას» (მხედველობაში მიიღეთ ეს!), არამედ «მჩვარია, რომელიც მხოლოდ ხელს შეუწყობს ყველაზე არასაიმედო ადამიანებს მიეტმასნონ მოძრაობას» («ზარიას» № 2 — 3, გვ. 95) **. ვეკითხები ყველას და თვითეულს: რა შუაშია აქ «თავის განგებ დაჭერა»?? მე პირდაპირ ვამბობ, რომ ამ დროშას მჩვრადა ვთვლი, მე კი მიპასუხებენ: თქვენ თავი განგებ ისე გიჭირავთ, თითქოს არ გესმოდეთო! ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა ახალი ოინი, რომ თავი დააძვრინო საკითხის არსებითად განხილვას, საკითხის გარჩევას: «ფორმულა» დროშისთვის უფრო გამოსადეგია, თუ მჩვრისთვის!

ეს ცოტაა. მე შემიძლია ახლა, ბ-ნ ს. ს.-ის თავაზიან დახმარების მეოხებით, ფაქტიურად გაცილებით უფრო მეტი რამ დავამტკიცო. მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ბ-ნ სტრუვეს მხრივ იყო «უღირსი ლაქუცი» არა მარტო ფილისტერული დოქტრინიორობის აზრით, რამდენადაც მას სურს გული მოულბოს მთავრობას თავისი მოკრძალებით, არა მარტო იმ უგუნური სურვილის აზრით, რომ გააერთიანოს «ლიბერალები» მინიმუმით, არამედ თ'ვითმპყრობელობის იმ მომხრეებთან აშკარა, უშუალო «ლაქუცის» აზრითაც, რომელნიც ბატონ სტრუვესთვის ცნობილნი არიან. ბ-ნი ს. ს. დაუნდობლად და საბოლოოდ ამხელს ბ-ნ სტრუვეს, როდესაც ამბობს, რომ

* — ჩემი დანაშაულია, ჩემი უდიდესი დანაშაულია! რედ.

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 82. რედ.

««საერო კრების» გაურკვეველი და ორაზროვანი (ყური დაუგდეთ!) სლავოფილური ლოზუნგი» წამოყენებულია ლიბერალ-კონსტიტუციონალისტთა და იდეალური თვითმპყრობელობის ლიბერალურ მომხრეთა «არანატურალური კავშირის» გაადვილებისათვის. ბ-ნი ს. ს. ამას «პოლიტიკურ ეკვილიბრისტიკას» უწოდებს, არც მეტი, არც ნაკლები!! და ბ-ნი სტრუვე ხელს აწერს ამის მიღებაზე..., როდესაც საერო კრების ლოზუნგს უწოდებს «გაურკვეველ და თავისი გაურკვევლობით ძვირფას (კურსივი ჩვენია!) და ამავე დროს სახიფათო ლოზუნგს».

ხომ კარგია? როდესაც სოციალ-დემოკრატი კიდევ უფრო ორაზროვან ლოზუნგს (ძალაუფლებიან ერობას) უწოდებდა უღირს ლაქუცს, — მაშინ ბ-ნი სტრუვე შეურაცხყოფილი უმანკოების სამოსით გვევლინებოდა და პრანჭვა-გრეხით ლაპარაკობდა თვალთმაქცურ გაუგებლობაზე. ხოლო როდესაც ლიბერალმა, ბ-მა ს. ს.-მ, იგივე გაიმეორა, — ბ-ნმა სტრუვემ თავაზიანად დაუკრა თავი და ხელი მოაწერა მიღებაზე! გაურკვეველი ლოზუნგი სწორედ თავისი გაურკვევლობით იყო ძვირფასი ბ-ნ სტრუვესთვის, რომელიც სრულიადაც არ თაკილობს აღიაროს, რომ იგი მზად არის სახიფათო ლოზუნგებიც წამოაყენოს იმისდა მიხედვით, თუ საიდან უბერავს ქარი. როცა ძლიერი და ავტორიტეტული მოეჩვენებათ ბ-ნი შიპოვი, მაშინ ლიბერალური ორგანოს რედაქტორიც ალაპარაკდება ძალაუფლებიან ერობაზე. როცა ძლიერი და ავტორიტეტული მოეჩვენებათ ბ-ნი ს. ს., — მაშინ ლიბერალური ორგანოს რედაქტორიც დაიწყებს ლაპარაკს კონსტიტუციაზე და საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე! რა კარგი სურათია ლიბერალური ბანაკის პოლიტიკური ზნეჩვეულებისა და პოლიტიკური ზნეობისა... ბ-ნ სტრუვეს მხოლოდ ავიწყდება იფიქროს იმაზე, თუ რა ფასი ექნება მის განცხადებებს ასეთი საუცხოო მეტამორფოზის შემდეგ: 1901 წლის იანვარში ბ-ნი სტრუვე მოითხოვს «უფლებებს და ძალაუფლებიან ერობას»; 1902 წლის დეკემბერში ბ-ნი სტრუვე «განგებ თავის დაჭერად» აცხადებს

იმის გაუგებლობას, რომ ეს კონსტიტუციის მოთხოვნას ნიშნავს; 1903 წლის თებერვალში ბ-ნი სტრუვე აცხადებს, რომ არსებითად იგი არასოდეს არ იყო დაეჭვებული საყოველთაო საარჩევნო უფლების სამართლიანობაში და რომ საერო კრების გაურკვეველი ლოზუნგი ძვირფასი იყო სწორედ თავისი გაურკვევლობით. იბადება კითხვა: რა უფლება აქვს ახლა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოღვაწეს, რუსეთის ამა თუ იმ მოქალაქეს ამტკიცოს, რომ ხვალ ბ-ნი სტრუვე არ წამოაყენებს ახალ, «თავისი გაურკვევლობით ძვირფას» ლოზუნგს??

გადავიდეთ ბ-ნ სტრუვეს პასუხის უკანასკნელ პუნქტზე. «განა რევოლუციური ფრაზა ან სრულიად უსიცოცხლო დოქტრინიორობა არ არის, — კითხულობს იგი, — ბ-ნ ტ. პ-ს[84] მსჯელობა ერობის, როგორც თვითმპყრობელობის განმტკიცების იარაღის, მნიშვნელობაზე?» ბ-ნი სტრუვე აქ ხედავს სლავოფილთა იდეების შეთვისებასაც, გორემიკინთან თანხმობასაც, მკვდარი დოქტრინის ჰერკულესის სვეტებსაც. ბ-ნ სტრუვეს სრულიად არ შესწევს უნარი გაიგოს რევოლუციური დამოკიდებულება იმ ნახევრადი რეფორმებისადმი, რომლებსაც ახდენენ რევოლუციის თავიდან ასაცდენად. ბ-ნ სტრუვეს ყოველივე მითითება ზემოდან რეფორმის მომხრეთა ორმაგ თამაშზე სლავოფილობა და რეაქციულობა ჰგონია, — სწორედ ისევე, როგორც ყველა ევროპელი ივ გიუოები რეაქციულობად ნათლავენ კერძო საკუთრების სოციალისტურ კრიტიკას! რა თქმა უნდა, გასაკვირველი არ არის, რომ ბ-ნმა სტრუვემ, როდესაც იგი რეფორმატორად იქცა, დაჰკარგა იმის უნარი, რომ გაიგოს რეფორმების ორმხრივი ხასიათი და ის, რომ მათ მნიშვნელობა აქვთ, როგორც იარაღს მმართველთა ბატონობის განსამტკიცებლად, რაც ხდება რეფორმათა ოქტროირების საფასურით. მაგრამ... იყო დრო, როდესაც ბ-ნ სტრუვეს ესმოდა ეს საოცრად ყალთაბანდური მექანიკა. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ის «ოდნავ მარქსისტი» იყო, და რაც ჩვენ მასთან ერთად ვებრძოდით ნაროდნიკებს განსვენებული «ნოვოე სლოვოს»[85] ფურცლებზე.

ამ ჟურნალის 1897 წლის ივლისის ნომერში ბ-ნი სტრუვე ნ. ვ. ვოდოვოზოვის შესახებ წერდა: «მახსოვს, 1890 წელს, როდესაც ახლად დაბრუნებული ვიყავი გერმანიაში საზაფხულო მოგზაურობიდან, რომელიც აღსავსე იყო ახალი და ძლიერი შთაბეჭდილებებით, — ქუჩაში ლაპარაკი ჩამოვარდა ვილჰელმ II-ის სოციალურ პოლიტიკაზე და რეფორმატულ გეგმებზე. ვოდოვოზოვი ამ რეფორმებს მნიშვნელობას აძლევდა და არ მეთანხმებოდა მე, რომლისთვისაც უკვე მაშინ (მით უმეტეს ახლა) საბოლოოდ უარყოფით იყო გადაწყვეტილი ეგრეთწოდებული «სოციალური მონარქიის» ფაქტისა და იდეის მნიშვნელობის საკითხი. ვოდოვოზოვი სოციალური რეფორმის ი დ ე ა ს იღებდა მის შემქმნელ რეალურ საზოგადოებრივ ძალთაგან განყენებულად. ამიტომ არის, რომ მისთვის კათოლიკური სოციალიზმი წარმოადგენს, უმთავრესად, თავისებურ იდეურ მოძრაობას სოციალური რეფორმის სასარგებლოდ და არა ევროპის ბურჟუაზიისა და ნაწილობრივ ევროპის ფეოდალიზმის ნამსხვრევთა დამცველი რეაქციის სპეციფიკურ ფორმას, მიმართულს მზარდი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ...». ხომ ხედავთ: დიდი ხნის წინათ, ახალგაზრდულ გატაცებათა ეპოქაში, ბ-ნ სტრუვეს ესმოდა, რომ რეფორმები შეიძლება წარმოადგენდნენ დამცველ რეაქციას, ე. ი. იმ გამაფრთხილებელ ღონისძიებას, რომელიც მმართველ კლასებს იცავს დაცემისაგან და მიმართულია რევოლუციური კლასის წინააღმდეგ, თუმცაღა აუმჯობესებს ამ კლასის მდგომარეობას. და ახლა მე ვეკითხები მკითხველს: ვინ-ღა არის მართალი? მე «რევოლუციური ფრაზა» ვთქვი, როდესაც ვამხილე რეფორმისტული ცალმხრიობა ბ-ნ სტრუვეს დამოკიდებულებაში ისეთი რეფორმისადმი, როგორიც ერობაა? თუ ბ-ნი სტრუვე დ ა ჭ კ ვ ი ა ნ დ ა და «საბოლოოდ» მოსცილდა (თითქოს საბოლოოდ) რევოლუციონერების პოზიციას, რომელსაც იგი ოდესღაც იცავდა? მე გავხდი სლავოფილებისა და გორემიკინის მომხრე, თუ ბ-ნ სტრუვეს მხოლოდ რამდენსამე წელს ეყო სოციალისტურ გერმანიაში მგზავრობიდან მიღებული «ძლიერი შთაბეჭდილებანი»??

დიახ, დიახ, სხვადასხვანაირია წარმოდგენანი შთაბეჭდილებათა ძ ა ლ ა ზ ე, რწმენის ძალაზე, რწმენის მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ რამდენად შეეთავსება პოლიტიკური ზნეობა და პოლიტიკური რწმენა თავისი გაურკვევლობით ძვირფასი ლოზუნგების წამოყენებას...

დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ბ-ნ სტრუვეს ზოგიერთი განცხადება, რომლებიც საგრძნობ «ბინდს აყენებენ» მის მარცხნივ მობრუნებისგან მიღებულ სასიამოვნო შთაბეჭდილებას. ბ-მა სტრუვემ წამოაყენა მარტო ერთი დემოკრატიული მოთხოვნა (ხმის საყოველთაო მიცემა) და უკვე იჩქარის ილაპარაკოს «ლიბერალურ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ პარტიაზე». ნაადრევი ხომ არ არის? განა უმჯობესი არ იქნებოდა, ჯ ე რ ზუსტად აღნიშნულიყო ყველა ის დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გარდაქმნა, რომელთაც უ ს ა თ უ ო დ მოითხოვს პარტია არა მარტო აგრარულ და მუშათა პროგრამაში, არამედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ პროგრამაშიც, და უკვე ამის შემდეგ მიეკრა იარლიყი, ამის შემდეგ განეცხადებინა ლიბერალთა «რანგიდან» ლიბერალურ დემოკრატთა რანგში დაწინაურების პრეტენზია? ხმის საყოველთაო მიცემა ხომ დემოკრატიზმის ის მ ი ნ ი მ უ მ ი ა, რასაც აღიარებს ზოგიერთი კონსერვატორიც კი, რომელნიც შეურიგდნენ (ევროპაში) საერთოდ არჩევნებს. ამ მინიმუმზე შორს კი ბ-ნი სტრუვე რატომღაც არ მიდის არც მე-17 და არც მე-18 ნომერში. შემდეგ, გაკვრით აღვნიშნავთ ბ-ნ სტრუვეს კურიოზულ შენიშვნას, რომ ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ სოციალიზმის პრობლემა სავსებით განზე უნდა დატოვოს «უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ სოციალიზმი ჯერჯერობით მართლაც მხოლოდ პრობლემაა». და არა იმიტომ, დიდად პატივცემულო ბ-ნო სტრუვე, რომ რუსი საზოგადოების «ლიბერალურ-დემოკრატიული» ელემენტები გამოხატავენ იმ კლასთა ინტერესებს, რომელნიც ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე ვ ე ბ ი ა ნ პროლეტარიატის სოციალისტურ მოთხოვნებს? ამას, ვიმეორებ, გაკვრით ვამბობ, რათა აღინიშნოს ბ-ნი ლიბერალების მიერ სოციალიზმის «უარყოფის» ახალი ხ ე რ ხ ე ბ ი. არსებითად კი, რა თქმა უნდა, ბ-ნი სტრუვე მართა-

ლია, რომ ლიბერალურ-«დემოკრატიული» პარტია სოციალისტური პარტია არ არის და მისთვის ურიგობა იქნებოდა ასეთად რომ მოეჩვენებინა თავი.

ახალი პარტიის ტაქტიკის შესახებ ბ-ნი სტრუვე ძალიან მიკიბ-მოკიბულად ლაპარაკობს. ეს ფრიად სამწუხაროა. უფრო მეტად სამწუხაროა, რომ იგი ისევ და ისევ იმეორებს და ხაზს უსვამს «ორსახოვანი ტაქტიკის» აუცილებლობას იმ გაგებით, რომ საჭიროა მოქმედების ლეგალური და არალეგალური ხერხები «მარჯვედ, მოქნილად და განუყრელად იყოს შეთავსებული». საუკეთესო შემთხვევაში ეს არის თავის დაძვრენა ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი მოქმედების ხერხთა საარსებო საკითხებისგან. ხოლო ეს საკითხი გადაუდებელია, რადგან მხოლოდ სისტემატური არალეგალური მოქმედება განსაზღვრავს საქმით პ ა რ ტ ი ი ს ფიზიონომიას. უარეს შემთხვევაში კი, ეს არის იმ ცბიერების გამეორება, რომლის საშუალებითაც თავის დაძვრენას ფიქრობდა ბ-ნი სტრუვე, როდესაც წერდა «უფლებებზე და ძალაუფლებიან ერობაზე», და არა აშკარად და გადაჭრით კონსტიტუციურ და «დემოკრატიულ» პარტიაზე. ყოველი არალეგალური პარტია არალეგალურ და ლეგალურ მოქმედებას ერთმანეთთან «ათავსებს» ი მ ა ზ რ ი თ, რომ იგი ეყრდნობა ადამიანთა მასებს, რომელნიც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ «ფარულ» მუშაობაში, რომ იგი მხარს უჭერს ლეგალურ პროტესტებს, სარგებლობს პროპაგანდის, ორგანიზაციისა და სხვა ლეგალური შესაძლებლობებით. ეს საყოველთაოდ ცნობილია; და ამას კი არ გულისხმობენ, როდესაც ლაპარაკობენ ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ტაქტიკაზე. გულისხმობენ ამ პარტიის მიერ ბ რ ძ ო ლ ი ს საბოლოო აღიარებას, ბრძოლის ხერხთა შემუშავებას, პარტიის წევრთა მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ს — არ დ ა ს ჯ ე რ დ ნ ე ნ ლეგალურ პროტესტებს, არამედ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი და ყ ო ვ ე ლ ი ვ ე დაუმორჩილონ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ინტერესებსა და მოთხოვნებს. თუ არ არის სისტემატური არალეგალური საქმიანობა და რევოლუციური ბრძოლა, მაშ არ არის პ ა რ ტ ი ა ც, რომელსაც შეეძლება ნამდვილად იყოს

კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ო ნ ი (რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ იყოს დემოკრატიული). და ბრძოლის საქმეს იმაზე მეტად არაფერი ვნებს, როგორც ის, რომ ერთმანეთში ა ო ნ ა ო რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი მუშაობა, რომელიც ემყარება ფართო მასას, იყენებს ფართო ორგანიზაციებს, ხელს უწყობს ლეგალურ მოღვაწეთა პოლიტიკურ აღზრდას, და მუშაობა, რომელიც ლეგალობის ფარგლებით ი ზ ღ უ დ ე ბ ა.

«ისკრა» № 37, 1903 წ. 1 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# სოფლის ღარიბებს

**ახლნა-განმარტება გლეხებისათვის, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს** [50]

**დაწერილია** 1903 **წ.** მარტში

**პირველად** დაიბეჭდა ცალკე **ბროშურად** 1903 **წ.** მაისს ჟენევაში, **გამოსცა** რუსეთის სოციალ-დემოკრატიის **საზღვარგარეთულმა** ლიგამ

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

РОССІЙСКАЯ СОЦІАЛЬДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РАБОЧАЯ ПАРТІЯ

*Пролетаріи всѣхъ странъ соединяйтесь!*

Н. ЛЕНИНЪ

# Къ деревенской бѣднотѣ.

Объясненіе для крестьянъ, чего хотятъ соціальдемократы.

Съ приложеніемъ
Проекта программы Россійской Соціальдемократической Рабочей Партіи.

Изданіе Загран. Лиги Русск. Революціонной Соціальдемократіи.

ЖЕНЕВА
Типографія Лиги. Route Caroline. 27.
1903

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა
«სოფლის ღარიბებს». — 1903 წ.
დაპატარავებული.

## 1. ქალაქის მუშათა ბრძოლა

ბევრ გლეხს, ალბათ, უკვე გაუგონია, რომ ქალაქებში მუშათა მღელვარება ხდება. ზოგიერთნი თვითონ ყოფილან სატახტო ქალაქებსა და ფაბრიკებში და უნახავთ იქაური «ბუნტები», როგორც მათ პოლიცია უწოდებს. ზოგნი იცნობენ მუშებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მღელვარებაში და გადასახლებულ იქნენ მთავრობის მიერ სოფლად. სხვებს ხელთ ჩავარდნიათ მუშათა ფურცლები და წიგნაკები მუშათა ბრძოლის შესახებ. ნაწილს პირდაპირ მოუსმენია ნავალ ადამიანთა ნაამბობი, თუ რა ხდება ქალაქებში.

წინათ მარტო სტუდენტები აჯანყდებოდნენ ხოლმე, ახლა კი ყველა დიდ ქალაქში ათასობით და ათიათასობით მუშები აღსდგნენ. უფრო ხშირად ისინი ებრძვიან თავიანთ მეპატრონეებს, მეფაბრიკეებს, კაპიტალისტებს. მუშები აწყობენ გაფიცვებს, ყველანი ერთბაშად სწყვეტენ მუშაობას ფაბრიკაში და მოითხოვენ ხელფასის მომატებას, მოითხოვენ, რომ ისინი ამუშაონ არა თერთმეტ, არა ათ საათს დღეში, არამედ მხოლოდ რვა საათს. მუშები მოითხოვენ აგრეთვე მუშა-კაცის ცხოვრების ყოველგვარ შემსუბუქებას სხვა მხრივაც. მათ უნდათ, რომ სახელოსნოები უკეთ იყოს მოწყობილი, მანქანები საგანგებო მოწყობილობით იყვნენ დაცული და არ ამახინჯებდნენ მომუშავეთ, მათს ბავშვებს შეეძლოთ სკოლებში სიარული, ავადმყოფთ რიგიან დახმარებას უწევდნენ საავადმყოფოებში, მუშათა ბინები წარმოადგენდნენ ადამიანთა სახლებს და არა ძაღლის ბუნაგებს.

პოლიცია ერევა მუშათა ბრძოლაში. პოლიცია იჭერს და ამწყვდევს მუშებს საპყრობილეში, გაუსამართლებლად ასახ-

ლებს სამშობლოში და ციმბირშიც კი. მთავრობა კანონით უკრძალავს მუშებს გაფიცვებს და კრებებს. მაგრამ მუშები იბრძვიან როგორც პოლიციის, ისე მთავრობის წინააღმდეგ. მუშები ამბობენ: კმარა, რაც ჩვენ, მილიონობით მუშახალხი, ქედმოხრილნი ვიყავით! გვეყო, რაც მდიდრებისთვის ვმუშაობდით და თვითონ კი მათხოვრებად ვრჩებოდით! კმარა, რაც ჩვენს თავს ვაძარცვინებდით! ჩვენ გვინდა შევერთდეთ კავშირებად, შევაერთოთ ყველა მუშა ერთ დიდ მუშათა კავშირად (მუშათა პ ა რ ტ ი ა დ) და ერთად მოვიპოვოთ უკეთესი ცხოვრება. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ საზოგადოების ახალ, უკეთეს მოწყობას: ამ ახალ, უკეთეს საზოგადოებაში არ უნდა იყვნენ არც მდიდრები და არც ღარიბები, ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა მუშაობაში. ერთი მუჭა მდიდრები კი არა, ყველა მშრომელი უნდა სარგებლობდეს საერთო შრომის ნაყოფით. მანქანები და სხვა გაუმჯობესებანი თითოოროლა ადამიანებს კი არ უნდა ამდიდრებდნენ მილიონობით და ათეული მილიონობით ხალხის ხარჯზე, არამედ ყველას უნდა უმსუბუქებდნენ შრომას. ამ ახალ, უკეთეს საზოგადოებას ეწოდება ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა. მის შესახებ მოძღვრებას ეწოდება ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი. მუშათა კავშირებს, რომელთა მიზანია ბრძოლა საზოგადოების ამ უკეთესი მოწყობისათვის, ეწოდებათ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს პ ა რ ტ ი ე ბ ი. ასეთი პარტიები აშკარად არსებობენ თითქმის ყველა ქვეყანაში (რუსეთისა და თურქეთის გარდა), და ჩვენმა მუშებმაც სოციალისტებთან ერთად, რომელნიც გამოსული არიან განათლებულ ადამიანთა წრიდან, მოაწყეს აგრეთვე ასეთი პარტია: რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა.

მთავრობა სდევნის მას, მაგრამ, ყოველგვარი აკრძალვის მიუხედავად, პარტია არსებობს ფარულად, სცემს თავის გაზეთებსა და წიგნაკებს და აწყობს ფარულ კავშირებს. და მუშები არა მარტო ფარულ კრებებს აწყობენ, არამედ ქუჩაშიც გამოდიან გროვად, აფრიალებენ დროშებს წარწერით: «გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს, გაუმარჯოს თავისუფ-

ლებას, გაუმარჯოს სოციალიზმს!» ამისათვის მთავრობა გააფთრებით სდევნის მუშებს. იგი ჯარსაც კი გზავნის იმისათვის, რომ მუშებს ტყვია დაუშინოს. რუსი ჯარისკაცები ხოცავდნენ რუს მუშებს იაროსლავლსა და პეტერბურგში, რიგაში, დონის როსტოვში, ზლატოუსტში.

მაგრამ მუშები არ ნებდებიან. ისინი განაგრძობენ ბრძოლას. ისინი ამბობენ: ვერავითარი დევნა, ვერც საპყრობილეები, ვერც გადასახლება, ვერც კატორღა, ვერც სიკვდილი ვერ შეგვაშინებს. ჩვენი საქმე სამართლიანია. ჩვენ ვიბრძვით ყველა იმათი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ვინც შრომობს. ჩვენ ვიბრძვით, რომ გავათავისუფლოთ ძალმომრეობისა, ჩაგვრისა და სიღატაკისაგან ათეული და ასეული მილიონობით ხალხი. მუშები უფრო და უფრო შეგნებულნი ხდებიან. სოციალ-დემოკრატების რიცხვი ყველა ქვეყანაში სწრაფად იზრდება. მიუხედავად ყველა დევნა-შევიწროებისა, ჩვენ გავიმარჯვებთ.

სოფლის ღარიბმა გლეხობამ ნათლად უნდა შეიგნოს, ვინ არიან ეს სოციალ-დემოკრატები, რა სურთ მათ, და როგორი მოქმედებაა საჭირო სოფლად, რომ დავეხმაროთ მათ ხალხისათვის ბედნიერების მოპოვებაში.

## 2. რა სურთ სოციალ-დემოკრატებს?

რუსეთის სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ უწინარეს ყოვლისა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს. ხოლო თავისუფლება მათ უნდათ რუსეთის ყველა მუშის ფართო, აშკარა გაერთიანების მიზნით საზოგადოების ახალი, უკეთესი სოციალისტური მოწყობისათვის საბრძოლველად.

რა არის პოლიტიკური თავისუფლება?

ამის გასაგებად გლეხმა ჯერ უნდა შეადაროს თავისი ახლანდელი თავისუფლება ბატონყმობას. ბატონყმობის დროს გლეხს არ შეეძლო ბატონის ნებადაურთველად ცოლი შეერთო. ახლა გლეხს უფლება აქვს შეირთოს ცოლი, და

ამისათვის არავითარი ნებართვა არ არის საჭირო. ბატონყმობის დროს გლეხს აუცილებლად უნდა ემუშავნა თავისი ბატონისათვის იმ დღეებში, რომლებსაც მოურავი დაუნიშნავდა. ახლა გლეხს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს, რომელ მეპატრონისათვის, რა დღეებში და რა ხელფასით იმუშავებს. ბატონყმობის დროს გლეხი ვერ გაბედავდა ბატონის ნებადაურთველად სოფლიდან სადმე წასულიყო. ახლა გლეხს თავისუფლად შეუძლია წავიდეს, სადაც სურს, თუ მას უშვებს საზოგადოება, თუ მას არა აქვს დარჩენილი გადასახადები, თუ მისცემენ პასპორტს, თუ სხვაგან გადასვლას არ დაუშლის გუბერნატორი ან ბოქაული. მაშასადამე, გლეხს ახლაც არა აქვს სრული თავისუფლება წავიდეს სადაც სურს, არა აქვს მიმოსვლის სრული თავისუფლება, გლეხი ჯერ კიდევ ნახევრადყმა არის. ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რატომ რჩება რუსი გლეხი ნახევრადყმად და როგორ უნდა დააღწიოს მან თავი ამ მდგომარეობას.

ბატონყმობის დროს გლეხს არ შეეძლო ქონება შეეძინა, არ შეეძლო მიწის ყიდვა, თუ ბატონის ნებართვა არ ჰქონდა. ახლა გლეხი თავისუფალია შეიძინოს ყოველგვარი ქონება (იმის სრული თავისუფლება, რომ საზოგადოებიდან გავიდეს, იმის სრული თავისუფლება, რომ მოიხმაროს მიწა როგორც მას სურს, გლეხს დღესაც არა აქვს). ბატონყმობის დროს მემამულეს შეეძლო გლეხი ფიზიკურად დაესაჯა. დღეს გლეხს ვერ დასჯის მისი მემამულე, თუმცა ფიზიკური სასჯელისაგან გლეხი დღესაც არ არის განთავისუფლებული.

აი ამ თავისუფლებას ეწოდება ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო თავისუფლება — თავისუფლება ოჯახურ საქმეებში, პირად საქმეებში, ქონებრივ საქმეებში. გლეხი და მუშა თავისუფალნი არიან (თუმცა არა სავსებით) მოაწყონ თავიანთი ოჯახური ცხოვრება, თავიანთი პირადი საქმეები, იყვნენ თავიანთი **შრომის** განმკარგულებელნი (აირჩიონ თავისთვის მეპატრონე), მოიხმარონ თავიანთი ქონება.

მაგრამ არც რუს მუშებს, არც მთელ რუს ხალხს დღემდე არა აქვთ თავისუფლება განაგონ თავისი ს ა ე რ თ ო-ს ა ხ ა ლ-

ხ ო საქმეები. ხალხი ერთიანად, მთლიანად კვლავ ისეთივე ყმა არის მოხელეებისა, როგორც გლეხები იყვნენ ყმები მემამულეებისა. რუს ხალხს არა აქვს უფლება აირჩიოს მოხელეები, არა აქვს უფლება იყოლიოს არჩეული კაცები, რომლებიც შეადგენდნენ კანონებს მთელი სახელმწიფოსათვის. რუს ხალხს იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ გამართოს კრებები ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ საქმეთა განსახილველად. მოხელეების ნებადაურთველად, რომლებიც ჩვენ დაგვიყენეს ჩვენი თანხმობის გარეშე, ისე როგორც ძველად ბატონი ნიშნავდა თავის მოურავს გლეხების დაუკითხავად, — ჩვენ იმის ნებაც კი არა გვაქვს, რომ დავბეჭდოთ გაზეთები და წიგნები, ნება არა გვაქვს, ვილაპარაკოთ ყველას წინაშე და ყველასათვის მთელი სახელმწიფოს საქმეებზე!

როგორც გლეხები იყვნენ მემამულეთა მონები, ისე რუსი ხალხი დღემდე რჩება მოხელეთა მონად. როგორც ბატონყმობის დროს გლეხებს არ ჰქონდათ სამოქალაქო თავისუფლება, ისე რუს ხალხს დღემდე არა აქვს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თავისუფლება. პოლიტიკური თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ხალხს ჰქონდეს თავისუფლება — იყოს თავისი საერთო-სახალხო და სახელმწიფოებრივი საქმეების განმკარგულებელი. პოლიტიკური თავისუფლება ნიშნავს ხალხის უფლებას — აირჩიოს თავისი ხმოსნები (დეპუტატები) სახელმწიფო სათათბიროში (პარლამენტში). მხოლოდ ეს, თვით ხალხის მიერ არჩეული სახელმწიფო სათათბირო (პარლამენტი) უნდა იხილავდეს და სცემდეს ყველა კანონს, აწესებდეს ყველა გადასახადსა და ხარკს. პოლიტიკური თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ხალხს უფლება ჰქონდეს თვითონ აირჩიოს თავისი მოხელეები, მოაწყოს ყოველგვარი კრება ყველა სახელმწიფოებრივ საქმეთა განსახილველად, გამოსცეს, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, წიგნები და გაზეთები თავისი სურვილის მიხედვით.

ევროპის ყველა დანარჩენმა ხალხმა უკვე დიდი ხანია მოიპოვა პოლიტიკური თავისუფლება. მარტო თურქეთსა და რუსეთში იმყოფება ხალხი ხონთქრის მთავრობისა და მეფის

თვითმპყრობელი მთავრობის პოლიტიკურ მონობაში. მეფის თვითმპყრობელობა ნიშნავს მეფის განუსაზღვრელ ძალაუფლებას. ხალხი არავითარ მონაწილეობას არ იღებს სახელმწიფოს მოწყობაში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ყველა კანონს გამოსცემს და ყველა მოხელეს ნიშნავს მხოლოდ მეფე, თავისი ერთპიროვნული, განუსაზღვრელი, თვითმპყრობელური ძალაუფლებით. მაგრამ მეფეს, რა თქმა უნდა, არცკი შეუძლია იცოდეს რუსეთის ყველა კანონი და იცნობდეს რუსეთის ყველა მოხელეს. მეფეს ისიც კი არ შეუძლია იცოდეს, თუ რა ხდება სახელმწიფოში. მეფე მხოლოდ ამტკიცებს რამდენიმე ათეული ყველაზე დიდი და ყველაზე წარჩინებული მოხელის ნება-სურვილს. ერთი კაცი, რაც უნდა სურვილი ჰქონდეს, ვერ შესძლებდა ისეთი ვეებერთელა სახელმწიფოს მართვას, როგორც რუსეთია. რუსეთს განაგებს არა მეფე, — ერთი კაცის თვითმპყრობელობაზე მხოლოდ ლაპარაკი შეიძლება! — რუსეთს განაგებს ყველაზე მდიდარ და წარჩინებულ მოხელეთა მცირე გროვა. მეფე იტყობს მხოლოდ იმას, რაც ამ გროვას მოეპრიანება, რომ აცნობოს მას. მეფეს არავითარი საშუალება არა აქვს წავიდეს ამ ერთ მუჭა წარჩინებულ თავად-აზნაურთა ნება-სურვილის წინააღმდეგ: მეფე თვითონ არის მემამულე და თავადი; ბავშვობიდანვე ის მხოლოდ ასეთ წარჩინებულ ხალხში ცხოვრობდა; ისინივე ზრდიდნენ და ასწავლიდნენ მას; მთელი რუსი ხალხის შესახებ მან იცის მხოლოდ ის, რაც იციან ამ წარჩინებულმა თავად-აზნაურებმა, მდიდარმა მემამულეებმა და ზოგიერთმა ყველაზე მდიდარმა ვაჭარმა, რომელთაც მეფის კარზე მიესვლებათ.

ყოველ ვოლოსტის სამმართველოში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ასეთი სურათი: სურათზე წარმოდგენილია მეფე (ალექსანდრე III, ახლანდელი მეფის მამა). მეფე ელაპარაკება ვოლოსტების მამასახლისებს, რომლებიც ჩამოსულან მის დაგვირგვინებაზე დასასწრებლად. მეფე უბრძანებს მათ: «გაუგონეთ თქვენს თავადაზნაურობის წინამძღოლებს»! ამასვე იმეორებდა ახლანდელი მეფეც, ნიკოლოზ II.

მაშასადამე, მეფეები თვითონვე აღიარებენ, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მათ არ შეუძლიათ სხვანაირად, თუ არა თავად-აზნაურთა დახმარებით, თავად-აზნაურთა საშუალებით. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს მეფის ეს სიტყვები, გლეხები თავად-აზნაურებს უნდა ემორჩილებოდნენო. ნათლად უნდა გვესმოდეს, თუ რა სიცრუეს ეუბნებიან ხალხს ის ადამიანები, ვინც ცდილობს მეფის მართვა-გამგეობა მოგვაჩვენოს საუკეთესო მართვა-გამგეობად. სხვა ქვეყნებშიო, — ამბობენ ეს ადამიანები, — მმართველობა არჩევითია; იქ ირჩევენ მდიდრებს, ხოლო მდიდრები უსამართლოდ განაგებენ, ღარიბებს ავიწროებენ. რუსეთში კი მმართველობა არჩევითი არაა; ყველაფერს განაგებს თვითმპყრობელი მეფე. მეფე ყველაზე მაღლაა, როგორც ღარიბებზე, ისე მდიდრებზე. მეფე ყველას მიმართ, როგორც ღარიბების, ისე მდიდრების მიმართ ერთნაირად სამართლიანიაო.

ასეთი სიტყვები მხოლოდ თვალთმაქცობაა. ყოველმა რუსმა იცის, როგორია ჩვენი მართვა-გამგეობის სამართლიანობა. ყველამ იცის, შეუძლია თუ არა ჩვენში უბრალო მუშას ან მოჯამაგირე-გლეხს მოხვდეს სახელმწიფო საბჭოში. ევროპის ყველა სხვა ქვეყანაში კი სახელმწიფო სათათბიროებში (პარლამენტებში) ხვდებოდნენ როგორც ფაბრიკის მუშები, ისე კავით მომუშავე მოჯამაგირენი: და ისინი თავისუფლად ლაპარაკობდნენ მთელი ხალხის წინაშე მუშების გაჭირვებულ მდგომარეობაზე, მოუწოდებდნენ მუშებს გაერთიანებისაკენ და უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლისაკენ. და ვერავინ ბედავდა ხალხის არჩეული პირებისათვის ასეთი სიტყვები შეეწყვეტინებინა, ვერც ერთი პოლიციელი ვერ ბედავდა მათთვის ხელი ეხლო.

რუსეთში არ არის არჩევითი მმართველობა, განაგებენ არა მარტოოდენ მდიდრები და წარჩინებულნი, არამედ ყველაზე უარესნი მათ შორის. განაგებენ ისინი, ვინც მეფის კარზე უკეთ ენატანიობს, ვინც უფრო მოხერხებულად გამოსდებს სხვას სარმას, ვინც ცრუობს და ცილს სწამებს სხვებს მეფის წინაშე, ვინც პირმოთნეობს და მლიქვნელობს. განაგებენ

მალულად, ხალხმა არ იცის და არც შეუძლია იცოდეს, რა კანონები მზადდება, რა ომებს აპირებენ, რა ახალი გადასახადები უნდა შემოიღონ, რომელ მოხელეებს და რისთვის აჯილდოებენ, ვის ითხოვენ სამსახურიდან. არც ერთ ქვეყანაში არ არის იმდენი მოხელე, რამდენიც რუსეთში. და ეს მოხელეები დგანან ხმის უფლებას მოკლებული ხალხის თავზე, როგორც ბნელი ტყე, — უბრალო მუშა-კაცი ვერასოდეს ვერ გაატანს ამ ტყეში, ვერასოდეს ვერ იპოვნის სიმართლეს. ვერც ერთი საჩივარი მოხელეებზე ქრთამებისა, ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობის გამო სინათლეს ვერ ეღირსება: ყოველ საჩივარს აქარწყლებს საქმის ჩინოვნიკური გაჭიანურება. ცალკე ადამიანის ხმა ვერასოდეს ვერ სწვდება მთელ ხალხს, არამედ იკარგება ამ უღრან ტყეში, იხშობა პოლიციის საკნებში. მოხელეთა არმიამ, რომელიც ხალხს არ აურჩევია და ვალდებული არ არის ხალხს ანგარიში მისცეს, გააბა ობობას ხშირი ქსელი, და ამ ქსელში ადამიანები ბუზებივით ფართხალებენ.

მეფის თვითმპყრობელობა მოხელეთა თვითმპყრობელობაა. მეფის თვითმპყრობელობა არის ხალხის ბატონყმური დამოკიდებულება მოხელეებისაგან და ყველაზე მეტად პოლიციისაგან. მეფის თვითმპყრობელობა პოლიციის თვითმპყრობელობაა.

აი რატომ გამოდიან მუშები ქუჩაში და თავის დროშებზე წერენ: «ძირს თვითმპყრობელობა!», «გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!» აი რატომ უნდა დაუჭირონ მხარი, რატომ უნდა გამოეხმაურონ ქალაქის მუშების ამ საბრძოლო ძახილს სოფლის ათეულიმილიონობით ღარიბი გლეხებიც. სოფლის მუშებმა და ხელმოკლე გლეხებმა, რომელთაც არ უნდა შეეშინდეთ დევნა-შევიწროებისა, მტრის არავითარი მუქარისა და ძალმომრეობისა და რომელთაც პირველმა მარცხმა გული არ უნდა გაუტეხოს, ქალაქის მუშათა მსგავსად გადამჭრელი ბრძოლა უნდა დაიწყონ მთელი რუსი ხალხის თავისუფლებისათვის და მოითხოვონ უწინარეს ყოვლისა ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა. დაე

ხალხმა მთელ რუსეთში თვითონ აირჩიოს თავისი ხმოსნები (დეპუტატები). დაე ამ ხმოსნებმა შეადგინონ უმაღლესი კრება, რომელიც დააწესებს რუსეთში არჩევითს გამგებლობას, გაათავისუფლებს ხალხს მოხელეებისა და პოლიციის წინაშე ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, უზრუნველჰყოფს ხალხისთვის თავისუფალი კრებების, თავისუფალი სიტყვისა და თავისუფალი პრესის უფლებას!

აი რა სურთ უწინარეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატებს. აი რას ნიშნავს მათი პირველი მოთხოვნა: პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ა.

ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკური თავისუფლება, სახელმწიფო სათათბიროს (პარლამენტის) არჩევის თავისუფლება, კრებების თავისუფლება, პრესის თავისუფლება ერთბაშად კიდევ ვერ იხსნის მშრომელ ხალხს სიღატაკისა და ჩაგვრისაგან. ქვეყნად არც არის ისეთი საშუალება, რომ ერთბაშად იხსნას ქალაქისა და სოფლის ღარიბნი მდიდრებისათვის მუშაობისაგან. მუშა-ხალხს არ შეუძლია ვინმეს დაენდოს, არ შეუძლია ვინმეს იმედი ჰქონდეს, გ ა რ დ ა მ ხ ო ლ ო დ თ ა ვ ი ს ი თ ა ვ ი ს ა. მუშა-კაცს არავინ გაათავისუფლებს სიღატაკისაგან, თ უ ი ს თ ა ვ ი ს თ ა ვ ს თ ვ ი თ ო ნ ა რ გ ა ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ს. ხოლო თავი რომ გაითავისუფლონ, მუშები უნდა გაერთიანდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში, მთელ რუსეთში, ერთ კავშირად, ერთ პარტიად. მაგრამ მილიონობით მუშებს არ ძალუძთ ერთად გაერთიანდნენ, თუ თვითმპყრობელი პოლიციური მთავრობა უკრძალავს მათ ყოველგვარ კრებებს, მუშათა ყოველგვარ გაზეთებს, მუშათა დეპუტატების ყოველგვარ არჩევნებს. გაერთიანებისათვის საჭიროა გვქონდეს ყოველგვარი კავშირების მოწყობის უფლება, საჭიროა გვქონდეს კავშირების თავისუფლება, საჭიროა გვქონდეს პოლიტიკური თავისუფლება.

პოლიტიკური თავისუფლება ერთბაშად ვერ იხსნის მუშა-ხალხს სიღატაკისაგან, მ ა გ რ ა მ ი გ ი მ ი ს ც ე მ ს მ უ შ ე ბ ს ი ა რ ა ღ ს ს ი ღ ა ტ ა კ ე ს თ ა ნ ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ. არ არის სხვა საშუალება და არც შეიძლება იყოს სხვა

საშუალება სიღატაკის წინააღმდეგ საბრძოლველად, გარდა თვით მუშათა შეერთებისა. შეუძლებელია მილიონობით ხალხის შეერთება, თუ არ არის პოლიტიკური თავისუფლება.

ევროპის ყველა ქვეყანაში, სადაც ხალხმა პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვა, მუშებმა დიდი ხანია კიდეც დაიწყეს შეკავშირება. ისეთ მუშებს, რომლებსაც არა აქვთ არც მიწა, არც სახელოსნოები და რომლებიც მთელს თავის სიცოცხლეს დაქირავებით მუშაობენ სხვებთან, — ასეთ მუშებს მთელ ევროპაში უწოდებენ პროლეტარებს. ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც გაისმა მოწოდება მუშა-ხალხის გაერთიანებისა. «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!» — ამ სიტყვებმა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიო მოიარეს, ამ სიტყვებს იმეორებენ მუშათა ათეულ და ასეულ ათას კრებებზე, ამ სიტყვებს თქვენ წაიკითხავთ მილიონ სოციალ-დემოკრატიულ წიგნაკსა და გაზეთებში ყველა და ყოველგვარ ენაზე.

რა თქმა უნდა, მილიონობით მუშების გაერთიანება ერთ კავშირად, ერთ პარტიად — ძალიან და ძალიან ძნელი საქმეა, რომელიც მოითხოვს დროს, დაჟინებას, შეუპოვრობას და სიმამაცეს. მუშები დაძაბუნებულნი არიან გაჭირვებისა და სიღატაკისაგან. ისინი დაჩლუნგებულნი არიან კაპიტალისტებისა და მემამულეთა სასარგებლოდ მუდმივი საკატორღო მუშაობით. მუშებს ხშირად იმის დროც აღარა აქვთ იფიქრონ იმაზე, თუ რატომ ხდება, რომ ისინი მუდამ ღატაკებად რჩებიან, როგორ უნდა დააღწიონ თავი ამას. მუშების შეკავშირებას ყოველნაირად ხელს უშლიან: ან პირდაპირი და მხეცური ძალმომრეობით ისეთ ქვეყნებში, როგორც რუსეთია, სადაც არ არის პოლიტიკური თავისუფლება, — ან იმით, რომ სამუშაოდ აყვანაზე უარს ეუბნებიან იმ მუშებს, რომლებიც ქადაგებენ სოციალიზმის მოძღვრებას, — ან, ბოლოს, მოტყუებითა და მოსყიდვით. მაგრამ ვერავითარი ძალმომრეობა, ვერავითარი დევნა ვერ აჩერებს მუშა-პროლეტარებს, რომლებიც იბრძვიან სიღატაკისა და ჩაგვრისაგან

მთელი მუშა-ხალხის განთავისუფლების დიადი საქმისათვის. სოციალ-დემოკრატი მუშების რიცხვი მუდმივად იზრდება. აი მეზობელ სახელმწიფოში, გერმანიაში, არჩევითი მართვა-გამგეობაა. წინათ გერმანიაშიც მეფის განუსაზღვრელი თვითმპყრობელური მართვა-გამგეობა იყო. მაგრამ გერმანელმა ხალხმა უკვე დიდი ხანია, ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც დაამხო თვითმპყრობელობა და ძალით მოიპოვა პოლიტიკური თავისუფლება. გერმანიაში კანონებს სცემს მოხელეთა არა მცირე ჯგუფი, როგორც რუსეთში, არამედ ხ ა ლ ხ ი ს მ ი ე რ ა რ ჩ ე უ ლ თ ა კ რ ე ბ ა, პარლამენტი, ანუ ს ა ი მ პ ე რ ი ო ს ე ი მ ი, როგორც მას გერმანელები უწოდებენ. ამ სეიმის დეპუტატებს ირჩევს ყველა მოზრდილი მამაკაცი. ამიტომ შეიძლება დაითვალოს, რამდენი ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატებს. 1887 წელს ყველა ხმის ე რ თ ი მ ე ა თ ე დ ი სოციალ-დემოკრატებს მისცეს. 1898 წელს (როდესაც მოხდა გერმანიის საიმპერიო სეიმის უკანასკნელი არჩევნები) სოციალ-დემოკრატებისათვის მიცემული ხმები გ ა ი ზ ა რ დ ა თ ი თ ქ მ ი ს ს ა მ ჯ ე რ. სოციალ-დემოკრატებს მისცეს ყველა ხმის უკვე მ ე ო თ ხ ე დ ზ ე მ ე ტ ი. ო რ მ ი ლ ი ო ნ ზ ე მ ე ტ მ ა მოზრდილმა მამაკაცმა სოციალ-დემოკრატი დეპუტატები აირჩია პარლამენტისათვის. სოფლის მუშათა შორის გერმანიაში სოციალიზმი ჯერ კიდევ ნაკლებად არის გავრცელებული, მაგრამ ის ახლა იქ განსაკუთრებით სწრაფად მიდის წინ. და როცა მოჯამაგირეების, დღიური მუშებისა და ღარიბი, გაღატაკებული გლეხობის მასა შეუერთდება თავის ქალაქელ ძმებს, — გერმანელი მუშები გაიმარჯვებენ და შემოიღებენ ისეთ წესებს, რომელთა დროს აღარ იქნება მშრომელთა სიღატაკე და ჩაგვრა.

როგორ სურთ მუშა სოციალ-დემოკრატებს ხალხის ხსნა სიღატაკისაგან?

ეს რომ ვიცოდეთ, საჭიროა ნათლად შევიგნოთ, თუ საიდან წარმოსდგება ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილების დროს ხალხის უდიდესი მასების სიღატაკე. იზრდება მდიდარი ქალაქები, აშენებენ საუცხოო მაღაზიებსა და სახლებს,

გაჰყავთ რკინიგზები, შემოაქვთ ყოველგვარი მანქანები და გაუმჯობესებანი მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც, — მილიონობით ხალხი კი მაინც ვერ გამოდის სიღატაკიდან და მთელ თავის სიცოცხლეში განაგრძობს მუშაობას მარტო ოჯახის შესანახად. ეს კიდევ ცოტაა: უფრო და უფრო იზრდება უმუშევართა რიცხვი. როგორც სოფლად, ისე ქალაქად უფრო და უფრო იზრდება ისეთი ადამიანების რიცხვი, რომელნიც სრულიად ვერ შოულობენ ვერავითარ სამუშაოს. სოფლად ისინი შიმშილობენ, ქალაქად ამრავლებენ შიშველ-ტიტველთა და მაწანწალათა რიგებს, შეკუნჭულნი არიან, როგორც მხეცები, გარეუბნების მიწურებში ან ისეთ საშინელ ჯურღმულებსა და სარდაფებში, როგორიცაა ხიტროვოს ბაზარი მოსკოვში.

როგორ ხდება ეს? სიმდიდრე და ფუფუნება სულ უფრო და უფრო იზრდება, ის მილიონები და მილიონები კი, რომლებიც თავისი შრომით ჰქმნიან ყველა სიმდიდრეს, მაინც სიღარიბესა და სიღატაკეში რჩებიან? გლეხები შიმშილით იხოცებიან, მუშები უმუშევრად დახეტიალობენ, — ხოლო რუსეთიდან ვაჭრებს საზღვარგარეთ გააქვთ მილიონობით ფუთი პური; ფაბრიკები და ქარხნები გაჩერებული არიან, იმიტომ რომ არ იციან რა უყონ საქონელს, სად გაასაღონ ის?

ეს ხდება, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ უამრავი მიწა, აგრეთვე ფაბრიკები, ქარხნები, სახელოსნოები, მანქანები, შენობები, გემები — შეადგენენ მდიდართა მცირე რიცხვის საკუთრებას. ამ მიწებზე, ამ ფაბრიკებსა და სახელოსნოებში მუშაობს ათეულმილიონობით ხალხი, — ისინი კი ეკუთვნიან რამდენიმე ათას ან რამდენიმე ათეულ ათას მდიდარს, მემამულეს, ვაჭარსა და მეფაბრიკეს. ამ მდიდრებისათვის მუშაობს ხალხი დაქირავებით, ხელფასისათვის, ლუკმა პურისათვის. ყველაფერი, შექმნილი იმის გადამეტებით, რაც მუშების მათხოვრული შენახვისათვის არის საჭირო, ყველაფერი ეს მიდის მდიდრების ჯიბეში, ყოველივე ეს შეადგენს მათს მოგებას, მათს «შემოსავალს». მთელი სარგებლობა, რასაც იძლევიან მანქანები და გაუმჯობესებანი

მუშაობაში, მიდის მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა ჯიბეში: ისინი აგროვებენ მილიონობით სიმდიდრეს; მუშა-ხალხს კი ამ სიმდიდრიდან ხვდება მხოლოდ უმნიშვნელო ნამცეცები. მუშა-ხალხი ერთდება სამუშაოდ: მსხვილ მამულებში და დიდ ფაბრიკებში მუშაობს რამდენიმე ასი, ხანდახან რამდენიმე ათასი მუშაც. შრომის ასეთი შეერთებით, სხვადასხვა მანქანის გამოყენებისას, მუშაობა უფრო წარმატებით მიმდინარეობს: ერთი მუშა გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე წინათ აკეთებდა ათობით მუშა, რომლებიც ცალ-ცალკე მუშაობდნენ და რომლებსაც არავითარი მანქანა არა ჰქონდათ. მაგრამ შრომის ამ წარმატებულობით, ნაყოფიერებით სარგებლობს არა ყველა მშრომელი, არამედ მხოლოდ მსხვილ მიწათმფლობელთა, ვაჭართა და მეფაბრიკეთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვი.

ხშირად გაიგონებთ, მემამულეები და ვაჭრები «ა ძ ლ ე ვ ე ნ სამუშაოს» ხალხს, «აძლევენ» სარჩოს ღარიბებსო. მაგალითად, ამბობენ, ადგილობრივ გლეხებს «ჰ კ ვ ე ბ ა ვ ს» მეზობელი ფაბრიკა ან მეზობელი ეკონომიაო. ნამდვილად კი მუშები თავისი შრომით ჰ კ ვ ე ბ ა ვ ე ნ თავის თავსაც და ყველა იმასაც, ვინც თვითონ არ მუშაობს. მ ა გ რ ა მ იმისათვის, რომ მემამულის მიწაზე, ფაბრიკაში ან რკინიგზაზე მუშაობის ნ ე ბ ა რ თ ვ ა მ ი ი ღ ო ს, მუშა მ უ ქ თ ა დ ა ძ ლ ე ვ ს მესაკუთრეს ყველაფერს, რასაც ჰქმნის, თვითონ კი ღებულობს მხოლოდ მცირე სარჩოს. მაშასადამე, ნამდვილად, მემამულეები და ვაჭრები კი არ აძლევენ მუშებს სამუშაოს, არამედ მუშები თავიანთი მუშაობით არჩენენ ყველას და მუქთად აძლევენ მათ თავისი შრომის მეტ ნაწილს.

შემდეგ. ყველა თანამედროვე სახელმწიფოში ხალხის სიღატაკე იქიდან წარმოსდგება, რომ მუშა-ხალხი ყველა საგანს გასაყიდად, ბაზრისათვის ამზადებს. მეფაბრიკე და ხელოსანი, მემამულე და შეძლებული გლეხი ამზადებენ ამა თუ იმ ნაწარმს, ზრდიან პირუტყვს, სთესენ და იღებენ პურს გ ა ს ა ყ ი დ ა დ, ფ უ ლ ი ს ასაღებად. ფული ახლა ყველგან მთავარი ძალა შეიქმნა. ფულზე ხდება ადამიანის შრომის

ყველა და ყოველგვარი პროდუქტის გაცვლა. ფულით იყიდი ყველაფერს, რაც გინდა. ფულით თვით ადამიანის ყიდვაც შეიძლება, ე. ი. შეიძლება უქონელი ადამიანი აიძულო იმუშაოს მისთვის, ვისაც ფული აქვს. წინათ მთავარი ძალა მიწა იყო, — ასე იყო ბატონყმობის დროს; ვისაც მიწა ჰქონდა, მის ხელში იყო ძალაც და ძალაუფლებაც. ახლა კი მთავარი ძალა შეიქნა ფული, კაპიტალი. ფულით შეიძლება რამდენიც გნებავთ მიწა შეიძინოთ. თუ ფული არა გაქვთ, მიწითაც ბევრს ვერაფერს გახდებით: ვერ შეიძენთ გუთანს ან სხვა იარაღს, პირუტყვს, ტანსაცმელს და ქალაქის ყოველნაირ სხვა საქონელს, რომ არაფერი ვთქვათ გადასახადების გასტუმრებაზე. ფულისათვის იყო, რომ თითქმის ყველა მემამულემ დააგირავა ბანკში თავისი მამული. მთავრობა ფულის საშოვნელად სესხს იღებს მდიდრებისა და ბანკირებისაგან მთელს დედამიწაზე და ყოველწლიურად იხდის ასეულ მილიონობით მანეთს ამ სესხის პროცენტებად.

ფულისათვის დღეს ყველანი სასტიკად ეომებიან ერთიმეორეს. ყველა ცდილობს უფრო იაფად იყიდოს და უფრო ძვირად გაჰყიდოს, ყველა ცდილობს მეორეს გაასწროს, გააღოს რაც შეიძლება მეტი საქონელი, დასცეს ფასი, დაუმალოს მეორეს გასაღების ხელსაყრელი ადგილი ან საქონლის ხელსაყრელად მიწოდების საქმე. ამ საერთო ორომტრიალში, რაც ფულისათვის არის ატეხილი, ყველაზე მძიმეა პატარა ადამიანების — წვრილი ხელოსნისა და წვრილი გლეხის მდგომარეობა: ისინი ყოველთვის უკან ჩამორჩებიან მდიდარ ვაჭარს ან მდიდარ გლეხს. მათ არასდროს არა აქვთ არავითარი მარაგი, ისინი ცხოვრობენ დღე-დღეზე; ყოველი გაჭირვების დროს, ყოველი უბედურების დროს მათ უნდა დააგირაონ უკანასკნელი სარჩო-საბადებელი ან ჩალის ფასად გაჰყიდონ შუშა პირუტყვი. ერთხელ რომ ჩავარდებიან ისინი რომელიმე კულაკის ან მევახშის კლანჭებში, შემდეგ ძალიან იშვიათად თუ შესძლებენ ხუნდებისაგან თავის დაღწევას, მეტწილად კი სრულიად ჩანაგდებიან. ყოველწლიურად ათეული და ასეული ათასობით წვრილი გლეხები და ხელოსნები გამო-

ჰკეტავენ ხოლმე თავისი ქოხის კარს, თითქმის მუქთად აძლევენ საზოგადოებას თავის ნადელს და ხდებიან დაქირავებულ მუშებად, მოჯამაგირეებად, შავ მუშებად, პროლეტარებად. მდიდრები კი უფრო და უფრო ისქელებენ ჯიბეს ამ ბრძოლაში, რომელიც ფულისათვის სწარმოებს. მდიდრები მილიონობით და ასეული მილიონობით ფულს თავს უყრიან ბანკებში და სულ უფრო მეტს იხვეჭენ არა მარტო საკუთარი ფულის მეოხებით, არამედ იმ ფულის მეოხებითაც, რომელიც სხვებს შეაქვთ ბანკში. პატარა ადამიანებსაც შეაქვთ ბანკებში თუ შემნახველ სალაროებში ათეული თუ ასეული მანეთები და ღებულობენ იქიდან პროცენტს სამ თუ ოთხ კაპიკს მანეთზე, მდიდრები კი ამ ათეული მანეთებიდან აგროვებენ მილიონებს, ამ მილიონებით აფართოებენ თავის ბრუნვას და მანეთზე ათ-ათ და ოც-ოც კაპიკს იგებენ.

აი ამიტომ ამბობენ მუშა სოციალ-დემოკრატები, რომ ერთადერთი საშუალება, რათა ბოლო მოეღოს ხალხის სიღატაკეს, არის ახლანდელი წესების ძირფესვიანად შეცვლა მთელ სახელმწიფოში და სოციალისტური წესების შემოღება, ესე იგი: უნდა ჩამოერთვათ მსხვილ მემამულეებს მათი მამულები, მეფაბრიკეებს — მათი ფაბრიკები და ქარხნები, ბანკირებს — მათი ფულადი კაპიტალები, მოისპოს მათი კერძო საკუთრება და გადაეცეს იგი მთელ მუშახალხს მთელ სახელმწიფოში. მაშინ მუშათა შრომის განმკარგულებელნი იქნებიან არა მდიდრები, რომლებიც სხვისი შრომით ცხოვრობენ, არამედ თვითონ მუშები და მათ მიერ არჩეულნი. მაშინ საერთო შრომის ნაყოფი და ის სარგებლობა, რაც მოაქვს ყველა გაუმჯობესებას და მანქანებს, ყველა მშრომელის, ყველა მუშის სასარგებლოდ იქნება გამოყენებული. მაშინ სიმდიდრე კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება, რადგან მუშები თავისთვის უკეთ იმუშავებენ, ვიდრე კაპიტალისტებისათვის, სამუშაო დღეც უფრო მცირე იქნება, მუშების თავისრჩენა გაუმჯობესდება, მთელი მათი ცხოვრება სრულიად შეიცვლება.

მაგრამ მთელ სახელმწიფოში ყველა წესის შეცვლა ადვილი საქმე როდია. ამისათვის საჭიროა ბევრი შრომა, ბევრი, ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა. ყველა მდიდარი, ყველა მესაკუთრე, მთელი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა* მთელი ძალით დაიცავს თავის სიმდიდრეს. მთელი მ დ ი დ ა რ ი კ ლ ა ს ი ს დასაცავად გამოვლენ მოხელეები და ჯარი, იმიტომ რომ თვით მთავრობა მდიდარი კლასის ხელშია. მუშები უნდა შეკავშირდნენ, როგორც ერთი კაცი, რათა შეებრძოლონ ყველას, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს; მუშები უნდა გაერთიანდნენ თვითონ და გააერთიანონ ყველა უქონელნი ერთს მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ა დ, ერთს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს კ ლ ა ს ა დ, ბრძოლა იოლი არ იქნება მუშათა კლასისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა აუცილებლად მუშების გამარჯვებით გათავდება, რადგან ბურჟუაზია, ანუ ის ადამიანები, რომელნიც სხვისი შრომით ცხოვრობენ, ხალხის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. მუშათა კლასი კი ხალხის უდიდესი უმრავლესობაა. მუშები მესაკუთრეთა წინააღმდეგ, — ეს ნიშნავს მილიონებს ათასების წინააღმდეგ.

და რუსეთში მუშები უკვე იწყებენ გაერთიანებას ამ დიადი ბრძოლისათვის ერთს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად. თუმცა მეტად ძნელია გაერთიანება ფარულად, პოლიციისაგან მალულად. მაგრამ გაერთიანება მაინც მტკიცდება და იზრდება. ხოლო როდესაც რუსი ხალხი მოიპოვებს პოლიტიკურ თავისუფლებას, მაშინ მუშათა კლასის გაერთიანების საქმე, სოციალიზმის საქმე წინ წავა შეუდარებლად უფრო სწრაფად, უფრო სწრაფად, ვიდრე იგი წინ მიდის გერმანელ მუშებში.

---

* ბურჟუა ნიშნავს მესაკუთრეს. ბურჟუაზია — ყველა მესაკუთრეს ერთად. მსხვილი ბურჟუა ნიშნავს მსხვილ მესაკუთრეს, წვრილი ბურჟუა — წვრილ მესაკუთრეს. ბურჟუაზია და პროლეტარიატი იგივეა, რაც მესაკუთრენი და მუშები, მდიდრები და უქონელნი, ადამიანები, რომელნიც სხვისი შრომით ცხოვრობენ, და ადამიანები, რომლებიც სხვისთვის მუშაობენ ქირით.

## 3. სიმდიდრე და სიღატაკე, მესაკუთრენი და მუშები სოფლად

ჩვენ ახლა ვიცით, რა სურთ სოციალ-დემოკრატებს. მათ სურთ ებრძოლონ მდიდართა მთელ კლასს ხალხის გასათავისუფლებლად სიღატაკისაგან. სოფლად კი ჩვენში არა ნაკლები სიღატაკეა, შეიძლება კიდევ მეტიც, ვიდრე ქალაქებში. თუ რა დიდია სოფლად სიღატაკე, აქ ამაზე არ ვილაპარაკებთ: ყოველმა მუშამ, რომელიც ყოფილა სოფლად, და ყოველმა გლეხმა ძალიან კარგად იცის სოფლის გაჭირვება, შიმშილი, სიცივე და გაჩანაგება.

მაგრამ გლეხმა არ იცის, რ ა ტ ო მ არის ის გაჭირვებული, რატომ შიმშილობს და ჩანაგდება, და რ ო გ ო რ დააღწიოს თავი ამ გაჭირვებას. ეს რომ ვიცოდეთ, უწინარეს ყოვლისა უნდა გავიგოთ, თუ საიდან ჩნდება ქალაქადაც და სოფლადაც ყოველგვარი გაჭირვება და სიღატაკე. ამაზე ჩვენ მოკლედ უკვე ვილაპარაკეთ და დავინახეთ, რომ უქონელი გლეხები და სოფლის მუშები უნდა შეუერთდნენ ქალაქის მუშებს. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა კიდევ ვიცოდეთ, რა ხალხი გაჰყვება სოფლად მდიდრებს, მესაკუთრეებს, და რა ხალხი — მუშებს, სოციალ-დემოკრატებს. უნდა გავიგოთ, ბევრია თუ არა ისეთი გლეხი, რომელიც მემამულეებზე ნაკლებად არ ახერხებს კაპიტალის შეძენას და სხვისი შრომით ცხოვრებას. თუ ეს ზედმიწევნით არ გამოვარკვიეთ, — ისე ვერავითარი ლაპარაკი სიღატაკის შესახებ ვერ გვიშველის, და სოფლის ღარიბი გლეხობა ვერ გაიგებს, ვ ი ნ უნდა შეუერთდეს სოფლად ერთმანეთს და ქალაქის მუშებს და რ ო გ ო რ გაკეთდეს საქმე ისე, რომ ეს კავშირი იყოს ს ა ი მ ე დ ო, რომ გლეხი არ მოატყუოს, მემამულის გარდა, კიდევ თავისმა ძმამ — მდიდარმა გლეხმა.

ამის გასარკვევად ვნახოთ ახლა, როგორია მემამულეთა ძალა სოფლად და როგორია მდიდარ გლეხთა ძალა.

დავიწყოთ მემამულეებით. მათ ძალაზე შეიძლება მსჯელობა, უწინარეს ყოვლისა, მიწის იმ რაოდენობის მიხედვით,

რომელიც მათს კერძო საკუთრებას შეადგენს. ევროპის რუსეთში ყველა მიწა — გლეხების სანადელოც და კერძო საკუთრებაში მყოფიც — ითვლებოდა 240 მილიონამდე დესეტინა* (გარდა სახაზინო მიწებისა, რომელთა შესახებ ცალკე ვიტყვით). ამ 240 მილიონი დესეტინიდან გლეხების ხელში, ე. ი. ათ მილიონზე მეტი კომლის ხელში, არის 131 მილიონი დესეტინა სანადელო მიწა. კერძო მესაკუთრეთა ხელში კი, ე. ი. ნახევარ მილიონ ოჯახზე ნაკლების ხელში, არის 109 მილიონი დესეტინა. მაშასადამე, დაახლოვებითაც რომ ვიანგარიშოთ, ერთ გლეხის ოჯახზე მოდის 13 დესეტინა, ხოლო კერძო მესაკუთრის ერთ ოჯახზე — 218 დესეტინა! მაგრამ უთანასწორობა მიწის განაწილებაში გაცილებით უფრო ძლიერია, როგორც ამას ახლავე დავინახავთ.

იმ 109 მილიონი დესეტინა მიწიდან, რომელიც კერძო მფლობელთა ხელშია, შვიდი მილიონი არის საუფლისწულო, ე. ი. შეადგენს მეფის გვარეულობის წევრთა კერძო საკუთრებას. მეფე თავისი ოჯახით რუსეთში პირველი მემამულეა, ყველაზე დიდი მემამულე. ერთ გვარს მეტი აქვს მიწა, ვიდრე ნახევარ მილიონ გლეხთა ოჯახს! შემდეგ, ეკლესიებსა და მონასტრებს აქვთ ექვს მილიონამდე დესეტინა მიწა. ჩვენი ხუცები გლეხებს უანგარობასა და თავშეკავებას უქადაგებენ, თვითონ კი სწორი თუ მრუდე გზით უამრავი მიწა ჩაიგდეს ხელში.

შემდეგ, ორ მილიონამდე დესეტინა მიწა აქვთ ქალაქებს და დაბებს და ამდენივე — სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებებსა და კომპანიებს. 92 მილიონი დესეტინა მიწა (ზუსტი ციფრია 91 605 845, მაგრამ, გამარტივების მიზნით, ჩვენ მოვიყვანთ მრგვალ ციფრებს) ეკუთვნის ნახე-

* ყველა ეს და შემდეგი ციფრები მიწის რაოდენობის შესახებ უკვე ძალიან მოძველებულია. ისინი ეკუთვნიან 1877 — 1878 წლებს. მაგრამ უფრო ახალი ციფრები არ არის. რუსეთის მთავრობას მხოლოდ სიბნელეში შეუძლია არსებობა, ამიტომაც ჩვენში ასე იშვიათად ჰკრეფენ სრულსა და მართალ ცნობებს ხალხის ცხოვრების შესახებ მთელ სახელმწიფოში.



მიწის გაანგარიშება კლასობრივ დაჯგუფებათა მიხედვით, შედგენილი ვ. ი. ლენინის მიერ ბროშურის — «სოფლის ღარიბებს» მომზადების დროს. — 1903 წ.

**დაპატარავებულია**

ვარ მილიონზე ნაკლებ (481 358) კერძო მესაკუთრეთა ოჯახს. ამ ოჯახთა რიცხვის ნახევარი სავსებით წვრილი მესაკუთრეებია; ყოველ მათგანს ათ დესეტინაზე ნაკლები მიწა აქვს. და ყველას მათ ერთად აქვთ მილიონ დესეტინაზე ნაკლები. ხოლო თექვსმეტი ათასი ოჯახიდან თითოს ათას დესეტინაზე მეტი მიწა აქვს; მათ ერთად აქვთ სულ სამოცდახუთი მილიონი დესეტინა. თუ რა თვალუწვდენელი მიწებია თავმოყრილი მსხვილ მიწათმფლობელთა ხელში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ათასზე ცოტა ნაკლები (924) ოჯახიდან თითოს მფლობელობაშია ათიათას დესეტინაზე მეტი მიწა; ყველას მათ კი აქვთ ოცდაშვიდი მილიონი დესეტინა! ათას ოჯახს იმდენივე მიწა აქვს, რამდენიც ორი მილიონი გლეხის ოჯახს.

ცხადია, მილიონობით და ათეული მილიონობით ხალხი გაჭირვებული და მშიერი უნდა იყოს, და ყოველთვის გაჭირვებული და მშიერი იქნება, სანამ რამდენიმე ათასი მდიდრის ხელშია ასეთი უამრავი მიწა. ცხადია, სახელმწიფო ხელისუფლებამაც, თვით მთავრობამ (თუნდაც მეფის მთავრობამ) მანამდე ამ მსხვილ მიწათმფლობელთა დუდუკზე უნდა იცეკვოს. ცხადია, სოფლის ღარიბი გლეხობა არავისაგან და არსაიდან არ უნდა მოელოდეს დახმარებას, ვიდრე ის თვითონ არ გაერთიანდება, არ შეკავშირდება ერთ კლასად ამ მემამულეთა კლასის წინააღმდეგ შეუპოვარი, გააფთრებული ბრძოლისათვის.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ძალიან ბევრს (და ბევრს თვით განათლებული ხალხიდანაც) სრულიად არასწორი შეხედულება აქვს მემამულეთა კლასის ძალაზე, როცა ამბობენ, რომ «სახელმწიფოს» გაცილებით მეტი მიწა აქვსო. «უკვე ახლა, — ამბობენ გლეხის ეს უვარგისი მრჩეველნი, — რუსეთის ტერიტორიის (ე. ი. მთელი მიწის) დიდი ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნისო» (ეს სიტყვები ამოღებულია გაზეთ «რევოლუციონნაია როსსიას» მე-8 ნომრიდან, გვ. 8). აი საიდან წარმოსდგა ამ ადამიანების შეცდომა. მათ გაუგო-

ნიათ, რომ ჩვენში, ევროპის რუსეთში, ხ ა ზ ი ნ ა ს ეკუთვნის 150 მილიონი დესეტინა. ეს მართლაც ასეა. მაგრამ მათ დავიწყებიათ, რომ ეს ასორმოცდაათი მილიონი დესეტინა თითქმის მთლიანად გ ა მ ო უ ს ა დ ე გ ა რ ი მ ი წ ე ბ ი დ ა ტ ყ უ ე ბ ი ა შ ო რ ე უ ლ ჩ რ დ ი ლ ო ე თ შ ი, არხანგელსკის, ვოლოგდის, ოლონეცის, ვიატკისა და პერმის გუბერნიებში. მაშასადამე, ხაზინას დარჩა მხოლოდ ისეთი მიწები, რომლებიც დღემდე სრულიად არ ვარგოდა მეურნეობისათვის. გამოსადეგი მიწა კი ხაზინას ო თ ხ მ ი ლ ი ო ნ დ ე ს ე ტ ი ნ ა ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი აქვს. და ამ გამოსადეგ სახაზინო მიწებს (მაგალითად, სამარის გუბერნიაში, სადაც ასეთი მიწა განსაკუთრებით ბევრია) მდიდრები ძალიან იაფად, ჩალის ფასად იღებენ იჯარით. მდიდრები იღებენ ათასობით და ათეულათასობით დესეტინა ასეთ მიწას და შემდეგ სამჯერ უფრო ძვირად ურიგებენ გლეხებს.

არა, გლეხის ფრიად ცუდი მრჩეველები არიან ისინი, რომლებიც ამბობენ: ხაზინას ბევრი მიწა აქვსო. ნამდვილად კი, ბევრი კარგი მიწა აქვთ მსხვილ კერძო მიწათმფლობელთ (მათ რიცხვში პირადად მეფესაც), და ამ მსხვილ მემამულეთა ხელშია თვით ხაზინაც. და სანამ სოფლის ღარიბი გლეხობა ვერ მოახერხებს გაერთიანებას და გაერთიანების გზით არ გადაიქცევა მრისხანე ძალად, მანამდე «სახელმწიფო» ყოველთვის მემამულეთა კლასის მორჩილი მსახური იქნება. და არ უნდა დავივიწყოთ კიდევ აი რა: წინათ მემამულეები თითქმის მხოლოდ თავად-აზნაურები იყვნენ. თავად-აზნაურებს ახლაც დიდძალი მიწა აქვთ (1877 — 1878 წელს 115 ათას თავად-აზნაურს ჰქონდა 73 მილიონი დესეტინა). მაგრამ დღეს მთავარი ძალა შეიქნა ფული, კაპიტალი. ბევრი, ძლიერ ბევრი მიწა შეისყიდეს ვაჭრებმა და შეძლებულმა გლეხებმა. ანგარიშობენ, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში (1863-დან 1892 წლამდე) თავად-აზნაურებმა დაჰკარგეს (ე. ი. გაჰყიდეს მეტი, ვიდრე იყიდეს) ექვსას მილიონ მანეთისაზე მეტი მიწა. ხოლო ვაჭრებმა და საპატიო მოქალაქეებმა 250 მილიონი მანეთის მიწა შეიძინეს. გლეხებმა, კაზაკებმა და «სოფლის სხვა

ობივატელებმა» (ასე უწოდებს ჩვენი მთავრობა უბრალო ხალხს «კეთილშობილი» და «წმინდა საზოგადოებისაგან» განსასხვავებლად) 300 მილიონი მანეთის მიწები შეიძინეს. მაშასადამე, ყოველწლიურად მთელ რუსეთში გლეხები საშუალოდ 10 მილიონი მანეთის მიწებს იძენენ კერძო საკუთრებად.

მაშასადამე, გლეხები სხვადასხვანაირნი ყოფილან: ერთნი გაჭირვებულნი არიან და შიმშილობენ, მეორენი მდიდრდებიან. მაშასადამე, უფრო და უფრო იზრდება ისეთი მდიდარი გლეხების რიცხვი, რომლებიც მემამულეებისაკენ იწევენ, რომლებიც მდიდრების მხარეზე იქნებიან მუშების წინააღმდეგ. და სოფლის ღარიბი გლეხობა, რომელსაც სურს გაერთიანდეს ქალაქის მუშებთან, კარგად უნდა ჩაუფიქრდეს ამას, უნდა გამოარკვიოს, ბევრია თუ არა ასეთი მდიდარი გლეხი, როგორია მათი ძალა და როგორი კავშირი გვესაჭიროება ჩვენ ამ ძალის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ ახლა მოვიხსენიეთ გლეხის ცუდი მრჩეველნი. ამ ცუდ მრჩეველებს უყვართ ლაპარაკი: გლეხებს უკვე აქვთ კავშირი. ეს კავშირია თემი, საზოგადოება. თემი დიდი ძალაა. თემური გაერთიანება მჭიდროდ აკავშირებს გლეხებს; გლეხობის თემური ორგანიზაცია (ე. ი. გაერთიანება, კავშირი) კოლოსალურიაო (ე. ი. ვეებერთელა, უსაზომოო).

ეს მართალი არ არის. ეს ზღაპარია. თუმცა კეთილი ადამიანების მოგონილია, მაგრამ მაინც ზღაპარია. ჩვენ რომ ზღაპრებს დავუჯეროთ, ამით მხოლოდ გავაფუჭებთ ჩვენს საქმეს, სოფლის ღარიბი გლეხობისა და ქალაქის მუშების შეკავშირების საქმეს. დაე სოფლის ყოველმა მცხოვრებმა კარგად მიიხედ-მოიხედოს თავის ირგვლივ: ჰგავს თუ არა თემის გაერთიანება, ჰგავს თუ არა გლეხური საზოგადოება ღარიბი გლეხობის კავშირს, რომელიც უნდა ებრძოდეს ყ ვ ე ლ ა მდიდარს, ყ ვ ე ლ ა ს, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს? არა, არა ჰგავს და არც შეიძლება ჰგავდეს. ყოველ თემში, ყოველ საზოგადოებაში მრავალი მოჯამაგირეა, მრავალი გაღატაკებული გლეხია; არიან მდიდრებიც, რომლებსაც თვითონ ჰყავთ

მოჯამაგირენი და ყიდულობენ თავისთვის მიწას «სამუდამოდ». ეს მდიდრებიც საზოგადოების წევრები არიან და ისინი მეთაურობენ საზოგადოებას, იმიტომ რომ ძალას წარმოადგენენ. და განა ჩვენ ისეთი კავშირი გვესაჭიროება, რომელშიც შედიან მდიდრები და რომელსაც მეთაურობენ მდიდრები? სრულიადაც არა! ჩვენ გვესაჭიროება კავშირი მდიდრების წინააღმდეგ ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ. მაშასადამე, სათემო კავშირი ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგარია.

ჩვენ გვესაჭიროება ნებაყოფლობითი კავშირი, მხოლოდ ისეთი ადამიანების კავშირი, რომლებმაც შეიგნეს, რომ ისინი უნდა შეუერთდნენ ქალაქის მუშებს. ხოლო საზოგადოება ნებაყოფლობითი კავშირი კი არ არის, არამედ კაზიონური კავშირია. საზოგადოებაში შედიან არა ის ადამიანები, რომლებიც მდიდრებისათვის მუშაობენ და რომლებსაც სურთ ერთად იბრძოლონ მდიდრების წინააღმდეგ. საზოგადოებაში შედიან ყოველნაირი ადამიანები არა თავისი ნებით, არამედ იმიტომ, რომ მათი მშობლები ამ მიწაზე ცხოვრობდნენ, ამ მემამულისათვის მუშაობდნენ, იმიტომ, რომ ისინი უფროსთა მიერ ამ საზოგადოებაზე არიან მიწერილნი. ღარიბ გლეხებს არ შეუძლიათ საზოგადოებიდან თავისუფლად გამოსვლა; მათ არ შეუძლიათ საზოგადოებაში თავისუფლად მიიღონ უცხო კაცი, რომელიც პოლიციის მიერ სხვა თემზე არის მიწერილი, ხოლო ჩვენთვის, ჩვენი კავშირისათვის, შეიძლება სწორედ აქ არის ის საჭირო. არა, ჩვენ სულ სხვა კავშირი გვესაჭიროება, ნებაყოფლობითი კავშირი მარტო მუშა-ხალხისა და ღარიბი გლეხებისა, ყველა იმათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს.

დიდი ხანია წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა თემი ძალას წარმოადგენდა. და ეს დრო აღარასოდეს არ დაბრუნდება. თემი წარმოადგენდა ძალას, როცა გლეხებში თითქმის არ იყვნენ მოჯამაგირენი და მუშები, რომლებიც დახეტიალობენ მთელ რუსეთში სამუშაოს საშოვნელად, როცა თითქმის არ იყვნენ მდიდრებიც, როცა ყველას ერთნაირად ჩაგრავდა მეყმევე-ბატონი. ახლა კი მთავარი ძალა ფული გახდა. ერთი

და იმავე თემის წევრებს შორისაც კი ფულისათვის ისეთივე ბრძოლა სწარმოებს, როგორც მძვინვარე მხეცებს შორის. ფულიანი გლეხები თავისი თემის წევრებს ზოგიერთ მემამულეზე მეტად ავიწროებენ და ძარცვავენ. დღეს ჩვენ გვჭირდება არა სათემო კავშირი, არამედ კავშირი ფ უ ლ ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს, კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ, სოფლის ყველა მუშაკისა და სხვადასხვა საზოგადოების უქონელი გლეხების კავშირი, სოფლის მთელი ღარიბი გლეხობის კავშირი ქალაქის მუშებთან, რათა ერთნაირად ვებრძოლოთ მემამულეებსა და მდიდარ გლეხებს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორია მემამულეთა ძალა. ახლა ვნახოთ, ბევრია თუ არა მდიდარი გლეხი და როგორია მათი ძალა.

მემამულეთა ძალაზე ჩვენ ვმსჯელობდით მათი მამულების სიდიდის, მათი მიწის რაოდენობის მიხედვით. მემამულეები თავისუფლად განაგებენ თავიანთ მიწას, თავისუფლად ყიდულობენ და ჰყიდიან მას. ამიტომ მათი ძალის შესახებ შეგვიძლია ძალიან ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ მათი მიწების რაოდენობის მიხედვით. გლეხებს კი ჩვენში დღემდე არა აქვთ უფლება თავისუფლად განაგონ თავიანთი მიწა, ისინი დღემდე რჩებიან ნახევარყმებად, თავის საზოგადოებაზე მიჯაჭვულებად. ამიტომ მდიდარი გლეხების ძალაზე არ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მათი სანადელო მიწის რაოდენობის მიხედვით. მდიდარი გლეხები თავისი ნადელებით კი არ სუქდებიან: ისინი ყ ი დ უ ლ ო ბ ე ნ მიწას ბლომად, ყიდულობენ «სამუდამოდაც» (ე. ი. თავის კერძო საკუთრებად) და «წლობითაც» (ე. ი. იღებენ იჯარით), ყიდულობენ მემამულეებისგანაც, თავისი მოძმე გლეხისგანაც, იმისაგან, ვინც სტოვებს მიწას, ვისაც გაჭირვება აიძულებს გასცეს ნადელები. ამიტომ ყველაზე სწორი იქნება, თუ ჩვენ მდიდარ, საშუალო და უქონელ გლეხებს მათი ცხენების რაოდენობის მიხედვით დავყოფთ. გლეხი, რომელსაც ბევრი ცხენი ჰყავს, თითქმის ყოველთვის მდიდარი გლეხია; თუ მას ჰყავს ბევრი მუშა პირუტყვი, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ნათესიც ბევრი აქვს, მიწაც

აქვს, გარდა სანადელო მიწისა; ფულიც აქვს შემონახული. ამასთანავე ჩვენ საშუალება გვაქვს გავიგოთ, რამდენი არის მთელ რუსეთში (ევროპის რუსეთში, ციმბირისა და კავკასიის გამოკლებით) მრავალცხენიანი გლეხი. რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელ რუსეთზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ საშუალოდ: ცალკე მაზრებსა და გუბერნიებში მეტად დიდი განსხვავებაა. მაგალითად, ქალაქების ახლოს ხშირად არიან ისეთი მდიდარი გლეხი-მიწათმოქმედნი, რომელთაც სრულიადაც არა ჰყავთ ბევრი ცხენი. ერთნი მისდევენ მომგებიან მებოსტნეობას, მეორეებს ჰყავთ ცოტა ცხენი, მაგრამ ბევრი ძროხა, — და რძეს ჰყიდიან. რუსეთში ყველგან არიან ისეთი გლეხებიც, რომლებიც მდიდრდებიან არა მიწის საშუალებით, არამედ სავაჭრო საქმეებით: იჩენენ ზეთსახდელ, ბურღულსაწმენდ და სხვა ქარხნებს. ვინც სოფლად ცხოვრობს, ყველა ძალიან კარგად იცნობს თავისი სოფლის თუ ოლქის მდიდარ გლეხებს. მაგრამ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რამდენი არიან ისინი მთელ რუსეთში, როგორია მათი ძალა, რათა ღარიბი გლეხი ალალბედზე კი არ მიდიოდეს, თვალახვეული, არამედ ზედმიწევნით იცოდეს, თუ ვინ არიან მისი მეგობრები და ვინ — მისი მტრები.

მაშ ვნახოთ, ბევრია თუ არა ცხენით მდიდარი და ღარიბი გლეხი. ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ რუსეთში სულ ითვლება ათ მილიონამდე გლეხთა კომლი. ახლა მათ ეყოლებათ, ალბათ, თხუთმეტ მილიონამდე ცხენი (თოთხმეტი წლის წინათ იყო ჩვიდმეტი მილიონი, მაგრამ დღეს მათი რიცხვი ნაკლებია). მაშასადამე, საშუალოდ ყოველ ათ კომლზე თხუთმეტი ცხენი მოდის. მაგრამ მთელი საქმე ის არის, რომ ზოგიერთს, რიცხვით ცოტას, ბევრი ცხენი ჰყავს, სხვებს კი, და მასთან ძალიან ბევრს, ან სულ არა ჰყავს ცხენი, ან ცოტა ჰყავს. უცხენო გლეხები სამ მილიონზე ნაკლები არაა, ხოლო სამ მილიონნახევრამდე გლეხს თითო ცხენი ჰყავს. ესენი არიან ან მთლად გაჩანაგებული, ან უქონელი გლეხები. მათ ჩვენ ვუწოდებთ სოფლის ღარიბ გლეხობას. მათი რიცხვი ათი მილიონიდან ექვს მილიონ-

ნახევარს უდრის, ე. ი. თითქმის ორ მესამედს! შემდეგ მოსდევენ საშუალო გლეხები, რომელთაც თითო უღელი მუშა პირუტყვი ჰყავთ. ასეთი გლეხები ორმილიონამდე კომლია, მათ ჰყავთ ოთხმილიონამდე ცხენი; მერე მოსდევენ მდიდარი გლეხები, რომელთაც თითო უღელზე მეტი მუშა პირუტყვი ჰყავთ. ასეთი გლეხების რიცხვი მილიონნახევარი კომლია, მაგრამ მათ ჰყავთ შვიდ მილიონნახევარი ცხენი*. ეს ნიშნავს: ცხენების მთელი რაოდენობის ნახევარი კომლთა დაახლოებით ერთი მეექვსედი ნაწილის ხელშია.

რაკი ეს ვიცით, შეგვიძლია საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ მდიდარი გლეხების ძალაზე. რიცხვით ისინი ძალიან ცოტანი არიან: სხვადასხვა საზოგადოებაში, სხვადასხვა ვოლოსტში მოგროვდება ყოველ ასეულ კომლზე ერთი-ორი ათეული. მაგრამ ეს მცირერიცხოვანი კომლები ყველაზე მდიდრები არიან. ამიტომ მთელ რუსეთში მათ თითქმის იმდენივე ცხენი ჰყავთ, რამდენიც ყველა დანარჩენ გლეხს ერთად. მაშასადამე, ნათესიც გლეხების ყველა ნათესის თითქმის ნახევარი აქვთ. ასეთ გლეხებს გაცილებით მეტი პური მოჰყავთ, ვიდრე მათს ოჯახებს ესაჭიროება. ისინი ბევრ პურს ჰყიდიან. მათ-

* კვლავ ვიმეორებთ, რომ ჩვენ ვიღებთ საშუალო, დაახლოებითს ციფრებს. იქნებ, მდიდარი გლეხების რიცხვი სრული მილიონნახევარი კი არ არის, არამედ მილიონი და მეოთხედი ან მილიონი და სამი მეოთხედი, შეიძლება ორი მილიონიც. ეს უკვე დიდი განსხვავება არ არის. აქ საქმე ის კი არ არის, რომ ყოველი ათასი ან ასეული ათასი ვიანგარიშოთ, არამედ, ის, რომ ნათლად გავიგოთ, თუ როგორია მდიდარი გლეხების ძალა, როგორია მათი მდგომარეობა, რომ შევძლოთ ჩვენი მტრებისა და მეგობრების გამორკვევა, რომ არ მოვტყუვდეთ ყოველგვარი ლათაიებით ან ცალიერი სიტყვებით, არამედ ზუსტად გავიგოთ ღარიბი გლეხობის მდგომარეობაც და ცალკე — მდიდრების მდგომარეობაც.

დაე სოფლის ყოველი მუშაკი კარგად დააკვირდეს როგორც თავის, ისე მეზობელ ვოლოსტებს. ის დაინახავს, რომ ჩვენი ანგარიში სწორია, რომ ყველგან საშუალოდ ასე გამოვა: ყოველ ას კომლში ერთი, ან დიდიდიდი — ორი ათეული იქნება მდიდარი, ორიოდე ათეული — საშუალო გლეხი, ყველა დანარჩენი კი — ღარიბი გლეხობა.

თვის პური არა მარტო ოჯახის სარჩენი წყაროა, არამედ უფრო მეტად გაყიდვის, ფულის მოგების წყარო. ასეთ გლეხებს შეუძლიათ დააგროვონ ფული. ისინი ფულს შემნახველ სალაროებსა და ბანკებში ინახავენ. ისინი ყიდულობენ მიწებს საკუთრებად. ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ მთელ რუსეთში ყოველწლიურად გლეხები დიდძალ მიწას ყიდულობენ; თითქმის მთელი ეს მიწა აი ამ მცირერიცხოვან მდიდარ გლეხებს ხვდებათ. სოფლის ღარიბ გლეხობას მიწის შეძენაზე კი არ უხდება ფიქრი, არამედ იმაზე, რომ როგორმე გაიტანოს თავი. მას პურისთვისაც არა ჰყოფნის ხშირად ფული, არა თუ მიწის საყიდლად. ამიტომ ყოველგვარი ბანკი, საერთოდ, და საგლეხო ბანკი, განსაკუთრებით, მიწის შეძენაში ეხმარება არა ყველა გლეხს (როგორც ხანდახან გვარწმუნებენ გლეხის მატყუარა ადამიანები ან მეტად გულუბრყვილონი), არამედ გლეხების მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვს, მხოლოდ ბობოლებს. ამიტომ გლეხის ის ცუდი მრჩეველნიც, რომელნიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, არ არიან მართალნი, როცა ამბობენ, თითქოს გლეხები იძენდნენ მიწას, თითქოს მიწა გადადიოდეს კაპიტალიდან შრომისაკენ. შრომისაკენ, ესე იგი ღარიბი მუშა-კაცის ხელში მიწა არასოდეს არ შეიძლება გადავიდეს, იმიტომ რომ მიწისათვის ფულის გადახდაა საჭირო, ხოლო ზედმეტი ფული ღარიბ გლეხობას, რა თქმა უნდა, არასოდეს არა აქვს. მიწა გადადის მხოლოდ მდიდარი, ფულიანი გლეხების ხელში, კაპიტალისაკენ, მხოლოდ ისეთ ადამიანთა ხელში, რომლის წინააღმდეგ სოფლის ღარიბმა გლეხობამ უნდა აწარმოოს ბ რ ძ ო ლ ა ქალაქის მუშებთან ერთად.

მდიდარი გლეხები არა მარტო ყიდულობენ მიწას სამუდამოდ, არამედ ყველაზე უფრო ქირაობენ მიწას წლობითაც, იღებენ მიწას იჯარით. ისინი ხელიდან აცლიან მიწას სოფლის ღარიბ გლეხობას იმით, რომ იღებენ დიდ ნაკვეთებს. აი, მაგალითად, პოლტავის გუბერნიის ერთ მაზრაში (კონსტანტინოგრადისა) გამოიანგარიშეს, რამდენი მიწა აქვთ მდიდარ გლეხებს იჯარით აღებული. და რა გამოირკვა? ისეთები, რომელთაც იჯარით აღებული ჰქონდათ 30 დესეტინა და მეტი თითო

კომლზე, ძალიან ცოტანი იყვნენ, სულ ორ-ორი კომლი ყოველ 15 კომლზე. მაგრამ ამ ბობოლების ხელში იყო მთელი საიჯარო მიწის ნახევარი, და თითო მდიდარზე მოდიოდა 75 დესეტინა საიჯარო მიწა! ან კიდევ, თავრიდის გუბერნიაში გამოიანგარიშეს, რამდენი ჩაიგდეს ხელში ბობოლებმა იმ მიწიდან, რომელიც გლეხებმა მთელი სოფლობით, საზოგადოებობით, აიღეს ხაზინისაგან. გამოირკვა, რომ მდიდრებს, რომლებიც ყველა კომლთა მხოლოდ ერთ მეხუთედს შეადგენდნენ, ხელში ჩაუგდიათ მთელი საიჯარო მიწის სამი მეოთხედი. მიწას ყველგან ჰყოფენ ფულის მიხედვით, ფული კი მხოლოდ მცირერიცხოვან მდიდართა ხელშია.

შემდეგ, დღეს თვით გლეხებიც ბევრ მიწას აძლევენ იჯარით. ისინი სტოვებენ ნადელებს, იმიტომ რომ არა ჰყავთ პირუტყვი, არა აქვთ სათესლე, არ შეუძლიათ მეურნეობის წარმოება. ახლა უფულოდ მიწითაც ვერაფერს გახდები. მაგალითად, სამარის გუბერნიის ნოვოუზენსკის მაზრაში მდიდარი გლეხების ყოველ სამ კომლში ერთი, შეიძლება ორიც, იჯარით იღებს სანადელო მიწას თავისავე საკუთარ ან სხვის საზოგადოებაში. ხოლო ნადელებს იჯარით სცემენ უცხენონი და ერთცხენიანები. თავრიდის გუბერნიაში გლეხების კომლთა მთელი მესამედი იჯარით სცემს ნადელებს. იჯარით იცემა ყველა საგლეხო ნადელის მეოთხედი, მეოთხედი მილიონი დესეტინა. და ამ მეოთხედი მილიონიდან ასორმოცდაათი ათასი დესეტინა (სამი მეხუთედი) ხელში უვარდებათ მდიდარ გლეხებს! ჩვენ აქ კვლავ ვხედავთ, ხელსაყრელია თუ არა ღარიბი გლეხობისათვის სოფლის კავშირი, საზოგადოება. სოფლის საზოგადოებაში ვისაც ფული აქვს, ძალაც იმის ხელშია. ჩვენ კი გვესაჭიროება ყველა საზოგადოების ღარიბი გლეხობის კავშირი.

ისევე, როგორც მიწის შეძენის შესახებ, გლეხებს ატყუებენ, როცა ლაპარაკობენ გუთნების, სამკელების და ყოველგვარი სხვა გაუმჯობესებული იარაღების იაფად შეძენაზე. აწ-

ყობენ საერობო საწყობებს, არტელებს და ამბობენ: გაუმჯობესებული იარაღები გლეხობის მდგომარეობას გააუმჯობესებენო. — ეს მოტყუებაა და მეტი არაფერი. ყველა ეს უკეთესი იარაღი მხოლოდ მდიდრებს უვარდებათ ხელში, ხოლო ღარიბ გლეხობას აქედან თითქმის არაფერი ერგება. ღარიბი გუთანსა და სამკელს როდი სჩივის, ოღონდ სული არ ამოხდეს! ყოველი ასეთი «დახმარება გლეხობისა» მდიდრების დახმარებაა და მეტი არაფერი. ღარიბი გლეხობის მასას კი, რომელსაც არ გააჩნია არც მიწა, არც პირუტყვი, არც მარაგი, — ვერ უშველი იმით, რომ უკეთესი იარაღები უფრო იაფი ეღირება. აი, მაგალითად, სამარის გუბერნიის ერთ მაზრაში გამოითვალეს, რამდენი აქვთ ყველა გაუმჯობესებული იარაღი მდიდარ და ღარიბ გლეხებს. გამოირკვა, რომ კომლთა ერთ მ ე ხ უ თ ე დ ს, ე. ი. ყველაზე შეძლებულ გლეხებს, აქვს ყველა გაუმჯობესებული იარაღის თითქმის ს ა მ ი მ ე ო თ ხ ე დ ი, ღარიბ გლეხობას კი, რომელიც კომლთა ნ ა ხ ე ვ ა რ ს შეადგენს, მხოლოდ ე რ თ ი ო ც დ ა მ ე ა თ ე დ ი ნ ა წ ი ლ ი აქვს. ამ მაზრაში სულ არის 28 ათასი კომლი; აქედან 10 ათას კომლს ან სულ არა ჰყავს ცხენი, ანდა მხოლოდ თითო ცხენი ჰყავს. და ამ 10 ათას კომლს აქვს მხოლოდ შ ვ ი დ ი გაუმჯობესებული იარაღი იმ 5 724 გაუმჯობესებული იარაღის საერთო რიცხვიდან, რომელიც ჰქონდა გლეხთა ყველა კომლს მთელ მაზრაში. შვიდი იარაღი 5 724-დან — აი რანაირია სოფლის ღარიბი გლეხობის მონაწილეობა მეურნეობის მთელ ამ გაუმჯობესებაში, გუთნებისა და სამკელების გავრცელებაში, რომლებიც ვითომდა ეხმარება «მთელს გლეხობას»! აი რას უნდა მოელოდეს სოფლის ღარიბი გლეხობა იმ ადამიანებისაგან, რომელნიც «გლეხის მეურნეობის გაუმჯობესებაზე» ლაპარაკობენ!

დასასრულ, მდიდარი გლეხობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი ქ ი რ ა ო ბ ს მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ე ბ ს ა დ ა დ ღ ი უ რ მ უ შ ე ბ ს. მემამულეების მსგავსად, მდიდარი გლეხებიც სხვისი შრომით ცხოვრობენ. მემამულეების მსგავსად, ისინიც მდიდრდებიან იმიტომ, რომ

გლეხობის მასა ჩანაგდება და ღატაკდება. მემამულეების მსგავსად, ისინი ცდილობენ თავიანთ მოჯამაგირეებს რაც შეიძლება მეტი მუშაობა გამოსწოვონ და რაც შეიძლება ნაკლები გასამრჯელო მისცენ. მილიონობით გლეხი რომ არ იყოს საბოლოოდ გაჩანაგებული და არ იყოს იძულებული სხვას მიექირავოს, გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა, — მაშინ მდიდარი გლეხები ვერ იარსებებდნენ, თავის მეურნეობას ვერ აწარმოებდნენ. მაშინ ისინი ვერსად ჩაიგდებდნენ ხელში «გაიაფებულ» ნადელებს და ვერც მუშებს იშოვნიდნენ. მთელ რუსეთში კი მილიონნახევარი მდიდარი გლეხი, ალბათ, ე რ თ მ ი ლ ი ო ნ ზ ე ნაკლებ მოჯამაგირეს და დღიურ მუშას არ ქირაობს. გასაგებია, რომ დიდ ბრძოლაში მესაკუთრეთა კლასსა და უქონელთა კლასს შორის, მეპატრონეებსა და მუშებს შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, — მდიდარი გლეხები მესაკუთრეთა მხარეზე დადგებიან, მუშათა კლასის წინააღმდეგ იქნებიან.

ჩვენ ახლა ვიცით მდიდარი გლეხობის მდგომარეობა და ძალა. ვნახოთ, როგორ ცხოვრობს სოფლის ღარიბი გლეხობა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მთელ რუსეთში სოფლის ღარიბ გლეხობას ეკუთვნის ყველა გლეხურ კომლთა უდიდესი უმრავლესობა, თითქმის ორი მესამედი. უწინარეს ყოვლისა, უცხენო კომლთა რაოდენობა არამც და არამც არ იქნება ს ა მ მ ი ლ ი ო ნ ზ ე ნაკლები, ალბათ, უფრო მეტიც არის — სამ მილიონნახევრამდე ამჟამად. შიმშილობის ყოველი წელიწადი, ყოველი მოუსავლობა აპარტახებს ათეული ათასობით მეურნეობას. მოსახლეობა მატულობს, სივიწროვე უფრო და უფრო საგრძნობი ხდება, მთელი საუკეთესო მიწა კი უკვე ჩაგდებული აქვთ ხელში მემამულეებსა და მდიდარ გლეხებს. და აი ყოველ წელიწადს უფრო და უფრო მეტი ხალხი ჩანაგდება, მიდის ქალაქებში და ფაბრიკებში, მიდის მოჯამაგირედ, შავ მუშად ხდება. უცხენო გლეხი — ეს ისეთი გლეხია, რომელიც უკვე მთლად უქონელი გამხდარა. ის პროლეტარია. ის ცხოვრობს (ჯერჯერობით ცხოვრობს, ან. უკეთ, ბოგინობს და

არა ცხოვრობს) არა მიწით, არა მეურნეობით, არამედ ქ ი რ ა ზ ე მ უ შ ა ო ბ ი თ. ის არის ქალაქის მუშის ღვიძლი ძმა. უცხენო გლეხისათვის მიწაც არაფრის მაქნისია: უცხენო კომლთა ნახევარი იჯარით სცემს თ ა ვ ი ს ნ ა დ ე ლ ს, ხანდახან მუქთადაც აძლევს საზოგადოებას (სულერთია, ბობოლები მაინც არაფერს გადაუხდიან!), იმიტომ რომ მათ არ ძალუძთ დაამუშაონ მიწა. უცხენო გლეხი სთესს რაღაც დესეტინას, დიდიდიდი — ორ დესეტინას. ის იძულებულია ყოველთვის იყიდოს დანაკლისი პური (ფული თუ აქვს საყიდლად), — თავისი პურით ის ვერასოდეს ვერ ირჩენს თავს. ბევრად შორს არ არიან წასული ერთცხენიანი გლეხებიც, რომელთა რიცხვი მთელ რუსეთში უდრის დაახლოებით 3½ მილიონ კომლს. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისი, და ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქა-იქ არიან ისეთი ერთცხენიანი გლეხებიც, რომლებიც საშუალოდ ან მდიდრულადაც კი ცხოვრობენ. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ არა გამონაკლისზე, არა ცალკეულ ადგილებზე, არამედ მთელ რუსეთზე. ერთცხენიანი გლეხების მთელი მასა რომ ავიღოთ, დავინახავთ, რომ იგი, უეჭველად, ღარიბლატაკი მასაა. სამიწათმოქმედო გუბერნიებშიც კი ერთცხენიანი გლეხი სთესს სამ-ოთხ დესეტინას, იშვიათად ხუთს; თავისი პური იმასაც არა ჰყოფნის. მოსავლიან წლებშიც კი იგი უცხენო გლეხზე უკეთ არ იკვებება, — მაშასადამე, მუდამ აკლია საჭმელი, მუდამ შიმშილობს. მეურნეობა სრულიად დაცემულია, პირუტყვი უვარგისია, არ ჰყოფნის პირუტყვის საკვები, არა აქვს ძალა მოუაროს მიწას, როგორც საჭიროა. მაგალითად, ვორონეჟის გუბერნიაში მთელ თავის მეურნეობაზე (პირუტყვის კვების გარდა) ერთცხენიან გლეხს შეუძლია დახარჯოს არა უმეტეს ო ც ი მ ა ნ ე თ ი ს ა წ ე ლ ი წ ა დ შ ი! (მდიდარი გლეხი ხარჯავს ა თ ჯ ე რ მ ე ტ ს). ერთი წლის განმავლობაში ოცი მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს მიწის იჯარასაც, პირუტყვის შეძენასაც, სახნისისა და სხვა იარაღების შეკეთებასაც, მენახირესაც და სხვა დანარჩენს! განა ეს მეურნეობაა? ეს არის მხოლოდ ჯახირი, მხოლოდ კატორღა, ერთი გამუდმებული ჭაპანწყვეტა. ადვილი გასაგებია,

რომ ერთცხენიან გლეხებშიც არიან აგრეთვე ისეთები, — მათი რიცხვი არც ისე მცირეა, — რომლებიც ი ჯ ა რ ი თ ს ც ე მ ე ნ თ ა ვ ი ს ნ ა დ ე ლ ე ბ ს. ღატაკისათვის მიწა დიდი ბედენა არ არის. როცა ფული არ არის, მიწიდან არამც თუ ფულს, სარჩოსაც ვერ მიიღებ. ფული კი ყველაფერს სჭირდება: საჭმელს, ტანსაცმელს, მეურნეობას, გადასახადს. ვორონეჟის გუბერნიაში ერთცხენიანი გლეხი მარტო გადასახადს წელიწადში ჩვეულებრივ თ ვ რ ა მ ე ტ მ ა ნ ე თ ს იხდის, ის კი წელიწადში ყ ვ ე ლ ა ხარჯისათვის ვერ შოულობს 75 მანეთზე მეტს. აქ მხოლოდ დაცინვით შეიძლება ლაპარაკი მიწის შეძენაზე, გაუმჯობესებულ იარაღებზე, სასოფლო ბანკებზე: ყოველივე ეს ღარიბებისათვის როდია მოგონილი.

სად უნდა იშოვნოს ფული ღარიბმა გლეხმა? მან უნდა ეძიოს «საშოვრები». ერთცხენიან გლეხს, ისე როგორც უცხენოს, მხოლოდ «საშოვრებით» გააქვს გაჭირვებით თავი. მაგრამ რას ნიშნავს ეს «საშოვრები»? ეს არის მუშაობა სხვათა კარზე, დაქირავებით მუშაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთცხენიანი გლეხი უკვე სანახევროდ აღარ არის პატრონი, იგი გადაიქცა დაქირავებულ მუშად, პროლეტარად. ამიტომაც უწოდებენ ასეთ გლეხებს ნ ა ხ ე ვ რ ა დ პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ს. ესენიც ქალაქის მუშის ღვიძლი ძმები არიან, რადგან იმათაც ათასნაირად ტყავს აძრობენ ათასგვარი მეპატრონეები. იმათაც არა აქვთ სხვა გამოსავალი, არა აქვთ სხვა შველა, თუ არა ის, რომ შეუერთდნენ სოციალ-დემოკრატებს ყველა მდიდრის წინააღმდეგ, ყველა მესაკუთრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვინ მუშაობს რკინიგზების გაყვანაზე? ვის აძრობენ ტყავს მოიჯარადრენი? ვინ მიდის ტყის საჩეხად და დასაცურებლად? ვინ მსახურობს მოჯამაგირედ? ვინ მიდის დღიურ მუშად? ვინ ასრულებს შავ სამუშაოებს ქალაქებსა და ნავსადგურებში? ყოველივე ამას აკეთებს სოფლის ღარიბი გლეხობა. ესენი ყველანი არიან უცხენო და ერთცხენიანი გლეხები. ესენი ყველანი არიან სოფლის პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები. მერე რა უამრავია ეს ხალხი რუსეთ-

ში! გამოანგარიშებულია, რომ ყოველწლიურად მთელ რუსეთში (კავკასიასა და ციმბირს გარდა) გაიცემა ხოლმე რვა მილიონი პასპორტი, ხანდახან ცხრაც. ესენი ყველანი გარესაშოვარზე მიმავალი მუშებია. ისინი მხოლოდ სახელით არიან გლეხები, ნამდვილად კი დაქირავებული მუშები არიან. ესენი ყველანი უნდა გაერთიანდნენ ერთ კავშირში ქალაქის მუშებთან ერთად, და სინათლისა და ცოდნის ყოველი სხივი, რომელიც მიადგება სოფელს, გააძლიერებს და განამტკიცებს ამ კავშირს.

კიდევ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ ამ «საშოვრების» შესახებ. ყოველგვარ მოხელეებს და იმ ადამიანებს, რომლებიც მოხელესავით აზროვნებენ, უყვართ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გლეხისათვის «საჭიროა» ორი რამ: მიწა (ოღონდ ბევრი არა, — ბევრი მიწა სადაა, ის უკვე დაიტაცეს მდიდრებმა!) და «საშოვრები». ამიტომ, ამბობენ ისინი, ხალხს რომ დავეხმაროთ, საჭიროა შევქმნათ სოფლად რაც შეიძლება მეტი სარეწები, ხალხს მეტი «საშოვარი» უნდა «მივცეთო». ასეთი სიტყვები თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი. ღარიბი გლეხობისათვის საშოვრები — ეს დაქირავებით მუშაობაა. გლეხისათვის «საშოვრის მიცემა» იმას ნიშნავს, რომ გლეხი დაქირავებულ მუშად გადააქციო. კარგი დახმარებაა, თქვენმა მზემ! მდიდარი გლეხებისათვის არის სხვა «საშოვრები», რომლებიც მოითხოვენ კაპიტალს, — მაგალითად, წისქვილის ან სხვა საწარმოს მოწყობა, სალეწი მანქანის შეძენა, ვაჭრობა და სხვა ამგვარი. ვინც ფულიანი ხალხის ამ საშოვარს ღარიბი გლეხობის ქ ი რ ა ზ ე მ უ შ ა ო ბ ა შ ი ურევს, ის ატყუებს ღარიბ გლეხობას. მდიდრებისათვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია ასეთი მოტყუება, მათთვის სასარგებლოა საქმე ისე წარმოგვიდგინონ, თითქოს ყოველგვარ «საშოვარზე» ყ ვ ე ლ ა გლეხს მიუწვდებოდეს ხელი და ჯიბე. ვისაც კი მართლა სიკეთე სურს ღარიბი გლეხობისათვის, ის მას ს რ უ ლ ს ი მ ა რ თ ლ ე ს დ ა მ ხ ო ლ ო დ ს ი მ ა რ თ ლ ე ს ეუბნება.

ჩვენ ახლა დაგვრჩა სათქმელი საშუალო გლეხობაზე. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მთელ რუსეთში საშუალო გლეხად

შეიძლება ჩაითვალოს დაახლოებით ისეთი გლეხი, რომელსაც ჰყავს უღელი მუშა პირუტყვი და რომ ასეთი გლეხური კომ-ლი რუსეთში ორ მილიონამდეა ათი მილიონიდან. საშუალო გლეხი დგას მდიდარსა და პროლეტარს შუა, — ამიტომაც ეწოდება მას საშუალო. და ცხოვრობს ის საშუალოდ: თუ წელიწადი კარგია, ის თავისი მეურნეობით ასე თუ ისე თავს გაიტანს, მაგრამ გაჭირვება მას ყოველთვის ზურგს უკან სდარაჯობს. შემონახული მას ან სრულიად არაფერი აქვს ან ძალიან ცოტა აქვს. ამიტომ მისი მეურნეობა მერყეევია. ფულის შოვნა ძნელია: თავისი მეურნეობიდან ის ძალიან იშ-ვიათად შეაგროვებს იმდენ ფულს, რამდენიც საჭიროა, ისიც ძლივძლივობით. ხოლო საშოვარზე წასვლა ნიშნავს მეურნეო-ბის მიტოვებას, მეურნეობას უპატრონობა დაეტყობა. მრავა-ლი საშუალო გლეხი მაინც იძულებულია საშოვარზე გავიდეს, სხვას მიექირაოს, გაჭირვება აიძულებს დაემონოს მემამულეს, ვალში ჩავარდეს. საშუალო გლეხი კი თითქმის ვერასოდეს ვერ ახერხებს ვალებს თავი დააღწიოს: მას არა აქვს მტკიცე შემოსავალი, როგორიც მდიდარ გლეხს აქვს. ამიტომ, რაკი ვალებში ჩაეფლო, ეს მისთვის მარყუჟში თავის გაყოფას უდ-რის. ის ვეღარც აღწევს თავს ვალებს, სანამ სავსებით არ გაპარტახდება. საშუალო გლეხი უფრო მეტად ვარდება მემა-მულის მონობაში, იმიტომ რომ ნარდი მუშაობისათვის მემა-მულეს სჭირდება გაუპარტახებელი გლეხი, რომ მას ჰყავდეს წყვილი ცხენიც და ჰქონდეს მეურნეობაში საჭირო იარაღე-ბიც. საშუალო გლეხისათვის საშოვარზე სხვაგან წასვლა ძნე-ლია, — და აი ის ემონება მემამულეებს პურისთვისაც, საძოვ-რისთვისაც, ჩამონაჭრების იჯარით აღებისთვისაც, იმ ფულის-თვისაც, რომელიც ზამთარში ვალად აიღო. მემამულესა და კულაკს გარდა, საშუალო გლეხს მდიდარი მეზობელიც ავიწ-როებს: ის ყოველთვის გამოაცლის ხელიდან მიწას და არასო-დეს არ გაუშვებს შემთხვევას, რომ შეავიწროვოს რითაც კი შეუძლია. ცხოვრობს ასე საშუალო გლეხი: არც დალხინებით და არც გაჭირვებით. არც ნამდვილი, ჭეშმარიტი მეპატრონეა, არც მუშა. ყველა საშუალო გლეხი მეპატრონეს კუდში მის-

დევს, უნდა გახდეს მესაკუთრედ, მაგრამ ამას ძალიან და ძალიან ცოტანი ახერხებენ. ძალიან ცოტაა ისეთები, რომლებიც თვით მოჯამაგირეებს ან დღიურ მუშებს ქირაობენ, თვითონ ცდილობენ სხვისი შრომით გამდიდრებას, სხვის ზურგზე მდიდრებში გაძვრენას. ხოლო საშუალო გლეხთა უმრავლესობას არათუ დაქირავების თავი არა აქვს, თვითონ არის იძულებული მიექირაოს სხვას.

ყველგან, სადაც იწყება ბრძოლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, მესაკუთრეებსა და მუშებს შორის, — საშუალო გლეხი შუაშია დამდგარი და არ იცის, საით წავიდეს. მდიდრები მას თავისკენ ეძახიან: შენც მეპატრონე, მესაკუთრე ხარ, რა გესაქმება ტიტველ-შიშველ მუშებთანო. მუშები კი ეუბნებიან: მდიდრები შენ მოგატყუებენ და შენვე გაგფცქვნიან, შენი შველა არ არის, თუ ჩვენ არ დაგვეხმარე ყველა მდიდრის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ეს დავა საშუალო გლეხისათვის სწარმოებს ყველგან, ყველა ქვეყანაში, სადაც კი მუშა სოციალ-დემოკრატები იბრძვიან მუშა-ხალხის გასათავისუფლებლად. რუსეთში სწორედ ახლა იწყება ეს დავა. ამიტომ ჩვენ გვმართებს განსაკუთრებით კარგად განვიხილოთ ეს საქმე და გავიგოთ ნათლად, თუ რა მოტყუებით იბირებენ მდიდრები საშუალო გლეხს, როგორ გამოვიტანოთ მზის სინათლეზე ეს მოტყუება, როგორ დავეხმაროთ საშუალო გლეხს მონახოს თავისი ნამდვილი მეგობრები. თუ რუსეთის მუშა სოციალ-დემოკრატები ერთბაშად დაადგებიან სწორ გზას, მაშინ ჩვენ გაცილებით ადრე შევძლებთ, ვიდრე ეს შესძლეს ჩვენმა ამხანაგმა მუშებმა გერმანიაში, შევქმნათ მტკიცე კავშირი სოფლის მუშა ხალხსა და ქალაქის მუშებს შორის და სწრაფად მივაღწიოთ გამარჯვებას მშრომელთა ყველა მტერზე.

## 4. ვის მიემხრობს საშუალო გლეხი? მესაკუთრეებსა და მდიდრებს თუ მუშებსა და ღარიბებს?

ყველა მესაკუთრე, მთელი ბურჟუაზია ცდილობს საშუალო გლეხის მიმხრობას იმით, რომ ჰპირდება მას ყოველგვარ ღონისძიებას მეურნეობის გასაუმჯობესებლად (იაფი გუთნე-

ბი, სასოფლო ბანკები, ბალახების თესვის შემოღება, პირუტყვისა და სასუქის იაფად მიყიდვა და სხვა ამგვარი), აგრეთვე იმით, რომ გლეხს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო კავშირების (კოოპერაციების, როგორც მათ წიგნაკებში უწოდებენ) მონაწილედ ხდის, მონაწილედ ყოველგვარ მეპატრონეთა კავშირებისა მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით. ამ გზით ბურჟუაზია ცდილობს ჩამოაშოროს მუშებთან კავშირს საშუალო და თვით წვრილი გლეხიც, თვით ნახევრადპროლეტარიც კი, ცდილობს აიძულოს ისინი მიემხრონ მდიდრებს, ბურჟუაზიას მუშებთან, პროლეტარიატთან ბრძოლაში.

მუშა სოციალ-დემოკრატები ამაზე უპასუხებენ: მეურნეობის გაუმჯობესება კარგი საქმეა. არაფერია ცუდი იმაში, რომ უფრო იაფად ყიდულობდეთ გუთნებს; დღეს ყოველი ვაჭარიც, თუ ის უჭკუო არ არის, იმას ცდილობს, რომ იაფად გაჰყიდოს და მყიდველი მიიზიდოს. მაგრამ როცა ღარიბსა და საშუალო გლეხს ეუბნებიან, მეურნეობის გაუმჯობესება და გუთნების გაიაფება თქვენ საშუალებას მოგცემთ გაჭირვებას თავი დააღწიოთ და ფეხზე დადგეთ ისე, რომ მდიდრებს სრულიად ხელი არ ახლოთო, — ეს მოტყუებაა. ყველა ამ გაუმჯობესებით, გაიაფებით და კოოპერაციით (კავშირით საქონლის გასაყიდად და შესაძენად) გაცილებით მეტს იგებენ მდიდრები. მდიდრები უფრო და უფრო ძლიერდებიან, სულ უფრო მეტად ავიწროებენ ღარიბებსაც და საშუალო გლეხებსაც. ვიდრე მდიდრები მდიდრებად რჩებიან, ვიდრე მათს ხელში არის დიდი ნაწილი მიწისაც, პირუტყვისაც, იარაღებისაც და ფულისაც, — მანამდე არათუ ღარიბი გლეხობა, არამედ საშუალო გლეხობაც ვერასდროს ვერ დააღწევს თავს გაჭირვებას. ამ გაუმჯობესებათა და კოოპერაციების საშუალებით ორიოდე საშუალო გლეხი თუ გაძვრება მდიდრებში, მაგრამ მთელი ხალხი და მთელი საშუალო გლეხობა უფრო ღრმად ჩაეფლობა გაჭირვებაში. ყველა საშუალო გლეხი მდიდრებში რომ გაძვრეს, — საჭიროა თვით ამ მდიდრების თავიდან მოშორება, მათ თავი-

დან მოშორებას კი შესძლებს მხოლოდ ქალაქის მუშების კავშირი სოფლის ღარიბებთან.

ბურჟუაზია ეუბნება საშუალო გლეხს (და თვით წვრილსაც): ჩვენ შენ მოგყიდით იაფ მიწას, იაფ გუთნებს, შენ კი მოგვყიდე შენი სული, შენ ამისათვის ხელი აიღე ყველა მდიდრის წინააღმდეგ ბრძოლაზეო.

მუშა სოციალ-დემოკრატი ამბობს: თუ მართლაც იაფად ჰყიდიან, რატომაც არ უნდა იყიდო, თუ ფული არის: ვაჭრობის საქმეა. სული კი არასდროს არ უნდა გაჰყიდო. ქალაქის მუშებთან ერთად მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელისაღება იმას ნიშნავს, რომ სამუდამოდ დარჩე სიღატაკესა და გაჭირვებაში. საქონლის გაიაფებით მდიდარი უფრო მეტად იგებს, უფრო მეტად მდიდრდება. ვისაც არასოდეს ფული არა აქვს, მას ვერავითარი გაიაფება ვერ უშველის, ვიდრე ის ამ ფულს ბურჟუაზიას არ ჩამოართმევს.

ავიღოთ მაგალითი. ბურჟუაზიის მომხრეებს თავი მოაქვთ, როგორც დიდი რამეთი, ყოველგვარი კოოპერაციებით (კავშირებით საქონლის იაფად შესაძენად და მოგებით გასაყიდად). მოიპოვებიან ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც თავისთავს «სოციალისტ-რევოლუციონერებს» უწოდებენ და რომელნიც აგრეთვე ბურჟუაზიასთან ერთად გაჰკივიან, რომ გლეხს ყველაზე მეტად კოოპერაციები ესაჭიროებაო. ჩვენშიც, რუსეთშიც, აარსებენ ყოველნაირ კოოპერაციას, მაგრამ მათი რიცხვი ჩვენში ჯერჯერობით ძალიან მცირეა, და მცირე იქნება მანამდე, ვიდრე არ გვექნება პოლიტიკური თავისუფლება. აი გერმანიაში კი ძალიან ბევრია ყოველგვარი კოოპერაცია გლეხებში. მაგრამ ნახეთ, ვის ეხმარებიან ყველაზე მეტად ეს კოოპერაციები. მთელ გერმანიაში 140 ათასი სოფლის მეურნე ღებულობს მონაწილეობას რძისა და რძის პროდუქტების გამსაღებელ ამხანაგობებში, და ამ 140 ათას მეურნეს (ჩვენ ვიღებთ ისევ მრგვალ ციფრებს სიმარტივისათვის) ჰყავს 1 100 ათასი ძროხა. მთელ გერმანიაში

ოთხ მილიონ ღარიბ გლეხს ითვლიან. აქედან მხოლოდ 40 ათასი იღებს ამხანაგობებში მონაწილეობას: მაშასადამე, ყოველი ასი ღარიბიდან ამ კოოპერაციებით სარგებლობს მხოლოდ ერთი. ამ 40 ათას ღარიბს სულ მხოლოდ 100 ათასი ძროხა ჰყავს. შემდეგ, საშუალო მეურნე, საშუალო გლეხი არის ერთი მილიონი; აქედან კოოპერაციაში მონაწილეობას იღებს 50 ათასი (მაშასადამე, ხუთი კაცი ასიდან), რომელთაც 200 ათასი ძროხა ჰყავთ. ბოლოს, მდიდარი მეურნე (ე. ი. მემამულეც და მდიდარი გლეხიც ერთად) — მესამედი მილიონია; აქედან კოოპერაციაში მონაწილეობას იღებს 50 ათასი (მაშასადამე, თვითეული ასეულიდან ჩვიდმეტი კაცი!), რომელთაც 800 ათასი ძროხა ჰყავთ!

აი ვის ეხმარებიან, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად, კოოპერაციები. აი როგორ ატყუებენ გლეხს ისინი, ვინც გაჰკივის საშუალო გლეხის ხსნაზე ათასგვარი ამნაირი კავშირით, რომლის მიზანია იაფად ყიდვა და მოგებით გაყიდვა. ბურჟუაზიას ძალიან იოლად სურს «გადაიბიროს» გლეხი სოციალ-დემოკრატებისაგან, რომლებიც თავისკენ მოუწოდებენ ღარიბებსაც და საშუალო გლეხებსაც.

ჩვენშიც აწყობენ ყველისმწარმოებელ სხვადასხვა არტელებს და სარძევე პუნქტებს. ჩვენშიც არის რამდენიც გნებავთ ხალხი, რომელიც გაიძახის: არტელები, სოფლის კავშირი და ამხანაგობანი — აი გლეხს რა სჭირდებაო. მაგრამ ერთი ნახეთ, ვისთვის არის სარფა ეს არტელები, ამხანაგობანი და სასოფლო იჯარები. ჩვენში ყოველი ასი კომლიდან ოც კომლს მაინც სრულიად არა ჰყავს ძროხა; სამ ათეულს თითო ძროხა ჰყავს: ესენი ჰყიდიან რძეს დიდი გაჭირვების გამო, მათი ბავშვები ურძეოდ რჩებიან, შიმშილობენ და ბუზებივით იხოცებიან. მდიდარ გლეხებს კი ჰყავთ სამ-სამი, ოთხ-ოთხი ძროხა და მეტიც, და ამ მდიდარი გლეხების ხელშია გლეხთა ძროხების მთელი რაოდენობის ნახევარი. ვისთვის არის სარფა ყველისმწარმოებელი არტელები? ცხადია,

უწინარეს ყოვლისა მემამულეებისა და გლეხური ბურჟუაზიისათვის. ცხადია, მათთვის ხელსაყრელია, რომ საშუალო და ღარიბი გლეხები მათ მისდევდნენ, რომ გაჭირვებიდან თავის დახსნის საშუალებად მიაჩნდეთ არა ყველა მუშის ბრძოლა მთელს ბურჟუაზიასთან, არამედ ცალკეულ წვრილ მეურნეთა მისწრაფება — თავი დააღწიონ თავის მდგომარეობას და გაძვრნენ მდიდრებში.

ამ მისწრაფებას მხარს უჭერს და ყოველნაირად აქეზებს ბურჟუაზიის ყველა მომხრე, რომელთაც წვრილი გლეხის მომხრეებად და მეგობრებად ძოაქვთ თავი. და მრავალი გულუბრყვილო ადამიანი ვერა სცნობს ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს, იმეორებს ბურჟუაზიულ სიცრუეს და ამით ფიქრობს სარგებლობა მოუტანოს წვრილსა და საშუალო გლეხს. მაგალითად, წიგნაკებსა და სიტყვებში ამტკიცებენ, წვრილი მეურნეობა ყველაზე ხელსაყრელიაო, ყველაზე შემოსავლიანია, რომ წვრილი მეურნეობა ჰყვავის; ამიტომ ყველგან ასე ბევრია მიწათმოქმედებაში წვრილი მეპატრონეო, ამიტომ ებღაუჭებიან ისინი ასე მაგრად მიწასო (და არა იმიტომ, რომ ყველა საუკეთესო მიწა დაიკავა ბურჟუაზიამ, რომელსაც ხელთ აქვს მთელი ფული, ხოლო ღარიბი გლეხობა შევიწროებულია და მთელ თავის სიცოცხლეს მიწის პატარა ნაჭერზე ჭაპანწყვეტაში ატარებს!). წვრილ გლეხს ბევრი ფული არ უნდაო, ამბობს ეს ენამოთაფლული ხალხი; წვრილი და საშუალო გლეხი მსხვილზე უფრო მომჭირნე და მუყაითია, და ცხოვრებაც უფრო უბრალოდ იცისო: იმის ნაცვლად, რომ პირუტყვს თივა უყიდოს, ის ბზით წავა იოლად; იმის ნაცვლად, რომ ძვირფასი მანქანა შეიძინოს, ის უფრო ადრე ადგება, უფრო მეტხანს იმუშავებს და მანქანას არ ჩამორჩება; იმის ნაცვლად, რომ ყოველი რემონტისათვის ფული სხვებს აძლიოს, ის უქმეებში თვითონ აიღებს ნაჯახს და გასწევს დურგლობას, რაც ბევრად უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე მსხვილ მეურნეს; იმის ნაცვლად, რომ ძვირფასი ცხენი

ან ხარი შეინახოს, ის ძროხითაც იოლად წავა ხვნაში, — გერმანიაში ყველა ღარიბი გლეხი ძროხებით ხნავს, ჩვენშიც ხალხი ისეა გაჩანაგებული, რომ ძროხებით კი არა, ძაცებითაც იწყებენ ხვნას! მერე რა ხელსაყრელია ყოველივე ეს! რამდენად იაფია! რარიგ სასიქადულოა, რომ საშუალო და წვრილი გლეხი ასეთი მუყაითი, ასე ბეჯითია, ასე უბრალოდ ცხოვრობს, არ ნებივრობს, სოციალიზმზე არ ფიქრობს და მხოლოდ თავის მეურნეობაზე ზრუნავს! ის მუშებს კი არ მისდევს, რომლებიც ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაფიცვებს აწყობენ, არამედ მდიდრებს მიჰყვება და ცდილობს კარგ ხალხში გაერიოს! აი, ყველანი რომ ასეთივე მუყაითები და ბეჯითები იყვნენ, უბრალოდ ცხოვრობდნენ, არ ლოთობდნენ, მეტ ფულს ინახავდნენ, ყოველნაირ ჩითეულზე ნაკლებს ხარჯავდნენ, შვილებს ნაკლებად იჩენდნენ, — მაშინ ყველანი კარგად იცხოვრებდნენ და არავითარი სიღატაკე და გაჭირვება არ იქნებოდაო!

ასეთ ტკბილ სიტყვებს უჭიკჭიკებს ბურჟუაზია საშუალო გლეხს, და არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომლებსაც ეს ჭიკჭიკი სჯერათ და თვითონაც იმეორებენ მას! * ნამდვილად კი ასეთი ტკბილი სიტყვები მხოლოდ მოტყუებაა, მხოლოდ გლეხის დაცინვაა და მეტი არაფერი. ეს ენამოთაფლული ადამიანები იაფსა და ხელსაყრელ მეურნეობას ეძახიან გაჭირვებას, მწარე გაჭირვებას, რომელიც საშუალო და წვრილ გლეხს აიძულებს იმუშაოს დილიდან ღამემდე, მოიკ-

* ჩვენში, რუსეთში იმ გულუბრყვილოებს, რომლებსაც საერთოდ გლეხისათვის სიკეთე სურთ და ბოლოს მაინც ამ ტკბილ სიტყვებზე გადადიან, «ნაროდნიკებს» ან აგრეთვე «წვრილი მეურნეობის მომხრეებს» უწოდებენ. უგუნურობის გამო მათ მისჩანჩალებენ აგრეთვე «სოციალისტ-რევოლუციონერები». გერმანიაშიც ცოტა არ არის ასეთი ენამოთაფლული ხალხი. ერთმა მათგანმა, ედუარდ დავიდმა, ამას წინათ დაწერა სქელი წიგნი. ამ წიგნში ის ამბობს, რომ წვრილი მეურნეობა მსხვილზე შეუდარებლად ხელსაყრელია, რადგან წვრილი გლეხი არ ეწევა ზედმეტ ხარჯებს, არ ინახავს ცხენებს მიწის დასამუშავებლად, არამედ იმავე ძროხას სჯერდება, რომელიც მას რძესაც აძლევსო.

ლოს ლუკმა-პური, ხელი აიღოს ყოველ მცირეოდენ ფულად ხარჯზეც კი. აბა რა იქნება იმაზე უფრო «იაფი» და «ხელსაყრელი», რომ სამ წელიწადს მხოლოდ პერანგის ამხანაგი ატარო, ზაფხულობით ფეხშიშველა იარო, სახნისი თოკით დაამაგრო და ძროხა სახურავის დამპალი ჩალით ჰკვებო! ერთი დაგვესვა ასეთ «იაფ» და «ხელსაყრელ» მეურნეობაზე რომელიმე ბურჟუა ან მდიდარი გლეხი, — და მას, ალბათ, დაავიწყდებოდა თავისი ტკბილი სიტყვები!

იმ ხალხს, რომელიც ხოტბას ასხამს წვრილ მეურნეობას, ხანდახან სურს სარგებლობა მოუტანოს გლეხს, ნამდვილად კი მისთვის მარტო ზიანი მოაქვს. ტკბილი სიტყვებით ისინი ისევე ატყუებენ გლეხს, როგორც ლ ა ტ ა რ ი ა ატყუებს ხალხს. ახლავე მოგახსენებთ, რა არის ლატარია. ვთქვათ, მე მყავს ძროხა, რომელიც 50 მანეთად ღირს. მინდა ეს ძროხა ლატარიაში გავითამაშო და წინადადებას ვაძლევ ყველას შეიძინონ მანეთიანი ბილეთები. მანეთად შეიძლება ძროხა გერგოთ. ხალხი ცდუნებას ეძლევა, და მანეთებიც მოჩხრიალებს. როცა ასი მანეთი მოგროვდება, მე ვაწყობ გათამაშებას: ვისაც ბილეთი ამოუვა, მას ძროხაც მანეთად ერგება, სხვები კი ხელცარიელი მიდიან. «იაფად» დაუჯდა ხალხს ეს ძროხა? არა, მეტად ძვირად დაუჯდა, ვინაიდან ის ერთიორად ძვირად გაიყიდა, ვინაიდან ორმა კაცმა (ვინც ლატარია მოაწყო და ვისაც ძროხა ერგო) მოიგო სრულიად უშრომლად, მოიგო ოთხმოცდაცხრამეტი კაცის ხარჯზე, რომლებმაც თავისი ფული დაჰკარგეს. მაშასადამე, ვინც ამბობს, ლატარია ხალხისათვის ხელსაყრელიაო, ის აშკარად ატყუებს ხალხს. სწორედ ასევე ატყუებს გლეხებს ის, ვინც მათ ჰპირდება სიღატაკისა და გაჭირვებისაგან ხსნას ყოველგვარი კოოპერაციების (კავშირები, რომელთა მიზანია საქონლის იაფად შეძენა და მოგებით გაყიდვა) საშუალებით, მეურნეობის ყოველგვარი გაუმჯობესების, ყოველგვარი ბანკების და სხვა ამგვარი საშუალებით. როგორც ლატარიაში ერთმა მოიგო და სხვებმა წააგეს, ისე აქაც: ერთი საშუალო გლეხი დახელოვნდა,

მდიდრებში გაძვრა, ხოლო ოთხმოცდაცხრამეტი მისი ამხანაგი მთელ თავის სიცოცხლეში წელზე ფეხს იდგამს და არათუ გაჭირვებას თავს ვერ აღწევს, უფრო ჩანაგდება კიდეცდაე სოფლის ყოველი მცხოვრები კარგად დააკვირდეს თავის საზოგადოებას, მთელს თავის არემარეს და თქვას: განა ბევრი საშუალო გლეხი მდიდრდება და ივიწყებს გაჭირვებას? რამდენია ისეთი, ვინც მთელ თავის სიცოცხლეში თავს ვერ აღწევს გაჭირვებას? რამდენია ისეთი, ვინც ჩანაგდება და სოფელს სტოვებს? ჩვენ'ში, მთელ რუსეთში, როგორც დავინახეთ, საშუალო გლეხთა მეურნეობა ორ მილიონზე მეტი არ არის. ვთქვათ, ყოველგვარ კავ'შირთა რიცხვი, რომელთა მიზანია იაფად შეძენა და მოგებით გაყიდვა, ათჯერ მეტი გახდა, ვიდრე ახლა არის. რა შედეგი მოჰყვება ამას? დიდი-დიდი, ასი ათასი საშუალო გლეხი თუ აიწევს მდიდრებამდე. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ასი საშუალო გლეხიდან გამდიდრებულა ხუთი. რა დაემართა დანარჩენ ოთხმოცდათხუთმეტს? მათ ისევე უმძიმთ ცხოვრება, ხოლო ბევრი მათგანის მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე გახდა! ღარიბი გლეხობა კი კიდევ უფრო მეტად გაჩანაგდა!

ცხადია, ბურჟუაზიას სწორედ ის უნდა, რომ რაც შეიძლება მეტი საშუალო და წვრილი გლეხი მისდევდეს მდიდრებს, რომ მათ ს წ ა მ დ ე თ, რომ ისინი შესძლებენ გაჭირვებას თავი დააღწიონ ბურჟუაზიასთან უბრძოლველად, რომ მათ ი მ ე დ ი ჰ ქ ო ნ დ ე თ თავისი მუყაითობის, ხელ'მოჭერილობის, თავისი გამდიდრებისა და არა სოფლისა და ქალაქის მუშებთან კავშირისა. ბურჟუაზია მთელი ძალღონით ცდილობს შეუნარჩუნოს გლეხს ეს მაცთუნებელი რწმენა და იმედი, ცდილობს მიაძინოს იგი ყოველგვარი ტკბილი სიტყვებით.

ასეთი ენამოთაფლული ხალხის სიცრუე რომ ვამხილოთ, საკმარისია მათ სამი კითხვა მივცეთ.

პირველი კითხვა. 'შეუძლია თუ არა მუშა-ხალხს თავი დააღწიოს გაჭირვებასა და სიღატაკეს, როცა რუსეთში ორას

ორმოცი მილიონი დესეტინა გამოსადეგი მიწიდან ასი მილიონი კერძო მიწათმფლობელთ ეკუთვნით? როცა თექვსმეტი ათასი უდიდესი მიწათმფლობლის ხელშია სამოცდახუთი მილიონი დესეტინა?

მეორე კითხვა. შეუძლია თუ არა მუშა-ხალხს თავი დააღწიოს გაჭირვებასა და სიღატაკეს, როცა მილიონნახევარმა მდიდრმა გლეხთა კომლმა (მთელი რიცხვიდან — ათი მილიონიდან) ხელთ იგდო გლეხთა მთელი ნათესის, გლეხთა ყველა ცხენის, გლეხთა მთელი მუშა პირუტყვის ნახევარი და გლეხთა მთელი მარაგისა და ფულადი დანაზოგის ნახევარზე ბევრად უფრო მეტი? როცა ეს გლეხური ბურჟუაზია განაგრძობს სულ უფრო და უფრო გამდიდრებას, ავიწროებს ღარიბ და საშუალო გლეხობას და ჯიბეს ისქელებს სხვისი შრომით — მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების შრომით? როცა გლეხთა ექვს მილიონნახევარი კომლი წარმოადგენს გაჩანაგებულ ღარიბ გლეხობას, რომელიც მუდამ მშიერია და საცოდავ ლუკმა-პურს ყოველგვარი დაქირავებული მუშაობით შოულობს?

მესამე კითხვა. შეუძლია თუ არა მუშა-ხალხს თავი დააღწიოს გაჭირვებასა და სიღატაკეს, როცა მთავარ ძალად ფული შეიქნა, როცა შესაძლებელია ფულით ყველაფერი იყიდო: ფაბრიკაც, მიწაც და თვით ადამიანებიც იყიდო როგორც დაქირავებული მომუშავენი, დაქირავებული მონები? როცა უფულოდ არც ცხოვრება შეიძლება, არც მეურნეობის გაძღოლა? როცა წვრილმა მეურნემ, ღარიბმა, უნდა აწარმოოს ბრძოლა მსხვილ მეპატრონესთან ფულის შოვნისათვის? როცა რამდენიმე ათასმა მემამულემ, ვაჭარმა, მეფაბრიკემ და ბანკირმა ხელში ჩაიგდო ასობით მილიონი მანეთი და, ამის გარდა, განაგებს ყველა ბანკს, რომლებშიც გროვდება ათასობით მილიონი მანეთი?

ამ კითხვებს ვერ გაექცევი ვერავითარი ტკბილი სიტყვებით წვრილი მეურნეობის ან კოოპერაციების სარფიანობის შესახებ. ამ კითხვებზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი:

ნამდვილი «კოოპერაცია», რომელსაც შეუძლია მუშა-ხალხი იხსნას, — არის სოფლის ღარიბი გლეხობის კავშირი ქალაქის მუშა სოციალ-დემოკრატებთან მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. რაც უფრო სწრაფად გაფართოვდება და განმტკიცდება ასეთი კავშირი, მით უფრო მალე გაიგებს საშუალო გლეხი ბურჟუაზიულ დაპირებათა მთელ სიყალბეს, მით უფრო მალე დადგება საშუალო გლეხი ჩვენს მხარეზე.

ბურჟუაზიამ ეს იცის, და ამიტომ, ტკბილი სიტყვების გარდა, ის ავრცელებს ყოველგვარ სიცრუეს სოციალ-დემოკრატების შესახებ. ის ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატებს სურთ წაართვან საკუთრება საშუალო და წვრილ გლეხს. ეს სიცრუეა. სოციალ-დემოკრატებს სურთ წაართვან საკუთრება მხოლოდ მსხვილ მეპატრონეებს, მხოლოდ იმათ, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს. სოციალ-დემოკრატები არასოდეს არ ჩამოართმევენ საკუთრებას წვრილსა და საშუალო მეურნეებს, რომლებიც მუშებს არ ქირაობენ. სოციალ-დემოკრატები იცავენ და ექომაგებიან მთელი მუშა-ხალხის ინტერესებს, არა მარტო ქალაქის მუშებისას, რომლებიც ყველაზე უფრო შეგნებული და ყველაზე უფრო შეკავშირებული არიან, არამედ სოფლის მუშების, აგრეთვე წვრილი ხელოსნებისა და გლეხების ინტერესებსაც, თუ ისინი მუშებს არ ქირაობენ, მდიდრებს არ მისდევენ და ბურჟუაზიის მხარეზე არ გადადიან. სოციალ-დემოკრატები იბრძვიან მუშათა და გლეხთა ცხოვრების ყოველგვარი გაუმჯობესებისათვის, როგორიც კი შესაძლებელია ახლავე, სანამ ჯერ კიდევ არ დაგვიმხია ბურჟუაზიის ბატონობა, და როგორიც კი შეგვიმსუბუქებს ამ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ სოციალ-დემოკრატები არ ატყუებენ გლეხს, ისინი ეუბნებიან მას სრულ სიმართლეს, ისინი წინდაწინ და პირდაპირ ამბობენ, რომ ვერავითარი გაუმჯობესება ვერ შესძლებს იხსნას ხალხი გაჭირვებისა და სიღატაკისაგან, ვიდ-

რე ბურჟუაზია ბატონობს. რათა მთელმა ხალხმა იცოდეს, თუ რანი არიან სოციალ-დემოკრატები და რა სურთ მათ, სოციალ-დემოკრატებმა შეადგინეს თავიანთი პროგრამა. პროგრამა არის მოკლე, ნათელი და ზუსტი განცხადება ყოველივე იმისა, რისი მოპოვებაც პარტიას სურს და რისთვისაც იგი იბრძვის. სოციალ-დემოკრატიული პარტია არის ერთადერთი პარტია, რომელიც აყენებს ნათელსა და ზუსტ პროგრამას, რათა მთელმა ხალხმა იცოდეს და ნახოს იგი, რათა პარტიაში იყვნენ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად სურთ იბრძოლონ მთელი მუშა-ხალხის განთავისუფლებისათვის ბურჟუაზიის უღლისაგან, ამასთან ისეთი ადამიანები, რომელთაც სწორად ესმით, ვინ უნდა შეერთდეს ასეთი ბრძოლისათვის და როგორ უნდა სწარმოებდეს ეს ბრძოლა. ამას გარდა, სოციალ-დემოკრატები ფიქრობენ, რომ პროგრამაში პირდაპირ, აშკარად და ზუსტად უნდა იყოს ახსნილი, რისგან წარმოსდგება მუშა-ხალხის გაჭირვება და სიღატაკე და რატომ ხდება მუშების კავშირი სულ უფრო და უფრო ფართო და უფრო და უფრო ძლიერი. არ კმარა, რომ ვთქვათ — ცუდად ვცხოვრობთო და მოვუწოდოთ ჯანყისაკენ; ამას ყოველი მყვირალაც მოახერხებს, მაგრამ ამაში დიდი არაფერი ყრია. საჭიროა მუშა-ხალხმა ნათლად გაიგოს, თუ რატომ არის ის გაჭირვებაში და ვის უნდა შეუერთდეს იგი, რომ იბრძოლოს გაჭირვებისაგან განთავისუფლებისათვის.

ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს; ვთქვით, საიდან წარმოსდგება მუშა-ხალხის გაჭირვება და სიღატაკე; ვთქვით, თუ ვის უნდა ებრძოლოს სოფლის ღარიბი გლეხობა და ვის უნდა შეუერთდეს ამნაირი ბრძოლისათვის.

ახლა ჩვენ ვიტყვით, თუ რა გაუმჯობესებანი შეგვიძლია მოვიპოვოთ ჩვენი ბრძოლით ახლავე, გაუმჯობესებანი როგორც მუშების ცხოვრებაში, ისე გლეხების ცხოვრებაში.

## 5. რა გაუმჯობესებათა მისაღწევად იბრძვიან სოციალ-დემოკრატები მთელი ხალხისა და მუშებისათვის?

სოციალ-დემოკრატები იბრძვიან მთელი მუშა-ხალხის განთავისუფლებისათვის ყოველგვარი ძარცვა-გლეჯისა, ყოველგვარი ჩაგვრისა და ყოველგვარი უსამართლობისაგან. რომ განთავისუფლდეს, მუშათა კლასი უწინარეს ყოვლისა უნდა გაერთიანდეს. ხოლო გაერთიანებისათვის საჭიროა შეერთების თავისუფლება, შეერთების უფლება, საჭიროა პოლიტიკური თავისუფლება. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ თვითმპყრობელური მართვა-გამგეობა არის ხალხის დამონება მოხელეებისა და პოლიციის მიერ. ამიტომ პოლიტიკური თავისუფლება ესაჭიროება მთელ ხალხს, გარდა ერთი მუჭა კარისკაცებისა, სასახლეში მიღებული ბობოლა პირებისა და წარჩინებული მოხელეებისა. მაგრამ ყველაზე მეტად პოლიტიკური თავისუფლება საჭიროა მუშებისა და გლეხებისათვის. მდიდრებს შეუძლიათ ფულის გადახდით თავი დააღწიონ თვითნებობას, მოხელეებისა და პოლიციის თავგასულობას. მდიდრებს შეუძლიათ თავისი საჩივრით მაღალ სფეროებამდე მივიდნენ. ამიტომ პოლიცია და მოხელეები გაცილებით უფრო იშვიათად გაბედავენ აუტეხონ შარი მდიდარ ადამიანებს, ვიდრე ღარიბებს. მუშებსა და გლეხებს არ შეუძლიათ ფულით თავი დააღწიონ პოლიციას და მოხელეებს, არა აქვთ ვისმესთან ჩივილის საშუალება, არ ძალუძთ მათი სასამართლოში დევნა. მუშები და გლეხები ვერასოდეს ვერ დააღწევენ თავს პოლიციისა და მოხელეთა მექრთამეობას, თავგასულობასა და მათგან შეურაცხყოფადამცირებას, ვიდრე სახელმწიფოში არ არის არჩევითი მართვა-გამგეობა, ვიდრე არ არის დეპუტატთა სახალხო კრება. მხოლოდ დეპუტატთა ასეთ სახალხო კრებას შეუძლია გაათავისუფლოს ხალხი მოხელეთა ბატონობისაგან. ყოველი შეგნებული გლეხი უნდა მიემხროს სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც მოითხოვენ მეფის მთავ-

რობისაგან უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად დ ე პ უ-
ტ ა ტ თ ა  ს ა ხ ა ლ ხ ო  კ რ ე ბ ი ს  მ ო წ ვ ე ვ ა ს. დეპუტა-
ტებს უნდა ირჩევდნენ ყველანი, განურჩევლად წოდებისა, განურჩევლად იმისა, მდიდარია კაცი თუ ღარიბი. არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი, მოხელეთა მხრივ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე; არჩევნების წესრიგს თვალყურს უნდა ადევნებდნენ არა ურიადნიკები და ერობის უფროსები, არამედ ნდობით აღჭურვილი პირები. მთელი ხალხის მიერ ამგვარად არჩეული დეპუტატები შესძლებენ ხალხის ყოველი ჭირ-ვარამის განხილვას, შესძლებენ რუსეთში უკეთესი წესების დამყარებას.

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ პოლიცია არ ბედავდეს გაუსამართლებლად ჩასვას ვინმე საპყრობილეში. თვითნებური დაპატიმრებისათვის მოხელეები სასტიკად უნდა ისჯებოდნენ. რათა მოხელეების თვითნებობას ბოლო მოეღოს, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ხალხი თვითონ ირჩევდეს მოხელეებს, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს უფლება — შეიტანოს საჩივარი ყოველ მოხელეზე პირდაპირ სასამართლოში. თორემ რა აზრი აქვს უჩივლოთ ურიადნიკს ერობის უფროსთან, ან ერობის უფროსს — გუბერნატორთან? რა თქმა უნდა, ერობის უფროსი მხოლოდ ხელს დააფარებს ურიადნიკს, გუბერნატორი ერობის უფროსს, ის კი არა — მომჩივანსვე მოხვდება: საპყრობილეში ჩასვამენ ან ციმბირში გაგზავნიან. მოხელეებს მხოლოდ მაშინ ექნებათ შიში, როცა ჩვენში, რუსეთში (ისე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფოში), ყოველ მოქალაქეს უფლება ექნება იჩივლოს სახალხო კრებაშიც, არჩეულ სასამართლოშიც და თავისუფლად ილაპარაკოს ან ბეჭდოს გაზეთებში თავისი გაჭირვების ამბავი.

რუსი ხალხი დღემდე მოხელეებს ბატონყმურ დამოკიდებულებაში ჰყავთ. მოხელეების ნებადაურთველად ხალხს უფლება არა აქვს გამართოს კრებები, ან გამოსცეს წიგნები და გაზეთები! განა ეს ბატონყმური დამოკიდებულება არ არის? თუ შეუძლებელია თავისუფალი კრების გამართვა, თავისუფალი წიგნის დაბეჭდვა, მაშ როგორ უნდა ეძიოს

ხალხმა სამართალი მოხელეებისა და მდიდრებისაგან შევიწროების წინააღმდეგ? რასაკვირველია, მოხელეები კრძალავენ ყოველ მართალ წიგნს, კრძალავენ ყოველ მართალ სიტყვას ხალხის გაჭირვების შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტია იძულებულია აი ეს წიგნიც საიდუმლოდ დაბეჭდოს და საიდუმლოდ გაავრცელოს: ყველას, ვისაც ამ წიგნს უნახავენ, დაუწყებენ სასამართლოებსა და საპყრობილეებში თრევას. მაგრამ მუშა სოციალ-დემოკრატებს ამისი არ ეშინიათ: ისინი სულ უფრო და უფრო მეტს ბეჭდავენ და ავრცელებენ ხალხში საკითხავად მართალ წიგნებს. და ვერავითარი საპყრობილე, ვერავითარი დევნა-შევიწროება ვერ შეაჩერებს ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას!

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ წოდებანი მოისპოს, რომ სახელმწიფოს ყველა მოქალაქე სავსებით თანასწორუფლებიანი იყოს. ახლა ჩვენში არიან უხარკო და მოხარკე წოდებანი, არიან პრივილეგიური და უპრივილეგიო წოდებანი, არის თეთრი სისხლი და შავი სისხლი. შავი ხალხისათვის წკეპლაც ისევ ძალაშია. არც ერთ ქვეყანაში არ არის მუშებისა და გლეხების ასეთი დამცირება. არც ერთ ქვეყანაში, რუსეთის გარდა, არ არის სხვადასხვანაირი კანონები სხვადასხვა წოდებისათვის. დროა რუსმა ხალხმაც მოითხოვოს, რომ ყოველ გლეხს ჰქონდეს ყ ვ ე ლ ა ი ს უ ფ ლ ე ბ ა, რაც აქვს თავად-აზნაურს. განა სამარცხვინო არ არის, რომ ბატონყმობის გადავარდნის 40 წლის შემდეგაც ისევ ხმარებაშია წკეპლა და ისევ არსებობს მ ო ხ ა რ კ ე წოდება?

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ ხალხისათვის მიმოსვლისა და საქმიანობის სრულ თავისუფლებას. რას ნიშნავს ეს: მ ი მ ო ს ვ ლ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა? ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხს ჰქონდეს უფლება წავიდეს იქ, სადაც სურს, გადასახლდეს, სადაც ნებავს, აირჩიოს რომელიც უნდა სოფელი ან ქალაქი ვისიმე ნებადაურთველად. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთშიც გაუქმდეს პასპორტები (სხვა სახელმწიფოებში დიდი ხანია პასპორტები აღარ არის), რომ ვერც

ერთმა ურიადნიკმა, ვერც ერთმა ერობის უფროსმა ვერ გაბედოს ხელი შეუშალოს ვერც ერთ გლეხს დასახლდეს და იმუშაოს იქ, სადაც მას სურს. რუსი გლეხი ჯერ კიდევ იმდენად დამონებული ჰყავთ მოხელეებს, რომ მას არ შეუძლია თავისუფლად გადასახლდეს ქალაქში, არ შეუძლია თავისუფლად წავიდეს ახალ მიწაზე. მინისტრი იძლევა განკარგულებას, რომ გუბერნატორებმა არ დაუშვან თვითნებური გადასახლებანი! გუბერნატორმა გლეხზე უკეთ იცის, საით უნდა წავიდეს გლეხი! გლეხი პატარა ბავშვია, როგორ გაბედავს დაიძრას, თუ უფროსების თანხმობა არ ექნება! განა ეს ბატონყმური დამოკიდებულება არ არის? განა ეს ხალხის აბუჩად აგდება არ არის, როცა ყოველი გაკოტრებული კუდა აზნაური, ბრძანებლობს ასაკში შესულ მეურნე-მიწათმოქმედს?

არის წიგნი, რომელსაც ჰქვია: «მოუსავლობა და ხალხის გასაჭირი» (შიმშილობა); იგი დაწერა ახლანდელმა «მიწათმოქმედების მინისტრმა» ბატონმა ერმოლოვმა. ამ წიგნში პირდაპირ ნათქვამია: გლეხი არსად არ უნდა გადასახლდეს, როცა ადგილობრივ ბატონ მემამულეებს მუშახელი სჭირდებათო. მინისტრი აშკარად, მოურიდებლად ლაპარაკობს, ის ფიქრობს — გლეხი ასეთ სიტყვებს ვერ გაიგონებს და ვერ გაიგებსო. რატომ უნდა გავუშვათ ხალხი, როცა ბატონ მემამულეებს იაფი მომუშავენი სჭირდებათო? რაც უფრო ვიწროდ ცხოვრობს ხალხი, მით უფრო სარფაა მემამულეებისათვის, მით უფრო გაუჭირდება მას, მით უფრო იაფად მიექირავება მემამულეს, მით უფრო უხმოდ აიტანს ყოველგვარ შევიწროებას. წინათ მოურავები ზრუნავდნენ ბატონების სასარგებლოდ, ახლა კი მათთვის ზრუნავენ ერობის უფროსები და გუბერნატორები. წინათ მოურავები ყმების საჯინიბოში დასჯის შესახებ განკარგულებას იძლეოდნენ, ახლა კი ერობის უფროსები იძლევიან განკარგულებას სათემო სამმართველოში გაწკეპვლის შესახებ.

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ მუდმივი ჯარი მოისპოს და მის მაგიერ სახალხო ლაშქარი შეიქმნას, რომ მთელი ხალხი იყოს შეიარაღებული. მუდმივი ჯარი არის ისე-

თი ჯარი, რომელიც მოწყვეტილია ხალხს, ამზადებენ იმისათვის, რომ ხალხს ტყვია დაუშინოს. ჯარისკაცს რომ რამდენიმე წლით ყაზარმაში არ ამწყვდევდნენ და იქ საშინლად არ გეშავდნენ, განა იგი ტყვიას დაუშენდა თავის ძმებს, მუშებსა და გლეხებს? განა ჯარისკაცი წავიდოდა დამშეული გლეხის წინააღმდეგ? მტრის თავდასხმისაგან სახელმწიფოს დასაცავად სრულებითაც საჭირო არ არის მუდმივი ჯარი; ამისათვის საკმარისია სახალხო ლაშქარი. თუ სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე შეიარაღებულია, მაშინ რუსეთისათვის არავითარი მტერი საშიში არ იქნება. ხალხი კი თავს დააღწევდა სამხედრო პირთა ბატონობის უღელს: სამხედრო საქმეზე ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ა დ ა ს ე უ ლ ი მ ი ლ ი ო ნ ობ ი თ მ ა ნ ე თ ი იხარჯება, მთელ ამ ფულს აგროვებენ ხალხისაგან, ამიტომაც არის გადასახადები ასე დიდია და ცხოვრებაც უფრო და უფრო ძნელდება. სამხედრო პირთა ბატონობა კიდევ უფრო აძლიერებს მოხელეებისა და პოლიციის ძალაუფლებას ხალხზე. სამხედრო ძალები საჭიროა სხვა ხალხების გასაძარცვავად, მაგალითად, საჭიროა იმისათვის, რომ წაართვან მიწა ჩინელებს. ხალხის მდგომარეობას ეს კი არ ამსუბუქებს, არამედ უფრო აუარესებს ახალი გადასახადების გამო. მუდმივი ჯარის შეცვლა მთელი ხალხის შეიარაღებით მეტისმეტად შეამსუბუქებდა ყველა მუშისა და ყველა გლეხის მდგომარეობას.

მათთვის უდიდესი შეღავათი იქნებოდა აგრეთვე ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა, რასაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ. არაპირდაპირი გადასახადები ეწოდება ისეთ გადასახადებს, რომლებსაც ადებენ არა მიწას ან მეურნეობას პირდაპირ, არამედ ახდევინებენ ხალხს ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ, საქონელზე უფრო მაღალი ფასის დაწესების სახით. ხაზინა გადასახადს ადებს შაქარს, არაყს, ნავთს, ასანთს და მოხმარების ყოველგვარ სხვა საგანს. ამ გადასახადს ხაზინას უხდის ვაჭარი ან მეფაბრიკე, მაგრამ, რა თქმა უნდა, უხდის არა თავისი ჯიბიდან, არამედ იმ ფულიდან, რომელსაც მყიდველნი იხდიან. ემატება ფასი

არაყს, შაქარს, ნავთს, ასანთს, და ყველა, ვინც ყიდულობს ბოთლ არაყს ან გირვანქა შაქარს, იხდის როგორც საქონლის ფასს, ისე მასზე დადებულ გადასახადსაც. ვთქვათ, მაგალითად, თქვენ იყიდეთ ერთი გირვანქა შაქარი თოთხმეტ კაპიკად; აქედან ოთხი კაპიკი (დაახლოებით) იქნება გადასახადი: შაქრის ქარხნის პატრონმა ეს გადასახადი უკვე გადაუხადა ხაზინას და აი ახლა ამ თანხას ის ახდევინებს თვითეულ მყიდველს. ამრიგად, არაპირდაპირი გადასახადები არის მოხმარების საგნებზე შემოღებული გადასახადები, რომელთაც იხდის მყიდველი საქონლის აწეული ფასის სახით. ხანდახან ამბობენ, არაპირდაპირი გადასახადები ყველაზე სამართლიანი გადასახადებიაო: ვინც რამდენს ყიდულობს, იმდენსაც იხდისო. მაგრამ ეს მართალი არ არის. არაპირდაპირი გადასახადები ყველაზე უსამართლო გადასახადებია, რადგან ღარიბებისათვის მათი გადახდა გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე მდიდრებისათვის. მდიდარი ათჯერ და შეიძლება ასჯერ მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე გლეხი ან მუშა. მაგრამ განა მდიდარს ასჯერ მეტი შაქარი ესაჭიროება? ათჯერ მეტი არაყი ან ასანთი? ან ნავთი? რა თქმა უნდა, არა. მდიდარი ოჯახი იყიდის ნავთს, არაყს და შაქარს ორჯერ, დიდი-დიდი — სამჯერ მეტს, ვიდრე ღარიბი ოჯახი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მდიდარი თავისი შემოსავლიდან გადასახადის სახით გადაიხდის ნ ა კ ლ ე ბ ნ ა წ ი ლ ს, ვიდრე ღარიბი. ვთქვათ, ღარიბ გლეხს აქვს წლიური შემოსავალი ორასი მანეთი; ვთქვათ, მან 60 მანეთად იყიდა ისეთი საქონელი, რომელზედაც დადებულია ბაჟი, რის გამოც ის გაძვირდა (შაქარსა, ასანთსა და ნავთზე დადებულია ა ქ ც ი ზ ი, ე. ი. ბაჟს მეფაბრიკე იხდის უფრო ადრე, ვიდრე საქონელი ბაზარზე გამოვიდოდეს; სახაზინო არაყზე ხაზინამ პირდაპირ ასწია ფასი; ფართლეულობა, რკინა და სხვა საქონელი გაძვირდა, იმიტომ რომ იაფ საზღვარგარეთულ საქონელს რუსეთში არ უშვებენ, თუ მას დიდი ბაჟი არ დაადეს). ამ სამოცი მანეთიდან ო ც ი მ ა ნ ე თ ი იქნება გადასახადი. მაშასადამე, თავისი შემოსავლის ყოველ მანეთზე ღარიბი გადაიხდის ო რ შ ა უ რ ს არაპირ-

დაპირი გადასახადის სახით (აქ არ შედის პირდაპირი გადასახადები, გამოსასყიდი, საღალო, მიწისა, საერობო, სათემო, სასოფლო). მდიდარ გლეხს კი აქვს ათასი მანეთი შემოსავალი; ვთქვათ, მან იყიდა ასორმოცდაათი მანეთის საქონელი, რომელზედაც დადებულია ბაჟი. ის გადაიხდის ორმოცდაათ მანეთ გადასახადს (ამ ასორმოცდაათი მანეთიდან). მაშასადამე, თავისი შემოსავლის ყოველ მანეთზე მდიდარი გადაიხდის არაპირდაპირი გადასახადის სახით მხოლოდ შაურს. რაც უფრო მდიდარია კაცი, მით უფრო ნაკლებ არაპირდაპირ გადასახადს იხდის თავისი შემოსავლიდან. ამიტომ არაპირდაპირი გადასახადები ყველაზე უსამართლო გადასახადებია. არაპირდაპირი გადასახადები — ესაა გადასახადები ღარიბებისაგან. გლეხები და მუშები ერთად შეადგენენ მთელი მოსახლეობის $^{9}/_{10}$-ს და იხდიან ყველა არაპირდაპირი გადასახადის $^{8}/_{10}$-ს თუ $^{8}/_{10}$-ს. ყველა შემოსავლიდან კი გლეხები და მუშები ღებულობენ, ალბათ, არა უმეტეს $^{4}/_{10}$-სა! და აი, სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას და პროგრესიული გადასახადის დაწესებას შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე. ეს ნიშნავს: რაც მეტია შემოსავალი, მით უფრო მეტი უნდა იყოს გადასახადი. ვისაც აქვს ათასი მანეთი შემოსავალი, გადაიხადოს თითო კაპიკი მანეთზე, ვისაც აქვს 2 000 მანეთი — ორ-ორი კაპიკი მანეთზე და ასე შემდეგ. ვისაც ფრიად მცირე შემოსავალი აქვს (მაგალითად, არა უმეტეს ოთხასი მანეთისა), სრულიად არაფერს არ იხდის. ყველაზე მდიდრები იხდიან ყველაზე დიდ გადასახადებს. ასეთი გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ან, უკეთ, პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადი, გაცილებით უფრო სამართლიანი იქნებოდა არაპირდაპირ გადასახადებზე. ამიტომაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას და პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადის შემოღებას. მაგრამ გასაგებია, რომ ეს არა სურს არც ერთ მესაკუთრეს, მთელ ბურჟუაზიას, ისინი ეწინააღმდეგებიან ამას. მხოლოდ სოფ-

ლის ღარიბი გლეხობისა და ქალაქის მუშების მტკიცე კავშირს შეუძლია გამოჰგლიჯოს ხელიდან ბურჟუაზიას ეს გაუმჯობესება.

ბოლოს, მთელი ხალხისა და განსაკუთრებით სოფლის ღარიბი გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების უფასო სწავლებას, რასაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ. ახლა სოფლად გაცილებით ნაკლებია სკოლა, ვიდრე ქალაქად, ამასთანავე ყველგან მხოლოდ მდიდარ კლასებს, მხოლოდ ბურჟუაზიას აქვს საშუალება მისცეს თავის ბავშვებს კარგი განათლება. მხოლოდ ყველა ბავშვის უფასო და სავალდებულო სწავლება იხსნის ხალხს, ნაწილობრივ მაინც, დღევანდელი სიბნელისაგან. ხოლო ამ სიბნელისაგან განსაკუთრებით იტანჯება სოფლის ღარიბი გლეხობა, და მას განსაკუთრებით ესაჭიროება განათლება. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ გვინდა ნამდვილი, თავისუფალი განათლება და არა ისეთი, როგორიც სურთ მოხელეებსა და ხუცებს.

შემდეგ, სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ ყველას ჰქონდეს სრული უფლება აღიაროს სრულიად თავისუფლად ის სარწმუნოება, რომელიც მას სურს. ევროპის სახელმწიფოებიდან მხოლოდ რუსეთსა და თურქეთში დარჩა სამარცხვინო კანონები იმათ წინააღმდეგ, ვინც სხვა, არა მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებს, კანონები მწვალებლების, სექტანტების, ებრაელების წინააღმდეგ. ეს კანონები ან პირდაპირ კრძალავენ რომელიმე სარწმუნოებას, ან კრძალავენ მის გავრცელებას, ან კიდევ უსპობენ ზოგიერთ უფლებას გარკვეული სარწმუნოების მიმდევრებს. ყველა ეს კანონი ყველაზე უსამართლო, ყველაზე ძალმომრეობითი, ყველაზე სამარცხვინოა. ყველას უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება არა მარტო აღიაროს რომელიც უნდა სარწმუნოება, არამედ გაავრცელოს კიდეც რომელი სარწმუნოებაც სურს და გამოიცვალოს სარწმუნოება. არც ერთ მოხელეს არ უნდა ჰქონდეს იმისი უფლებაც კი, რომ ჰკითხოს, ვინც უნდა იყოს, სარწმუნოების შე-

სახებ: ეს სინდისის საქმეა, და მასში ჩარევას არავინ არ უნდა ბედავდეს. არავითარი «გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი» სარწმუნოება ან ეკლესია არ უნდა იყოს. ყველა სარწმუნოება, ყველა ეკლესია კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს. სხვადასხვა სარწმუნოების მღვდლები უნდა შეინახონ იმათ, ვინც ამ სარწმუნოებას ეკუთვნის, ხოლო ხაზინის ფულით სახელმწიფო არც ერთს სარწმუნოებას არ უნდა ეხმარებოდეს, არ უნდა ინახავდეს არც ერთი სარწმუნოების მღვდლებს, არც მართლმადიდებელთ, არც მწვალებლების, არც სექტანტების ან სხვა რომელიმე სარწმუნოების მღვდლებს. აი რისთვის იბრძვიან სოციალ-დემოკრატები, და ვიდრე ეს ღონისძიებანი არ იქნება გატარებული ისე, რომ არავითარი მომიზეზება არ იყოს და არავითარი გასაძრომ-გამოსაძრომი არ დარჩეს, მანამდე ხალხი ვერ განთავისუფლდება სამარცხვინო პოლიციური დევნისაგან სარწმუნოებისათვის და არანაკლებ სამარცხვინო პოლიციური მოწყალებისაგან ერთი რომელიმე სარწმუნოების სასარგებლოდ.

* * *

ჩვენ განვიხილეთ, თუ რა გაუმჯობესებას მოითხოვენ სოციალ-დემოკრატები მთელი ხალხისა და განსაკუთრებით ღარიბი გლეხობისათვის. ახლა ვნახოთ, რა გაუმჯობესებას მოითხოვენ ისინი მუშებისათვის, არა მარტო ფაბრიკისა და ქალაქის, არამედ სოფლის მუშებისთვისაც. ფაბრიკისა და ქარხნის მუშები ცხოვრობენ უფრო ვიწროდ, უფრო შემჭიდროებულად; ისინი მუშაობენ მსხვილ სახელოსნოებში; მათთვის უფრო ადვილია ისარგებლონ განათლებული სოციალ-დემოკრატების დახმარებით. ყველა ამ მიზეზის გამო ქალაქის მუშებმა ყველაზე გაცილებით ადრე დაიწყეს ბრძოლა მეპატრონეებთან და მოიპოვეს უფრო მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი, მიაღწიეს აგრეთვე საფაბრიკო კანონების გამოცემას. მაგრამ სოციალ-დემოკრატები იბრძვიან იმისათვის, რომ ასეთივე გაუმჯობესებანი შეეხოს ყ ვ ე ლ ა მუშას: შინამრეწველებსაც, რომლებიც მუშაობენ მეპატრონეთა-

თვის სახლში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, — წვრილ ოსტატთა და ხელოსანთა მიერ დაქირავებულ მუშებსაც, მშენებელ მუშებსაც (დურგლები, კალატოზები და სხვები), ხე-ტყის მუშებსაც, შავ მუშებსაც, — და სწორედ ასევე სოფლის მუშებსაც. ყველა ეს მუშა ახლა იწყებს მთელ რუსეთში გაერთიანებას, ფაბრიკის მუშების მსგავსად და ფაბრიკის მუშების დახმარებით; იწყებს გაერთიანებას ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის, უფრო მცირე სამუშაო დღისათვის, უფრო მაღალი ხელფასისათვის საბრძოლველად. და სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის ამოცანად ისახავს მხარი დაუჭიროს ყველა მუშას საუკეთესო ცხოვრებისათვის ბრძოლაში, დაეხმაროს ყველა მათ, რათა მტკიცე კავშირებად დაირაზმონ (გაერთიანდნენ) ყველაზე მტკიცე და საიმედო მუშები, დაეხმაროს მათ წიგნებისა და ფურცლების გავრცელებით, ახლებთან გამოცდილი მუშების გაგზავნით და საერთოდ დაეხმაროს ყველაფრით, რითაც კი შეიძლება. როდესაც ჩვენ პოლიტიკურ თავისუფლებას მოვიპოვებთ, მაშინ დეპუტატთა სახალხო კრებაშიც გვეყოლება ჩვენი ხალხი, მუშა-დეპუტატები, სოციალ-დემოკრატები; ისინი, როგორც მათი ამხანაგები სხვა ქვეყნებში, მუშებისათვის სასარგებლო კანონების გამოცემას მოითხოვენ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ყველა იმ გაუმჯობესების ჩამოთვლას, რომლებსაც მოითხოვს მუშებისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტია: ეს გაუმჯობესებანი ჩამოთვლილია პროგრამაში, და დაწვრილებით განმარტებულია წიგნში «მუშათა საქმე რუსეთში». აქ საკმარისი იქნება დავასახელოთ უმთავრესი გაუმჯობესებანი. სამუშაო დღე არ უნდა აღემატებოდეს დღე-ღამეში რვა საათს. მუშას ყოველთვის უნდა ჰქონდეს დასასვენებლად კვირაში ერთი თავისუფალი დღე. სრულიად უნდა აიკრძალოს ზედმეტი სამუშაოები, აგრეთვე ღამით მუშაობაც. ბავშვებს 16 წლამდე უფასო სწავლა უნდა ეძლეოდეთ, და ამიტომ ამ ასაკამდე ისინი არ უნდა იქნან დაშვებულნი დაქირავებით მუშაობაზე. მავნე წარმოე-

ბებში ქალებმა არ უნდა იმუშაონ. მუშაობის დროს ყოველ-
გვარი დასახიჩრებისათვის დამქირავებელი ვალდებულია
მისცეს მუშას საზღაური, — მაგალითად, სალეწი ან სანიავე-
ბელი მანქანებით მუშაობის დროს დასახიჩრებისათვის და
სხვ.. ყველა დაქირავებული მუშა უნდა ღებულობდეს ხელ-
ფასს ყოველთვის ყ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ა დ და არა ორ
თვეში ერთხელ ან სამ თვეში ერთხელ, როგორც ეს ხშირად
ხდება სოფლად სამუშაოზე დაქირავებისას. მუშებისათვის
მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველკვირა წესიერად
მიიღონ ხელფასი და ამასთან აუცილებლად ნაღდ ფულად
და არა საქონლით. დამქირავებელთ ძლიერ უყვართ მოახ-
ვიონ თავზე მუშებს ხელფასის ანგარიშში ყოველგვარი ნა-
ყარ-ნუყარი საქონელი მამასისხლად. რათა ბოლო მოეღოს
ამ უმსგავსობას, აუცილებლად საჭიროა კანონით აიკრძალოს
ხელფასის გაცემა საქონლით. შემდეგ, მოხუცებული მუშები
უნდა ღებულობდნენ პენსიას სახელმწიფოსაგან. მუშები
თავისი შრომით არჩენენ ყველა მდიდარ კლასს და მთელს
სახელმწიფოს, ამიტომ მათ არანაკლები უფლება აქვთ
მიიღონ პენსია, ვიდრე მოხელეებს, რომლებიც მას ღებუ-
ლობენ. მეპატრონეებმა თავისი მდგომარეობის ბოროტად
გამოყენება და მუშების სასარგებლოდ შემოღებული წესე-
ბის დარღვევა რომ არ გაბედონ, — უნდა დაინიშნონ ინსპექ-
ტორები, რომლებიც მეთვალყურეობას გაუწევენ არა მარტო
ფაბრიკებს, არამედ აგრეთვე მემამულეთა დიდ მეურნეობებს
და საერთოდ ყველა საწარმოს, სადაც იყენებენ დაქირავებულ
მუშებს. მაგრამ ეს ინსპექტორები მოხელეები კი არ უნდა
იყვნენ; მათ არ უნდა ნიშნავდნენ მინისტრები ან გუბერნა-
ტორები; ისინი არ უნდა იყვნენ პოლიციის სამსახურში. ინ-
სპექტორებად უნდა იყვნენ ა რ ჩ ე უ ლ ი მ უ შ ე ბ ი; ხაზინა
უნდა აძლევდეს ჯამაგირს მუშათა იმ რწმუნებულთ, რომ-
ლებსაც მუშები თვითონ აირჩევენ თავისუფლად. და ასეთი
არჩეული მუშა-დეპუტატები თვალყურს უნდა ადევნებდნენ
იმასაც, რომ მუშების ბინები კარგად მოვლილი იყოს, რომ
მეპატრონეებმა არ აიძულონ მუშები რაღაც ძაღლის ხუხუ-

ლებსა და მიწურებში იცხოვრონ (როგორც ეს ხშირად ხდება სოფლის სამუშაოებზე), რომ ცხოვრებაში ტარდებოდეს წესები მუშების დასვენების შესახებ, და სხვ. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუშების მიერ არჩეული ვერავითარი დეპუტატები ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანენ, ვიდრე არ იქნება პოლიტიკური თავისუფლება, ვიდრე პოლიცია ყოვლისშემძლეა და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი არ არის. ყველამ იცის, რომ პოლიცია ახლა გაუსამართლებლად აპატიმრებს არა მარტო მუშათა დეპუტატებს, არამედ აგრეთვე ყოველ მუშას, რომელიც გაბედავს ილაპარაკოს ყველას მაგიერ, ამხილოს კანონის დარღვევა და მოუწოდოს მუშებს გაერთიანებისაკენ. მაგრამ როცა ჩვენში იქნება პოლიტიკური თავისუფლება, მაშინ მუშათა დეპუტატები ძალიან დიდ სარგებლობას მოიტანენ.

ყველა დამქირავებელთ (მეფაბრიკეებს, მემამულეებს, მოიჯარადრეებს, მდიდარ გლეხებს) სრულიად უნდა აეკრძალოთ თვითნებურად გამოუქვითონ რამე მუშებს ხელფასიდან, როგორიცაა, მაგალითად, გამოქვითვა წუნდებული საქონლისათვის, გამოქვითვა ჯარიმის სახით და სხვ. ეს უკანონობა და ძალადობაა, რომ დამქირავებელნი მუშებს თვითნებურად უქვითავენ ხელფასიდან. დამქირავებელმა არავითარი სახით და არავითარი გამოქვითვით არ უნდა დაუკლოს მუშას ხელფასი. მეპატრონემ თვითონ კი არ უნდა მოაწყოს მუშის გასამართლება, თვითონ კი არ უნდა დაადოს მას სასჯელი (კარგი მოსამართლე კი იქნება ის, ვინც მუშის გამონაქვითს იჯიბავს!), არამედ ნამდვილ სასამართლოს უნდა მიმართოს, — და ეს სასამართლო თანაბრად უნდა იყოს არჩეული მუშათა და მეპატრონეთა დეპუტატებისაგან. მხოლოდ ასეთ სასამართლოებს შეუძლიათ სამართლიანად გაარჩიონ ყოველგვარი უკმაყოფილება მეპატრონეებისა მუშების მიმართ და მუშებისა მეპატრონეთა მიმართ.

აი რა გაუმჯობესებისათვის იბრძვიან სოციალ-დემოკრატები მთელი მუშათა კლასისათვის. ყოველ მამულში, ყოველ

ეკონომიაში და ყოველ მოიჯარადრესთან მუშები უნდა ცდილობდნენ განიხილონ საიმედო პირებთან ერთად, თუ რა და რა გაუმჯობესება არის მათთვის საჭირო, რა მოთხოვნები უნდა წამოაყენონ მათ (სხვადასხვა ქარხანაში, სხვადასხვა ეკონომიაში და სხვადასხვა მოიჯარადრესთან მუშათა მოთხოვნები, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირი იქნება).

სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ეხმარებიან მუშებს, რომ მათ მთელ რუსეთში ზუსტად და ნათლად განსაზღვრონ თავიანთი მოთხოვნები, აგრეთვე გამოსცენ ნაბეჭდი ფურცლები, სადაც გადმოცემული იქნება ეს მოთხოვნები, რათა მათ იცნობდეს ყველა მუშა, მეპატრონე და მთავრობა. როცა მუშები თავის მოთხოვნებს იცავენ ერთსულოვნად, ერთი კაცივით, მეპატრონეები იძულებული არიან დასთმონ და დათანხმდნენ. ამ გზით მუშებმა ქალაქებში უკვე მიაღწიეს მრავალ გაუმჯობესებას, ახლა კი შინამრეწველნიც, ხელოსანი მუშებიც და სოფლის მუშებიც აგრეთვე იწყებენ შეკავშირებას და თავისი მოთხოვნებისათვის ბრძოლას. ვიდრე ჩვენში არ არის პოლიტიკური თავისუფლება, ჩვენ ფარულად ვაწარმოებთ ამ ბრძოლას, ვემალებით პოლიციას, რომელიც კრძალავს ყოველგვარ ფურცლებს და მუშათა ყოველგვარ გაერთიანებას. ხოლო როცა პოლიტიკურ თავისუფლებას მოვიპოვებთ, მაშინ ამ ბრძოლას გავაჩაღებთ უფრო ფართოდ და აშკარად, ყველას წინაშე, რათა მთელი რუსეთის მუშა-ხალხი შეკავშირდეს და უფრო ერთსულოვნად დაიცვას თავი შევიწროებისაგან. რაც უფრო მეტი მუშა გაერთიანდება მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მით უფრო მეტი იქნება მათი ძალა, მით უფრო მალე მიაღწევენ ისინი მუშათა კლასის სრულ განთავისუფლებასაც ყოველგვარი ჩაგვრისაგან, ყოველგვარი დაქირავებული შრომისაგან და ყოველგვარი მუშაობისაგან ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

* * *

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს გაუმჯობესებას არა მარტო მუშებისა-

თვის, არამედ ყველა გლეხისათვისაც. ახლა ვნახოთ, რა გაუმჯობესებას მოითხოვს იგი ყველა გლეხისათვის.

## 6. რა გაუმჯობესებათა მისაღწევად იბრძვიან სოციალ-დემოკრატები ყველა გლეხისათვის?

ყველა მშრომელის სრული განთავისუფლებისათვის სოფლის ღარიბმა გლეხობამ, ქალაქის მუშებთან შეკავშირებულმა, უნდა აწარმოოს ბრძოლა მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მის შორის მდიდარი გლეხების წინააღმდეგაც. მდიდარი გლეხები ეცდებიან ნაკლები ხელფასი მისცენ თავის მოჯამაგირეებს, ხოლო ამუშაონ მეტი და უფრო მძიმე პირობებში; ქალაქისა და სოფლის მუშები კი მოითხოვენ, რომ მდიდარი გლეხების მოჯამაგირენიც ღებულობდნენ უკეთეს ქირას და მუშაობდნენ უფრო იოლად, დასვენებით. მაშასადამე, სოფლის ღარიბმა ხალხმა უნდა შეადგინოს თავისი განსაკუთრებული კავშირები, რომლებშიც ადგილი არ უნდა ჰქონდეთ მდიდარ გლეხებს, — ეს ჩვენ უკვე ვთქვით და ამას ყოველთვის ვიმეორებთ.

მაგრამ რუსეთში ყველა გლეხი ერთად, მდიდარიც და ღარიბიც, ბევრ რამეში წინანდებურად ისევ ყმა არის: ისინი ყველანი შეადგენენ დაბალ, შავ, მოხარკე წოდებას; ისინი ყველანი დამონებული ჰყავთ პოლიციის მოხელეებსა და ერობის უფროსებს; ისინი ყველანი ძალიან ხშირად ძველებურად ბატონის სასარგებლოდ მუშაობენ ჩამონაჭერი მიწებისათვის, წყალსალევის, საძოვრისა და სათიბისათვის, — სწორედ ისე, როგორც მუშაობდნენ ბატონისათვის ბატონყმობის დროს. ყველა გლეხს სურს განთავისუფლდეს ამ ახალი ბატონყმური მდგომარეობიდან, ყველას სურს იყოს სრულუფლებიანი, ყველას სძულს მემამულეები, რომლებიც დღემდე აიძულებენ მათ იარონ საბატონო სამუშაოზე — «შრომით მიუგონ» ბატონ თავად-აზნაურთ მიწისთვისაც, საძოვრისა, წყალსალევისა და სათიბისთვისაც, იმუშაონ «წანახედისთვისაც» და დედაკაცების სამკელად გაგზავნის «პატივისთვისაც». ღარიბი გლეხობა

მთელი ამ შრომამიგებით უფრო მეტად იტანჯება, ვიდრე მდიდარი გლეხი. მდიდარი გლეხი ფულის საშუალებით ხანდახან თავს აღწევს მებატონისათვის მუშაობას, მაგრამ მაინც მდიდარ გლეხსაც მეტწილად ძლიერ ავიწროებენ მემამულეები. მაშასადამე, სოფლის ღარიბებმა უნდა იბრძოლონ თავისი უუფლებობის წინააღმდეგ, ყოველგვარი საბატონო მუშაობის წინააღმდეგ და ყოველგვარი შრომამიგების წინააღმდეგ მდიდარ გლეხებთან ერთად. ს რ უ ლ დამონებას, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ სიღატაკეს თავს დავაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა დავძლევთ მ თ ე ლ ბურჟუაზიას (მის შორის მდიდარ გლეხებსაც). მაგრამ არის ისეთი დამონება, რომელსაც ჩვენ ა დ რ ე დავაღწევთ თავს, იმიტომ რომ ეს დამონება მდიდარ გლეხსაც ძალიან აწუხებს. რუსეთში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ადგილები და ოლქები, სადაც ძალიან ხშირად ყველა გლეხი დღემდე სავსებით ყმების მდგომარეობაშია. ამიტომ ყველა რუსმა მუშამ და სოფლის მთელმა ღარიბმა გლეხობამ ო რ ი ვ ე ხ ე ლ ი თ ო რ მ ხ ა რ ე ზ ე უ ნ დ ა ა წ ა რ მ ო ო ნ ბ რ ძ ო ლ ა: ერთი ხელით — ბ რ ძ ო ლ ა ყ ვ ე ლ ა ბ ურ ჟ უ ა ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ყ ვ ე ლ ა მ უ შ ა ს თ ა ნ შ ე კ ა ვ შ ი რ ებ უ ლ ა დ; მეორე ხელით — ბ რ ძ ო ლ ა ს ო ფ ლ ა დ მ ო ხ ე ლ ე ე ბ ი ს, მ ე მ ა მ უ ლ ე-მ ე ყ მ ე ვ ე ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ყველა გლეხთან შეკავშირებულად. თუ სოფლის ღარიბმა გლეხობამ არ შეადგინა თავისი განსაკუთრებული კავშირი, მდიდარი გლეხებისაგან განცალკევებულად, მაშინ მდიდარი გლეხები მას მოატყუებენ, მშრალზე დასტოვებენ, თვითონ მემამულეებად გადაიქცევიან, ხოლო ბოგანოს არა მარტო ბოგანოდ დასტოვებენ, არამედ მას გაერთიანების თავისუფლებასაც აღარ მისცემენ. თუ სოფლის ღარიბმა გლეხობამ ბატონყმური მონობის წინააღმდეგ არ იბრძოლა მდიდარ გლეხებთან ერთად, მაშინ იგი ხელებშეკრული, ერთ ადგილზე მიჯაჭული დარჩება, მაშინ მასაც არ ექნება სრული თავისუფლება ქალაქის მუშებთან შეერთებისათვის.

სოფლის ღარიბმა გლეხებმა ჯერ მემამულეებს უნდა დაჭკრან და დააღწიონ თავი თუნდაც მხოლოდ ყველაზე ბოროტსა და ყველაზე მავნე ბატონყმურ დამონებას; — ამ საქმეში სოფლის ღარიბ გლეხებთან იქნება აგრეთვე მრავალი მდიდარი გლეხი და ბურჟუაზიის მომხრეც, იმიტომ რომ მემამულეთა მედიდურობამ ყველას თავი მოაბეზრა. მაგრამ როგორც კი მემამულეთა ბატონობას შევკვეცავთ, მაშინვე თავს წამოჰყოფს მდიდარი გლეხი და ყველაფერს თავის თათებს წაუპოტინებს, მისი თათები კი ბლომად ხვეტავენ და უკვე ახლაც ბევრი აქვთ ახვეტილი. მაშასადამე, საჭიროა ყური გამახვილებული გვქონდეს და ქალაქის მუშებთან მტკიცე, დაურღვეველი კავშირი შევკრათ. ქალაქის მუშები დაგვეხმარებიან მემამულესაც ბატონკაცური ზვიადობა დავაკიწყოთ და მდიდარ გლეხსაც ჭკუა ვასწავლოთ (ისე, როგორც მათ რაოდენადმე უკვე ასწავლეს ჭკუა თავის პატრონ მეფაბრიკეებსაც). სოფლის ღარიბი გლეხები ვერ ასოდეს ვერ დააღწევენ თავს ყოველგვარ მონობას, ყოველგვარ გაჭირვებას და სიღატაკეს, თუ მათ არ ექნებათ კავშირი ქალაქის მუშებთან; ქალაქის მუშათა გარდა ამ საქმეში ღარიბ გლეხობას არავინ დაეხმარება, და არც შეიძლება ვისიმე იმედი გვქონდეს, ჩვენი თავის გარდა. მაგრამ არის ისეთი გაუმჯობესებანი, რომლებსაც ჩვენ უფრო ადრე მივაღწევთ, რომლებიც შეგვიძლია მივიღოთ ახლავე, ამ დიადი ბრძოლის დასაწყისშივე. რუსეთში მრავალი ისეთი მონობაა, რომელიც სხვა ქვეყნებში უკვე დიდი ხანია აღარ არის, და აი ამ მოხელურ მონობას, ამ ბატონურ, ბატონყმურ მონობას ახლავე შეუძლია დააღწიოს თავი მთელმა რუსმა გლეხობამ.

ჩვენ განვიხილავთ ახლა, თუ რა გაუმჯობესების მიღწევა უნდა უწინარეს ყოვლისა, პირველ რიგში, მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რათა იხსნას მთელი რუსი გლეხობა თუნდაც ყველაზე ბოროტი, ბატონყმური მონობისაგან და ხელფეხი გაუხსნას სოფლის ღარიბ გლეხობას რუსეთის მთელ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველი მოთხოვნაა: ახლავე გაუქმდეს ყველა გამოსასყიდი გადასახდელი, ყველა საღალო გამოსაღები, ყველა ბეგარა, რაც აწევს «მოხარკე» გლეხობას. როცა თავად-აზნაურთა კომიტეტები და რუსეთის მეფის თავადაზნაურული მთავრობა გლეხებს ბატონყმური დამოკიდებულებისაგან «ათავისუფლებდნენ», მათ აიძულეს გლეხები გამოეყიდათ თავისი საკუთარი მიწები, გამოეყიდათ მიწები, რომელთაც გლეხები ძველთაგანვე ხნავდნენ! ეს იყო გაძარცვა. თავად-აზნაურთა კომიტეტები პირდაპირ სძარცვავდნენ გლეხებს მეფის მთავრობის დახმარებით. მეფის მთავრობა მრავალ ადგილას გზავნიდა ჯარებს საწესდებო სიგელების[87] ძალით შემოსაღებად, სამხედრო ეგზეკუციის ჩასაყენებლად გლეხებში, რომელთაც არ სურდათ «მათხოვრული» ჩამოჭრილი ნადელები მიეღოთ. ჯარი რომ არ დაეხმარებინათ, წამებისა და ხოცვა-ჟლეტისათვის რომ არ მიემართათ, ისე თავად-აზნაურთა კომიტეტები ვერასოდეს ვერ შესძლებდნენ გლეხების ასე უტიფრად გაძარცვას, როგორც ეს მათ ჩაიდინეს ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გლეხთა განთავისუფლების დროს. გლეხებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, თუ როგორ ატყუებდნენ და სძარცვავდნენ მათ მემამულეთა, თავად-აზნაურთა კომიტეტები, — იმიტომ რომ მეფის მთავრობა დღესაც ყოველთვის თავად-აზნაურთა ან მოხელეთა კომიტეტებს ნიშნავს, როცა საქმე გლეხებისათვის ახალ კანონებს ეხება. ამას წინათ მეფემ გამოსცა მანიფესტი (1903 წლის 26 თებერვლის თარიღით), სადაც ის გვპირდება გლეხების შესახებ კანონების გადასინჯვას და გაუმჯობესებას. ვინ გადასინჯავს? ვინ გააუმჯობესებს? — ისევ თავად-აზნაურნი, ისევ მოხელეები! გლეხები ყოველთვის მოტყუებულნი დარჩებიან, ვიდრე ისინი არ მიაღწევენ იმას, რომ გლეხთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაარსებულ იქნან გლეხთა კომიტეტები. კმარა რაც გლეხებს მბრძანებლობდნენ მემამულეები, ერობის უფროსები და ათასგვარი მოხელეები! კმარა ეს ბატონყმური დამოკიდებულება ყოველგვა-

რი ურიადნიკისაგან, ლოთობასგადაყოლილი ყოველგვარი აზნაურიშვილისაგან, რომელსაც უწოდებენ ერობის უფროსს, ბოქაულს ან გუბერნატორს! გლეხებმა უნდა მოითხოვონ, რომ მათ მისცენ თავისუფლება თვითონვე მოაგვარონ თავისი საქმეები, თვითონვე მოიფიქრონ, მიუთითონ და გაატარონ ახალი კანონები. გლეხებმა უნდა მოითხოვონ თავისუფალი, არჩეული გლეხთა კომიტეტები, — ვიდრე ამას არ მოიპოვებენ, მათ ყოველთვის მოატყუებენ და გაძარცვავენ თავად-აზნაურები და მოხელეები. არავინ არ გაათავისუფლებს გლეხებს წურბელა მოხელეებისაგან, თუ გლეხები თავის თავს თვით არ გაითავისუფლებენ, თუ ისინი არ შეკავშირდებიან, რომ თვითონ აიღონ თავის საკუთარ ხელში თავისი ბედიღბალი.

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ არა მარტო გამოსასყიდი გადასახდელის, საღალო გადასახდელისა და ყოველგვარი ბეგარის სრულსა და დაუყოვნებლივ გაუქმებას, არამედ ისინი მოითხოვენ კიდევ იმ ფულის დაბრუნებას ხალხისათვის, რომელიც გამოსასყიდი ფულის სახით მას გადაახდევინეს. მთელ რუსეთში გლეხებმა ასეული მილიონები გადაიხადეს მას შემდეგ, რაც ისინი ბატონყმობისაგან გაათავისუფლეს თავად-აზნაურთა კომიტეტებმა. ეს ფული გლეხებმა უკან უნდა მოითხოვონ. დაე მთავრობამ დაადოს განსაკუთრებული გადასახადი მსხვილ თავად-აზნაურ მიწათმფლობელთ, დაე ჩამოართვას მიწები მონასტრებსა და საუფლისწულო უწყებას (ე. ი. მეფის გვარეულობას), დაე დეპუტატთა სახალხო კრებამ მოიხმაროს ეს ფული გლეხთა სასარგებლოდ. არსად დედამიწაზე გლეხი ისე დაბეჩავებული, ისე გაღატაკებული არ არის, არსად ისე საშინლად არ იხოცება შიმშილით მილიონობით გლეხობა, როგორც რუსეთში. გლეხი ჩვენში შიმშილით სიკვდილამდე მიიყვანეს, იმიტომ რომ ის გაძარცვეს ჯერ კიდევ თავად-აზნაურთა კომიტეტებმა, იმიტომ რომ მას შემდეგ გლეხს ყოველწლიურად სძარცვავენ, როცა ახდევინებენ ძველ ხარკს მებატონე ნაშიერთათვის, ართმევენ გამოსასყიდს და

საღალო გადასახადებს. დაე ამისათვის პასუხი აგონ იმათ, ვინც ძარცვას ეწევა. დაე მსხვილი მემამულე თავად-აზნაურებისაგან აიღონ ფულები, რათა სერიოზული დახმარება გავუწიოთ დამშეულებს. დამშეულ გლეხს არ უნდა მოწყალება, არ უნდა ნაბოძები გროშები. დაე მან მოითხოვოს იმ ფულის დაბრუნება, რომელსაც ის წლითიწლობით უხდიდა შემამულეებსა და სახელმწიფოს. მაშინ დეპუტატთა სახალხო კრება და გლეხთა კომიტეტები შესძლებენ ნამდვილი, სერიოზული დახმარება გაუწიონ დამშეულებს.

შემდეგ. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს ახლავე ურთიერთთავდებობისა და ყველა იმ კანონის სრულ გაუქმებას, რომლებიც ზღუდავენ გლეხს მოიხმაროს თავისი მიწა, როგორც მას სურს. მეფის 1903 წლის 26 თებერვლის მანიფესტი ურთიერთთავდებობის გაუქმებას გვპირდება. ახლა უკვე გამოიცა მისი გაუქმების კანონი. მაგრამ ეს ცოტაა. ამას გარდა საჭიროა დაუყოვნებლივ გაუქმდეს ყველა კანონი, რომლებიც ზღუდავენ გლეხს მოიხმაროს თავისი მიწა, როგორც მას სურს. სხვაფრივ, ურთიერთთავდებობაც რომ გაუქმდეს, გლეხი მაინც სავსებით თავისუფალი ვერ იქნება, ის ისევ ნახევრადყმა დარჩება. გლეხმა უნდა მიიღოს თავისი მიწის განკარგულების სრული თავისუფლება: არავის არ ჰკითხოს, ისე გასცეს იგი ან მიჰყიდოს ვისაც სურს. მეფის ბრძანებულებამ სწორედ ამის ნება არ დართო: ყველა თავად-აზნაურს, ვაჭრებსა და მეშჩანებს შეუძლიათ მიწის თავისუფლად მოხმარება, გლეხს კი არ შეუძლია. გლეხი პატარა ბავშვია. მას უნდა მიუჩინო ერობის უფროსი, რომ ძიძასავით თვალყური ადევნოს. გლეხს უნდა აეკრძალოს თავისი ნადელის გაყიდვა, თორემ გლეხი ფულს გაფლანგავსო! — აი როგორ მსჯელობენ ბატონყმობის დამცველნი, და მოიპოვებიან გულუბრყვილონი, რომლებიც მათ უჯერებენ და, გლეხისათვის სიკეთეს მოწადინებულნი, ამბობენ: გლეხს მიწის გაყიდვა უნდა აეკრძალოსო. ნაროდნიკებიც კი (რომელთა შესახებ ჩვენ წინათ ვლაპარაკობდით) და ის ადამიანები,

რომელნიც თავისთავს «სოციალისტ-რევოლუციონერებს» უწოდებენ, აგრეთვე აჰყოლიან ამას და ფიქრობენ: უკეთესია ჩვენი გლეხი ცოტაოდნად ყმად დარჩეს, ოღონდ მიწას ნუ გაჰყიდისო.

სოციალ-დემოკრატები ამბობენ: ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა, მხოლოდ ბატონკაცობაა, მხოლოდ ტკბილი სიტყვებია! როცა ჩვენ სოციალიზმს მოვიპოვებთ, როდესაც მუშათა კლასი დაამარცხებს ბურჟუაზიას, — მაშინ მთელი მიწა საერთო იქნება, მაშინ ა რ ა ვ ი ს ექნება მიწის გაყიდვის უფლება. კარგი, მაგრამ მანამდე როგორ მოვიქცეთ? აზნაურსა და ვაჭარს შეუძლიათ გაჰყიდონ, ხოლო გლეხს არ შეუძლია!? აზნაური და ვაჭარი თავისუფალნი არიან, გლეხი კი ისევ ნახევრადყმა იქნება!? გლეხმა ისევ უფროსებს უნდა სთხოვოს მიწის გაყიდვის ნებართვა!?

ეს არის მხოლოდ მოტყუება, თუმცა ტკბილი სიტყვებით დაფარული, მაგრამ მაინც მოტყუება.

სანამ თავად-აზნაურსა და ვაჭარს აძლევენ მიწის გაყიდვის ნებას, მანამდე გლეხსაც უნდა ჰქონდეს ს რ უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ა გაჰყიდოს თავისი მიწა და ს რ უ ლ ი ა დ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ მოიხმაროს იგი ისევე, როგორც აზნაური და ვაჭარი.

როდესაც მუშათა კლასი გაიმარჯვებს მთელ ბურჟუაზიაზე, მაშინ ის წაართმევს მიწას მსხვილ მეპატრონეთ, მაშინ ის მოაწყობს დიდ ეკონომიებში ს ა ა მ ხ ა ნ ა გ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს, რათა მიწა მუშებმა დაამუშაონ ერთად, თანაზიარად, თავისუფლად ამოირჩიონ სანდო ხალხი საქმის გამძღოლებად. მათ ექნებათ შრომის გასაადვილებლად ყოველგვარი მანქანები, მუშაობა იქნება შენაცვლებით, დღეში რვა საათზე (იქნებ ექვს საათზეც) მეტს არ იმუშავებს თვითეული. მაშინ წვრილი გლეხიც, რომელიც მოისურვებს ძველებურად მარტოხელა გაუძღვეს მეურნეობას, იმუშავებს არა ბაზრისათვის, არა იმისათვის, რომ მიჰყიდოს პირველ შეხვედრილ კაცს, არამედ მუშათა ამხანაგობებისათვის: წვრილი გლეხი მიაწოდებს მუშების ამხანაგობას პურს, ხორცს, ბოსტნეულს,

მუშები კი მისცემენ მას უფულოდ მანქანებს, პირუტყვს, მიწის სასუქს, ტანსაცმელს და ყველაფერს, რაც მას სჭირდება. მაშინ აღარ იქნება ბრძოლა მსხვილსა და წვრილ მეურნეს შორის ფულისათვის, მაშინ აღარ იქნება ქირით მუშაობა სხვისთვის, არამედ ყველა იმუშავებს თავისთვის, მუშაობის ყველა გაუმჯობესება და მანქანები გამოყენებული იქნება თვით მუშების სასარგებლოდ, მათი შრომის გასაადვილებლად, მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

მაგრამ ყოველ გონიერ ადამიანს ესმის, რომ ერთბაშად სოციალიზმის მოპოვება შეუძლებელია: ამისათვის საჭიროა თავგამოდებული ბრძოლა მთელ ბურჟუაზიასთან, ყველა და ყოველგვარ მთავრობასთან, ამისთვის საჭიროა შეიქმნას მთელ რუსეთში ქალაქის მუშებისა და სოფლის ღარიბი გლეხების მტკიცე, ურღვევი კავშირი. ეს დიადი საქმეა, და ღირს მისთვის ადამიანმა სიცოცხლეც გასწიროს. ხოლო სანამ ჩვენ არ მიგვიღწევია სოციალიზმისათვის, მანამდე მსხვილი მეპატრონე ყოველთვის აწარმოებს ბრძოლას წვრილ მეპატრონესთან ფულის გულისთვის: ნუთუ მსხვილი მეპატრონე თავისუფალი იქნება მიწაც გაჰყიდოს, ხოლო წვრილი გლეხი — არა? ვიმეორებთ: გლეხები უსუსური ბავშვები არ არიან და არავის მისცემენ მათზე ბრძანებლობის ნებას. გლეხებმა უნდა მიიღონ ყ ვ ე ლ ა ი ს უ ფ ლ ე ბ ა, სრულიად შეუზღუდავად ყველა უფლება, რაც თავად-აზნაურებსა და ვაჭრებს აქვთ.

კიდევ ამბობენ: გლეხს თავისი მიწა კი არა აქვს, არამედ საზოგადოებრივი. შეუძლებელია ყველას ნება მიეცეს საზოგადოებრივი მიწა გაყიდოსო. — და ესეც მხოლოდ მოტყუებაა. განა თავად-აზნაურებსა და ვაჭრებს არა აქვთ აგრეთვე საზოგადოებანი? განა თავად-აზნაურები და ვაჭრები არ ერთდებიან აგრეთვე კომპანიებად, ერთად არ ყიდულობენ მიწებსა და ფაბრიკებს და რასაც მოისურვებენ? მაშ რატომ არ იგონებენ სათავადაზნაურო საზოგადოებათათვის რაიმე შეიწროებას, მაშინ როდესაც პოლიციის ყოველი არამზადა ცდილობს გლეხისათვის მოიგონოს ათასგვარი შეზღუდვა და აკრძალვა? მოხელეებისაგან გლეხებს კარგი არასოდეს უნა-

ხავთ, არამედ უნახავთ მხოლოდ ცემატყეპა, გამოძალვა და შეურაცხყოფა. გლეხები ვერასოდეს ვერ ეღირსებიან სიკეთეს, სანამ ყველა თავის საქმეს თავის ხელში არ აიღებენ, სანამ არ მოიპოვებენ სრულ თანასწორუფლებიანობასა და სრულ თავისუფლებას. თუ გლეხები მოისურვებენ რომ მათი მიწა იყოს საზოგადოებრივი, — ვერავინ უნდა გაბედოს მათთვის ხელის შეშლა და ისინი ნებაყოფლობით შეთანხმდებიან და შეადგენენ თავის საზოგადოებას ვისგანაც სურთ და როგორც სურთ, დაწერენ საზოგადოებრივ ხელშეკრულებას, როგორიც სურთ, სრულიად თავისუფლად. და ვერც ერთმა მოხელემ ვერ უნდა გაბედოს გლეხთა საზოგადოებრივ საქმეებში თავისი ცხვირის ჩაყოფა. ვერავინ ვერ უნდა გაბედოს გლეხის გაცურება და მისთვის შევიწროებისა და აკრძალვის გამოგონება.

* * *

დასასრულ, სოციალ-დემოკრატები გლეხებისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვენ. მათ სურთ ახლავე, დაუყოვნებლივ, შეზღუდონ მემამულეთა მიერ გლეხის ბატონყმურად დამონება. მთელ დამონებას ჩვენ, რა თქმა უნდა, თავს ვერ დავაღწევთ, ვიდრე დედამიწაზე არსებობს გაჭირვება, ხოლო გაჭირვება იარსებებს მანამდე, ვიდრე მიწა და ფაბრიკები ბურჟუაზიის ხელშია, ვიდრე ქვეყნად მთავარი ძალა ფულია, ვიდრე სოციალისტური საზოგადოება არ დამყარდება. მაგრამ რუსეთის სოფელში ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი განსაკუთრებით მწარე მონობა, რომელიც არ არის სხვა ქვეყნებში, თუმცა იქ ჯერ სოციალიზმი არ არის განხორციელებული. რუსეთში ბევრია კიდევ ბატონყმური მონობა; ეს მონობა სასარგებლოა ყველა მემამულისათვის, სჩაგრავს ყველა გლეხს, იგი შეიძლება და უნდა მოისპოს ახლავე, დაუყოვნებლივ, პირველ რიგში.

განვმარტოთ, თუ რას ვუწოდებთ ჩვენ ბატონყმურ მონობას.

სოფლის ყოველმა მცხოვრებმა იცის ასეთი შემთხვევები. მემამულის მიწა გლეხის მიწის გვერდით არის. ბატონყმობის გადავარდნის დროს გლეხებს ჩამოაჭრეს მათთვის აუცილებელი მიწები, ჩამოაჭრეს საძოვარი, საბალახო, ჩამოაჭრეს ტყე, წყალსალევი. გლეხს არ შეუძლია ცხოვრება, თუ არ ექნება ეს ჩამონაჭერი მიწა, საძოვარი, წყალსალევი. უნდა თუ არ უნდა, გლეხი იძულებულია მივიდეს მემამულესთან და სთხოვოს ნებართვა გაუშვას მისი პირუტყვი წყალზე, ან მისცეს საძოვარი და სხვა ამგვარი. მემამულე კი თავის მეურნეობას არ უძღვება, შეიძლება, არც არავითარი ფული აქვს და მხოლოდ იმით ცხოვრობს, რომ იმონებს გლეხებს. გლეხები მისთვის უსასყიდლოდ მუშაობენ ჩამონაჭრებით სარგებლობისათვის, ხნავენ თავისი ცხენებით მემამულის მიწას, მკიან მის პურს, სთიბავენ მის მინდვრებს, ლეწავენ მისთვის, ხოლო ზოგიერთ ადგილას იქამდეც კი მიდის საქმე, რომ ბატონის მიწას აყრიან თავის, გლეხურ, ნაკელს, ბატონის სახლში მიაქვთ აგრეთვე ტილოს ქსოვილები, კვერცხი და მიჰყავთ ყოველგვარი საკლავი. სწორედ ისე, როგორც ბატონყმობის დროს იყო! მაშინ გლეხები მუქთად მუშაობდნენ იმ ბატონისათვის, რომლის მამულშიც ცხოვრობდნენ, დღესაც ძალიან ხშირად ბატონისთვის მუქთად მუშაობენ, სწორედ იმავე მიწისათვის, რომელიც გლეხებს ჩამოართვეს თავადაზნაურთა კომიტეტებმა მათი განთავისუფლების დროს. ეს იგივე საბატონო ბეგარაა. გლეხები თვითონ უწოდებენ ამ მუშაობას ზოგიერთ გუბერნიაში საბატონო ბეგარას ან საპანო ბეგარას. სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ ბატონყმურ მონობას. მემამულეთა, თავად-აზნაურთა კომიტეტები ბატონყმობისაგან განთავისუფლების დროს განზრახ ისე აწყობდნენ საქმეს, რომ მათ შეძლებოდათ გლეხების ძველებურად დამონება, განზრახ ჩამოჭრიდნენ ხოლმე გლეხთა ნაფელებს, მემამულის მიწას სოლივით შეჭრიდნენ გლეხის მიწაში, რომ გლეხს ქათმის გამოსაშვები ადგილიც არ დარჩენოდა, განზრახ გადაასახლებდნენ გლეხს უვარგის მიწაზე, განზრახ ზღუდავდნენ მემამულის მიწით პირუტყვის სასმელი წყლისაკენ მიმავალ

გზას, — ერთი სიტყვით, საქმეს ისე აჭახრაკებდნენ, რომ გლეხები ხაფანგში გაბმულიყვნენ, რომ წინანდებურად შესაძლებელი ყოფილიყო შიშველი ხელით გლეხების ტყვედ შეპყრობა. და რამდენია, უთვალავია ჩვენში ჯერ კიდევ ისეთი სოფელი, სადაც გლეხები მეზობელ მემამულეთა ტყვეობაში არიან, ისეთსავე ტყვეობაში, როგორშიც ბატონყმობის დროსაც იყვნენ. ასეთ სოფლებში მდიდარი გლეხიც და ღარიბი გლეხიც ერთად არიან ხელფეხშეკრულნი და მემამულის მიერ დამონებულნი. ეს ღარიბი გლეხისათვის გაცილებით უფრო სამძიმოა, ვიდრე მდიდარი გლეხისათვის. მდიდარ გლეხს ხანდახან თავისი მიწაცა აქვს, მას შეუძლია თავის მაგიერ მოჯამაგირეც გაგზავნოს საბატონო ბეგარაზე, ღარიბი გლეხი კი ვერსად წავა და მემამულე მას სულსა ხდის. ასეთი მონობის დროს ღარიბ გლეხს ხშირად ამოსუნთქვისთვისაც აღარ სცალია, სხვაგან წასვლაც არ შეუძლია, რადგან ბატონისათვის მუშაობს, ფიქრიც არ შეიძლება იმაზე, რომ ის თავისუფლად გაერთიანდეს ერთ კავშირად, ერთ პარტიად სოფლის ყველა ღარიბთან და ქალაქის მუშებთან.

მაშ, არის თუ არა რაიმე საშუალება, რომ ახლავე, ამჟამადვე, ერთბაშად მოვსპოთ ასეთი მონობა? სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ამ მიზნისთვის გლეხებს ო რ საშუალებას მიუთითებს. მაგრამ ჩვენ ერთხელ კიდევ გავიმეორებთ, რომ ყველა და ყოველგვარი მონობისაგან მთელი ღარიბი ხალხის განთავისუფლება შეუძლია მარტო სოციალიზმს, რადგან სანამ მდიდრებს ძალა აქვთ, ისინი ასე თუ ისე ყოველთვის შეავიწროებენ ღარიბებს. ერთბაშად მთელი მონობის სრულიად მოსპობა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ძლიერ შევკვეცოთ უბოროტესი, ყველაზე საძაგელი, ბატონყმური მონობა, რომელიც სულს უხუთავს ღარიბებსაც, საშუალოებსაც და თვით მდიდარ გლეხებსაც, ახლავე შეიძლება გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქება.

ამისათვის არსებობს ორი საშუალება.

პირველი საშუალება — თავისუფლად არჩეული სასამართლოები სოფლის მოჯამაგირეთა და უღარიბეს გლეხთა, აგრეთვე მდიდარ გლეხთა და მემამულეთა სანდო პირებისაგან.

მეორე საშუალება — თავისუფლად არჩეული გ ლ ე ხ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი. ამ გლეხთა კომიტეტებს უნდა ჰქონდეთ უფლება არა მარტო განიხილონ და მიიღონ ყოველგვარი ზომები საბატონო მუშაობის მოსასპობად და ბატონყმობის ნაშთების აღმოსაფხვრელად, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ აგრეთვე უფლება ვისაც ჯერ არს ჩ ა მ ო ა რ თ ვ ა ნ ჩ ა მ ო ნ ა ჭ ე რ ი მ ი წ ე ბ ი და გ ლ ე ხ ებ ს დ ა უ ბ რ უ ნ ო ნ.

განვიხილოთ ცოტა უფრო ვრცლად ორივე ეს საშუალება. თავისუფლად არჩეული სანდო პირთა სასამართლოები გაარჩევენ გლეხების ყველა საჩივარს დამონების შესახებ. ასეთ სასამართლოებს უფლება ექნებათ შეამცირონ მიწის საიჯარო ქირა, თუ მემამულეებმა ისარგებლეს გლეხების გაჭირვებით და ძლიერ გაადიდეს იგი. ასეთ სასამართლოებს უფლება ექნებათ იხსნან გლეხები გადაჭარბებული გადასახდელისაგან, — მაგალითად, თუ მემამულემ ნახევარ ფასად დაიქირავა გლეხი ზამთარში საზაფხულო სამუშაოზე, — სასამართლო გაარჩევს ამ საქმეს და დაადგენს სამართლიან ფასს. ასეთი სასამართლო, ცხადია, უნდა შესდგებოდეს არა მოხელეებისაგან, არამედ თავისუფლად არჩეული სანდო პირებისაგან; სოფლის მოჯამაგირეებსა და სოფლის ღარიბებს აუცილებლად უნდა ჰყავდეთ თავიანთი არჩეული პირები და რიცხვით იმაზე არა ნაკლები, რამდენიც მდიდარ გლეხებსა და მემამულეებს ეყოლებათ. ასეთი სასამართლოები გაარჩევენ აგრეთვე მუშებსა და მეპატრონეებს შორის წამოჭრილ ყველა საქმეს. ასეთი სასამართლოების დროს მუშებისა და მთელი სოფლის ღარიბი გლეხობისათვის უფრო ადვილი იქნება თავიანთ უფლებათა დაცვა, ერთმანეთთან შეკავშირება და იმის სწორი გამოცნობა, თუ ვინ არის საიმედო და ვინ დაიცავს ერთგულად ღარიბებსა და მუშებს.

მეორე საშუალება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ეს არის გ ლ ე ხ თ ა თავისუფალი კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი, არჩეული მოჯამაგირეების, ღარიბი, საშუალო და მდიდარი გლეხების სანდო წარმომადგენლებისაგან ყოველ მაზრაში (თუ გლეხებმა საჭიროდ დაინახეს, მაზრაში შეიძლება არჩეულ იქნას რამდე-

ნიმე კომიტეტი; შეიძლება ასეთი კომიტეტი მოეწყოს ყოველ ვოლოსტსა და ყოველ დიდ სოფელში). თვით გლეხებზე უკეთ არავინ იცის, თუ რა მონობა ახრჩობს მათ. გლეხებზე უკეთ ვერავინ შესძლებს ამხილოს მემამულეები, რომლებიც დღემდეც ბატონყმური დამონების საშუალებით ცხოვრობენ. გლეხთა კომიტეტები გაარჩევენ, თუ რა და რა ჩამონაჭერი მიწები, სათიბები, საძოვრები და სხვა წაერთვათ უსამართლოდ გლეხებს, გაარჩევენ, უსასყიდლოდ ჩამოერთვას თუ არა ეს მიწები, თუ მსხვილ თავად-აზნაურთა ხარჯზე აუნაზღაურდეთ იმათ, ვინც ეს მიწები იყიდა. ყოველ შემთხვევაში, გლეხთა კომიტეტები იმ მახეებიდან მაინც გაათავისუფლებენ გლეხებს, რომლებშიც ისინი მოამწყვდია მრავალმა თავად-აზნაურულმა, მემამულურმა კომიტეტმა. გლეხთა კომიტეტები იხსნიან გლეხებს მოხელეთა ჩარევისაგან, ცხადჰყოფენ, რომ გლეხებს თვითონ სურთ და შეუძლიათ მოაგვარონ თავიანთი საქმეები, დაეხმარებიან გლეხებს მოილაპარაკონ თავის საჭიროებაზე და კარგად გამოიცნონ ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ ერთგულად დაიცვან სოფლის ღარიბი გლეხები და ქალაქის მუშებთან კავშირი. გლეხთა კომიტეტები პირველი ნაბიჯია იმისა, რომ გლეხები თვით მიყრუებულ სოფლებშიც საკუთარ ფეხზე დადგნენ და თავისი ბედიღბალი საკუთარ ხელში აიღონ.

აი ამიტომ აფრთხილებენ გლეხებს მუშა სოციალ-დემოკრატები:

ნუ დაუჯერებთ თავად-აზნაურთა ნურავითარ კომიტეტებს, მოხელეთა ნურავითარ კომისიებს.

მოითხოვეთ დეპუტატთა საყოველთაო-სახალხო კრება.

მოითხოვეთ გლეხთა კომიტეტების დაარსება.

მოითხოვეთ ყოველგვარი წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვის სრული თავისუფლება.

როდესაც ყველას და თვითეულს უფლება ექნება თავის-

უფლად, უშიშრად გამოსთქვას თავისი აზრები და თავისი სურვილები დეპუტატთა საყოველთაო-სახალხო კრებაზეც, გლეხთა კომიტეტებშიც, გაზეთებშიც, — მაშინ ძალიან მალე გამოჩნდება, ვინ არის მუშათა კლასის მხარეზე და ვინ — ბურჟუაზიის მხარეზე. ახლა ადამიანთა დიდი უმრავლესობა ამაზე სრულიად არ ფიქრობს, ზოგიერთები მალავენ თავიანთ ნამდვილ აზრს, ზოგიერთებმა ჯერ კიდევ თვითონ არ იციან, ზოგიერთები განზრახ ატყუებენ სხვებს. მაშინ კი ყველა ამაზე დაიწყებს ფიქრს, თავის დამალვა საჭირო არ იქნება, და მთელი საქმე მალე გამოირკვევა. ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ ბურჟუაზია მიიმხრობს მდიდარ გლეხებს. რაც უფრო მალე და რაც უფრო ფართოდ მოხერხდება ბატონყმური მონობის მოსპობა, რაც უფრო მეტ ნამდვილ თავისუფლებას მოიპოვებენ გლეხები, მით უფრო სწრაფად შეკავშირდებიან სოფლის ღარიბი გლეხები, მით უფრო სწრაფად გაერთიანდება მთელ ბურჟუაზიასთან მდიდარი გლეხობაც. და დაე, გაერთიანდნენ: ჩვენ ეს არ გვაშინებს, თუმცა მშვენივრად ვიცით, რომ მდიდარი გლეხობა ამ გაერთიანებით უფრო გაძლიერდება. ჩვენც ხომ გავერთიანდებით, და ჩ ვ ე ნ ი კ ა ვ შ ი რ ი — სოფლის ღარიბი გლეხებისა და ქალაქის მუშების კავშირი — განუზომლად უფრო მრავალრიცხოვანი იქნება, იგი იქნება ათეული მილიონების კავშირი ასეული ათასების კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ბურჟუაზია შეეცდება (ის უკვე ახლაც ცდილობს!) თავის მხარეზე გადაიბიროს საშუალო გლეხებიც და წვრილი გლეხებიც კი, შეეცდება მოატყუოს ისინი, შეეცდება შეაცდინოს, გასთიშოს ისინი, დაჰპირდეს თვითეულ მათგანს, რომ მასაც გაამდიდრებს. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა საშუალებითა და სიცრუით იმხრობს ბურჟუაზია საშუალო გლეხს. ამიტომ ჩვენ წინდაწინ უნდა ავუხილოთ თვალები სოფლის ღარიბებს, წინდაწინ უნდა განვამტკიცოთ მათი განსაკუთრებული კავშირი ქალაქის მუშებთან მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

დაე სოფლის ყოველმა მცხოვრებმა კარგად მიმოიხედოს თავის ირგვლივ. რა ხშირად ლაპარაკობენ მდიდარი გლეხები ბატონების წინააღმდეგ, მემამულეების წინააღმდეგ! რო-

გორ ჩივიან ისინი ხალხის შევიწროებაზე, იმაზე, რომ ბატონების მიწა ტყუილად ცდება! როგორ უყვართ მათ ბაასი (პირისპირ) იმაზე, რომ საჭიროა გლეხებმა მიწა ხელში ჩაიგდონ!

განა დაიჯერება ის, რასაც მდიდრები ამბობენ? არა. მათ მიწა უნდათ არა ხალხისათვის, არამედ თავისთვის. მათ უკვე დღესაც ბლომად აქვთ ნაყიდი თუ იჯარით აღებული მიწა, მაგრამ მაინც ეცოტავებათ. მაშასადამე, სოფლის ღარიბებს დიდხანს არ მოუხდებათ მემამულეთა წინააღმდეგ მდიდრებთან ერთად სიარული. მხოლოდ პირველი ნაბიჯი შეგვიძლია მათთან ერთად გადავდგათ, მერე კი ცალცალკე დაგვჭირდება წასვლა.

აი რატომ არის საჭირო, რომ ჩვენ ნათლად გამოვაცალკევოთ ეს პირველი ნაბიჯი სხვა ნაბიჯებისაგან და ჩვენი უკანასკნელი, მთავარი ნაბიჯისაგან. სოფლად პირველი ნაბიჯი იქნება გლეხის სრული განთავისუფლება, სრული უფლებების მინიჭება, გლეხთა კომიტეტების მოწყობა ჩამონაჭრების დასაბრუნებლად. ჩვენი უკანასკნელი ნაბიჯი კი ქალაქადაც და სოფლადაც ერთი იქნება: ჩამოვართმევთ ყველა მიწას, ყველა ფაბრიკას მემამულეებსა და ბურჟუაზიას და მოვაწყობთ სოციალისტურ საზოგადოებას. პირველსა და უკანასკნელ ნაბიჯს შუა ჩვენ კიდევ დიდი ბრძოლა დაგვჭირდება, და ვინც ერთმანეთში ურევს პირველ ნაბიჯსა და უკანასკნელ ნაბიჯს, ის ვნებს ამ ბრძოლას, ის, თავისდაუნებურად, თვალს უხვევს სოფლის ღარიბ გლეხობას.

პირველ ნაბიჯს სოფლის ღარიბი გლეხობა ყველა გლეხთან ერთად გადასდგამს: შეიძლება ზოგიერთი კულაკი ჩამოშორდეს, შეიძლება ასში ერთ გლეხს საჩოთიროდ არ მიაჩნდეს ყოველგვარი უღელი. მაგრამ მთელი უზარმაზარი მასა აქ ჯერ ისევ ერთად გამოვა: თანასწორი უფლებები საჭიროა

მთელი გლეხობისათვის. მემამულის უღელი ყველას ხელ-ფეხს უბორკავს. ხოლო რაც შეეხება უკანასკნელ ნაბიჯს, მას ყველა გლეხი ერთად ვერადროს ვერ გადასდგამს: აქ უკვე მთელი მდიდარი გლეხობა მოჯამაგირეების წინააღმდეგ გამოვა. აქ ჩვენ უკვე გვჭირდება მტკიცე კავშირი სოფლის ღარიბი გლეხობისა ქალაქის მუშა სოციალ-დემოკრატებთან. ვინც ეუბნება გლეხებს, რომ მათ ერთბაშად შეუძლიათ გადასდგან პირველი ნაბიჯიც და უკანასკნელი ნაბიჯიც, ის ატყუებს გლეხს, ის ივიწყებს დიდ ბრძოლას თვით გლეხებს შორის, დიდ ბრძოლას სოფლის ღარიბებსა და მდიდარ გლეხებს შორის.

ამიტომ არის, რომ სოციალ-დემოკრატები ერთბაშად ოქროს სასახლეებს არ ჰპირდებიან გლეხს. ამიტომ არის, რომ სოციალ-დემოკრატები უწინარეს ყოვლისა მოითხოვენ სრულ თავისუფლებას ბრძოლისათვის, მთელი მუშათა კლასის დიდი, ფართო, სრულიად-სახალხო ბრძოლისათვის მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ არის, რომ სოციალ-დემოკრატები მიუთითებენ პირველ პატარა, მაგრამ საიმედო ნაბიჯზე.

ზოგიერთები ფიქრობენ, თითქოს ჩვენი მოთხოვნა, რომ დაარსდეს გლეხთა კომიტეტები დამონების შეზღუდვისა და ჩამონაჭრების დაბრუნების მიზნით, რაღაც ღობე იყოს, რაღაც ზღუდე. შესდექ, ამ ღობის იქით ნუ წახვალ. იმათ, ვინც ასე ფიქრობს, ძალიან ცუდად გაუგიათ, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს. დამონების შეზღუდვისა და ჩამონაჭრების დაბრუნების მიზნით გლეხთა კომიტეტების დაარსების მოთხოვნა ზღუდე როდი არის. ეს არის კარი. უწინარეს ყოვლისა ეს კარი უნდა გავიაროთ, რომ შემდეგ წინ წავიდეთ, რომ ღია, ფართო გზით ვიაროთ ბოლომდე, მთელი მშრომელი მუშა-ხალხის სრულ განთავისუფლებამდე რუსეთში. ვიდრე გლეხობას ეს კარი არ გაუვლია, ის სიბნელეში, მონობაში რჩება, მას არ ექნება სრული უფლებანი, არ ექნება სრული, ნამდვილი თავისუფლება, ის იმასაც ვერ შესძლებს, რომ ერთმანეთში საბოლოოდ გამოარკვიოს, თუ

ვინ არის მუშა-კაცის მეგობარი და ვინ — მისი მტერი. ამიტომ არის, რომ სოციალ-დემოკრატები ამ კარზე მიუთითებენ და ამბობენ, რომ მთელი სოფელი, მთელი ხალხი უწინარეს ყოვლისა ამ კარს უნდა მიაწვეს და იგი ერთიანად გამოამტვრიოს. თორემ, აი არიან ადამიანები, რომელნიც თავისთავს ნაროდნიკებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს უწოდებენ, რომელთაც აგრეთვე სიკეთე სურთ გლეხისათვის; ისინი ხმაურობენ, გაჰკივიან, ხელებს იქნევენ, უნდათ გლეხს დაეხმარონ, მაგრამ ამ კარს ვერ ხედავენ! ეს ადამიანები იმდენად დაბრმავებულნი არიან, რომ ამბობენ: სრულიად არ არის საჭირო გლეხს მივცეთ უფლება თავისუფლად მოიხმაროს თავისი მიწაო! გლეხისათვის სიკეთე სურთ, მაგრამ ხანდახან სწორედ ისე მსჯელობენ, როგორც ბატონყმობის დამცველნი! ასეთი მეგობრებისაგან ხეირი ცოტა იქნება. მერე რაა, რომ გლეხისათვის ყოველი სიკეთე გსურს, თუ ნათლად ვერ ხედავ სწორედ იმ პირველ კარს, რომელიც გამოსამტვრევია? რა გამოვა იქიდან, რომ შენც სოციალიზმისაკენ მიისწრაფვი, თუ ვერ ხედავ, როგორ უნდა გამოხვიდე სოციალიზმისათვის თავისუფალი სახალხო ბრძოლის გზაზე არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც, არა მარტო მემამულეების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე ბობოლების წინააღმდეგ საზოგადოების, თემის შიგნით?

სწორედ ამიტომ მიუთითებენ სოციალ-დემოკრატები ასე დაჟინებით ამ ახლობელ და პირველ კარზე. ის კი არაა დღეს ძნელი, რომ ყოველგვარი კარგი სურვილები გამოსთქვათ, არამედ ის, რომ სწორი გზა უჩვენოთ, რომ ნათლად გაიგოთ, როგორ უნდა გადავდგათ უპირველესი ნაბიჯი. რომ რუსი გლეხი წელშია გაწყვეტილი კაბალით, რომ რუსი გლეხი სანახევროდ ისევ ყმად დარჩა, — ამაზე უკვე ორმოცი წელიწადია ლაპარაკობს და წერს გლეხის ყველა მეგობარი. იმის შესახებ, თუ რა საძაგლად სძარცვავენ და იმონებენ გლეხს მემამულეები ყოველგვარი ჩამონაჭრების საშუალებით, გლეხის ყველა მეგობრის მიერ დაწერილია მრა-

ვალი წიგნი დიდი ხნით ადრე, ვიდრე რუსეთში სოციალ-დემოკრატები გაჩნდებოდნენ. რომ გლეხს უნდა დახმარება ახლავე, დაუყოვნებლივ, რომ საჭიროა უღლიდან მისი რამდენადმე მაინც განთავისუფლება, — ამას დღეს უკვე ყველა პატიოსანი ადამიანი ხედავს, ამაზე თვით ჩვენი პოლიციური მთავრობის მოხელეებიც კი იწყებენ ლაპარაკს. მთელი კითხვა ისაა, როგორ მოვკიდოთ ხელი საქმეს, როგორ გადავდგათ პირველი ნაბიჯი, რომელი ქარი შევამტვრიოთ უწინარეს ყოვლისა.

ამ კითხვაზე სხვადასხვა ადამიანები (იმათგან, ვისაც გლეხისათვის სიკეთე უნდა) ორ სხვადასხვა პასუხს იძლევიან. სოფლის ყოველი პროლეტარი უნდა ეცადოს უფრო ნათლად გაიგოს ორივე პასუხი და თავისთვის გარკვეული და მტკიცე აზრი შეადგინოს. ერთ პასუხს იძლევიან ნაროდნიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები. უწინარეს ყოვლისა საჭიროაო, — ამბობენ ისინი, — გავავითაროთ გლეხობაში ყოველგვარი ამხანაგობანი (კოოპერაციები). უნდა განვამტკიცოთ სათემო კავშირი. ყოველ გლეხს თავისი მიწის თავისუფალი განკარგულების უფლება არ უნდა მიეცეს. დაე, სათემო საზოგადოებას ჰქონდეს მეტი უფლება და თანდათან მთელი მიწა რუსეთში თემის ხელში გადავიდეს. გლეხებს უნდა მიეცეთ ყოველგვარი შეღავათი მიწის შეძენის საქმეში, რომ მიწა უფრო ადვილად გადადიოდეს კაპიტალიდან შრომისაკენო.

მეორე პასუხს იძლევიან სოციალ-დემოკრატები. გლეხმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოიპოვოს გამოუკლებლივ ყველა ის უფლებანი, რომლებიც აქვთ თავად-აზნაურსა და ვაჭარს. გლეხს უნდა ჰქონდეს თავისი მიწის სრული განკარგულების უფლება. ყველაზე საზიზღარი კაბალის მოსპობის მიზნით უნდა დაარსდეს გლეხთა კომიტეტები ჩამონაჭრების დასაბრუნებლად. ჩვენ გვინდა არა სათემო კავშირი, არამედ სხვადასხვა სასოფლო საზოგადოების ღარიბი გლეხობის კავშირი მთელ რუსეთში, სოფლის პროლეტარებისა და ქალაქის პროლეტარების კავშირი. ყოველგვარი ამხანაგობანი (კოოპერა-

ცია) და მიწის სათემო ყიდვა ყოველთვის უფრო ხელსაყრელი იქნება მდიდარი გლეხებისათვის, საშუალო გლეხი კი მოტყუებული დარჩება.

რუსეთის მთავრობა ხედავს, რომ საჭიროა გლეხების მდგომარეობის შემსუბუქება, მაგრამ მას სურს უმნიშვნელო რამით გავიდეს ფონს, მას სურს ყველაფერი მოხელეების საშუალებით გააკეთოს. გლეხები ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მოხელეთა კომისიები მათ ისევე მოატყუებენ, როგორც მოატყუეს ისინი თავად-აზნაურთა კომიტეტებმა. გლეხებმა უნდა მოითხოვონ თავისუფალი გლეხთა კომიტეტების არჩევა. საქმე ის კი არ არის, რომ მოხელეებისაგან ველოდეთ შემსუბუქებას, არამედ თვით გლეხებმა აიღონ ხელში თავისი ბედიღბალი. დაე ჯერ გადავდგათ მხოლოდ ერთი ნაბიჯი, ჯერ გავითავისუფლოთ თავი უბოროტესი უღლისაგან, — ოღონდ კი გლეხებმა იგრძნონ თავისი ძალა, ოღონდ კი ისინი თავისუფლად შეთანხმდნენ და გაერთიანდნენ. ვერც ერთი კეთილსინდისიერი ადამიანი ვერ უარჰყოფს, რომ ჩამონაჭერი მიწები ხშირად ამაგრებენ ყველაზე უმსგავს, ბატონყმურ უღელს. ვერც ერთი კეთილსინდისიერი ადამიანი ვერ უარჰყოფს, რომ ჩვენი მოთხოვნა არის უპირველესი და ყველაზე სამართლიანი მოთხოვნა: დაე გლეხებმა ყოველგვარი ბატონყმური უღლის მოსასპობად თავისუფლად აირჩიონ თ ა ვ ი ა ნ თ ი კომიტეტები უმოხელეებოდ.

გლეხთა თავისუფალ კომიტეტებში (სწორედ ასევე დეპუტატთა თავისუფალ სრულიად-რუსეთის კრებაში) სოციალ-დემოკრატები მყისვე და მთელი ძალღონით შეუდგებიან სოფლის პროლეტარებისა და ქალაქის პროლეტარების განსაკუთრებული კავშირის განმტკიცებას. სოციალ-დემოკრატები სოფლის პროლეტარების სასარგებლოდ დაიცავენ ყველა ღონისძიებას და დაეხმარებიან მათ, რომ პირველი ნაბიჯის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება ერთსულოვნად გადასდგან მეორე ნაბიჯი, მესამე და ასე, სულ ბოლომდე, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს სრულ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ დ ე. მაგრამ შეიძლება თუ არა ახლავე, ერთბაშად იმის

თქმა, რომელი მოთხოვნა წამოიჭრება დღის წესრიგში ხვალ, მეორე ნაბიჯისათვის? არა, ამის თქმა შეუძლებელია, რადგან ჩვენ არ ვიცით, როგორ დაიჭერენ თავს ხვალ მდიდარი გლეხები და მრავალი განათლებული ადამიანი, რომელნიც გართულნი არიან ყოველგვარი კოოპერაციით და მიწის ყოველგვარი გადასვლით კაპიტალიდან შრომისაკენ.

იქნებ, მათ ხვალვე კიდევ ვერ მოასწრონ შეთანხმება მემამულეებთან და მოისურვონ მთლად მოსპონ მემამულეთა ბატონობა. ამას რა სჯობს. სოციალ-დემოკრატებისათვის ეს ძალიან სასურველია, და სოციალ-დემოკრატები ურჩევენ სოფლისა და ქალაქის პროლეტარებს მოითხოვონ მთელი მიწის ჩამორთმევა მემამულეებისაგან და მისი გადაცემა თავისუფალი სახალხო სახელმწიფოსათვის. სოციალ-დემოკრატები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს, რათა ამასთან სოფლის პროლეტარები მოტყუებული არ დარჩნენ, რათა ისინი კიდევ უფრო განმტკიცდნენ პროლეტარიატის სრული განთავისუფლებისათვის საბოლოო ბრძოლის საწარმოებლად.

მაგრამ იქნებ, სულ სხვანაირად მოხდეს. უფრო მოსალოდნელიც არის, რომ სხვანაირად მოხდება. მდიდარი გლეხები და მრავალი განათლებული ადამიანი შეიძლება ხვალვე, როგორც კი აუტანელი უღელი შეზღუდული და შეკვეცილი იქნება, ხვალვე შეუერთდნენ მემამულეებს, და მაშინ მთელი სოფლის პროლეტარიატის წინააღმდეგ გამოვა სოფლის მთელი ბურჟუაზია. მაშინ სასაცილო იქნებოდა, ჩვენ რომ მხოლოდ მემამულეების წინააღმდეგ გვებრძოლნა. მაშინ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მთელ ბურჟუაზიას და მოვითხოვოთ უწინარეს ყოვლისა რაც შეიძლება მეტი თავისუფლება და მეტი გასაქანი ასეთი ბრძოლისათვის, მოვითხოვოთ მუშის ცხოვრების შემსუბუქება მისი ბრძოლის შესამსუბუქებლად.

ყოველ შემთხვევაში, ასე იქნება თუ ისე, ჩვენი პირველი, ჩვენ მთავარი და აუცილებელი საქმეა: გ ა ნ ვ ა მ ტ კ ი ც ო თ  ს ო ფ ლ ი ს  პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი ს ა  დ ა  ნ ა ხ ე ვ რ ა დ-პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი ს  კ ა ვ შ ი რ ი  ქ ა ლ ა ქ ი ს  პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ თ ა ნ. ამ კავშირისათვის ჩვენ ახლავე და დაუყოვნებლივ გვჭირდება ხ ა ლ ხ ი ს  ს რ უ ლ ი  პ ო ლ ი-

ტიკური თავისუფლება, გლეხის სრული თანასწორობა და ბატონყმური უღლის მოსპობა. ხოლო როდესაც ასეთი კავშირი შეიქმნება და განმტკიცდება, — მაშინ ჩვენ ადვილად ვამხელთ ყოველგვარ სიცრუეს, რომლითაც ბურჟუაზია იბირებს საშუალო გლეხს, მაშინ ჩვენ ადვილად და სწრაფად გადავდგამთ მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მთავრობის მთელი ძალების წინააღმდეგ მეორესაც, მესამესაც და უკანასკნელ. ნაბიჯსაც, მაშინ ჩვენ განუხრელად გავწევთ წინ გამარჯვებისაკენ და სწრაფად მოვიპოვებთ მთელი მუშა-ხალხისრულ განთავისუფლებას.

## 7. კლასობრივი ბრძოლა სოფლად

რა არის კლასობრივი ბრძოლა? ეს არის ხალხის ერთი ნაწილის ბრძოლა მეორის წინააღმდეგ, უუფლებო, ჩაგრულთა და მშრომელთა მასის ბრძოლა პრივილეგიური ადამიანების, მჩაგვრელთა და მუქთახორების წინააღმდეგ, დაქირავებული მუშებისა ანუ პროლეტარების ბრძოლა მესაკუთრეთა ანუ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რუსეთის სოფელშიც ყოველთვის სწარმოებდა და ახლაც სწარმოებს ეს დიადი ბრძოლა, თუმცა მას ყველანი ვერ ხედავენ და არც ყველას ესმის მისი მნიშვნელობა. როდესაც ბატონყმობა იყო, — გლეხთა მთელი მასა ებრძოდა თავის მჩაგვრელებს, მემამულეთა კლასს, რომელთაც მეფის მთავრობა სდარაჯობდა, იცავდა და მხარს უჭერდა. გლეხებს არ შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ, მაშინ გლეხები სრულიად დაბეჩავებული იყვნენ სიბნელით, გლეხებს არ ჰყავდათ თანაშემწენი და ძმები ქალაქის მუშებში, მაგრამ გლეხები მაინც იბრძოდნენ, როგორც ახერხებდნენ და როგორც შეეძლოთ. გლეხებს არ ეშინოდათ მთავრობის მხრივ მხეცური დევნისა, არ ეშინოდათ ეგზეკუციებისა და ტყვიებისა, გლეხებს არ სჯეროდათ ხუცებისა, რომლებიც წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ დაემტკიცებინათ — ბატონყმობა მოწონებულია საღმრთო წერილით და დაკანონებულია ღვთის მიერო (პირდაპირ

ასე ლაპარაკობდა მაშინ მიტროპოლიტი ფილარეტი!), გლეხები აწყობდნენ აჯანყებებს ხან აქ, ხან იქ და, ბოლოს, მთავრობა დათმობაზე წავიდა მთელი გლეხობის საყოველთაო აჯანყების შიშით.

ბატონყმობა გაუქმეს, მაგრამ არა სავსებით. გლეხები დარჩნენ უფლებებს მოკლებულნი, დარჩნენ როგორც დაბალი, მოხარკე, შავი წოდება, დარჩნენ ბატონყმური უღლის ქვეშ. და გლეხები განაგრძობენ მღელვარებას, განაგრძობენ სრული, ნამდვილი თავისუფლების ძებნას. ამავე დროს, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, უკვე წარმოიშვა ახალი კლასობრივი ბრძოლა, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა ს თ ა ნ. სიმდიდრე მეტი დაგროვდა, გაიყვანეს რკინიგზები და ააშენეს დიდი ფაბრიკები, ქალაქები კიდევ უფრო ხალხმრავალი გახდნენ და გამშვენიერდნენ, მაგრამ მთელ ამ სიმდიდრეს ეპატრონებოდა ადამიანთა სრულიად მცირე რიცხვი, ხალხი კი სულ უფრო ღარიბდებოდა, ჩანაგდებოდა, შიმშილობდა, მიდიოდა სხვასთან ქირაზე სამუშაოდ. ქალაქის მუშებმა დაიწყეს ახალი, დიადი ბრძოლა ყველა ღარიბისა ყველა მდიდრის წინააღმდეგ. ქალაქის მუშები გაერთიანდნენ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ პ ა რ ტ ი ა დ და აწარმოებენ ბრძოლას შეუპოვრად, მტკიცედ და ერთსულოვნად, ნელნელა მიიწევენ წინ და ემზადებიან დიადი საბოლოო ბრძოლისათვის, მოითხოვენ პოლიტიკურ თავისუფლებას მთელი ხალხისათვის.

ბოლოს, ვეღარ მოითმინეს გლეხებმაც. გასული 1902 წლის გაზაფხულზე პოლტავის, ხარკოვისა და სხვა გუბერნიების გლეხები აუმხედრდნენ მემამულეებს, აღებდნენ მათ ბეღლებს, ურთიერთშორის იყოფდნენ მემამულეთა ავლადიდებას, აძლევდნენ დამშეულებს პურს, რომელიც დასთესა და მოიყვანა გლეხმა, მაგრამ საკუთრებად ხელთ იგდო მემამულემ, მოითხოვდნენ მიწის ახალ დაყოფას. გლეხებმა ვეღარ აიტანეს უზომო ჩაგვრა და შეუდგნენ უკეთესი ცხოვრების ძებნას. გლეხებმა გადაწყვიტეს, — და გადაწყვიტეს სავსებით სწორად, — რომ უკეთესია სიკვდილი მჩაგვრელებთან

ბრძოლაში, ვიდრე უბრძოლველად შიმშილით სიკვდილიო. მაგრამ გლეხებმა ვერ მიაღწიეს უკეთეს ცხოვრებას. მეფის მთავრობამ ისინი გამოაცხადა უბრალო მეამბოხეებად და მძარცველებად (იმიტომ, რომ ისინი ართმევდნენ მძარცველ მემამულეებს გლეხების მიერვე დათესილ და აღებულ პურს!), მეფის მთავრობამ გაგზავნა მათ წინააღმდეგ ჯარი, როგორც მტრების წინააღმდეგ, და გლეხებიც დაამარცხეს, გლეხებს ტყვიას უშენდნენ, მრავალი მოჰკლეს, გლეხები მხეცურად გაროზგეს, როზგავდნენ სასიკვდილოდ, აწამებდნენ ისე, რომ თურქებსაც არ უწამებიათ ასე თავისი მტრები — ქრისტიანები. გლეხებს ყველაზე მეტად აწიოკებდნენ მეფის მიერ გაგზავნილი გუბერნატორები, აწიოკებდნენ როგორც ნამდვილი ჯალათები. ჯარისკაცები აუპატიურებდნენ გლეხთა ცოლებსა და ქალიშვილებს. ხოლო ყოველივე ამის შემდეგ ისევ გლეხები გაასამართლეს მოხელეთა სასამართლოს საშუალებით, აიძულეს ისინი გადაეხადათ მემამულეთა სასარგებლოდ რვაასი ათასი მანეთი და სასამართლოში, ამ სამარცხვინო, ფარულ, კარდახშულ სასამართლოში ნებაც არ მისცეს დამცველებს ეთქვათ, თუ როგორ აწამებდნენ და სტანჯავდნენ გლეხებს მეფის მიერ გაგზავნილი გუბერნატორი ობოლენსკი და მეფის სხვა მსახურნი.

გლეხები იბრძოდნენ მართალი საქმისათვის. რუსეთის მუშათა კლასი მუდამ პატივისცემით მოიხსენიებს იმ წამებულთა ხსოვნას, რომლებიც მეფის მსახურებმა დახვრიტეს და ცემით დახოცეს. ეს წამებულნი იბრძოდნენ მუშა-ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. გლეხები დაამარცხეს, მაგრამ ისინი ისევ და ისევ აღსდგებიან, პირველი დამარცხების გამო სულით არ დაეცემიან. შეგნებული მუშები მიიღებენ ყოველივე ზომას, რომ ქალაქად და სოფლად რაც შეიძლება მეტმა მუშა-ხალხმა იცოდეს გლეხთა ბრძოლის ამბავი და მოემზადოს ახალი, უფრო წარმატებითი ბრძოლისათვის. შეგნებული მუშები მთელი ძალღონით შეეცდებიან დაეხმარონ გლეხებს, **რათა მათ ნათლად გაიგონ, რატომ ჩააქრეს გლეხთა პირველი აჯანყება** (1902 წ.) **და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ**

გამარჯვება წილად ხვდეთ გლეხებსა და მუშებს და არა მეფის მსახურთ.

გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან ეს იყო ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება, რომელსაც არ ჰქონდა გარკვეული, ნათელი პოლიტიკური მოთხოვნანი, ე. ი. არ ჰქონდა მოთხოვნა სახელმწიფო წესწყობილების შეცვლისა. გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან იგი არ იყო მომზადებული. გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან სოფლის პროლეტარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი ქალაქის პროლეტარებთან. აი გლეხების პირველი მარცხის სამი მიზეზი. გლეხთა აჯანყება წარმატებით რომ დაგვირგვინდეს, საჭიროა იგი იყოს შეგნებული და მომზადებული, საჭიროა იგი მოედოს მთელ რუსეთს და დაკავშირებული იყოს ქალაქის მუშებთან. და მუშათა ბრძოლის ყოველი ნაბიჯი ქალაქად, ყოველი სოციალ-დემოკრატიული წიგნი ან გაზეთი, შეგნებული მუშის ყოველი სიტყვა, მიმართული სოფლის პროლეტარებისადმი, გვიახლოვებს იმ დროს, როცა აჯანყება განმეორდება, როცა იგი გამარჯვებით დამთავრდება.

გლეხები აჯანყდნენ შეუგნებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ მოთმინებიდან გამოვიდნენ, რომ მათ არ უნდოდათ დახოცილიყვნენ უხმოდ და წინააღმდეგობის გაუწევლად. გლეხები ისე გაიტანჯნენ ყოველგვარი ძარცვა-გლეჯით, ჩაგვრითა და წამებით, რომ არ შეეძლოთ თუნდაც ერთი წუთით არ დაეჯერებინათ ბნელი ხმები მეფის მოწყალების შესახებ, არ შეეძლოთ არ დაეჯერებინათ, რომ ყოველი გონიერი ადამიანი სამართლიანად იცნობს პურის განაწილებას დამშეულთა შორის, იმათ შორის, ვინც მთელ თავის სიცოცხლეში სხვებისთვის მუშაობდა, სთესდა და იმკიდა პურს, ხოლო დღეს შიმშილით კვდება «ბატონის» პურით სავსე ბეღლების ახლო. გლეხებს თითქოს დაავიწყდათ, რომ საუკეთესო მიწები, ყველა ფაბრიკა და ქარხანა ხელთ იგდეს მდიდრებმა, მემამულეებმა და ბურჟუაზიამ სწორედ იმ მიზნით, რომ მშიერმა ხალხმა მათთვის იმუშაოს. გლეხებს დაავიწყდათ, რომ მდიდართა კლასის დასაცავად ქადაგებენ არა მარტო ხუცები, არამედ მის დასა-

ცავად ფეხზე დგება აგრეთვე მეფის მთელი მთავრობა უამრავი მოხელეებითა და ჯარისკაცებით. მეფის მთავრობამ გლეხებს მოაგონა ეს. მეფის მთავრობამ მხეცური სიმკაცრით უჩვენა გლეხებს, თუ რა არის სახელმწიფო ძალაუფლება, ვის ემსახურება, ვის იცავს. ჩვენ მხოლოდ უფრო ხშირად უნდა მოვაგონოთ გლეხებს ეს გაკვეთილი, და ისინი ადვილად გაიგებენ, რატომ არის საჭირო სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა, რატომაა აუცილებელი პოლიტიკური თავისუფლება. გლეხთა აჯანყებანი აღარ იქნებიან შეუგნებელნი, როცა უფრო და უფრო მეტი ხალხი შეიგნებს ამას, როცა ყოველი წერა-კითხვის მცოდნე და აზრიანი გლეხი გაიგებს სამ მთავარ მოთხოვნას, რომლებისთვისაც საჭიროა უწინარეს ყოვლისა ბრძოლა. პირველი მოთხოვნა — დეპუტატთა საყოველთაო-სახალხო კრების მოწვევა, რათა რუსეთში მოეწყოს სახალხო არჩევითი და არა თვითმპყრობელური მართვა-გამგეობა. მეორე მოთხოვნა — ყველას და თვითეულს ჰქონდეს თავისუფლება ბეჭდოს ყოველგვარი წიგნები და გაზეთები. მესამე მოთხოვნა — კანონით იქნას ცნობილი გლეხების სრული თანასწორობა სხვა წოდებებთან და მოწვეულ იქნას არჩეული გლეხთა კომიტეტები უწინარეს ყოვლისა ყოველგვარი ბატონყმური უღლის მოსასპობად. ეს არის სოციალ-დემოკრატების მთავარი, ძირითადი მოთხოვნები, და გლეხებისათვის დღეს სრულიად არ იქნება ძნელი ამ მოთხოვნათა გაგება, იმის გაგება, თუ რითი უნდა დავიწყოთ ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა. ხოლო როდესაც გლეხები ამ მოთხოვნებს გაიგებენ, მაშინ გაიგებენ იმასაც, რომ საჭიროა წინდაწინ, ხანგრძლივ, შეუპოვრად და მედგრად მზადება ბრძოლისათვის, მზადება არა ცალცალკე, არამედ ქალაქის მუშებთან — სოციალ-დემოკრატებთან ერთად.

დაე ყოველმა შეგნებულმა მუშამ და გლეხმა შემოიკრიბოს თავის გარშემო ყველაზე გონიერი, საიმედო და გაბედული ამხანაგები. დაე ეცადოს აუხსნას მათ, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს, რათა ყველამ გაიგოს, როგორი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ და რა უნდა მოვითხოვოთ. დაე შეგნებულმა სოციალ-დემოკრატებმა თანდათან, ფრთხილად, მაგრამ განუხრელად ასწავლონ გლეხებს თავისი მოძღვრება, მისცენ ხოლმე წასაკითხად სოციალ-დემოკრატიული წიგნაკები, განმარტონ ეს წიგნაკები საიმედო პირთა მცირე კრებაზე.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების განმარტება საჭიროა არა მარტო წიგნების. მიხედვით, არამედ ჩაგვრისა და უსამართლობის ყოველი მაგალითით, ყოველი შემთხვევით, რასაც ჩვენს გარშემო ვხედავთ. სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება არის მოძღვრება ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ, ყოველგვარი ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ, ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისა. მხოლოდ ისეთი ადამიანი არის ნამდვილი სოციალ-დემოკრატი, რომელმაც იცის ჩაგვრის მიზეზები და რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ებრძვის ჩაგვრის ყოველ შემთხვევას. როგორ უნდა კეთდებოდეს ეს? შეგნებული სოციალ-დემოკრატები შეიკრიბებიან ერთად თავის ქალაქში, თავის სოფელში; მათ თვითონ უნდა გადაწყვიტონ, როგორ უნდა გაკეთდეს ეს ისე, რომ მეტი სარგებლობა მოუტანონ მთელ მუშათა კლასს. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ, ან ორ შემთხვევას. ვთქვათ, მუშა სოციალ-დემოკრატი ჩავიდა დროებით თავის სოფელში, ან სხვის სოფელში მოხვდა რომელიმე ქალაქელი მუშა სოციალ-დემოკრატი. სოფელი მთლიანად ჩავარდნილია მეზობელი მემამულის კლანჭებში. როგორც ბუზი ობობას ქსელში, მთელ თავის სიცოცხლეში ის თავს ვერ აღწევს მონობას და არც სადმე შეუძლია გაექცეს ამ მონობას. მყისვე უნდა აირჩიოთ ყველაზე გაგებული, გონიერი და საიმედო გლეხები, რომლებიც ეძებენ სიმართლეს და არ შეეშინდებათ პირველი პოლიციელი ძაღლისა, და განუმარტოთ ამ გლეხებს, საიდან წარმოსდგება მათი გამოუ-

ვალი მონობა, უამბოთ მათ, თუ როგორ ატყუებდნენ მემამულეები გლეხებს და ფცქვნიდნენ მათ თავად-აზნაურთა კომიტეტებში, უამბოთ, თუ რა ძალა აქვთ მდიდრებს და როგორ ეხმარება მათ მეფის მთავრობა, უამბოთ მუშა სოციალ-დემოკრატების მოთხოვნანი. როდესაც გლეხები გაიგებენ მთელს ამ მარტივ მექანიკას, მაშინ კარგად უნდა მოიფიქროთ ერთად, იქნებ შეიძლებოდეს ერთსულოვნად შეებრძოლოთ ამ მემამულეს, იქნებ შეიძლებოდეს გლეხებმა წამოაყენონ თავისი პირველი და მთავარი მოთხოვნანი (ისე, როგორც ქალაქებში მუშები უყენებენ თავიანთ მოთხოვნებს მეფაბრიკეებს). თუ ამ მემამულეს დამონებული ჰყავს დიდი სოფელი ან რამდენიმე სოფელი, ყველაფერს ემჯობინება საიმედო პირების საშუალებით იშოვნოთ უახლოესი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტიდან ფ ურ ც ე ლ ი: ფურცელში სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი დაწერს, თავიდან, როგორც საჭიროა, რა მონობისაგან იტანჯებიან გლეხები და რას მოითხოვენ ისინი პირველ რიგში (რომ საიჯარო მიწის ქირა უფრო იაფი იყოს ან რომ ზამთარში დაქირავებისათვის იძლეოდნენ ნამდვილ ფასს, და არა ნახევარ ფასს, ან რომ წანახედებისათვის მათ ასე არ სდევნიდნენ, არ ავიწროებდნენ, ანდა სხვა მოთხოვნები). ასეთი ფურცლიდან წერა-კითხვის მცოდნე ყველა გლეხი კარგად გაიგებს, რაშია საქმე, და წერა-კითხვის უცოდინარსაც აუხსნის. მაშინ გლეხები ნათლად დაინახავენ, რომ სოციალ-დემოკრატები მათ უჭერენ მხარს, რომ სოციალ-დემოკრატები ყოველგვარ ძარცვა-გლეჯას გმობენ. მაშინ გლეხები მიხვდებიან, თუ რა და რა შემსუბუქების, თუმცა მეტად მცირესი, მაგრამ მაინც შემსუბუქების მიღწევა შეიძლება ახლავე, ერთბაშად, თუ ერთსულოვნად იქნებიან, — და რა დიდ გაუმჯობესებათა მოპოვებას უნდა ცდილობდნენ მთგლ სახელმწიფოში დიადი ბრძოლით ქალაქის მუშა სოციალ-დემოკრატებთან ერთად. მაშინ გლეხები უფრო და უფრო შეუდგებიან მზადებას ამ დიადი ბრძოლისათვის, შეუდგებიან სწავლას, თუ როგორ უნდა საიმედო ადამიანთა მონახვა, როგორ უნდა თავისი მოთხოვნების ერთად

დაცვა. შეიძლება ხანდახან მოხერხდეს გაფიცვების მოწყობა ისე, როგორც ამას ქალაქის მუშები აწყობენ. მართალია, სოფლად ეს უფრო ძნელია, მაგრამ მაინც ხანდახან შესაძლებელია. სხვა ქვეყნებშიც ყოფილა წარმატებითი გაფიცვების შემთხვევები, მაგალითად, სამუშაო სეზონში, როცა მემამულეებსა და მდიდარ მთესველთ ძალიან სჭირდებათ მუშები. თუ სოფლის ღარიბი გლეხობა მომზადებულია გაფიცვისათვის, თუ ყველანი უკვე დიდი ხნით ადრე შეთანხმდნენ საერთო მოთხოვნათა შესახებ, თუ ფურცლებში ახსნილი და განმარტებულია ეს მოთხოვნები, ან თუ კრებებზე ისინი კარგად განმარტეს, — მაშინ ყველას ერთი პირი ექნება, და მემამულეც იძულებული გახდება დათმობაზე წავიდეს, ან ცოტათი მაინც თავდაჭერილი იყოს ძარცვა-გლეჯაში. თუ გაფიცვა ერთსულოვანია და ცხარე მუშაობის დროს მოეწყო, მაშინ მემამულე და თვით მთავრობაც კი თავისი ჯარით ძნელად თუ რასმე გააწყობს, — დრო გადის, მემამულე ჩანაგდება, ის მაშინ მალე წავა დათმობაზე. რასაკვირველია, ეს ახალი საქმეა. ხშირად ახალი საქმე თავდაპირველადვე მარჯვედ ვერ კეთდება. ქალაქის მუშებიც ჯერ ერთსულოვნად ვერ იბრძოდნენ, მათ არ იცოდნენ, რა და რა მოთხოვნები უნდა წამოეყენებინათ ერთად, არამედ პირდაპირ მანქანებს ამტვრევდნენ ან ფაბრიკას არბევდნენ. ახლა კი მუშებმა ისწავლეს ერთსულოვანი ბრძოლა. ყოველ ახალ საქმეს ჯერ შესწავლა უნდა. მუშებს ახლა ესმით, რომ ერთბაშად შეიძლება მხოლოდ შემსუბუქება მოიპოვო, თუ ერთსულოვნება იქნება, — ამასობაში კი ხალხი ეჩვევა ერთსულოვნად წინააღმდეგობის გაწევას და სულ უფრო და უფრო ემზადება დიადი გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ასევე ისწავლიან გლეხებიც, თუ როგორ უნდა გაუწიონ წინააღმდეგობა ყველაზე სასტიკ მძარცველთ, როგორ ერთსულოვნად უნდა მოითხოვონ შემსუბუქება და როგორ უნდა ემზადონ თანდათან, მტკიცედ და ყველგან დიადი ბრძოლისათვის, თავისუფლების მოსაპოვებლად. შეგნებული მუშებისა და გლეხების რიცხვი სულ უფრო და უფრო გაიზრდება, სოფლის სოციალ-დემოკრატების კავშირი უფრო

და უფრო განმტკიცდება და მემამულის უღლის დადგმის, ხუცების სიხარბის, პოლიციის მხეცობისა და მთავრობის ძხრივ შევიწროებათა ყოველი შემთხვევა ხალხს უფრო და უფრო აუხელს თვალს, შეაჩვევს მას ერთსულოვანი წინააღმდეგობის გაწევას და იმ აზრს, რომ აუცილებელია სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა ძალდატანებით.

ამ წიგნის დასაწყისშივე ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით იმაზე, რომ ქალაქის მუშა-ხალხი ახლა გამოდის ქუჩებში და მოედნებზე და აშკარად, ყველას თვალწინ მოითხოვს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს, თავის დროშებზე წერს და იძახის: «ძირს თვითმპყრობელობა!» მალე დადგება დღე, როცა მუშა-ხალხი ქალაქებში აღსდგება არა მარტო იმისათვის, რომ ქუჩები გაიაროს ძახილით, არამედ აღსდგება დიადი, საბოლოო ბრძოლისათვის, როცა მუშები იტყვიან, როგორც ერთი კაცი: «ან სიკვდილი ბრძოლაში, ან თავისუფლების მოპოვება!», როცა ბრძოლაში ასობით დახოცილთა და დაცემულთა ადგილს დაიჭერს ათასობით ახალი, კიდევ უფრო შეუპოვარი მებრძოლი. და მაშინ გლეხები აღსდგებიან, აღსდგებიან მთელ რუსეთში და წავლენ ქალაქის მუშების დასახმარებლად, წავლენ ბოლომდე საბრძოლველად გლეხთა და მუშათა თავისუფლებისათვის. მაშინ მეფის ვერავითარი ურდოები ვეღარ გაუძლებენ მათ. გამარჯვება დარჩება მუშა-ხალხს, და მუშათა კლასი გაემართება გაშლილი, ფართო გზით ყველა ჩაგრულის განთავისუფლებისაკენ ყოველგვარი ჩაგვრისაგან, მუშათა კლასი გამოიყენებს თავისუფლებას სოციალიზმისთვის საბრძოლველად!

---

## რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, წარმოდგენილი გაზეთ «ისკრის» მიერ ჟურნალ «ზარიასთან» ერთად

ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რა არის პროგრამა, რისთვის არის იგი საჭირო, რატომ არის, რომ მარტო სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოდის გარკვეული, ნათელი პროგრამით. პროგ-

რამის საბოლოოდ მიღება შეუძლია მხოლოდ ჩვენი პარტიის ყრილობას, ესე იგი ყველა პარტიული მუშაკის წარმომადგენელთა კრებას. ამჟამად სწორედ ასეთ ყრილობას ამზადებს საორგანიზაციო კომიტეტი. მაგრამ ჩვენი პარტიის ფრიად ბრავალმა კომიტეტმა უკვე აშკარად განაცხადა თავისი თანხმობა «ისკრასთან», აღიარა «ისკრა» ხელმძღვანელ გაზეთად. ამიტომ, ყრილობამდე, პროგრამის ჩვენი პროექტი (წინადადება) საკვლევით შეიძლება გამოდგეს იმის ზედმიწევნით გასაცნობად, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს, და ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია ეს პროექტი მთლიანად მოვიყვანოთ ჩვენი წიგნის დამატებაში.

რა თქმა უნდა, აუხსნელად ყველა მუშა ვერ გაიგებს ყველაფერს, რაც პროგრამაშია ნათქვამი. ბევრი დიდი სოციალისტი მუშაობდა სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების შესაქმნელად, რაც მარქსმა და ენგელსმა დაამთავრეს, ყველა ქვეყნის მუშებმა ბევრი რამ განიცადეს, რათა შეეძინათ ის გამოცდილება, რომლის გამოყენებაც ჩვენ გვინდა და რომელიც გვინდა საფუძვლად დავუდოთ ჩვენს პროგრამას. ამიტომ მუშა უნდა სწავლობდეს სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას, რათა გაიგოს პროგრამის, თ ა ვ ი ს ი პროგრამის, თ ა ვ ი ს ი ბრძოლის დროშის თვითეული სიტყვა. და მუშებს განსაკუთრებით ადვილად ესმით სოციალ-დემოკრატიული პროგრამა და ადვილად ითვისებენ მას, იმიტომ რომ ეს პროგრამა ლაპარაკობს იმაზე, რაც ნახა, რაც განიცადა თვითეულმა დაკვირვებულმა მუშამ. დაე ნურავის დააფრთხობს პროგრამის ერთბაშად გაგების «სიძნელე»: რაც უფრო მეტს იკითხავს და იფიქრებს თვითეული მუშა, რაც უფრო მეტი გამოცდილება ექნება მას ბრძოლაში, მით უფრო სრულად გაიგებს პროგრამას. მაგრამ დაე თვითეულმა ადამიანმა მოიფიქროს და განიხილოს სოციალ-დემოკრატთა მ თ ე ლ ი პროგრამა, დაე თვითეულს ყოველთვის ჰქონდეს მეხსიერებაში აღბეჭდილი ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ის, თ უ რ ა ს უ რ თ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ს დ ა რ ა ს ფ ი ქ რ ო ბ ე ნ ი ს ი ნ ი მთელი მუშა-ხალხის გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. სოციალ-

დემოკრატებს სურთ, რომ ყველამ და თვითეულმა ნათლად და ზუსტად იცოდეს ბოლომდე მთელი სიმართლე, იცოდეს ის, თუ რას წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ჩვენ აქ არ შეგვიძლია დაწვრილებით განვმარტოთ მთელი პროგრამა. ამისათვის განსაკუთრებული წიგნია საჭირო. ჩვენ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ იმას, რაზედაც ლაპარაკობს პროგრამა, და ვურჩევთ მკითხველს დასახმარებლად ორი წიგნი იშოვნოს. ერთი წიგნი გერმანელი სოციალ-დემოკრატის კარლ კაუტსკისაა, «ერფურტის პროგრამა» ჰქვიან, გადმოთარგმნილია რუსულ ენაზე. მეორე წიგნი რუსი სოციალ-დემოკრატის ლ. მარტოვისაა — «მუშათა საქმე რუსეთში». ეს წიგნები დაგეხმარებათ მთელი ჩვენი პროგრამის გაგებაში.

ახლა ჩვენი პროგრამის თვითეულ ნაწილს აღვნიშნავთ ცალკე ასოთი (იხილე ქვემოთ პროგრამა) და ვიტყვით, თუ რაზეა ლაპარაკი თვითეულ ნაწილში.

ა) დასაწყისში ლაპარაკია იმაზე, რომ პროლეტარიატი ჰთელ მსოფლიოში იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის, და რუსეთის პროლეტარიატი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მსოფლიო არმიის მხოლოდ ერთი რაზმია.

ბ) შემდეგ ლაპარაკია იმაზე, თუ რანაირია ბურჟუაზიული წესწყობილება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც. რა სიღატაკესა და გაჭირვებას განიცდის მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც მუშაობს მიწათმფლობელებისა და კაპიტალისტებისთვის, როგორ ჩანაგდებიან წვრილი ხელოსნები და გლეხები და როგორ იზრდება მსხვილი ფაბრიკები, რა მძიმე ტვირთად აწვება კაპიტალი თვით მუშას და მის ცოლ-შვილს, როგორ უარესდება მუშათა კლასის მდგომარეობა, როგორ მატულობს უმუშევრობა და გაჭირვება.

გ) მერე ლაპარაკია მუშათა კავშირზე, მათს ბრძოლაზე, ამ ბრძოლის დიად მიზანზე: გაათავისუფლოს ყველა ჩაგრული, სრულიად მოსპოს მდიდრების მიერ ღარიბების ყოველგვარი ჩაგვრა. აქ განმარტებულია აგრეთვე, თუ რატომ ხდება

მუშათა კლასი სულ უფრო და უფრო ძლიერი, რატომ დაამარცხებს იგი აუცილებლად ყველა თავის მტერს, ბურჟუაზიის ყველა დამცველს.

დ) შემდეგ ლაპარაკია იმაზე, თუ რატომ არის დაარსებული სოციალ-დემოკრატიული პარტიები ყველა ქვეყანაში, როგორ ეხმარებიან ისინი მუშათა კლასს ბრძოლის წარმოებაში, როგორ აერთიანებენ და წარმართავენ მუშებს, ანათლებენ მათ, ამზადებენ დიადი ბრძოლისათვის.

ე) მერე ლაპარაკია იმაზე, თუ რატომ ცხოვრობს ხალხი რუსეთში უფრო უარესად, ვიდრე სხვა ქვეყნებში, თუ რა დიდი ბოროტებაა მეფის თვითმპყრობელობა, თუ როგორ აუცილებელია უწინარეს ყოვლისა დავამხოთ იგი და დავამყაროთ რუსეთში არჩევითი სახალხო მართვა-გამგებლობა.

ვ) რა გაუმჯობესება უნდა მოუტანოს მთელ ხალხს არჩევითმა მართვა-გამგებლობამ? ამაზე ვლაპარაკობთ ჩვენს წიგნში, და ამაზე ლაპარაკია პროგრამაშიც.

ზ) შემდეგ პროგრამა აღნიშნავს, თუ რა გაუმჯობესებათა მოპოვებას უნდა ვცდილობდეთ ახლავე მთელი მუშათა კლასისათვის, რათა მას ცხოვრება გაუადვილდეს და უფრო თავისუფლად იბრძოლოს სოციალიზმისთვის.

თ) პროგრამაში ცალკეა აღნიშნული ის გაუმჯობესებანი, რომელთა მოპოვებას პირველ რიგში უნდა ვცდილობდეთ ყველა გლეხისთვის, რათა სოფლის ღარიბებს უფრო ადვილად და უფრო თავისუფლად შეეძლოთ კლასობრივი ბრძოლა როგორც სოფლის ბურჟუაზიისა, ისე რუსეთის მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ი) დასასრულ, სოციალ-დემოკრატიული პარტია აფრთხილებს ხალხს არ დაიჯეროს პოლიციისა და მოხელეების არავითარი დაპირებანი და ტკბილი სიტყვები, არამედ მტკიცედ იბრძოლოს დეპუტატთა თავისუფალი, საყოველთაო-სახალხო კრების დაუყოვნებლივ მოწვევისათვის.

# LES BEAUX ESPRITS SE RENCONTRENT

## (ჩვენებურად დაახლოებით ასეა: სული სულს იცნობს)

ჩვენებური სოციალისტ-რევოლუციონერების განთქმულმა აგრარულმა პროგრამა-მინიმუმმა (კოოპერაცია და სოციალიზაცია) რუსული სოციალისტური აზროვნება და რუსეთის რევოლუციური მოძრაობა გაამდიდრა 1902 წლის ივნისში. ცნობილი ოპორტუნისტის (ბერნშტეინელის) ედუარდ დავიდის გერმანული წიგნი «სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა» გამოვიდა 1903 წლის თებერვალს. თითქოს, ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ოპორტუნისტული აზროვნების შემდგომი ნაწარმოებები შეიცავდეს «სოციალისტურ-რევოლუციური» აზროვნების ადრინდელი ვარჯიშობის ორიგინალს? მაგრამ მაშინ როგორღა უნდა აიხსნას რუს სოც.-რევოლუციონერთა და გერმანელ ოპორტუნისტთა პროგრამის საოცარი, აშკარა მსგავსება და პრინციპული იგივეობაც კი? ხომ არ წარმოადგენს «რევოლუციონნაია როსსია» «ორიგინალს», ხოლო დავიდის «კაპიტალური» («რუსსკიე ვედომოსტის» კორესპონდენტის სიტყვით) შრომა — ასლს? ორი ძირითადი იდეა, და მის შესაბამისად პროგრამის ორი მთავარი პუნქტი, წითელ ზოლად გასდევს დავიდის მთელ «შრომას». იგი ხოტბას ასხამს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებს, მათგან გამოელის ყოველ სიკეთეს, მოითხოვს, რომ სოციალ-დემოკრატიამ ხელი შეუწყოს მათს განვითარებას, და ვერ ამჩნევს (სწორედ ისე, როგორც ჩვენებური სოც.-რევოლუციონერები) მიწათმოქმედებაში წვრილ და მსხვილ კაპიტალისტებთან პაწაწა მეპატრონეთა ამ კავშირების ბურჟუაზიულ ხასიათს.

დავიდი მოითხოვს მსხვილ სამიწათმოქმედო მეურნეობათა გადაქცევას წვრილ მეურნეობებად, აღტაცებას ეძლევა «des Arbeitsbauern»-ის — ჩვენებურად სიტყვასიტყვით: «მშრომელი გლეხის» მეურნეობათა სარფიანობისა და რაციონალობის, ეკონომიურობისა და ნაყოფიერების გამო, აღიარებს საზოგადოების უზენაეს უფლებას მიწის საკუთრების მიმართ და აი ამ წვრილ «მშრომელ გლეხთა» მიწის სარგებლობის მიმართ. თქმა არ უნდა, გერმანელმა ოპორტუნისტმა რუსი «სოციალისტ-რევოლუციონერები» გაქურდა! თანამედროვე საზოგადოებაში «მშრომელი გლეხის» წვრილბურჟუაზიულობას, მის შუალედ, გარდამავალ მდგომარეობას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, მის მისწრაფებას — «კაცი გახდეს» (ე. ი. ნამდვილ ბურჟუად იქცეს) ყაირათობის, ბეჯითობის, ნახევრად-შიმშილობისა და გადამეტებული მუშაობის გზით, მის მისწრაფებას — ექსპლოატაცია გაუწიოს სოფლის «მომუშავეთა» შრომას, — ყოველივე ამას, რასაკვირველია, ვერ ხედავს ვერც გერმანელი წვრილი ბურჟუა-ოპორტუნისტი, ვერ ხედავენ ვერც რუსი წვრილი ბურჟუები — «სოციალისტ-რევოლუციონერები».

დიახ, დიახ, **les beaux esprits se rencontrent**, და ეს არის ერთი შეხედვით ესოდენ ძნელი ამოცანის ახსნა: განსაზღვრა იმისა, თუ სად არის ასლი და სად არის ორიგინალი. იდეები, რომლებიც გამოხატავენ განსაზღვრული კლასის საჭიროებას, ინტერესებს, მისწრაფებასა და ზრახვებს, ჰაერში ტრიალებენ, და ამ იდეების იგივეობას ვერ დაჰფარავს კოსტუმების ვერავითარი განსხვავება, ვერავითარი ვარიანტი ხან ოპორტუნისტული და ხან «სოციალისტურ-რევოლუციური» ფრაზისა. შუბი ხალთაში არ დაიმალება.

ევროპის ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, განუხრელად წინ მიდის წვრილი ბურჟუაზიის «შევიწროებაც» და დაცემაც, რაც ყოველთვის არ გამოიხატება მისი პირდაპირი და უშუალო განდევნით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში იწვევს მისი როლის შეკვეცას ეკონომიურ ცხოვრებაში, მისი არსებობის პირობათა გაუარესებას, მისი გაჭირვების გაძლიე-

რებას. ყველაფერი მის წინააღმდეგ არის მიმართული: მსხვილ მეურნეობათა ტექნიკური პროგრესიც მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში, დიდი მაღაზიების განვითარებაც, მეწარმეთა კავშირების, კარტელებისა და ტრესტების ზრდაც და თვით სამომხმარებლო ამხანაგობათა და მუნიციპალურ საწარმოთა ზრდაც. ხოლო წვრილი ბურჟუაზიის ამ «შევიწროებასთან» ერთად მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში ჩნდება და ვითარდება «ახალი საშუალო წოდება», როგორც გერმანელები ამბობენ, ახალი ფენა წვრილი ბურჟუაზიისა, ინტელიგენციისა, რომელსაც აგრეთვე სულ უფრო და უფრო უმძიმს ცხოვრება კაპიტალისტურ საზოგადოებაში და რომლის დიდი უმრავლესობა ამ საზოგადოებას უყურებს წვრილი მწარმოებლის თვალსაზრისით. სავსებით ბუნებრივია, რომ აქედან სრული გარდუვალობით გამომდინარეობს წვრილბურჟუაზიულ იდეათა და მოძღვრებათა ფართო გავრცელება და მუდმივი აღორძინება უაღრესად მრავალფეროვან ფორმებში. სავსებით ბუნებრივია, რომ რუსი «სოციალისტ-რევოლუციონერი», მთლიანად მოხიბლული წვრილბურჟუაზიული ნაროდნიკობის იდეებით, «ძალაუნებური მოძმე» ხდება ევროპელი რეფორმისტისა და ოპორტუნისტისა, რომელიც, როდესაც სურს თანამიმდევარი იყოს, აუცილებლად მიდის პრუდონიზმამდე. სწორედ ამ უკანასკნელი ტერმინით სავსებით სამართლიანად დაახასიათა კაუტსკიმ დავიდის პროგრამა და თვალსაზრისი.

ჩვენ ვთქვით: «როდესაც სურს თანამიმდევარი იყოს», და ამგვარად მივადექით იმ არსებითს თავისებურებას, რაც თანამედროვე სოც.-რევოლუციონერებს განასხვავებს ძველი რუსი ნაროდნიკისაგანაც და, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ევროპელი ოპორტუნისტისაგანაც, და რასაც არ შეიძლება ავანტიურიზმი არ ვუწოდოთ. ავანტიურიზმი არ დაგიდევთ თანამიმდევრობას, იგი ცდილობს მხოლოდ მომენტი იხელთოს, გამოიყენოს იდეების ბრძოლა უიდეობის გასამართლებლად და შესანარჩუნებლად. ძველ რუს ნაროდნიკს სურდა თანამიმდევარი ყოფილიყო და იცავდა, ჰქადაგებდა და აღიარებ-

და თავის განსაკუთრებულ პროგრამას. დავიდს სურს თანამიმდევარი იყოს და გადაჭრით ილაშქრებს მთელი «მარქსისტული აგრარული თეორიის» წინააღმდეგ, გადაჭრით ჰქადაგებს და აღიარებს მსხვილ მეურნეობათა გადაქცევას წვრილ მეურნეობებად, ყოველ შემთხვევაში არ ეშინია ჰქონდეს თავისი აზრის სითამამე, არ ეშინია აშკარად გამოვიდეს წვრილი მეურნეობის მომხრედ. ჩვენებური სოც.-რევოლუციონერები... როგორ ვთქვათ, მკვახედ რომ არ გამოგვივიდეს?.. გაცილებით «კეთილგონიერნი» არიან. ისინი არასოდეს გადაჭრით არ ილაშქრებენ მარქსის წინააღმდეგ, — ღმერთმა დაიფაროს! პირიქით, მათ წამდაუწუმ მოჰყავთ მარქსისა და ენგელსის ციტატები, ცრემლმორეულნი გვარწმუნებენ, რომ თ ი თ ქ მ ი ს ყველაფერში ეთანხმებიან მათ. ისინი არ ილაშქრებენ ლიბკნეხტისა და კაუტსკის წინააღმდეგ, — პირიქით, ღრმად და გულწრფელად დარწმუნებულნი არიან, რომ ლიბკნეხტი სოც.-რევოლუციონერი იყო, — ღმერთმანი, სოც.-რევოლუციონერი იყო. ისინი არ გამოდიან წვრილი მეურნეობის პრინციპულ მომხრეებად, — პირიქით, თავგამოდებით იცავენ «მიწის სოციალიზაციას», ოღონდ ზოგჯერ უცაბედად წამოსცდებათ ხოლმე, რომ ეს ყოვლისშემცველი, რუსულ-ჰოლანდიური სოციალიზაცია რაც გინდათ ყველაფერს ნიშნავს: მიწის გადასვლას საზოგადოების საკუთრებადაც, მშრომელთა სარგებლობაშიც (სწორედ ისე, როგორც დავიდი ამბობს!), უბრალოდ — მიწის გადასვლას გლეხთა ხელშიც და, დასასრულ, უკვე მთლად «უბრალოდ»: უფასოდ მიზომვასაც...

ჩვენებური სოც.-რევოლუციონერების «კეთილგონიერი» ფანდები იმდენად ნაცნობია ჩვენთვის, რომ, დასასრულ, ჩვენს თავს ნებას მივცემთ ერთი კარგი რამ ვურჩიოთ მათ.

თქმა არ უნდა, რომ თქვენ, ბატონებო, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდით. მუდამ გვარწმუნებდით, რომ საერთო არაფერი გაქვთ არც დასავლეთის ოპორტუნიზმთან და რეფორმიზმთან, არც წვრილბურჟუაზიულ სიმპათიებთან «ხელსაყრელი» წვრილი მეურნეობისადმი, — და უცბად გა-

მოდის წიგნი აშკარა ოპორტუნისტისა და წვრილი მეურნეობის მომხრესი, რომელიც გულის ამაჩუყებელი სკრუპულოზობით «ჰბაძავს» თქვენს «სოციალ-რევოლუციურ» პროგრამას! მართლაც რომ, შეიძლება ითქვას, სახათაბალო მდგომარეობაა. მაგრამ ნუ შეკრთებით: ამას კაცი ადვილად დააღწევს თავს. საკმარისია მხოლოდ... კაუტსკის ციტირება.

მკითხველს ეს კალმის შეცდომა არ ეგონოს. სრულიადაც არა. კაუტსკი ილაშქრებს პრუდონისტ დავიდის წინააღმდეგ, — სწორედ ამიტომ სოც.-რევოლუციონერებმა, რომელნიც დავიდთან სოლიდარულნი არიან, ციტატები უნდა მოიყვანონ კაუტსკის ნაწერიდან, სწორედ ისევე, როგორც ერთხელ მათ უკვე ციტატები მოიყვანეს ენგელსის ნაწერიდან. აიღეთ «რევ. როსსიის» № 14, და იქ მეშვიდე გვერდზე წაიკითხავთ, რომ სოც.-დემოკრატების «ტაქტიკის შეცვლა» გლეხობის მიმართ «დააკანონა» (!!) მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთმა მამამთავარმა, ენგელსმა, — ენგელსმა, როცა მან გაილაშქრა იმ ფრანგი ამხანაგების წინააღმდეგ, რომელნიც ტაქტიკას იცვლიდნენ! რანაირად შეიძლება ამ ჯამბაზური დებულების დამტკიცება? ძალიან უბრალოდ. ჯერ ერთი, საჭიროა «ციტატად მოიყვანო» ენგელსის სიტყვები, რომ იგი გადაჭრით დგას წვრილი გლეხის მხარეზე (და გაჩუმდე იმაზე, რომ სწორედ ამ აზრს გამოხატავს რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროგრამა, რომელიც ყველა მშრომელს პროლეტარიატის მხარეზე მოუწოდებს!). მეორე, საჭიროა «ბერნშტეინელობისადმი დათმობათა» გამო, რასაც იჩენენ ტაქტიკის შემცვლელი ფრანგი ამხანაგები, სთქვა: «ი ხ ი ლ ე ა მ დ ა თ მ ო ბ ა თ ა ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი კ რ ი ტ ი კ ა ე ნ გ ე ლ ს ი ს ნ ა წ ე რ ე ბ შ ი». ბატონ სოც.-რევოლუციონერებს ვურჩევთ ახლაც გამოიყენონ სწორედ ეს ნაცადი ხერხი. დავიდის წიგნმა დააკანონა ტაქტიკის შეცვლა აგრარულ საკითხში. ახლა უკვე არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ შეიძლება სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში დარჩე პროგრამული «კოოპერაციითა და სოციალიზაციით»; ამის არდანახვა მხოლოდ დოგმატიკოსებსა და ორთოდოქსებს შეუძლიათ. მაგრამ, მეორე

მხრივ, უნდა აღვიაროთ, რომ დავიდი, კეთილშობილი სოც.-რევოლუციონერებისგან განსხვავებით, ზოგიერთ დათმობაზე მიდის ბერნშტეინელობის მიმართ. «იხილე ამ დათმობათა ჩინებული კრიტიკა კაუტსკის ნაწერებში».

მოდით, სცადეთ, ბატონებო. იქნებ, კიდევ ერთხელ გამოდნეს რამე.

«ისკრა» № 38, 1903 წ. 15 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# პასუხი პროგრამის ჩვენი პროექტის კრიტიკაზე

ამხანაგი იქსი[88] უარჰყოფს ჩვენი პროექტის აგრარული ნაწილის მესამე და მეოთხე პუნქტებს და გვთავაზობს თავის პროექტს, სადაც შეცვლილია ყველა პუნქტი, აგრეთვე აგრარული პროგრამის საერთო შესავალი. ჯერ განვიხილოთ ამხ. იქსის მოსაზრებანი ჩვენი პროექტის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ მისი საკუთარი პროექტი.

მესამე პუნქტის წინააღმდეგ ამხ. იქსი გვიპასუხებს, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული სამონასტრო (ხალისით დავუმატებდით: აგრეთვე საეკლესიო) და საუფლისწულო მამულების კონფისკაცია მომასწავებელი იქნებოდა კაპიტალისტების მიერ მიწების ჩალის ფასად დატაცებისა. სწორედ გლეხების მძარცველები ნაძარცვი ფულით შეისყიდდნენ ამ მიწებსო, ამბობს იგი. ამაზე ჩვენ შევნიშნავთ, რომ ამხ. იქსი, როდესაც ლაპარაკობს კონფისკებული მამულების გაყიდვაზე, აკეთებს თვითნებურ დასკვნას, რასაც ჩვენი პროგრამა ჯერ კიდევ არ შეიცავს. კონფისკაცია ნიშნავს საკუთრების უსასყიდლოდ გადასვლას სხვის ხელში. ჩვენ მხოლოდ ასეთ გასხვისებაზე ვლაპარაკობთ. პროგრამის ჩვენი პროექტი ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმაზე, გაიყიდოს თუ არა ეს მიწები, ვის, როგორ, რა წესით და რა პირობებში მიეყიდოს. ჩვენ ხელ-ფეხს არ ვიბორკავთ, უფლებას ვიტოვებთ მაშინ განვსაზღვროთ კონფისკებული ქონების გამოყენების ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა, როდესაც მისი კონფისკაცია მოხდება, როდესაც ნათელი იქნება ასეთი კონფისკაციის ყველა სოციალური და პოლიტიკური პირობა. ამხანაგ იქსის პროექტი ამ მხრივ ჩვენი

პროექტისაგან განსხვავდება, როდესაც მოითხოვს არა მარტო კონფისკაციას, არამედ კონფისკებული მიწების გადაცემასაც «დემოკრატიული სახელმწიფოს მფლობელობაში, რათა მოსახლეობამ ყველაზე მოხერხებულად ისარგებლოს ამ მიწებით». მაშასადამე, ამხ. იქსი გამორიცხავს კონფისკებული ქონების გამოყენების ერთ-ერთ ფორმას (გაყიდვას) და ზუსტად არ განსაზღვრავს რაიმე გარკვეულ ფორმას (რადგან გაურკვეველი რჩება, თუ სახელდობრ რა არის, რა იქნება ან რა უნდა იყოს «ყველაზე მოხერხებული» სარგებლობა და სახელდობრ «მოსახლეობის» რა კლასები და რა პირობებში მიიღებენ სარგებლობის უფლებას). ამგვარად, კონფისკებული მიწების გამოყენების წესის საკითხში ამხ. იქსს სულ-ერთია ვერ შეაქვს სრული გარკვეულობა (ამის წინასწარ გარკვევა არც შეიძლება), ხოლო გაყიდვას, როგორც ერთ-ერთ წესს, იგი ტყუილად გამორიცხავს. სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ სოციალ-დემოკრატია ყველა პირობაში და ყოველთვის წინააღმდეგი იქნება გაყიდვისა. პოლიციურ-კლასობრივ, თუნდაც კონსტიტუციურ, სახელმწიფოში მესაკუთრეთა კლასი ხშირად შეიძლება გაცილებით უფრო მტკიცე ბურჯი იყოს დემოკრატიისა, ვიდრე ამ სახელმწიფოზე დამოკიდებულ მოიჯარადრეთა კლასი. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, კონფისკაციის გადაქცევა «კაპიტალისტების საჩუქრად» ჩვენი პროექტით გაცილებით უფრო მეტად არის გათვალისწინებული, ვიდრე ამხ. იქსის პროექტით (რამდენადაც შეიძლება საერთოდ ვილაპარაკოთ ამის გათვალისწინებაზე პროგრამის ფორმულირებაში). მართლაც, წარმოვიდგინოთ ყველაზე უარესი: ვთქვათ, მუშათა პარტიამ, მიუხედავად მთელი თავისი მეცადინეობისა, ვერ შესძლო აელაგმა კაპიტალისტების თვითნებობა და ანგარება *. ამ შემთხვევაში ამხ. იქსის ფორმულირება სრულ გასაქანს ანიჭებს კონფისკებული მიწების «ყველაზე მოხერხებულად» სარგებლობას «მოსახლეობის»

* ხოლო თუ ჩვენ შ ე ვ ძ ლ ე ბ თ ალაგმვას, მაშინ გაყიდვაც არ გადაიქცევა დატაცებად და კაპიტალისტებისთვის საჩუქრად.

კაპიტალისტური კლასის მხრივ. პირიქით, ჩვენი ფორმულირება, რომელიც ძირითად მოთხოვნას არ აკავშირებს მისი რეალიზაციის ფორმასთან, მაინც ითვალისწინებს ასეთი რეალიზაციისაგან მიღებული თანხების ერთ, ზუსტად განსაზღვრულ დანიშნულებას. როდესაც ამხ. იქსი ამბობს, რომ «ს.-დ. პარტია ვერ იკისრებს ამოცანას წინასწარ გადასწყვიტოს, თუ ხალხის წარმომადგენლობა რა კონკრეტული ფორმით გამოიყენებს მის ხელში მყოფ მიწის ფონდსაო», იგი ერთმანეთში ურევს ორ სხვადასხვა რამეს: ფონდის რეალიზაციის წ ე ს ს (სხვანაირად: «გამოყენების ფორმას») და რეალიზაციისაგან მიღებული თანხების დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ს. ამხ. იქსს ორნაირი გაუარესება შეაქვს ჩვენს პროექტში, როდესაც იგი სრულიად გაურკვევლად სტოვებს ამ თანხების დანიშნულების საკითხს და თუნდაც ნაწილობრივ ხელ-ფეხს იბორკავს რეალიზაციის წესის საკითხში.

სწორედ ასევე, ჩვენი აზრით, მართალი არ არის ამხ. იქსი, როდესაც გვიპასუხებს: «ასევე არ შეიძლება თავად-აზნაურებისაგან უკან მივიღოთ გამოსასყიდი თანხები, რადგან ბევრმა მათგანმა გაანიავა ყველაფერიო». ეს, კაცმა რომ თქვას, სრულიადაც არ არის პასუხი, რადგან ჩვენ არც ვამბობთ უბრალოდ «უკან მიღებას», არამედ მოვითხოვთ განსაკუთრებულ გადასახადს. ამხ. იქსს თავის სტატიაში თვითონ მოჰყავს ცნობები, რომ მსხვილი მიწათმფლობელნი გლეხების მიწის განსაკუთრებით დიდ ნაწილს თავის სასარგებლოდ «იჭრიდნენ», ეპატრონებოდნენ რა ზოგჯერ გლეხების მიწის ს ა მ მ ე-ო თ ხ ე დ ს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია მოთხოვნა, რომ სწორედ მსხვილი მიწათმფლობელი თავად-აზნაურები დაიბეგრონ განსაკუთრებული გადასახადით. სავსებით ბუნებრივია აგრეთვე ამ გზით მიღებულ თანხებს მივცეთ სწორედ ის განსაკუთრებული დანიშნულება, რომელსაც ჩვენ მოვითხოვთ, რადგან გ ა რ დ ა საერთო ამოცანისა, რომ ხალხს დაუბრუნდეს სახელმწიფოს მიერ მიღებული მთელი შემოსავალი (ამოცანისა, რომლის განხორციელება მთლიანად მხოლოდ სოციალიზმის დროს შეიძლება), განთავისუფლებული

რუსეთის წინაშე გარდუვალად დადგება კიდევ სპეციალური და განსაკუთრებით აუცილებელი ამოცანა — ავამაღლოთ გლეხთა საარსებო დონე, ამოცანა — სერიოზულად დავეხმაროთ იმ უამრავ მათხოვრებსა და დამშეულებს, რომელთა რიცხვი ასეთი უზომო სისწრაფით იზრდება ჩვენი თვითმპყრობელური წყობილების დროს.

გადავიდეთ მეოთხე პუნქტზე, რომელსაც ამხ. იქსი მთლიანად უარჰყოფს, თუმცა იხილავს მარტოდმარტო მის პირველ ნაწილს — ჩამონაჭრების შესახებ, და ერთ სიტყვასაც არ ამბობს მეორე ნაწილზე, სადაც გათვალისწინებულია ბატონყმობის ნაშთთა აღმოფხვრა, რომლებიც სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირია. დავიწყოთ ავტორის ერთი ფორმალური შენიშვნით: ის წინააღმდეგობას ხედავს იმაში, რომ ჩვენ მოვითხოვთ წოდებათა მოსპობას და გლეხთა, ე. ი. წოდებრივი კომიტეტების დაარსებას. ნამდვილად, აქ მხოლოდ მოჩვენებითი წინააღმდეგობაა: წოდებათა მოსასპობად საჭიროა დაბალი, დაჩაგრული წოდების «დიქტატურა», — სწორედ ისევე, როგორც საერთოდ კლასებისა და მათ შორის პროლეტართა კლასის მოსასპობად საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა. მთელი ჩვენი აგრარული პროგრამა მიზნად ისახავს ბატონყმური და წოდებრივი ტრადიციების მოსპობას აგრარულ ურთიერთობათა სფეროში, ხოლო ასეთი მოსპობისთვის შეიძლება მივმართოთ მარტოდმარტო დაბალ წოდებას, ბატონყმური წესწყობილების ამ ნაშთებით დაჩაგრულთ.

არსებითად, ავტორის მთავარი საწინააღმდეგო მოსაზრება შემდეგია: «ძნელად თუ დამტკიცდება», რომ ჩამონაჭრები წარმოადგენენ შრომამიგების სისტემის უმთავრეს ბაზისს, რადგან ამ ჩამონაჭრების სიდიდე დამოკიდებული იყო იმაზე, ბატონყმობის დროს გლეხები მეღალეები იყვნენ და, მაშასადამე, ბევრი მიწა ჰქონდათ, თუ საბატონოები და, მაშასადამე, მცირე მიწა ჰქონდათ. «ჩამონაჭრების სიდიდე და მათი მნიშვნელობა დამოკიდებულია ისტორიულ პირობათა კომბინაციაზე» და, მაგალითად, ვოლსკის მაზრის პატარა მამულებში

ჩამონაჭრების პროცენტი მთლად უმნიშვნელოა, მსხვილ მამულებში კი — უდიდესია. ასე მსჯელობს ავტორი და ვერ ამჩნევს, რომ საკითხს შორდება. ეჭვი არაა, ჩამონაჭრები განაწილებული იყო ფრიად უთანაბროდ და უაღრესად სხვადასხვა პირობათა კომბინაციის მიხედვით (მათ შორის იმ პირობის მიხედვითაც, ბატონყმობის დროს საბატონო ბეგარა არსებობდა თუ ღალა). მაგრამ რას ამტკიცებს ეს? განა შრომამიგების სისტემაც ფრიად უთანაბროდ არ არის განაწილებული? განა მის არსებობასაც არ განსაზღვრავს ფრიად სხვადასხვანაირ ისტორიულ პირობათა კომბინაცია? ავტორი ლამობს უარჰყოს კავშირი ჩამონაჭრებსა და შრომამიგების სისტემას შორის, მსჯელობს კი მხოლოდ ჩამონაჭრებისა და მათი სიდიდის განსხვავებათა მიზეზებზე და სრულიად არაფერს ამბობს ამ კავშირის შესახებ. ავტორი მხოლოდ ერთხელ გამოსთქვამს აზრს, რომელიც მისი თეზისის დედაარსს უშუალოდ უდგება, და სწორედ ეს აზრი სრულიად არ არის მართალი. «მაშასადამე, — ამბობს იგი, როცა აჯამებს თავის მსჯელობას ღალისა თუ საბატონო ბეგარის გავლენაზე, — სადაც გლეხები საბატონონი იყვნენ (უმთავრესად ცენტრალურ სამიწათმოქმედო რაიონში), იქ ეს ჩამონაჭრები მთლად უმნიშვნელო იქნება, იქ კი, სადაც მეღალეები იყვნენ, მემამულეთა მთელი მიწა შეიძლება «ჩამონაჭრებს» შეადგენდეს». ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები დიდ შეცდომას შეიცავენ, რაც ავტორის მთელ არგუმენტაციას არღვევს. სწორედ ცენტრალურ სამიწათმოქმედო რაიონში, შრომამიგებისა და ბატონყმობის ყოველგვარ ნაშთთა ამ უმთავრეს ცენტრში, ჩამონაჭრები «მთლად უმნიშვნელო» კი არა, არამედ უდიდესია, ჩამონაჭრები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე არაშავნიადაგიან ზოლში, სადაც ღალა საბატონო ბეგარას სჭარბობს. აი მონაცემები ამ საკითხზე, რომლებიც მომაწოდა ერთმა ამხანაგმა, სპეციალობით სტატისტიკოსმა. მან ერთმანეთს შეადარა «სამხედრო-სტატისტიკური კრებულის» მონაცემები მემამულეთა გლეხების მიწათმფლობელო-

ბის შესახებ რეფორმამდე და მიწის საკუთრების სტატისტიკის 1878 წლის მონაცემები და ამგვარად განსაზღვრა ჩამონაჭრების სიდიდე თვითეული გუბერნიისათვის. აღმოჩნდა, რომ ცხრა არაშავნიადაგიან გუბერნიაში * მემამულეთა გლეხებს რეფორმამდე 10 421 ათასი დესეტინა ჰქონდათ, ხოლო 1878 წელს დარჩათ 9 746 ათასი დესეტინა, ე. ი. ჩამოეჭრათ 675 ათასი დესეტინა, ანუ მიწის 6,5%, საშუალოდ თითო გუბერნიაში ჩამოჭრილია 72,8 ათასი დესეტინა. პირიქით, 14 შავნიადაგიან გუბერნიაში ** გლეხებს ჰქონდათ 12 795 ათასი დესეტინა, ხოლო დარჩათ 9 996 ათასი დესეტინა, ე. ი. ჩამოეჭრათ 2 799 ათასი დესეტინა ანუ 21,9%, საშუალოდ თითო გუბერნიაში ჩამოჭრილია 199,1 ათასი დესეტინა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მესამე რაიონი, ველისა, სადაც ხუთ გუბერნიაში *** გლეხებს ჰქონდათ 2 203 ათასი დესეტინა, ხოლო დარჩათ 1 580 ათასი დესეტინა, ე. ი. ჩამოეჭრათ 623 ათასი დესეტინა, ანუ 28,3%, საშუალოდ თითო გუბერნიაში ჩამოჭრილია 124,6 ათასი დესეტინა ****. ეს რაიონი გამონაკლისს წარმოადგენს, რად-

---

* ფსკოვის, ნოვგოროდის, ტვერის, მოსკოვის, ვლადიმირის, სმოლენსკის, კალუგის, იაროსლავლისა და კოსტრომის გუბერნიები.

** ორიოლის, ტულის, რიაზანის, კურსკის, ვორონეჟის, ტამბოვის, ნიჟნი-ნოვგოროდის, სიმბირსკის, ყაზანის, პენზის, სარატოვის, ჩერნიგოვის, ხარკოვისა და პოლტავისა (ჩამოჭრილია 37% მიწა).

*** ხერსონის, ეკატერინოსლავის, თავრიდის, დონის (დაახლოებითი გამოანგარიშებით) და სამარის გუბერნიები.

**** ერთმანეთს რომ ვადარებთ სამი რაიონის ჩამონაჭრების ამ მონაცემებს და მონაცემებს საბატონო გლეხთა პროცენტის შესახებ გლეხთა საერთო რიცხვის მიმართ (სარედაქციო კომისიათა მასალების მიხედვით: იხ. ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. 32, გვ. 686, სტატია «გლეხები»), ასეთ თანაფარდობას ვიღებთ. არაშავნიადაგიანი რაიონი (9 გუბ.): ჩამონაჭრები — 6,5%; საბატონო გლეხები — 43,9% (საშუალო 9 გუბერნიის მონაცემთა მიხედვით). შუა შავნიადაგიანი რაიონი (14 გუბ.): ჩამონაჭრები — 21,99%; საბატონო გლეხები — 76,0%; ველის რაიონი (5 გუბ.): ჩამონაჭრები — 28,3%; საბატონო გლეხები — 95,3%. მაშასადამე, იმის ხაწინააღმდეგო თანაფარდობა გამოდის, რისი დადგენაც ამხ. იქსსა სურს.

გან აქ კაპიტალისტური სისტემა სჭარბობს შრომამიგების სისტემას, მაშინ როდესაც ჩამონაჭრების პროცენტული სიდიდე აქ ყველაზე მეტია. მაგრამ ეს გამონაკლისი უფრო ადასტურებს საერთო წესს, რადგან აქ ჩამონაჭრების გავლენა გაქარწყლებული იყო ისეთი დიდი გარემოებით, როგორიც არის გლეხების უდიდესი ნადელები, მიუხედავად ჩამონაჭრებისა, და თავისუფალი მიწის ფონდის უდიდესი რაოდენობა იჯარისათვის. ამგვარად, მთლად ფუჭია ავტორის ცდა — დაეჭვებულიყო იმაში, რომ ჩამონაჭრებსა და შრომამიგების სისტემას შორის არსებობს კავშირი. ს ა ე რ თ ო დ დ ა მ თ ლ ი ა ნ ა დ, უეჭველია ის გარემოება, რომ შრომამიგების სისტემის ცენტრი რუსეთში (შუა შავნიადაგიანი რაიონი) ამავე დროს ჩამონაჭრების ცენტრიც არის. ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვებს «საერთოდ და მთლიანად», რათა ვუპასუხოთ ავტორის შემდეგ გაუგებრობას. ჩვენი პროგრამის სიტყვებთან იმ მიწების დაბრუნებაზე, რომლებიც ჩამოჭრილია და წარმოადგენენ დამონების იარაღს, ავტორი ფრჩხილებში სვამს კითხვას: «ის მიწები კი, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ იარაღს?» ამაზე ვუპასუხებთ, რომ პროგრამა ჩამონაჭერთა დაბრუნების კანონის პროექტი არ არის. ჩვენ ჩამონაჭრების საერთო მნიშვნელობას განვსაზღვრავთ და განვმარტავთ, ცალკეულ შემთხვევებზე კი არ ვლაპარაკობთ. და ნუთუ შესაძლებელია კიდევ, რეფორმისშემდეგდროინდელი გლეხობის მდგომარეობაზე შექმნილი მთელი ნაროდნიკული ლიტერატურის შემდეგ, ეჭვის შეტანა იმაში, რომ ჩამონაჭრები, საერთოდ და მთლიანად, წარმოადგენენ ბატონყმური კაბალის იარაღს? ნუთუ კიდევ შესაძლებელია, ვკითხულობთ ჩვენ შემდეგ, უარვყოთ ჩამონაჭრების კავშირი შრომამიგების სისტემასთან, როდესაც ეს კავშირი გამომდინარეობს რუსეთის რეფორმის შემდეგდროინდელი ეკონომიკის ყველაზე ძირითადი ცნებებიდან? შრომამიგების სისტემა არის შეერთება საბატონო ბეგარისა კაპიტალიზმთან, «ძველი რეჟიმისა» და «თანამედროვე» მეურნეობისა, მიწის მიზომვის საშუალებით ექსპლოატაციის გაწევის სისტემისა

და მიწისგან ჩამოშორების საშუალებით ექსპლოატაციის გაწევის სისტემისა. თანამედროვე საბატონო ბეგრის უფრო რელიეფური მაგალითი სხვა რა უნდა იყოს, თუ არ სისტემა მეურნეობისა ჩამოჭრილი მიწებისთვის (სისტემა, აწერილი, როგორც ასეთი, როგორც განსაკუთრებული სისტემა, და არა შემთხვევითი მოვლენა, ნაროდნიკულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ იმ დალოცვილ ძველ დროს, როდესაც შაბლონური და გონებავიწრო მარქსისტების ხსენებაც არ იყო)? ნუთუ შეიძლება იმის ფიქრი, რომ გლეხების თანამედროვე მიმაგრება მიწაზე ემყარება მხოლოდ მიმოსვლის თავისუფლების კანონის უქონლობას, და არა, გარდა ამისა, ჩამოჭრილი მიწებისთვის კაბალური მეურნეობის არსებობას (რაც ნაწილობრივ საფუძვლადაც უდევს ამ მიმაგრებას)?

რაკი ავტორმა სრულიად ვერაფრით ვერ დაამტკიცა საფუძვლიანობა თავისი ეჭვისა, რომ ჩამონაჭრებსა და კაბალას შორის კავშირი არსებობს, იგი ქვევით შემდეგნაირად მსჯელობს. ჩამონაჭრების დაბრუნება არის მიწების პატარა ნაკვეთების მიზომვა, დამყარებული არა იმდენად გლეხური მეურნეობის საჭიროებაზე, რამდენადაც ისტორიულ «გადმოცემაზე». როგორც ყოველგვარი მიზომვა არასაკმაო რაოდენობის მიწისა (საკმაოზე ლაპარაკიც მეტია), იგი კი არ მოსპობს, არამედ შეჰქმნის კაბალას, რადგან გამოიწვევს დანაკლისი მიწების იჯარას, გაჭირვებით წარმოშობილ იჯარას, სასურსათო იჯარას, მაშასადამე, რეაქციული ღონისძიება იქნებაო.

ეს მსჯელობაც კვლავ მიზანს არ ხვდება, რადგან ჩვენი პროგრამა თავის აგრარულ ნაწილში სრულიადაც არ «გვპირდება» საერთოდ ყოველგვარი გაჭირვების აღმოფხვრას (ამ დაპირებას იგი იძლევა მხოლოდ თავის საერთო-სოციალისტურ ნაწილში), არამედ მხოლოდ ბატონყმობის (თუნდაც ზოგიერთი) ნაშთების აღმოფხვრას. ჩვენი პროგრამა საერთოდ ლაპარაკობს არა სახელდობრ ყოველგვარი წვრილი ნაკვეთების მიზომვაზე, არამედ კაბალის თუნდაც ერთ-ერთი იმ

სახეობის აღმოფხვრაზე, რომელიც უკვე არსებობს. ავტორმა გადაუხვია აზრის ამ მსვლელობას, რომელიც ჩვენს პროგრამას საფუძვლად უდევს, და ამ აზრს თვითნებურად, უმართებულოდ მისცა სხვა მნიშვნელობა. მართლაც, შეხედეთ მის არგუმენტაციას. იგი განზე სდებს (და ამ მხრივ, რა თქმა უნდა, იგი მართალია) ჩამონაჭრების გაგებას მხოლოდ ხარვეზიანობის აზრით და ამბობს: «თუ ჩამონაჭრები მიწის დამატებითი მიზომვაა, მაშინ უნდა განვიხილოთ, საკმარისია თუ არა ჩამონაჭრები კაბალური ურთიერთობის მოსასპობად, რადგან ამ თვალსაზრისით კაბალური ურთიერთობა მცირემიწიანობის შედეგია». ჩვენი პროგრამა სრულიადაც არსად არ ამტკიცებს, რომ ჩამონაჭრები საკმარისია კაბალის მოსასპობად. ყველა და ყოველგვარი კაბალა შეიძლება მოსპოს მხოლოდ სოციალისტურმა რევოლუციამ, ჩვენ კი აგრარულ პროგრამაში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ნიადაგზე ვდგევართ და მოვითხოვთ ზოგიერთ ღონისძიებას ბატონყმობის ნაშთთა «აღმოფხვრის მიზნით» (არც კი ვამბობთ, რომ ეს შეიძლება სრული აღმოფხვრა იყოს). ჩვენი აგრარული პროგრამის მთელი დედაარსი ის არის, რომ სოფლის პროლეტარიატი მდიდარ გლეხობასთან ერთად უნდა იბრძოდეს ბატონყმობის ნაშთთა მოსპობისთვის, ჩამონაჭრებისთვის. ვინც ყურადღებით დაუკვირდება ამ დებულებას, ის მიხვდება, რომ არასწორი, უ ა დ გ ი ლ ო და ულოგიკოა ამგვარი საწინააღმდეგო მოსაზრება: რატომ მ ა რ ტ ო ჩამონაჭრები, რახან ეს საკმარისი არაა? იმიტომ, რომ მ დ ი დ ა რ გ ლ ე ხ ო ბ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ პროლეტარიატი ვ ე რ შ ე ს ძ ლ ე ბ ს წ ა ვ ი დ ე ს დ ა ა რ ც უ ნ დ ა წავიდეს ბატონყმობის მოსპობაზე შორს, ჩამონაჭრებზე შორს და სხვ. ა მ ა ზ ე შ ო რ ს პროლეტარიატი საერთოდ და განსაკუთრებით სოფლის პროლეტარიატი მ ა რ ტ ო წ ა ვ ა; არა «გლეხობასთან» ერთად, არა მდიდარ გლეხთან ერთად, არამედ მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ჩვენ ჩამონაჭრებზე შორს არ მივდივართ არა იმიტომ, თითქოს გლეხისთვის სიკეთე არ გვსურდეს ანდა ბურჟუაზიის დაფრთხობისა გვეშინოდეს, არამედ იმიტომ, რომ არ გვინდა სოფლის პროლეტარიატი

მდიდარ გლეხს ეხმარებოდეს აუცილებელზე მეტად, პროლეტარისთვის აუცილებელზე მეტად. ბატონყმური კაბალისგან იტანჯება პროლეტარიც და მდიდარი გლეხიც; ამ კაბალის წინააღმდეგ მათ შეუძლიათ და უნდა წავიდნენ ერთად, ხოლო დანარჩენი კაბალის წინააღმდეგ პროლეტარიატი მარტო წავა. ამიტომ ჩვენს პროგრამაში ბატონყმური კაბალის გამოყოფა ყოველგვარი სხვა კაბალისაგან წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესთა მკაცრად დაცვის აუცილებელ შედეგს. ჩვენ შევლახავდით ამ ინტერესებს, ჩვენ მივატოვებდით პროლეტარიატის კლასობრივ თვალსაზრისს, თუ ჩვენს პროგრამაში დავუშვებდით, რომ «გლეხობა» (ე. ი. მდიდრები პლუს ღარიბნი) ერთად წავა ბატონყმობის ნაშთთა მოსპობაზე შორს; ჩვენ ამით შევაფერხებდით უსათუოდ აუცილებელ და სოციალ-დემოკრატის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან პროცესს — მეპატრონე გლეხობისაგან სოფლის პროლეტარიატის საბოლოო განცალკევების პროცესს, სოფლად პროლეტარული კლასობრივი შეგნების ზრდის პროცესს. როდესაც ძველი რწმენის ადამიანები, ნაროდნიკები, და ადამიანები, რომლებსაც არავითარი რწმენა და არავითარი შეხედულება არ გააჩნიათ, სოციალისტ-რევოლუციონერები, ხელებს შლიან ჩვენი აგრარული პროგრამის გამო, ეს იმიტომ ხდება, რომ მათ (მაგ., ბ-ნ რუდინსა და კომპ.) წარმოდგენა არა აქვთ ჩვენი სოფლის ნამდვილ ეკონომიურ წყობაზე და მის ევოლუციაზე, წარმოდგენა არა აქვთ თემის შიგნით ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე, რომელიც იქ ყალიბდება და თითქმის ჩამოყალიბდა, წარმოდგენა არა აქვთ ბურჟუაზიული გლეხობის ძალაზე. ისინი ჩვენს პროგრამას უდგებიან ძველი ნაროდნიკული ცრურწმენით ან, უფრო ხშირად, ამ ცრურწმენის ნამსხვრევებით, აკრიტიკებენ ცალკეულ პუნქტებს ან მათს ფორმულირებას და არც კი ესმით, თუ რა მიზანს ისახავს ჩვენი აგრარული პროგრამა, რა საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობისათვის არის იგი ნავარაუდევი. როდესაც იმათ ეუბნებიან, რომ

ჩვენს აგრარულ პროგრამაში ლაპარაკია არა ბრძოლაზე ბურჟუაზიულ წყობილებასთან, არამედ სოფლად ბურჟუაზიული წყობილების პირობათა შექმნაზე, ისინი მხოლოდ თვალებს იფშვნეტენ და შეგნებული არა აქვთ (მათთვის ჩვეული თეორიული უდარდელობის გამო), რომ მათი გაკვირვება უბრალო გამოძახილია ნაროდნიკული და მარქსისტული მსოფლმხედველობის ბრძოლისა.

მარქსისტისთვის, რომელიც აგრარული პროგრამის შედგენას იწყებს, უკვე გადაწყვეტილია საკითხი ბატონყმობის ნაშთებისა რუსეთის ბურჟუაზიულ სოფელში, რომელიც კაპიტალისტურად ვითარდება, და მხოლოდ სრული უპრინციპობა სოციალისტ-რევოლუციონერებისა. უშლის მათ ხელს დაინახონ, რომ ა რ ს ე ბ ი თ ი კრიტიკისათვის საჭიროა ამ საკითხის ჩვენებურ გადაწყვეტას დაუპირისპირონ თუნდაც რაიმე დალაგებული და მთლიანი. მარქსისტისთვის ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან აიცილოს ორი უკიდურესობა: ერთი მხრივ, არ ჩავარდეს იმ ადამიანთა შეცდომაში, რომელნიც ამბობენ, რომ პროლეტარიატის თვალსაზრისით ჩვენი საქმე არაა არავითარი უახლოესი და დროებითი არაპროლეტარული ამოცანები, ხოლო მეორე მხრივ, არ დაუშვას, რომ პროლეტარიატის მონაწილეობას უახლოეს დემოკრატიულ ამოცანათა გადაწყვეტაში მოსდევდეს მისი კლასობრივი შეგნებისა და მისი კლასობრივი სახის დაჩრდილვა. საკუთრივ საადგილმამულო ურთიერთობათა სფეროში ეს ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: წამოვაყენოთ არსებული საზოგადოების ნიადაგზე ისეთი აგრარული გარდაქმნის გარკვეული ლოზუნგი, რომელსაც შეეძლება ყველაზე სრულად აღგავოს ბატონყმობის ნაშთები და ყველაზე ჩქარა გამოჰყოს სოფლის პროლეტარიატი მთლიანი გლეხობის მთლიანი მასიდან.

ვფიქრობ, რომ ჩვენმა პროგრამამ ეს ამოცანა გადაწყვიტა. და ჩვენ სრულიადაც არ გვაგდებს საგონებელში ამხანაგ იქსის კითხვა: როგორ-ღა მოვიქცეთ, თუ გლეხთა კომიტეტები მოითხოვენ არა ჩამონაჭრებს, არამედ მთელ მიწას? ჩვენ

თვითონ მოვითხოვთ მთელ მიწას, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა «ბატონყმური წყობილების ნაშთთა აღმოფხვრის მიზნით» (რა მიზნითაც შემოფარგლულია ჩვენი პროგრამის აგრარული ნაწილი), არამედ სოციალისტური გადატრიალების მიზნით. და ჩვენ ყოველთვის და ყოველ გარემოებაში დაუღალავად მივუთითებთ და შემდეგშიაც მივუთითებთ «სოფლის ღარიბებს» სწორედ ამ მიზანზე. არ არის იმაზე უფრო უხეში შეცდომა, როგორც იმის ფიქრი, რომ სოციალ-დემოკრატს შეუძლია სოფლად წავიდეს თავისი პროგრამის მხოლოდ აგრარული ნაწილით, რომ სოციალ-დემოკრატს შეუძლია თუნდაც ერთი წუთით დაკეცოს თავისი სოციალისტური დროშა. ხოლო თუ მთელი მიწის მოთხოვნა ნაციონალიზაციის მოთხოვნა იქნება ანდა თანამედროვე მეურნე გლეხობის ხელში მიწის გადასვლის მოთხოვნა იქნება, მაშინ ჩვენ ამ მოთხოვნას შევაფასებთ პროლეტარიატის ინტერესთა თვალსაზრისით, მხედველობაში მივიღებთ საქმის ყველა გარემოებას: ჩვენ წინდაწინვე ვერ ვიტყვით, მაგ., გამოვა თუ არა ჩვენი მეურნე გლეხობა, როდესაც მას რევოლუცია გააღვიძებს პოლიტიკური ცხოვრებისთვის, როგორც დემოკრატიულ-რევოლუციური პარტია, თუ როგორც წესრიგის პარტია. ჩვენ ისე უნდა შევადგინოთ ჩვენი პროგრამა, რომ მზად ვიყოთ ყველაზე უარესისათვის, საუკეთესო კომბინაციების განხორციელება კი მხოლოდ გააადვილებს ჩვენს მუშაობას და ახალ ბიძგს მისცემს მას.

ამ საკითხის გამო ჩვენ დაგვრჩენია კიდევ შევჩერდეთ ამხანაგ იქსის შემდეგ მსჯელობაზე. «ამაზე, — წერს იგი იმ თავისი დებულების გამო, რომ ჩამონაჭრების მიზომვა განამტკიცებს სასურსათო იჯარასო, — ამაზე შეიძლება გვიპასუხონ, რომ ჩამონაჭრების მიზომვას მნიშვნელობა აქვს როგორც საშუალებას — მოსპოს ამ ჩამონაჭრების იჯარის კაბალური ფორმები, და არა გაადიდოს და განამტკიცოს წვრილი სასურსათო მეურნეობა. მაგრამ ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ ამ პასუხში ლოგიკური წინააღმდეგობაა. მიწის პატარა ნაჭრების მიზომვა არის მიწის მიზომვა

ისეთი რაოდენობით, რომელიც არასაკმაოა პროგრესირებული მეურნეობის გასაძღოლად და საკმაოა სასურსათო მოიჯარე მეურნეობის განსამტკიცებლად. მაშასადამე, მიწის არასაკმაო რაოდენობის მიზომვით სასურსათო მეურნეობა უფრო მტკიცე ხდება. მაგრამ ისპობა თუ არა ამით იჯარის კაბალური ფორმები, — ეს კიდევ უნდა დამტკიცდეს. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ეს ფორმები მტკიცე ხდება, რადგან გაადიდებენ წვრილ მესაკუთრე — კონკურენტთა რიცხვს მემამულეთა მიწის იჯარის დროს».

ჩვენ ამხ. იქსის მთელი ეს მსჯელობა მთლიანად ამოვწერეთ, რათა მკითხველმა ადვილად განსაჯოს, თუ სად არის ნამდვილი «ლოგიკური წინააღმდეგობა». საერთო წესისამებრ, გლეხები ამჟამად ჩამონაჭრებით სარგებლობენ ბატონყმური კაბალის პირობებში. ჩამონაჭრების დაბრუნებისას ისინი ისარგებლებენ მით როგორც თავისუფალი მესაკუთრენი. ნუთუ «კიდევ უნდა დამტკიცდეს», რომ ეს დაბრუნება მოსპობს ბატონყმურ კაბალას ამ ჩამონაჭრების საშუალებით? ლაპარაკია მიწის განსაკუთრებულ ნაკვეთებზე, რომლებმაც უკვე შეჰქმნეს კაბალის განსაკუთრებული ფორმა, ხოლო ავტორი ამ კერძო ცნების ადგილზე აყენებს «მიწის არასაკმაო რაოდენობის» ზოგად კატეგორიას! ეს ნიშნავს საკითხს გადაახტე. ეს ნიშნავს იფიქრო, რომ ჩამონაჭრები ამჟამად არ წარმოშობენ არავითარ განსაკუთრებულ კაბალას: მაშინ მათი დაბრუნება მართლაც «მიწის არასაკმაო რაოდენობის» უბრალო მიზომვა იქნებოდა, მაშინ მართლაც ჩვენ მხარს ვერ დავუჭერდით ამ ღონისძიებას. მაგრამ ყველა ჩინებულად ხედავს, რომ ეს ასე არ არის.

შემდეგ. ავტორი ტყუილად ჰრევს ერთმანეთში ბატონყმურ კაბალას (მეურნეობის შრომამიგებითს სისტემას), რომელიც ჩამონაჭრებით არის წარმოშობილი, და სასურსათო იჯარას, საერთოდ გაჭირვებით გამოწვეულ იჯარას. ეს უკანასკნელი იჯარა ევროპის ყველა ქვეყანაში არსებობს: კაპიტალისტური მეურნეობის დროს ყველგან და ყო-

ვ ე ლ თ ვ ი ს წვრილ მესაკუთრეთა და წვრილ მოიჯარადრეთა კონკურენცია «კაბალურ» ფარგლებამდე ადიდებს მიწის გასაყიდ და საიჯარო ფასს. ა მ გ ვ ა რ კაბალას ჩვენ ვერასგზით ვერ მოვსპობთ *, ვიდრე კაპიტალიზმს თავიდან არ მოვიშორებთ. მაგრამ განა ეს პასუხია იმ ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელიც უნდა სწარმოებდეს კაბალის წმინდა რუსულ, განსაკუთრებულ სახეებთან? ამხ. იქსის მსჯელობა იმას ნიშნავს, რომ მან სამუშაო დღის შემოკლების წინააღმდეგ გაილაშქროს იმ საბუთით, რომ ასეთი შემოკლების შედეგად შრომის ინტენსივობა დიდდებაო. სამუშაო დღის შემოკლება ნაწილობრივი რეფორმაა, რომელიც სპობს კაბალის მხოლოდ ერთ-ერთ სახეს, სახელდობრ მუშაობის გახანგრძლივების გზით შექმნილ კაბალას. კაბალის სხვა სახეებს, მაგ., მუშების «თავზე დგომის» გზით შექმნილ კაბალას, ე ს რეფორმა ვერ აღმოფხვრის, და საერთოდ კაბალის ყველა სახე ვერავითარი რეფორმით ვერ აღმოიფხვრება კაპიტალიზმის ნიადაგზე.

როდესაც ავტორი ამბობს: «ჩამონაჭრების მიზომვა წარმოადგენს რეაქციულ ღონისძიებას, რომელიც კაბალას განამტკიცებსო», იგი აყენებს დებულებას, რომელიც ისე აშკარად ეწინააღმდეგება ყველა წარმოდგენას რეფორმის შემდეგდროინდელ გლეხურ მეურნეობაზე, რომ თვითონაც თავს ვერ იმაგრებს ამ პოზიციაზე. ავტორი თვითონ ეწინააღმდეგება თავისთავს, როდესაც ცოტა ზემოთ ამბობს: «...კაპიტალიზმის დანერგვა, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმე არაა. ეს ყოველგვარი პარტიის სურვილის მიუხედავად მოხდება, თუ გლეხური მიწათსარგებლობა გაფართოვდება...». მაგრამ თუ გლეხური მიწათსარგებლობის გაფართოება საერთოდ გამოიწვევს კაპიტალიზმის განვითარებას, მაშინ მ ი თ უ მ ე ტ ე ს გარდუვალია ეს შედეგი გლეხთა მიწათ-

* ამ კაბალის შეზღუდვა, ალბვმა შესაძლებელია იმით, რომ სასამართლოებს მიენიჭოთ საიჯარო ფასის შემცირების უფლება, — რასაც ჩვენს პროგრამაში კიდეც მოვითხოვთ.

მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს გაფართოებისას იმ სპეციალურ ნაკვეთთა ხარჯზე, რომელნიც წარმოშობენ სპეციალურ-ბატონყმურ კაბალას. ჩამონაჭრების დაბრუნება აამაღლებს გლეხობის საარსებო დონეს, გაადიდებს შინაურ ბაზარს, გააძლიერებს მოთხოვნილებას დაქირავებულ მუშებზე ქალაქად, აგრეთვე დაქირავებულ მუშებზე მდიდარ გლეხებთან და მემამულეებთან, რომლებიც ჰკარგავენ შრომამიგებითი მეურნეობის ერთგვარ დასაყრდენს. რაც შეეხება «კაპიტალიზმის დ ა ნ ე რ გ ვ ა ს», ეს უკვე მთლად უცნაური შემოკამათებაა. ჩამონაჭრების დაბრუნება მხოლოდ მაშინ იქნებოდა კაპიტალიზმის დანერგვა, თუ ეს საჭირო და სასარგებლო იქნებოდა მ ა რ ტ ო დ მ ა რ ტ ო ბურჟუაზიისთვის. მაგრამ ეს ასე არ არის. იგი არა ნაკლებ, თუ უფრო მეტად არა, საჭირო და სასარგებლოა სოფლის ღარიბებისთვის, რომელნიც იტანჯებიან კაბალისა და შრომამიგებისაგან. სოფლის პროლეტარი სოფლის ბურჟუასთან ე რ თ ა დ იჩაგრება ბატონყმური კაბალით, რომელიც მნიშვნელოვნად დამყარებულია სწორედ ჩამონაჭრებზე. ამიტომ სოფლის პროლეტარს არ შეუძლია თავი გაითავისუფლოს ამ კაბალისაგან ისე, რომ ა მ ი თ არ გაათავისუფლოს სოფლის ბურჟუაც. აქ კაპიტალიზმის «დანერგვის» დანახვა შეუძლიათ მხოლოდ ბატონ რუდინებს და მსგავს სოციალისტ-რევოლუციონერებს, რომელთაც არ ახსოვთ თავისი ნათესაობა ნაროდნიკებთან.

უფრო ნაკლებად დამაჯერებელია ამხ. იქსის მოსაზრებანი ამ საკითხის გამო, შესაძლებელია თუ არა ჩამონაჭრების დაბრუნების განხორციელება. მისი მონაცემები ვოლსკის მაზრის შესახებ მის წინააღმდეგ მეტყველებენ: მამულების თითქმის მეხუთედი ნაწილი (99-იდან 18) ძველ მფლობელთა ხელში დარჩა, — ე. ი. ჩამონაჭრები შეიძლებოდა პირდაპირ და სრულიად გამოუსყიდველად გადასულიყო გლეხების ხელში. მამულების კიდევ ერთი მესამედი მთლიანად სხვის ხელში გადავიდა, — ე. ი. აქ საჭირო გახდებოდა ჩამონაჭრების გამოსყიდვა მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის ხარჯზე. და მხოლოდ 16 შემთხვევაში 99-იდან სა-

ჭირო იქნებოდა გამოსყიდვა გლეხებისგანვე და სხვა მფლობელებისგან, რომელთაც მიწა ნაწილ-ნაწილ იყიდეს. ჩვენ გადაჭრით უარს ვამბობთ გავიგოთ ჩამონაჭრების დაბრუნების «შეუძლებლობა» ამგვარ პირობებში. ავიღოთ მონაცემები იმავე სარატოვის გუბერნიის შესახებ. ჩვენს წინ დევს უახლესი «მასალები სარატოვის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა საკითხზე» (სარატოვი, 1903 წ.). მემამულეთა ყოფილი გლეხების ყველა ჩამონაჭრის სიდიდე განისაზღვრება 600 ათასი დესეტინით, ანუ 42, 7%-ით *. თუ ერობის სტატისტიკოსებმა 1896 წელს შესძლეს ჩამონაჭრების ოდენობის განსაზღვრა საწესდებო სიგელებიდან და სხვა დოკუმენტებიდან ამოკრეფილი ცნობებით, რატომ არ შეიძლება ეს ოდენობა უფრო ზუსტად განსაზღვრონ გლეხთა კომიტეტებმა რომელიმე, ვთქვათ, 1906 წელს? და თუ ავიღებთ ვოლსკის მაზრის ნორმას, აღმოჩნდებოდა, რომ დაახლოებით 120 ათასი დესეტინა შეიძლება დაჰბრუნებოდათ გლეხებს ერთბაშად და სრულიად გამოუსყიდველად, შემდეგ დაახლოებით 200 ათასი დესეტინა გამოსყიდულიყო (თავად-აზნაურთა მიწების ხარჯზე) ერთბაშად იმ მამულების შემადგენლობიდან, რომლებიც მთლიანად სხვის ხელში გადავიდა, და მხოლოდ დანარჩენი მიწის მიმართ პროცედურა გამოსყიდვისა (თავად-აზნაურთა მიწათმფლობელობის ხარჯზე), გამოცვლისა და სხვ. რამდენადმე უფრო რთული იქნებოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სრულიად არ იქნებოდა «შეუძლებელი». თუ რა მნიშვნელობა

* შევნიშნავთ, რომ ეს უახლესი საერობო-სტატისტიკური მონაცემები სავსებით ადასტურებენ ზემოდასახელებული ამხანაგ-სტატისტიკოსის აზრს, რომ მის მიერ მოწოდებული მონაცემები ჩამონაჭრების შესახებ შემცირებულია. იმ მონაცემთა მიხედვით, ჩამონაჭრები სარატოვის გუბერნიაში სულ 512 ათას დესეტინას (=38%) შეადგენენ. ამავე დროს 600 ათასი დესეტინაც ნაკლებია ჩამონაჭრების ნამდვილ ოდენობაზე, რადგან შეიცავს, ჯერ ერთი, მემამულეთა ყოფილი გლეხების არა ყველა თემს, და მეორე, მხოლოდ გამოსადეგ მიწებს.

ექნებოდა გლეხებისთვის მათი 600 ათასი დესეტინის დაბრუნებას, ჩანს, მაგალითად, იქიდან, რომ კერძომფლობელური მიწის იჯარის მთელი ჯამი სარატოვის გუბერნიაში 90-იანი წლების დამლევს დაახლოებით 900 ათას დესეტინას შეადგენდა. თავისთავად ცხადია, ჩვენ არ ვფიქრობთ იმის მტკიცებას, რომ ყველა ჩამონაჭერი მიწა ამჟამად იჯარით იყოს აღებული, — ჩვენ მხოლოდ თვალნათლივ გვინდა ცხადვყოთ საკუთრებად დასაბრუნებელი მიწის რაოდენობის თანაფარდობა იმ მიწასთან, რომელსაც ახლა ძ ა ლ ი ა ნ ხ შ ი რ ა დ იღებენ იჯარით კაბალურ და ბატონყმურ-კაბალურ პირობებში. ეს შედარება ფრიად დამაჯერებლად მოწმობს იმას, თუ რა საგრძნობ ლახვარს ჩასცემდა ჩამონაჭრების დაბრუნება ბატონყმურ-კაბალურ ურთიერთობას, რა ბიძგს მისცემდა იგი «გლეხობის» რევოლუციურ ენერგიას და — რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სოციალ-დემოკრატის თვალსაზრისით — რა უაღრესად დააჩქარებდა იგი იდეურ და პოლიტიკურ განხეთქილებას სოფლის პროლეტარიატსა და გლეხურ ბურჟუაზიას შორის. გლეხთა კომიტეტების საექსპროპრიაციო მუშაობის უახლოესი და აუცილებელი შედეგი იქნებოდა სწორედ ეს გადამწყვეტი და საბოლოო განხეთქილება და სრულიადაც არა გაერთიანება მთელი «გლეხობისა» მთელი მიწის «ნახევრად-სოციალისტური», «გათანაბრებითი» მოთხოვნების საფუძველზე, როგორც ეს ელანდებათ ნაროდნიკების თანამედროვე ეპიგონებს. რაც უფრო რევოლუციურად გამოვა «გლეხობა» მემამულეთა წინააღმდეგ, მით უფრო ჩქარა მოხდება და უფრო ღრმა იქნება ეს განხეთქილება, რომელიც მაშინ თავს იჩენს არა მარქსისტული გამოკვლევის სტატისტიკურ გამოანგარიშებაში, არამედ გლეხური ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოქმედებაში, პარტიებისა და კლასების ბრძოლაში გლეხთა კომიტეტების შიგნით.

ყურადღება მიაქციეთ: როდესაც ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნას ვაყენებთ, ჩვენ განზრახ ვზღუდავთ ჩვენს ამოცანას არსებული წყობილების ფარგლებით: ჩვენ ვ ა ლ დ ებ უ ლ ნ ი ვართ ასე მოვიქცეთ, თუ ვლაპარაკობთ პროგრამა-

**minimum**-ზე და თუ არ გვინდა გადავვარდეთ უპარდონო პროექტიორობაში, რომელიც შარლატანობის მიჯნაზე დგას, როდესაც «პირველ ალაგზე» აყენებენ, ერთი მხრივ, კოოპერაციებს, მეორე მხრივ, სოციალიზაციას. ჩვენ პასუხს ვაძლევთ კითხვაზე, რომელიც ჩვენ მიერ არ არის დაყენებული *, კითხვაზე ხვალინდელი დღის რეფორმების შესახებ, რომლებსაც იხილავს არალეგალური პრესაც, «საზოგადოებაც»,

* რამდენად «ჩვენ მიერ არ არის» დაყენებული საკითხი აგრარული რეფორმისა არსებული წყობილების ნიადაგზე, ეს ჩანს, მაგალითად, შემდეგი ციტატიდან, რომელსაც ვსესხულობთ ნაროდნიკების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი თეორეტიკოსისაგან, ბ-ნ ვ. ვ-სგან, იმ სტატიიდან, რომელიც ეკუთვნის მისი მოღვაწეობის საუკეთესო ეპოქას («ოტეჩესტვენნიე ზაპისკი» [8], 1882, № 8 და 9). «განსახილველი წესები, — წერდა მაშინ ბ-ნი ვ. ვ. ჩვენი მიწათმოქმედების წყობილებაზე, — გვიანდერძა ბატონყმობამ... ბატონყმობა დაინგრა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ იურიდიულად და ზოგიერთი სხვა მხრივ, სასოფლო-სამეურნეო წესები კი წინანდელი, რეფორმამდელი დარჩა... გლეხები ვერ განაგრძობდნენ თავის მეურნეობას მარტოდმარტო თავის შეკვეცილ ნადელზე; მათ აუცილებლივ უნდა გამოეყენებინათ ჩამორთმეული მიწები... რათა უზრუნველყოთ წვრილი სამიწათმოქმედო მეურნეობის მართებული განვითარება, საჭიროა გლეხს მიეცეს იმის გარანტია, რომ ის მიწები მაინც გამოიყენოს, რომლებიც... ასე თუ ისე მის განკარგულებაში იყო ბატონყმობის დროს. ეს არის **minimum**-ი იმ სურვილებისა, რომლებიც შეიძლება წამოვაყენოთ წვრილი კულტურის გულისათვის». აი საკითხის დაყენება, მოცემული იმ ადამიანების მიერ, რომელთაც სწამდათ ნაროდნიკობა და აშკარად აღიარებდნენ მას და რომლებიც უღირსად არ თამაშობდნენ კეკემალულობას, როგორც ბატონი სოც.-რევოლუციონერები. და სოციალ-დემოკრატიამ დააფასა საკითხის ნაროდნიკული დაყენება არსებითად, როგორც ყოველთვის აფასებს იგი ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ მოთხოვნებს. მოთხოვნების დადებითი და პროგრესული ნაწილი (ბრძოლა ბატონყმობის ყველა ნაშთთან) მან მთლიანად გადმოიღო, მეშჩანური ილუზიები კი შორს გადაისროლა და ცხადჰყო, რომ ბატონყმობის ნაშთთა მოსპობა გასწმენდს და დაიჩქარებს სწორედ კაპიტალისტურ და არა სხვა რაიმე განვითარებას. სწორედ საზოგადოებრივი განვითარებისა და პროლეტარის ხელ-ფეხის გახსნის ინტერესებისთვის და არა «წვრილი კულტურის გულისათვის» ვაყენებთ ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნას და სრულიადაც არ ვკისრულობთ ვალდებულებას დავეხმაროთ «წვრილ» გლეხურ ბურჟუაზიას არა მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ, არამედ მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგაც.

ერობაც და, თითქმის, მთავრობაც კი. ჩვენ ანარქისტები ანდა უბრალო მოლაყბენი ვიქნებოდით, რომ განზე დავმდგარიყავით ამ აუცილებელი, მაგრამ სრულიადაც არა სოციალისტური საკითხისაგან, რომელიც წამოაყენა რუსეთის მთელმა რეფორმისშემდეგდროინდელმა ისტორიამ. ჩვენ სოციალდემოკრატიული თვალსაზრისით ს წ ო რ ა დ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი, რომელიც ჩვენ არ დაგვიყენებია, უნდა განვსაზღვროთ ჩვენი პოზიცია იმ აგრარული რეფორმების მიმართ, რომლებიც მთელმა ლიბერალურმა საზოგადოებამ უკვე მოითხოვა და ურომლისოდაც ვერც ერთ გონიერ ადამიანს ვერ წარმოუდგენია რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლება, და ჩ ვ ე ნ ს პოზიციას განვსაზღვრავთ ამ ლიბერალური (ლიბერალურს ვამბობთ მეცნიერული გაგებით, ე. ი. მარქსისტული გაგებით) რეფორმის მიმართ იმით, რომ უეჭველად ერთგულნი ვრჩებით ჩვენი პრინციპისა — მხარი დავუჭიროთ ნამდვილად დემოკრატიულ მოძრაობას, და ამავე დროს დაუღალავად და განუხრელად განვავითაროთ პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება. ჩვენ ვიძლევით მოქმედების პრაქტიკულ ხაზს ისეთი რეფორმის მიმართ, რომელიც დღეს თუ არა ხვალ უნდა გაატაროს მთავრობამ ან ლიბერალებმა. ჩვენ ვიძლევით ისეთ ლოზუნგს, რომელიც ხელს უწყობს რეფორმის რევოლუციურად დამთავრებას, იმ რეფორმისა, რომელიც ნამდვილად არის წამოყენებული ცხოვრების მიერ და არ არის შეთხზული ბუნდოვანი, ჰუმანური **Allerwelts** *-სოციალიზმის ფანტაზიით.

სწორედ ეს უკანასკნელი ცოდვა მიუძღვის ამხ. იქსის პროგრამის პროექტს. იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ აგრარულ ურთიერთობათა მომავალი ლიბერალური გარდაქმნების დროს, არავითარი პასუხი არ არის. სამაგიეროდ ჩვენ გვაძლევენ (მე-5 და მე-7 პუნქტებში) მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის გაუარესებულ და წინააღმდეგობრივ ფორმულირებას. წინააღმდეგობრივს, რადგან რენტის მოს-

* — ყველასათვის მისაღები. რ ე დ.

პობა გათვალისწინებულია ხან გადასახადის გზით, ხან კიდევ საზოგადოებისათვის მიწის გადაცემის გზით. გაუარესებულს, რადგან გადასახადით რენტას ვერ მოსპობ, მიწის გადაცემა კი (საერთოდ რომ ითქვას) სასურველია დემოკრატიული სახელმწიფოს ხელში და არა წ ვ რ ი ლ ი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში (თანამედროვე ან მომავალი ერობის მსგავსისა). უკვე არა ერთხელ გამოთქმულა მოსაზრებანი ჩვენს პროგრამაში მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის შეტანის წინააღმდეგ და ამიტომ მათ აღარ გავიმეორებთ.

მერვე პუნქტი სრულიადაც არ მიეკუთვნება პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს, ხოლო მე-6 პუნქტი ამხ. იქსმა ისე ჩამოაყალიბა, რომ იქ არაფერი «აგრარული» არ დარჩენილა. გამოურკვეველი რჩება, რისთვის იცილებს იგი თავიდან სასამართლოებს და საიჯარო ქირის შემცირებას.

პირველ პუნქტს ავტორი ნაკლები სიცხადით აყალიბებს, ვიდრე ეს ჩვენს პროექტშია, ხოლო დამატება: «წვრილ მესაკუთრეთა დაცვის (და არა წვრილი საკუთრების განვითარების) ინტერესებისათვის» ისევ და ისევ არა-«აგრარულია», არაზუსტი (მუშის დამქირავებელ წვრილ მესაკუთრეთა დაცვა საჭირო არ არის) და ზედმეტია, რადგან რამდენადაც ჩვენ ვიცავთ წვრილი ბურჟუას პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს ა და არა საკუთრებას, ჩვენ ამას ვაკეთებთ ზუსტად განსაზღვრული სოციალური, ფინანსური და სხვა რეფორმების მოთხოვნის საშუალებით.

დაწერილია 1903 წ. ივნისში

პირველად დაიბეჭდა 1903 წ. ივლისში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მიერ გამოცემულ ბროშურაში

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

# ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში

პარტიული პროგრამის პროექტში ჩვენ წამოვაყენეთ მოთხოვნა დემოკრატიული კონსტიტუციური რესპუბლიკისა, რომელიც, სხვათა შორის, უზრუნველჰყოფს «სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარებას». ასეთი პროგრამული მოთხოვნა ბევრს არასაკმაოდ ნათელი ეჩვენებოდა, და 33-ე ნომერში, როდესაც სომეხ სოც.-დემოკრატთა მანიფესტზე ვლაპარაკობდით, ჩვენ შემდეგნაირად განვმარტეთ ამ პუნქტის მნიშვნელობა. სოციალ-დემოკრატია ყოველთვის იბრძოლებს ყოველი ცდის წინააღმდეგ, რომ ძალადობისა ან რაიმე უსამართლობის გზით გარედან მოახდინონ გავლენა ნაციონალურ თვითგამორკვევაზე. მაგრამ თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის ბრძოლის უთუო აღიარება სრულიადაც არ გვავალდებულებს მხარი დავუჭიროთ ნაციონალური თვითგამორკვევის ყოველ მოთხოვნას. სოციალ-დემოკრატია, როგორც პროლეტარიატის პარტია, დადებით და მთავარ ამოცანად ისახავს ხელი შეუწყოს არა ხალხებისა და ერების, არამედ თვითეული ეროვნების პროლეტარიატის თვითგამორკვევას. ჩვენ ყოველთვის და უსათუოდ უნდა მივისწრაფოდეთ ყველა ეროვნების პროლეტარიატის უ ა ღ რ ე ს ა დ მ ჭ ი დ რ ო დ შეერთებისაკენ, და მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში შეგვიძლია წამოვაყენოთ და აქტიურად დავიცვათ მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ ახალი კლასობრივი სახელმწიფოს შექმნას ან სახელმწიფოს სრული პოლიტიკური ერთიანობის

შეცვლას უფრო სუსტი ფედერაციული ერთიანობით და სხვ. *.

ნაციონალურ საკითხში ჩვენი პროგრამის ასეთმა განმარტებამ მკვეთრი პროტესტი გამოიწვია პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) მხრივ [90]. სტატიაში: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ნაციონალურ საკითხთან» («Przedswit» **, 1903 წ. მარტი) პოლონეთის სოციალისტური პარტია აღშფოთებას გამოთქვამს ჩვენი «საიდუმლოებით მოცული» თვითგამორკვევის ამ «საკვირველი» განმარტებისა და «ბუნდოვანობის» გამო, ბრალად გვდებს დოქტრინიორობასაც და «ანარქისტულ» შეხედულებასაც, თითქოს «მუშას არაფერი ესაქმებოდეს, გარდა კაპიტალიზმის სრული მოსპობისა, რადგან, ვითომ, ენა, ეროვნება, კულტურა და სხვ. მხოლოდ ბურჟუაზიული მონაჭორია» და ა. შ.. საჭიროა უაღრესად დაწვრილებით შევჩერდეთ ამ არგუმენტაციაზე, რომელიც ცხადჰყოფს თითქმის ყველა ესოდენ ჩვეულებრივსა და ესოდენ გავრცელებულ გაუგებრობას სოციალისტთა შორის ნაციონალურ საკითხში.

რატომ არის ასე «საკვირველი» ჩვენი განმარტება? რატომ მიაჩნიათ იგი «პირდაპირი» მნიშვნელობიდან გადახვევად? ნუთუ ერთა თვითგამორკვევის უ ფ ლ ე ბ ი ს აღიარება მოითხოვს, რომ მ ხ ა რ ი დ ა ვ უ ჭ ი რ ო თ ყოველი ერის თვითგამორკვევის ყოველ მოთხოვნას? ყველა მოქალაქის უ ფ ლ ე ბ ი ს აღიარება, რომ მოაწყონ თავისუფალი კავშირები, ხომ სრულიადაც არ გვავალდებულებს ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, მ ხ ა რ ი დ ა ვ უ ჭ ი რ ო თ ყოველგვარი ახალი კავშირის შექმნას, სრულიადაც არ გვიშლის ხელს გამოვთქვათ ჩვენი აზრი და აგიტაცია გავწიოთ იმის წინააღმდეგ, რომ ასეთი და ასეთი ახალი კავშირის შექმნის იდეა მიზანშეუწონელია და უგუნურია. ჩვენ აღვიარებთ იეზუიტების უ ფ ლ ე ბ ა ს ა ც კი გასწიონ თავისუფალი აგიტაცია, მაგრამ

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 400 — 404. რ ე დ.

** — «განთიადი». რ ე დ.

ჩვენ ვიბრძვით (არა პოლიციურად ვიბრძვით, რა თქმა უნდა) იეზუიტთა და პროლეტართა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ, როდესაც «Przedswit» ამბობს: «თუ თავისუფალი თვითგამორკვევის ეს მოთხოვნა პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული (დღემდე კი ჩვენ მას ასეთ მნიშვნელობას ვაკუთვნებდით), ასეთ შემთხვევაში იგი ჩვენ დაგვაკმაყოფილებდაო», — სავსებით აშკარაა, რომ პროგრამის პირდაპირი აზრიდან სწორედ პოლონეთის სოციალისტური პარტია უხვევს. მისი დასკვნის ულოგიკობა ფორმალურად უეჭველია.

მაგრამ ჩვენ არ გვინდა ჩვენი განმარტების ფორმალურ შემოწმებას დავჯერდეთ. პირდაპირ და არსებითად დავსვათ საკითხი: უსათუოდ უნდა მოითხოვდეს სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ნაციონალურ დამოუკიდებლობას თუ მხოლოდ გარკვეულ პირობებში და სახელდობრ რა პირობებში? პოლონეთის სოციალისტური პარტია ამ საკითხს ყოველთვის უეჭველი აღიარების სასარგებლოდ სწყვეტდა, და ამიტომ ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს, რომ იგი ეალერსება რუს სოციალისტ-რევოლუციონერებს, რომლებიც მოითხოვენ ფედერაციულ სახელმწიფო წესწყობილებას და მხარს უჭერენ «ნაციონალური თვითგამორკვევის უფლების სრულსა და უსათუო აღიარებას» («რევოლუციონნაია როსსია» № 18, სტატია «ნაციონალური დამონება და რევოლუციური სოციალიზმი»). სამწუხაროდ, ეს სხვა არა არის რა, თუ არა ერთი იმ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრაზათაგანი, რომლებიც ასჯერ და ათასჯერ გვიჩვენებენ ეგრეთწოდებულ სოციალისტ-რევოლუციონერთა ეგრეთწოდებული პარტიის ნამდვილ ბუნებას. პოლონეთის სოციალისტური პარტია ამ ფრაზების ანკესზე ეგება, ამ ხმაურით არის გატაცებული და ამით თავის მხრივ ამტკიცებს, თუ რაოდენ სუსტია მის თეორიულ შეგნებაში და მის პოლიტიკურ საქმიანობაში კავშირი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასთან. სწორედ ამ ბრძოლის ინტერესებს უნდა დ ა ვ უ მ ო რ ჩ ი ლ ო თ ჩვენ ნაციონალური თვითგამორკვევის მოთხოვნა. სწორედ ამ პირობაში მდგომარეობს ნაციონალური საკითხის ჩვენებური დაყენების

განსხვავება მისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დაყენებისაგან. ბურჟუაზიულ დემოკრატს (აგრეთვე მის კვალდაკვალ მიმავალ თანამედროვე სოციალისტ-ოპორტუნისტს) წარმოუდგენია, რომ დემოკრატია სპობს კლასობრივ ბრძოლას, და ამიტომაც იგი ყველა თავის პოლიტიკურ მოთხოვნას აყენებს აბსტრაქტულად, ხელაღებით, «უსათუოდ», «მთელი ხალხის» ინტერესების თვალსაზრისით ან მარადიული ზნეობრივი პრინციპ-აბსოლუტის თვალსაზრისითაც კი. სოციალ-დემოკრატი ულმობლად ამხელს ამ ბურჟუაზიულ ილუზიას ყველგან და ყოველთვის, განყენებული იდეალისტური ფილოსოფიით გამოიხატება იგი თუ ნაციონალური დამოუკიდებლობის უსათუო მოთხოვნის წამოყენებით.

თუ კიდევ საჭიროა იმის დამტკიცება, რომ მარქსისტს სხვანაირად არ შეუძლია, თუ არა პირობით და სახელდობრ ზემოაღნიშნული პირობით, აღიაროს ნაციონალური დამოუკიდებლობის მოთხოვნა, ჩვენ მოვიყვანთ იმ მწერლის სიტყვებს, რომელიც მარქსისტული თვალსაზრისით იცავს პოლონელი პროლეტარების მიერ დამოუკიდებელი პოლონეთის მოთხოვნის წამოყენებას. კარლ კაუტსკი 1896 წელს სტატიაში «Finis Poloniae?» * წერდა: «რაკი პოლონელი პროლეტარიატი ხელს მოჰკიდებს პოლონეთის საკითხს, მას არ შეუძლია მხარი არ დაუჭიროს პოლონეთის დამოუკიდებლობას, არ შეუძლია, მაშასადამე, არ მიესალმოს ყოველ ნაბიჯს, რომელიც უკვე ახლა შეიძლება გადაიდგას ამ მიმართულებით, რამდენადაც ასეთი ნაბიჯი საერთოდ შეეთავსება მებრძოლი საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს.

ეს შენიშვნა, — განაგრძობს კაუტსკი, — ყოველ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს. ნაციონალური დამოუკიდებლობა ისე განუყრელად არ არის დაკავშირებული მებრძოლი პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებთან, რომ მისკენ

* — «პოლონეთის აღსასრული?» რ ე დ.

მიისწრაფოდე უსათუოდ, ყოველ გარემოებაში*. მარქსი და ენგელსი უაღრესად გადაჭრით გამოდიოდნენ იტალიის გაერთიანებისა და განთავისუფლების სასარგებლოდ, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია გაელაშქრნათ 1859 წელს ნაპოლეონთან იტალიის კავშირის წინააღმდეგ» («Neue Zeit» XIV, 2, S. 520 **).

თქვენ ხედავთ: კაუტსკი კატეგორიულად უარყოფს ერების დამოუკიდებლობის უსათუო მოთხოვნას, კატეგორიულად მოითხოვს საკითხის დაყენებას არა მარტო საერთოდ ისტორიულ, არამედ სწორედ კლასობრივ ნიადაგზე. და თუ ჩვენ მივმართავთ მარქსისა და ენგელსის მიერ პოლონეთის საკითხის დაყენებას, დავინახავთ, რომ ისინიც თავიდანვე სწორედ ასე აყენებდნენ პოლონეთის საკითხს. «რეინის ახალი გაზეთი»[91] დიდ ადგილს უთმობდა პოლონეთის საკითხს და გადაჭრით მოითხოვდა არა მარტო პოლონეთის დამოუკიდებლობას, არამედ გერმანიის ომსაც რუსეთთან პოლონეთის თავისუფლებისათვის. მაგრამ, ამავე დროს, მარქსმა გაილაშქრა რუგეს წინააღმდეგ, რომელიც ფრანკფურტის პარლამენტში პოლონეთის თავისუფლების სასარგებლოდ გამოსვლისას პოლონეთის საკითხს სწყვეტდა მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრაზებით «სამარცხვინო უსამართლობის» შესახებ და არავითარ ისტორიულ ანალიზს არ იძლეოდა. მარქსი არ ეკუთვნოდა რევოლუციის იმ პედანტებისა და ფილისტერების რიცხვს, რომლებსაც ყველაზე უფრო ეშინიათ «პოლემიკისა» რევოლუციურ ისტორიულ მომენტებში. მარქსმა ულმობელი სარკაზმები დააყარა «ჰუმანურ» მოქალაქე რუგეს და ჩრდილოეთი საფრანგეთის მიერ სამხრეთ საფრანგეთის ჩაგვრის მაგალითით უჩვენა მას, რომ არა ყოველი ნაციონალური ჩაგვრა და არა ყოველთვის იწვევს, დემოკრატიისა და პროლეტარიატის თვალსაზრისით, კანონიერ მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი. მარქსი მიუთითებდა

* კურსივი ჩვენია.

** — «ახალი დროება» XIV, 2, გვ. 520. რედ.

განსაკუთრებულ სოციალურ პირობებზე, რომელთა ძალითაც «პოლონეთი გახდა რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის რევოლუციური ნაწილი... პოლონეთის თავადაზნაურობაც კი, რომელიც ნაწილობრივ ჯერ კიდევ ფეოდალურ ნიადაგზე იდგა, უმაგალითო თავგამოდებით მიემხრო დემოკრატიულ-აგრარულ რევოლუციას. პოლონეთი უკვე ევროპული დემოკრატიის კერა იყო, როდესაც გერმანია ჯერ კიდევ ჩაფლული იყო ყველაზე უხამს კონსტიტუციურ და მაღალფარდოვან ფილოსოფიურ იდეოლოგიაში... ვიდრე ჩვენ (გერმანელები) ხელს ვუწყობთ პოლონეთის ჩაგვრას, ვიდრე ჩვენ პოლონეთის წაწილი მიჯაჭვული გვყავს გერმანიაზე, — ჩვენ თვითონ ვრჩებით რუსეთზე და რუსეთის პოლიტიკაზე მიჯაჭვულნი, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენსავე ქვეყანაში რადიკალურად გავთავისუფლდეთ პატრიარქალურ-ფეოდალური აბსოლუტიზმისაგან. დემოკრატიული პოლონეთის შექმნა დემოკრატიული გერმანიის შექმნის პირველი პირობაა» [92].

ჩვენ ეს განცხადებანი ასე ვრცლად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ისინი ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბდა პოლონეთის საკითხის ის დაყენება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, რომელიც XIX საუკუნის თითქმის მთელ მეორე ნახევარში იყო დამკვიდრებული. მას შემდეგ შეცვლილ პირობებს ყურადღება რომ არ მიაქციო და მარქსიზმის ძველ გადაწყვეტილებებს ჩაებღაუჭო, — ეს იმას ნიშნავს, რომ ერთგული იყო მოძღვრების ასოსი და არა აზრისა, იმას ნიშნავს, რომ გაიხსენო და გაიმეორო წინანდელი დასკვნები და არ შეგეძლოს გამოიყენო მარქსისტული კვლევის ხერხები ახალი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზისათვის. მაშინდელი და ახლანდელი დრო, — უკანასკნელ ბურჟუაზიულ რევოლუციურ მოძრაობათა ეპოქა და ეპოქა გაქანებული რეაქციისა, მთელი ძალების უკიდურესი დაძაბვისა პროლეტარული რევოლუციის წინადღეს, მკვეთრად განირჩევიან ერთმანეთისაგან. მ ა შ ი ნ რევოლუციური იყო სწორედ პოლონეთი მთლი-

ანად, არა მარტო გლეხობა, არამედ თავადაზნაურობის მასაც. ნაციონალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ტრადიციები ისე ძლიერი და ღრმა იყო, რომ სამშობლოში დამარცხების შემდეგ პოლონეთის საუკეთესო შვილები ყველგან და ყოველგან მხარს უჭერდნენ რევოლუციურ კლასებს; დომბროვსკისა და ვრუბლევსკის[93] ხსოვნა განუყოფელად დაკავშირებულია პროლეტარიატის უდიდეს მოძრაობასთან XIX საუკუნეში, პარიზის მუშების უკანასკნელ — და, იმედი ვიქონიოთ, უკანასკნელ წარუმატებელ, — აჯანყებასთან. მ ა შ ი ნ დემოკრატიის სრული გამარჯვება ევროპაში მართლაც შეუძლებელი იყო პოლონეთის აღუდგენლად. მ ა შ ი ნ პოლონეთი მართლაც ცივილიზაციის ბურჯი იყო ცარიზმის წინააღმდეგ; პოლონეთი იყო დემოკრატიის მოწინავე რაზმი. ა ხ ლ ა პოლონეთის მმართველი კლასები, გერმანიისა და ავსტრიის შლიახტა, რუსეთის მრეწველი და ფინანსისტი ბობოლები გამოდიან მმართველი კლასების მომხრეებად პოლონეთის მჩაგვრელ ქვეყნებში, ხოლო პოლონელი პროლეტარიატის გვერდით, რომელმაც გმირულად გადმოიღო ძველი რევოლუციური პოლონეთის დიადი ტრადიციები, თავისი განთავისუფლებისათვის იბრძვის გერმანელი და რუსი პროლეტარიატი. ა ხ ლ ა მეზობელ ქვეყანაში მარქსიზმის მოწინავე წარმომადგენლები, რომლებიც დაკვირვებით ადევნებენ თვალყურს ევროპის პოლიტიკურ განვითარებას და გამსჭვალულნი არიან პოლონელთა გმირული ბრძოლისადმი თანაგრძნობით, მაინც აღიარებენ პირდაპირ: «პეტერბურგი ამჟამად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რევოლუციური ცენტრი გახდა, ვიდრე ვარშავა, რუსულ რევოლუციურ მოძრაობას უკვე უფრო დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პოლონურს». ასეთი აზრი გამოთქვა კაუტსკიმ ჯერ კიდევ 1896 წელს, როდესაც იცავდა იმ აზრს, რომ პოლონეთის აღდგენის მოთხოვნა დასაშვებია პოლონელი სოციალ-დემოკრატების პროგრამაში. ხოლო 1902 წელს მერინგი, როცა ირკვევდა პოლონეთის საკითხის ევოლუციას 1848 წლიდან დღემდე, ასეთ დასკვნამდე მივიდა: «პოლონელ პროლეტარიატს რომ

მოენდომებინა და თავის დროშაზე დაეწერა პოლონეთის კლასობრივი სახელმწიფოს აღდგენა, რის გაგონებაც არა სურთ თვით გაბატონებულ კლასებს, მაშინ იგი სახუმარო ისტორიულ კომედიას გაითამაშებდა: მქონებელ კლასებს ასეთი ამბავი ემართებათ (როგორც, მაგალითად, პოლონელ თავადაზნაურობას 1791 წელს), მაგრამ მუშათა კლასი აქამდე არ უნდა დაქვეითდეს. ხოლო თუ ეს რეაქციული უტოპია მზის სინათლეზე მხოლოდ იმისათვის გამოაქვთ, რომ პროლეტარული აგიტაციის მხარეზე გადაიყვანონ ინტელიგენციისა და წვრილი ბურჟუაზიის ის ფენები, რომელთა შორისაც ნაციონალური აგიტაცია ჯერ კიდევ ჰპოულობს ერთგვარ გამოძახილს, მაშინ ეს უტოპია ღირსია ორმაგი დაგმობისა, როგორც იმ უღირსი ოპორტუნიზმის გამოხატულება, რომელსაც სრულიად უმნიშვნელო და იაფფასიან წუთიერ წარმატებათა გულისათვის მსხვერპლად მიაქვს მუშათა კლასის ღრმა ინტერესები.

ეს ინტერესები კატეგორიულად მოითხოვენ, რათა პოლონელი მუშები სამივე სახელმწიფოში, რომლებმაც დაინაწილეს პოლონეთი, მხარდამხარ, ყოველგვარი ფარული აზრის უქონლად, იბრძოდნენ თავიანთ კლასობრივ ამხანაგებთან ერთად. წავიდა ის დრო, როდესაც ბურჟუაზიულ რევოლუციას შეეძლო შეექმნა თავისუფალი პოლონეთი; ახლა პოლონეთის აღორძინება შეიძლება მხოლოდ სოციალური რევოლუციის საშუალებით, როდესაც თანამედროვე პროლეტარიატი თავის ბორკილებს დაამსხვრევს» [99].

ჩვენ სრულებით ვეთანხმებით მერინგის ასეთ დასკვნას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს დასკვნა ზედმიწევნით სწორი რჩება მაშინაც, თუ დასაბუთებაში ისე შორს არ წავალთ, როგორც მერინგი მიდის. უეჭველია, პოლონეთის საკითხის ახლანდელი მდგომარეობა ძირეულად განსხვავდება იმისაგან, რაც 50 წლის წინათ იყო. მაგრამ ეს ახლანდელი მდგომარეობა არ შეიძლება სამუდამოდ მივიჩნიოთ. უეჭველია, კლასობრივმა ანტაგონიზმმა ახლა დიდად დასწია უკანა რიგში ნაციონალური საკითხები, მაგრამ არ შეიძლება კატეგო-

რიულად ვამტკიცოთ, თუ გვინდა დოქტრინიორობაში არ ჩავ-ვარდეთ, თითქოს შეუძლებელი იყოს ამა თუ იმ ნაციონა-ლური საკითხის დროებითი გამოჩენა პოლიტიკური დრამის ავანსცენაზე. უეჭველია, პოლონეთის აღდგენა კაპიტალიზმის დაცემამდე მეტისმეტად საეჭვოა, მაგრამ არ შეიძლება ით-ქვას, რომ იგი აბსოლუტურად შეუძლებელი იყოს, რომ პო-ლონელ ბურჟუაზიას გარკვეული კომბინაციების დროს არ შეეძლოს დამოუკიდებლობის მხარეზე დადგომა და ა. შ.. და რუსეთის სოციალ-დემოკრატია სრულიადაც არ იბოჭავს ხელ-ფეხს. იგი ანგარიშს უწევს ყ ვ ე ლ ა შესაძლებელ კომ-ბინაციას, ყველა საერთოდ წ ა რ მ ო ს ა დ გ ე ნ კომბინაცია-საც კი, როდესაც თავის პროგრამაში აყენებს ერთა თვითგა-მორკვევის უფლების აღიარებას. ეს პროგრამა სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ პოლონელი პროლეტარიატი თა-ვის ლოზუნგად აყენებდეს პოლონეთის თავისუფალ და და-მოუკიდებელ რესპუბლიკას, თუნდაც სოციალიზმამდე ამის განხორციელების შესაძლებლობა სრულიად უმნიშვნელო იყოს. ეს პროგრამა მოითხოვს მხოლოდ, რომ ნამდვილი სო-ციალისტური პარტია არ რყვნიდეს პროლეტარულ შეგნებას, არ ჩრდილავდეს კლასობრივ ბრძოლას, არ აცთუნებდეს მუ-შათა კლასს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრაზებით, არ არღვევდეს პროლეტარიატის თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლის ერთიანობას. სწორედ ამ პირობაში მდგომარეობს მთელი დედაარსი, რამდენადაც ჩვენ მხოლოდ ამ პირობით აღვიარებთ თვითგამორკვევას. ტყუილად ცდილობს პოლო-ნეთის სოციალისტური პარტია საქმე ისე დახატოს, თითქოს მას გერმანელი თუ რუსი სოციალ-დემოკრატებისაგან ჰყოფ-დეს მათ მიერ თვითგამორკვევის უფლების უარყოფა, თავის-უფალი დამოუკიდებელი რესპუბლიკისაკენ მისწრაფების უფლების უარყოფა. არა ეს, არამედ კლასობრივი თვალსა-ზრისის დავიწყება, მისი დაბნელება შოვინიზმით, პოლიტი-კური ბრძოლის ერთიანობის დარღვევა — აი რა არ გვაძლევს ნებას დავინახოთ პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში ნამ-დვილი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. აი, მაგალი-

თად, როგორ აყენებს ჩვეულებრივ საკითხს პოლონეთის სოციალისტური პარტია: «...პოლონეთის ჩამოშორებით ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავასუსტოთ ცარიზმი, დამხობით კი იგი რუსმა ამხანაგებმა უნდა დაამხონ». ან კიდევ: «...ჩვენ, თვითმპყრობელობის მოსპობის შემდეგ, პირდაპირ განვსაზღვრავდით ჩვენს ბედს იმგვარად, რომ რუსეთს გამოვეყოფოდით». დახეთ, რა საოცარ დასკვნებამდე მივყავართ ამ საოცარ ლოგიკას პოლონეთის აღდგენის პროგრამული მოთხოვნის თვალსაზრისითაც კი. რ ა დ გ ა ნ დემოკრატიული ევოლუციის ერთ-ერთ შესაძლებელ (მაგრამ, ბურჟუაზიის ბატონობის დროს, უსათუოდ არა უეჭველად უზრუნველყოფილ) შედეგს წარმოადგენს პოლონეთის აღდგენა, ა მ ი ტ ო მ პოლონელი პროლეტარიატი არ უნდა იბრძოდეს რუს პროლეტარიატთან ერთად ცარიზმის დამხობისათვის, არამედ «მხოლოდ» მისი დასუსტებისათვის პოლონეთის ჩამოშორების გზით. რ ა დ გ ა ნ რუსეთის ცარიზმი სულ უფრო და უფრო მჭიდრო კავშირს ჰკრავს გერმანიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ბურჟუაზიასთან და მთავრობებთან, ა მ ი ტ ო მ პოლონელმა პროლეტარიატმა უნდა შეასუსტოს თავისი კავშირი რუს, გერმანელ და სხვა პროლეტარიატთან, რომელთანაც ერთად იგი ახლა იბრძვის ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს სხვა არაფერია, თუ არა პროლეტარიატის უაღრესად სასიცოცხლო ინტერესების მსხვერპლად მიტანა ნაციონალური დამოუკიდებლობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გაგების წინაშე. რუსეთის დაშლა, რისკენაც პოლონეთის სოციალისტურ პარტიას სურს მიისწრაფოდეს, თვითმპყრობელობის დამხობის ჩვენი მიზნისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ, რჩება და დარჩება ფუჭ ფრაზად, ვიდრე ეკონომიური განვითარება უფრო მჭიდროდ აკავშირებს ერთი პოლიტიკური მთელის სხვადასხვა ნაწილს, ვიდრე ყველა ქვეყნის ბურჟუაზია უფრო და უფრო ერთსულოვნად ერთიანდება თავისი საერთო მტრის, პროლეტარიატის, წინააღმდეგ და თავისი საერთო მოკავშირის — მეფის სასარგებლოდ. სამაგიეროდ დ ა შ ლ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ძ ა ლ ე ბ ი ს ა, რომელიც ახლა ამ თვით-

მპყრობელობის უღელქვეშ იტანჯება, წარმოადგენს სამწუხარო სინამდვილეს, წარმოადგენს პოლონეთის სოციალისტური პარტიის შეცდომის პირდაპირ შედეგს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმულების წინაშე მისი ქედის მოხრის პირდაპირ შედეგს. თვალი რომ დახუჭოს და პროლეტარიატის ეს დაშლა არ დაინახოს, პოლონეთის სოციალისტური პარტია იძულებული ხდება შოვინიზმამდე დაქვეითდეს, შემდეგნაირად გადმოსცეს, მაგალითად, რუსი სოციალ-დემოკრატების შეხედულებანი: «ჩვენ (პოლონელებმა) უნდა დავუცადოთ სოციალურ რევოლუციას, მანამდე კი მოთმინებით ავიტანოთ ნაციონალური ჩაგვრა». ეს აშკარა სიცრუეა. რუსი სოციალ-დემოკრატები არათუ არასოდეს არ იძლეოდნენ რაიმე ამგვარ რჩევას, არამედ, პირიქით, ისინი თვითონ იბრძვიან და მთელ რუს პროლეტარიატს მოუხმობენ იბრძოლოს რუსეთში ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მათ თ ა ვ ი ს პროგრამაში შეაქვთ არათუ ენის, ეროვნებისა და სხვათა სრული თანასწორუფლებიანობა, არამედ თვითეული ერის იმ უფლების აღიარებაც, რომ თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი. მაშინ, როცა ჩვენ, ამ უფლებას აღვიარებთ და ამავე დროს ნაციონალური დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის მხარდაჭერას უ ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ თ პროლეტარული ბრძოლის ინტერესებს, მხოლოდ შოვინისტს შეუძლია ახსნას ჩვენი პოზიცია რუსის უნდობლობით სხვატომელისადმი, რადგან ნამდვილად ეს პოზიცია აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს შეგნებული პროლეტარის უნდობლობიდან ბურჟუაზიისადმი. პოლონეთის სოციალისტური პარტია საქმეს ისე უყურებს, რომ ნაციონალური საკითხი ა მ ო ი წ უ რ ე ბ ა დაპირისპირებით: «ჩვენ» (პოლონელები) და «ისინი» (გერმანელები, რუსები და სხვ.). სოციალ-დემოკრატი კი პირველ რიგში აყენებს დაპირისპირებას: «ჩვენ» — პროლეტარები და «ისინი» — ბურჟუაზია. «ჩვენ», პროლეტარებს, მრავალჯერ გვინახავს, თუ როგორ გ ა უ ყ ი დ ი ა ბურჟუაზიას თავისუფლების, სამშობლოს, ენისა და ერის ინტერესები, როდესაც მის წინაშე რევოლუციური პროლეტარიატი წარმომდგარა. ჩვენ

გვინახავს, თუ როგორ მიჰყიდა თავისი თავი პრუსიელებს ფრანგმა ბურჟუაზიამ ფრანგი ერის უაღრესი ჩაგვრისა და დამცირების მომენტში, თუ როგორ გადაიქცა ნაციონალური თავდაცვის მთავრობა ხალხის ღალატის მთავრობად, თუ როგორ მოუხმო დასახმარებლად ჩაგრული ერის ბურჟუაზიამ მჩაგვრელი ერის ჯარისკაცებს თავისი თანამემამულე პროლეტარების დასათრგუნავად, რომლებმაც გაჰბედეს ძალაუფლებისაკენ გაეწვდინათ ხელი. და აი რატომ არის, რომ ჩვენ ოდნავადაც ვერ შეგვაკრთობენ შოვინისტური და ოპორტუნისტული გამოსვლები და ყოველთვის ვეტყვით პოლონელ მუშას: მხოლოდ უაღრესად სრულსა და უაღრესად მჭიდრო კავშირს რუს პროლეტარიატთან შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნები მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მხოლოდ ასეთი კავშირი შეჰქმნის სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების გარანტიას.

ის, რაც ჩვენ პოლონეთის საკითხზე ვთქვით, სავსებით მიუდგება ყოველ სხვა ნაციონალურ საკითხსაც. თვითმპყრობელობის წყეულმა ისტორიამ ჩვენ მემკვიდრეობად დაგვიტოვა ამ თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრულ სხვადასხვა ეროვნებათა მუშათა კლასების უდიდესი გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ ა. ასეთი განკერძოება უდიდესი ბოროტებაა, უდიდესი დაბრკოლებაა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, და ჩვენ არ უნდა დავაკანონოთ ეს ბოროტება, არ უნდა ვაკურთხოთ ეს უმსგავსობა პარტიული სახის შენარჩუნების ან პარტიული «ფედერაციის» რაიმე «პრინციპებით». რა თქმა უნდა, უფრო მარტივი და უფრო იოლია, რომ ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით იარო, რომ თვითეული მოეწყოს თავის კუთხეში და მისდიოს წესს: «მე ეს არ მეხებაო», როგორც ეს ახლა ბუნდსაც სურს. რაც უფრო მეტად გვაქვს ჩვენ შეგნებული ერთიანობის აუცილებლობა, რაც უფრო მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ შეუძლებელია საერთო შეტევა თვითმპყრობელობაზე, თუ არა გვაქვს სრული ერთიანობა, რაც უფრო მკვეთრად აშკარავდება ბრძოლის ცენტრალიზებული

ორგანიზაციის აუცილებლობა ჩვენებური პოლიტიკური წეს-წყობილების დროს, — მით უფრო ნაკლებად დავჯერდებით ჩვენ საკითხის «მარტივ», მაგრამ მოჩვენებითსა და თავისი არსებით უაღრესად ყალბ გადაწყვეტას. თუ არ არის განკერძოებით გამოწვეული ვნების შეგნება, თუ არ არის სურვილი აუცილებლად და რადიკალურად ბოლო მოეღოს ამ განკერძოებას პროლეტარული პარტიის ბანაკში, — მაშინ «ფედერაციის» ლეღვის ფოთლებიც არ არის საჭირო, მაშინ ზედმეტიცაა ხელი მოვკიდოთ საკითხის გადაწყვეტას, რომელიც, ნამდვილად რომ ითქვას, ერთ «მხარეს» არც სურს გადაწყვიტოს, მაშინ სჯობია ცხოვრების გამოცდილებისა და ნამდვილი მოძრაობის გაკვეთილებს მივანდოთ დაგვარწმუნოს, რომ ცენტრალიზმი აუცილებელია, რათა თვითმპყრობელობის მიერ გასრესილი ყოველი ეროვნების პროლეტარები წარმატებით იბრძოდნენ ამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ერთიანდება.

«ისკრა» № 44, 1903 წ. 15 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# გეგმა სტატიისა ესერების წინააღმდეგ

ს.-რ.-ის შესახებ (უპროგრამო პარტია).

α) უპრინციპობა

თეორიული უპრინციპობა: ნაროდნიკული ცრურწმენანი + დასავლეთ-ევროპული ოპორტუნისტული ბურჟუაზიული «კრიტიკა». Credo-ს * უქონლობა, შეგნების დაბნელება. კეკემალულობას თამაში...

β) წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგია

წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია: რყვნის პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას, უვარგისს ხდის მას დამოუკიდებელი პოზიციისათვის ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ (რადგან ს.-რ.-ბი ცდილობენ შეაერთონ და ერთმანეთში არიონ სოციალური და ბურჟუაზიული დემოკრატია, წარმოადგენენ რა, არსებითად, ამ უკანასკნელის შტოს).

γ) ფრაზა და პუფი

ფრაზა თეორიასა და ტაქტიკაში: არასერიოზული დამოკიდებულება რევოლუციური მუშაობისადმი, გაზვიადება, გაბერვა, «ბელეტრისტიკა»... (უბრალო რამეებით გამასპინძლება «სახალხო» ლიტერატურაში) (ომი «პოლემიკასთან», პრინციპების უქონლობა).

δ) ტერორი

ტაქტიკური შეცდომა, მეტად უხეში: ტერორი, მისი ქადაგება, მასობრივ მოძრაობასთან კავშირის შესუსტება.

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

ΣΣ *: ევროპის ყველა ბურჟუაზიული რევოლუციიდან მუშათა კლასი იმედგაცრუებული გამოვიდა, რადგან იგი ამ რევოლუციებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ილუზიებით შედიოდა. ს.-რ.-ბი მთელი ძალღონით «იმეორებენ» ამ ისტორიას; ჩვენი ვალია: გადაჭრით ვიბრძოლოთ ამის წინააღმდეგ, რათა რუსეთის პროლეტარიატმა მომავალი რევოლუციიდან გამოიტანოს არა იმედის გაცრუება, არამედ ახალი რწმენა თავისი ძალებისადმი, მეტი სიმხნევე უფრო გრანდიოზული ბრძოლისათვის, რაც მას მოელის, და მტკიცე, წმინდა პროლეტარული ორგანიზაციის ჩანასახი.

ε) ილუზიების თესვა + რეაქციონაროდნიკულ ნაწილში პრ. + + ვნება იდეური, პოლიტიკური, პრაქტიკული

დაწერილია 1903 წ. ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — Summa summarum — საერთო შედეგი. რ ე დ.

# რსდმპ II ყრილობა [95]

**1903 წ. 17 (30) ივლისი — 10 (23) აგვისტო**

სიტყვები პირველად დაიბეჭდა 1904 წელს «რსდმპ მეორე მორიგი ყრილობის ოქმების» ჟენევის გამოცემაში

სიტყვები იბეჭდება «ოქმების» ტექსტისა და ხელნაწერების მიხედვით

## 1

## პროექტი რეზოლუციისა დემონსტრაციების შესახებ

ყრილობას მუშათა მასების პოლიტიკური აღზრდის ფრიად მნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნია საჯარო დემონსტრაციების მოწყობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამასთანავე ყრილობა რჩევას იძლევა, ჯერ ერთი, ვეცადოთ დემონსტრაციებისათვის განსაკუთრებით გამოვიყენოთ ისეთი მომენტები და ისეთი პირობები, როდესაც ცარიზმის რაიმე უმსგავსობამ მოსახლეობის მეტად ფართო ფენებში გამოიწვია აღშფოთების გრძნობა; მეორეც, მივმართოთ ღონისძიებანი ყველაზე მეტად იქითკენ, რომ მივიზიდოთ მუშათა კლასის ფართო მასები დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად და რაც შეიძლება უკეთ მოვაწყოთ დემონსტრაციები როგორც მათი მომზადების, ისე თვით დემონსტრაციაზე განმგებლობისა და ჯართან და პოლიციასთან დემონსტრანტების გამკლავების ხელმძღვანელობის მხრივ; მესამეც, დავიწყოთ შეიარაღებული დემონსტრაციების მომზადება და ამ მხრივ მტკიცედ დავიცვათ ცენტრალური კომიტეტის მითითებანი.

ყრილობა ურჩევს აგრეთვე პარტიის ყველა კომიტეტს და დანარჩენ ორგანიზაციებს ყოველმხრივ განიხილონ შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი და ეცადონ მთელი ძალღონით ჩაუნერგონ მუშათა მასებს აჯანყების აუცილებლობისა და გარდუვალობის რწმენა. პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც ახლავე შეიძლება მიღებულ იქნან აჯანყების მოსამზადებლად, ყრილობა მარტოოდენ და მთლიანად ცენტრალურ კომიტეტს აკისრებს.

დაწერილია 1903 წ. ივნის — ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ლენინის კრებულში VI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 2

## პროექტი რეზოლუციისა ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში

ილებს რა მხედველობაში, რომ მებრძოლი პროლეტარიატის უაღრესად სრული და უაღრესად მჭიდრო ერთიანობა უთუოდ აუცილებელია როგორც მისი საბოლოო მიზნის რაც შეიძლება მალე მიღწევისათვის, ისე არსებული საზოგადოების ნიადაგზე პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის განუხრელად წარმოების ინტერესებისათვის;

— რომ კერძოდ ებრაელი და არაებრაელი პროლეტარიატის სრული ერთიანობა განსაკუთრებით აუცილებელია აგრეთვე წარმატებით ბრძოლისათვის ანტისემიტიზმთან, რასობრივი განკერძოებისა და ნაციონალური მტრობის ამ საზიზღარ გაღვივებასთან, რასაც ახდენენ მთავრობა და ექსპლოატატორული კლასები;

— რომ ებრაელი და არაებრაელი პროლეტარიატის ს.-დ. ორგანიზაციების სრულმა შეერთებამ არასგზით და არაფრით არ შეიძლება შეზღუდოს ჩვენი ებრაელი ამხანაგების დამოუკიდებლობა ამა თუ იმ ენაზე პროპაგანდისა და აგიტაციის წარმოებაში, ამა თუ იმ ადგილობრივი ან ნაციონალური მოძრაობის საჭიროებათა შესაბამისი ლიტერატურის გამოცემაში, აგიტაციისა და უშუალო პოლიტიკური ბრძოლის ისეთი ლოზუნგების დაყენებაში, რომლებიც იქნებოდნენ გამოყენება და განვითარება ს.-დ. პროგრამის ზოგადი და ძირითადი დებულებებისა ენის, ნაციონალური კულტურის და

სხვათა და სხვათა სრული თანასწორუფლებიანობის და სრული თავისუფლების შესახებ;

— ყრილობა გადაჭრით უარჰყოფს რუსეთის პარტიის მოწყობის ფედერაციულ პრინციპს და ადასტურებს იმ ორგანიზაციულ პრინციპს, რაც საფუძვლად უდევს 1898 წლის წესდებას, ე. ი. ნაციონალური ს.-დ. ორგანიზაციების ავტონომიას იმ საქმეებში, რომლებიც ეხება *

დაწერილია 1903 წ. ივნის — ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ლენინის კრებულში VI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

## 3

## პროექტი რეზოლუციისა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ

. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა მიესალმება მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური თვითმოქმედების გამოცოცხლებას, წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ ახალგაზრდობას შეკავშირების მისწრაფებაში და ურჩევს მოსწავლეთა ყველა ჯგუფსა და წრეს, ჯერ ერთი, თავიანთ საქმიანობაში პირველ ადგილზე დააყენონ თავის წევრთა შორის მთლიანი და თანამიმდევარი სოციალისტური მსოფლმხედველობის შემუშავება, სერიოზულად გაცნობა, ერთი მხრივ, მარქსიზმთან, ხოლო მეორე მხრივ, რუსულ ნაროდნიკობასთან და დასავლეთ ევროპის ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ მიმდინარეობებთან თანამედროვე მებრძოლ მოწინავე მიმართულებათა შორის; მეორეც, თავი აარიდონ ახალგაზრდობის იმ ყალბ მეგობრებს, რომლებიც აშორებენ მას სერიოზულ რევოლუციურ აღზრდას ფუჭი რევოლუციური თუ იდეალისტური ფრაზეოლოგიით და ფილისტერული გოდებით იმის შესახებ, თითქოს მავნებელია და საჭირო არ არის მკვეთრი პოლემიკა რევოლუციურ და ოპოზიციურ მიმართულებათა შორის, რადგან ეს ყალბი მეგობრები ნამდვილად ავრცელებენ მხოლოდ უპრინციპობას და ფუქსავატურ დამოკიდებულებას რევოლუციური მუშაობისადმი;

მესამეც, ეცადონ პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლისას წინასწარ გააბან კავშირურთიერთობა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რათა გამოიყენონ მათი მითითებანი და, შეძლებისდაგვარად, თავიდან აიცილონ დიდი შეცდომები მუშაობის დასაწყისშივე.

დაწერილია 1903 წ. ივნის — ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1904 წელს «რსდმპ მეორე მორიგი ყრილობის ოქმების» ჟენევის გამოცემაში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 4

## პროექტი რეზოლუციისა პარტიული ლიტერატურის შესახებ

ყრილობას უთუო და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია შეიქმნას ფართო პოპულარული ს.-დ. ლიტერატურა მოსახლეობის ყველა ფენისათვის და განსაკუთრებით მუშათა კლასის მასებისათვის.

ყრილობა პირველ ადგილზე აყენებს მთელი რიგი (1 — 5-თაბახიანი) ბროშურების შედგენას ჩვენი პარტიული პროგრამის თვითეული (თეორიული და პრაქტიკული) პუნქტის შესახებ, სადაც დაწვრილებით იქნება გადმოცემული და განმარტებული ამ პუნქტის მნიშვნელობა; — შემდეგ მთელი რიგი (1 — 8 ნაბეჭდი გვერდის შემცველი) ფურცლების შედგენას იმავე თემებზე მასობრივად გაფანტვისა და დარიგებისათვის ქალაქად და სოფლად. ყრილობა ავალებს ცენტრალური ორგანოს რედაქციას დაუყოვნებლივ მიიღოს ყოველი ზომა ამ ამოცანის შესასრულებლად.

რაც შეეხება ხალხისათვის ან მუშათა კლასის ფართო ფენებისათვის განსაკუთრებული, პოპულარული გაზეთის გამოცემას, ყრილობა, პრინციპულად არ უარჰყოფს რა ამ გეგმას, უდროოდ სთვლის მის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

დაწერილია 1903 წ. ივნის — ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ლენინის კრებულში VI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 5

## მცირე რეზოლუციების პროექტები

### ეკონომიური ბრძოლა

ყრილობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია მხარი დაეჭიროს და განვითარდეს ყველა შემთხვევაში და ყველა ღონისძიებით მუშების ეკონომიური ბრძოლა და მათი პროფესიული კავშირები (უმთავრესად საერთო-რუსეთისა), დასაწყისიდანვე განმტკიცდეს სოციალ-დემოკრატიული ხასიათი ეკონომიური ბრძოლისა და პროფესიული მუშათა მოძრაობისა რუსეთში.

### 1 მაისი

ყრილობა ადასტურებს პირველი მაისის დღესასწაულობას, რაც უკვე ჩვეულებად არის გადაქცეული, და პარტიის ყველა ორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ შეარჩიონ ხოლმე ჩვენს პირობებში ყველაზე უფრო შესაფერი დრო და წესი პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად.

### საერთაშორისო კონგრესი

ყრილობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლობას საერთაშორისო სოციალისტურ სამდივნოში ავალებს ამხ. პლეხანოვს (ნაცვლად პარიზის დადგენილებისა პლეხანოვის და კრიჩევსკის ერთობლივი წარმომადგენლობის შესახებ).

ყრილობა ავალებს ცენტრალური ორგანოს რედაქციას და ცენტრალურ კომიტეტს ერთმანეთთან შეთანხმებით (ან პარ-

ტიის საბჭოს გადაწყვეტილებით) მოაწყონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლობა ამსტერდამის 1904 წლის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე.

## ტერორი

ყრილობა გადაჭრით უარჰყოფს ტერორს, ე. ი. ერთეულ პოლიტიკურ მკვლელობათა სისტემას, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას, რომელიც უაღრესად მიზანშეუწონელია ამჟამად, აშორებს საუკეთესო ძალებს საჭირბოროტო და აუცილებლად საჭირო ორგანიზაციული და სააგიტაციო მუშაობისაგან, ანგრევს რევოლუციონერთა კავშირურთიერთობას მოსახლეობის რევოლუციური კლასების მასებთან, ნერგავს თვით რევოლუციონერთა შორისაც და მოსახლეობაშიც საზოგადოდ უაღრესად დამახინჯებულ წარმოდგენას თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ამოცანებსა და საშუალებებზე.

## პროპაგანდა

ყრილობა პარტიის ყველა წევრის ყურადღებას მიაქცევს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს პროპაგანდისტთა თეორიული დონის ამაღლებას და პროპაგანდისტული მუშაობის გაერთიანებისათვის მიმომსვლელ ლექტორთა ჯგუფების საერთო-რუსეთის მასშტაბით შექმნას.

## ძალთა განაწილება

ყრილობა ურჩევს ყველა ამხანაგს, ვინც კი საზღვარგარეთიდან მიდის რუსეთს, ან გადასახლებიდან — მოღვაწეობის ადგილას, მეტადრე, თუ მათ არა აქვთ სავსებით მტკიცე კავშირურთიერთობა რომელიმე კომიტეტთან, ეცადონ წინასწარ დაუკავშირდნენ ცენტრალურ კომიტეტს ან მის აგენტებს, რათა ცენტრალურ კომიტეტს შეეძლოს სწორად და თავის დროზე გაანაწილოს რევოლუციური ძალები რუსეთში.

დაწერილია 1903 წ. ივნის — ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ლენინის კრებულში VI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 6

## პროექტი რეზოლუციისა სექტანტებისათვის ორგანოს გამოცემის შესახებ

იღებს რა მხედველობაში, რომ სექტანტური მოძრაობა რუსეთში მრავალი თავისი გამოვლინებით წარმოადგენს რუსეთის ერთ-ერთ დემოკრატიულ მიმდინარეობას, II ყრილობა მიაქცევს პარტიის ყველა წევრის ყურადღებას სექტანტთა შორის მუშაობაზე იმ მიზნით, რომ ისინი მოზიდულ იქნან სოციალ-დემოკრატიის მხარეზე. ცდის სახით, ყრილობა ნებას რთავს ამხ. ვ. ბონჩ-ბრუევიჩს გამოსცეს, ცენტრალური ორგანოს რედაქციის კონტროლით, პოპულარული გაზეთი «ს რ ე დ ი ს ე კ ტ ა ნ ტ ო ვ» და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალური ორგანოს რედაქციას მიიღონ საჭირო ზომები ამ გამოცემის განხორციელებისა და წარმატებისათვის და მისი სწორი ფუნქციონირების პირობის განსაზღვრისათვის.

დაწერილია 1903 წ. აგვისტოში

პირველად დაიბეჭდა 1904 წელს «რსდმპ მეორე მორიგი ყრილობის ოქმების» ჟენევის გამოცემაში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 7

## რსდმპ წესდების პროექტი [96]

1. პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში.

2. პარტიის უმაღლესი ორგანო არის პარტიული ყრილობა. მას იწვევს ცენტრალური კომიტეტი (შეძლებისამებრ ორ წელში ერთხელ მაინც). ცენტრალური კომიტეტი ვალდებულია მოიწვიოს ყრილობა, თუ ამას მოითხოვენ პარტიის კომიტეტები, ან კომიტეტთა კავშირები, რომლებსაც ერთად ჰქონდათ ხმების ⅓ უკანასკნელ ყრილობაზე, ან თუ ამას მოითხოვს პარტიის საბჭო. ყრილობა ნამდვილად ითვლება, თუ მასზე წარმოდგენილია პარტიის ყველა, ყრილობის მომენტში არსებული (უფლებაუნარიანი) კომიტეტის ½-ზე მეტი.

3. ყრილობაზე წარმომადგენლობა აქვთ: ა) ცენტრალურ კომიტეტს, ბ) ცენტრალური ორგანოს რედაქციას, გ) ყველა ადგილობრივ კომიტეტს, რომლებიც განსაკუთრებულ კავშირებში არ შედიან, დ) კომიტეტების ყველა კავშირს, რომლებიც აღიარებულია პარტიის მიერ, და ე) საზღვარგარეთულ ლიგას. თვითეულ ჩამოთვლილ ორგანიზაციას ყრილობაზე აქვს ორ-ორი გადამწყვეტი ხმა. ახალ კომიტეტებსა და კომიტეტთა კავშირებს ყრილობაზე წარმომადგენლობა ეძლევათ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი დამტკიცებულნი არიან ყრილობამდე ½ წლით ადრე მაინც.

4. პარტიული ყრილობა ნიშნავს ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური ორგანოს რედაქციას და პარტიის საბჭოს.

5. ცენტრალური კომიტეტი აერთიანებს და წარმართავს პარტიის მთელ პრაქტიკულ მოღვაწეობას და განაგებს ცენტრალურ პარტიულ სალაროს, აგრეთვე ყველა საერთო-პარტიულ ტექნიკურ დაწესებულებას. იგი განიხილავს როგორც პარტიის სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებას შორის, ისე მათ შიგნით წარმოშობილ კონფლიქტებს.

6. ცენტრალური ორგანოს რედაქცია ხელმძღვანელობს პარტიას იდეურად, რედაქტორობს რა პარტიის ცენტრალურ ორგანოს, სამეცნიერო ორგანოს და ცალკეულ ბროშურებს.

7. პარტიის საბჭოს ნიშნავს ყრილობა ცენტრალური ორგანოს და ცენტრალური კომიტეტის წევრთა რიცხვიდან ხუთი პირის შემადგენლობით. საბჭო წყვეტს ცენტრალური ორგანოს რედაქციასა და ცენტრალურ კომიტეტს შორის საერთო-ორგანიზაციული და ტაქტიკური საკითხების სფეროში წამოჭრილი დავის თუ უთანხმოების საქმეებს. პარტიის საბჭო განაახლებს ცენტრალურ კომიტეტს მისი სრული ჩავარდნის შემთხვევაში.

8. ახალ კომიტეტებს და კომიტეტთა კავშირებს ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტი. პარტიის მიერ აღიარებული თვითეული კომიტეტი, კავშირი, ორგანიზაცია თუ ჯგუფი განაგებს იმ საქმეებს, რომლებიც ეხება სპეციალურად და მარტოოდენ უწყებულ ადგილს, უწყებულ რაიონს, უწყებულ ნაციონალურ მოძრაობას ან უწყებულ ფუნქციას, რაც საგანგებოდ მინდობილი აქვს ამ ჯგუფს, ამავე დროს ვალდებულებას კისრულობს დაემორჩილოს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს დადგენილებებს და შეიტანოს ცენტრალურ პარტიულ სალაროში სახსრები ცენტრალური კომიტეტის მიერ განსაზღვრული ოდენობით.

9. პარტიის თვითეულ წევრს და ყოველ პირს, რომელსაც რაიმე საქმე აქვს პარტიასთან, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი განცხადება ნამდვილი სახით მიაწოდონ ცენტრა-

ლურ კომიტეტს ან ცენტრალურ ორგანოს ან პარტიულ ყრილობას.

10. ყოველი პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალური ორგანოს რედაქციას მთელი მასალა მთელი მისი მოღვაწეობისა და მთელი მისი პირადი შემადგენლობის გასაცნობად.

11. ყველა პარტიული ორგანიზაცია და პარტიის ყველა კოლეგიური დაწესებულება საქმეებს წყვეტენ ხმების უბრალო უმრავლესობით და აქვთ კოოპტაციის უფლება. ახალი წევრების კოოპტაციისა და წევრების გარიცხვისათვის საჭიროა ხმების $^{2}/_{3}$

12. რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მიზანია პროპაგანდა და აგიტაცია საზღვარგარეთ, აგრეთვე ხელისშეწყობა მოძრაობისათვის რუსეთში. ლიგას აქვს კომიტეტების ყველა უფლება, ოღონდ იმ გამონაკლისით, რომ მოძრაობას რუსეთში იგი ეხმარება მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის მიერ საგანგებოდ დანიშნულ პირთა თუ ჯგუფთა მეშვეობით.

დაწერილია 1903 წ. ივნისის დამლევს
— ივლისის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1904 წელს «რსდმპ მეორე მორიგი ყრილობის ოქმების» ქენევის გამოცემაში

იბეჭდება «ოქმების» ტექსტის მიხედვით

## 8

## პროექტი რეზოლუციებისა, რომლებიც ყრილობაზე არ ყოფილა შეტანილი

### ბუნდის გასვლა

ყრილობა განიხილავს ბუნდის დელეგატთა უარს იმაზე, რომ დაემორჩილონ ყრილობის უმრავლესობის გადაწყვეტილებას, როგორც ბუნდის გასვლას რსდმპ-დან.

ყრილობა ღრმა სინანულს გამოსთქვამს ამ ნაბიჯის გამო, რომელიც, მისი რწმენით, «ებრაელ მუშათა კავშირის»... * ხელმძღვანელთა დიდი პოლიტიკური შეცდომაა, ხოლო ამ შეცდომამ გარდაუვალად მავნე გავლენა უნდა მოახდინოს ებრაელი პროლეტარიატისა და მუშათა მოძრაობის ინტერესებზე. ყრილობა სთვლის, რომ მოსაზრებანი, რომლებითაც ბუნდის დელეგატები ამართლებენ თავის ნაბიჯს, პრაქტიკულად წარმოადგენენ სრულიად უსაფუძვლო შიშს და ეჭვის მიტანას იმაზე, თითქოს რუსი სოციალ-დემოკრატების სოციალ-დემოკრატიული რწმენა არ იყოს გულწრფელი და თანამიმდევრული, ხოლო თეორიულად შედეგია ნაციონალიზმის სავალალო შეღწევისა ბუნდის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში.

ყრილობა გამოსთქვამს სურვილს და მტკიცე რწმენას, რომ აუცილებელია რუსეთის ებრაელ და რუს მუშათა მოძრაობის სრული და უაღრესად მჭიდრო ერთიანობა, ერთიანობა არა მარტო პრინციპული, არამედ ორგანიზაციულიც,

* ერთი სიტყვა ამოკითხული არ არის. რ ე დ.

და ადგენს მიიღოს ყოველი ზომა, რათა ებრაელ პროლეტარიატს დაწვრილებით გაეცნოს როგორც ყრილობის ეს რეზოლუცია, ისე საერთოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ყოველი ნაციონალური მოძრაობისადმი.

## ცალკეული ჯგუფები

ყრილობა სინანულს გამოსთქვამს სოციალ-დემოკრატთა ისეთი ჯგუფების ცალკე არსებობის გამო, როგორიც არიან «ბორბა», «ეიზნ», და «ვოლია». მათ განკერძოებულ არსებობას არ შეუძლია არ გამოიწვიოს პარტიაში შეუწყნარებელი დეზორგანიზაცია, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ — სავალალო გადახვევა სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებათაგან და სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკიდან ეგრეთწოდებული სოციალ-რევოლუციონიზმისაკენ («ვოლია» და ნაწილობრივ «ბორბა» აგრარულ პროგრამაში) ან ქრისტიანული სოციალიზმისა და ანარქიზმისაკენ («ეიზნ»). ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ როგორც აღნიშნული ჯგუფები, ისე საერთოდ ყველა ჯგუფი იმ პირებისა, რომლებიც სოციალ-დემოკრატიას მიაკუთვნებენ თავისთავს, შევიდნენ რუსეთის ერთიანი და ორგანიზებული სოციალ-დემოკრატიის რიგებში. ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შეაგროვოს საჭირო ცნობები და გამოიტანოს საბოლოო დადგენილება პარტიის შიგნით ამ და სხვა ცალკეული ჯგუფების ადგილისა ან მათთან ჩვენი პარტიის დამოკიდებულების შესახებ.

## ჯარი

ყრილობა ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევს ჯარში სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციის დიდ მნიშვნელობას და ურჩევს მათ მიმართონ მთელი ძალღონე იქით, რომ რაც შეიძლება მალე განამტკიცონ და გააფორმონ ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის არსებული ყოველი კავშირურთიერთობა. ყრილობას სასურველად მიაჩნია ჯარში მოსამსახურე სოციალ-დემოკრატთა განსაკუთრებული ჯგუფების შექმნა, რათა ამ ჯგუფებს ეჭიროთ გარ-

კვეული მდგომარეობა ადგილობრივ კომიტეტებში (როგორც კომიტეტის ორგანიზაციის შტოებს) ან ცენტრალურ ორგანიზაციაში (როგორც უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილ და უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს).

## გლეხობა

ყრილობა პარტიის ყველა წევრის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს გლეხობაში მუშაობის განვითარებისა და განმტკიცების დიდ მნიშვნელობას. აუცილებელია გლეხობის წინაშე (და განსაკუთრებით სოფლის პროლეტარიატის წინაშე) გამოვიდეთ საერთოდ მთელი სოციალ-დემოკრატიული პროგრამით და განვმარტოთ აგრარული პროგრამის მნიშვნელობა, როგორც არსებული წყობილების ნიადაგზე პირველი და უახლოესი მოთხოვნებისა. აუცილებლად უნდა ვეცადოთ, რათა შეგნებული გლეხებისაგან და სოფლის ინტელიგენტი მუშაკებისაგან შეიქმნას მტკიცედ შეკავშირებული ჯგუფები სოციალ-დემოკრატებისა, რომლებსაც მუდმივი ურთიერთობა ექნებათ პარტიის კომიტეტებთან. აუცილებლად უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა თვით გლეხობაში სოციალისტ-რევოლუციონერთა პროპაგანდას, რომელიც უპრინციპობასა და რეაქციულ ნაროდნიკულ ცრურწმენას სთესს.

დაწერილია 1903 წ. 5 (18) — 10 (23) აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

## 9

## პირველი სიტყვა ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე 18 (31) ივლისი

მე მინდა გავაკეთო ერთი შენიშვნა. ამბობენ, სწორი არ არის პირველ ადგილზე დაისვას ბუნდის საკითხი, რადგან პირველ ადგილზე უნდა იყოს მოხსენებანი, მეორე ადგილზე — პროგრამა, ხოლო მესამეზე — ბუნდიო. ამ რიგის სასარგებლოდ გამოთქმული მოსაზრებანი კრიტიკას ვერ უძლებენ. ეს მოსაზრებანი იმაში მდგომარეობენ, რომ პარტია მთლიანად ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულა პროგრამის გამო: შეიძლება მოხდეს, რომ ჩვენ სწორედ პროგრამის საკითხში დავშორდეთ ერთმანეთსო. ეს სიტყვები მე მაკვირვებენ. მართალია, ჩვენ ახლა არა გვაქვს მიღებული პროგრამა, მაგრამ პროგრამის საკითხის გამო განხეთქილების ვარაუდი მეტისმეტად სათუოა. პარტიაში, რამდენადაც საქმე ეხება მის ლიტერატურას, რომელიც ამ ბოლო დროს რაც შეიძლება სრულად გამოხატავს პარტიის აზრს, ასეთი მიმდინარეობანი არ ყოფილა შემჩნეული. ბუნდის საკითხის პირველ ადგილზე დასმისათვის მოიპოვება როგორც ფორმალური, ისე მორალური მოტივები. ფორმალურად ჩვენ ვდგავართ 1898 წლის მანიფესტის ნიადაგზე, ბუნდმა კი სურვილი გამოთქვა ძირფესვიანად შესცვალოს ჩვენი პარტიის ორგანიზაცია. მორალურად — ბევრმა სხვა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ისინი არ ეთანხმებიან ბუნდს ამ საკითხში; ამრიგად წარმოიშვა მკვეთრი უთანხმოებანი, რომლებმაც პოლემიკაც კი გამოიწ-

ვიეს. ამიტომ არ შეიძლება ყრილობა ერთსულოვან მუშაობას შეუდგეს, თუ ეს უთანხმოებანი თავიდან არ ავიცილეთ. რაც შეეხება დელეგატთა მოხსენებას, შესაძლებელია, რომ საერთოდ **in pleno** * ეს მოხსენებანი სრულიადაც არ იქნას წაკითხული. ამიტომ მე მხარს ვუჭერ საკითხთა იმ რიგს, რომელიც მოწონებულია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

---

* — სრული შემადგენლობით, პლენუმზე. რ ე დ.

## 10

## მეორე სიტყვა ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე
## 18 (31) ივლისი

მას შემდეგ, რაც ყრილობამ გადაწყვიტა ჩვენი დღის წესრიგის პ ი რ ვ ე ლ ი პუნქტის საკითხი, ერთადერთ ს ა დ ა ვ ო საკითხს შემდგომი პუნქტების რიგის შესახებ მესამე პუნქტის საკითხი წარმოადგენს. ეს პუნქტი ამბობს: «პარტიის ცენტრალური ორგანოს შექმნა ან მისი დამტკიცება». ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობდა, რომ ეს პუნქტი სადმე უფრო შორს უნდა გადაგვეწია, რადგან, ჯერ ერთი, არ შეიძლება ლაპარაკი ცენტრალურ ორგანოზე, ვიდრე გადაწყვეტილი არ არის საერთოდ პარტიისა და კერძოდ მისი ცენტრის ორგანიზაციის საკითხი და სხვ., მეორეც, ამ საკითხის არსის გამო ბევრმა კომიტეტმა უკვე გამოსთქვა თავისი აზრიო. ეს უკანასკნელი მოსაზრება მე არასწორად მიმაჩნია, რადგან კომიტეტების განცხადებანი ყრილობისათვის სავალდებულონი არ არიან და მათ ფორმალურად არა აქვთ გადამწყვეტი ხმა ყრილობაზე. პირველი მოსაზრებაც არ არის სწორი, რადგან სანამ გადავწყვეტდეთ ორგანიზაციული დეტალების, პარტიის წესდების და სხვ. საკითხს, საჭიროა საბოლოოდ გადავწყვიტოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიმართულების საკითხი. სწორედ ეს საკითხი გვყოფდა ჩვენ ასე დიდხანს ერთმანეთისაგან, და მარტოოდენ პროგრამის დამტკიცებით არ შეიძლება აღმოიფხვრას ყველა ის უთანხმოება, რაც ჩვენ ამ საკითხში ერთმა-

ნეთისაგან გ ვ ყ ო ფ ს: ამის მიღწევა მ ხ ო ლ ო დ მაშინ შეიძ-ლება, თუ პროგრამის საკითხის შემდეგ დაუყოვნებლივ გა-დაწყდება საკითხი, პარტიის რანაირი ცენტრალური ორგანო უნდა შევქმნათ ჩვენ ხელახლა ან სახელდობრ რა ძველი ორგანო უნდა დავამტკიცოთ ამა თუ იმ ცვლილებით.

აი რატომ ვუჭერ მხარს იმ დღის წესრიგს, რომელიც დამტკიცებული იყო საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

## 11

## სიტყვა საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების საკითხზე 18 (31) ივლისი[97]

მე არ შემიძლია დავეთანხმო ამხ. ეგოროვს. სწორედ მან დაარღვია ყრილობის წესდება, სწორედ ის უარჰყოფს პუნქტს იმპერატიული მანდატების შესახებ. მე ეჭვი არ შემდის, რომ არსებობს ორგანიზაციული კომიტეტი, ისევე როგორც ეჭვი არ შემდის, რომ არსებობს «ისკრის» ორგანიზაცია. «ისკრასაც» აქვს თავისი ორგანიზაცია და თავისი წესდება. მაგრამ, როგორც კი მოხსენებულ იქნა ყრილობის წესდება, «ისკრამ» თავის დელეგატებს განუცხადა, რომ მათ მოქმედების სრული თავისუფლება აქვთ ყრილობაზე. რა მდგომარეობაში ვართ ჩვენ, ყრილობის შემადგენლობის შემმოწმებელი კომისიის წევრები, რომლებმაც გუშინ მოვუსმინეთ საორგანიზაციო კომიტეტის ორ წევრს, ამხანაგებს შტეინსა და პავლოვიჩს, ახლა კი სრულიად ახალ წინადადებას ვისმენთ. აქ არიან გამოცდილი ამხანაგები, რომლებსაც არა ერთხელ მიუღიათ მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებში. ამ ამხანაგებს შეუძლიათ ყველაფერი გვიამბონ, თუ რა დიდ აღშფოთებას იწვევდა ყოველთვის ისეთი მოვლენა, როცა ადამიანები კომისიებში ერთს ამბობენ, ხოლო ყრილობაზე — სხვას.

## 12

## სიტყვა პოლონელი სოციალ-დემოკრატების ყრილობაში მონაწილეობის საკითხზე 18 (31) ივლისი

კომისია თავის მოხსენებაში ამბობს, რომ ყრილობაზე პოლონელი ამხანაგების დასწრება სასურველია, ამასთან მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით. ჩემი აზრით, ეს სავსებით სწორია, და მე სავსებით საფუძვლიანად მიმაჩნია, რომ კომისიის რეზოლუცია სწორედ ამ განცხადებით იქნას დაწყებული. ძალიან სასურველი იქნებოდა აგრეთვე ლატვიელთა და ლიტველთა დასწრება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს განუხორციელებელია. პოლონელ ამხანაგებს ყოველთვის შეეძლოთ განეცხადებინათ თავისი პირობები გაერთიანებისა, მაგრამ ეს მათ არ გაუკეთებიათ. ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტი სწორედ მოიქცა, როცა მათ მიმართ თავდაჭერილობა გამოიჩინა. პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წერილი, რომელიც აქ იქნა წაკითხული, ისევ ვერ არკვევს საკითხს. ამის გამო წინადადებას ვიძლევი მოვიწვიოთ პოლონელი ამხანაგები როგორც სტუმრები.

## 13

## სიტყვა რსდმპ-ში ბუნდის ადგილის საკითხზე
## 20 ივლისი (2 აგვისტო)

მე შევეხები უწინარეს ყოვლისა გოფმანის[98] სიტყვას და მის გამოთქმას — «კომპაქტური უმრავლესობა». ამხ. გოფმანი ამ სიტყვებს საყვედურით ხმარობს. ჩემი აზრით, კი არ უნდა გვრცხვენოდეს, არამედ უნდა ვამაყობდეთ იმის გამო, რომ ყრილობაზე არის კომპაქტური უმრავლესობა. და კიდევ უფრო ვიამაყებთ ჩვენ, თუ მთელი ჩვენი პარტია იქნება ერთი კომპაქტური და უაღრესად კომპაქტური 90%-იანი უმრავლესობა. **(ტაში)**. უმრავლესობა სწორად მოიქცა, როცა მან პირველ ადგილზე დააყენა საკითხი ბუნდის მდგომარეობისა პარტიაში: ბუნდელებმა მაშინათვე დაამტკიცეს ეს სისწორე, როცა შემოიტანეს თავისი ეგრეთწოდებული წესდება, არსებითად კი მოითხოვეს ფ ე დ ე რ ა ც ი ა. რახან პარტიაში არიან წევრები, რომლებიც ფედერაციას მოითხოვენ, და წევრები, რომლებიც მას უარჰყოფენ, ბუნდის საკითხი პირველ ადგილზე უნდა დაგვეყენებინა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მოვქცეულიყავით. ძალად თავს ვერავის შეაყვარებ, და არ შეიძლება ვილაპარაკოთ პარტიის შინაურ საქმეებზე, თუ მტკიცედ და განუხრელად არ გადავწყვიტეთ, გვსურს თუ არა ჩვენ ერთად ვიაროთ.

სადავო საკითხის დედაარსს კამათის დროს ზოგჯერ არა სავსებით სწორად გადმოსცემდნენ. საქმე ის არის, რომ, პარტიის ბევრი წევრის აზრით, ფედერაცია მ ა ვ ნ ე ბ ე ლ ი ა,

ფედერაცია ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს, თუ ეს პრინციპები რუსეთის ახლანდელ სინამდვილეს შეეუფარდეთ. ფედერაცია მავნებელია, რადგან იგი აკანონებს განკერძოებასა და განცალკევებას, პრინციპად, კანონად ხდის მათ. ჩვენს შორის მართლაც არსებობს სრული განცალკევება, და ჩვენ კი არ უნდა დავაკანონოთ იგი, კი არ უნდა დავფაროთ ლეღვის ფოთლით, არამედ უნდა ვებრძოლოთ მას, გადაჭრით უნდა აღვიაროთ და განვაცხადოთ, რომ საჭიროა მტკიცედ და განუხრელად ვიაროთ უმჭიდროესი ერთიანობისაკენ. აი რატომ არის, რომ ჩვენ პრინციპულად, თავიდანვე (ცნობილი ლათინური გამოთქმის თანახმად) უარვყოფთ ფედერაციას, უარვყოფთ ყოველგვარ საგალდებულო ზღუდეებს ჩვენს შორის. პარტიაში უამისოდაც ყოველთვის იქნებიან სხვადასხვა დაჯგუფებანი, დაჯგუფებანი ამხანაგებისა, რომლებიც არა სავსებით ერთნაირად აზროვნებენ როგორც პროგრამისა და ტაქტიკის, ისე ორგანიზაციის საკითხებზე, მაგრამ დაე მთელ პარტიაში იყოს ერთი დაყოფა ჯგუფებად, ე. ი. დაე ყველა ერთნაირად მოაზროვნენი გაერთიანდნენ ერთ ჯგუფად და არა ისე, რომ ჯგუფები ჯერ შეიქმნან პარტიის ერთ ნაწილში, პარტიის სხვა ნაწილის ჯგუფებისაგან ცალკე, ხოლო შემდეგ გაერთიანდნენ არა სხვადასხვა შეხედულებათა და შეხედულებათა ელფერის ჯგუფები, არამედ პარტიის ნაწილები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ჯგუფს. ვიმეორებ: არავითარ საავალდებულო ზღუდეებს ჩვენ არ ვცნობთ და ამიტომ ფედერაციას პრინციპულად უარვყოფთ.

გადავდივარ ავტონომიის საკითხზე. ამხ. ლიბერი ამბობდა, ფედერაცია არის ცენტრალიზმი, ავტონომია კი დეცენტრალიზმი. ნუთუ ამხ. ლიბერს ყრილობის წევრები თექვსმეტი წლის ყმაწვილებად მიაჩნია, რომლებსაც შეიძლება ასეთი სოფიზმებით გაუმასპინძლდე? ნუთუ ცხადი არ არის, რომ ცენტრალიზმი მოითხოვს პარტიის ცენტრსა და მის სულ შორეულ, სულ მივარდნილ ნაწილებს შორის ყოველგვარი ზღუდის უქონლობას? ჩვენი ცენტრი მიიღებს უდავო უფ-

ლებას — უშუალოდ მისწვდეს პარტიის თვითეულ წევრს. ბუნდელები სასაცილოდ აიგდებდნენ, თუ მათ ვინმე შესთავაზებდა ბუნდის შ ი გ ნ ი თ ისეთ «ცენტრალიზმს», როცა ბუნდის ცენტრალური კომიტეტი ვერ შესძლებდა ჰქონოდა ურთიერთობა კოვნოს ყველა ჯგუფთან და ამხანაგთან ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ, თუ არა კოვნოს კომიტეტის საშუალებით. სხვათა შორის, კომიტეტების შესახებ. ამხ. ლიბერი პათოსით გაიძახოდა: «რად უნდა ვილაპარაკოთ ბუნდის ავტონომიაზე, როგორც ორგანიზაციის ერთი ცენტრისადმი დაქვემდებარებულზე? ხომ არ მიანიჭებთ თქვენ ავტონომიას რომელიღაც ტულის კომიტეტს?» ცდებით, ამხ. ლიბერ: ჩვენ უეჭველად და უსათუოდ მივანიჭებთ ავტონომიას «რომელიღაც» ტულის კომიტეტსაც, ავტონომიას ცენტრის წვრილმანი ჩარევისაგან თავისუფლების აზრით, ამასთან, რასაკვირველია, ცენტრისადმი დაქვემდებარების ვალდებულება რჩება. სიტყვები «წვრილმანი ჩარევა» მე ავიღე ბუნდის ფურცლიდან: «ავტონომია თუ ფედერაცია?» — ბუნდმა ეს თავისუფლება «წვრილმანი ჩარევისაგან» წამოაყენა როგორც პ ი რ ო ბ ი ს პუნქტი, როგორც მ ო თ ხ ო ვ ნ ა პარტიისადმი. ასეთი სასაცილო მოთხოვნების წამოყენება თავისთავად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დაბნეულად წარმოუდგენია ბუნდს სადავო საკითხი. ნუთუ ბუნდი ფიქრობს, რომ პარტია დაუშვებს ისეთი ცენტრის არსებობას, რომელიც «წ ვ რ ი ლ მ ა ნ უ რ ა დ» ჩაერევა პარტიის რ ო მ ე ლ ი ც უ ნ დ ა ი ყ ო ს ორგანიზაციის თუ ჯგუფის საქმეებში? ნუთუ ეს არ არის სწორედ ის «ორგანიზებული უნდობლობა», რომელზედაც უკვე ლაპარაკი იყო ყრილობაზე? ასეთი უნდობლობა გამოსჭვივის ბუნდელთა ყველა წინადადებასა და ყველა მსჯელობაში. მართლაც, განა, მაგალითად, ბრძოლა ერების ს რ უ ლ ი თანასწორუფლებიანობისათვის და მათი თვითგამორკვევის უფლების ა ღ ი ა რ ვ ბ ი ს თ ვ ი ს ა ც არ შეადგენს მთელი ჩვენი პარტიის ვ ა ლ დ ებ უ ლ ე ბ ა ს? მაშასადამე, თუ ჩვენი პარტიის რომელიმე ნაწილი ამ ვალდებულებას არ შეასრულებდა, იგი უეჭველად დასაგმობი იქნებოდა ჩვენი პრინცი-

პების მიხედვით, მისთვის უეჭველად უნდა გ ა ე ს წ ო რ ე ბ ი-ნ ა თ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს. და თუ ეს ვალ-დებულება შეგნებულად და განზრახ არ იქნებოდა შესრულე-ბული, მისი შესრულების სრული შესაძლებლობის მიუხე-დავად, მაშინ შეუსრულებლობა ღ ა ლ ა ტ ი იქნებოდა.

შემდეგ, ამხ. ლიბერი ჩვენ პათეთიკურად გვეკითხება: რ ო გ ო რ დ ა მ ტ კ ი ც დ ე ს, რომ ავტონომიას ძალუძს უზრუნველჰყოს ებრაელი მუშების მოძრაობის დამოუკიდებ-ლობა, რაც მას უსათუოდ ესაჭიროება? უცნაური კითხვაა! როგორ დამტკიცდეს, სწორია თუ არა ერთ-ერთი შემოთავა-ზებული გზა? ერთადერთი საშუალებაა წახვიდე ამ გზით და შეამოწმო იგი სინამდვილეში. ამხ. ლიბერის კითხვას მე ვუ-პასუხებ: **იარეთ ჩვენთან ერთად,** და ჩვენ ვკისრულობთ საქ-მით დაგიმტკიცოთ, რომ დამოუკიდებლობის ყველა კანონიე-რი მოთხოვნა სავსებით კმაყოფილდება.

როცა ბუნდის ადგილის გამო დავა სწარმოებს, მე ყოველ-თვის მაგონდებიან ინგლისელი მაღაროელები. ისინი **საუც-ხოოდ,** დანარჩენ მუშებზე უკეთ არიან ორგანიზებულნი. და ა მ ი ტ ო მ მაღაროელებს სურთ ჩაფუშონ 8 საათის სამუშაო დღის საერთო მოთხოვნა, რასაც ყველა პროლეტარი აყე-ნებს [99]. მაღაროელებს პროლეტარიატის ერთიანობა ისევე ვიწროდ ესმით, როგორც ჩვენს ბუნდელებს. დაე მაღაროელ-თა სავალალო მაგალითი გაფრთხილება იყოს ბუნდელი ამხა-ნაგებისათვის.

## 14

## სიტყვა პარტიის პროგრამის საკითხზე
## 22 ივლისი (4 აგვისტო)

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო ამხ. ლიბერის მიერ უაღრესად დამახასიათებელი აღრევა თავადაზნაურობის წინამძღოლისა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ფენასთან. ეს აღრევა საგულისხმოა მთელი კამათისათვის. ყველგან ურევენ ერთმანეთში ჩვენი პოლემიკის ცალკეულ ეპიზოდებს და პრინციპული ბაზისების დადგენას. არ შეიძლება იმის უარყოფა, როგორც ამას სჩადის ამხ. ლიბერი, რომ შესაძლებელია მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის (ამა თუ იმ) ფ ე ნ ი ს გადასვლაც პროლეტარიატის მხარეზე. გაიხსენეთ, რომ 1852 წელს მარქსი, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ფრანგ გლეხთა აჯანყებანი, წერდა («18 ბრიუმერში»), რომ გლეხობა გამოდის ხან წარსულის წარმომადგენლად, ხან მომავლის წარმომადგენლად; გლეხს შეგვიძლია მივმართოთ, თუ მხედველობაში მივიღეთ არა მარტო მისი ცრურწმენანი, არამედ მისი გონებაც[100]. გაიხსენეთ შემდეგ, რომ მარქსს სავსებით სწორად მიაჩნდა კომუნარების მტკიცება: კომუნის საქმე გლეხობის საქმეც არისო[101]. ვიმეორებ, არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, რომ, გარკვეულ პირობებში, მშრომელთა ამა თუ იმ ფენის გადასვლა პროლეტარიატის მხარეზე სრულიადაც არ არის შეუძლებელი. მთელი საქმე ის არის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ეს პირობები. და სიტყვებით «გადადის პროლეტარიატის მხარეზე» სავსებით ზუსტად არის გამოხატული პირობა, რომელზედაც აქ ლაპარაკია. სწორედ ეს

სიტყვები უაღრესად მკაფიოდ განგვასხვავებენ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს ყოველგვარ, ვითომდა სოციალისტურ, მიმდინარეობათაგან საერთოდ და ეგრეთწოდებული სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან განსაკუთრებით.

გადავდივარ ჩემი ბროშურის — «რა ვაკეთოთ?» იმ სადავო ადგილზე, რომელმაც აქ ესოდენი ლაპარაკი გამოიწვია. მგონია, მთელი ამ ლაპარაკის შემდეგ საკითხი უკვე იმდენად გამოირკვა, რომ მე დამრჩენია მხოლოდ ცოტა რამ დავძინო. აშკარაა, რომ აქ ერთმანეთში ურევდნენ დიდი თეორიული საკითხის (იდეოლოგიის შემუშავება) პრინციპულ დაყენებას და ეკონომიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ ეპიზოდს. ამასთან ამ ეპიზოდსაც სრულიად არასწორად გადმოსცემდნენ.

ამ უკანასკნელი დებულების დასამტკიცებლად მე შემიძლია უწინარეს ყოვლისა დავიმოწმო აქ გამოსული ამხანაგები აკიმოვი და მარტინოვი. მათ ნათლად გვიჩვენეს, რომ აქ სწორედ ეკონომიზმთან ბრძოლის ეპიზოდზეა ლაპარაკი. ისინი გამოვიდნენ ისეთი შეხედულებებით, რომლებსაც უკვე უწოდებენ (და სამართლიანადაც უწოდებენ) ოპორტუნიზმს. ისინი მივიდნენ გაღატაკების თეორიის «უარყოფამდეც», პროლეტარიატის დიქტატურის «სადავოდ გამოცხადებამდეც», «**Erfüllungstheorie**»-მდეც კი, როგორც ამხ. აკიმოვმა თქვა. მართალია, მე არ ვიცი, თუ რას ნიშნავს ეს. ხომ არ უნდოდა ამხ. აკიმოვს ელაპარაკნა «**Aushöhlungstheorie**»-ს შესახებ, კაპიტალიზმის «გამოფიტვის თეორიის», ე. ი. ბერნშტეინული თეორიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, მოარული იდეის შესახებ. ამხ. აკიმოვი ეკონომიზმის ძველი ბაზისების დასაცავად გამოვიდა ისეთი, წარმოუდგენლად ორიგინალური მოსაზრებითაც კი, რომ ჩვენს პროგრამაში სიტყვა პროლეტარიატი ერთხელაც არ არის დასმული სახელობითს ბრუნვაში. დიდი-დიდი, — გაიძახოდა ამხ. აკიმოვი, — პროლეტარიატს ნათესაობითს ბრუნვაში ახსენებენო. ამრიგად, თურმე, სახელობითი ბრუნვა ყველაზე საპატიოა, ნათესაობითი ბრუნვა კი მეორე ადგილზეა პატიობის მხრივ. დაგვრჩენია მხოლოდ გადავცეთ ეს მოსაზრება, — იქნებ, განსაკუთრებული კომი-

სიის მეშვეობით, — ამხ. რიაზანოვს, რათა მან თავისი პირველი მეცნიერული ნაშრომი ანბანის შესახებ შეავსოს მეორე მეცნიერული ტრაქტატით ბრუნვებზე...

რაც შეეხება პირდაპირს მითითებებს ჩემს ბროშურაზე «რა ვაკეთოთ?», ჩემთვის სრულიადაც არ არის ძნელი დავამტკიცო, რომ ეს მითითებანი ამოგლეჯილია კონტექსტიდან. ამბობენ: ლენინი არავითარ წინააღმდეგობრივ ტენდენციებს არ იხსენიებს, არამედ აბსოლუტურად ამტკიცებს, რომ მუშათა მოძრაობა ყოველთვის «მ ი დ ი ს» ბურჟუაზიის იდეოლოგიისადმი დაქვემდებარებისაკენო. ნუთუ მართლა? მაგრამ განა მე ჩემს ნაშრომში ნათქვამი არა მაქვს, რომ მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიულობისკენ იხრება შულცე-დელიჩების და მ ა თ მ ს გ ა ვ ს თ ა მ წ ყ ა ლ ო ბ ე ლ ი ხ ე ლ შ ე წ ყ ო ბ ი თ *? ვინ-ღა იგულისხმება იქ «მსგავსთა» სახედ? მხოლოდ და მხოლოდ ეკონომისტები, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები, რომლებიც მაშინ ამბობდნენ, მაგალითად, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთში ფანტომიაო. ახლა ადვილია ასე იოლად ილაპარაკო ბურჟუაზიულ რადიკალიზმსა და ლიბერალიზმზე, როდესაც მათ ნიმუშებს ყველა თვალწინ ხედავს. მაგრამ განა ასე იყო წინათ?

ლენინი სრულიადაც არ იღებს მხედველობაში, რომ მუშებიც მონაწილეობენ იდეოლოგიის შემუშავებაშიო. — ნუთუ მართლა? მაგრამ განა მე მრავალჯერ და მრავალჯერ არა მაქვს ნათქვამი, რომ ჩვენი მოძრაობის სწორედ უდიდესი ნაკლია სავსებით შეგნებული მუშების, მუშა-ხელმძღვანელების, მუშა-რევოლუციონერების ნაკლებობა? განა იქ არ არის ნათქვამი, რომ ასეთი მუშა-რევოლუციონერების გამომუშავება ჩვენი მორიგი ამოცანა უნდა გახდეს? განა იქ არ არის აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიული მოძრაობის განვითარებას და სპეციალური პროფესიული ლიტერატურის შექმნას? განა იქ გააფთრებული ბრძოლა არ წარმოებს ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ — დააქვეითონ მო-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 482. რ ე დ.

წინავე მუშების დონე მასის დონემდე ან საშუალოთა დონემდე *?

ვამთავრებ. ჩვენ ახლა ყველამ ვიცით, რომ ეკონომისტებმა ერთ მხარეზე გადაღუნეს ჯოხი. ჯოხის გასამართავად საჭირო იყო მისი გადაღუნვა მეორე მხარეზე, და მეც ასე მოვიქეცი. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ენერგიით გამართავს ჯოხს, რომელსაც ყოველგვარი ოპორტუნიზმი ღუნავს, და ჩვენი ჯოხი ამიტომ მუდამ ყველაზე სწორი და სამოქმედოდ ყველაზე გამოსადეგი იქნება.

---

* იხ. ოხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 593 — 601, 572 — 593, 613 — 626. რ ე დ.

## 15

## მოხსენება პარტიის წესდების შესახებ
## 29 ივლისი (11 აგვისტო)

ლენინი (მომხსენებელი) იძლევა ახსნა-განმარტებას მის მიერ წარმოდგენილი წესდების პროექტის გამო. წესდების ძირითადი იდეა არის ფუნქციების გაყოფა. ამიტომ, მაგ., ორ ცენტრად გაყოფა არ არის ამ ცენტრების ადგილის მიხედვით (რუსეთი და საზღვარგარეთი) გაყოფის შედეგი, არამედ ფუნქციების მიხედვით გაყოფის ლოგიკური შედეგია. ცენტრალურ კომიტეტს ეკუთვნის ფუნქცია პრაქტიკული ხელმძღვანელობისა, ცენტრალურ ორგანოს — იდეური ხელმძღვანელობისა. ამ ორი ცენტრის საქმიანობის გასაერთიანებლად კი, მათ შორის დაქსაქსულობის თავიდან ასაცილებლად და, ნაწილობრივ, კონფლიქტების გადასაწყვეტად, საჭიროა საბჭო, რომელსაც სრულიადაც არ უნდა ჰქონდეს წმინდა სამედიატორო დაწესებულების ხასიათი. წესდების იმ პარაგრაფებს, რომლებიც ეხებიან ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი კომიტეტების ურთიერთობას და განსაზღვრავენ ცენტრალური კომიტეტის კომპეტენციის სფეროს, არ შეუძლიათ და არც უნდა ჩამოთვალონ ყველა პუნქტი, რომლებშიც ცენტრალური კომიტეტი კომპეტენტურია. ასეთი ჩამოთვლა შეუძლებელი და უხერხულია, რადგან ყველა შესაძლო შემთხვევის გათვალისწინება წარმოუდგენელია და, ამას გარდა, ჩამოუთვლელი პუნქტები თითქოს არ შევლენ

ცენტრალური კომიტეტის კომპეტენციაში. საჭიროა ცენტრალურ კომიტეტს მიენდოს თვითონ განსაზღვროს თავისი კომპეტენციის სფერო, რადგან ყოველ ადგილობრივ საქმეში შეიძლება წამოიჭრას საერთო პარტიული ინტერესები, და საჭიროა ცენტრალურ კომიტეტს მიეცეს შესაძლებლობა ჩაერიოს ადგილობრივ საქმეებში, იქნებ, ადგილობრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგრამ საერთო პარტიული ინტერესების გულისათვის.

---

## 16

## პირველი სიტყვა აგრარული პროგრამის განხილვის დროს 31 ივლისი (13 აგვისტო)

უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავ ერთ წვრილმანს, რამაც თავი იჩინა კამათში. ამხ. ეგოროვი მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ არ არის მოხსენება, რომელიც მნიშვნელოვნად გააადვილებდა და წარმართავდა მთელ ჩვენს კამათსო. მომხსენებლად მე ვიყავი გათვალისწინებული, და მოხსენების უქონლობის გამო თითქოს მე მიხდება თავის დაცვა. და ჩემს დასაცავად ვიტყვი, რომ მე მოხსენება მაქვს: ეს არის ჩემი პასუხი ამხ. იქსისადმი *, რაც პასუხს იძლევა სწორედ ყველაზე გავრცელებულ სხვადასხვა შემოდავებასა და გაუგებრობაზე, რომლებიც კი გამოწვეული იყო ჩვენი აგრარული პროგრამით; ეს პასუხი დაურიგდა ყრილობის ყველა დელეგატს. მოხსენება არ ჰკარგავს მოხსენების ხასიათს იმის გამო, რომ მას კი არ კითხულობენ დელეგატთა წინაშე, არამედ იბეჭდება და დელეგატებს ურიგდება.

გადავალ იმ ორატორთა სიტყვების შინაარსზე, რომლებსაც, სამწუხაროდ, მხედველობაში არ მიუღიათ სწორედ ეს ჩემი მოხსენება. მაგალითად, ამხ. მარტინოვს მხედველობაში

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 544 — 563. რ ე დ.

არ მიუღია უფრო ადრინდელი ლიტერატურაც კი ჩვენი აგრარული პროგრამის შესახებ, როცა იგი ისევ და ისევ ლაპარაკობდა ისტორიული უსამართლობის გამოსწორებაზე, 40 წლით ტყუილუბრალოდ დაბრუნებაზე, არა თანამედროვე ფეოდალიზმის, არამედ 60-იანი წლების ფეოდალიზმის მოსპობაზე და ა. შ.. ამ მოსაზრებებს რომ ვუპასუხოთ, საჭირო ხდება წინათ ნათქვამი გავიმეოროთ. ჩვენ რომ **მხოლოდ** «ისტორიული უსამართლობის გამოსწორების» პრინციპს ვემყარებოდეთ, — მაშინ მარტოოდენ დემოკრატიულ ფრაზას დავჯერდებოდით. მაგრამ ჩვენ ვიმოწმებთ ბატონყმობის ნაშთებს, რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს, ვიმოწმებთ თანამედროვე სინამდვილეს, იმას, რაც ახლა ბორკავს და აფერხებს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლას. ჩვენ ბრალად გვდებენ შორეული წარსულისაკენ დაბრუნებას. ეს ბრალდება მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ არ იცნობენ მეტად საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, რომლებიც ეხება ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობას. ისინი ყველგან და ყოველგან აყენებენ და ახორციელებენ ამოცანას: დაამთავრონ ის, რაც ბურჟუაზიას არ მოუთავებია. სწორედ ამას ვაკეთებთ ჩვენ. ამის გასაკეთებლად კი საჭირო ხდება წარსულს დავუბრუნდეთ, და თვითეული ქვეყნის სოციალ-დემოკრატები აკეთებენ ამას, ყოველთვის უბრუნდებიან რა თავის 1789 წელს, თავის 1848 წელს. რუს სოციალ-დემოკრატებსაც სწორედ ასევე არ შეუძლიათ არ დაუბრუნდნენ თავის 1861 წელს, დაუბრუნდნენ მით უფრო ენერგიულად და მით უფრო ხშირად, რაც უფრო ნაკლებად განახორციელა დემოკრატიული გარდაქმნანი ჩვენმა საგლეხო, უკაცრავად პასუხია, «რეფორმამ».

რაც შეეხება ამხ. გორინს, ის აგრეთვე უშვებს ჩვეულებრივ შეცდომას, რეალურად არსებულ ბატონყმურ კაბალას რომ ივიწყებს. ამხ. გორინი ამბობს, რომ «ჩამონაჭრების იმედი ძალდატანებით აკავებს წვრილ გლეხს ანტიპროლეტარული იდეოლოგიის ტყვეობაშიო». მაგრამ ნამდვილად

ბომ ჩამონაჭრების «იმედი» კი არა, არამედ ახლანდელი ჩამონაჭრები ძალდატანებით იცავენ ბატონყმურ კაბალას, და არ არის ამ კაბალიდან, ამ ბატონყმური იჯარიდან სხვა გამოსავალი, თუ არა ვითომდა-მოიჯარადრეების გადაქცევა თავისუფალ მესაკუთრეებად.

დასასრულ, ამხ. ეგოროვმა პროგრამის ავტორებს დაუსვა კითხვა, რა მნიშვნელობა აქვს ამ პროგრამასო. არის თუ არა პროგრამა, — კითხულობს ის, — დასკვნა ჩვენი ძირითადი შეხედულებისა რუსეთის ეკონომიურ ევოლუციაზე, მეცნიერული წინასწარხედვა პოლიტიკურ გარდაქმნათა შესაძლო და გარდუვალი შედეგისაო (ამ შემთხვევაში ამხ. ეგოროვს შეეძლო ჩვენ დაგვთანხმებოდა). ან, იქნებ, ჩვენი პროგრამა პრაქტიკულად სააგიტაციო ლოზუნგია, და მაშინ ჩვენ ვერ დავძლევთ სოციალისტ-რევოლუციონერების რეკორდს, მაშინ ეს პროგრამა არასწორად უნდა ჩაითვალოსო. უნდა ვთქვა, რომ არ მესმის ეს განსხვავება, რასაც ამხ. ეგოროვი ატარებს. ჩვენი პროგრამა პირველ პირობას რომ არ აკმაყოფილებდეს, იგი სწორი არ იქნებოდა, და ჩვენ მას ვერ მივიღებდით. ხოლო თუ პროგრამა სწორია, მაშინ მან არ შეიძლება აგიტაციისათვის პრაქტიკულად გამოსადეგი ლოზუნგი არ მოგვცეს. წინააღმდეგობა ამხ. ეგოროვის ორ დილემას შორის მხოლოდ მოჩვენებითია: იგი სინამდვილეში არ შეიძლება იყოს, რადგან სწორი თეორიული გადაწყვეტა უზრუნველყოფს მტკიცე წარმატებას აგიტაციაში. ჩვენ კი სწორედ მტკიცე წარმატებისაკენ მივისწრაფვით და ოდნავადაც არ გვაკრთობს დროებითი წარუმატებლობა.

ამხ. ლიბერი აგრეთვე იმეორებდა დიდი ხნის უარყოფილ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, ამასთან გაკვირვებას გამოსთქვამდა ჩვენი პროგრამის «უმნიშვნელობის» გამო და მოითხოვდა «რადიკალურ რეფორმებს» აგრარულ დარგშიც. ამხ. ლიბერს დავიწყებია პროგრამის დემოკრატიული და სოციალისტური ნაწილების განსხვავება: მას «უმნიშვნელოდ» მიუჩნევია ის, რომ დემოკრატიულ პროგრამაში რაიმე სოციალისტური არ არის. მას ვერ შეუმჩნევია, რომ ჩვენი აგრა-

რული პროგრამის სოციალისტური ნაწილი მოთავსებულია სხვა ადგილას, სახელდობრ მუშათა განყოფილებაში, რომელიც სოფლის მეურნეობასაც ეხება. მხოლოდ სოციალისტ-რევოლუციონერებს შეუძლიათ მათი დამახასიათებელი უპრინციპობის გამო მუდამ ერთმანეთში აურიონ ხოლმე დემოკრატიული და სოციალისტური მოთხოვნები, და ისინი კიდეც ურევენ ერთიმეორეში ამ მოთხოვნებს, ხოლო პროლეტარიატის პარტია ვალდებულია უაღრესი სიზუსტით განაცალკეოს და განასხვაოს ისინი.

---

## 17

## მეოთხე სიტყვა აბრაარული პროგრამის განხილვის დროს 1 (14) აგვისტო

ვიდრე დეტალებზე გადავიდოდე, მინდა გამოვთქვა ზოგიერთი ზოგადი დებულებისა და უწინარეს ყოვლისა ამხ. მარტინოვის დებულების საწინააღმდეგო აზრი. ამხ. მარტინოვი ამბობს, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა იმ ფეოდალიზმს, რომელიც იყო, არამედ იმ ფეოდალიზმს, რომელიც ახლა არისო. ეს მართალია, მაგრამ მე მოგაგონებთ ჩემს პასუხს იქსისადმი. მან სარატოვის გუბერნია დაიმოწმა, მეც იგივე სარატოვის გუბერნიის მონაცემები ავიღე, და აღმოჩნდა: ჩამონაჭრების ოდენობა იქ უდრის 600 000 დესეტინას, ე. ი. ბატონყმობის დროს გლეხთა მფლობელობაში მყოფი მთელი მიწის $^2/_5$-ს, ხოლო იჯარა უდრის 900 000 დესეტინას; მაშასადამე, მთელი საიჯარო მიწის $^2/_3$ ჩამონაჭრებია. ‘ამ, ჩვენ $^2/_3$ -ით აღვადგენთ მიწათსარგებლობას. მაშ, ჩვენ ვებრძვით არა მოჩვენებას, არამედ რეალურ ბოროტებას. ჩვენ მივიღებდით იმას, რაც არის ირლანდიაში, სადაც საჭირო გახდა თანამედროვე საგლეხო რეფორმა, რომელიც ფერმერებს წვრილ მესაკუთრეებად აქცევს. ანალოგიაზე ირლანდიასა და რუსეთს შორის უკვე იყო მითითებული ნაროდნიკების ეკონომიურ ლიტერატურაში. ამხ. გორინი ამბობს, რომ ჩემ მიერ დასახელებული ღონისძიება უკეთესი არ არის, რომ სჯობია თავისუფალ მოიჯარადრეთა მდგომარეობა შევქმნათო. მაგრამ ის ცდება, როცა ფიქრობს, რომ უკეთესია ნახევრად თავისუფალ მოიჯარადრეთა გადაყვანა თავისუფალ მოიჯარადრეებად. ჩვენ კი არ ვიგონებთ გადაყვანას, არამედ ვსახავთ ისეთ გადაყვანას, სადაც იურიდიული მიწათსარგებლობა ფაქტიურის

შესაბამისი ხდება, და ამით ვსპობთ თანამედროვე კაბალურ ურთიერთობას. მარტინოვი ამბობს, რომ უმნიშვნელოა არა ჩვენი მოთხოვნები, არამედ უმნიშვნელოა ის პრინციპი, რომლიდანაც ისინი გამომდინარეობენო. მაგრამ ეს იმ მოსაზრებებს ჰგავს, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ სოციალისტ-რევოლუციონერებს მოჰყავთ. სოფლად ჩვენ ორ თვისობრივად სხვადასხვანაირ მიზანს ვისახავთ: ჯერ ერთი, ჩვენ გვსურს შევქმნათ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა თავისუფლება, მეორეც, ვაწარმოოთ პროლეტარიატის ბრძოლა. ჩვენი ამოცანაა, წინააღმდეგ სოციალისტ-რევოლუციონერების ცრურწმენისა, — ვუჩვენოთ გლეხებს, თუ სად იწყება გლეხთა პროლეტარიატის რევოლუციურ-პროლეტარული ამოცანა. ამიტომ უსაფუძვლოა ამხ. კოსტროვის შემოდავება. ჩვენ გვეუბნებიან, რომ გლეხობა ჩვენი პროგრამით არ დაკმაყოფილდება, რომ იგი უფრო შორს წავაო; მაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინია, ამისთვის ჩვენ გვაქვს ჩვენი სოციალისტური პროგრამა, და ამიტომ ჩვენ არ გვეშინია არც მიწის გადაყოფისა, რაც ასე აშინებს ამხანაგებს მახოვსა და კოსტროვს [102].

ვამთავრებ. ამხანაგმა ეგოროვმა ქიმერა უწოდა ჩვენს იმედს გლეხებზე. არა! ჩვენ გატაცებას არ ვეძლევით, ჩვენ საკმაოდ სკეპტიკოსნი ვართ და სწორედ ამიტომ ვეუბნებით გლეხ პროლეტარს: «შენ ახლა გლეხურ ბურჟუაზიასთან ერთად იბრძვი, მაგრამ შენ ყოველთვის მზად უნდა იყო ებრძოლო სწორედ ამ ბურჟუაზიას, და ამ ბრძოლას შენ გასწევ ქალაქის მრეწველობის პროლეტარებთან ერთად».

1852 წელს მარქსმა სთქვა, რომ გლეხებს აქვთ არა მარტო ცრურწმენა, არამედ გონებაცო. და, როცა ახლა ჩვენ ღარ-ბ გლეხობას მივუთითებთ მისი სიღარიბის მიზეზზე, შეგვიძლია წარმატების იმედი ვიქონიოთ. ჩვენ გვწამს, რომ, რადგან სოციალ-დემოკრატია ახლა გამოვიდა გლეხთა ინტერესებისათვის საბრძოლველად, ჩვენ მომავალში ანგარიშს გავუწევთ იმ ფაქტს, რომ გლეხთა მასა შეეჩვევა მიიჩნიოს სოციალ-დემოკრატია თავისი ინტერესების დამცველად.

## 18

## მესამე სიტყვა აგრარული პროგრამის განხილვის დროს 1 (14) აგვისტო

ამხ. ლიბერს ტყუილუბრალოდ უკვირს. ის ჩვენგან ერთ საერთო საზომს მოითხოვს, მაგრამ ასეთი საზომი არ არსებობს. საჭირო ხდება წამოაყენო ხან ერთი რამ, ხან მეორე. ჩვენ შაბლონები არა გვაქვს. ლიბერი აღნიშნავს, რომ ჩვენი მოთხოვნა ბატონყმობის მოსპობისა თანაემთხვევა ლიბერალების მოთხოვნასო. მაგრამ ლიბერალები არ ამბობენ იმას, თუ როგორ გატარდება ეს მოთხოვნა. ჩვენ კი ვამბობთ, რომ იგი უნდა გაატაროს არა ბიუროკრატიამ, არამედ უნდა გაატარონ ჩაგრულმა კლასებმა, ეს კი უკვე რევოლუციის გზაა. ამაშია ჩვენი ძირითადი განსხვავება ლიბერალებისაგან, რომლებიც თავიანთი მსჯელობით გარდაქმნებსა და რეფორმებზე «რყვნიან» ხალხის შეგნებას. ჩვენ რომ შევდგომოდით ბატონყმობის მოსპობის შესახებ ყველა მოთხოვნის კონკრეტიზებას, მთელი ტომები გამოგვივიდოდა. სწორედ ამიტომ მივუთითებთ დამონების მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ფორმებსა და სახეებზე. ხოლო სხვადასხვა ადგილას არსებული ჩვენი კომიტეტები, საერთო პროგრამის გასავითარებლად, წამოაყენებენ და შეიმუშავებენ თავიანთ კერძო მოთხოვნებს. ტროცკის მითითება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ადგილობრივ მოთხოვნებს შევეხოთო, — სწორი არ არის იმ მხრივ, რომ ხიზნებისა და დროებით ვალდებულთა[103] საკითხი მარტო ადგილობრივი საკითხი როდია. თან ეს საკითხი ცნობილია აგრარულ ლიტერატურაში.

19

## მეოთხე სიტყვა აგრარული პროგრამის განხილვის დროს 1 (14) აგვისტო

ამხ. ლიბერი წინადადებას იძლევა ამოვაგდოთ პუნქტი ჩამონაჭრების შესახებ მხოლოდ იმ საბუთით, რომ მას არ მოსწონს გლეხთა კომიტეტები. ეს უცნაურია. რაკი ჩვენ შევთანხმდით ძირითად საკითხში, რომ ჩამონაჭრები გლეხებს კაბალაში აგდებენ, კომიტეტების დაარსება კერძო საკითხია, რომლის გამო მთელი პუნქტის უკუგდება ულოგიკობაა. უცნაურია აგრეთვე კითხვა, თუ როგორ მოვახდენთ ჩვენ გავლენას გლეხთა კომიტეტებზე. იმედი მაქვს, სოციალ-დემოკრატები მაშინ ნაკლებ სიძნელეებს შეხვდებიან ყრილობათა მოწყობაში და ამ ყრილობებზე შეთანხმდებიან, თუ როგორ იმოქმედონ თვითეულ შემთხვევაში.

## 20

## პირველი სიტყვა
## პარტიის წესდების განხილვის დროს
## 2 (15) აგვისტო

ლენინი მოკლედ იცავს თავის ფორმულირებას და განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ ეს ფორმულირება იძლევა სტიმულს: «დაირაზმეთ!» არ უნდა ვიფიქროთ, რომ პარტიული ორგანიზაციები მხოლოდ პროფესიული რევოლუციონერებისაგან უნდა შესდგებოდნენ. ჩვენ გვესაჭიროება ყოველი სახის, რანგისა და ელფერის სულ სხვადასხვანაირი ორგანიზაციები, დაწყებული უაღრესად ვიწრო და კონსპირაციულით და გათავებული ფრიად ფართო, თავისუფალი, **lose Organisationen**-ით. პარტიული ორგანიზაციის აუცილებელი ნიშანია მისი დამტკიცება ცენტრალური კომიტეტის მიერ.

21

## მეორე სიტყვა
## პარტიის წესდების განხილვის დროს
## 2 (15) აგვისტო

უწინარეს ყოვლისა მინდა გამოვთქვა კერძო ხასიათის ორი შენიშვნა. ჯერ ერთი, აქსელროდის თავაზიანი (ვამბობ ამას უირონიოდ) წინადადების გამო, რომ «მოვრიგდეთ». მე ხალისით გავყვებოდი ამ მოწოდებას, რადგან ჩვენი უთანხმოება სრულიადაც არ მიმაჩნია ისეთ არსებით უთანხმოებად, რომ მასზე იყოს დამოკიდებული პარტიის სიკვდილ-სიცოცხლე. წესდების ცუდი პუნქტისაგან ჩვენ სრულებითაც 'არ დავიღუპვებით! მაგრამ რაკი საქმე მიდგა ორი ფორმულირებიდან ერთ-ერთის არჩევაზე, მე არასგზით არ შემიძლია უარი ვთქვა ჩემს მტკიცე რწმენაზე, რომ მარტოვის ფორმულირება არის პირვანდელი პროექტის გაუარესება, რომელსაც შეუძლია, გარკვეულ პირობებში, საკმაოდ დიდი ვნება მოუტანოს პარტიას. მეორე შენიშვნა ეხება ამხ. ბრუკერს[104]. სავსებით ბუნებრივია, რომ ამხ. ბრუკერმა, რომელსაც სურს ყველგან გაატაროს არჩევითი პრინციპი, მიიღო ჩემი ფორმულირება, რამდენადაც მხოლოდ ეს ფორმულირება განსაზღვრავს რამდენადმე ზუსტად პარტიის წევრის ცნებას. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია ამხ. მარტოვის კმაყოფილება იმის გამო, რომ ამხ. ბრუკერი მე მეთანხმება. ნუთუ ამხ. მარტოვს მართლაც მი'აჩნია თავისთვის სახელმძღვანელოდ იმის სა-

ჰირდაპირო რამ, რასაც ბრუკერი ამბობს, მისი მოტივებისა და არგუმენტების გაურჩევლად?

გადავდივარ საქმის დედაარსზე და ვამბობ, რომ ამხ. ტროცკის სრულიად ვერ გაუგია ამხ. პლეხანოვის ძირითადი აზრი, და ამიტომაა, რომ მან თავის მსჯელობაში გვერდი აუარა საკითხის მთელ არსს. ის ლაპარაკობდა ინტელიგენტებსა და მუშებზე, კლასობრივ თვალსაზრისზე და მასობრივ მოძრაობაზე, მაგრამ ვერ შეამჩნია ერთი ძირითადი საკითხი: ზღუდავს თუ აფართოებს ჩემი ფორმულირება პარტიის წევრის ცნებას? ეს კითხვა მას რომ თავისთავისათვის დაესვა, ადვილად დაინახავდა, რომ ჩემი ფორმულირება ზღუდავს ამ ცნებას, ხოლო მარტოვის ფორმულირება აფართოებს და «ელასტიურობით» განირჩევა (თვითონ მარტოვის სწორი გამოთქმით). და სწორედ «ელასტიურობა» პარტიული ცხოვრების ისეთ პერიოდში, როგორსაც ჩვენ განვიცდით, უეჭველად ულებს კარს დაქსაქსულობის, ქანაობისა და ოპორტუნიზმის ყველა ელემენტს. ეს მარტივი და აშკარა დასკვნა რომ გააბათილო, საჭიროა დაამტკიცო, რომ ასეთი ელემენტები არ არიან, ამხ. ტროცკის კი აზრადაც არ მოსვლია ეს გაეკეთებინა. და არც შეიძლება ამის დამტკიცება, რადგან ყველამ იცის, რომ ასეთი ელემენტები ცოტანი როდი არიან, რომ ისინი მოიპოვებიან მუშათა კლასშიც. პარტიის ხაზის სიმტკიცისა და მისი პრინციპების სიწმინდის დაცვა მით უფრო აუცილებელი ხდება სწორედ ახლა, რომ თავის ერთიანობაში აღდგენილი პარტია თავის რიგებში მიიღებს ძალიან ბევრ მერყევ ელემენტს, რომელთა რიცხვი გაიზრდება პარტიის ზრდის კვალობაზე. ამხ. ტროცკიმ მეტად არასწორად გაიგო ჩემი წიგნის «რა ვაკეთოთ?» ძირითადი აზრი, როცა ის ამბობს, რომ პარტია შეთქმულთა ორგანიზაცია არ არისო (ეს მოსაზრება ჩემს წინააღმდეგ ბევრ სხვასაც გამოუთქვამს). მას დავიწყებია, რომ ჩემს წიგნში მე ვსახავ სხვადასხვა ტიპის მთელ რიგ ორგანიზაციებს, დაწყებულთ უაღრესად კონსპირაციული და უაღრესად ვიწრო ორგანიზაციებით და გათავებულთ შედა-

რებით ფართო და «თავისუფალი» (lose) ორგანიზაციებით *. მას დავიწყებია, რომ პარტია უნდა იყოს მხოლოდ მოწინავე რაზმი, ხელმძღვანელი მუშათა კლასის უზარმაზარი მასისა, რომელიც მთლად (ან თითქმის მთლად) მუშაობს პარტიული ორგანიზაციების «კონტროლითა და ხელმძღვანელობით», მაგრამ რომელიც მთლად როდი შედის და მთლად არც უნდა შედიოდეს «პარტიაში». მართლაც, დააკვირდით, თუ რა დასკვნებს იღებს ამხ. ტროცკი თავისი ძირითადი შეცდომის გამო. ის აქ გვეუბნებოდა, თუ მუშათა ახალახალ რიგებს დააპატიმრებდნენ და ყველა მუშა განაცხადებდა, რომ ისინი პარტიას არ ეკუთვნიან, მაშინ უცნაური იქნებოდა ჩვენი პარტიაო! პირიქით ხომ არა? განა უცნაური არ არის ამხ. ტროცკის მსჯელობა? მას სავალალოდ მიაჩნია ის, რაც ყოველ ცოტათი მაინც გამოცდილ რევოლუციონერს მხოლოდ გაახარებდა. თუ გაფიცვებისა და დემონსტრაციებისათვის ასობით და ათასობით დაპატიმრებული მუშა პარტიული ორგანიზაციების წევრი არ აღმოჩნდებოდა, ეს მხოლოდ იმას დაამტკიცებდა, რომ ჩვენი ორგანიზაციები კარგნი არიან, რომ ჩვენ ვასრულებთ ჩვენს ამოცანას — კონსპირაციის პირობებში ვამყოფებთ ხელმძღვანელთა მეტ-ნაკლებად ვიწრო წრეს და მოძრაობაში ვაბამთ რაც შეიძლება უფრო ფართო მასას.

იმათი შეცდომის ფესვი, ვინც მხარს უჭერს მარტოვის ფორმულირებას, ის არის, რომ ისინი არათუ უგულებელჰყოფენ ჩვენი პარტიული ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად ბოროტებას, არამედ აკანონებენ კიდეც ამ ბოროტებას. ეს ბოროტება იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის საყოველთაო პოლიტიკური უკმაყოფილების ატმოსფეროში, ისეთ პირობებში, როცა მუშაობა სავსებით ფარულად მიმდინარეობს, როცა საქმიანობა მეტწილად თავმოყრილია ვიწრო ფარულ წრეებში და კერძო შეხვედრებშიც კი, ჩვენთვის მეტისმეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელია, საზღვარი გავავლოთ

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 583. რ ე დ.

მოლაყბეებსა და მომუშავეებს შორის. და არა გვგონია მოიძებნებოდეს სხვა ქვეყანა, სადაც ამ ორი კატეგორიის აღრევა ესოდენ ჩვეულებრივი იყოს, ესოდენ ბევრ არევდარევასა და ზიანს იწვევდეს, როგორც რუსეთში. არა მარტო ინტელიგენციაში, არამედ მუშათა კლასის წრეშიც, ჩვენ ძალიან გვენებს ეს ბოროტება, და ამხ. მარტოვის ფორმულირება აკანონებს ამ ბოროტებას. ეს ფორმულირება გარდუვალად ისწრაფვის პარტიის წევრად გახადოს ყ ვ ე ლ ა დ ა თ ვ ი თ ე უ ლ ი; ამხ. მარტოვი თვითონ იძულებული იყო ეღიარებინა ეს შენიშვნით — «თუ გნებავთ, ასეა», თქვა მან. და სწორედ ეს არ გვინდა! სწორედ ამიტომ ვილაშქრებთ ასე გადაჭრით მარტოვის ფორმულირების წინააღმდეგ. სჯობია, ათმა მომუშავემ არ უწოდოს თავისთავს პარტიის წევრი (ნამდვილი მუშაკები ხარისხს არ გამოედევნებიან), ვიდრე ერთ მოლაყბეს ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა იყოს პარტიის წევრი. აი პრინციპი, რომელიც მე უდავოდ მიმაჩნია და რომელიც მაიძულებს ვიბრძოლო მარტოვის წინააღმდეგ. მიპასუხებდნენ: პარტიის წევრებს ჩვენ ხომ არავითარ უფლებებს არ ვაძლევთ, ამიტომ წევრობის ბოროტად გამოყენებაც არ შეიძლებაო. ასეთი მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა: თუ ჩვენ ნათქვამი არა გვაქვს, სახელდობრ რა განსაკუთრებული უფლებები ეძლევა პარტიის წევრს, იქონიეთ მხედველობაში, რომ ჩვენ არც რაიმე მითითება გვაქვს პარტიის წევრთა უფლებების შეზღუდვის შესახებ. ეს, ერთი. მეორეც, და ეს მთავარია, უფლებებისაგან დამოუკიდებლადაც კი, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ პარტიის ყოველი წევრი პასუხისმგებელია პარტიისათვის და პ ა რ ტ ი ა პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი ა ყ ო ვ ე ლ ი წ ე ვ რ ი ს ა თ ვ ი ს. ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეობის პირობებში კი, ნამდვილი პოლიტიკური ორგანიზებულობის ჩანასახ მდგომარეობაში, პირდაპირ სახიფათო და საზიანო იქნებოდა ორგანიზაციის არა წევრებისათვის მიგვეცა წევრობის უფლება და პარტია გაგვეხადა პასუხისმგებელი ისეთი ადამიანებისათვის, რომლებიც ორგანიზაციაში არ შედიან (და, იქნებ,

განზრახ არ შედიან). ამხ. მარტოვს თავზარი ეცემოდა იმის გამო, რომ სასამართლოში პარტიული ორგანიზაციის არა წევრს უფლება არ ექნება, თავისი ენერგიული მუშაობის მიუხედავად, პარტიის წევრი უწოდოს თავის თავს. მე ეს არ მაშინებს. პირიქით, სერიოზულ ზიანს მოგვიტანდა, თუ სასამართლოში კარგად ვერ გამოიჩენდა თავს ადამიანი, რომელიც პარტიის წევრს უწოდებდა თავის თავს, თუმცა ის არც ერთ პარტიულ ორგანიზაციას არ ეკუთვნის. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ასეთი პირი ორგანიზაციის კონტროლითა და ხელმძღვანელობით მუშაობდა, შეუძლებელია სწორედ ტერმინის ბუნდოვანების გამო. ფაქტიურად — ეს უეჭველია — სიტყვები «კონტროლით და ხელმძღვანელობით» გამოიწვევენ იმას, რომ *არ კონტროლიქნება და არც ხელმძღვანელობა*. ცენტრალური კომიტეტი ვერასოდეს ვერ შესძლებს გაავრცელოს ნამდვილი კონტროლი ყველა იმათზე, ვინც მუშაობს, მაგრამ ორგანიზაციაში არ შედის. ჩვენი ამოცანაა *ფაქტიური* კონტროლი მივცეთ ხელთ ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენი ამოცანაა დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა, — და ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ მარტოვის ფორმულირებისა.

---

## 22

## სიტყვა «ისკრის» რედაქციის არჩევნების დროს 7 (20) აგვისტო[105]

ამხანაგებო! მარტოვის სიტყვა იმდენად უცნაური იყო, რომ მე იძულებული ვარ გადაჭრით გავილაშქრო იმის წინააღმდეგ, თუ როგორ აყენებს იგი საკითხს. უწინარეს ყოვლისა მოგაგონებთ, რომ მარტოვის პროტესტი თვით რედაქციის არჩევნების წინააღმდეგ, მარტოვისა და მისი ამხანაგების უარი ასარჩევ რედაქციაში მონაწილეობაზე აშკარად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ჩვენ ყველანი ვამბობდით (მათ შორის მარტოვიც), როდესაც პარტიულ ორგანოდ «ისკრა» იქნა აღიარებული. მაშინ ჩვენ გვეკამათებოდნენ, რომ ასეთ აღიარებას აზრი არა აქვს, რადგან არ შეიძლება დაამტკიცო მარტო სათაური რედაქციის დაუმტკიცებლადო, და თვით მარტოვი განუმარტავდა მოკამათეებს, რომ ეს *არ არის მართალი*, რომ დელეგატები ამტკიცებენ გარკვეულ პოლიტიკურ მიმართულებას, რომ რედაქციის შემადგენლობა *არაფრით არ არის წინასწარ განსაზღვრული*, რომ რედაქტორები შემდეგ უნდა იქნან არჩეულნი ჩვენი **Tagesordnung**-ის * 24-ე პუნქტის ** მიხედვითო. ამი-

* — დღის წესრიგი. რ ე დ.

** ყრილობის მუშაობის მსვლელობაში ეს საკითხი დღის წესრიგის მე-18 პუნქტი გახდა. რ ე დ.

ტომ ამხ. მარტოვს ახლა სრულებით არავითარი უფლება არა ჰქონდა «ისკრის» აღიარების შეზღუდვაზე ელაპარაკნა. ამიტომ მარტოვის სიტყვები: სამეულში ჩემი შესვლა, თუ არ იქნებიან ჩემი ძველი ამხანაგები რედაქციიდან, მთელ ჩემს პოლიტიკურ რეპუტაციას ჩირქს მოსცხებსო, მოწმობს მხოლოდ პოლიტიკურ ცნებათა გასაოცარ აღრევას. ამ თვალსაზრისზე დადგომა იმას ნიშნავს, რომ უარჰყო ყრილობის უფლება — მოაზდინოს ახალი არჩევნები, თანამდებობის პირთა შემადგენლობის რაიმე ცვლილებანი, გადაარჩიოს მის მიერ უფლებამოსილი კოლეგიები. თუ რა არევდარევას იწვევს საკითხის ასეთი დაყენება, ჩანს თუნდაც საორგანიზაციო კომიტეტის მაგალითიდან. ჩვენ მას ყრილობის სრული ნდობა და მადლობა გამოვუცხადეთ, მაგრამ ამავე დროს სასაცილოდ ავიღეთ თვით ის აზრი, რომ ყრილობას უფლება არა აქვს გაერკვეს საორგანიზაციო კომიტეტის შინაგან ურთიერთობაში, ჩვენ ამავე დროს უკუვაგდეთ ყოველგვარი ვარაუდი, რომ საორგანიზაციო კომიტეტის ძველი შემადგენლობა შეგვზღუდავდა ამ შემადგენლობის «არაამხანაგურ» გადარჩევაში და ახალი ცენტრალური კომიტეტის შექმნაში, როგორი ელემენტებისაგანაც გნებავთ. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: ამხ. მარტოვის შეხედულება წინანდელი კოლეგიის ნაწილის არჩევის დაშვებაზე ააშკარავებს პოლიტიკურ ცნებათა უდიდეს აღრევას.

ახლა გადავალ «ორი სამეულის» საკითხზე. ამხ. მარტოვმა თქვა, რომ «ორი სამეულის» მთელი ეს პროექტი არის ერთი პირის, რედაქციის ერთი წევრის საქმე (სახელდობრ ჩემი პროექტი), და რომ ამაზე სხვა არავინ არის პასუხისმგებელიო. მე კატეგორიულად ვაცხადებ პროტესტს ამ მტკიცების წინააღმდეგ და ვამბობ, რომ ეს მტკიცება სრულიადაც არ არის მართალი. მოვაგონებ ამხ. მარტოვს, რომ ყრილობამდე რამდენ-მე კვირით ადრე მე პირდაპირ განვუცხადე მას და კიდევ რედაქციის ერთ წევრს, ყრილობაზე რედაქციის თავის-

უფალ არჩევას მოვითხოვ-მეთქი. ამ გეგმაზე ხელი ავიღე მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ამხ. მარტოვმა მის ნაცვლად წამოაყენა უფრო მოხერხებული გეგმა «ორი სამეულის» არჩევისა. ეს გეგმა მე მაშინ ქაღალდზე გადავიტანე და გავუგზავნე უწინარეს ყოვლისა თვით ამხ. მარტოვს, რომელმაც იგი შესწორებებით დამიბრუნა, — აი იგი ჩემს ხელთაა, სწორედ ეს ეგზემპლარი, სადაც მარტოვის შესწორებანი წითელი მელნით არის ჩაწერილი. მთელმა რიგმა ამხანაგებმა შემდეგ ათჯერ მაინც ნახეს ეს პროექტი, ნახა იგი რედაქციის ყველა წევრმაც, და ფორმალურად არასოდეს არავის არ განუცხადებია პროტესტი მის წინააღმდეგ. ვამბობ «ფორმალურად», რადგან ამხ. აქსელროდმა ერთხელ, თუ არ ვცდები, წამოისროლა რაღაც კერძო შენიშვნა — ამ პროექტს არ თანავუგრძნობო. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ რედაქციის პროტესტისათვის კერძო შენიშვნა როდი იყო საკმარისი. ტყუილად კი არ იყო, რომ რედაქციამ ყრილობის წინაც მიიღო ფორმალური გადაწყვეტილება — მოეწვია გარკვეული მეშვიდე პირი იმისათვის, რომ, თუ საჭირო გახდებოდა ყრილობაზე რაიმე კოლექტიური განცხადებით გამოსვლა, შესაძლებელი ყოფილიყო ურყევი გადაწყვეტილების მიღება, რასაც ესოდენ ხშირად ვერ ვაღწევდით ჩვენს ექვსისაგან შემდგარ კოლეგიაში. და რედაქციის ყველა წევრმა იცის, რომ ექვსეულის შევსება რედაქციის მეშვიდე მუდმივი წევრით უკვე ძალიან დიდი ხანია ჩვენი მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენდა. ამრიგად, ვიმეორებ, გამოსავალი «ორი სამეულის» არჩევის სახით სრულიად ბუნებრივი გამოსავალი იყო, რომელიც მე კიდეც შევიტანე ჩემს პროექტში ამხანაგ მარტოვის დასტურითა და თანხმობით. და ამხ. მარტოვს ამხ. ტროცკისთან და სხვებთან ერთად ამის შემდეგ მრავალჯერ და მრავალჯერ დაუცავთ «ორი სამეულის» არჩევის სისტემა «ისკრელთა» მთელ რიგ კერძო კრებებზე.

მაგრამ, როცა ვასწორებ მარტოვის განცხადებას «ორი სამეულის» გეგმის კერძო ხასიათის შესახებ, მე არც ვფიქრობ ამით შევეხო იმავე მარტოვის მტკიცებას იმ ნაბიჯის «პოლიტიკური მნიშვნელობის» შესახებ, რომელიც ჩვენ გადავდგით, ძველი რედაქცია რომ არ დავამტკიცეთ. პირიქით, მე სავსებით და უეჭველად ვეთანხმები ამხ. მარტოვს, რომ ამ ნაბიჯს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს — ოღონდ არა ის მნიშვნელობა, რომელსაც მარტოვი მას მიაწერს. ის ამბობდა, რომ ეს არის რუსეთში ცენტრალურ კომიტეტზე გავლენისათვის ბრძოლის აქტიო. მე მარტოვზე უფრო შორს წავალ. გავლენისათვის ბ რ ძ ო ლ ა იყო დღემდე «ისკრის», როგორც კერძო ჯგუფის, მთელი მოღვაწეობა, ახლა კი საქმე ეხება უკვე უფრო მეტს, გავლენის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა ს, და არა მარტო მისთვის ბრძოლას. თუ რა დიდად ვშორდებით ჩვენ აქ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ ამხ. მარტოვს, ჩანს იქიდან, რომ ის ბ რ ა ლ ა დ მითვლის ამ სურვილს — გავლენა მოვახდინოთ ცენტრალურ კომიტეტზე, მე კი დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ა დ მიმაჩნია ის, რომ ვცდილობდი და ვცდილობ განვამტკიცო ეს გავლენა ორგანიზაციულად. თურმე, ჩვენ სხვადასხვა ენაზედაც კი ვლაპარაკობდით! რად ეღირებოდა მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი ღონისძიებანი, მათი გვირგვინი რომ ყოფილიყო იგივე ძველი ბრძოლა გავლენისათვის, და არა გავლენის სრული მოპოვება და განმტკიცება. დიახ, ამხ. მარტოვი სავსებით მართალია: გადადგმული ნაბიჯი, უეჭველად, დ ი დ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ნ ა ბ ი ჯ ი ა, რომელიც მოწმობს, რომ ახლა დასახულ მიმართულებათაგან არჩეულია ერთ-ერთი მიმართულება ჩვენი პარტიის შემდგომ მუშაობაში. და მე ოდნავადაც არ მაფრთხობენ საშინელი სიტყვები «საალყო მდგომარეობაზე პარტიაში», «განსაკუთრებულ კანონებზე ცალკეული პირებისა და ჯგუფების წინააღმდეგ» და სხვ. მერყეევი და მოქანავე ელემენტების მიმართ ჩვენ არათუ შეგვიძლია, არამედ ვალდებულნიც ვართ შევქმნათ «საალყო მდგომარეობა», და პარტიის მთელი ჩვენი წესდება, ამიერიდან ყრილობის მიერ დამტკიცებული მთელი

ჩვენი ცენტრალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა «საალყო მდგომარეობა» პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უ ს ა ხ ურ ო ბ ი ს ესოდენ მრავალრიცხოვანი წყაროების წინააღმდეგ. სწორედ უსახურობის წინააღმდეგ არის საჭირო საგანგებო, თუნდაც განსაკუთრებული, კანონები, და ყრილობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა სწორად დასახა პოლიტიკური მიმართულება, როცა მტკიცე ბაზისი შეჰქმნა ა ს ე თ ი კანონებისა და ა ს ე თ ი ზომებისათვის.

23

## სიტყვა მოსწავლეთა ახალგაზრდოგასთან დამოკიდებულების საკითხზე
## 10 (23) აგვისტო

ფორმულას «ყალბი მეგობრები» მარტო რეაქციონერები როდი ხმარობენ, ხოლო ასეთი ყალბი მეგობრები რომ არიან — ამას ჩვენ ვხედავთ ლიბერალებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების სახით. სწორედ ეს ყალბი მეგობრები ცდილობენ დაარწმუნონ ახალგაზრდობა, რომ მისთვის საჭი-რო არ არის სხვადასხვა მიმდინარეობაში ერკვეოდეს. ჩვენ კი მთავარ მიზნად ვისახავთ მთლიანი რევოლუციური მსოფლ-მხედველობის შემუშავებას, ხოლო შემდგომი პრაქტიკული ამოცანა ის არის, რომ ახალგაზრდობა, როცა ირაზმება, ჩვენს კომიტეტებს მიმართავდეს.

# რეფორმების ერა

დიახ, ჩვენ, უეჭველია, რეფორმების ერას განვიცდით, რაც უნდა უცნაურად გაისმოდეს ეს სიტყვები თანამედროვე რუსეთის მიმართ. მოდუნებაა შინაური პოლიტიკის ყველა დარგში, გარდა იმ დარგებისა, რომლებიც დაკავშირებულია შინაური მტრის წინააღმდეგ ბრძოლასთან, და, მიუხედავად ამისა, — უფრო მართალი რომ ითქვას, სწორედ ამის გამო, — ჩვენ ვხედავთ რეფორმების მოხდენის მუდმივ, განუწყვეტელ ცდებს, რეფორმების გატარების განზრახვას ყველაზე მტკივნეულ, ყველაზე საჭირბოროტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში. პროლეტარიატი, რომელიც შეგნებულ-კლასობრივი ცხოვრებისათვის იღვიძებს, უკვე საკმაოდ დიდი ხანია გამოვიდა, როგორც ჩვენებური პოლიციური თვითმპყრობელობის ნამდვილი, როგორც მთავარი, როგორც ერთადერთი შეურიგებელი მტერი. ასეთ მტერთან კი, როგორიცაა მოწინავე საზოგადოებრივი კლასი, არ შეიძლება ბრძოლა მარტო ძალადობით, თუნდაც უაღრესად ულმობელი, უაღრესად ორგანიზებული, უაღრესად ყოველმხრივი ძალადობით. ასეთი მტერი გაიძულებთ ანგარიში გაუწიოთ მას და დათანხმდეთ დათმობებს, ყოველთვის არაგულწრფელს, ყოველთვის ორჭოფულს, ხშირად სავსებით ყალბსა და მოჩვენებითს, ჩვეულებრივ მთელი რიგი მეტნაკლებად ოსტატურად დაფარული ხაფანგებით გარემოცულს, მაგრამ მაინც დათმობებს, რეფორმებს, რომლებიც მთელ ერას შეადგენენ. ეს, რა თქმა უნდა, ის რეფორმები როდია, რომლებიც პოლიტიკური განვითარების ჩამავალ ხაზს მოასწავებენ, რო-

დესაც კრიზისს გაუვლია, ქარიშხალი ჩამდგარა, და მდგომარეობის ბატონ-პატრონებად დარჩენილნი შესდგომიან თავისი პროგრამის განხორციელებას ან (ესეც ხდება ხოლმე) მათი მოწინააღმდეგეების მიერ ნაანდერძევი პროგრამის განხორციელებას. არა, ეს არის აღმავალი ხაზის რეფორმები, როდესაც სულ უფრო და უფრო ფართო მასები ებმიან ბრძოლაში, როდესაც კრიზისი ჯერ მხოლოდ ახლოვდება, როდესაც თვითეული შეტაკება, ბრძოლის ველზე ასობით მებრძოლს რომ სპობს, წარმოშობს ათასობით ახალ მებრძოლს, უფრო გააფთრებულს, უფრო გაბედულს, უფრო გამოწრთობილს.

ასეთი რეფორმები ყოველთვის რევოლუციის წინამორბედსა და კარიბჭეს წარმოადგენენ. ამ რეფორმათა რიცხვს, უეჭველია, ეკუთვნიან მეფის მთავრობის უკანასკნელი, ნაწილობრივ განხორციელებული, ნაწილობრივ მხოლოდ დასახული ღონისძიებანი: მუშათა ურთიერთდახმარების საზოგადოებათა კანონის პროექტი (პროექტი, რომელიც მთავრობას არ გამოუქვეყნებია და ცნობილია მხოლოდ ლიბერალურ-ბურჟუაზიული «ოსვობოჟდენიეს» ცნობებიდან) და კანონები დასახიჩრებისაგან დაზარალებული მუშებისათვის საზღაურის მიცემისა და ფაბრიკის მამასახლისების შესახებ. ჩვენ განზრახვა გვაქვს ახლა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ უკანასკნელ კანონზე.

ახალი კანონის დედაარსი ის არის, რომ მუშებს განსაზღვრულ პირობებში შეუძლიათ მიიღონ მეწარმეებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობის უფლება, ერთგვარი ჩანასახი ორგანიზაციის უფლება. ეს უფლებანი მოცულია პოლიციის ნებართვათა, შეზღუდვათა და შევიწროებათა უამრავი რაოდენობით. მართლაც. უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ახალი კანონით მუშების წარმომადგენლობის უფლება დამოკიდებულია საქარხნო სამმართველოთა თანხმობასა და ინიციატივაზე და საფაბრიკო და სამთო-საქარხნო საქმეთა საკრებულოების ნებართვაზე. წარმომადგენლობის უფლება მუშებს შ ე უ ძ ლ ი ა თ მისცენ ქარხნე-

ბის პატრონებმა, მაგრამ კანონი მათ სრულიადაც არ ავალ-დებულებს ამას, ამასთან ფაბრიკის საკრებულოს შეუძლია არ დაუშვას წარმომადგენლობა მაშინაც კი, როცა ამაზე მეფაბრიკის შუამდგომლობა არის, შეუძლია არ დაუშვას როგორიც გნებავთ მოსაზრებებით და თუნდაც ყოველგვარი მოსაზრების წამოუყენებლად. ამრიგად, თავიდანვე მ უ შ ა თ ა წარმომადგენლობა მთლიანად და უსათუოდ, უაპელაციოდ მ ე პ ა ტ რ ო ნ ე თ ა დ ა პ ო ლ ი ც ი ი ს შეხედულებაზეა მინდობილი. როდესაც მეპატრონენი და პოლიცია ამას მოხერხებულად და სასურველად დაინახავენ, მათ შეუძლიათ მოაწყონ (მეტად ვიწრო საფუძველზე) მუშათა წარმომადგენლობა — ასეთია რეფორმის დედაარსი. სახაზინო ქარხნებში წარმომადგენლობაზე, ფრჩხილებში ვიტყვით, კანონი კრინტსაც არა სძრავს: კერძო ქარხნებში მუშათა წარმომადგენლები შ ე ი ძ ლ ე ბ ა აღმოჩნდნენ პოლიციის ახალ აგენტებად, ფაბრიკის ახალ მეეზოვეებად, სახაზინო ქარხნებში კი აგენტები და მეეზოვენი ყოველთვის საკმაოდ არიან! პოლიცია ამ სფეროში რეფორმებს არ მოითხოვს, — მაშასადამე, აქ რეფორმა არც არის საჭირო.

შემდეგ. მუშების თვით წარმომადგენლობას უმსგავსოდ დამახინჯებული ფორმა აქვს მიცემული. მუშებს აცალკევებენ, აქუცმაცებენ თ ა ნ რ ი გ ე ბ ა დ; იმ წესებს, თუ სახელდობრ როგორ დაჰყონ მუშები თანრიგებად, გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ამტკიცებს, ისევე როგორც ს ა ე რ თ ო დ ყ ვ ე ლ ა წ ე ს ს, რომელიც კი ახალი კანონის მიხედვით წარმომადგენლობის ორგანიზაციას ეხება. მეფაბრიკეებსა და პოლიციას შეუძლიათ იმგვარად შეადგინონ თანრიგები და, იგულისხმება, კიდეც შეადგენენ ისე, რომ ყოველნაირად გააძნელონ მუშების სოლიდარობა და შეერთება, რომ გამოიწვიონ და გააღვივონ უთანხმოება არა მარტო პროფესიებს შორის, საამქროებს შორის, არამედ სხვადასხვა ერის, სხვადასხვა სქესის, სხვადასხვა ასაკის, მეტნაკლები დახელოვნების, მეტნაკლები ხელფასის და სხვათა და სხვათა მუშებს შორის.

მუშების წარმომადგენლობა შეიძლება იყოს და კიდეც არის ხოლმე მუშებისათვის სასარგებლო მხოლოდ იმით, რომ მუშები ერთ მასად ერთიანდებიან, რადგან ჩვენი ცივილიზაციის დაბეჩავებულ, დაჩაგრულ, მუშაობით წელგატეხილ დაქირავებულ მონათა ძალის ერთადერთი წყაროა მათი შეერთება, მათი ორგანიზებულობა, მათი სოლიდარობა. მეფის თვითმპყრობელობას სურს მისცეს მუშებს ისეთი წარმომადგენლობა და ისეთი პირობები, რომ ყოველნაირად გაალკეოს და ამით დაასუსტოს მუშები.

პოლიციურად შედგენილმა თანრიგებმა უნდა აირჩიონ, დაწვრილებითი პოლიციური წესების საფუძველზე, მამასახლისობის კანდიდატები, ამასთან იმდენი კანდიდატი, რამდენის არჩევასაც პოლიცია ბრძანებს. ერთ-ერთ კანდიდატს, თავისი შეხედულებისამებრ, ქარხნის მმართველობა დაამტკიცებს, ხოლო გუბერნატორს ყოველთვის აქვს უფლება თანამდებობიდან გადააყენოს მამასახლისი, «რომელიც, — როგორც ნათქვამია კანონში, — ვერ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას».

არც თუ ისე ოსტატურია მთელი ეს პოლიციური მექანიკა! მამასახლისის «დანიშნულება», ალბათ, ის არის, რომ სასარგებლო იყოს პოლიციისათვის, გამოსადეგი იყოს მისთვის: კანონი ამაზე არაფერს ამბობს, რადგან ასეთ პირობებზე არ ლაპარაკობენ: მათ მოაჭახრაკებენ ხოლმე. ამის მოჭახრაკება მეტად იოლი რამ არის, რაკი ადგილობრივი პოლიციის მეთაურს, გუბერნატორს, ეძლევა უკონტროლო უფლება — გადააყენოს არასასურველი მამასახლისი. ერთხელ კიდევ: უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა ფაბრიკის ასეთი მამასახლისისათვის ფაბრიკის მეეზოვე ეწოდებინათ? პოლიციას შეუძლია დანიშნოს ძალიან ბევრი კანდიდატის არჩევნები, რომელთაგან მხოლოდ ერთს ამტკიცებენ; მაგალითად, თვითეულ თანრიგს, ვთქვათ, 100 ან 50 კაცისაგან შემდგარს, ნაბრძანები ექნება აირჩიოს ათი თუ ხუთი კანდიდატი. ხომ არ შეიძლება არჩეულ კანდიდატთა ეს სია ზოგჯერ გადააქციონ იმ პირთა სიად, რომლებსაც განსაკუთრე-

ბული მეთვალყურეობა უნდა გაეწიოს, ან რომლებიც დაპატიმრებულნიც კი უნდა იქნან? წინათ ასეთ სიებს მხოლოდ ჯაშუშები ადგენდნენ, ახლა კი, იქნებ, ზოგჯერ თვითონ მუშებმაც შეადგინონ? პოლიციისათვის საშიში ან უხერხულიც კი კანდიდატთა სიაში არაფერია, რადგან დაამტკიცებენ ყოველთვის უარესს ან არავის არ დაამტკიცებენ და ახალ არჩევნებს მოითხოვენ.

იმ მისწრაფებით გამსჭვალულმა, რომ ფაბრიკის მამასახლისები აკმაყოფილებდნენ პოლიციურ «დანიშნულებას», ახალმა კანონმა (ისევე როგორც რუსეთის კანონთა უმრავლესობამ) ზედმეტი გულმოდგინებაც კი გამოიჩინა. კანდიდატები 25 წლის ასაკზე უფრო ახალგაზრდანი არ უნდა იყვნენ. პირვანდელი კანონპროექტი ზღვრულ ასაკად 21 წელს ითვალისწინებდა, მთავრობის მაღალმა სფეროებმა უფრო ფრთხილ და სახელმწიფოებრივად ბრძნულ ღონისძიებად მიიჩნიეს კიდევ 4 წლით გაედიდებინათ ეს ასაკი, რათა წინასწარ ჩამოეშორებინათ «საფაბრიკო მოსახლეობის ყველაზე მოუსვენარი ელემენტი», როგორიც, «პოლიციის დეპარტამენტის ცნობებით, არიან 17-დან 20 წლამდე ასაკის პირნი» (ფინანსთა სამინისტროს განმარტებითი მოტივებიდან, რაც «ვესტნიკ ფინანსოვში» დაბეჭდილია შემოკლებით, ხოლო «ოსვობოჟდენიეში» შეუმოკლებლად). ეს ცოტაა. ქარხნის სამმართველოს და პოლიციას შეუძლიათ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ე. ი. ყოველი ცალკეული საწარმოსათვის, მოითხოვონ დაწესდეს, ჯერ ერთი, მუშის უფრო მაღალი ზღვრული ასაკი და, მეორეც, საწარმოში მისი სამსახურის მეტი ხანგრძლივობა. შესაძლოა, მაგალითად, მოითხოვონ 40 წლისაზე არანაკლები ასაკი და ქარხანაში 15 წელზე არანაკლები სამსახური იმისათვის, რომ მუშას უფლება ჰქონდეს მამასახლისობის კანდიდატად არჩევისა! როგორც ეტყობა, ერთ რამეზე არ უფიქრიათ კანონის შემდგენლებს, რომლებიც ესოდენ თავგამოდებით იცავენ პოლიციის ინტერესებს: ხალისით დათანხმდებიან თუ არა მუშები, ასეთ პირობებში, მამასახლისის ამ «პოსტს»? მამასახლისი ხომ თითქმის ისევე

უნდა ემორჩილებოდეს პოლიციის თვითნებობას, როგორც რომელიმე სოფლელი ათისთავი. მამასახლისი ხომ შეიძლება გადააქციონ უბრალო დამტარებლად, რომელიც მუშებს გადასცემს ფაბრიკის უფროსთა განკარგულებებსა და ახსნა-განმარტებას. მამასახლისისაგან ხომ, უეჭველია, მოითხოვენ წმინდა ჯაშუშურ სამსახურს და თანრიგთა იმ კრებების ანგარიშს, რომლებსაც მამასახლისნი იწვევენ და რომლებზედაც წესრიგს მამასახლისნი ადევნებენ თვალყურს. ამავე დროს კანონი, რომელიც ითვალისწინებს მამასახლისთა განთავისუფლებას მუშაობისაგან თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლად, მოკრძალებით სდუმს იმაზე, მიეცემათ თუ არა მამასახლისებს გასამრჯელო და ვისგან მიეცემათ. ნუთუ კანონის შემდგენელნი ფიქრობენ, რომ მუშაობისაგან განთავისუფლებული მამასახლისები არ მოითხოვენ ქარხნისაგან ამ «თავისუფალი» დროის საფასურს? ხომ არ იმსახურებენ ისინი მამასახლისებად, მექარხნეთა და გუბერნატორთა ნებასურვილით, მუშა-ხალხის ამ ერთგული მეგობრების მხოლოდ მშვენიერი თვალებისათვის?

ის მისწრაფება, რომ მამასახლისები ფაბრიკის მეეზოვებად გადააქციონ, განსაკუთრებით ჩანს აგრეთვე ახალი კანონის მესამე პუნქტიდან: მამასახლისები აღიარებულნი არიან თანრიგთა რწმუნებულებად მხოლოდ იმ საქმეების განცხადებათა წარსადგენად, რომლებიც დაქირავების პირობათა შესრულებას ეხებიან. დაქირავების პირობების შეცვლაზე მამასახლისებს უფლება არა აქვთ სიტყვაც კი დასძრან! მუშათა კარგი «რწმუნებულნი» კი არიან, თქვენმა მზემ. და რაოდენ უაზროა ეს დადგენილება თვითონ კანონის შემდგენელთა თვალსაზრისითაც კი, რომელთაც უნდოდათ გაეადვილებინათ «მუშების ნამდვილი სურვილებისა და საჭიროებათა გამორკვევა» «მეტადრე იმ დროს, როდესაც უკვე წარმოიშვა უკმაყოფილება და მღელვარება». ათი შემთხვევიდან ცხრა შემთხვევაში მღელვარება სწორედ იქიდან გამომდინარეობს, რომ მოითხოვენ დაქირავების პირობების შეცვლას, და მამასახლისთა ჩამოცილება ამ საქმის

მონაწილეობისაგან იმას ნიშნავს, რომ მათი როლი თითქმის არარად აქციონ. კანონის შემდგენელნი გაიხლართნენ თვითმპყრობელობის უთვალავ წინააღმდეგობათაგან ერთ-ერთ წინააღმდეგობაში, რადგან მუშათა რწმუნებულებისათვის (ნამდვილი და არა პოლიციის ნებართვით დანიშნული რწმუნებულებისათვის) იმ უფლების მინიჭება, რომ მოეთხოვათ დაქირავების პირობათა შეცვლა, იქნებოდა სიტყვის თავისუფლებისა და პიროვნების ხელუხლებლობის აღიარება.

საზოგადოდ ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ფაბრიკის მამასახლისები მუშათა ნამდვილ რწმუნებულებად მივიჩნიოთ. რწმუნებული უნდა აირჩიონ მხოლოდ მუშებმა, პოლიციის მხრივ სრულიად დაუმტკიცებლად. რწმუნებული გადაყენებულ უნდა იქნას მაშინვე, როგორც კი მისმა ამომრჩეველმა მუშებმა მას უნდობლობა გამოუცხადეს. რწმუნებული უნდა ცხადდებოდეს ანგარიშის ჩასაბარებლად მუშათა კრებებზე მათი ყოველი მოთხოვნის მიხედვით. ჩვენებური კანონით კი მხოლოდ მამასახლისს ენიჭება უფლება შეკრიბოს მისი ამომრჩეველი თანრიგის მუშები და ამასთან საწარმოს სამმართველოს მიერ მითითებულ ადგილას და დროს. მაშასადამე, მამასახლისს შეუძლია არც შეკრიბოს, ხოლო სამმართველოს შეუძლია არ დაუთმოს არც ადგილი, არც დრო. გვგონია, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა სრულიადაც არ ჩამოეგდოთ სიტყვა მუშათა წარმომადგენლობაზე, და არ გაეღიზიანებინათ მუშები ასეთი მოჩვენებითი წარმომადგენლობით.

მუშათა კრებები ისეთ შიშს (და კანონიერ შიშს) ჰგვრიან თვითმპყრობელობას, რომ სხვადასხვა თანრიგთა ერთად შეკრებას იგი უსათუოდ კრძალავს. «იმ საქმეთა განსახილველად, რომელნიც რამდენიმე თანრიგს ეხებიან, — ადგენს ახალი კანონი, — იკრიბებიან მხოლოდ და მხოლოდ ამ თანრიგთა მამასახლისები». კაპიტალისტებისათვის და მათი დამცველი პოლიციური მთავრობისათვის ეს, მართლაც, მეტად სახეირო იქნებოდა: შეედგინათ წევრთა რიცხვის მხრივ მცირე თანრიგები ოსტატებისა, მოსამსახურეებისა და მაღალი ხელფასის

მქონე მუშებისაგან, შეედგინათ მონაწილეთა რიცხვის მხრივ დიდი თანრიგები შავი მუშებისა და უბრალო მუშებისაგან — და დაეშვათ მხოლოდ სხვადასხვა თანრიგთა მამასახლისების კრებები. მაგრამ ამგვარი ვარაუდი პ ა ტ რ ო ნ ი ს დაუკითხავადაა შედგენილი: თავისი ბედის პატრონია შეგნებული პროლეტარიატი, რომელიც ზიზღით უკუაგდებს ამ უბადრუკ პოლიციურ გალიებს, სადაც ის სურთ მოათავსონ. მუშები, ყოველგვარი აკრძალვის მიუხედავად, ერთად შეიკრიბებიან ხოლმე თავისი საქმეების განსახილველად და მოაწყობენ თავიანთი ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მამასახლისების ფარულ კრებებს.

მაგრამ თუ ეს უბადრუკი რეფორმა ამდენად შხამავს პოლიციურ-ჯაშუშური სულისკვეთებით მუშათა წარმომადგენლობის ჩანასახებს, ხომ არ მართებთ შეგნებულ მუშებს სრულიად აარიდონ თავი ფაბრიკის მამასახლისთა არჩევნებში ან «თანრიგთა» კრებებში ყოველგვარ მონაწილეობას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თანამედროვე პოლიტიკურ სინამდვილეში აქტიური მონაწილეობისაგან თავის არიდება, რარიგ საზიზღარიც უნდა იყოს ეს სინამდვილე, — ანარქისტების ტაქტიკაა და არა სოციალ-დემოკრატებისა. ჩვენ შევძლებთ, ჩვენ უნდა შევძლოთ განვავითაროთ მუშათა ფართო ბრძოლა ახალი კანონის ყოველი საზიზღარი ხრიკის წინააღმდეგ, ახალი კანონის საშუალებით ჩადენილი ყოველი ჯაშუშური ოინის წინააღმდეგ, — და ეს ბრძოლა გააღვიძებს ყველაზე ჩამორჩენილ მუშებს, განავითარებს რუსეთის მუშათა პოლიციურ-ჟანდარმულ-ჯაშუშური «წარმომადგენლობის» ყველა მონაწილის პოლიტიკურ შეგნებას. ზუბატოველთა კრებები გაცილებით უფრო მეტად, გაცილებით უფრო აშკარად რყვნიდნენ მუშებს, ვიდრე მათ გარყვნიან ხელისუფლების წინაშე მლიქვნელი მამასახლისები, და მაინც ჩვენ ამ კრებებზე ვგზავნიდით შეგნებულ მუშებს, რომლებიც თვითონაც სწავლობდნენ და სხვებსაც ასწავლიდნენ, და მაინც მთელი ეს ზუბატოვური ეპოპეა სამარცხვინო კრახით დამთავრდა, — მან გაცილებით მეტი ვააკეთა სოციალ-დემოკრატიის სასარ-

გებლოდ, ვიდრე თვითმპყრობელობის სასარგებლოდ: ოდესის ამბებს[106] ამის შესახებ ეჭვის ნასახიც არ დაუტოვებიათ.

თვითმპყრობელობა იწყებს ლაპარაკს მუშათა კრებების შესახებ. გამოვიყენოთ ეს კრებების სრული თავისუფლების სოციალ-დემოკრატიულ მოთხოვნათა უაღრესად ფართო პროპაგანდისა და აგიტაციისათვის. თვითმპყრობელობა იწყებს ლაპარაკს არჩევნების შესახებ; გამოვიყენოთ ეს იმისათვის, რომ გავაცნოთ მუშათა მასებს არჩევნების მნიშვნელობა, არჩევნების ყველა სისტემა, ყველა ხრიკი, რასაც პოლიცია არჩევნების დროს მიმართავს. და ეს უნდა გავაცნოთ არა მარტო წიგნებითა და საუბრებით, არამედ გავაცნოთ პრაქტიკულადაც: რუსეთის არჩევნების, პოლიციურად მოწყობილი არჩევნების მაგალითით, ამ არჩევნებში მონაწილეობით *, შეგნებული მუშები უფრო და უფრო ფართო მასებს მოამზადებენ საარჩევნო აგიტაციის წარსამართავად, კრებების წარსამართავად, თავიანთი მოთხოვნების დასაცავად კრებების წინაშეც, მამასახლისთა წინაშეც, მამასახლისთა საქმიანობაზე მუდმივი მეთვალყურეობის მოსაწყობად. თვითმპყრობელობა იწყებს ლაპარაკს მუშათა წარმომადგენლობაზე. გამოვიყენოთ ეს ნამდვილი წარმომადგენლობის სწორი იდეების გასავრცელებლად. მუშების წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფალი მ უ შ ა თ ა კ ა ვ შ ი რ ი, რომელიც მოიცავს მრავალ ფაბრიკასა და მრავალ ქალაქს. საფაბრიკო წარმომადგენლობა, მუშების წარმომადგენლობა ყოველ ცალკეულ ფაბრიკაში, ვერ დააკმაყოფილებს დასავლეთის მუშებსაც კი, თავისუფალ სახელმწიფოთა მუშებსაც კი. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბელადები, მაგალითად, გერმანიაში, არა ერთხელ ამხედრებულან საფაბრიკო წარმომადგენლობის წინააღმდეგ. და ეს გასაგებია, რადგან კაპიტალის მხრივ ჩაგვრა ერთობ ძლიერია, და მუშების დათხოვნის უფლება —

* რა თქმა უნდა, ორგანიზებული მუშები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავირჩიოთ მამასახლისებად; კანდიდატებად უნდა დავასახელოთ შესაფერი ადამიანები არაორგანიზებული მასიდან.

კაპიტალისტური თავისუფალი ხელშეკრულების ეს წმინდა უფლება — ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ძალას დაუკარგავს მუშების წარმომადგენლობას ყოველ ცალკეულ ფაბრიკაში. მხოლოდ მუშათა კავშირი, რომელიც აერთიანებს მრავალი ფაბრიკისა და მრავალი ადგილის მუშებს, სპობს მუშების წარმომადგენელთა დამოკიდებულებას ცალკეული მეფაბრიკისაგან. მხოლოდ მუშათა კავშირი უზრუნველყოფს ბრძოლის ყველა იმ საშუალებას, როგორიც კი საერთოდ შესაძლებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ხოლო თავისუფალი მუშათა კავშირები შესაძლებელია მხოლოდ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს დროს, პიროვნების ხელუხლებლობის, კრებების თავისუფლების, სახალხო კრების დეპუტატთა არჩევნების თავისუფლების პირობებში.

თუ პოლიტიკური თავისუფლება არ არის, ისე მუშათა წარმომადგენლობის ყოველგვარი ფორმა სამარცხვინო მოტყუებად დარჩება, პროლეტარიატი წინანდებურად დარჩება საპყრობილეში, სინათლეს, ჰაერსა და გასაქანს მოკლებული, რომლებიც მას ესაჭიროება თავისი სრული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამ საპყრობილეში მთავრობა ახლა გამოჭრის ხოლმე პაწაწა სარკმელს ფანჯრის ნაცვლად, თან ამ სარკმელს ისე აკეთებს, რომ მან მეტი სარგებლობა მოუტანოს პატიმრის მოდარაჯე ჟანდარმებსა და ჯაშუშებს, ვიდრე თვით პატიმარს. და სწორედ ასეთი რეფორმა რუსი ხალხის ჯალათებს სურთ მეფის მთავრობის წყალობად მოგვაჩვენონ! მაგრამ რუსეთის მუშათა კლასი ამ სარკმლის საშუალებით ახალ ძალღონეს მოიკრებს ბრძოლისათვის, მიწასთან გაასწორებს სრულიად-რუსეთის წყეული საპყრობილის ყველა კედელს და ბრძოლით მოიპოვებს თავისუფალ კლასობრივ წარმომადგენლობას ბურჟუაზიულ დემოკრატიულ სახელმწიფოში.

«ისკრა» № 46, 1903 წ. 15 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# ბუნდის ნაციონალიზმის უკანასკნელი სიტყვა

ბუნდის საზღვარგარეთულმა კომიტეტმა ეს-ეს არის გამოუშვა ფურცელი, რომელიც ბუნდის მეხუთე ყრილობის ანგარიშს შეიცავს. ყრილობა მიმდინარეობდა ივნისში (ძველი სტილით). მისი გადაწყვეტილებიდან მთავარი ადგილი უკავია: პარტიაში ბუნდის ადგილის «წესდების პროექტს». პროექტი მეტისმეტად საგულისხმოა, და შინაარსის გარკვეულობისა და «გაბედულების» თვალსაზრისით, საუკეთესოა. კაცმა რომ თქვას, პროექტის პირველი პარაგრაფი უკვე იმდენად ნათელია, რომ დანარჩენი პარაგრაფები ან უბრალო განმარტებას წარმოადგენენ, ან სრულიად ზედმეტ ბალასტსაც კი. «ბუნდი არის, — ამბობს § 1, — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ ი (კურსივი ჩვენია) ნაწილი». ფედერაცია გულისხმობს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს ცალკეულ, სრულიად დამოუკიდებელ ერთეულებს შორის, რომლებიც თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას მხოლოდ ურთიერთი ნებაყოფლობითი თანხმობით განსაზღვრავენ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ «წესდების პროექტი» არა ერთხელ ლაპარაკობს «ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს დ ა მ დ ე ბ მ ხ ა რ ე ე ბ ზ ე» (§§ 3, 8, 12). გასაკვირველი არ არის, რომ პ ა რ ტ ი ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა ს, ამ პროექტის საფუძველზე, უფლება არ ეძლევა შესცვალოს, შეავსოს ან გააუქმოს წ ე ს დ ე ბ ა, რომელიც პარტიის ნ ა წ ი ლ ს ეხება. გასაკვირველი არ არის, რომ ბუნდი მოითხოვს თავისთვის «წარმომადგენლობას» პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და

ნებას რთავს პარტიის ამ ცენტრალურ კომიტეტს მიმართოს ებრაელ პროლეტარიატს და ურთიერთობა იქონიოს ბუნდის ცალკეულ ნაწილებთან «მხოლოდ ბუნდის ცენტრალური კომიტეტის თანხმობით». ყოველივე ეს ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს «ფედერაციის» ცნებიდან, «ხელშეკრულების დამდები მხარეების» ცნებიდან, და ბუნდის მეხუთე ყრილობას რომ პირდაპირ დაედგინა, ბუნდი ჰქმნის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ ნაციონალურ (ან, იქნებ, ნაციონალისტურ-სოციალ-დემოკრატიულ?) პარტიასო, ის დაზოგავდა თავისთვის (და სხვებისთვის) ბევრ დროს, ბევრ შრომასა და ბევრ ქაღალდს. ერთი მხრივ, მაშინვე და სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად ცხადი იქნებოდა, რომ დამოუკიდებელ, ცალკეულ პარტიას შეუძლია განსაზღვროს თავისი ურთიერთობა სხვა პარტიებთან მხოლოდ როგორც «ხელშეკრულების დამდებ მხარეს» და მხოლოდ «ურთიერთი თანხმობის» საფუძველზე. ზედმეტი იქნებოდა ჩამოეთვალათ ყველა ცალკეული შემთხვევა, როცა ასეთი თანხმობა საჭიროა (და, არსებითად, შეუძლებელიცაა ჩამოითვალოს ყველა ასეთი შემთხვევა, ხოლო არასრული სიის მოცემა, როგორც ბუნდი იქცევა, იმას ნიშნავს, რომ კარი გაუღო უამრავ გაუგებრობას). საჭირო არ იქნებოდა ძალა დაეტანებინათ ლოგიკისა და სინდისისათვის და პარტიის ერთი ნაწილის ადგილის განმსაზღვრელი წესდება ეწოდებინათ ორი დამოუკიდებელი ერთეულის ხელშეკრულებისათვის. ეს კეთილსახიერი და კეთილზრდილობიანი სახელწოდება («წესდება პარტიაში ბუნდის ადგილის შესახებ») მით უფრო ყალბია არსებითად, რომ მთელ პარტიას ფაქტიურად ჯერ კიდევ არ აღუდგენია თავისი სრული ორგანიზაციული ერთიანობა, და ბუნდი გამოდის როგორც უკვე შეკავშირებული ნაწილი, რომელსაც სურს საერთო ორგანიზაციის ნაკლოვანებანი გამოიყენოს იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაშორდეს მთელს, იმისათვის, რომ სცადოს სამუდამოდ დააქუცმაცოს ეს მთელი მცირე ნაწილებად.

მეორე მხრივ, საკითხის პირდაპირი დაყენება ყბადაღებული წესდების პროექტის შემდგენლებს გაათავისუფლებდა მოვალეობისაგან — ეწერათ პუნქტები, რაც ითვალისწინებს უფლებებს, რომლებიც აქვს პარტიის ყ ო ვ ე ლ ორგანიზებულ ნაწილს, ყოველ რაიონულ ორგანიზაციას, ყოველ კომიტეტს, ყოველ ჯგუფს, მაგ., უფლებას — გადაწყვიტოს, პარტიის პროგრამის მიხედვით, ისეთი საერთო საკითხები, რომელთა შესახებაც პარტიულ ყრილობებს რეზოლუციები არ გამოუტანიათ. ამგვარი პუნქტების შემცველ წესდებათა წერა პირდაპირ სასაცილოა.

გადავიდეთ ახლა იმ პოზიციის არსებითად შეფასებაზე, რომელიც ბუნდმა დაიკავა. რაკი ერთხელ დაადგა ნაციონალიზმის მოლიპულ გზას, ბუნდი ბუნებრივად და გარდუვალად უნდა მისულიყო (თუ მას არ უნდოდა თავის ძირითად შეცდომაზე ხელი აეღო) განსაკუთრებული ებრაული პარტიის შექმნამდე. სწორედ ამას უახლოვდება უშუალოდ წესდების § 2, რომელიც ბუნდს ანიჭებს ებრაელი პროლეტარიატის წარმომადგენლობის მ ო ნ ო პ ო ლ ი ა ს. ბუნდი შედის პარტიაში, — ამბობს ეს პარაგრაფი, — როგორც მისი (ებრაელი პროლეტარიატის) ე რ თ ა დ ე რ თ ი (კურსივი ჩვენია) წარმომადგენელი. ბუნდის საქმიანობა და ბუნდის ორგანიზაცია არავითარი რაიონული ჩარჩოებით არ უნდა იყოს შეზღუდული. ამრიგად, რუსეთის ებრაელი და არაებრაელი პროლეტარიატის სრული განცალკევება და გამიჯვნა აქ არათუ ბ ო ლ ო მ დ ე, უეჭველი თანამიმდევრობით არის გატარებული. არამედ განმტკიცებულია ნოტარული, შეიძლება ითქვას, ხელშეკრულებით, «წესდებით», «ძირითადი» კანონით (იხ. პროექტის § 12). ისეთი «აღმაშფოთებელი» შემთხვევები, როგორიცაა პარტიის ეკატერინოსლავის კომიტეტის კადნიერი მიმართვა ებრაელი მუშებისადმი, ბუნდის გვერდის ავლით (რომელსაც მაშინ ეკატერინოსლავში არავითარი განსაკუთრებული ორგანიზაცია არ გააჩნდა!), ამიერიდან, ახალი პროექტის აზრით, შეუძლებელი უნდა გახდეს. რაც უნდა ცოტანი იყვნენ ამა თუ იმ ადგილას ებრაელი მუშები, რაც უნდა

შორს მდებარეობდეს ეს ადგილი ბუნდის ორგანიზაციის ცენტრებიდან, — პარტიის ვერავითარი ნაწილი, პარტიის ცენტრალური კომიტეტიც კი ვერ გაბედავს მიმართოს ებრაელ პროლეტარიატს ბუნდის ცენტრალური კომიტეტის თანხმობის გარეშე! არ გჯერა, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი წინადადების წამოყენება, — იმდენად გასაოცარია მონოპოლიის ეს მოთხოვნა, განსაკუთრებით ჩვენს, რუსეთის, პიროებებში, — მაგრამ წესდების პროექტის § § 2 და 8 (შენიშვ.) არავითარი ეჭვისათვის არ სტოვებენ ადგილს. ბუნდის სურვილი, რომ კიდევ უფრო დაშორდეს რუს ამხანაგებს, გამოსჭვივის არა მარტო პროექტის თვითეულ პუნქტში, იგი გამოხატულია ყრილობის სხვა რეზოლუციებშიც. მეხუთე ყრილობამ დაადგინა, მაგალითად, გამოშვებულ იქნას თვეში ერთხელ «პოსლედნიე იზვესტია» (ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის გამოცემა) «გაზეთის სახით, რომელშიც გარკვეული იქნებოდა ბუნდის პროგრამული და ტაქტიკური პოზიცია». მოუთმენლად და ინტერესით ველოდებით ამ პოზიციის გამორკვევას. ყრილობამ გ ა ა უ ქ მ ა IV ყრილობის გადაწყვეტილება სამხრეთში მუშაობის შესახებ. როგორც ცნობილია, ბუნდის IV ყრილობამ დაადგინა, სამხრეთის იმ ქალაქებში, სადაც ებრაული ორგანიზაციები პარტიის კომიტეტების შემადგენლობაში შედიან, «ბ უ ნ დ ი ს ც ა ლ კ ე უ ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ა რ შ ე ი ქ მ ნ ა ს» (კურსივი ბუნდისაა). ამ გადაწყვეტილების გაუქმება არის შემდგომი განცალკევებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, არის პირდაპირი გამოწვევა სამხრეთელი ამხანაგებისა, რომლებიც მუშაობდნენ და რომლებსაც სურდათ ემუშავნათ ებრაელ პროლეტარიატში ისე, რომ კვლავაც განუხრელად დაკავშირებული ყოფილიყვნენ მ თ ე ლ ადგილობრივ პროლეტარიატთან. «ვინც თქვა ანი, მან ბანიც უნდა თქვას», — ვინც ნაციონალიზმის თვალსაზრისს დაადგა, ის, ბუნებრივია, მოისურვებს ჩინური კედელი შემოავლოს თავის ეროვნებას, თავის ეროვნულ მუშათა მოძრაობას, მას არ აკრთობს ისიც კი, რომ საჭირო გახდება ცალკეული კედლების აგება თვითე-

ულ ქალაქში, დაბაში, სოფელში, არ აკრთობს ისიც კი, რომ განცალკევებისა და დაქუცმაცების ტაქტიკით ი გ ი ა რ ა რ ა დ ა ქ ც ე ვ ს ყველა ერის, ყველა რასის, ყველა ენის პროლეტართა დაახლოებისა და ერთიანობის დიად ცნებას. და რა მწარე ირონიად გაისმის ამის შემდეგ ბუნდის იმავე V ყრილობის რეზოლუცია რბევა-აწიოკების შესახებ, სადაც გამოთქმულია «რწმენა, რომ მ ხ ო ლ ო დ ყველა ეროვნების პროლეტართა ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ა მოსპობს ძირფესვიანად იმ პირობებს, რომლებიც წარმოშობენ იმის მსგავს მოვლენებს, რაც კიშინიოვში მოხდა» (კურსივი ჩვენია). რა სიყალბე დაჰკრავს ამ სიტყვებს ერთობლივი ბრძოლის შესახებ, როცა ჩვენ აქვე გვთავაზობენ «წესდებას», რომელიც არათუ ერთმანეთს ა შ ო რ ე ბ ს ერთად მებრძოლებს, არამედ კიდეც განამტკიცებს ამ დაშორებას და განცალკევებას ორგანიზაციული გზით! რარიგ გინდა ურჩიო ბუნდელ ნაციონალისტებს: ისწავლეთ იმ ოდესელი მუშებისაგან, რომლებიც მიდიოდნენ საერთო გაფიცვაზე, საერთო კრებებზე, საერთო დემონსტრაციებზე ისე, რომ ბუნდის ცენტრალური კომიტეტისაგან წინასწარ არ გამოითხოვდნენ (რა კადნიერებაა!) ებრაელი ერისადმი მიმართვის «თანხმობას», ამშვიდებდნენ ვაჭრებს და ეუბნებოდნენ (იხ. «ისკრა», № 45): «ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, ეს კიშინიოვი როდია, ჩვენ სულ სხვა რამ გვინდა, ჩვენს შორის არ არიან არც ურიები, არც რუსები, ჩვენ ყ ვ ე ლ ა ნ ი მ უ შ ე ბ ი ვართ, ჩვენ ყველანი თანაბრად მძიმე მდგომარეობაში ვართო». დაე, ჩაუფიქრდნენ ამ სიტყვებს ბუნდელი ამხანაგები, თუ ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის, დაე, კარგად ჩაუფიქრდნენ იმას, თუ საით მიდიან ისინი!

«ისკრა» № 46, 1903 წ.
15 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

# მარტოვის წინააღმდეგოგანი და ზიგზაგები

1. ლახვარს სცემდა საორგანიზაციო კომიტეტს მისი მერყეობისა და ნახტომებისათვის, **quasi** *-ისკრელობისათვის, — შემდეგ კი შეჰყავდა მერყევნი და **quasi**-ისკრელები ცენტრალურ კომიტეტში.

2. ყოველთვის იცავდა «ისკრის» («რა ვაკეთოთ?») ორგანიზაციულ იდეებს — და გაატარა წესდების ჟორესული პირველი პუნქტი.

3. თანხმდებოდა რედაქციის განახლებას სამეულის გზით, — შემდეგ კი ყრილობაზე იბრძოდა ექვსეულისათვის quand même**.

4. იბრძოდა ეგრეთწოდებული «დემოკრატიზმის» წინააღმდეგ და იცავდა «თავისუფლებას» ცენტრებში კოოპტაციის დროს.

დაწერილია 1903 წ. აგვისტოს დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ლენინის კრებულში VI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ვითომდა. რ ე დ.

** — რადაც უნდა დამჯდარიყო. რ ე დ.

# შენიშვნები

1 პარტიის პროგრამა, მიღებული რსდმპ II ყრილობაზე 1903 წელს, შეიმუშავა ლენინური გაზეთის «ისკრის» რედაქციამ 1901 — 1902 წლებში. გადამწყვეტი როლი პარტიის პროგრამის შემუშავებაში ლენინს ეკუთვნის.

პროგრამის პირველი პროექტი და მისი განმარტება ლენინმა დაწერა 1895 — 1896 წლებში, საპატიმროში (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-2, გვ. 99 — 135) და გადაუგზავნა საზღვარგარეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს. 1899 წლის დამლევს, ციმბირის გადასახლებაში ყოფნისას, ლენინმა დაამზადა ახალი პროექტი (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-4, გვ. 271 — 306), რომელიც აგრეთვე გადაეგზავნა რუს სოციალ-დემოკრატებს საზღვარგარეთ.

ლენინის ინიციატივით გაზეთ «ისკრის» რედაქცია 1901 წლის ზაფხულში შეუდგა პარტიის პროგრამის პროექტის შედგენას.

პირვანდელი პროექტი შეადგინა გ. ვ. პლეხანოვმა.

როცა ლენინი დარწმუნდა, რომ პლეხანოვის პირვანდელი და შემდგომი პროექტები მიუღებელია, მან 1902 წლის იანვარ — თებერვალში თავისი პროექტი დაწერა. «ისკრის» რედაქციამ გამოჰყო შემათანხმებელი კომისია პროგრამის ერთიანი პროექტის შესადგენად ლენინისა და პლეხანოვის პროექტების საფუძველზე. ლენინმა მიაღწია იმას, რომ პროგრამის საბოლოო პროექტში შეტანილ იქნა უმნიშვნელოვანესი პუნქტი — პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მკაფიოდ აღინიშნა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში და განსაკუთრებით გაესვა ხაზი პარტიის პროლეტარულ ხასიათს. ლენინმა დაწერა აგრეთვე პროგრამის მთელი აგრარული ნაწილი.

პროგრამის პროექტი გამოქვეყნდა «ისკრის» 21 №-ში, 1902 წლის 1 ივნისს. — 1.

2 «ერფურტის პროგრამა» გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა მიღებული იყო ერფურტის ყრილობაზე 1891 წლის ოქტომბერში 1875 წლის გოთას პროგრამის ნაცვლად, რომლის შეცდომები გამოააშკარავა კ. მარქსმა თავის ნაშრომში «გოთას პროგრამის კრიტიკა».

ლენინი სარგებლობს «ერფურტის პროგრამის» გერმანული ტექსტით და იძლევა მის მიერ ციტირებულ დებულებათა საკუთარ თარგმანს. — 5.

3 ფრეი — ვ. ი. ლენინის ფსევდონიმი. — 13.

4 ნაგულისხმევია «კომუნისტური პარტიის მანიფესტის» შემდეგი დებულება: «თუ შინაარსით არა, თავისი ფორმით პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პირველ ყოვლისა ნაციონალური ბრძოლაა. თვითეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია, ჯერ თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოუღოს ბოლო» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 39). — 28.

5 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 104. — 29.

6 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 103. — 35.

7 «რუსკიე ვედომოსტი» — გაზეთი, სცემდნენ მოსკოვში 1863 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორები და ერობის მოღვაწენი; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; დახურულ იქნა 1918 წელს, ისე როგორც სხვა კონტრრევოლუციური გაზეთებიც. — 36.

8 კ. კაუტსკი. «ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამის გადასინჯვა» (ჟურნალი «Die Neue Zeit» 1901 — 1902, B. I, № 3, S. 77). — 42.

9 ნაგულისხმევია მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის (I ინტერნაციონალი) წესდება. პირველი «დროებითი წესდება ამხანაგობისა» შემუშავებულია კ. მარქსის მიერ და მიღებულია ცენტრალური საბჭოს 1864 წლის 1 ნოემბრის სხდომაზე (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. I, 1936, გვ. 13 — 16). «მუშათა საერთა-

შორისო ამხანაგობის საერთო წესდება», რომელსაც საფუძვლად დაედო ეს «დროებითი წესდება», მიღებულია მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ლონდონის 1871 წლის სექტემბრის კონფერენციაზე (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 353 — 356). — **44.**

**10** მთა და ჟირონდა — XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის ბურჟუაზიის ორი პოლიტიკური დაჯგუფების სახელწოდება. მთას — იაკობინელებს — უწოდებდნენ იმ დროის რევოლუციური კლასის — ბურჟუაზიის ყველაზე გაბედულ წარმომადგენლებს, რომლებიც საჭიროდ თვლიდნენ აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის მოსპობას. ჟირონდისტები, იაკობინელებისაგან განსხვავებით, მერყეობდნენ რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის და მონარქიასთან გარიგების გზით მიდიოდნენ.

«სოციალისტურ ჟირონდას» ლენინი უწოდებდა სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ მიმდინარეობას; პროლეტარულ იაკობინელებს, «მთას» — რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს. მას შემდეგ, რაც რსდმპ ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაითიშა, ლენინი ხშირად უსვამდა ხაზს, რომ მენშევიკები წარმოადგენენ ჟირონდისტულ მიმდინარეობას მუშათა მოძრაობაშიო. — **45.**

**11** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 38. — **46.**

**12** 1894 წელს ენგელსმა სტატიაში «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» მკაცრად გააკრიტიკა ფრანგი და გერმანელი სოციალისტების ოპორტუნისტული შეცდომები აგრარულ საკითხში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 439 — 461). — **46.**

**13** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 106. — **47.**

**14** **«Die Neue Zeit»** («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლების მანძილზე **«Die Neue Zeit»**-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. იგი ხშირად აძლევდა მითითებას ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმისგან გადახვევებისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი კაუტსკელების შეხედულებათა

გამტარებელი იყო და სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ცენტრისტულ პოზიციაზე იდგა და ფაქტიურად მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — **47.**

**15** იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 459. — **51.**

**16** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 106. — **51.**

**17** კომისიის პროექტის ტექსტი შედეგი იყო იმ შემათანხმებელი კომისიის მუშაობისა, რომელიც გამოჰყო გაზეთ «ისკრის» რედაქციამ რსდმპ პროგრამის ერთიანი პროექტის შესადგენად ლენინისა და პლეხანოვის მიერ წინათ შემუშავებული პროექტების საფუძველზე. «ისკრის» რედაქციის წევრებს უნდა წარმოედგინათ თავისი შენიშვნები კომისიის პროგრამის პროექტის გამო, ხოლო შემათანხმებელ კომისიას უნდა შეემუშავებინა პროგრამის საბოლოო პროექტი. კომისიის პროექტი დამტკიცებულ იქნა «ისკრის» რედაქციის წევრთა თათბირზე ციურიხში 14 აპრილს ლენინის დაუსწრებლად.

«შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი კ ო მ ი ს ი ი ს პ რ ო გ რ ა მ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი ს გ ა მ ო» ამ გამოცემაში მოყვანილია ლენინის ხელნაწერის მიხედვით. კომისიის პროგრამის პროექტის ცალკეული დებულებანი, რომლებსაც ლენინი არჩევს და აკრიტიკებს თავის შენიშვნებში, აღნიშნულია წვრილი ხაზგასმით. — **59.**

**18** «ზ ა რ ი ა» — მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი, სცემდა «ისკრის» რედაქცია შტუტგარტში 1901 — 1902 წლებში.

«ზარიაში» დაბეჭდილია ლენინის შემდეგი სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბბ. «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». გამოვიდა «ზარიას» ოთხი ნომერი — სამი წიგნი: № 1 — 1901 წლის აპრილი (ფაქტიურად № 1 გამოვიდა 23 მარტს ახალი სტილით), № 2 — 3 — 1901 წლის დეკემბერი, № 4 — 1902 წლის აგვისტო. — **75.**

**19** ლაპარაკია კ. მარქსის «კაპიტალის» მესამე ტომზე. ქვემოთ ნახსენებია «კაპიტალის» მეორე ტომი. — **78.**

20 «ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციი» — ესერების ჟურნალი, გამოდიოდა საზღვარგარეთ 1901 — 1905 წლებში. — 80.

21 «რუსსკოე ბოგატსტვო» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1876 წლიდან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დასაწყისიდან ჟურნალი იქცა ლიბერალური ნაროდნიკების ორგანოდ; მას რედაქტორობდნენ ს. ნ. კრივენკო და ნ. კ. მიხაილოვსკი. ჟურნალი ჰქადაგებდა მეფის თვითმპყრობელობასთან შერიგებას და მასთან ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე ხელისაღებას, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმისა და რუსი მარქსისტების წინააღმდეგ. — 80.

22 «შესწორება პროგრამის აგრარული ნაწილისათვის» ლენინმა წარადგინა «ისკრის» რედაქციის დანარჩენ წევრთა განსახილველად.

ამ შესწორების სახელობითი კენჭისყრისათვის ხელნაწერის ბოლოში ლენინს მოყვანილი აქვს «ისკრის» რედაქციის წევრთა ფსევდონიმები და ინიციალები:

გ. ვ. — პლეხანოვი; პ. ბ. — აქსელროდი; ვ. ი. — ზასულიჩი; ბ ერ გ ი — ი. ო. მარტოვის ფსევდონიმი; ა. ნ. — პოტრესოვი. — 81.

23 პარტიის პროგრამის აგრარული ნაწილის კომენტარს ლენინი უწოდებს თავის ნაშრომს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა» (იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 121 — 178). — 81.

24 ლენინს მოჰყავს ციტატი ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანიდან «პროლოგი» (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1932, გვ. 480), სადაც რომანის მოქმედი პირის (ვოლგინის) სიტყვებით ჩერნიშევსკი იძლევა გლეხთა «განთავისუფლების» საკუთარ შეფასებას. — 81.

25 ლაპარაკია სტუდენტ კარპოვიჩის მიერ სახალხო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის მოკვლაზე 1901 წლის თებერვალში. ბოგოლეპოვის ნაცვლად სახალხო განათლების მინისტრად დაინიშნა ყოფილი სამხედრო მინისტრი, გენერალი ვანოვსკი. — 84.

26 ლენინს მოჰყავს ციტატი ლ. ნ. ტოლსტოის «წერილებიდან შიმშილზე», რომლებიც ცენზურის მიერ შეკვეცილი სახით პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «ნიჟი «ნედელის»» 1892 წლის იანვრის ნომერში სახელწოდებით «დახმარება დამშეულებს». — 91.

27 «ი ს კ რ ა» — პირველი საერთო-რუსეთის არალეგალური მარქსისტული გაზეთი, დაარსებული ლენინის მიერ 1900 წელს. რევოლუციური მარქსისტების ამ მებრძოლი ორგანოს დაარსება იყო «ძირითადი რგოლი და ძირითადი ამოცანა რგოლების ჯაჭვში და ამოცანების ჯაჭვში, რომლებიც მაშინ იდგა პარტიის წინაშე» (ს ტ ა ლ ი ნ ი).

რადგან რუსეთში პოლიციური დევნის გამო შეუძლებელი იყო რევოლუციური გაზეთის გამოცემა, ლენინმა ჯერ კიდევ ციმბირის გადასახლებაში ყოფნისას ყოველმხრივ დაწვრილებით მოისაზრა მისი საზღვარგარეთ გამოცემის გეგმა. 1900 წლის იანვარში გადასახლების ვადის გათავების შემდეგ ლენინი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას.

ლენინის «ისკრის» პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 11 (24) დეკემბერს ლაიფციგში, შემდგომი ნომრები გამოდიოდა მიუნქენში, 1902 წლის აპრილიდან — ლონდონში და 1903 წლის გაზაფხულიდან — ჟენევაში.

«ისკრის» რედაქციაში შედიოდნენ: ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი, ი. ო. მარტოვი, პ. ბ. აქსელროდი, ა. ნ. პოტრესოვი და ვ. ი. ზასულიჩი. რედაქციის მდივნად 1901 წლის გაზაფხულიდან იყო ნ. კ. კრუპსკაია. ლენინი ფაქტიურად იყო «ისკრის» მთავარი რედაქტორი და ხელმძღვანელი. იგი გამოდიოდა «ისკრაში» სტატიებით პარტიის მშენებლობისა და რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა ძირითად საკითხზე, ეხმაურებოდა საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში (პეტერბურგი, მოსკოვი და სხვა) შექმნილი იყო რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ჯგუფები და კომიტეტები. ამიერკავკასიაში «ისკრის» იდეებს იცავდა «ბრძოლა» — თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური ქართული გაზეთი. ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ფუძემდებელი და ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი ვ. ზ. კეცხოველთან, ა. გ. წულუკიძესთან და ვ. კ. კურნატოვსკისთან ერთად.

ისკრული ორგანიზაციები ჩნდებოდნენ და მუშაობდნენ ლენინისა და სტალინის მიერ გამოზრდილი პროფესიონალი რევოლუციონერების უშუალო ხელმძღვანელობით (ნ. ე. ბაუმანი, ი. ვ. ბაბუშკინი, ს. ი. გუსევი, მ. ი. კალინინი და სხვები).

ლენინის ინიციატივითა და მისი უშუალო მონაწილეობით «ისკრის» რედაქციამ შეიმუშავა პარტიის პროგრამის პროექტი (გამოქვეყნდა «ისკრის» 21 №-ში) და მოამზადა რსდმპ II ყრილობა, რომელიც შესდგა 1903 წლის ივლისი — აგვისტოში.

ყრილობის მოწვევის დროისათვის რუსეთის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების უმრავლესობა შეუერთდა «ისკრას», მოიწონა მისი ტაქტიკა, პროგრამა და ორგანიზაციული გეგმა, აღიარა იგი თავის ხელმძღვანელ ორგანოდ. ყრილობამ სპეციალურ დადგენილებაში აღნიშნა «ისკრის» განსაკუთრებული როლი პარტიისათვის ბრძოლაში და გამოაცხადა იგი რსდმპ ცენტრალურ ორგანოდ.

II ყრილობაზე დამტკიცებულ იქნა რედაქცია ლენინის, პლეხანოვისა და მარტოვის შემადგენლობით. მარტოვმა, პარტიის ყრილობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, უარი თქვა შესულიყო რედაქციაში, და «ისკრის» №№ 46—51 გამოვიდა ლენინისა და პლეხანოვის რედაქციით. შემდგომ პლეხანოვი მენშევიზმის პოზიციებზე გადავიდა და მოითხოვა, რათა «ისკრის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილი ყოფილიყო ყრილობის მიერ უკუგდებული ყველა ძველი რედაქტორ-მენშევიკი. ლენინს არ შეეძლო ამას დათანხმებოდა, და 1903 წლის 1 ნოემბერს ის გავიდა «ისკრის» რედაქციიდან, რათა გამაგრებულიყო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ამ პოზიციიდან ებრძოლა ოპორტუნისტ-მენშევიკების წინააღმდეგ. 52-ე ნომერი მარტო პლეხანოვის რედაქციით გამოვიდა. 1903 წლის 26 ნოემბერს პლეხანოვმა დაარღვია ყრილობის ნება და ერთპიროვნულად შეიყვანა «ისკრის» რედაქციაში კოოპტაციის წესით მისი ყოფილი რედაქტორ-მენშევიკები. ორმოცდამეთორმეტე ნომრიდან მენშევიკებმა «ისკრა» თავის ორგანოდ აქციეს.

«ამ დროიდან დაიწყეს პარტიაში ლაპარაკი ძ ვ ე ლ «ისკრაზე», როგორც ლენინურ, ბოლშევიკურ «ისკრაზე», და ა ხ ა ლ «ისკრაზე», როგორც მენშევიკურზე, ოპორტუნისტულზე» («საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 55). — **93.**

28 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს ქ ე ბ ა დ ი დ ე ბ ა ზ ე» რომ ლაპარაკობს, ლენინი გულისხმობს მეფის რუსეთის პრესის რეაქციულ მიმართულებას, რომელსაც გამოხატავდა გაზეთი «ნოვოე ვრემია» (გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე).

«ნოვოევრემელობა» იყო გამოთქმა, რომელიც ნიშნავდა რეაქციულობას, ვამყიდველობას, მლიქვნელობას. — **94.**

29 ბ ა ს ტ ი ა — XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი. ბასტია ჰქადაგებდა სამოქალაქო მშვიდობას, ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა კლასის «ინტერესთა ჰარმონიას». კ. მარქსმა ნაშრომში «კერი და ბასტია», რომელიც დაწერილია 1857 წლის ივლის—დეკემბერში, მკაცრად გააკრიტიკა და სასაცილოდ აიგდო ბასტიას მოძღვრება.

შ უ ლ ც ე-დ ე ლ ი ჩ ი — გერმანელი ეკონომისტი, ბასტიას მომხრე. იგი ცდილობდა ჩამოეშორებინა მუშები და პროლეტარიზაციის გზაზე მდგარი ხელოსნები რევოლუციური ბრძოლისაგან კაპიტალიზმის წინააღმდეგ და იღწოდა კოოპერაციულ საზოგადოებათა და შემნახველ-გამსესხებელი სალაროების შექმნისათვის, რომლებსაც ვითომ შეეძლოთ გაეუმჯობესებინათ პროლეტარიატის მდგომარეობა კაპიტალიზმის ჩარჩოებში, ეხსნათ გაჩანაგებისაგან წვრილი მწარმოებელ-ხელოსნები. — **104.**

**80** «ისკრის» რედაქციის მოხსენება, დაწერილი ლენინის მიერ, განკუთვნილი იყო რსდმპ კომიტეტების თათბირისათვის (კონფერენციისათვის), რომელიც შესდგა 1902 წლის 23 — 28 მარტს (5 — 10 აპრილს) ბელოსტოკში. «ეკონომისტებსა» და მათი მხარის დამჭერ ბუნდელებს თავდაპირველად განზრახვა ჰქონდათ გამოეცხადებინათ ეს კონფერენცია პარტიულ ყრილობად. ლენინის მოხსენებაში, რომელიც «ისკრის» წარმომადგენელმა წაიკითხა კონფერენციაზე, დამტკიცებული იყო, რომ ასეთი ყრილობა არ იყო მომზადებული და უფლებამოსილი. ანტიისკრელებმა ვერ შესძლეს კონფერენცია პარტიულ ყრილობად გადაექციათ. კონფერენციამ დაამტკიცა საპირველმაისო ფურცელი და შეჰქმნა პარტიის II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი. კონფერენციის დელეგატთა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა უმრავლესობა კონფერენციის შემდეგ მაშინვე დაიპატიმრეს. რსდმპ II ყრილობის მომწვევი ახალი საორგანიზაციო კომიტეტი შექმნილ იქნა იმავე წლის ნოემბერში. — **108.**

**81** «ნ ა კ ა ნ უ ნ ე» — ნაროდნიკული მიმართულების ჟურნალი; გამოდიოდა რუსულ ენაზე ლონდონში 1899 წლის იანვრიდან 1902 წლის თებერვლამდე. სულ გამოვიდა 37 ნომერი. ჟურნალის ირგვლივ დაჯგუფებული იყვნენ სხვადასხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენელნი. — **110.**

**82** პეტრე ალექსეევის — XIX საუკუნის 70-იანი წლების მუშა-რევოლუციონერის სიტყვა, წარმოთქმული 1877 წლის 10 (22) მარტს სასამართლოში, პირველად გამოქვეყნდა 1877 წელს ლონდონში, კრებულში «ვპერიოდ!» (არაპერიოდული მიმოხილვა). — **115.**

**88** «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» არაპერიოდული ორგანო. ჟურნალი გამოდიოდა ჟენევაში 1899 წლის აპრილიდან 1902 წლის თებერვლამდე ბ. ნ. კრიჩევსკის, ა. ს. მარტინოვისა და ვ. პ. ივაწშინის რედაქციით.

«რაბოჩეედელოელების» შეხედულებათა კრიტიკა მოცემულია ლენინის წიგნში «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 431 — 673). — **120.**

**34** «რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა გ რ ა რ უ ლ ი პ რ ო-გ რ ა მ ა» წარმოადგენს პარტიის პროგრამის პროექტის აგრარული ნაწილის კომენტარს; პროგრამის პროექტის ეს ნაწილი დაწერილი იყო ლენინის მიერ, ხოლო თვით პროგრამის პროექტი მოამზადა «ისკრის» რედაქციამ.

ლენინის ამ ნაშრომის განხილვისას «ისკრის» რედაქციის შიგნით წამოიჭრა სერიოზული უთანხმოებანი და დავა. პლეხანოვი და რედაქციის სხვა წევრები გამოვიდნენ ლენინის ნაშრომის უმნიშვნელოვანეს დებულებათა წინააღმდეგ (პროლეტარიატის ჰეგემონია, მიწის ნაციონალიზაცია და ა. შ.), მოითხოვდნენ მარქსიზმის მტრების წინააღმდეგ პოლემიკის შერბილებას. ხანგრძლივი დავის შემდეგ განყოფილება, სადაც ლაპარაკი იყო მიწის ნაციონალიზაციაზე, და ზოგიერთი სხვა ადგილი «ისკრის» რედაქციამ გამოსტოვა. ნაშრომი შეკვეცილი სახით დაიბეჭდა ჟურნალ «ზარიას» 4 №-ში 1902 წლის აგვისტოს. თხზულებათა ამ გამოცემაში იგი იბეჭდება ლენინის პირვანდელი ხელნაწერის მიხედვით.

ამ ნაშრომის მინაწერი, აღნიშნული ლენინის მიერ როგორც **P. S. (Postscriptum),** ხელნაწერში არ არის. იგი დამატებულია ჟურნალ «ზარიაში» ნაშრომის დაბეჭდვისას და აქ მოყვანილია იმ სახით, როგორც მოცემულია ჟურნალში. — **121.**

**35** ლენინს მხედველობაში აქვს კ. კაუტსკის წიგნი «აგრარული საკითხი», რომელიც გამოვიდა 1899 წელს გერმანულ ენაზე. — **139.**

**36** ვ ა ლ უ ე ვ ი ს კ ო მ ი ს ი ა — რუსეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გამომკვლევი კომისია, რომელსაც სათავეში ედგა მინისტრი პ. ა. ვალუევი. 1872 — 1873 წლებში კომისიამ შეაგროვა დიდძალი მასალა რეფორმის შემდგომდროინდელ რუსეთში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, რაც გამოქვეყნდა 1873 წელს პეტერბურგში გამოცემულ «მოხსენებებში». — **150.**

**37** ნადეჟდინის ოპორტუნისტულ შეხედულებათა კრიტიკა, გადმოცემული წინამდებარე ტომის 165 — 166 გვ. (დაწყებული სიტყვებით: «საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნადეჟდინს გზა აებნა, როცა ის ისწრაფვოდა მისულიყო სწორედ ისეთ მაქსიმუმამდე, როგორიც მიწის ნაციონალიზაცია არის...» და გათავებული სიტყვებით: «იმ მისწრაფებამ, რომ რადაც უნდა დაჯდეს «გასაგები იყოს გლეხისა-

თვის», ნადეჟდინი აქ შეიყვანა რეაქციული წვრილბურჟუაზიული უტოპიის ულრან ტყეში»), ჟურნალ «ზარიას» მე-4 №-ში პირველად გამოქვეყნებისას რედაქციამ გამოტოვა. «ზარიაში» არ ყოფილა დაბეჭდილი შენიშვნაც, რომელიც ლენინმა ამ გამოტოვებული ტექსტის ნაცვლად დაწერა.

ამ გამოცემაში ტექსტი და შენიშვნა მოცემულია ლენინის ხელნაწერის მიხედვით. — **166.**

**38** «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, გამოდიოდა 1756 წლიდან; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული მონარქისტული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო. გამოდიოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე. — **173.**

**39** ვიტეს ბარათის წინასიტყვაობა დაწერილი იყო პ. ბ. სტრუვეს მიერ (რ. ნ. ს.-ის ფსევდონიმით). ლენინმა ეს წინასიტყვაობა მკაცრად გააკრიტიკა თავის ნაშრომში «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 25 — 89). — **186.**

**40** «რ ს დ მ პ ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს კ ა ვ შ ი რ ი» აერთიანებდა ვლადიმირის, იაროსლავლისა და კოსტრომის (შემდეგ აგრეთვე ტვერის) გუბერნიათა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. კავშირი წარმოიშვა 1900 წლის ზაფხულში ივანოვო-ვოზნესენსკის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ინიციატივით. კავშირის ხელმძღვანელ მუშაკთა ძირითადი ჯგუფი, რომელიც რევოლუციური მოღვაწეობისათვის გადასახლებული იყო ცენტრალური რაიონიდან, დაბინავდა ვორონეჟში, სადაც მან თავის გარშემო შეაკავშირა სოციალ-დემოკრატები და მოაგვარა არალეგალური ლიტერატურის გავრცელება. 1901 წელს კავშირმა დაამყარა ურთიერთობა ლენინის «ისკრასთან». პროგრამა, რომელსაც ლენინი აკრიტიკებს, მიღებული იყო ვორონეჟში 1902 წლის იანვარს შემდგარ ყრილობაზე.

ღია წერილში, რაც 1903 წლის 15 თებერვალს დაიბეჭდა «ისკრის» 34 №-ში, კავშირმა განაცხადა სრული სოლიდარობა «ისკრის», «ზარიას» პროგრამის პრინციპულ და ტაქტიკურ ნაწილთან, ლენინის წიგნთან «რა ვაკეთოთ?» და სცნო «ისკრა» და «ზარია» რსდმპ ხელმძღვანელ ორგანოებად. რსდმპ II ყრილობის შემდეგ კავშირი გარდაიქმნა ჩრდილოეთის კომიტეტად, რომელიც არსებობდა 1905 წლის ივლისამდე. — **192.**

41 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 60. — **199.**

42 ბროშურა «ვინ მოახდენს პოლიტიკურ რევოლუციას?» დაწერილია ა. ა. სანინის მიერ და დაბეჭდილია 1899 წელს კრებულში «პროლეტარსკაია ბორბა» № 1, რომელიც გამოსცა «ურალის სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა». ბროშურის ავტორი, რომელიც იდგა «ეკონომიზმის» პოზიციებზე, უარჰყოფდა მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის საჭიროებას და სთვლიდა, რომ პოლიტიკური რევოლუცია შეიძლება მოხდეს საყოველთაო გაფიცვის გზით, მასების წინასწარი ორგანიზებისა და მომზადების გარეშე, შეიარაღებული აჯანყების გარეშე. — **205.**

43 «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა  ვ ო ლ ი ა» — ნაროდნიკული ფარული საზოგადოება, შექმნილი 1879 წელს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის.

ნაროდოვოლცების მიერ მეფე ალექსანდრე II-ის მოკვლის (1881 წლის 1 მარტს) შემდეგ «ნაროდნაია ვოლია» მეფის მთავრობამ მალე გაანადგურა. ნაროდნიკების უმრავლესობამ ამის შემდეგ ხელი აიღო ცარიზმთან რევოლუციურ ბრძოლაზე და იწყო მეფის თვითმპყრობელობასთან შერიგების, შეთანხმების ქადაგება. ნაროდნიკობის ეს ეპიგონები — XIX საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკები — კულაკობის ინტერესთა გამომხატველნი გახდნენ.

«ნაროდნაია ვოლიას» საქმიანობის შეფასება იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», თავი პირველი. — **206.**

44 «2 ა 3 ბ» — ფსევდონიმი ბოლშევიკ პ. ნ. ლეპეშინსკისა — რსდმპ II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის წევრისა. — **212.**

45 რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის განცხადება გაზეთ «ისკრასთან» და ჟურნალ «ზარიასთან» სოლიდარობისა და მათი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ ორგანოებად ცნობის შესახებ გამოქვეყნდა 1902 წლის ივლისში ცალკე ფურცლად, შემდეგ კი დაიბეჭდა 1902 წლის 15 ოქტომბერს «ისკრაში» № 26. — **213.**

46 კ ა თ ე დ ე რ-რ ე ფ ო რ მ ა ტ ო რ ე ბ ი (ანუ კათედერ-სოციალისტები) — წარმომადგენლები პურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მიმართულებისა, რომელიც წარმოიშვა გერმანიაში XIX საუკუნის 70 — 80-იან წლებში. — უნივერსიტეტის კათედრებიდან

ქადაგებდნენ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ რეფორმიზმს როგორც ვითომდა სოციალიზმს. კათედერ-სოციალისტები ამტკიცებდნენ, თითქოს ბურჟუაზიული სახელმწიფო არის ზეკლასობრივი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია შეარიგოს მტრული კლასები და თანდათან შემოიღოს «სოციალიზმი» ისე, რომ არ შელახოს კაპიტალისტთა ინტერესები და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მშრომელთა მოთხოვნები. რუსეთში კათედერ-სოციალისტების შეხედულებებს ჰქადაგებდნენ «ლეგალური მარქსისტები». — **246.**

**47** ვ. ვ. (ვ. პ. ვორონცოვის ფსევდონიმი) — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი. — **247.**

**48** ნ. — ო ნ ი ან ნიკოლაი — ონი (ნ. ფ. დანიელსონის ფსევდონიმები) — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი. — **248.**

**49** ბ ა ბ ე ფ ი (1760 — 1797) — რევოლუციონერ-კომუნისტი, XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე; შეჰქმნა ფარული საზოგადოება, რომელიც ცდილობდა 1796 წელს დაემხო ექსპლოატატორული კლასების ძალაუფლება. ბაბეფი აღიარებდა, რომ აუცილებელია რევოლუცია, კერძო საკუთრების ძალდატანებით მოსპობა და კომუნისტური წყობილების დამყარება, მაგრამ შეიარაღებული აჯანყება მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ერთი მუჭა ინტელიგენტების შეთქმულება მასების მონაწილეობის გარეშე, რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე.

ლ ე ვ ი ტ ს კ ი — ლიბერალური ნაროდნიკი, დამაარსებელი სამიწათმოქმედო არტელებისა ხერსონის გუბერნიაში XIX საუკუნის 90-იან წლებში; ნაროდნიკებსა და ესერებს სამიწათმოქმედო არტელები მიაჩნდათ ერთ-ერთ საშუალებად, რომელიც ვითომ შესაძლებელს გახდიდა კაპიტალიზმის თავიდან აცილებას და «სოფლის სოციალიზაციის» მშვიდობიანად განხორციელებას (კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის გარეშე). — **249.**

**50** **«Sozialistische Monatshefte»** («სოციალისტური ყოველთვიური») — ჟურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო. 1914 — 1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე იდგა. გამოდიოდა ბერლინში 1897 წლიდან 1933 წლამდე. — **260.**

51 «ოსვობოჟდენიე» — ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ორგანიზაციული ჟურნალი; გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902—1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. «ოსვობოჟდენიელებმა» შემდეგ შეადგინეს რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — კადეტების პარტიის ბირთვი. — **261.**

52 ბროშურა გაფიცვების შესახებ, რასაც ლენინი იხსენიებს, გამოიცა 1902 წელს ჟენევაში სახელწოდებით «თვითმპყრობელობა და გაფიცვები». — **264.**

53 1886 წლის 3 (15) ივნისის კანონი ადგენდა მეფაბრიკეთა მიერ მუშებისაგან ჯარიმის გადახდევინების წესს. ამ კანონამდე მეფაბრიკენი ჯარიმას იღებდნენ თვითნებურად, განუსაზღვრელი ოდენობით. ხშირად ჯარიმას მუშის ხელფასის ნახევრამდე აიყვანდნენ ხოლმე და ამნაირად დიდ შემოსავალს იძენდნენ. მუშების აჯანყებათა გავლენით და მეტადრე იმ დიდ გაფიცვასთან დაკავშირებით, რაც მოხდა 1885 წელს მოროზოვის ორეხოვო-ზუევოს ფაბრიკაში, მეფის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა კანონი ჯარიმების შესახებ. ამ კანონის დაწვრილებითი გარჩევა და კრიტიკა ლენინმა მოგვცა ბროშურაში «განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-2, გვ. 19—74).

1897 წლის 2 (14) ივნისის კანონი სამრეწველო საწარმოებისა და რკინიგზის სახელოსნოებისათვის აწესებდა 11½ საათის სამუშაო დღეს. ამ კანონამდე სამუშაო დღე რუსეთში არ იყო განსაზღვრული და 14—15 საათამდე ადიოდა. მეფის მთავრობა იძულებული იყო გამოეცა 1897 წლის 2 ივნისის კანონი მუშათა მოძრაობის ზემოქმედებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლენინის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი». კანონის დაწვრილებით გარჩევა და კრიტიკა ლენინმა მოგვცა ბროშურაში «ახალი საფაბრიკო კანონი» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-2, გვ. 325—386). — **264.**

54 მანჩესტერელები — ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის «მანჩესტერული სკოლის» მომხრენი. ეს მოძრაობა წარმოიშვა XIX საუკუნის პირველ ნახევარს მანჩესტერში (ინგლისი). მანჩესტერელები მოითხოვდნენ ვაჭრობის თავისუფლებას და იმ კანონების გაუქმებას, რომლებიც ზღუდავდნენ კაპიტალიზმის განვითარებას. — **269.**

55 «ი უ ჟ ნ ი რ ა ბ ო ჩ ი» — სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, რომელსაც არალეგალურად სცემდა იმავე სახელწოდების ჯგუფი 1900 წლის იანვრიდან 1903 წლის აპრილამდე; გამოვიდა 12 ნომერი.

ლენინი «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფს მიაკუთვნებდა იმ ორგანიზაციებს, «რომლებიც სიტყვით სცნობდნენ «ისკრას» ხელმძღვანელ ორგანოდ, ხოლო საქმით ისახავდნენ თავის განსაკუთრებულ გეგმებს და განირჩოდნენ პრინციპების მერყეობით». ჯგუფი არსებობდა რსდმპ II ყრილობამდე. ჯგუფის ხელმძღვანელი შემადგენლობის უმრავლესობა შემდეგ მენშევიკი გახდა. — **276, 378.**

56 «წ ე რ ი ლ ი ა მ ხ ა ნ ა გ ს ჩ ე ნ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» 1902 წელს დაიბეჭდა ჰექტოგრაფზე და ფართოდ გავრცელდა პარტიულ ორგანიზაციებში. 1903 წლის ივნისში იგი გამოსცა ციმბირის სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა სახელწოდებით «რევოლუციური მუშაობის შესახებ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციებში. (წერილი ამხანაგს)». 1904 წლის იანვარში რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა «წერილი ამხანაგს» გამოაქვეყნა ცალკე ბროშურად ლენინის წინასიტყვაობითა და ბოლოსიტყვაობით. ბროშურა დასაბეჭდად მოამზადა ლენინმა. ბროშურის ნაბეჭდი გამოცემის წინასიტყვაობაში ლენინი აღნიშნავდა, რომ საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ, ერთი მხრივ, ორგანიზაციულ საკითხებზე «ისკრაში» მოთავსებული სტატიები, «რა ვაკეთოთ?» და პარტიის წესდება, მიღებული რსდმპ II ყრილობის მიერ, ხოლო მეორე მხრივ, «წერილი ამხანაგს», რათა ცხადი გახდეს მათში გადმოცემული ორგანიზაციული იდეების სრული იგივეობაო. — **281.**

57 ლენინს მზედველობაში აქვს 1901 წლის 8 (21) ივნისის კანონი კერძო პირებისათვის ციმბირში სახაზინო მიწების გამოყოფის შესახებ. კანონი განსაკუთრებულ შეღავათებს ანიჭებდა თავად-აზნაურ-მემამულეებს. ამ კანონის დაწვრილებითი გარჩევა და შეფასება ლენინმა მოგვცა სტატიაში «ბატონყმობის მოტრფიალენი მუშაობენ» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 107 — 114). — **310.**

58 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 60. — **317.**

59 ლენინს მოჰყავს ციტატი ფ. ენგელსის წიგნიდან «ანტიდიურინგი» (იხ. ფ. ენგელსი. «ანტიდიურინგი», 1945, გვ. 172 — 173). — **318.**

60 «დემონსტრაციების შესახებ» წარმოადგენს ვ. ი. ლენინის პასუხს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის წერილზე სარედაქციო სტატიის «რა ვაკეთოთ?» გამო, რომელიც დაიბეჭდა 1902 წლის 15 სექტემბერს გაზეთ «ისკრის» № 25-ში.

ხელნაწერს სათაური არა აქვს. დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **320.**

61 «რაბოჩაია მისლ» — «ეკონომისტების» გაზეთი; გამოდიოდა 1897 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე. გამოვიდა 16 ნომერი: ნომრები 3 — 11 და 16 — ბერლინში, დანარჩენი — პეტერბურგში. რედაქტორობდნენ კ. ვ. ტახტარევი და სხვ.

«რაბოჩაია მისლის», როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობის, შეხედულებათა კრიტიკა ლენინმა მოგვცა მთელ რიგ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით «ისკრაში» გამოქვეყნებულ სტატიებში და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — **329.**

62 «ბორბას» ჯგუფის დაწვრილებით დახასიათებას ლენინი იძლევა შენიშვნაში ««ბორბას» ჯგუფის შესახებ» (იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 191). — **329.**

63 «სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ამოცანების შესახებ» წარმოადგენს ლენინის მიერ 1902 წლის ნოემბერში დაწერილი სტატიის ნაწყვეტს.

ხელნაწერს სათაური არა აქვს. დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **331.**

64 რსდმპ დონის კომიტეტის პროკლამაცია «ყველა მოქალაქეს», დათარიღებული 1902 წლის 6 ნოემბრით, გადაბეჭდილი იყო «ისკრის» 29 №-ში, 1902 წლის 1 დეკემბერს. — **345.**

65 იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად. ტ. II, 1940, გვ. 445. — **345.**

66 ლენინს მხედველობაში აქვს ნიჟნინოვგოროდელი მუშების — 1902 წლის 1 და 5 (14 და 18) მაისის დემონსტრაციათა მონაწილეების სიტყვები, წარმოთქმული მათ მიერ მეფის სასამართლოს წინაშე 1902 წლის 28 — 31 ოქტომბერს (10 — 13 ნოემბერს). სიტყვები თავდაპირველად გამოსცა რსდმპ ნიჟნინოვგოროდის კომიტეტმა ცალკე ფურცლად. შემდეგ გადაბეჭდა «ისკრამ» (№ 29, 1902 წლის 1 დე-

კემბერი) სახელწოდებით «ნიუნინოვგოროდელი მუშები სასამართ-ლოში» და გამოსცა ცალკე ბროშურად. — **346.**

**67** «ს ა შ უ ა ლ ო  ს კ ო ლ ე ბ ი ს  მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ს» — ლენინის მიერ «ისკრის» რედაქციის სახელით დაწერილი შენიშვნა საშუალო სკოლების მოსწავლეთა სამხრეთ რუსეთის ჯგუფის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების გამო. მოწოდება და შენიშვნა დაიბეჭდა გაზეთ «ისკრაში» № 29, 1902 წლის 1 დეკემბერს.

ხელნაწერს სათაური არა აქვს. დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **348.**

**68** ლენინის ნაშრომი «ს ა ე რ თ ო-პ ა რ ტ ი უ ლ  ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე, რ ს დ მ პ  კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს ა  დ ა  ჯ გ უ ფ ე ბ ი ს  მ ო ხ ს ე ნ ე-ბ ა თ ა  ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს» თხზულებათა წინანდელ გამოცემაში დაბეჭდილი იყო ლენინის ხელნაწერის ასლის მიხედვით. შემდეგში აღმოჩენილ იქნა ლენინის ნამდვილი ხელნაწერი. ვ. ი. ლენინის თხზულებათა ამ გამოცემაში ეს ნაშრომი პირველად იბეჭდება ლენინის ხელნაწერის მიხედვით. — **354.**

**69** «რ ა ბ ო ჩ ა ი ა  გ ა ზ ე ტ ა» — სოციალ-დემოკრატთა კიევის ჯგუფის არალეგალური ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი № 1 — 1897 წლის აგვისტოში და № 2 — იმავე წლის დეკემბერში (დათარიღებულია ნოემბრით). რსდმპ I ყრილობამ «რაბოჩაია გაზეტა» პარტიის ოფი-ციალურ ორგანოდ სცნო. ყრილობის შემდეგ, პოლიციის მიერ სტამ-ბის განადგურებისა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა დაპატიმ-რების მერე, გაზეთი არ გამოდიოდა. 1899 წელს მისი გამოცემის განახლების ცდების შესახებ იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-4, გვ. 247 — 249) — **359.**

**70** «რ ა ბ ო ტ ნ ი კ» — არაპერიოდული კრებული, სცემდა 1896 — 1899 წლებში «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი». კრებულის გამოცემის ინიციატორი იყო ლენინი. პირველი ნომერი, სადაც მოთავსებულია ლენინის სტატია «ფრიდრიხ ენგელსი», დაი-ბეჭდა არა უადრეს 1896 წლის მარტისა.

გამოვიდა «რაბოტნიკის» 6 ნომერი სამ წიგნად და 10 ნომერი «ლისტოკ «რაბოტნიკა»». — **359.**

**71** «ე ი ზ ნ» — ყოველთვიური ჟურნალი, სცემდნენ პეტერბურგში 1897 წლიდან 1901 წლამდე; 1902 წელს გამოდიოდა საზღვარგარეთ. 1899 წლიდან ჟურნალი «ლეგალური მარქსისტების» ორგანოს წარ-მოადგენდა.

ლენინმა ჟურნალში დაბეჭდა სტატია «პასუხი ბ-ნ პ. ნეჟდანოვს» (№ 12, 1899 წლის დეკემბერი) და ორი სტატია სათაურით «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში. (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)», №№ 1 და 2, 1900 წლის იანვარი და თებერვალი (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-4, გვ. 188 — 195, 117 — 187). — **359.**

72 მ ა ხ ა ე ვ ე ლ ე ბ ი, მ ა ხ ა ე ვ ე ლ ო ბ ა — მარქსიზმისადმი მტრული ანარქისტული მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა 1902 წელს; სახელწოდება მიიღო მახაისკის სახელის მიხედვით, რომელიც მეთაურობდა ამ მიმდინარეობას. მახაეველები ქადაგებდნენ მტრულ დამოკიდებულებას რევოლუციური ინტელიგენციისადმი, ცდილობდნენ მუშათა ჩამოშორებას მარქსიზმის თეორიისა და რევოლუციური ბრძოლისაგან. — **367.**

73 «რ უ ს თ ა  ს ა კ რ ე ბ უ ლ ო» — შავრაზმულ-მონარქისტული ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერდა ზუბატოველთა პოლიტიკას; წარმოიშვა 1900 წლის შემოდგომაზე. — **369.**

74 რ ს დ მ პ  II  ყ რ ი ლ ო ბ ი ს  მ ო მ ზ ა დ ე ბ ლ ი  ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო  კ ო მ ი ტ ე ტ ი  პირველად არჩეული იყო ბელოსტოკის 1902 წლის მარტის (აპრილის) კონფერენციის მიერ, მაგრამ მალე კონფერენციის შემდეგ ამ კომიტეტის წევრები (გარდა ერთისა) დააპატიმრეს. ლენინის ინიციატივით 1902 წლის ნოემბერში სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების თათბირზე ფსკოვში შეიქმნა ახალი საორგანიზაციო კომიტეტი. ახალ კომიტეტში დიდი უმრავლესობა ისკრელებს ეკუთვნოდა.

ლენინის ხელმძღვანელობით საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია პარტიის II ყრილობის მოსამზადებლად. 1903 წლის თებერვლის პლენუმზე, რომელიც ორიოლში შესდგა, მიღებულ იქნა პარტიის ყრილობის მოწვევის წესდების პროექტი.

თებერვლის პლენუმის შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის წევრები ორჯერ ეწვივნენ ადგილობრივ კომიტეტებს მუშაობაში დახმარების გაწევის მიზნით. საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა მონაწილეობით ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განიხილეს ყრილობის მოწვევის წესდების პროექტი, რის შემდეგ იგი დამტკიცა საორგანიზაციო კომიტეტმა.

საორგანიზაციო კომიტეტმა დამტკიცა იმ ადგილობრივი ორგანიზაციების სია, რომლებსაც, მიღებული წესდების თანახმად, ყრილობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ. საორგანიზაციო კომიტეტ-

მა დაამზადა ყრილობისათვის თავისი მოღვაწეობის დაწვრილებითი წერილობითი ანგარიში. — **376.**

75 «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი» დაარსდა 1894 წელს ჟენევაში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ინიციატივით. თავდაპირველად «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი ხელმძღვანელობდა კავშირს და რედაქტორობდა მის გამოცემებს. შემდეგ კავშირში გაბატონდნენ ოპორტუნისტული ელემენტები («ახალგაზრდები» — «ეკონომისტები»). 1898 წლის ნოემბერში კავშირის პირველ ყრილობაზე «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა უარი თქვა კავშირის გამოცემათა რედაქტირებაზე. საბოლოო გათიშვა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის გასვლა კავშირიდან მოხდა 1900 წლის აპრილში, კავშირის მეორე ყრილობაზე, როდესაც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა და მისმა თანამოაზრეებმა დასტოვეს ყრილობა და შეჰქმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი». — **378.**

76 «7 ც. 6 ფ.» — ბოლშევიკ ფ. ვ. ლენგნიკის ფსევდონიმი. — **382.**

77 «ვპერიოდ» — «ეკონომისტური» მიმართულების გაზეთი, გამოდიოდა კიევში 1896 — 1900 წლებში. — **388.**

78 «კრასნოე ზნამია» — «ეკონომისტების» ორგანო, სცემდა «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი» 1902 წლის ნოემბრიდან 1903 წლის იანვრამდე «რაბოჩეე დელოს» ნაცვლად. გამოვიდა ჟურნალის სამი ნომერი. — **388.**

79 ლენინს მზედველობაში აქვს ბროშურა «თვითმპყრობელობა და გაფიცვები». — **389.**

80 პოლემიკა «ისკრასა» და ბუნდს შორის რსდმპ-თან ბუნდის ორგანიზაციული ურთიერთობის საკითხზე გამოწვეული იყო ბუნდის ყრილობის (1901 წლის აპრილი) გადაწყვეტილებით — დაეცვა პარტიის აგებულების ფედერაციული პრინციპი. «ისკრა» გამოვიდა ბუნდის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ლენინმა ბუნდის ნაციონალიზმი მკაცრად გააკრიტიკა მთელ რიგ თავის სტატიებში და გამოსვლებში პარტიის II ყრილობაზე. — **394.**

81 ნაგულისხმევია კ. კაუტსკის ბროშურა «სოციალური რევოლუცია», თარგმნილი ებრაულ ენაზე. — **410.**

82 ეს ნაშრომი წარმოადგენს აგრარულ საკითხზე ლექციების პროგრამას და კონსპექტს პირველი ლექციისას, რომელიც წაიკითხა ლენინმა 1903 წლის თებერვალს პარიზში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლეს რუსულ სკოლაში. სკოლა დაარსდა 1901 წელს საზღვარგარეთ მცხოვრები რუსი სტუდენტებისათვის და ლეგალურად მუშაობდა. სკოლის ორგანიზატორები აშკარად იჩენდნენ მტრობას რევოლუციური მარქსისტებისადმი და გამოსთქვამდნენ თავის სიმპათიებს ნაროდნიკებისა და ესერების პარტიის წარმომადგენლებისადმი. მაგრამ ლენინის, როგორც აგრარული საკითხის თეორეტიკოსის, ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ სკოლის პროფესორთა საბჭომ დაადგინა მოეწვია აგრარულ საკითხზე ლექციების კურსის წასაკითხად «ცნობილი მარქსისტი ვლ. ილინი (ვ. ი. ლენინი. რ ედ.), ავტორი ლეგალური წიგნებისა «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» და «ეკონომიური ეტიუდები»».

ლექციების პროგრამა ლენინმა წინასწარ შეიმუშავა და ჯერ კიდევ მათი წაკითხვის დაწყებამდე გადაგზავნა. პირველი ლექციის კონსპექტი, რომელიც მოთავსებულია წინამდებარე ტომში, სკოლის ერთ-ერთ მსმენელს ჩაუწერია ლექციის კითხვის დროს და შემდეგ რედაქცია გაუკეთებია ლენინს. — **413.**

83 ტ ი ე რ ი — ფრანგი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, «სისხლისმსმელი ქონდრისკაცი», როგორც მას ლენინმა უწოდა, მუშათა კლასის, სოციალიზმის, დემოკრატიის შეურიგებელი მტერი. 1848 წელს ტიერი სათავეში ჩაუდგა რეაქციულ «წესრიგის პარტიას». 1871 წელს მთავრობის მეთაური იყო და სასტიკად ჩაახშო პარიზელ კომუნართა აჯანყება. ტიერის დახასიათება მოცემულია კ. მარქსის ნაშრომში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 357 — 425). — **436.**

84 ტ. პ. — ამ ფსევდონიმით ლენინმა 1901 წელს ჟურნალ «ზარიაში», № 2 — 3, გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი მე-5, გვ. 25 — 89). — **439.**

85 «ნ ო ვ ო ე ს ლ ო ვ ო» — ყოველთვიური სამეცნიერო-სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი; სცემდნენ პეტერბურგში 1894 წლიდან ლიბერალური ნაროდნიკები, ხოლო 1897 წლის გაზაფხულიდან — «ლეგალური მარქსისტები». ლენინმა «ნოვოე სლოვოში» გამოაქვეყნა ორი სტატია: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» და «ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო» (იხ. თხზულებანი, გამოცემა

მე-4, ტომი მე-2, გვ. 143 — 323 და 387 — 395). 1897 წლის დეკემბერში ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ. — 439.

86 ბროშურის — «სოფლის ღარიბებს» მომზადების დროს ლენინმა დააშუშავა გეგმის რამდენიმე ვარიანტი და ცალკეული შენიშვნები პირველი ვარიანტისათვის, აგრეთვე ბროშურის ცალკეული თავების გეგმები (იხ. ლენინის კრებული XIX, გვ. 339 — 356).

ბროშურის — «სოფლის ღარიბებს» მიზნებზე ლენინი 1903 წლის მარტში პლეხანოვისათვის გაგზავნილ წერილში იუწყებოდა, რომ იგი წერს პოპულარულ ბროშურას გლეხებისათვის აგრარული პროგრამის შესახებ, სადაც განმარტავს სოფლად კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ იდეას სოფლის მოსახლეობის ოთხი ფენის კონკრეტული მონაცემების მიხედვით (მემამულეები, გლეხური ბურჟუაზია, საშუალო გლეხობა და ნახევრად-პროლეტარები პროლეტარებთან ერთად).

ბროშურას დართული ჰქონდა რსდმპ პროგრამის პროექტის ტექსტი ლენინის მიერ დაწერილი შესავლით. ლენინის ბროშურა ძალიან ფართოდ გავრცელდა. იგი არალეგალურად გადმოჰქონდათ საზღვარგარეთიდან რუსეთში, იგზავნებოდა სხვადასხვა ქალაქში, იქიდან კი ვრცელდებოდა სოფლებში. არასრული ცნობებით, მარტო 1903 წლის მაისიდან 1905 წლის დეკემბრამდე ბროშურა შეტანილ იქნა 39 ქალაქში და 15 გუბერნიაში. ბროშურას სწავლობდნენ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ და მუშათა წრეებში, იგი ვრცელდებოდა არმიასა და ფლოტში, საშუალო სკოლების მოსწავლეებსა და სტუდენტებში.

1904 წელს ბროშურა ხელმეორედ გამოსცა რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა საზღვარგარეთ; არაერთხელ ყოფილა გადაბეჭდილი რუსეთშიც. ამ ნაშრომის, ისევე როგორც ლენინის სხვა ნაწარმოებთა, ხელახალი გამოცემა და გავრცელება კარგად ჰქონდათ დაყენებული ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა. 1904 წელს ლენინის ბროშურა დაიბეჭდა ბაქოში და ფართოდ ვრცელდებოდა მუშებსა და გლეხებს შორის. — 445.

87 საწესდებო სიგელი — ასე იწოდებოდა აქტი, რომელსაც 1861 წლის რეფორმის შედეგად გლეხთა «განთავისუფლების» დროს ადგენდნენ მემამულეები. საწესდებო სიგელში აღინიშნებოდა მიწის რაოდენობა, რომლითაც გლეხები სარგებლობდნენ რეფორმამდე, და ის მიწები და ადგილები, რომლებიც დარჩათ «განთავისუფლებისას» გაძარცულ გლეხებს. სიგელში ჩამოთვლილი იყო აგრეთვე ის ბეგარა, რასაც ყმა გლეხები წინათ იხდიდნენ მემამულის სასარგებლოდ.

საწესდებო სიგელების საფუძველზე განისაზღვრებოდა გლეხებისაგან მისაღები გამოსასყიდი გადასახდელის ოდენობა. — **509.**

88 იქსი — მენშევიკ პ. პ. მასლოვის ფსევდონიმი. — **544.**

89 «ოტეჩესტვენნიე ზაპისკი» — ჟურნალი, გამოდიოდა 1820 წლიდან; 1839 წლიდან გამოდიოდა ყოველთვიურად, შეუწყვეტლივ. ჟურნალის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ბელინსკი, ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, ელისეევი და სხვები; «ოტეჩესტვენნიე ზაპისკის» ირგვლივ დაჯგუფებული იყო რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია. ჟურნალი განუწყვეტელ ცენზურულ დევნას განიცდიდა; 1884 წელს დახურა მეფის მთავრობამ. — **561.**

90 პოლონეთის სოციალისტური პარტია (პპს) — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, დაარსდა 1893 წელს. — **565.**

91 «რეინის ახალი გაზეთი» (**«Neue Rheinische Zeitung»**) გამოდიოდა კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. გაზეთის ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი; გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო კ. მარქსი. «არც ერთ გერმანულ გაზეთს, — წერდა ენგელსი, — არც წინათ, არც შემდეგ არ მოეპოვებოდა იმგვარი ძალა და გავლენა, არ შეეძლო ისე აღეგზნო პროლეტართა მასები, როგორც «რეინის ახალ გაზეთს»» (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 30). — **568.**

92 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 382 — 385; 406 — 411. — **569.**

93 ი. დომბროვსკი და ვ. ვრუბლევსკი — 1863 — 1864 წლების პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეები. პოლონეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაიხიზნენ საფრანგეთში. 1871 წელს იყვნენ პარიზის კომუნის გენერლები. — **570.**

94 ლენინს ციტატი მოჰყავს ფ. მერინგის შესავლიდან; ეს შესავალი მერინგმა წარუმძღვარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის 1841 — 1850 წლების პერიოდის თხზულებათა კრებულის მესამე ტომს, რომელიც მანვე გამოსცა 1902 წელს (**Gesammelte Schriften von Karl Marx und Friedrich Engels. 1841 bis 1850. Dritter Band. Stuttgart, Verlag von J. H. W. Dietz Nachf., 1902**). — **571.**

**95** რსდმპ II ყრილობა შესდგა 1903 წლის 17 (30) ივლისს — 10 (23) აგვისტოს. ყრილობის პირველი 13 სხდომა მიმდინარეობდა ბრიუსელში. შემდეგ, პოლიციის მხრივ დევნის გამო, ყრილობის სხდომები გადატანილ იქნა ლონდონში. სულ შესდგა 37 სხდომა. ყრილობის დღის წესრიგში იდგა 20 საკითხი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი იყო: პარტიის პროგრამა, პარტიის ორგანიზაცია (რსდმპ წესდების დამტკიცება), პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ცენტრალური ორგანოს (ცო) რედაქციის არჩევნები. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 26 ორგანიზაცია. სულ ესწრებოდა 43 დელეგატი, რომელთაც ჰქონდათ 51 გადამწყვეტი ხმა (რვა დელეგატს ჰქონდა ორ-ორი ხმა), და 14 დელეგატი სათათბირო ხმით.

ყრილობა მოამზადა ლენინის «ისკრამ». ყრილობის მოსამზადებლად უდიდესი მუშაობა გასწია ლენინმა.

ლენინმა შეადგინა «ისკრის» ორგანიზაციის მოღვაწეობის შესახებ მოხსენების გეგმა-კონსპექტი; დაამუშავა პარტიის წესდების პროექტი, პროექტები რეზოლუციებისა მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც დასახული იყო ყრილობაზე განსახილველად, ყრილობის დღის წესრიგი და რეგლამენტი.

ლენინმა დიდი მუშაობა გასწია დელეგატებთან. ის არკვევდა ადგილობრივს საქმის ვითარებასა და ორგანიზაციის მდგომარეობას; დელეგატებთან ერთად განიხილა მრავალი საკითხი, რომლებიც ყრილობაზე იდგა. ყრილობის დელეგატთა ერთ-ერთ კრებაზე ლენინმა წაიკითხა რეფერატი ნაციონალური საკითხის შესახებ. ყრილობის შემადგენლობა ერთნაირი არ იყო. ყრილობას ესწრებოდნენ არა მარტო «ისკრის» მომხრენი, არამედ მისი მოწინააღმდეგენიც, აგრეთვე არამტკიცე, მერყეები ელემენტები. დელეგატების წინასწარმა გაცნობამ ლენინს საშუალება მისცა ჯერ კიდევ ყრილობის გახსნამდე გამოერკვია თვითეული მათგანის პოლიტიკური პოზიცია.

ლენინი არჩეულ იქნა ყრილობის ბიუროში, შეეიდა ყრილობის ძირითად კომისიებში — საპროგრამო, საწესდებო და სამანდატო კომისიებში. ლენინმა გააკეთა მოხსენება პარტიის წესდების შესახებ; იგი გამოვიდა ყრილობაზე დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხის გამო. ყრილობის ოქმებში ფიქსირებულია ლენინის ას ოცდაათზე მეტი გამოსვლა, შენიშვნა და რეპლიკა.

რსდმპ II ყრილობის მნიშვნელობის შეფასება იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 56 — 57. — **570.**

**96** რსდმპ წესდების პროექტი, რომელიც ლენინმა პარტიის II ყრილობას წარუდგინა, არ შენახულა. ამ ტომში იბეჭდება წესდების პირვანდელი პროექტი, მოთავსებული II ყრილობის საოქმო კომისიის მიერ დამატებებში, რაც დართული აქვს 1904 წელს ენენ-

ვაში გამოცემულ «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე მორიგი ყრილობის ოქმების სრულ ტექსტს». პარტიის II ყრილობის საოქმო კომისიამ ლენინის წესდების პირვანდელ პროექტს, რომელიც მან მოათავსა «ოქმების სრული ტექსტის» XI დამატებაში, შეცდომით უწოდა რსდმპ ორგანიზაციული წესდების პროექტი, შეტანილი ლენინის მიერ ყრილობაზე (იხ. ვ. ი. ლენინი. «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან», პუნქტი «ზ) პარტიის წესდება. ამხ. მარტოვის პროექტი»). — **590.**

**97** ლენინის სიტყვა საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების საკითხის გამო გამოიწვია შემდეგმა ინციდენტმა. საორგანიზაციო კომიტეტმა ჯერ კიდევ ყრილობამდე უარჰყო «ბორბას» ჯგუფის მოთხოვნა — დაეშვათ ყრილობაზე მისი წარმომადგენელი სათათბირო ხმით. სამანდატო კომისიამ დაადასტურა საორგანიზაციო კომიტეტის წინადადება. მას შემდეგ, რაც სამანდატო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობა ყრილობას, საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა მოითხოვა შეეწყვიტათ სხდომა, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ კვლავ განეხილათ ეს საკითხი საორგანიზაციო კომიტეტში. სხდომის შეწყვეტის დროს საორგანიზაციო კომიტეტმა მოაწყო თათბირი, რომელზედაც ხმების უმრავლესობით (ერთის წინააღმდეგ) გადაწყდა მოეწვიათ «ბორბას» ჯგუფის წარმომადგენელი სათათბირო ხმის უფლებით.

სიტყვაში მოხსენებულნი: ე გ ო რ ო ვ ი — მენშევიკი ე. ი. ლევინი; შ ტ ე ი ნ ი — მენშევიკი ე. მ. ალექსანდროვა; პ ა ვ ლ ო ვ ი ჩ ი — ბოლშევიკი პ. ა. კრასიკოვი. — **600.**

**98** გოფმანი — ბუნდელ ვ. კოსოვსკის ფსევდონიმი. — **602.**

**99** ნაგულისხმევია ორი საგრაფოს — ნორტუმბერლენდისა და დერგემის ინგლისელ მაღაროელთა პროფკავშირები, რომლებმაც — მეპატრონეებთან გარიგების გზით — XIX საუკუნის 80-იან წლებში მიიღწიეს 7 საათის სამუშაო დღეს მიწისქვეშა კვალიფიციური მუშებისათვის, შემდეგ კი ისინი მთელი რიგი წლების განმავლობაში გამოდიოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ საკანონმდებლო წესით ინგლისის ყველა მუშისათვის შემოღებული ყოფილიყო 8 საათის სამუშაო დღე. — **605.**

**100** იხ. კ. მ ა რ ქ ს ი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 332. — **606.**

**101** ნაგულისხმევია კ. მარქსის შემდეგი დებულება: «კომუნას სრული უფლება ჰქონდა გამოეცხადებინა გლეხებისათვის: «ჩვენი გამარჯვება

თქვენი ერთადერთი იმედია!»» (კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 406). — **606.**

**102** მ ა ხ ო ვ ი — მენშევიკ დ. პ. კალაფატის ფსევდონიმი; კ ო ს ტ რ ო ვ ი — კავკასიელი მენშევიკის ნ. ნ. ჟორდანიას ფსევდონიმი. — **617.**

**103** ხ ი ზ ნ ე ბ ა დ იწოდებოდნენ საქართველოს უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც ძველთაგან სახლდებოდნენ მემამულეთა მიწებზე საგანგებო სახელშეკრულებო პირობებით. ხიზნები ფორმალურად არ ითვლებოდნენ ყმებად, სარგებლობდნენ პირადი თავისუფლებით, მაგრამ მუდმივ უუფლებო მოიჯარადრეებად რჩებოდნენ. 1861 წლის საგლეხო რეფორმა ხიზნებზე არ გავრცელებულა. ისინი კვლავ რჩებოდნენ მემამულეებისაგან სრულ დამოკიდებულებაში, მემამულენი კი ადიდებდნენ ბეგარას და ეპატრონებოდნენ ხიზნების მიერ დაკავებულ ნაკვეთებს. ხიზნობა გაუქმდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

დ რ ო ე ბ ი თ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ გ ლ ე ხ ე ბ ა დ იწოდებოდა ნაწილი ყოფილი ყმა-გლეხებისა, რომლებსაც, 1861 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც, უნდა ეხადათ ხარკი (ღალა თუ საბატონო ბეგარა) თავიანთი ნადელის მემამულისაგან გამოსყიდვის დაწყებამდე.

რსდმპ II ყრილობამ, ლენინის წინადადებით, შეავსო პარტიის პროგრამის აგრარული ნაწილი მოთხოვნით — «გადაეცეს გლეხებს საკუთრებად კავკასიაში ის მიწები, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, როგორც დროებით ვალდებულნი, ხიზნები და სხვ.» — **618.**

**104** ბ რ უ კ ე რ ი — მენშევიკ ლ. პ. მახნოვეცის ფსევდონიმი. — **621.**

**105** ლენინმა «ისკრის» რედაქციის არჩევნების საკითხის შესახებ სიტყვა წარმოთქვა II ყრილობის 31-ე სხდომაზე. ამ სხდომის ოქმის დამტკიცებისას ყრილობის 35-ე სხდომაზე ლენინის თანხმობით მისი სიტყვის ტექსტში შეტანილ იქნა ცვლილება. დაწყებული სიტყვებიდან: «ამხანაგებო! მარტოვის სიტყვა იმდენად უცნაური იყო, რომ მე იძულებული ვარ გადაჭრით გავილაშქრო იმის წინააღმდეგ, თუ როგორ აყენებს იგი საკითხს...» და გათავებული სიტყვებით «...მოწმობს მხოლოდ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ც ნ ე ბ ა თ ა გ ა ს ა ი ც ა რ ა ღ რ ე ვ ა ს» — გამოტოვებულ იქნა და შეიცვალა შემდეგი სიტყვებით:

«ვთხოვ ყრილობას ნება დამრთოს ვუპასუხო მარტოვს.

ამხ. მარტოვი ამბობდა, რომ ამ ვოტუმმა ჩირქი მოსცხო მის პოლიტიკურ რეპუტაციასო. არჩევნებს საერთო არაფერი აქვთ პოლიტიკური რეპუტაციის შეურაცხყოფასთან. (შ ე ძ ა ხ ი ლ ი: «ა რ ა რ ი ს ს წ ო რ ი! ა რ ა რ ი ს მ ა რ თ ა ლ ი!» პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი და ლ ე ნ ი ნ ი

პროტესტს აცხადებენ სიტყვის შეწყვეტინების წინააღმდეგ. ლენინი სთხოვს მდივნებს შეიტანონ ოქმში, რომ ზასულიჩი, მარტოვი და ტროცკი მას სიტყვას აწყვეტინებენ, და ჩასწერონ, თუ რამდენჯერ შეაწყვეტინეს მას სიტყვა)».

წინამდებარე ტომში ლენინის სიტყვა იბეჭდება იმ სახით, როგორც იგი ლენინმა დაწერა და წარმოსთქვა ყრილობაზე. — **626**.

**106** ლენინს მხედველობაში აქვს ოდესელი მუშების 1903 წლის ივლისის გაფიცვა. მიუხედავად ადგილობრივი ზუბატოვური ორგანიზაციის ცდებისა — ჩამოეშორებინა მუშები რევოლუციური ბრძოლისაგან, გაფიცვამ მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი მიიღო. 1903 წელს მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები მოედო თითქმის მთელ სამხრეთ რუსეთს (კიევს, ეკატერინოსლავს, ნიკოლაევს, ელიზავეტგრადს და სხვა ქალაქებს).

ლენინის «ისკრამ» დაწერილებით გააშუქა ოდესის ამბები 45 №-ში, 1903 წლის 1 აგვისტოს. — **640**.

# ვ. ი. ლენინის
# ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1902* წლის იანვარი — *1903* წლის აგვისტო)

## 1902

| | |
|---|---|
| **იანვრის დამდეგი.** | ვ. ი. ლენინი წერს კრიტიკულ შენიშვნებს რსდმპ პროგრამის პირველი პროექტის გამო, რომელიც შეადგინა გ. ვ. პლეხანოვმა. |
| **იანვარი, 8 (21).** | ლენინი გაზეთ «ისკრის» რედაქციის თათბირზე მიუნქენში აკრიტიკებს პროგრამის პირველ პროექტს, რომელიც შეადგინა პლეხანოვმა და შეაქვს თავისი შესწორებანი და წინადადებანი. |
| **2 და 25 იანვარს (21 იანვარსა და 7 თებერვალს) შუა.** | ლენინი ადგენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის ახალ პროექტს. |
| **თებერვალი, 15 (28).** | გაზეთ «ისკრის» № 17-ში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «გაკოტრების ნიშნები» და «რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან». |
| **თებერვალი, არა უგვიანეს 18-ისა (3 მარტისა).** | ლენინს შეაქვს სამი შესწორება პარტიის პროგრამის იმ პროექტში, რომელიც მანვე შეიმუშავა. |
| **თებერვლის დამლევი — მარტის პირველი ნახევარი (მარტი).** | ლენინი წერს კრიტიკულ შენიშვნებს რსდმპ პროგრამის მეორე პროექტის გამო, რომელიც შეადგინა პლეხანოვმა. |
| **თებერვალი — მარტის პირველი ნახევარი.** | ლენინი წერს სტატიას «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა» — კომენტარს რსდმპ პროგრამის აგრარული ნაწილისათვის. |

**მარტის დამდეგი (შუა მარტი).** შტუტგარტში გამოდის ლენინის წიგნი «რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები», რომელშიც დამუშავებულია მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები.

**მარტი 5 (18).** ლენინი რსდმპ ბელოსტოკის კონფერენციისათვის ამზადებს «ისკრის» რედაქციის მოხსენებას და რეზოლუციის პროექტს, მონაწილეობს რედაქციის თათბირში, ინსტრუქციებს აძლევს «ისკრის» დელეგატს, რომელიც ბელოსტოკის კონფერენციაზე მიემგზავრება.

**მარტი, 10 (23).** ლენინის სტატია «წერილი ერობელებს» ქვეყნდება გაზეთ «ისკრის» № 18-ში.

**მარტი, 30 (აპრილი, 12).** ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია მიუნქენიდან ლონდონს მიემგზავრებიან «ისკრის» გამოცემის იქ გადატანასთან დაკავშირებით. ლენინი მატარებლის ვაგონში წერს შენიშვნებს პარტიის პროგრამის პროექტის გამო, რომელიც შეიმუშავა «ისკრის» რედაქციის შემთანხმებელმა კომისიამ.

**აპრილის დამდეგი.** ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია ლონდონს ჩადიან.

**აპრილის პირველი ნახევარი (აპრილის მეორე ნახევარი).** ლენინი აწყობს გაზეთ «ისკრის» ბეჭდვას ლონდონში.

**აპრილი.** ლენინი სწერს წერილს «რსდმპ ჩრდილოეთის კავშირს», რომელშიც გამოსთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს კავშირის პროგრამის პროექტის გამო.

**მაისი, 1 (14).** ლენინი სწერს წერილს პლეხანოვს, რომელშიც პროტესტს აცხადებს პლეხანოვის შენიშვნების შეუწყნარებელი ხასიათისა და ტონის წინააღმდეგ, რაც მან დაუშვა სტატიის — «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამის» რედაქტირების დროს.

**ივნისი, 1 (14).** გაზეთ «ისკრის» № 21-ში ქვეყნდება რსდმპ პროგრამის პროექტი, შემუშავებული «ისკრის» და ეურ-

ნალ «ზარიას» რედაქციის მიერ ლენინის ხელმძღვანელი მონაწილეობით.

**ივნისის 12 — 14 (25 — 27) შუა.** ლენინი ჩადის პარიზში.

**ივნისი, 14 (27).** ლენინი გამოდის რეფერატით ესერების წინააღმდეგ პარიზში მცხოვრები რუსი პოლიტემიგრანტების კრებაზე.

**ივნისის მეორე ნახევარი — ივლისის დამდეგი (ივნისის დამლევი — შუა ივლისი).** ვ. ი. ლენინი ცხოვრობს ლოგივიში (საფრანგეთის ჩრდილოეთი სანაპირო) თავის დედა მ. ა. ულიანოვასთან და დასთან ა. ი. ელიზაროვასთან ერთად.

**ივნისის დამლევი — ივლისის დამდეგი (ივლისი).** ლენინი წერს სტატიას «რატომ უნდა გამოუცხადოს სოციალ-დემოკრატიამ გადამწყვეტი და ულმობელი ომი სოციალისტ-რევოლუციონერებს?».

**ივლისი, 3 (16) და 9 (22).** ვ. ი. ლენინი სწერს ორ წერილს ი. ი. რადჩენკოს, რომლებშიც სახავს რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის უახლოესი დროის მუშაობის გეგმას.

**ივლისი — აგვისტო.** ლენინი წერს სტატიას «რევოლუციური ავანტიურიზმი». სტატია გამოქვეყნებულია გაზეთ «ისკრის» 23 და 24 №№-ში. ხოლო შემდეგ გამოიცა ცალკე ბროშურად.

**აგვისტო, 2 (15).** ლენინი ატარებს თათბირს რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის, «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის, «რსდმპ ჩრდილოეთის კავშირის» წარმომადგენლებთან და ჰქმნის პარტიის II ყრილობის მომზადებისა საორგანიზაციო კომიტეტის ისკრულ ბირთვს.

**აგვისტო, 11 (24).** ლენინი სწერს წერილს რსდმპ მოსკოვის კომიტეტს იმის გამო, რომ კომიტეტმა გამოუცხადა სოლიდარობა იმ შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმულია წიგნში «რა ვაკეთოთ?» და კომიტეტს აძლევს უახლოესი პერიოდისათვის მოქმედების გეგმის მონახაზს.

**აგვისტო.** ლენინის სტატია «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა» გამოქვეყნდა ჟურნალ «ზარიას» მეოთხე ნომერში.

ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურის «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანების» მეორე გამოცემისათვის.

**სექტემბერი, 1 (14).** გაზეთ «ისკრის» № 24-ში გამოქვეყნდა ლენინის მოწინავე სტატია «გაფიცვის შესახებ ახალი კანონის პროექტი».

**სექტემბერი, 8 (16).** ლენინი სწერს წერილს «იუჟნი რაბოჩის» რედაქციას იმის შესახებ, რომ საჭიროა ადგილობრივი კომიტეტების გაერთიანება საერთო-რუსეთის ერთ ორგანიზაციად.

**სექტემბერი, 6 (19).** ლენინის დავალებით «ისკრის» ბერლინის სატრანსპორტო ჯგუფი «ისკრის» № № 22 და 23 მატრიცებს ჰგზავნის რუსეთში, რათა ეს მატრიცები დაიბეჭდოს ბაქოს არალეგალურ სტამბაში, რომელიც შექმნა ვ. ზ. კეცხოველმა ი. ბ. სტალინის ინიციატივით.

**სექტემბერი.** ლენინი წერს ბროშურას «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ», რომელშიც ავითარებს ახალი ტიპის პარტიის აგების ისკრულ პრინციპებს.

ლენინი საზღვარგარეთ ჩასულ ი. ვ. ბაბუშკინთან საუბრებში სახავს ისკრული ორგანიზაციების უახლოეს ამოცანებს რუსეთში.

**ოქტომბერი, 15 (28).** გაზეთ «ისკრის» № 26-ში იბეჭდება ლენინის მოწინავე სტატია «პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკანობა».

**ოქტომბერი, 28 — ნოემბერი, 7 (ნოემბერი, 10 — 20).** ლენინი ლოზანაში, ჟენევაში, ბერნსა და ციურიხში (შვეიცარია) გამოდის რეფერატით, რომელშიც აკრიტიკებს ესერების პროგრამასა და ტაქტიკას.

| | |
|---|---|
| **ნოემბერი, 1 (14).** | ლენინის სტატია «ვულგარული სოციალიზმი და ნაროდნიკობა, რომლებსაც აცოცხლებენ სოციალისტ-რევოლუციონერები» ქვეყნდება გაზეთ «ისკრის» № 27-ში. |
| **ნოემბერი, 2 — 3 (15 — 16).** | ლენინის ინიციატივით ფსკოვის თათბირზე იქმნება რსდმპ II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი (სკ). |
| **ნოემბერი, 16 (29).** | ლენინი ლონდონში გამოდის რეფერატით, რომელშიც აკრიტიკებს ესერების პროგრამასა და ტაქტიკას. |
| **ნოემბრის დამლევი (დეკემბრის პირველი ნახევარი).** | ლენინი ამუშავებს და საორგანიზაციო კომიტეტს აუწყებს რსდმპ II ყრილობის მუშაობის პროგრამის პროექტს და სახავს საორგანიზაციო კომიტეტის უახლოეს ამოცანებს. |
| **ნოემბერი — დეკემბერი.** | ლენინი წერს შრომას «ძირითადი თეზისი ესერების წინააღმდეგ» და სტატიას «სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ამოცანების შესახებ». |
| **დეკემბერი, 1 (14).** | ლენინის სტატია «ახალი მოვლენები და ძველი საკითხები» დაიბეჭდა გაზეთ «ისკრის» № 29-ში. |
| **დეკემბერი, 14 (27).** | ლენინი სწერს კიევში ისკრელ ფ. ე. ლენგნიკს წერილს, რომელშიც წინადადებას იძლევა გააძლიერონ ბრძოლა «ეკონომისტების» წინააღმდეგ. |
| **დეკემბერი.** | ლენინი რედაქტორობს კ. კაუტსკის ბროშურის «სოციალური რევოლუციის» რუსულ თარგმანს, რომელიც გამოდის 1903 წელს ჟენევაში. |
| **1902 წ. დეკემბერი — 1903 წ. იანვარი.** | ლენინი წერს შრომას «საერთო პარტიულ ყრილობაზე რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებათა საკითხისათვის». |
| **1902 წ. მეორე ნახევარი — 1903 წ. პირველი ნახევარი.** | ლენინი ამეცადინებს რსდმპ პროგრამის შემსწავლელ რუსი მუშა-ემიგრანტების წრეს ლონდონში. |

## 1903

| | |
|---|---|
| **იანვარი, 1 (14).** | გაზეთ «ისკრის» № 31-ში ქვეყნდება ლენინის სტატია «მოსკოველი ზუბატოველები პეტერბურგში». |
| **იანვარი, 15 (28).** | ლენინის სტატია «ცნობა «საორგანიზაციო კომიტეტის» დაარსების შესახებ» დაიბეჭდა «ისკრის» № 32-ში. |
| **იანვრის დამლეგი (თებერვლის დამდეგი).** | ლენინი წერს სტატიებს «ბუნდის განცხადების გამო» და «სომეხი სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ». სტატიები დაიბეჭდა გაზეთ «ისკრის» № 33-ში. |
| **იანვარი.** | ლენინი წერს შრომას «რამდენიმე აზრი 7 ც. 6 ფ. წერილის გამო» (7 ც. 6 ფ. — ფ. ვ. ლენგნიკის ფსევდონიმია), რომელშიც აკრიტიკებს ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელებს მასებს შორის პოლიტიკური მუშაობის მოწყობის საქმეში უმოქმედობის გამორჩენისათვის. |
| **თებერვალი, 10 — 13 (23 — 26).** | ლენინი პარიზში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლეს რუსულ სკოლაში, კითხულობს ოთხ ლექციას თემაზე: «მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში». |
| **ლებერვალი, 15 (28).** | გაზეთ «ისკრის» 34 №-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ესაჭიროება თუ არა ებრაელ პროლეტარიატს «დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია»», რომელიც მიმართულია ბუნდის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. |
| **თებერვალი, 18 — 21 (მარტი, 3 — 6).** | ლენინი კითხულობს რეფერატს ესერებისა და სოციალ-დემოკრატების აგრარული პროგრამის შესახებ პარიზის რუს პოლიტემიგრანტთა კრებაზე. |
| **თებერვალი, 24 (მარტი, 9).** | ლენინი პარიზიდან ლონდონს ბრუნდება. |
| **მარტი, 1 (14).** | გაზეთ «ისკრის» 35 №-ში გამოქვეყნდა ლენინის სტატია «თვითმპყრობელობა ირყევა...». |

| | |
|---|---|
| **მარტი, 5 (18).** | ლენინი სიტყვას ამბობს პარიზის კომუნის შესახებ მუშათა მიტინგზე უაიტჩეპელში (ლონდონის მუშური რაიონი). |
| **მარტი.** | ლენინი წერს ბროშურას «სოფლის ღარიბებს. ახსნა-განმარტება გლეხებისათვის, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს». |
| **აპრილი, 1 (14).** | გაზეთ «ისკრის» 37 №-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ბ-ნი სტრუვე, მხილებული თავისი თანამშრომლის მიერ». |
| **აპრილი, 15 (28).** | «ისკრის» 38 №-ში ქვეყნდება ლენინის სტატია **«Les beaux esprits se rencontrent.** (ჩვენებურად დაახლოებით ასეა: სული სულს იცნობს)», მიმართული ესერების წინააღმდეგ. |
| **აპრილის დამლევი (მაისის დამდეგი).** | ლენინი და კრუპსკაია ლონდონიდან გადადიან ჟენევაში იქ გაზეთ «ისკრის» გამოცემის გადატანასთან დაკავშირებით. |
| **მაისი.** | ჟენევაში გამოდის ლენინის ბროშურა «სოფლის ღარიბებს». |
| **ივნისი.** | ლენინი ბერნში კითხულობს რამდენიმე ლექციას აგრარულ საკითხზე. |
| **ივნისი — ივლისის პირველი ნახევარი.** | ლენინი ეწევა მოსამზადებელ მუშაობას პარტიის II ყრილობისათვის. |
| | ამუშავებს ყრილობის რეგლამენტსა და დღის წესრიგს; ადგენს პარტიის წესდების პროექტს და აცნობს მას გაზეთ «ისკრის» რედაქციის წევრებს და ყრილობის დელეგატებს. |
| | ლენინი მონაწილეობს დელეგატთა კრებებში. ყრილობის საკითხებზე; ეცნობა ყრილობაზე ჩამოსულ დელეგატებს; დელეგატთა ერთ-ერთ კრებაზე კითხულობს რეფერატს ნაციონალური საკითხის შესახებ. |
| | ლენინი წერს ყრილობისათვის «ისკრის» ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ მოხსენების გეგმას. |

ლენინი ამზადებს ყრილობისათვის რეზოლუციების პროექტებს: დემონსტრაციების, პარტიაში ბუნდის ადგილის, მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების, პარტიული ლიტერატურის შესახებ და პატარა რეზოლუციების პროექტებს (ეკონომიური ბრძოლის, 1 მაისის, საერთაშორისო კონგრესის, ტერორის, პროპაგანდის, ძალთა განაწილების შესახებ).

ლენინი წერს სტატიას «პასუხი პროგრამის ჩვენი პროექტის კრიტიკაზე», სადაც ასაბუთებს პარტიის პროგრამის აგრარულ ნაწილს. სტატია დაიბეჭდა ბროშურაში «იქსის აგრარული პროგრამის შესახებ», რომელიც დაურიგდა ყრილობის დელეგატებს აგრარულ საკითხზე მოხსენების ნაცვლად.

**ივლისი, 15 (28).** გაზეთ «ისკრის» 44 №-ში დაიბეჭდა ლენინის მოწინავე სტატია «ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში».

**ივლისი, 17 (30) — აგვისტო, 10 (23).** რსდმპ II ყრილობა ბრიუსელსა და ლონდონში. ლენინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს ყრილობის მუშაობაში; წერს ყრილობის სხდომათა დღიურს.

**ივლისი, 17 (30).** ყრილობის პირველ სხდომაზე ბრიუსელში ლენინს ირჩევენ ყრილობის თავმჯდომარის მოადგილედ, პრეზიდიუმის წევრად და სამანდატო კომისიის წევრად.

**ივლისი, 17 — 18 (30 — 31).** ლენინი მუშაობს ყრილობის სამანდატო კომისიაში.

**ივლისი, 18 (31).** ლენინი ყრილობის მეორე სხდომაზე ორჯერ გამოდის მის მიერ წარდგენილი დღის წესრიგის დასაცავად. ლენინი ყრილობის მესამე სხდომაზე წარმოსთქვამს სიტყვას საორგანიზაციო კომიტეტის უმართებულო მოქმედების შესახებ («საორგანიზაციო კომიტეტის ინციდენტის» შესახებ) და ყრილობაში პოლონელი სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის საკითხზე.

| | |
|---|---|
| ივლისი, 20 (აგვისტო, 2). | ლენინი ყრილობის მეექვსე სხდომაზე გამოდის რსდმპ-ში ბუნდის ადგილის საკითხის გამო და აკრიტიკებს ბუნდის ორგანიზაციულ ნაციონალიზმს. |
| ივლისი, 21 (აგვისტო, 3). | ლენინს ყრილობის მერვე სხდომაზე ირჩევენ საპროგრამო კომისიაში. |
| 21 და 29 ივლისს (3 და 11 აგვისტოს) შუა. | ლენინი მუშაობს ყრილობის საპროგრამო კომისიაში. |
| ივლისი, 22 (აგვისტო, 4). | ლენინი ყრილობის მეცხრე სხდომაზე გამოდის სიტყვით პარტიის პროგრამის შესახებ. |
| 24 და 29 ივლისს (6 და 11 აგვისტოს) შუა. | ლენინი და II ყრილობის დელეგატები ბრიუსელიდან ლონდონს გადადიან. |
| ივლისი, 29 (აგვისტო, 11). | ლენინი ყრილობის მეთოთხმეტე სხდომაზე გამოდის მოხსენებით პარტიის წესდების შესახებ. |
| | ლენინს ყრილობის მეთხუთმეტე სხდომაზე ირჩევენ წესდების სარედაქციო კომისიაში. |
| 29 ივლისსა და 2 აგვისტოს (11 და 15 აგვისტოს) შუა. | ლენინი მუშაობს წესდების სარედაქციო კომისიაში. |
| ივლისი, 31 (აგვისტო, 13). | ლენინი ყრილობის მეცხრამეტე სხდომაზე გამოდის სიტყვით პარტიის აგრარული პროგრამის განხილვის დროს. |
| აგვისტო, 1 (14). | ლენინი ყრილობის მეოცე და ოცდაპირველ სხდომებზე ამბობს სამ სიტყვას აგრარული პროგრამის განხილვის დროს. |
| აგვისტო, 2 (15). | ლენინი ყრილობის ოცდამეორე და ოცდამესამე სხდომებზე გამოდის პარტიის წევრობის შესახებ წესდების პირველი პარაგრაფის იმ ფორმულირების დასაცავად, რომელიც მის მიერ არის წარმოდგენილი. |

| | |
|---|---|
| აგვისტო, 2 თუ 3 (15 თუ 16). | ლენინი მონაწილეობს «ისკრის» ორგანიზაციის სხდომაში, რომელზედაც ისკრელთა შორის ხდება გათიშვა ცენტრალური კომიტეტის წევრებად ასარჩევ კანდიდატთა საკითხის გამო. |
| აგვისტო, 4 (17). | ლენინი ყრილობის ოცდამეხუთე სხდომაზე გამოდის პარტიის საბჭოს შემადგენლობის საკითხის გამო. |
| აგვისტო, 4 და 5 (17 და 18). | ლენინი ყრილობის ოცდამეექვსე და ოცდამეშვიდე სხდომებზე გამოდის სამჯერ: პარტიის წესდების § 12-ის განხილვის დროს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალური ორგანოს რედაქციაში კოოპტაციის შესახებ. |
| აგვისტო, 5 (18). | ლენინი მონაწილეობს უმრავლესობის დელეგატთა კერძო თათბირში, რომელზედაც იხილავენ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის საკითხს. |
| 5 და 10 (18 და 23) აგვისტოს შუა. | ლენინი ადგენს რეზოლუციების პროექტებს: რსდმპ-დან ბუნდის გასვლის, ცალკეული ჯგუფების, ჯარის, გლეხობის შესახებ (ეს რეზოლუციები ყრილობაზე არ ყოფილა შეტანილი). |
| აგვისტო, 7 (20). | ლენინი ყრილობის ოცდამეთერთმეტე სხდომაზე გამოდის სიტყვით პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «ისკრის» რედაქციის არჩევნების შესახებ. |
| | ლენინს ყრილობის ფარული კენჭისყრით ირჩევენ «ისკრის» რედაქციაში; ლენინი სიტყვას ამბობს ცენტრალური კომიტეტის არჩევნების შესახებ. |
| აგვისტო, 9 თუ 10 (22 თუ 23). | ლენინი ადგენს რეზოლუციის პროექტს სექტანტებისათვის ბუნდელთა ორგანოს გამოცემის შესახებ. |
| აგვისტო, 10 (23). | ლენინი ყრილობის ოცდამეჩვიდმეტე სხდომაზე გამოდის ლიბერალებთან დამოკიდებულების შესახებ პოტრესოვის რეზოლუციის წინააღმდეგ, ამბობს სიტყვას მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების შესახებ. |

| | |
|---|---|
| აგვისტო, 11 (24). | ლენინმა და ყრილობის ბოლშევიკმა-დელეგატებმა ინახულეს კარლ მარქსის საფლავი ჰაიგეიტის სასაფლაოზე. |
| აგვისტო, 11 (24) შემდეგ. | ლენინი რსდმპ II ყრილობის დამთავრების შემდეგ ლონდონიდან ჟენევას ბრუნდება. |
| აგვისტო, 15 (28). | გაზეთ «ისკრის» 46 №-ში დაბეჭდილია ლენინის სტატიები «რეფორმების ერა» ფაბრიკის მამასახლისთა შესახებ გამოცემული კანონის გამო და «ბუნდის ნაციონალიზმის უკანასკნელი სიტყვა». |

# შინაარსი


წინასიტყვაობა . . . . . IX

*1902 წ.*

მასალები რსდმპ პროგრამის შემუშავებისათვის . 1 — 80

შენიშვნები პლეხანოვის პროგრამის პირველი პროექტის გამო . . . . . 3 — 12

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი . . . . . 13 — 22

სამი შესწორება პროგრამის პროექტისათვის . 23 — 24

შენიშვნები პლეხანოვის პროგრამის მეორე პროექტის გამო . . . . . 27 — 55

პლეხანოვის პროგრამის მეორე პროექტის გამო . . . . . 56 — 58

შენიშვნები კომისიის პროგრამის პროექტის გამო . . . . . 59 — 76

დამატებითი შენიშვნები კომისიის პროგრამის პროექტის გამო . . . . . 77 — 80

დამატება კლასობრივი ბრძოლის საკითხისათვის . . 78

შესწორება პროგრამის აგრარული ნაწილისათვის . . . . . 81 — 83

გაკოტრების ნიშნები . . . . . 84 — 92

რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან . . . . 93 — 107

1. შემნახველი სალაროები . . . . . 94

«ისკრის» რედაქციის მოხსენება რსდმპ კომიტეტთა თათბირს (კონფერენციას) . . . . . 108 — 120

(NB) შავად მონახაზი რეზოლუციისა . . . . . 119

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა . . . . . 121 — 178

I . . . . . 123

II . . . . . 126

III . . . . . 133

IV . . . . . 136

V . . . . . 142

VI . . . . . 143

VII . . . . . 154

VIII . . . . . 167

IX . . . . . 172

X . . . . . 175

წერილი ეროგელებს . . . . . 179 — 190

«ბოლბას» ჯგუფის შესახებ . . . . . 191

წერილი «ჩრდილოეთის კავშირს». შენიშვნები «ჩრდილოეთის კავშირის» პროგრამის გამო . . . . . 192 — 205

რატომ უნდა გამოუცხადოს სოციალ-დემოკრატიამ გადამწყვეტი და ულმობელი ომი სოციალისტ-რევოლუციონერებს? . . . . . 206 — 211

ოთხი წერილი ი. ი. რადჩენკოს . . . . . 212 — 224

I . . . . . 212

II . . . . . 220

რევოლუციური ავანტიურიზმი . . . . . 225 — 253

I . . . . . 225

II . . . . . 238

წერილი მოსკოვის კომიტეტს . . . . . 254 — 256

ბროშურის — «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანების» მეორე გამოცემის წინასიტყვაობა . . 257 — 263

გაფიცვების ახალი კანონის პროექტი . . . 264 — 275

წერილი «იუჟნი რაბოჩის» რედაქციას . . . . 276 — 279

წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ . . . . . 281 — 308

პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკანობა . . 309 — 319

დემონსტრაციების შესახებ . . . . . 320 — 321

ვულგარული სოციალიზმი და ნაროდნიკობა, რომლებსაც აცოცხლებენ სოციალისტ-რევოლუციონერები . . . . . 322 — 330

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ამოცანების შესახებ . . . . . 331 — 333

ძირითადი თეზისი ესერების წინააღმდეგ . . . 334 — 339

ახალი მოვლენები და ძველი საკითხები . . . 340 — 347

საშუალო სკოლების მოსწავლეებს . . . . . 348

«სვობოდას» ჯგუფის შესახებ . . . . . 349 — 350

ნაწყვეტი სტატიიდან ესერების წინააღმდეგ . . 351 — 352

პროექტი რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის მიმართვისა ლიგისადმი, კავშირისა და ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტისადმი . . . . . 353

საერთო პარტიულ ყრილობაზე რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებათა საკითხისათვის . 354 — 367

I. მუშათა მოძრაობა, მისი ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა . . . . . 357

II. ადგილობრივი სოციალისტური წრეების ისტორია, სოციალ-დემოკრატების გამოჩენა, მიმართულებათა ბრძოლა მათს შიგნით . . . . . 358

III. ადგილობრივი კომიტეტის, ადგილობრივი ჯგუფებისა და წრეების ორგანიზაცია . . . . . 360

IV. ადგილობრივი მუშაობის ხასიათი, შინაარსი და სიფართოვე . . . . . 361

V. დამოკიდებულება სხვა რასებისა და ეროვნებათა რევოლუციურ (განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ) ჯგუფებთან . . . . . 363

VI. სტამბები, ტრანსპორტი და მუშაობის კონსპირაციულად მოწყობა . . . . . 364

VII. კავშირი და მუშაობა მოსახლეობის სხვა ფენებში, გარდა მუშათა კლასისა . . . . . 364

VIII. არა სოციალ-დემოკრატიულ რევოლუციურ და ოპოზიციურ მიმდინარეობათა მდგომარეობა და მათთან დამოკიდებულება . . . . . 366

## *1903 წ.*

მოსკოველი ზუბატოველები პეტერბურგში . . 368 — 375

ცნობა «საორგანიზაციო კომიტეტის» დაარსების შესახებ . . . . . 376 — 381

რამდენიმე აზრი 7. ც. 6 ფ.-ს წერილის გამო . . 382 — 390

გუნდის განცხადების გამო . . . . . 391 — 399

სომეხი სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ . . . . . 400 — 404

ესაბირეება თუ არა ებრაელ პროლეტარიატს «დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია» . . . . 405 — 412

მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში . . . . . 413 — 425

ლექციების პროგრამა. . . . . 417

პირველი ლექციის კონსპექტი. ზოგადი თეორია . . 418

კაპიტალისტური მიწათმოქმედების ბატონობის შესახებ. რენტა. . . . . 420

თვითმპყრობელობა ირყევა... . . . . 426 — 433

ბ-ნი სტრუვე, მხილებული თავისი თანამშრომლის მიერ . . . . . 434 — 443

სოფლის ღარიბებს. ახსნა-განმარტება გლეხებისათვის, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს . . . . . 445 — 537

1. ქალაქის მუშათა ბრძოლა . . . . . 449

2. რა სურთ სოციალ-დემოკრატებს? . . . . . 451

3. სიმდიდრე და სიღატაკე, მესაკუთრენი და მუშები სოფლად . . . . . 465

4. ვის მიემხროს საშუალო გლეხი? მესაკუთრეებსა და მდიდრებს თუ მუშებსა და ღარიბებს? . . . 482

5. რა გაუმჯობესებათა მისაღწევად იბრძვიან სოციალ-დემოკრატები მთელი ხალხისა და მუშებისათვის? . 493

6. რა გაუმჯობესებათა მისაღწევად იბრძვიან სოციალ-დემოკრატები ყველა გლეხისათვის? . . . . 505

7. კლასობრივი ბრძოლა სოფლად . . . . . 525

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, წარმოდგენილი გაზეთ «ისკრის» მიერ ჟურნალ «ზარიასთან» ერთად . . . . . 534

LES BEAUX ESPRITS SE RENCONTRENT. (ჩვენებურად დაახლოებით ასეა: სული სულს იცნობს) . . . . . 538 — 543

ბასუხი პროგრამის ჩვენი პროექტის კრიტიკაზე . 544 — 563

ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში . . 564 — 576

გეგმა სტატიისა ესერების წინააღმდეგ . . . . 577 — 578

რსდმპ 11 ყრილობა — 1903 წ. 17 (30) იელისი — 10 (23) აგვისტო . . . . . 579 — 631

II. ადგილობრივი სოციალისტური წრეების ისტორია, სოციალ-დემოკრატების გამოჩენა, მიმართულებათა ბრძოლა მათს შიგნით . . . . . 358

III. ადგილობრივი კომიტეტის, ადგილობრივი ჯგუფებისა და წრეების ორგანიზაცია . . . . . 360

IV. ადგილობრივი მუშაობის ხასიათი, შინაარსი და სიფართოვე . . . . . 361

V. დამოკიდებულება სხვა რასებისა და ეროვნებათა რევოლუციურ (განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ) ჯგუფებთან . . . . . 363

VI. სტამბები, ტრანსპორტი და მუშაობის კონსპირაციულად მოწყობა . . . . . 364

VII. კავშირი და მუშაობა მოსახლეობის სხვა ფენებში, გარდა მუშათა კლასისა . . . . . 364

VIII. არა სოციალ-დემოკრატიულ რევოლუციურ და ოპოზიციურ მიმდინარეობათა მდგომარეობა და მათთან დამოკიდებულება . . . . . 366

## *1903 წ.*

მოსკოველი ზუბატოველები პეტერბურგში . . 368 — 375

ცნობა «საორგანიზაციო კომიტეტის» დაარსების შესახებ . . . . . 376 — 381

რამდენიმე აზრი 7. ც. 6 ფ.-ს წერილის გამო . . 382 — 390

ბუნდის განცხადების გამო . . . . . 391 — 399

სომეხი სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ . . . . . 400 — 404

ესაბირობა თუ არა ებრაელ პროლეტარიატს «დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია» . . . . 405 — 412

მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში . . . . . 413 — 425

ლექციების პროგრამა. . . . . 417

პირველი ლექციის კონსპექტი. ზოგადი თეორია . . 418

კაპიტალისტური მიწათმოქმედების ბატონობის შესახებ. რენტა. . . . . 420

თვითმპყრობელობა ირყევა... . . . . 426 — 433

ბ-ნი სტრუვე, მხილებული თავისი თანამშრომლის მიერ . . . . . 434 — 443

სოფლის ღარიბებს. ახსნა-განმარტება გლეხებისათვის, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს . . . . . 445 — 537

1. ქალაქის მუშათა ბრძოლა . . . . . 449

2. რა სურთ სოციალ-დემოკრატებს? . . . . . 451

3. სიმდიდრე და სიღატაკე, მესაკუთრენი და მუშები სოფლად . . . . . 465

4. ვის მიემხროს საშუალო გლეხი? მესაკუთრეებსა და მდიდრებს თუ მუშებსა და ღარიბებს? . . . 482

5. რა გაუმჯობესებათა მისაღწევად იბრძვიან სოციალ-დემოკრატები მთელი ხალხისა და მუშებისათვის? . 493

6. რა გაუმჯობესებათა მისაღწევად იბრძვიან სოციალ-დემოკრატები ყველა გლეხისათვის? . . . . 505

7. კლასობრივი ბრძოლა სოფლად . . . . . 525

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, წარმოდგენილი გაზეთ «ისკრის» მიერ ეურნალ «ზარიასთან» ერთად . . . . . 534

LES BEAUX ESPRITS SE RENCONTRENT. (ჩვენებურად დაახლოებით ასეა: სული სულს იცნობს) . . . . . 538 — 543

პასუხი პროგრამის ჩვენი პროექტის კრიტიკაზე . 544 — 563

ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში . . 564 — 576

გეგმა სტატიისა ესერების წინააღმდეგ . . . . 577 — 578

რსდმპ 11 ყრილობა — 1903 წ. 17 (30) ივლისი — 10 (23) აგვისტო . . . . . 579 — 631

1. პროექტი რეზოლუციისა დემონსტრაციების შესახებ . . . . . 581

2. პროექტი რეზოლუციისა ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში . . . . . 582

3. პროექტი რეზოლუციისა მოსწავლე ახალგაზრდობასთან დამოკიდებულების შესახებ . 584

4. პროექტი რეზოლუციისა პარტიული ლიტერატურის შესახებ . . . . . 586

5. მცირე რეზოლუციების პროექტები . . 587 — 588

ეკონომიური ბრძოლა . . . . . 587

1 მაისი . . . . . —

საერთაშორისო კონგრესი. . . . . —

ტერორი . . . . . 588

პროპაგანდა . . . . . —

ძალთა განაწილება . . . . . —

6. პროექტი რეზოლუციისა სექტანტებისათვის ორგანოს გამოცემის შესახებ . . . 589

7. რსდმპ წესდების პროექტი . . . . . 590

8. პროექტები რეზოლუციებისა, რომლებიც ყრილობაზე არ ყოფილა შეტანილი . . 593 — 595

ბუნდის გასვლა . . . . . 593

ცალკეული ჯგუფები . . . . . 594

ჯარი . . . . . —

გლეხობა . . . . . 595

9. პირველი სიტყვა ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე 18 (31) ივლისი . . . . . 596

10. მეორე სიტყვა ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე 18 (31) ივლისი . . . . . 598

11. სიტყვა საორგანიზაციო კომიტეტის მოკ-
მედების საკითხზე 18 (31) ივლისი . . . 600

12. სიტყვა პოლონელი სოციალ-დემოკრატე-
ბის ყრილობაში მონაწილეობის საკითხზე
18 (31) ივლისი . . . . . 601

13. სიტყვა რსდმპ-ში ბუნდის ადგილის სა-
კითხზე 20 ივლისი (2 აგვისტო) . . . . 602

14. სიტყვა პარტიის პროგრამის საკითხზე
22 ივლისი (4 აგვისტო) . . . . . 606

15. მოხსენება პარტიის წესდების შესახებ 29
ივლისი (11 აგვისტო) . . . . . 610

16. პირველი სიტყვა აგრარული პროგრამის
განხილვის დროს 31 ივლისი (13 აგვისტო) . 612

17. მეორე სიტყვა აგრარული პროგრამის გან-
ხილვის დროს 1 (14) აგვისტო . . . . . 616

18. მესამე სიტყვა აგრარული პროგრამის გან-
ხილვის დროს 1 (14) აგვისტო . . . . 618

19. მეოთხე სიტყვა აგრარული პროგრამის
განხილვის დროს 1 (14) აგვისტო . . . . 619

20. პირველი სიტყვა პარტიის წესდების გან-
ხილვის დროს 2 (15) აგვისტო . . . . 620

21. მეორე სიტყვა პარტიის წესდების განხილ-
ვის დროს 2 (15) აგვისტო . . . . . 621

22. სიტყვა «ისკრის» რედაქციის არჩევნების
დროს 7 (20) აგვისტო . . . . . 626

23. სიტყვა მოსწავლე ახალგაზრდობასთან
დამოკიდებულების საკითხზე 10 (23) აგ-
ვისტო . . . . . 631

რეფორმების ერა . . . . . 632 — 641

ბუნდის ნაციონალიზმის უკანასკნელი სიტყვა . . 642 — 646

მარტოვის წინაალმდეგობანი და ზიგზაგები . . 647

შენიშვნები . . . . . 649 — 675

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . 677 — 689

## ილუსტრაციები

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი». — 1902 წ. . . . 2 — 3

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა შენიშვნებით პლეხანოვის პროგრამის მეორე პროექტის გამო. — 1902 წ. . . 25

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». — 1902 წ. . . 122 — 123

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ». — 1904 წ. . . . . 283

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «საერთო პარტიულ ყრილობაზე რსდმპ კომიტეტებისა და ჯგუფების მოხსენებათა საკითხისათვის». — 1902 წ. დეკემბერი — 1903 წ. იანვარი . . . . . 354 — 355

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში». — 1903 წ. . . . . 415

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «სოფლის ღარიბებს». — 1903 წ. . . . . 447

მიწის გაანგარიშება კლასობრივ დაჯგუფებათა მიხედვით, შედგენილი ვ. ი. ლენინის მიერ ბროშურის — «სოფლის ღარიბებს» მომზადების დროს. — 1903 წ. . . . . 466 — 467

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VI-1949.
უე 01850. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 44³/₈.
ფასი 8 მან.

•

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობის საქმეთა სამმართველოს 1-ლი
სტამბა. თბილისი. ორჯონიკიძის ქ. № 50.
შეკვეთის № 468.